

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

მრუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინტორიის ინსტიტუტი

ი ლ ი ა
ტ ა ვ ე ტ ა ვ ა ძ ე
ს ა ი უ ბ ი ლ ე თ კ რ ე ბ უ ლ ი



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

თბილისი 1957

სარედაქციო კოლეგია:

გ. აბზიანიძე, ა. ბარამიძე, დ. ბენაშვილი, ა. ბოჭორიშვილი,
დ. გამეზარდაშვილი (პ./მგ. რედაქტორი), მ. დუღუჩავა, ე. თოფურია,
ბ. ყლენტი



იღია ჭაგჭავჭავაძეს ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

იღია იყო დიდი ეროვნული მწერალი და უბადლო საზოგადო მოღვაწე. მის სახელთან დაკავშირებულია კრიტიკული რეალიზმისა და ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრება ქართულ მწერლობაში.

ქართული მხატვრული სიტუების დიდი ოსტატი, მოწინავე მოახროგნე, მებრძოლი ზუბლიცისტი და გამოჩენილი პრაქტიკული მოღვაწე— ჭაგჭავაძე მთელი ნასევარი საუკუნის მანძილზე სათავეში ედგა ეროვნული მნიშვნელობის თითქმის უველა დიდ საქმეს.

როგორც ბუმბერაზი მწერალი, სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლე, — ჭაგჭავაძე ქართველი ხალხის საყოველთაო სიუვარულით სარგებლობდა და სარგებლობს.

რუსთაველის შემდეგ, ქართული ლიტერატურისა და კულტურის განვითარებაში უველაზე დიდი როლი იღიამ შეასრულა. მისი სამოღვაწეო მასშტაბი უადრესად ფართო იყო. ამასთანავე, შემოქმედებისა და მოღვაწეობის უველა სფეროში იღია ღრმად ნაცინონალური და ორიგინალურია.

ამიტომ, რომ იღია ჭაგჭავაძის მხატვრული და კრიტიკულ-ზუბლიცისტური შემკვიდრების შესწავლა დიდ დროსა და სხვადასხვა დარგების წარმომადგენელთა ერთობლივ შრომას მოითხოვს.

წინამდებარე საიუბილეო კრებული ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის ერთ-ერთი ცდაა. ეს მუშაობა, ცხადია, უფრო გაღრმავდება და გაშლიერდება, რაც შესაძლებელს გასდის შექმნას იღია ჭაგჭავაძის სახელისა და ღირსების შესაფერისი დიდი მონოგრაფიული ნაშრომი.



დ. ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძე—ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი

ქართული ლიტერატურის ისტორიას ბევრი საამაყო მწერლის სახელი ამშვენებს. ქართული მხატვრული აზრის საუნიჭო საუკუნეების განმავლობაში მდიდრდებოდა სიტყვის გამოჩენილი ოსტატების მიერ. ბევრი მათგანის მნიშვნელობა და სახელი დიდი ხანია გასცდა ეროვნულ ფარგლებს და საერთო საკაცობრიო არენაზე გავიდა. ჩვენი მწერლობა კანონიერად ამაცობს არა მხოლოდ მრავალსაუკუნოვანი ისტორიით, არამედ მდიდარი და მაღალი ტრადიციებითაც.

ქართული ლიტერატურის ისტორია უდავოს ხდის იმასაც, რომ მისი განვითარების გზები, ეპოქების შესატყვისად, რთული და მრავალფეროვანი, მაგრამ ყოველთვის თვითმყოფადი და ღრმად ეროვნული იყო.

ქართულ მწერლობასა და აზროვნებას მუდამ ჰქონდა თავისი შებენის წერტილები უცხოურ ლიტერატურასა და კულტურასთან, არასოდეს ყოფილა მოწყვეტილი სხვა ხალხთა შემოქმედებითი აზრისაგან, მაგრამ მისი განვითარების შინაგანი პროცესი მუდამ შეპირობებული იყო ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულ-ისტორიული ვითარებითა და თვითმყოფადი ტრადიციებით.

ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორია. ცხადია, არ წარმოადგენს ერთ სწორ აღმავალ ხაზს, მას აქვს მრუდეები და შედარებით მკრთალი წერტილებიც. მაგრამ, ამასთან აქვს მაღალი მწვერვალებიც, რომლებიც ყოველი შემდგომი განვითარების საყრდენებად მოჩანან. ამ დიდი გარდატეხებისა და ცვლილებების სათავეებში, პირველყოვლისა, რუსთაველი და ილია ჭავჭავაძე დგანან.

ის დიდი გარდატეხა და შემობრუნება. რაც ძველი ქართული ლიტერატურის განვითარებაში რუსთაველმა მოახდინა, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში ილია ჭავჭავაძის სახელთანაა დაკავშირებული.

ილია ჭავჭავაძე ახალი ქართული ლიტერატურის ჭეშმარიტი ფუძემდებელია და მისი ეს უდიდესი დამსახურება აღიარებული იყო თვით მწერლის სიცოცხლეშივე, როგორც სახელგანთქანი თანამებრძოლთა. ასევე თვით მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენელთა მიერაც.

მოუხედავად ამისა, ქართული ლიტერატურის თანამედროვე ისტორიკოსთა ნაშრომებში ახალი ლიტერატურის ფუძემდებლობის საკითხი ყოველთვის ერთ-

ნაირად როდია გაგებული და შეფასებული. ზოგჯერ ერთმანეთშია არეული მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის აღსანიშნავად მიღებული პირობითი ტერმინი—„ახალი ქართული ლიტერატურა“ (რაც თავისთავად გავა ხმარებიდან გარკვეული დროის შემდეგ) და ცნება — „ახალი ქართული ლიტერატურა“, — გამომხატველი იმ დიდი ეპოქისა, რომელიც უმალღესი ეტაპი იყო ოქტომბრის რევოლუციამდელი ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში და რომელმაც არსებითი ხასიათის ცვლილებები მოახდინა ჩვენი მწერლობის მიერ მანამდე გაზიარებულ თეორიულ-ესთეტიკურ მოძღვრებასა და მხატვრულ შემოქმედებით პრაქტიკაში.

ფიქრობთ, ამის გამოა, რომ ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებლად ზოგიერთი მკვლევარი აცხადებს ალ. ჭავჭავაძეს, ზოგი — ნ. ბარათაშვილს, ზოგი — ი. ჭავჭავაძეს, ზოგიც — ი. ჭავჭავაძესა და აკ. წერეთელს ერთად.

ცხადია, ალ. ჭავჭავაძემ, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია რომანტიზმის დამკვიდრება ქართულ ლიტერატურაში, თავის დროზე ახალი მიმართულება მისცა ჩვენს მწერლობას, მაგრამ მას არ მოუხდენია ისეთი ძირეული ხასიათის გარდატეხა, რომ მის მიერ შემოტანილი სიახლენი და ესთეტიკური იდეალები საფუძვლად დადებოდა ახალ ქართულ ლიტერატურას. ამ დიდ საქმეში მან მნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ წვლილი შეიტანა.

ნ. ბარათაშვილს, უდავოა, გაცილებით მეტი დამსახურება მიუძღვის ამ მიმართულებითაც. მან სერიოზული გარდატეხა მოახდინა არა მარტო პოეტური მეტყველების კულტურაში, არა მხოლოდ მხატვრული შემოქმედების იდეური მხარის წინ წამოწევის საქმეში, არამედ ლიტერატურის ამოცანების ცხოვრების სინამდვილესთან დაახლოებისა და მისი ინტერესებისადმი დაქვემდებარების საკითხშიც. ნ. ბარათაშვილმა თავის დროზე მკვიდრ და სწორ ნიადაგზე დააყენა ერთგულ-განმათავისფლებელი ბრძოლის იდეების ქადაგება ჩვენს მწერლობაში, ამაღლა ლიტერატურის როლი უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის საქმეში საერთოდ. ამიტომაც, რეალიზმის ნაჯადი მის პოეზიაში მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. მაგრამ იმის გამო, რომ ნიქიერი პოეტის ცხოვრება მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა და ვერ მოასწრო მტკიცედ დამდგარიყო რეალიზმის პოზიციებზე, მან ვერ შეძლო სწორი და ჩამოყალიბებული მიმართულება მიეცა ქართული მწერლობის შემდგომი განვითარებისათვის.

რომანტიკოსებმა საერთოდ, და განსაკუთრებით კი ნ. ბარათაშვილმა, მხოლოდ ნიადაგი მოამზადეს ახალი ქართული ლიტერატურისათვის.

იგივე შეიძლება ითქვას 40—50-იანი წლების რეალისტებზეც, კერძოდ, გ. ერისთავზე. მათ მთავარ დამსახურებას წარმოადგენს კრიტიკული რეალიზმისათვის საფუძვლის ჩაყრა ქართულ ლიტერატურაში. მაგრამ მათ მაინც ვერ შეძლეს რეალიზმის, როგორც მხატვრული მეთოდის, მომარჯვება ლიტერატურის წინაშე მდგომი ყველა არსებითი საკითხის გადასაწყვეტად. მათი მხატვრული ინტერესი მიპყრობილი იყო საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ სოციალური მხარისაკენ. თავისთავად ეს არ იყო მცირე მნიშვნელობის მოვლენა, მაგრამ მათ შემოქმედებას ჭერ კიდევ ბევრი აკლდა იმისათვის, რომ გამხდარიყო ეპოქის ამსახველ საარკვე.

თვით ი. ჭავჭავაძე საგანგებოდ მიუთითებს იმ დამსახურებაზე, რაც მის წინამორბედ მწერლებს მიუძღოდათ კემმარიტად ახალი ქართული ლიტერატურისათვის საფუძვლის მომზადების საქმეში. კერძოდ, ის გულდასმით ეხება

აღ. ჭავჭავაძის პოეზიაში „მამულის-შვილური გულისტკივილის“ გამოშობაზე ლექსებს და ამბობს: „და თუ ეს ცალკე მაგალითები მოვიყვანეთ მამულის-შვილურ გულის-ტკივილისა, მარტო იმისათვის, რომ ვნახოთ, — მაგისტანა გულის-ტკივილის, მერე სამოციან წლებში ეგრე გაძლიერებულს ჩვენს მწერლობაში, სათავე სადა ჰქონია და მცირე ნაკადულად გამონაწერი მერე როგორ გაზრდილა და უმატია“¹. გრ. ორბელიანის შესახებ კი იმ შეხედულებისაა, რომ ის „გამგზობია თ. აღ. ჭავჭავაძის პოეზიისა; და ამას გარდა, თითქმის ერთგვარი ღენა მწერლობისა გაამრავალგვარა, წინ წასწია ჩვენი პოეზია როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც“². გრ. ორბელიანის დიდ დამსახურებად ი. ჭავჭავაძე თვლის იმასაც, რომ მან პირველმა „მიგვახედა ჩვენ მიერ დავიწყებულ წარსულს“.

ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში ი. ჭავჭავაძე საგანგებო ადგილს უთმობს ნ. ბარათაშვილის პოეზიას. მისი თქმით, ნ. ბარათაშვილი „ერთად-ერთი მწერალია, რომელიც სხვაზედ უფრო მეტად, სხვაზედ უფრო მკაფიოდ და თვალნათლად ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილს იმ თვალ-გადუწვდენელს სფეროში, საცა ღალადებაა ყოველგვარ სულისკვეთებისა და ვნებათა ღელვისა“³. განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს ის ნ. ბარათაშვილის — „ბედი ქართლისას“ და „მერანს“, რომლებიც მას იტაცებენ ჭანსაღი ეროვნული გრძნობისა და უკეთესი მომავლის ძიების დაუცხრომელი სურვილის გამოხატვით.

ამგვარად, ი. ჭავჭავაძე, როგორც სახელოვანი მემკვიდრე წინამორბედთა ლიტერატურული ტრადიციებისა, ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში გარდა დახვეწილი, ფაქიზი პოეტური კულტურისა, ყველაზე მთავრად მიიჩნევს მამულის, სამშობლოს სიყვარულის გრძნობას. ეს უკანასკნელი მიაჩნია მას ჩვენი ლიტერატურის იმ ძვირფას შენამატად, რომელიც შემდეგ სამოციანელებმა გააღრმავეს და ეპოქის შესაფერ სიმაღლემდე აიყვანეს.

რაც შეეხება ქართული კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელს — გ. ერისთავს და მის მოწაფეებს, ი. ჭავჭავაძე მათ აფასებს, როგორც იმდროინდელი სოციალური ყოფის პირველ ამსახველთ, რეალისტური მწერლობის დამწყებთ.

ი. ჭავჭავაძის თქმით, გ. ერისთავმა „მარტო სიყვარულისა და ტრფობის მორევში მთარული ჩვენი გული და მარტო განლტოლოვილ ფიქრებში წასული ჩვენი გონება ჩვენს შინა-ცხოვრებას დააკვირვა, მიახედა; მისი „გაყრა“ ამის მაგალითია“⁴. გ. ერისთავის დამსახურებად თვლის იგი, აგრეთვე, სატირის მომარჯვებას ჩვენს მწერლობაში. ამასთან, გ. ერისთავის რეალიზმის შეზღუდულობას ი. ჭავჭავაძე ხედავს იმაში, რომ მან მხოლოდ მაღალი ყოფის ცხოვრების სურათები წარმოგვიდგინა. მაგრამ იქვე დასძენს, რომ გ. ერისთავის რეალიზმის ეს ხარვეზი, შეძლებისდაგვარად, შეეავსო მისმა მოწაფემ — ზ. ანტონოვმა. „ზ. ანტონოვმა,—ამბობს ი. ჭავჭავაძე,—მდაბიო ხალხის ყოფაცხოვრება, აე-კარგიანობა, მისი ზნე-ჩვეულება ცოტად თუ ბევრად დაგვანახვა. მისი „შის დაბნელება“, „ხევსურთა ქორწილი“, თუ ყოველ ამის სრული სურათი არ არის, მწერლობის ამ მხრივ მიმართულების მაგალითი ხომ არის და არისო“⁵.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებული, ტ. III, 1953, გვ. 209.

² იქვე, გვ. 210.

³ იქვე, გვ. 219.

⁴ იქვე, გვ. 224.

⁵ იქვე, გვ. 226.

დასახელებულ მწერალთა ნაწარმოებებს გარდა, ი. ჭავჭავაძე მაღალ შეფასებას აძლევს რ. ერისთავის იმ ლექსებს, რომლებიც ჯერ კიდევ ბატონყმობის გადავარდნამდე დაიწერა და რომლებშიც გაკიცხულია ადამიანისაგან ადამიანის ჩაგვრა. რ. ერისთავის ლექსებში ი. ჭავჭავაძე ხედავს პირველ სიტყვას „სამწედ უსამართლოდ ჩაგრულთათვის“.

სამწუხაროდ, ი. ჭავჭავაძის დასახელებული სტატია სრულად არაა მოღწეული. მას აკლია სწორედ ის ადგილი, სადაც მსჯელობა მთავრდებოდა რ. ერისთავზე და მოცემული იყო ლ. არღაზიანისა და დ. ჭონქაძის დახასიათება.

ამის შემდეგ ი. ჭავჭავაძე დაასკვნის: „ამ ვზით და ამ ყოფით იზრდებოდა ჩვენი აზრი, თან-თან გაძლიერებული და მატებული... ამ სიგრძე-სიგანით, ამ სიღრმე-სიმაღლით მიაღწია მან სამოციან წლებამდე. თვალნათლად დასანახია, რომ სამოციან წლებში ახალი ხანა დაწყებულ იქნა“¹.

როგორც ვხედავთ, თვით ი. ჭავჭავაძე ახალი ხანის დასაწყისად ქართული ლიტერატურის ისტორიაში მიიჩნევს 60-იან წლებს. მაგრამ საჭიროა მივუთითოთ იმაზეც, თუ რა მიაჩნდა მას 60-იანი წლების ქართული მწერლობის ნიშანდობლივ მხარედ.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, „სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დაეწიყებული სიტყვა „მამულა“ მთელის თავის გულ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა... რაკი „მამულს“ ბინა დაედვა ქართველთა გულში, მისმა ცხოველ-ყოფელმა სიბოძომ და ნათელმა მთელი მრავალგვარობა ჩვენის ცხოვრებისა გაუთვალისწინა თვითეულ მოღვაწეს ცალკე და ყველას ერთად.

...პროზით თუ ლექსით ყველა პლადადებდა ადამიანობის დარღვეულ ფულების სახელითა და თვით მოსაქმე ცხოვრების განკარგების წყურვილითა. ამ ეგრეთ-წოდებულმა „რეალურმა მიმართულებამ“ ჩვენის აზრიანობისამ ჩვენი გონება დააკავშირა ჩვენს მიწიერ ავ-კარგიანობას და სამოციან წლებიდან დღევანდლამდე, ამ ოცდაათის წლის მანძილზე, ბევრი საყურადღებო ღვაწლი დასდო, ბევრი ნაყოფიერი თესლი დაჰყარა სამერმისოდ“².

მაგრამ ყოველივე ეს, ი. ჭავჭავაძის გაგებით, მინც ერთი მხარე იყო 60-იანი წლების მწერლობისათვის. ამავე პერიოდში, თავისი მოწოდების სიმაღლეზე ავიდა აგრეთვე სოციალური მოტივიც.

ი. ჭავჭავაძის შეფასებით, „სამოციან წლებამდე — ალ. ჭავჭავაძიდან დაწყებული ჩვენი პოეზია, თითო-ორთა მაგალითებს გარდა, ისიც ორმოცდაათიანი წლების ბოლო ხანებში, დაჰფუფუნებდა ჩვენის დიდ-კაცობის გულთა თქმას, თითქო უკადრისობს ამათ გარე რაიმე საგანი უპოვოს პოეზიას. სამოციანმა წლებმა ამ ვიწროდ შემოღობილს სარბიელს ჩვენის პოეზიისას თავისი ტალღა გაჰკარეს და შემომატრეიეს ღობეები. ამ ხანაში მოღვაწეებმა მიაგნეს, რომ მდამიოთა ცხოვრებაშიაც არის ადამიანური გულთა-თქმა; რომ ამ მდამიოთა გული იგივე ზღვაა, საცა თუ არ მეტი ნაკლები მარგალიტები არ არის გლოვისა და სიხარულისა, ჭირისა და ლზინისა, ძულებისა და სიყვარულისა, რომ ამ მდამიოთაც აქვთ თავისი იდეალები, თავისი სანატრელები, ოღონდ კი კაც მადლი ჭქონდეს ამაების დანახვისა, ამაების გამოსატვისა“³.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. III, 1953, გვ. 224.

² იქვე, გვ. 226.

³ იქვე, გვ. 229—230.

ახალი ქართული ლიტერატურის დასაწყისად 60-იანი წლები მიაჩნდათ აგრეთვე აკ. წერეთელს, ნ. ნიკოლაძეს, გ. წერეთელსა და სხვ. ასევე ერთხმად აღიარებდნენ ისინი ი. ჭავჭავაძის ფუძემდებლურ როლს ახალი ქართული ლიტერატურის შექმნის საქმეში.

ნ. ნიკოლაძემ საგანგებო სტატია მიუძღვნა ქართული ლიტერატურის წინაშე ი. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის დამსახურების გარკვევას¹. მისი თქმით, შთაბეჭდილება, რომელიც აკ. წერეთლის პირველმავე ლექსებმა მოახდინეს მკითხველზე, უპრეცედენტოა ჩვენს მწერლობაში. მას მხოლოდ რუსულ ლიტერატურაში მოუპოვება შესატყვისი: ესაა ახალგაზრდა პუშკინის მუზის პირველი ნაბიჯები; აკაკიმ ქართულ ლექსს დაუბრუნა სინატიფე და სილაფე, მუსიკალობა და გრაცია, რის საპირობაც გარკვეულად იგრძნობოდა. მაგრამ, — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — აკ. წერეთელს ქართულ ლიტერატურაში რომ შეესრულებინა იგივე როლი, რაც პუშკინმა — რუსულ ლიტერატურაში, ე. ი. გამბდარიყო ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი, ამისათვის მას შესაფერი ძეგლები უნდა მოეხდინა პოეზიის შინაარსობლივ მხარეშიც. მაგრამ ეს ხვედრი, მისი თქმით, წილად ხედა არა მას, არამედ ი. ჭავჭავაძეს, რის გამოც ის გახდა ფუძემდებელი ახალი ქართული ლიტერატურისა.

ნ. ნიკოლაძის შეფასებით: «Сходство роли кн. Ак. Церетели в грузинской литературе с значением Пушкина—в русской ограничивается, к сожалению, лишь стороною формы и языка. Грузинскому поэту, увы, не удалось сравниться с русским и произвести коренной переворот относительно не только формы, но и содержания литературных произведений своей родины.

Эта высокая честь—дать литературным силам родного народа новые и достойные задачи—выпала в грузинской литературе не... Ак. Церетели, которому она более всех и принадлежала, а другому писателю, кн. П. Чавчавадзе, который, вследствие того, и занял по праву первое место, во главе современной грузинской словесности».

ის ფაქტი, რომ ახალ ქართულ ლიტერატურას საფუძველი ჩაეყარა 60-იან წლებში, ცხადია, შემთხვევითი არაა. იგი კანონზომიერი შედეგია ჩვენი ეროვნული ცხოვრების თავისებურებისა აღნიშნულ პერიოდში.

შემთხვევითი არაა, რა თქმა უნდა. არც ის, რომ ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი ი. ჭავჭავაძე გახდა და არა სხვა ვინმე. ი. ჭავჭავაძეს, როგორც მოაზროვნესა და მოღვაწეს, ყველაზე უფრო სწორად და ღრმად ესმოდა იმდროინდელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურება და ერის სასიცოცხლო ინტერესები. ამასთან, როგორც მწერალმა, მან ყველაზე უფრო რეალისტურად და სრულად გაიზიარა ლიტერატურის წინაშე მდგომი ამოცანები. კერძოდ. მან ურთიერთკავშირში და პერსპექტივის თვალსაზრისით გააშუქა თავისი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ორი ყველაზე მტკივნეული და აქტუალური საკითხი: ეროვნული და სოციალური. ამით მან ბოლო მოუღო იმ ცალმხრივობას, რომელიც რომანტიკოსთა და 40—50-იანი წლების ქართველ რეალისტთა შემოქმედებას ახასიათებდა და რომლის დაძლევის გარეშე, რა გინდ ნიჭიერი შემოქმედიც არ უნდა ყოფილიყო, შეუძლებელი იყო ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებლად გამხდარიყო ვინმე.

¹ „Новое обозрение“, 1889, № 1815.

ი. ჭავჭავაძემ რეალიზმი, როგორც შემოქმედებითი მეთოდი, ოსტატურად მოიმარჯვა საზოგადოებრივი ცხოვრების არა მხოლოდ რომელიმე მხარის გამო-სახატავად, არამედ საერთოდ იმდროინდელი სინამდვილის წარმოსაჩენად. ილია, როგორც მოაზროვნე და მხატვარი, სათავეში ედგა თავისი დროის პროგრესულ ძალებს და რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების ხორცშესხმისათვის იბრძოდა.

საკმარისია თვალი გადავავლოთ ი. ჭავჭავაძის ადრეულ ნაწერებს, რომ გასაგები გახდეს ნიჭიერი პოეტის შემოქმედებითი ევოლუცია, მისი მხატვრული და მსოფლმხედველობრივი ზრდა.

ჭერ კიდევ ჭაბუკმა ილიამ, პეტერბურგში სწავლის მისაღებად გამგზავრების წინ, თავის პირველ ლექსში — „ყვარლის მთებს“ გარკვევით გამოხატა ღრმა სიყვარული სამშობლოსადმი და ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელსაც ის ყოველთვის გრძნობდა მშობელი ხალხის წინაშე.

უცხო გარემოსა და მხატვრული ძიების პროცესში მყოფი ი. ჭავჭავაძე, მართალია, ვერ აცდა რომანტიკული განწყობილებების გავლენას, მაგრამ მაინც მალე და წარმატებით გაარკვია საკუთარი პოეტური კრეატი და ცხოვრების იდეალი.

შემოქმედების პირველ პერიოდში, ი. ჭავჭავაძე საგრძნობლად ეხმაურება ქართველ რომანტიკოსებს, განსაკუთრებით კი ნ. ბარათაშვილს. შეიძლება ითქვას, რომ მისი პოეტური მომწიფება ნ. ბარათაშვილის ღრმა ფილოსოფიური შინაარსის მქონე პოეზიის გავებისა და დაძლევის საფუძველზე ხდება. თუ თავდაპირველად ილიასათვის უფრო საინტერესოდ მოჩანს ნ. ბარათაშვილის სევდა-მწუხარების გამომხატველი ლექსები, შემდეგ მასზე გავლენას ახდენენ მხოლოდ ის ლექსები, რომლებშიც ნიჭიერი პოეტის მეტრძოლი სული და უკეთესი მომავლის ძიებაა ჩაქსოვილი.

მსგავსად ნ. ბარათაშვილისა, ი. ჭავჭავაძე თავის პირველ ლექსებში უჩიოდა არა მარტო ადამიანის სიცოცხლის ხანმოკლეობას, არამედ იმ ხვედრსაც, რომელიც ამ ხანმოკლე სიცოცხლესაც მძიმეს ხდიდა. ამ მხრივ, მას ყველაზე მეტად სულიერი ობლობა და თავისუფლების დაკარგვა აფიქრებდა და აშინებდა (იხ. ლექსები „გაზაფხული“, „ჩიტი“, „სიმღერა“). მართალია, ის არც ამ დროს აცილებდა ავალს „მომავლის ვარსკვლავს“, მაგრამ მაინც ეშინოდა „ცხოვრების ზღვაში“ მარტოდ ცურვის.

მაგრამ სულ მალე ი. ჭავჭავაძისათვის შთამაგონებელი ხდება არა ბარათაშვილი ავტორი ლექსისა — „სული ობოლი“, არამედ ბარათაშვილი „მერანისა“ და „ფიქრი მტკვრის პირას“ შემოქმედი. ამაზე მეტყველებს მისი ლექსი — „დაე თუნდ მოგვკდე“, რომელშიც ჭაბუკი პოეტი გაბედულად ამბობს:

„დაე თუნდ მოგვკდე, არ შეშინან.
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან.
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი.“

პატრიოტი პოეტი მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, რომ მის საფლავთან მისულ საყვარელ ქართველს საფუძველი ჰქონებოდა გულწრფელობითა და დარწმუნებით ჩაეძაბა მისთვის:

— „იყავ მშვიდობით შენს მყუდრო ძილში
შენ გიყოცხლია, როგორც უნდოდა;
თქვას: შენი ქნარი შორს ჩვენგან ჩრდილში
ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა“.

„თავისი ვალის“ აღსრულებისათვის მებრძოლ პოეტს ცრემლი არ აშრებოდა თვალებზე, სწუხდა: ვაი, თუ ვერ აღმოვჩნდე მოწოდების სიმადლეზეო (იხ. ლექსი „ბევრი ვიტანჯე“, 1858). ეს ფიქრი ილიას არც მაშინ ასვენებდა, როცა პეტერბურგიდან სამშობლოში ბრუნდებოდა („მგზავრის წერილები“).

მართალია, ი. ჭავჭავაძეს რომანტიკოსთა მდიდარი მემკვიდრეობის ათვისება და დაძლევა უხდებოდა მხატვრული ძიების პერიოდში, მაგრამ მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის ყოველთვის ინარჩუნებდა საკუთარ პოეტურ ხმას მხატვრულ ორიენტირებას. რომანტიკოსთა გავლენა ი. ჭავჭავაძეზე გამოიხატა, უწინარეს ყოვლისა, მათ მიერ შემუშავებული მხატვრული ტრადიციების შემოქმედებით გამოყენებაში და არა მისდამი ბრმა მორჩილებაში. საერთოდ, ი. ჭავჭავაძე რომანტიკოსებში ყოველთვის ხედავდა სიტყვის ნიჭიერ ოსტატებს. რაც შეეხება რომანტიკოსთა პოეზიის იდეურ-შინაარსობლივ მხარეს, ი. ჭავჭავაძე მის დაძლევას ახერხებს ორ წელზე (1857—1858 წწ.) ნაკლები დროის მანძილზე.

ამასთან, რომანტიკოსებთან სიახლოვეს ი. ჭავჭავაძე ავლენს მხოლოდ იმ ლექსებში, რომლებიც შთაგონებული არიან სამშობლოს ბედით, ანდა მიძღვნილი არიან სიყვარულის გრძნობისადმი.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ახალი მოვლენების ადვილად შეცნობის უნარით დაჯილდოებულმა ახალგაზრდა პოეტმა ადვილად დააღწია თავი რომანტიკოსთა სევდიანი განწყობილებების გავლენას. მან მალე შეიცნო თავისი პოეტური დანიშნულება და სწორად გაერკვა იმაშიც, თუ რა უნდა მიეღო და გამოეყენებინა წინამორბედთა მხატვრული მემკვიდრეობიდან. 1858 წლის დასასრულს ილიამ უკვე მტკიცე ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით. ამის თქმის უფლებას იძლევა მისი ლექსი—„ქართველის დედას“, რომელსაც ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული ლეიბნიცის ცნობილი სიტყვები: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“. ამ სიტყვებში ილიამ შეიძლება ითქვას, ამოიკითხა გასართლება თავისი ვადაწყვეტილებისა: გამხდარიყო არა წარსულის მეხოტბე, არამედ მისი თანამედროვე ცხოვრების პირუთვნელი მხატვარი.

რომანტიკულ პოეზიასთან ანგარიშგასწორებას წარმოადგენდა ი. ჭავჭავაძის მრისხანე მოწოდება:

„მას ნულარ ვსტირით. რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდითო ესლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი.
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“...

(„ქართველის“ დედას).

პოეტი ქართველ დედას შეთხოვს აღზარდოს ძლიერი სულის მქონე შვილები, რომელთაც იქნებათ ხალხის სიყვარული და სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის ბედთან იბრძოლებენ“, რათა მიღწეულ იქნას „ძმობა, ერთობა“.

თავისუფლება“. ამ მცნების სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდა მიაჩნდა პოეტის „მომავალი გვირის“ გამოჩენის საწინდრად.

ეროვნული მთლიანობისა და სამშობლოს განთავისუფლების იდეა უფრო სრულად და მტკიცედ ი. ჭავჭავაძემ ჩამოაყალიბა ლექსში — „ჩემი თარიალი“ (1858 წ.), რომელშიც აშკარად ისმის მოწოდება მეფის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. პატრიოტი პოეტი თანამემამულეთ შთააგონებს მამულის სიყვარულს, ძმობისა და ერთობის მნიშვნელობას.

სამშობლოს განთავისუფლების იდეა წითელ ზოლად გასდევს ი. ჭავჭავაძის პოეზიას. ამასთან, პოეტი ძველ რუსეთში გარკვევით ხედავს ორ რუსეთს: ერთი—მეფე და მისი ბიუროკრატიული აპარატი, მეორე—ნამდვილი რუსი ხალხი. ილიას არასოდეს არ უქადაგნია სეპარატიზმი, თავისი იდეალებისათვის ბრძოლას ის ყოველთვის რუს ხალხთან მეგობრობას უკავშირებდა; მეფის მთავრობის დამხობაში ხედავდა როგორც რუსი ხალხის ბედნიერებას, ასევე თავისი სამშობლოს თავისუფლებას.

ი. ჭავჭავაძე ხაზს უსვამდა მტკიცე ერთიანობისა და თავდადების მნიშვნელობას ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მისი თქმით, ნამდვილი პატრიოტი სამშობლოს მტერს „ან მოჰკლავს, ან შეაკვდება“. ამიტომაც, მას „ქართლის უბრალო მადლობა ურჩევნის ყოველ დიდებას“ და ყველაზე მაღალ ჭილდოს — აყვავებული მამულის ხილვაში ხედავს.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის იდეა, და საერთოდ რევოლუციურ-დემოკრატიული ხედვა, ი. ჭავჭავაძეში განსაკუთრებით ძლიერდება 1859 წლიდან, და ეს გასაგებია: მაშინ დაიწყო სწორედ რევოლუციური სიტუაციის აღმავლობა, რასაც არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა სტუდენტ ი. ჭავჭავაძეზე. ამას მოწმობს თუნდაც ლექსი — „ნანა“, რომელიც საყურადღებო ნაწარმოებია როგორც თავისი შინაარსით, ასევე ფორმით.

ლექსი „ნანა“, თავისი შინაარსით, წარმოადგენს ქართველი დედის პასუხს პოეტის იმ მოწოდებაზე, რომელიც მან გამოთქვა „ქართლის დედაში“. პატარა შეილს დედა უმღერის სამშობლოს შესახებ, აცნობს მის წარსულსა და აწმყოს, ავალებს იყოს თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი.

პატრიოტი დედა შეილს შთააგონებს, რომ „უკვდავი არის შეილი — მამულისთვის მომკვდარი“, რომ ვაჟაკი გვირულად უნდა შეეწიროს სამშობლოსათვის ბრძოლას და „თავისი სიკვდილით მისი სიკვდილი დათრგუნოს“.

ამ ლექსში ა. ჭავჭავაძემ პირველად წარმოადგინა პატრიოტი ქართველი დედის სახე. მისი შეხედულებით, მხოლოდ ასეთი დედების წყალობით შეძლო ქართველმა ხალხმა ხანგრძლივ და უთანასწორო ბრძოლებში დაეცვა სამშობლოს დამოუკიდებლობა.

მაგრამ პოეტს მაინც არ აკმაყოფილებდა იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მაჩისცემა და ეროვნული თვითშეგნების დონე. ამიტომ მის გულში ზოგჯერ სიცივე იმკვიდრებს ხოლმე („დაბნელდა სული“) და მარტობაში მყოფი ფიქრებს ეძლევა. მაგრამ ის ხდება არა უიმედო და პასიური. არამედ უფრო მღელვარე, ბრძოლას უცხადებს უმოქმედობასა და მორჩილებას.

თბ. ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!

(„ელებია“).

ასე მწარედ ამოიკენესა სამშობლოს ბედზე დაფიქრებულმა პოეტმა და მისი თვალი, პირველყოვლისა, ახალგაზრდობაზე შეჩერდა. ი. ჭავჭავაძე დიდ იმედებს ამყარებდა განათლებაზე და განათლებულ ახალგაზრდობაზე; მათგან მოელოდა იგი ხალხში იმ იდეების შეტანას. რომლისთვისაც თვითონ იბრძოდა.

ი. ჭავჭავაძემ 1860 წელს საგანგებოდ დაწერა „ქართველ სტუდენტების სიმღერა“, რომელშიც ჩამოაყალიბა მათი მიზანი და ვალდებულება. მისი თქმით, სტუდენტი ახალგაზრდობა იმ სულისკვეთებით იზრდებოდა, რომ ლხინში—მოლხინეს გამოადგებოდა, ჭირში—კი გაჭირვებულს უშველიდა, დიდს. არ გაექვლინებოდა, პატარას კი მხარს მისცემდა, ბოროტს გულდაგულ შეებრძოლებოდა და თავჯანს სცემდა სამართალს, წინ წასვლაში არ დაიხედა, მაგრამ უკან დარჩომილსაც არ გასწირავდა; იცოდა, რომ „შველა უნდა უღონოსა და დავრდომილს“. ამიტომაც, ის უნაგაროდ მიდიოდა წინ და მხოლოდ მასზე ფიქრობდა, „რომ წინანი უკანასთვის უნდა იქნეს გზად და ხიდად“.

„ქართველ სტუდენტების სიმღერაში“ თვით ი. ჭავჭავაძის გრძნობა და მისწრაფებაა ჩაქსოვილი. პოეტი უკვე მომზადებულად გრძნობს თავს იმისათვის, რომ სამშობლოს გამოადგეს, უღონოსა და დავრდომილს დაეხმაროს, ხოლო მტერს პირისპირ შეებრძოლოს.

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ი. ჭავჭავაძემ თავი გამოავლინა, როგორც დიდმა პატრიოტმა, თავისუფლებისათვის თავდადებულმა მებრძოლმა, მშრომელი ხალხის მესაიდუმლემ და დამცველმა. მჩაგვრელთა დაუძინებელმა მტერმა.

ჯერ კიდევ 1837 წელს დაწერილ ლექსში—„ხმა სამარიდამ“ ილია თავისი მძაფრი სატირით თავს დაესხა მშრომელი გლეხობის, ქვრივ-ობლების და უნდობელ მტრებს — მექრთამე ჩინოვნიკებს და სრულად წარმოადგინა მათი მახინჯი ბუნება.

ამავე წელს ილია წერს მოთხრობას—„ღიაშხვაგობა“, რომლის შემდგომ ვარიანტს სათაურად მისცა—„მარგალიტი ლექში“. მართალია, მოთხრობა დაუმთავრებელია, მაგრამ მასში უკვე საკმარისაა გამოკვეთილი გაიძვერა და მლიქვნელი ჩინოვნიკის სახე. ი. ჭავჭავაძემ პირველად აქ გამოამჟღავნა ოსტატობა გმირის ფსიქოლოგიის სოციალურ ფონზე ჩვენებისა. „მარგალიტი ლექში“ შემდეგ საფუძვლად დაედო მის ცნობილ ნაწარმოებს—„სარჩობელაზედ“.

სატირით -- „ხმა სამარიდამ“ და მოთხრობით -- „ღიაშხვაგობა“ ი. ჭავჭავაძემ ყურადღება გაამახვილა 40 -- 50-იანი წლების ქართველ რეალისტთა შეტად საინტერესო თემაზე. შემდეგში სატირა პოეტისათვის გახდა ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ჟანრი, რომელსაც ოსტატურად იყენებდა ვადაგვარებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ი. ჭავჭავაძეს მხედველობიდან არ გამოპარვია ის გარემოება, რომ მისი თანამემამულეები. — მშრომელი გლეხობის სახით. მოკლებულნი იყვნენ არა მარტო ეროვნულ დამოუკიდებლობას და განიციდინენ კოლონიალურ ჩაგვრას, არამედ მონურ ცხოვრებაში იყვნენ სოციალური უთანასწორობის გამოც. ახალგაზრდა პოეტმა ბრძოლა გამოუცხადა ჩაგვრისა და ბოროტების ორივე ფორმას.

ბატონყმური უღლის ქვეშ მყოფი გლეხი და გუთანში შებმული ხარი ილიამ ერთმანეთს შეადარა და მათი უღელი ერთნაირად მძიმედ მიიჩნია („გუთნის-ღელა“, 1858 წ.).

ამიტომ, ილია ჭავჭავაძის გუთნისდებდას მხოლოდ ის გუთანი მოსწონს, რომელიც ძირიანად მოსთხრის იმ ზალახს, რომელიც „უშლის თესლსა ამოსვლას“. ამ სიტყვებში პოეტის მთელი გულსიტყვაა

ამგვარად, ბატონყმური წყველიადით მოცულ ეპოქაში ნიჭიერმა პოეტმა მთელი სისასტიკით წარმოადგინა დრომოჭმული სოციალური ურთიერთობის საშინელება. მან თავისი ფაქიზი სმენა მიაპყრო უუფლებო ყმა-გლეხის გულისცემას და ჩასწვდა მის ტკივილებს.

ბატონყმურ მონობაში მყოფი ყმა-გლეხის სახის პარალელურად ილია ჭავჭავაძემ შექმნა მუშის სახეც. ქართულ ლიტერატურაში მუშა პირველად ილიამ შემოიყვანა. ლექსში „მუშა“ (1860) პოეტს, მართალია, არ მოუტია მანქანასთან მიჯაჭვული მუშა, ე. ი. მუშა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ მანც რელიეფურად გამოკვეთა ბატონყმური უღლის სიმძიმის გამო ქალაქში გადმობეჭვილი მშრომელი, რომელიც ყოველდღიური ლუკმა-პურისათვის ჰყიდდა თავის ფიზიკურ ძალას.

დიახ, კითხვლობთ ი. ჭავჭავაძის ლექსებს და თქვენს თვალწინ ცოცხლებიან ბატონყმური უღლისაგან დაბეჩაებული გლეხები და ქალაქის ქუჩაში მიმავალი, ტვირთისაგან წელში მოხრილი მუშები, რომელთა პატიოსან შუბლს და ილია მკერდს ოფლი ფარავს.

ი. ჭავჭავაძეში ღრმა ტკივილებს იწვევდა ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების იმდროინდელი ვითარება. მისი თვალი მიპყრობილი იყო უკეთესი მომავლისაკენ და ეროვნულ თავისუფლებასა და შრომის განთავისუფლებას წინასწარმეტყველებდა.

1859 წლის დამდეგს ი. ჭავჭავაძემ დაასრულა პოემა „აჩრდილი“ (პირველი ვარიანტი), რომელიც წარმოადგენს, ერთი მხრივ, პოეტის მიერ ადრე გამოთქმულ შეხედულებათა დაჯამებას, მეორე მხრივ, მის მომავალ სამოქმედო პროგრამას. უფრო მეტიც, „აჩრდილი“ გახდა არა მარტო ი. ჭავჭავაძის, არამედ ახალი ქართული ლიტერატურის საპროგრამო ნაწარმოები საერთოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

„აჩრდილში“ ი. ჭავჭავაძე იძლევა საქართველოს წარსულისა და აწმყოს დახასიათებას. ამასთან, ვრცლად ჩერდება მისი მომავლის გარკვევაზე, ეროვნული გამორის ძიების საკითხზე.

საქართველოს ისტორიული წარსული ი. ჭავჭავაძისათვის, ცხადია, სულ სხვა თვალსაზრისითაა საინტერესო და მნიშვნელოვანი, ვინემ რომანტიკოსებისათვის. რომანტიკოსები, ძირითადად, აღდელებდნენ ძველი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ წყობას და მის აღდგენაზე ოცნებობდნენ. ი. ჭავჭავაძისათვის კი მიუღებელია როგორც ძველი, ასევე მისი თანამედროვე სოციალ-პოლიტიკური სისტემა. მას ისტორიულ წარსულში იზიდავს მხოლოდ ხალხის გმირული სული, სამშობლოს სიყვარულის გრძნობა. ისტორიული წარსულიდან ის ჰკრებდა ისეთ მაგალითებს, რომლებიც მის თანამედროვეთ აიძულებდა კრიტიკულად და გონების თვალთ შეეხედათ არსებული სინამდვილისათვის.

ი. ჭავჭავაძე უკმაყოფილო იყო მისი თანამედროვე ცხოვრებით. მისი თქმით, — „წამხდარა ყველა, ის ღონე და ის ძლიერება“, რომლითაც ძველ ქართველს უფლება ჰქონდა ეამყუნა. პოეტი ხედავს, რომ მის თანამედროვეთა შორის გამრავლებულან ანგარებით შეპყრობილი ადამიანები, რომლებსაც მხოლოდ პირადი ინტერესები ამოძრავებთ და დაეიწყნიათ სამშობლო და მშობლიური ხალ-

ხი. ეს სულიერი დაკნინება, პოეტის აზრით, პირველყოვლისა, საზოგადოების შეძლებულ ნაწილს ატყვიან.

ი. ჭავჭავაძეს ყველაზე მეტად ის აღონებს, რომ ხალხი თითქოს შეგუებითა თავის მიძიმე ზედღს, აღარ სწამს თავისუფლების კვლავ აღდგენა და „განწირულების შთასდგომია მას გულში წყლული“. პოეტი ცდილობს გამოიხსნოს გზა, რომელიც მის თანამემამულეთ იხსნის უშედეგო ცრემლისა და მწუხარებისაგან.

ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას
და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ, ამაღლებული
ტყვიით არ განსკვრეტავს საზოგადო ცხოვრების დენას,
იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული,
უქმისა დრტინვით. გულის-წეითა მწარე ცრემლს დაღვრის.
მაგრამ არ ირწმუნს, წამებულს, შენს აღდგენასა,
და იგი ცრემლი ურწმუნობის, ეკვის და ტანჯვის.
კლადადებს მხოლოდ ძისა შენის უძღურებასა“.

ამგვარად, პოეტი იმ შეხედულებისაა, რომ სანამ ქართველი ხალხი ღრმად არ გაერკვევა საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათსა და მიმართულებაში, მანამ ის უძლეური იქნება შეცვალს არსებული მდგომარეობა. იგი ოცნებობს იპოვოს ისეთი გზიერი, რომელიც წმინდა მოვალეობად მიიჩნევს მანულისათვის თავისდაღებას. ასეთი გზირის ხსოვნას კი ველარაინ წაშლიდა ხალხის მეხსიერებაში და მარად იცოცხლებდა მი: სიმღერებში. მაგრამ ასეთ გზირს პოეტი ვერ ნახულობს. ამის მიზეზად კი ის მიაჩნია, რომ პატრიოტული გრძნობა, — სამშობლოს სიყვარული — „გზირის დამბალი დიდი საგანი“ დაიწყვებულა, ქართველი ქართველობას გადასდგომია.

როდესაც ი. ჭავჭავაძე მკაცრად ახასიათებს ქართველობას, ცხადია, მას მხედველობაში ჰყავს მისი პრივილეგიური ნაწილი, რომელიც იყო ცხოვრების ბატონ-პატრონი. მაგრამ პოეტი როდი კმაყოფილდება მათი ზოგადი კრიტიკით; ის უფრო ღრმად იხედება მოვლენებში და მთელი უბედურების წყაროს გაბატონებულ სოციალურ ურთიერთობაში ხედავს.

დამახასიათებელია, რომ ი. ჭავჭავაძე მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ერთმანეთისაგან არ თიშავდა ეროვნულსა და სოციალურ საკითხებს. უფრო სწორად, სოციალური საკითხის გადაწყვეტას იგი უკავშირებდა და უმორჩილებდა ეროვნულ-გამათვისუფლებელი ბრძოლის ინტერესებს ამა თუ იმ ეტაპზე.

60-იან წლებში ი. ჭავჭავაძე აშკარად ხედავდა, რომ ეროვნულ-გამათვისუფლებელი ბრძოლის წარმატება ისე შეუძლებელი იყო, თუ ბოლო არ მოეღებოდა ბატონყმურ ურთიერთობას, რომელსაც მონობაში ჰყავდა ხალხის უდიდესი ნაწილი. ამიტომ, მისი პირველი დარტყმები, საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით, სწორედ ამ სოციალური ინსტიტუტის მოსპობისკენაა მიმართული, და ეს შემთხვევითი მოვლენა როდი იყო. როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, 40-იან და 60-იან წლებში „ყველა საზოგადოებრივი საკითხი ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრებოდა. ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობა და მისი წინააღმდეგობანი მაშინ ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იყვნენ“.

40-იან — 60-იანი წლების ეს გენიალური დახასიათება სწორად მიგვიითობებს, აგრეთვე, ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობის ხასიათზეც აღნიშნულ პერიოდში.

„აჩრდილში“ ი. ჭავჭავაძე პირდაპირ და სწორად ახასიათებს ბატონყმობას და მებატონეებს. იგი საქვეყნოდ აცხადებს, რომ „ქვა არის ბატონის გული და ვერ დაარბილებს მას შებრალებს“. ყმის შრომა, მისი ოფლი და ოფლის ნაყოფი მხოლოდ ბატონის თვალს ახარებს. ამიტომაც, რომ პოეტი ყმა-გლეხს ათქმევინებს:

ვინა შრომობდა და ვინა ჰძღვება,
ღმერთო, სად არის აქ სამართალი?!

მიუხედავად ამისა, ი. ჭავჭავაძეს სწამს მშრომელი ხალხის უკეთესი მომავალი. იგი აღფრთოვანებულია, რადგან ხედავს, რომ მონობის ბორკილი დასამსხვრევადაა გამზადებული; პოეტს სჯერა ხალხის ძალის და ესმის მისი რევოლუციური აბოზოქრების მნიშვნელობა. მიმართავს რა შრომის შვილს, პოეტი ამხნევებს მას:

შრომა აწ ქვეყნად ტყვედა პყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-გნებულა,
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრევლად გამზადებულა .

ი. ჭავჭავაძე პირდაპირ მიუთითებს, რომ მომავალი მხოლოდ მშრომელ ხალხს ეკუთვნის და ამ ისტორიულ კანონზომიერებას ვერაფერი ვერ შეაჩერებს. მისი თქმით, მეცხრამეტე საუკუნის ვალი სწორედ შრომის განთავისუფლება და ახალი ნერგის აყვავებაა.

შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი
ძღვეამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღლევისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის შედგარადა იბრძვის.
ველარ გახუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლვას,
ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ქეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, —
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების .

ამ სიტყვების თქმა იმ დროს შეეძლო მხოლოდ ისტორიული მოვლენების დროს მცოდნეს, უკეთესი მომავლის ქეშმარიტ მომღერალს და რევოლუციური-დემოკრატიულ პოზიციებზე მტკიცედ მდგომ მოაზროვნეს. სწორედ ამიტომ იქცა „აჩრდილი“ არა მარტო ახალგაზრდა ი. ჭავჭავაძის, არამედ მთელი ახალი ქართული ლიტერატურის საპროგრამო ნაწარმოებად იმ პერიოდში.

ი. ჭავჭავაძე აღფრთოვანებული იყო „ძველი წყობის ღლე და ღლე რღვევით“ და შრომის განთავისუფლების მოახლოებით.

ჯერ კიდევ 1857—58 წწ. დაწერილ დაუმთავრებელ მოთხრობაში—„ცხოვრების გამოწადი და გამოწაფიერი“ ილია ჭავჭავაძემ ყურადღების ცენტრში დააყენა სოციალური უთანასწორობით გამოწვეული ადამიანური ტრაგედია

მწერალმა ხაზგასმით მიუთითა, თუ რა ფაქტორი განსაზღვრავდა ადამიანის მომავალს ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში. იგი აღმწვთებული იყო მით, რომ სოციალური წარმოშობა განსაზღვრავდა ადამიანის მთელ მომავალ ცხოვრებას, რის გამო „ბევრნი და ძალიან ბევრნიცა სწყველიან ხოლმე თავის გაჩენის დღესა“.

„აჩრდილში“, როგორც ვნახეთ, პოეტმა მკაცრად დაგმო სოციალური უთანასწორობის ნიადაგზე აღმოცენებული ბოროტება და ბოროტების დამცველი ბატონყმური სისტემა. მაგრამ მან მაინც საჭიროდ ჩათვალა უფრო კონკრეტულ ვითარებაში წარმოედგინა ბატონყმური ურთიერთობის სიმანხინჯე და ეჩვენებინა მისი მოსპობის საიმედო გზა. ამ მიზნით ი. ჭავჭავაძემ, პირველყოფლისა, დაწერა პოემა — „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ (1860 წ.).

ძნელი არაა იმის წარმოდგენა, თუ რა რეზონანსი უნდა ჰქონოდა ბატონყმურ საქართველოში ი. ჭავჭავაძის მიერ ნათქვამ სიტყვებს:

რა გაავარძელო, თავადის შვილი
კარგი რა არის, ავი რა იყოს?!

ი. ჭავჭავაძეს აღეღებებს მშრომელი ხალხის მძიმე ხვედრი, მაგრამ კმაყოფილია იმით, რომ გლეხობას შეუტანია თავისი მდგომარეობა და ცდილობს გამოსავალი იპოვოს. პოემის ერთ-ერთი მთავარი გმირი — ზაქრო თავის ბედში მყოფ კაცოს ასე მიმართავს:

ჩვენი წადილი, ჩვენი იმედი,
ყოველთვის, ძამო, არის საფრთხეში
გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი
ვერა, ვერ გაძლებს ბატონის ხელში ...

ასეთ შეგნებამდე მისულ კაცოს და ზაქროს სიცოცხლისათვის გამოუსალმებიათ თავიანთი მეგობრნენები და თავი ტყისათვის შეუფუარებიათ. მართალია, მათ დაუტოვებიათ ოჯახი, მშობლიური კუთხე, ახლობელი ადამიანები და უსახსლკაროდ, მხეცებივით, ტყეში არიან, მაგრამ მაინც უფრო ბედნიერად გრძნობენ თავს. ახალგაცნობილ ზაქროს კაცო ასე უხასიათებს თავის ცხოვრებას:

მართალია, ძმავ, კაცს მოსწყინდება,
ტუნწი ცხოვრება ეს დასაღონი,
მაგრამ იქ ყველა გვიადგილდება
სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი .

თავის თავისუფალ მკლავსა და „რკინის ძმებს“ — დამბაჩასა და ხმალს კაჟო უქვე აღარაფერზე ვაცვლის. მას დიდ სიმდიდრედ მიაჩნია ის, რომ მის „სამეფოში არ არის გმობა“, და თუ ორგულებს არ ინდობს, ერთგულებთან ძმობა კარგად იცის.

ი. ჭავჭავაძემ პოემაში მთელი სიმპათიით წარმოადგინა ის გმირები, რომლებმაც იარაღი აღმართეს მეგობრნეების წინააღმდეგ და უარყვეს მონური ცხოვრება. მაგრამ მხოლოდ ეს როდი არის ამ პოემის იდეური ღირსება. პოეტს მთავარი ყურადღება იმაზე გადააქვს, რომ გვიჩვენოს: კაცო და ზაქრო დიდხანს არ დარჩებიან მარტოდ, მათ გზას სხვებიც მალე გაჰყვებიან. ამ მხრივ, პირველ-

ყოვლისა, საყურადღებოა კაცოსაკენ მიმავალ ზაქროს შეხვედრა მეურმესთან. მეურმემ, რომელმაც შეიტყო ზაქროს გადაწყვეტილება, შურით წარმოთქვა: „ახ, ნეტავი შენ“, „და მერმე ისევ, უფრო მწუხარედ, თავის სიმღერა დაიღუღუნა“.

ბევრი რამ თქვა ამით პოეტმა! აშკარაა, რომ სხვების გულეშიც ბუღბუღა ის ბოღმა, რონელმაც ზაქროს თოფი ააღებინა; ნიშანდობლივია ისიც, რომ მისი მომავალი ბედი უკვე შურის საგანი გამხდარა.

ი. ჭავჭავაძეს კიდევ უფრო ღრმად სურს წარმოადგინოს ხალხის უქმყოფი-ლება და მზადყოფნა—ფიზიკურად გაუსწორდნენ თავიანთ სულთამხუთავეებს. ამ მიზნით იგი პოემაში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ცნობილ სახალხო გმირ არსენასადმი ხალხის დამოკიდებულების ჩვენებას. არსენა ხალხის იდეალური გმირი გამხდარა, მისი თავგადასავალი იზიდავს ახალგაზრდობას და სურს მიბაძოს მის მაგალითს; არსენობა ზრდის და ახალისებს მას.

ი. ჭავჭავაძე ადამიანის, გმირის მოქალაქეობრივ ღირსებას ხედავს არა იმაში, რომ თავის ბედში მყოფი უყვარდეს, არამედ—დაჩაგრულს იცავდეს. ამზნე შეტყველებს ჰუმანიზმით გაქლენილი მისი სიტყვები:

რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგანდეს —
ეგ ვერაფერი სიყვარულია
საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს, —
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!

თავისი უკვდავი ნაწარმოებები — „გლახის ნაამბობი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და „კაცია ადამიანი?!“ ი. ჭავჭავაძეს ერთი ხელის დაკვრით არ შეუქმნია; წლების მანძილზე ამუშავებდა მწერალი მათ სიუჟეტურ ჩონჩხს. ჭერ კიდევ 1859 წლამდე ილიამ დაწერა მოთხრობა „კოლა“, რომელიც არ დაუმთავრებია; მაგრამ საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც იგი შეიქცა იმ მხატვრულ დეტალებს, რომლებიც მწერალმა შემდეგ ვრცლად წარმოადგინა თავის ტრილოგიაში. ამასთან, სანამ ეს უქანასკნელი შეიქმნებოდა, ილიას „კოლა“ გადაუმუშავებია, მისი სიუჟეტური ხაზები განუფითარებია, გაულრმავებია და სათაურიც შეუცვლია (ნაცვლად „კოლასი“ — მოთხრობას უწოდა „კაკო“). მაგრამ ილია ვერც ამ გადაუმუშავებულ ვარიანტს დაუქმყოფილებია და გადაუწყვეტია თავისი მხატვრული შთანაფიქრის განხორციელებისათვის მიეძღვნა სამი ნაწარმოები, რაც მან ასე წარმატებით შეძლო. ყველაფერი ეს იმაზე შეტყველებს, თუ როგორ დიდ ყურადღებას აქცევდა მწერალი ბატონყმური ურთიერთობის მთელი სიმანჩინჯის მზის სინათლეზე გამოტანას და მის წინააღმდეგ შეუხელებელ ბრძოლას. ი. ჭავჭავაძის ყველა პროზაული ნაწარმოები, „მგზავრის წერილების“ გამოკლებით, სოციალური საკითხისადმი მიძღვნილი. საერთოდ, ი. ჭავჭავაძემ მაღალი ოსტატობითა და დიდი გემოვნებით განახორციელა „კაკოში“ მოცემული პარალელური სიუჟეტური ხაზების გადაჭყუფება და მათი დამუშავება სამ დამოუკიდებელ ნაწარმოებად. კერძოდ, „გლახის ნაამბობში“ მწერალმა მთელი სისასტიკითა და დამაჯერებლობით აჩვენა მებატონეთა ზნეობრივი გადაგვარება, „კაცია ადამიანიში“ — მათი გონებრივი სიღარიბე და დაკნინება, ხოლო „რამდენიმე სურათში“ — ის დიდი ბოღმა და ანგარიშ-

გასწორების იდეა, რომელიც გლახობაში აუცილებლად უნდა გამოეწვია ასეთ რეგვენ და უზუნო მებატონეთა პარპაშს.

ი. ჭავჭავაძის, ცხადია, ერთი წუთითაც არ ავიწყდება კოლონიური ჩაგვრის სიმძიმე, მეფის სატრაპთა არაადამიანური დამოკიდებულება ადგილობრივი ხალხის მიმართ. მაგრამ ისტორიის გაკვეთილები პოეტს უფლებას აძლევენ თქვას:

ვერა, ვერ ჰმართონ ვერხად ერი იმა მმართველთა,
ვისც არ აქვთ ერის სიყვარული და შეწყნარება .

აღნიშნულ საკითხს ი. ჭავჭავაძე კვლავ დაუბრუნდა და ვერცლად შეეხო პოემაში „დედა და შვილი“.

პოემა „დედა და შვილი“ ილიამ უძღვნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობის ჩვენებას. პოეტს პოემისათვის გაკეთებული აქვს საგანგებო შენიშვნა: „სცენა მომავალი ცხოვრებიდან“.

როგორც ვხედავთ, პოეტის მიზანს წარმოადგენს დაგვიხატოს მომავალი ცხოვრებიდან ის სურათი, რომელიც მას იდეალურად მიაჩნია და ეს იდეალი, როგორც პოემიდან ჩანს, არის კავკასიელ ხალხთა ერთობლივი ამხედრება ეროვნული თავისუფლებისათვის. თავისუფლებისათვის ბრძოლას ვაჟკაცური სული შთაუბერია არა მარტო ჭაბუკათვის, არამედ სნეული დედებისთვისაც.

პოემა „დედა და შვილი“ არის ძლიერი ექსპრესიით შესრულებული თავისუფლების პიმნი. ნაწარმოების მთელი დედაზარი ისაა, რომ თავისუფლებაზე უფრო კეთილშობილური სხვა არაფერია, სამშობლოს სიყვარულზე უფრო ძლიერი გრძნობა სხვა არ შეიძლება იყოს! ამაზე მეტყველებს პოემაში დახატული დედის სახეც.

ჩაგვრის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ მებრძოლი პოეტი თავისუფლებას აცხადებს საზოგადოებრივი პროგრესის საფუძვლად. თავისუფლებაში ხედავს ის მშვიდობასა და სიმართლეს, მშრომელთა ნავთსაყუდარსა და ჩაგრულთა საფარს.

თავისუფლებაც, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი.
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა.
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა .

მაგრამ პოეტი არც იმას იეიწყებს, რომ თავისუფლებას მტრად ჰყავს მტარჯალნი, რომელთაც არ სურთ მშვიდობა და სამართალი. ისინი მუდამ იმას ცდილობენ, რომ ადამიანთა რაც შეიძლება დიდ ნაწილს მოუსპონ თავისუფალი ცხოვრების უფლება. ამიტომაც, თავისუფლების მოპოვება უბრძოლველად არ ხერხდება, იგი სისხლსა და მსხვერპლს მოითხოვს.

თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომფენი,
მაგრამ სისხლით კი იკლევს გზასა მძებნელი შენი!
რად არ შენდება უსისხლოდა მისი ტაძარი,
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არი?

ასე მსჯელობს ი. ჭავჭავაძის დედა, რომელიც შვილს ბრძოლაში გზავნის და იცის, რომ უკანასკნელად უცქერის მას.

დედისა და შვილის დიალოგში პატრიოტული გრძნობისა და თავისუფლები-სათვის ბრძოლის იდეის მოცემული დახასიათება ი. ჭავჭავაძემ კიდევ უფრო და-მაჭერებელი გახადა ქართველ ჯარისკაცთა სიმღერით, რომელიც დედისა და შვილის ქუჩიდან შემოესმით. ამ სიმღერით აშკარა ხდება, რომ პოემაში გამოყვა-ნილი დედა და შვილი გამონაკლისი როლი არიან. მათ მსგავსად ფიქრობს და გრძნობს ბევრი სხვაიც. ჯარისკაცთა სიმღერაში აშკარად ისმის მოწოდება—ყვე-ლამ მოჰყიდოს ხელი იარაღს და სისხლი დაღვაროს მამულისათვის. მათ შეგნე-ბული აქვთ, რომ „თავისუფლების მოწინაი სჯობს საშოვნელსა ყველასა“ და „ვაჟკაცის გამომჩენელიც მტერთან გულდაგულ ომია“.

ქართველ მებრძოლთა პირით, პოეტი ამბობს:

თავისუფლების მშოვნელი
 ამ ქვეყნად მართო თოფია,
 შინ უღლით გაქნის მშვიდობას
 ომში სისხლის ღერა სჯობია .

როგორც ვხედავთ, დრამატულ პოემაში — „დედა და შვილი“, რომელიც პოეტმა თავისი ხალხის მომავალი ცხოვრების ჩვენებას მიუძღვნა, ი. ჭავჭავაძე მთავარ საკითხად აყენებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის უმაღლეს ეტაპზე აყვანას. მისი საოცნებო იდეალია—ეროვნული და სოციალური ჩაგვრი-საგან თავისუფალი საქართველო.

ი. ჭავჭავაძე, როგორც მოაზროვნე, 60-იან წლებში იმ შეხედულებისაა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატების წინაპირობას წარმოად-გენს დრომოკმული სოციალური ურთიერთობის — ბატონყმობის მოსპობა; ბატონყმური ურთიერთობით დაბეჩავებულ და განათლებას მოკლებულ ხალხს ნაკლებად შესწევს უნარი იბრძოლოს ეროვნული თავისუფლებისათვის. ამი-ტომ, პირველი რიგის ამოცანაა ბატონყმური სისტემის მოსპობა. ცხადია, შემ-თხვევითი არ ყოფილა პოეტის განსაკუთრებული ინტერესი ბატონყმური ცხოვ-რების უარყოფელი ნაწარმოებების შექმნისადმი ამ პერიოდში. პოემა „აჩრდი-ლი“, დაუმთავრებელი ესკიზები — „კოლა“, „კაკო“ და მათში გატარებულ იდეაზე აგებული ტრილოგია („რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. „გლახის ნაამბობი“, „კაცია აღამიანი?“) სწორედ ამ ინტერესზე მეტყველებენ.

ერთი მხრივ, ბატონყმური ბორკილების დასამსხვრევად გამზადება, მეორე მხრივ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების აღმავლობა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ი. ჭავჭავაძის ღრმა იმედით განაწყობდა თავისი ხალხის მო-მავლისადმი. გარიბალდის გმირული ბრძოლები მოსვენებას არ აძლევს პოეტს და ნატრობს თავის სამშობლოშიც იხილოს ბორკილების მსხვრევა („მესმის. მესმის“).

ი. ჭავჭავაძის ფიქრები 60-იან წლებში მიპყრობილია ეროვნული თავისუფ-ლებისაყენ, ცარიზმისა და ბატონყმური სისტემის მოსპობისაკენ. სხვაგვარად მას არ წარმოუდგენია სამშობლოს ბედნიერება და მისი აყვავება.

სამშობლოსა და მშობლიური ხალხის სიყვარული არ ასვენებდა ახალგაზრ-და ილიას, რომელმაც თავისი პოეტური დანიშნულება გარკვევით ჩამოაყალიბა ლექსში—„პოეტი“ (1860 წ.).

„პოეტში“ ილია გვაცნობს თავის კეთილშობილურ მიზანს — წინ წარუძღ-ვეს ერს და მასთან იყოს განუყრელად „კმუნვასა და სიხარულში“. მას არ სურს

იმდეროს ვით ფრინველმა; პოეზია მას მხოლოდ ტკბილ ხმათა მუსიკალურ აკორდად როდი მიაჩნია.

პოეტი თავის მიუზას მიზნად უსახავს მოსწმინდოს ტანჯვის ცრემლი ხალხს და იყოს მისი გულის მესაიდუმლე:

დიდის ღმერთის საკურთხევლია
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
კმუნებასა და სიხარულში;
ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული ...

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძემ 60-იანი წლებისათვის, ერთი მხრივ, გააღრმავა და განავითარა 40 — 50-იანი წლების ქართველ რეალისტთა შემოქმედებაში წინა რიგზე წამოწეული სოციალური საკითხი, მეორე მხრივ, ახალი გაგება და ახალი მიმართულება მისცა რომანტიკოსთა პოეზიის ძირითად მოტივს, — ეროვნულ მოტივს. მანვე, პირველმა ჩვენს ლიტერატურაში, ჯერ კიდევ შემოქმედების პირველ პერიოდში (1857 — 1860), მოგვცა მწერლის მოვალეობისა და ლიტერატურის დანიშნულების რეალისტური გაგება. საერთოდ, ი. ჭავჭავაძემ წარმატებით შეძლო მთელი წინა პერიოდის ჩანსალი ლიტერატურული ტრადიციების შემოქმედებითი ათვისება და განვითარება ეპოქის მოთხოვნილებების შესაბამისად.

ის სიღრმე და სიდიადე, რაც ქართულ რომანტიზმს ნ. ბარათაშვილმა შესძინა, ქართულ კრიტიკულ რეალიზმს მისცა ი. ჭავჭავაძემ. ი. ჭავჭავაძემ დაიწყო იქედან, სადაც დამთავრა ნ. ბარათაშვილმა და ეს უკანასკნელი მან გააგრძელა თხიზელი რეალისტური ხედვით და მის თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნათა შესატყვისად. ამიტომაც, რომ მათ შორის დიდ სხვაობასთან ერთად დიდი მსგავსებაცაა (ცხადია, შესათყურ ეპოქათა ფონზე). მახვილი გონებითა და ხედვით დაჯილდოებულმა აკ. წერეთელმა ადრევე შენიშნა ეს გარემოება და ჯერ კიდევ 1865 წელს თქვა: „ბარათაშვილი და ჭავჭავაძე ერთს ტახტზე სხდომის ღირსნი არიან: ერთგვარი დამსახურება აქვთ ჩვენს ლიტერატურაში, ერთგვარად დაუვიწყრები არიან, ერთს გაუწყვეტელის ჯაჭვით გადაბმულები ერთი მეორეზე; ერთის უმეორესით გაგება ძნელია“¹.

ამგვარად, 60-იანი წლებისათვის ი. ჭავჭავაძემ მტკიცედ უზრუნველყო კრიტიკული რეალიზმის გაბატონება ქართულ ლიტერატურაში და, ამასთან ერთად, თავისი მხატვრული შემოქმედებით ნათლად აჩვენა ის გზები, რომლებიც უნდა გაეგლო ქართულ მწერლობას განვითარების შემდგომ ეტაპზე.

ი. ჭავჭავაძემ ამ დროისათვის მტკიცე საფუძველზე დააყენა არა მარტო იდეური მიმართება ჩვენი ლიტერატურისა, არამედ, როგორც ნიჭიერმა მხატვარმა, შექმნა სანიმუშო მხატვრული ქსოვილიც ახალი შინაარსის ხალხისათვის გასაგებ და ღრმად ემოციური გაღმოცემისათვის.

¹ „ცისკარი“, 1865, № 9.

ამის შემდეგ, როგორც თვით ი. ჭავჭავაძე და მისი თაობის სხვა წარმომადგენლები, ასევე სამწერლო ასპარეზზე შემდგომ გამოსული თაობები თავიანთ შემოქმედებით პრაქტიკაში ანვითარებენ იმ იდეურ აზრსა და მხატვრულ მონაპოვარს, რაც ი. ჭავჭავაძემ შეიმუშავა 60-იანი წლებისათვის. მისი ამ პერიოდის შემოქმედება გახდა ჭეშმარიტი პროგრამა, დასაყრდენი ქართული ლიტერატურის შემდგომი და ახალი ძალით განვითარებისათვის.

ი. ჭავჭავაძემ არა მარტო როგორც ჭეშმარიტმა რეალისტმა მხატვარმა, არამედ როგორც მოაზროვნემაც დამაჯერებლად დასაბუთა რეალიზმის, როგორც შემოქმედებითი მეთოდის უპირატესობა და ღირსებები რომანტიკულ მეთოდთან შედარებით, რითაც მან საბოლოოდ უზრუნველყო კრიტიკული რეალიზმის გაბატონება ქართულ ლიტერატურაში. ი. ჭავჭავაძის ესთეტიკური მოძღვრება არის გასული საუკუნის 60-იანი წლების ქართველი რევოლუციონერ-დემოკრატი მწერლის ესთეტიკა, რომელიც დამყარებულია რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ესთეტიკური მოძღვრების მონაპოვართა და ქართული სინამდვილის ღრმა გააზრებაზე.

ერთ-ერთ თავის წერილში ი. ჭავჭავაძე წერს: „თვითეული ჩვენგანი (მხედველობაში ჰყავს სამოციანელები — დ. გ.) რუსული ლიტერატურით გაზრდილა, თვითეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურკვევია“, მაგრამ, — ვანაგრძობს ილია, — „ამ ზემოქმედებამ მართო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავისი საკუთარი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩემა და ამკრავად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის. ყოველი აზრი მარტო ცარიელი ფრაზაა იმის ხელთ, ვისაც კრიტიკის ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია...“

ჩვენდა საბედნიეროდ ვიტყვი, რომ ზოგნი ჩვენში, რუსული ლიტერატურის მეოხებით გაზრდილნი და გაწვრთნილნი, ასე ბრმად ტყვედ არ მისცემიან ამ ლიტერატურის აუცილებელს ზემოქმედებას. ამათ ჯერ გამოუძიებიათ მისი გამონარკვევნი და მერე ისე ან შეუთვისებიათ, ან უარუყვიათ. ჩვენდა სანუგეშოდ, მარტო ამას არ დასჯერებია: იმავე კრიტიკით და გამოძიებით მხარდამხარ ასდევნებიან ამ ლიტერატურის წინსვლას, წარმატებას და არ გაჩერებულან მის რომელსამე ხანაზედო¹.

ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ღრმა შესწავლისა და გათვალისწინების გარეშე ი. ჭავჭავაძეს და მის თანამებრძოლებს არ შეეძლოთ შესაფერი ამაგის გაწევა თავისი ხალხისათვის, ვერ გახდებოდნენ ნამდვილი ეროვნული მოღვაწეები. მაგრამ მათ კარგად ჰქონდათ გააზრებული საამაყო მასწავლებლის ნ. გ. ჩერნიშევსკის სიტყვები: „სიმართლე ყოველთვის სიმართლეა, მაგრამ ყოველგვარი სიმართლე როდია ყველგან და ყოველთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი და ერთნაირად როდია შეუძლია ყურადღების აღძვრა: თვითეულ საუკუნეს, თვითეულ ხალხს თავისი მოთხოვნილებები აქვს; ის, რაც გერძანელს აინტერესებს, ხშირად სრულიადაც არ არის საინტერესო ფრანგისათვის ან რუსისათვის, იმიტომ რომ პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. II, 1941, გვ. 607—608.

მისი ცხოვრების მოთხოვნილებებთან. უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, რაც ჩვენს საზოგადოებას ჩვენს დროში ესაჭიროებაო¹.

ამიტომ, რომ ი. ჭავჭავაძის ესთეტიკაში, იმ საერთო მატერიალისტურ პრინციპებთან ერთად, რაც რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა მოძღვრებიდან მომდინარეობენ, ყურადღება არის გამახვილებული იმ მომენტებზეც, რომლებიც უშუალოდ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებითაა ნაკარნახევი („ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილს“ თარგმანზედა“, „პასუხი“, „საქართველოს მოამბეზედ“, „წერილები ქართულ ლიტერატურაზედ“). ეს უკანასკნელი კიდევ უფრო მეტი სიმკვეთრით ხორცშესხმულია მის მხატვრულ შემოქმედებაში („აჩრდილი“, „დღეა და შვილი“, „მგზავრის წერილები“, „ოთარაანთ ქვრივი“).

აქვე უნდა გავითვალისწინოთ უკვე უდავო ჭეშმარიტებად აღიარებული ფაქტიც: ი. ჭავჭავაძე არის ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებელი. ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენ ადვილად წარმოგვიდგება ი. ჭავჭავაძე — როგორც ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი.

ცხადია, ამ დიდი მისიის წარმატებით შესრულებისათვის ი. ჭავჭავაძეს არა მარტო საფუძველი ჰქონდა მომზადებული თავისი წინამორბედების და, პირველყოვლისა, ნ. ბარათაშვილის მიერ, არამედ — მას მხარში ედგნენ სახელოვანი თანამებრძოლები, გამოჩენილი სამოციანელები, რომელთა შორის პირველი ადგილი ავ. წერეთელს ეკირა. ამიტომ იყო, რომ ცარიზმის მოსყიდული აგენტების მიერ განგმირული საყვარელი მეგობრისა და წინამძღოლისადმი მიმართული გამოსათხოვარი სიტყვა აკაკიმ ასე დაიწყო: „ეს რას ვხედავ? რად მილაღატე. ძაო! ერთ უღელში ვებით, ჭაპანს ერთად ევწოდით, ახლა უღლიდან თავი გამოვიშვია, მარტო დაგიგდივარ, გრცხვენოდეს! ახლა ცალი-ლა რის მაქნისი ვარ, რატომ თან არ წამიყვანე? რად გამეყარე?“

...ახალი მოძრაობის წინამორბედი დღეს უკუღმართად მოკლული, ძვეს კუბოში ჩვენ წინ და, თითქმის გვეკითხება: „რა დაგიშავეთ, რომ ეს დღე დამაყენეთო?“ გვეკითხება და ჩვენ, ქართველებს, თავის გასამართლებელი საპასუხოდ ვერა მოგვიხერხებია რა!... და მეც, როგორც ქართველს, მწუხარების გარდა, სირცხვილიც ენას მიბამს, ველარას ვამბობ...

შენ კი შენი ქვეყნიერი ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ. ამერიიდან ეკუთვნი ისტორიას, შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად იღალადებენ, ...თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჭკონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინაუწარ მის სიკვდილს და თვალთ ველარა ნახავ!“

ოქტომბრის რევოლუციამ ქართველ ხალხს მისცა ბედნიერი ცხოვრება და თავისუფლება. ილია ჭავჭავაძეც, როგორც თავისი ხალხის სამაყო შვილი, მთელი სიდიადით წარმოდგა მაღლიერი თანამემამულეებისა და მოძმე საბჭოთა ხალხების წინაშე. იგი ისევე უკვდავია, როგორც მისი მშობელი ხალხი, რომელიც დიდი ზემოთ აღნიშნავს თავისი სახელოვანი შეილის დაბადებიდან 120 წლის თავს.

¹ ნ. გ. ჩერნიშევსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, 1945, გვ. 546.



ალ. ბარამიძე

ილია ჭავჭავაძე და შველი ქართული
მწერლობის საკითხები

ილია ჭავჭავაძეს ხშირად უყვარდა ლეიბნიცის აფორიზმის დამოწმება — „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“. ეს აფორიზმი უძღვის ეპიგრაფად ილიას „ქართლის დედას“. თავისი ჭვეყნის უკეთესი აწმყოსა და უკეთესი მერმისისათვის თავგამოდებით მებრძოლი ილია ჭავჭავაძე არასოდეს ივიწყებდა მშობლიური ჭვეყნის დიდებულ წარსულს, რადგანაც მას ღრმად სწამდა: „უწარსულოდ აწმყო უფესვო ნერგია, თავ-გაუტანელი, ფეხ-მოუკიდებელი... აწმყოს, რომელსაც წარსული არა აქვს, არც მომავალი აქვს, იმიტომ რომ, ერთის მეცნიერისა არ იყოს, — „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“¹. ილიას სიტყვით, „ერის დაცემა იწყება იქიდან, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა“². ილია ჭავჭავაძე, როგორც მოაზროვნე, როგორც მეცნიერი, როგორც პოეტი-მოქალაქე, გატაცებით სწავლობდა, იკვლევდა, იძიებდა საშობლო ჭვეყნის წარსულს, მის სახელოვან ისტორიას, მის დიდ კულტურას, მისი ხალხის ტრაგიკული ცხოვრების ამბავს. ილიას ის უკლავდა გულს, რომ თუმცა „ჩვენს ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოურია თავისის ცხოვრებითა და თვითმოქმედებითა“, მაგრამ „ჩვენის ხალხისა და ჭვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუღმუშავებელი“³, რომ ოფიციალურ საისტორიო ქრონიკებში არ ჩანდა ხალხის თავგადასავალი, ხალხის ცხოვრება. „საქმე ხალხია, ამბობდა ილია, და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანსო“⁴. ხალხის მოჭირნახულე პოეტი ამაზე ჩიოდა შემდეგაე: „ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებულიო“⁵.

ქართველი ხალხის დიდი ისტორიული წარსულის შესწავლასა და მართებულ გაშუქებას, ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, უნდა დაესაბუთებინა ამ ხალხის კულტურული მოწიფულობა და მისი უცილობელი უფლება აწინდელი ეროვნული სიცოცხლისა და თვითყოფობისათვის. ამიტომაც, უღმობელად ებრძოდა ილია საქართველოს ისტორიის ყველა გამყალბებელს, ყველა ჭურის ნიჰილისტსა და უარისყოფელს. ილიას ინტერესთა წრე მოიცავდა საქართვე-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. II, თბილისი, 1941, გვ. 81.

² იქვე, გვ. 95.

³ იქვე, გვ. 483.

⁴ ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, I, 1925, გვ. 373.

⁵ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. II, 1941, გვ. 483.

ლოს ისტორიული წარსულის ყოველ მხარეს. ჩვენ აქ ვეხებით მხოლოდ ილიას დამოკიდებულებას ძველი ქართული მწერლობის საკანონისადმი. ილია იყო ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი მცოდნე და პირუთენელი დამფასებელი. ილიამ კარგად იცოდა, რომ ახალი ქართული მწერლობა ძველი ქართული მწერლობის ბუნებრივ განვითარებას წარმოადგენდა. ახალი ქართული მწერლობის სასიცოცხლო ინტერესებიც აიძულებდა მას გულისხმიერად მოპყრობოდა ძველი ქართული მწერლობის საკითხების საფუძვლიანად გამოძიების საქმეს. წარსულის შესწავლისათვის ილიას სავალდებულოდ მიაჩნდა ისტორიზმის პრინციპებით ხელმძღვანელობა. მისი სამართლიანი მოსაზრებით, „ჭეშმარიტი გეისტორიე“ შესაფერისი წარსული „დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკეთხოს თვით დროების შეილიცა“ (II, 346). საგულისხმოა, რომ თუმცა ილია ჰავჭავაძე სასტიკად ებრძოდა ანტონ კათალიკოსის გრამატიკულ ნორმების დამცველებს XIX საუკუნის სამოციან წლებში (რადგანაც ამ ნორმებმა მოჰკამის თავისი დრო), იგი დიდად აფასებდა ანტონ კათალიკოსის თავისთავად მნიშვნელოვან ისტორიულ ღვაწლს თავის დროისათვის. ილია შენიშნავდა: „ნურავინ ნუ გაითქვრებს, რომ არ მესმოდეს დიდი მნიშვნელობა ანტონ კათალიკოზისა. ანტონი დიდს ალაგს დაიჭერს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც წარმომადგენელი იმ დროის საქართველოს განათლებისა, მაგრამ ეხლა რომ პოეზიის განხილვა იმ დროის კანონებით მოვიწოდოთ, ძალიან შევცდებით“ (II, გვ. 32, შენ.). ილიას შეხედულებით, ლიტერატურის განვითარება გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება. ამ მხრივ გამოწვევებს არც გენიოსები წარმოადგენენო. „ნურავინ ნუ იფიქრებს, — წერდა ილია ჰავჭავაძე, — რომ ჩვენ ვამბობდეთ, ვითომც გენიოსი ციღამ იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავის დროებისა, როგორც სხვანი, მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულია, დამწიფებულია. ის თავის ძლიერ მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თითონ ცხოვრებაშია, ე. ი. ცხოვრების შიგ-მდებარეობასა; მასში არის მთელი აწმყო თავის დროებისა და თესლიც მომავალისა“ (გვ. 40; შდრ. გვ. 627). სწორედ ამიტომ იყო ილიას ყურადღების ცენტრში დიდი გენიოსი შემოქმედი შოთა რუსთაველი, ეს „დიდი სახსოვარი“ და ნამდვილი „წმიდათაწმიდა“, რომლის პოემას „მთელმა ერმა შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თვისინი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი...“ (II, 434).

რამდენად მცდარია ილია ჰავჭავაძის ნაზრევთან შედარებით აკად. ნ. მარის მიერ ერთ დროს წამოყენებული დებულება, ვითომც შოთა რუსთაველი მეტეორივით გამოჩნდა ქართული კულტურის ცაზე და თითქოს მას არაფერი საერთო არ ჰქონია არც ქართულ მწიგნობრობასთან, არც ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებასთან¹.

ილია ჰავჭავაძეს მხედველობიდან არ გამოპარვია ის გარემოება, რომ „ახალ მოღექსეებს, ზოგიერთ გარდა, დიდი კავშირი აქვსთ ძველებზედა“, ხოლო ეს კავშირი როდია „ისტორიული განვითარების“ შედეგი, ის უბრალო წამბაძველობააო. „ეხლანდელი მოღექსენი², — ამბობს ილია, — თითქოს იმას იმეორებენ,

¹ В тупике ли история материальной культуры (Известия ГАИМК, вып. 67, Л, 1933, гв. 34).

² ილიას მხედველობაში ჰყავს „ციცკრის“ მოღექსენი.

რაც უწინდლებს უთქვამთ, ისეთ-ნაირად ჰგვანან ამათი აზრები იმათ აზრებსა, ამათი მიმართულება—იმათ მიმართულებათა“ (II, 624).

რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძე, პირველ ყოვლისა, მაღლიერების გრძნობით აფასებდა ქართული სულიერი კულტურის დიდების გამომხატველი მწერლების ღვაწლს, მაგრამ მეცნიერული პირუთვნელობა აიძულებდა მას გულდასმით შეესწავლა და შესაფერისი მიეზლო მწერლობის უჩინარ მოღვაწეთათვისაც. როგორც ლიტერატურის დაკვირვებულ ისტორიკოსი, ილია გულმოდგინედ იკვლევდა ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს, მიღებული შედეგების განზოგადება-გაშუქებაში კი შეჰქონდა მახვილი პუბლიცისტის მაღალი მგზნებარება.

პროფ. ალ. ცაგარელის სიტყვით, გასული საუკუნის ოთხმოციან-ოთხმოცდაათიან წლებში „ქართული ლიტერატურის ისტორიის დამუშავება იმყოფებოდა, ასე ვთქვათ, ბიბლიოგრაფიულ ანუ სტატისტიკურ პერიოდში“¹. ილიაც აღნიშნავდა, რომ ძველი მწერლობის წყაროები „არ არიან ცნობაში მოყვანილნი და დაბეჭდილნი“ (II, 624). ამიტომაც, იგი აღტაცებით შეხვდა ქართული ხელნაწერების მუზეუმის დაარსებას². ილია ბეჯითად მოუწოდებდა ქართული მწიგნობრობის ყველა მოყვარულს, თუ ვისმე სადმე ვგულებოდა ქართული წიგნები, სიგელ-გუჯრები და სხვა წერილობითი მასალები, შეედგინათ მათი სიები და კატალოგები, რათა „თვითეულად აღნუსხულ იქნას, რა წიგნია, ვისგან არის შედგენილი, რა დროს ეკუთვნის, რა ზედ-წარწერანი აქვს და მებრვე სხვა“ (II, 505). ილიას ღრმა რწმენით, ხელნაწერი მასალების წესრიგში მოყვანა და აღნუსხვა „დიდი და სასახლო საქმეა“, ხელნაწერთა „სიების შემადგენელთა სახელი ყოველთვის მაღლობით მოიხსენიება შთამომავლობის მიერ“ (II, 505). ილია აღუთქვამდა მკითხველებს, რომ მისი „გაზეთი ყოველთვის მზად იქნება დაბეჭდოს ყოველივე, რასაც ამ საგანზედ ვინმე მოაწვდის რასმე“ (II, 506). მართლაც-და, „ივერიის“ ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა სხვადასხვა ხელნაწერ კოლექციათა აღწერილობანი, კატალოგები თუ სიები; „ივერია“ ხშირად ბეჭდავდა ძველი პოეტების ტექსტებს (ლექსებს). აფორიზმებსა თა სენტენციებს, ნაკვესებს, საანდაზო გამოთქმებს და ა. შ.). ისებ გარიშავილმა ცალკე წიგნად გამოსცა ილია ჭავჭავაძის მიერ ამოკრეფილი და „ივერიაში“ დაბეჭდილი ს ა ა ნ და ზ ო ლ ე ქ ს ე ბ ი³. ილია აქტიურ მონაწილეობას იღებდა ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა გამოცემის საქმეში. მისი თანარედაქტორობით დაიბეჭდა 1884 წელს „ვისრამიანი“. როგორც ბოლო დროს გამოირკვა, ილიას შეუდგენია ამ გამოცემის შესავალი წერილის პროექტი. წერილში მკაცრი მეცნიერული წესით არის განხილული და გარკვეული „ვისრამიანის“ ძირითადი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები. გამოცემის თანარედაქტორებს, ალ. სარაჯიშვილსა და პ. უმიკაშვილს, შეუსწორებიათ ილიას ტექსტი, რითაც ბუნდოვანება შეუტანიათ ილიას მიერ სწორად გაშუქებულ საკითხებში⁴. ილია ჭავჭავაძის თაოსნობით მომზადდა და გამოქვეყნდა ვეფხისტყაოსნის ქართვე-

¹ Сведения о памятниках Грузинской письменности, II. СПб. 1889, გვ. 3.

² საისტორიო მუზეუმის დაარსების გამო (თხზულებათა სრული კრებული, II, 1941, გვ. 507—508).

³ საანდაზო ლექსები, ილია ჭავჭავაძის ამოკრეფილი. წინათქმა და შენიშვნები ი. გარიშაშვილისა, თბილისი, 1935.

⁴ ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ილია ჭავჭავაძე და ვისრამიანი (ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1939, გვ. 223—228); ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ე ი ლ ი, ცნობები ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების გამოცემის ისტორიიდან (ლიტერატურული ძეგანი, VIII, 1953, გვ. 415—416).

ლიშვილისეული მდიდარი გამოცემა (თბილისი, 1888), მ. ზიჩის ილუსტრაციებით.

თავის დროზე ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელი მონაწილეობით უნდა დაბეჭდილიყო არჩილის თხზულებათა კრებულის „ვეებერთულა წიგნი“ (არჩილიანი), რომლის ხელნაწერი დედანი თვითონ ილიას ჰქონია. ეს წამოწყება მაშინ ვერ განხორციელებულა¹.

თავისი მსჯავრის გამოტანა ქართული მწერლობის ისტორიის საკითხებზე ილია ჭავჭავაძეს უფრო ხშირად მაინც ხელნაწერი მასალების გაცნობის საფუძველზე უხდებოდა. ამიტომაც იგი თავმდაბლური მობოდიშებით მიმართავს მკითხველს: „ვთხოვთ, მკითხველმა სახეში იქონიოს, რომ ჩვენ თითონ ჩვენი აზრი იმოდენად მართალი გვგონია, რამოდენადაც შეგვეხვედრია ხელნაწერების შოვნა და წაკითხვა. ვინც იცის, ხელნაწერი, ნამეტანავად ძველ დროებსა, რა ძნელი სამოვარია, ის რასაკვირველია გაგვამართლებს, თუ ვინიცობაა ჩვენი მოკლე ისტორია იქნება შედგენილი არა სრულ ქართულ ლექსების მიხედვითა“ (II, 624).

ილია ჭავჭავაძემ ჩინებული კრიტიკული წერილები უძღვნა ნ. ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძის, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების პოეზიის განხილვას. ძველი მწერლობიდან იგი სპეციალურად ეხება, ისიც პოლემიკურ ასპექტში, მხოლოდ ვეფხისტყაოსნის საკითხებს. ძველი ქართული მწერლობის ზოგადი პრობლემების თაობაზე, ისე როგორც ამ მწერლობის ზოგიერთი წარმომადგენლის შესახებ, ჩვენ მოგვეპოვება ილია ჭავჭავაძის მხოლოდ ცალკეული შენიშვნები და მოკლე კონსპექტური მიმოხილვანი. მაგრამ ილიას შენიშვნებსა და კონსპექტურ ჩანაწერებს ყოველთვის აზის ღრმად მოაზროვნე კრიტიკოსისა და დაკვირვებულის ლიტერატურის ისტორიკოსის ნაფიქრ-ნააზრების ბეჭედი. თავისი საბოლოო მსჯავრი ამა თუ იმ საკითხის შესახებ ილიას გამოაქვს ამ საკითხის მხოლოდ ყოველმხრივ გასინჯვისა და აწონ-დაწონის შემდეგ. დასკვნების გამოტანისას ილია იჩენს განსაკვირვებელ პრინციპულობას, პირუთვნელობასა და სიფხიზლეს. საკითხების განხილვისას ილია ხელმძღვანელობდა იმ მეთოდით, რომელსაც იგი უწოდებს „მეცნიერულ კრიტიკას“. ილიას სიტყვით, მეცნიერული კრიტიკა «ჰოს» სათქმელსაც და «არას» სათქმელსაც ერთნაირი სიფრთხილით, ერთნაირი აწონ-დაწონვით ეპყრობა. იგი იმითია ღირსეული, რომ «ჰოს» საბუთსაც ისეთსავე გულმოდგინებით იძიებს, როგორც «არას» საბუთსაც, რადგანაც სახეში მართო მართალი აქვს და სხვა არა-რა. ამისთანა კრიტიკა მართლმწყაყარე გამომძიებელია და მართლგამკითხავი სასწორი: თუნდა რომ «ჰოს» გზით შეუდგეს თავის საქმეს, თუნდ «არას» გზით, ორმავე გზამ მართალთან უნდა მიიყვანოს“ (II, 355).

ილია ჭავჭავაძემ პრინციპული და დაუნდობელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ნიპილისტი ივ. ჯაბადარის უმეტრული და ქართველი ხალხის ღირსების დამამცირებელი წერილები „Письма о Грузини“. კერძოდ, ილია აცამტვერებს ჯაბადარის უბადრუკ მოსაზრებებს ქართული ანბანის გვიანდელი წარმოშობილობის შესახებ, მაგრამ, თავის მხრივ, მოკრძალებითა და სიფრთხილით შენიშნავს: „ჩვენ რასაკვირველია, სახეში არა გვექონია და არცა გვაქვს ან პოესტქვათ და ან არა მასზედ, თუ — როდის და ვისგან იყო შემოღებული ქართულ-

¹ ს. ყუბანეიშვილი, დასახელებული წერილი, გვ. 417—418.

ლი ხმოვანი (ფონეტური) ანბანი და ან რომელი ადრეა შემოდებული — ხუცუ-რი თუ მხედრული. ეს ჩვენზედ უკეთესად მცოდნეს დაეანებოთ“ (აი ისტორია, II, 354).

ერთგან ილია ჭავჭავაძეს მოცემული აქვს ერთგვარი კონსპექტური გეგმა ძველი ქართული პოეზიის განვითარებისა კლასიკური ხანიდან XIX საუკუნის შუა წლებამდის. ეს კონსპექტური ჩანაწერი შეიცავს ძველი ქართული პოეზიის (უმათერესად ე. წ. ალორძინებისა და გარდამავალი ხანების პოეზიის) მკაფიო დახასიათებას. მოგვყავს მთლიანად ეს შესანიშნავი კონსპექტი:

„1. ლირიკული მიმართულება ჩვენის პოეზიისა;

2. მიზეზი ამისთანა მოვლენისა — სისუსტე ტრადიციებისა;

3. მოლექსეთა შორის მართო რუსთაველის გენიამ შეიძლო შექმნა ეპოპეისა, თუმცა იმის პოემაშიაც ურევია ბევრი ლირიკა; უნიჭობა ჩვენის მწერლობისა, რომელთაც უნდოდათ მისი მსგავსი დაეწერათ რამე, მაგრამ მაინც ლირიკაზედ გადადიოდნენ;

4. იდეა ძველის პოეზიისა და ფორმა გამოთქმისა: ა) ჩივილი, წუთის-სოფლის მღურვა; კაცის ამაოება, აქაური ცხოვრების ამაოება და ნუგეშით თვალშეჩერება ცისა, სადაც მოელიან საუკუნო განსვენებას და მართლ-მსაჯულობას; ბ) სიყვარული უფრო პლატონიური, მუხთლობა სიყვარულისა და დაუდგრომელობა; თუ აქ არ შევხვდით ერთმანეთს—ცაში და-ძმანი ვიქნებითო; გ) ქალი ან ანგელოზია და უფრო ხშირად — დემონი, წამწყემდი კაცისა; დ) ბუნება წმინდა სანთელია იმათ ხელში, რასაც უნდა, იმას გამოსახვენ; ბუნება თუ არის მშვენიერი, — იმათ გრძნობის მიხედვით; ის როგორც ობიექტი, არ არსებობს იმათთვის;

5. ფორმა გამოთქმისა: ფიგურობა და ალევორია სპარსულის ლიტერატურის გავლენისა გამო.

დავით გურამიშვილი, რომელმაც სცადა თითქმის პირველად, ზოგიერთგან რასაკვირველია, ევროპეოზმის შემოტანა ქართულ ლექსის გამოთქმაში; ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელიც უფრო ხშირად ცდილობდა მაგ ევროპეოზმის განვრცელებასა, მაგრამ მაგასაც აქვს ფიგურალი ლექსი; გრ. ორბელიანი, გამგრძელებელი ევროპეოზმისა; ნ. ბარათაშვილი, ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპეოზმისა; ეხლანდელი მწერლები, რომელნიც ბაძვენ მაგ ევროპეულ გამოთქმასა, მაგრამ თავისი აზრების მიმართულებით, იდეებით, ძველებსა ჰგავნან“ (II, 623 — 624):

ჩვენი მოსაზრებით, ილია ჭავჭავაძეს ძირითადში სავსებით სწორად აქვს დახასიათებული ძველი ქართული პოეზიის როგორც შინაარსობლივ-აზრობლივი და თემატიკური, ისე ფორმალური მხარეები. ილია ჭავჭავაძეს ასევე სავსებით სწორად აქვს გათვალისწინებული ძველი ქართული პოეზიის განვითარების სქემატიკური სახე. უდავოა, რომ დავით გურამიშვილმა არსებითად დაძლია სპარსული მწერლობის გავლენა და ახალი ლიტერატურული სტილის, ადრეული რეალიზმის სტილისა და „ევროპეოზმის“ დამწერგავად გვევლინება. ისიც მართალია, რომ აღმოსავლური პოეზიის ტრადიციების საბოლოო დაძლევა შეადგენს ნ. ბარათაშვილის ღვაწლს. ი. ჭავჭავაძე მართებულად შენიშნავს, რომ ძველი ქართული პოეზიისათვის წამყვანი იყო ლირიკული ხანრები, რომ მხოლოდ რუსთაველის გენიას უნდა ვუმადლოდეთ დიდი ეპიური ნაწარმოების

შექმნას და რომ რუსთაველის ეს ეპიური ნაწარმოებები ძლიერი ლირიზმით არის გამსჭვალული. თავის დებულებას ლირიკული ჟანრების შესახებ ილია ჭავჭავაძე ავითარებს თავის შემდგომ კონსპექტურ ნაწყვეტში (II, 624—625). ავტორი აქ აცხადებს: „ძველ დროთაგან დაწყებული აქამომდე ჩვენ ლექსთ-თხზულების პოეზიაში შევნიშნეთ განვითარება მხოლოდ ლირიკულ პოეზი-სა“. ილია იმეორებს წინა კონსპექტში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ: „ჩვენ მოლექსეთა შორის მარტო რუსთაველის გენიამ შეიძლო შექმნა ეპოპეისა, ასე რომ აქამომდე მის მეტი თითქმის არავინა ჩანს“. მკვლევარის დაკვირვებით, „თუმცა არიან ზოგიერთნიც ჩვენ ლიტერატურაში, რომელთაც მონინდომეს მიბაძვა რუსთაველისა, მაგრამ არც ერთს მათგანს არც ნიჭი ჰქონდა იმდენი, რომ წარმატებით ევლოთ რუსთაველისაგან ნაჩვენებ გზაზედ და არც განათლება“.

სრული სიმართლეა, რუსთაველს ბევრი უნიკო მიმბაძველი ჰყავდაო. სხვა-თა შორის, რუსთაველის ეპიკონების შესახებ კარგად აქვს ნათქვამი იესე ტლა-შაძეს (XVIII ს.):

რიტორ რუსთველო, კარგ გამოძქმელო, ენა ტკბილო და შაქარიანო,

ავმა მთქმელებმა, ქურდნა მელეებმა, ლექსი მრავალი მოგპარიანო.

რუსთაველის გზას ეპიური ძეგლების შესაქმნელად აგრძელებდნენ არჩი-ლი, იოსებ სააკაძე და სხვები, ამ მხრით განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია დავით გურამიშვილმა. ალბათ, ამითაა გამოწვეული ილია ჭავჭავაძის ფრთხილი გამოთქმა, რუსთაველის მეტი „თ ი თ ქ მ ი ს არავინ ჩანს“ ეპიური პოეზიის სფეროში.

ძველი ქართული პოეზია ილია ჭავჭავაძეს დახარისხებული აქვს მიმართუ-ლებათა მიხედვითაც. მისი მოსაზრებით, შესამჩნევია სამი მიმართულება: სენ-ტიმენტალური, რომანტიკული და ცრუ-ქლასიკური. ილია წერს: „სენტიმენტალური მიმართულების მაგალითები გვაქვს ჩვენს ლი-ტერატურაში, მაგალითებრ, «ვარდ-ბულბულიანი» და «შამი-ფარვანიანი»; რომანტიკულის მიმართულებისაც გვქონია ჩვენ მაგალითი ჩვენს ლიტერატურაში, მაგალითებრ, «ვეფხვის-ტყაოსანი»; ცრუქლასიკურისაც, მაგალითებრ. სულ იმ მწერლების მიმართულება, რომელთაც მიბაძეს მარტო ვარეჯან ფორმასა ჩვენ უკვდავის რუსთაველის «ვეფხვის-ტყაოსნისას» და ვერ გაიგეს კი, რომ «ვეფხ-ვის-ტყაოსანი» თუ არის უკვდავი, არა მარტო თავის ფორმით, არამედ თავის შინაგან ღირსებაებით“ (II, 36).

როგორც ეტყობა, ტერმინ მიმართულება სილია ჭავჭავაძე აქ ხმა-რობს ვიწრო მნიშვნელობით. თავისდათავად მისი დაკვირვება ძლიერ სიანტე-რესოა. აღსანიშნავია, რომ ჩვენს დიდებულ მოაზროვნეს პირველად უხდებო-და ძველი ქართული პოეზიის წარმომადგენელთა დაჯგუფება ვარკვეული სტი-ლის მიხედვით. რუსთაველი სწორედ რომანტიკული სტილისა და ეპიკურ-რო-მანტიკული ჟანრის წარმომადგენელია ქართულ ლიტერატურაში. ამასთან, ილია სამართლიანად უწოდებს რუსთაველის პოემას კლასიკურს, შესაფერისადვე რუსთაველის მიმბაძველნი მონათლული არიან ცრუ-ქლასიკური სტილის გამო-მხატველებად. ილია ჭავჭავაძე აქ ხელმძღვანელობს დასავლეთ ევროპის საზო-გადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიის ანალოგიით. საცილო-ბელია სენტიმენტალური მიმართულების საკითხი. კრიტიკული რეალიზმის მე-ღროშე საქართველოში სენტიმენტალურ მიმართულებას უარყოფითად უყუ-

რება, იგი ამბობდა: „სენტიმენტალური მიმართულება არავისთვის არ არის საჭირო და, სხვათა შორის ჩვენთვისაცო“ (II, 36). რა თქმა უნდა, თეიმურაზ პირველს ვერ ჩავთვლით სენტიმენტალური მიმართულების წარმომადგენლად ქართულ პოეზიაში („ვარდ-ბულბულიანი“ და „შამი-ფარვანიანი“ თეიმურაზის პოემები). ოღონდ აქ კარგად ჩანს ილია ჭავჭავაძის საერთო გუნება-განწყობილება და მისი სკეპტიკური დამოკიდებულება, ეკრძოდ თეიმურაზ პირველის პოეზიისადმი. ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა პოეზიის აზრობლივ, იდეურ-შემეცნიებლობას. ამიტომაც იგი სენტიმენტალიზმის, მისი შეხედულებით, უსარგებლო მიმართულების ნიმუშებად აცხადებს ისეთ პოემებს, რომლებიც სინამდვილეში მართლაც არიან გამომხატველნი შიშველი მგრძობელობისა. შემთხვევითი როდია, რომ ილია ჭავჭავაძე საზოგადოდ ეკვივით უყურებდა თეიმურაზ პირველის შემოქმედებას, ყოველ შემთხვევაში თეიმურაზს იგი არჩილზე და ვახტანგ VI-ზე დაბლა აყენებდა (რომ არაფერი ვთქვათ რუსთაველზე და დავით გურამიშვილზე). ილია ერთგან შენიშნავს: „არას ვიტყვიტ მეფე ვახტანგ VI-ზე, არჩილ მეფეზე, თეიმურაზ I-სა და II-ზედ, რომელთაც, ნამეტნავად პირველს ორს, ვერავინ დასწამებს სიმჩატეს აზრებისას და გრძობისას და რომელიც მოელიან გონებაშავილს კრიტიკოსს, რომ თავისი მიუწყონ და სამართლიანის შარავანდელით მოპართონ მათი ღირს-შესანიშნავი გონებრივი ღვაწლი“¹. მოყვანილი ნაწყვეტის მეორე ნახევარი უშუალოდ თანამედროვე მკვლევარებს შეგვეხება. საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობამ ჭერ თავისი ვერ „მიუწყა“ და „სამართლიანის შარავანდელით“ ვერ „მოპართო“ ეს შესანიშნავი მოღვაწეი და მწერალნი... საჯლისხმო ისაა, რომ ილია ჭავჭავაძის მოსაზრებით, ნამეტნავად ვახტანგსა და არჩილს „ვერავინ ვერ დასწამებს სიმჩატეს აზრებისას და გრძობისას“. აქედან აშკარაა, რომ შესაძლებელია თეიმურაზ პირველს კი დასწამონ აზრებისა და გრძობის სიმჩატე. ასე ფრთხილად, მაგრამ მინც გარკვეულად ილია ჭავჭავაძე წუნს დებს თეიმურაზ პირველის პოეზიას, თეიმურაზ პირველის პოეზიაში იგი ვერ ხედავს აზრების სიღრმესა და გრძობების სიმხურვალეს. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიგონოთ, რომ თეიმურაზის პოეზიას ცხადლივ ტენდენციურად აფასებდნენ მესამოციანელთა თაობის ისეთი წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ აკაკი წერეთელი და ანტონ ფურცელაძე. აკაკის სიტყვით „კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი პოლიტიკაში პოეტობდა, პოეზიაში პოლიტიკობდა ის დალოცვილი“. აკაკის ლიტერატურული პერსონაჟების დახასიათებით, თეიმურაზის ლექსები იყო „პიიპუუ პიიპუუს“ პოეზია და „ლაზღანდარობა“². ანტონ ფურცელაძემ სრულიად უმართებულოდ მიწასთან გაასწორა თეიმურაზის პოეზია, იგი ასე ახასიათებს თეიმურაზს: „უჯად მთელი დღეობით უშნო და უაზრო ლექსებს და აკლავდა თავის სიცოცხლეს შიგა. სწერდა ლექსებს, სადაც არც ესთეტიკა, არც ხელოვნება, არც იდეა, არც რამე აზრი, არც რამე ისტორიული მხატვრობა, არაფერი ღვთისაგან განაჩენი არ ისახებოდა, გარდა უბრალო და უაზროდ გადატმასწვული სიტყვების რახა-რუხისა, სიტყვების ტმასწვა-გრეხისა“³. ილია ჭავჭავაძე გაცილებით უფრო

¹ რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს (თხზულებანი, II, 112, დაყოფა ჩემია, —ა. ბ.)

² თეიმურაზ პირველი, თხზულებათა კრებული, აღ. ბარამიძის და გ. ჯაქობიაშვილის რედაქციით, თბილისი, 1934, გვ. 203, შენ.

³ იქვე, გვ. 202.

3. ილია ჭავჭავაძე

ზომიერი და მიუდგომელი იყო თეიმურაზის პოეზიის შეფასებაში, ვიდრე აკაკი და ანტონ ფურცელაძე. მესამოციანელეთა იდეურ-ესთეტიკური პოზიციებიდან ილია ჭავჭავაძემ არ დაინდო პოეტი ჩახრუხაძე და მეტად მკაცრი განაჩენი გამოუტანა მის სახობტო ლექსებს. ილიას უწერია:

„ჩვენში, ქართველებში, დიდი მწერლის ხმა აქვს დაგდებული ჩახრუხაძესა, მაგრამ არამც თუ დიდი, პატარაც არა ბრძანდება ის კურთხეული. მისი თამარის ქება მთელ მოთხრობის ოდენაა, ზედმესრულით დაიწყობა და თითქმის ზედმესრულით თავდება. რა ვაი-ვაგლახით და კისრის მტვრევით მოგოგავს და ჯვარდნილ ცხენსავეთ მისი ოც-მარცვლოვანი ტყვიასავით მძიმე ლექსების.. არც აზრი, არც სურათი, არც მშვენიერება, არც ჭკუა, არც გული, არაფრისთანა არაფერი, გარდა ზედმესრულების რახა-რუხისა! აბა ეხლა ნახეთ, რა სახელი აქვს ჩვენში! სადაც რუსთაველს... ახსენებენ, იქ, გინდათ თუ არა, წამოაკუნკულებენ ჩახრუხაძესაც, რომელსაც, გვგონია, ფიქრადაც არა ჰქონია ამისთანა დიდების იმედი“ (II, 7). ჩახრუხაძისადმი სარდიონ მესხიევის გამოქომაგების გამო ილია შენიშნავდა: „ჩახრუხაძეს აქებს და არაფრით კი არ ამტკიცებს. ცარიელი სიტყვები არ დაგვაჩერებენ, რომ ჩახრუხაძე დიდი მწერალია, ფაქტი უნდა, ფაქტიო“ (II, 617). ფაქტი კი არ ჩანდა, არ ჩანდა იმიტომ, რომ „თამარიანი“ უაღრესად ენაწყლიანი სახობტო ძეგლია, სადაც დიდი ადგილი უჭირავს წრესგადასულ ქებათა-ქებას. „თამარიანის“ ხელოვნურ სიტყვამჭევრობაში იჩრდილებოდა ტექსტის იდეური შინაარსი. ამის გამო არ იყო გაგებული ამ ძეგლის იდეურ-აზრობლივი მხარე. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „თამარიანი“ საუცხოოდ გამოსცა და ამ ძეგლის შესანიშნავი იდეური შინაარსი, მისი ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი იდეოლოგია გამოავლინა აკადემიკოსმა ნიკო მარმა¹. მაგრამ ეს მოხდა 1902 წელს. ილია ჭავჭავაძეს კი შემდეგში აღარ მისცემია შემთხვევა დაბრუნებოდა ჩახრუხაძის პოეზიის საკითხს.

იდეურობისა, გრძნობების სიღრმე-სიფაქიზისა, ორიგინალობისა და მაღალი შემოქმედებითი ოსტატობისათვის რუსთაველის შემდეგ ილია ჭავჭავაძე ძლიერ აფასებდა დავით გურამიშვილსა და სულხან-საბა ორბელიანს. ჩვენ ზემოთ უკვე მოვიყვანეთ ილიას აზრი იმის შესახებ, რომ დავით გურამიშვილმა ძირითადად დაძლია ჭარბი ორნამენტული სტილი („ფიგურობა“ და „ალეგორია“) და ქართული პოეზია „ევეროპეიზმის“ ლიანდაგზე გადაიყვანა. სხვაგან ილია ჭავჭავაძე მოკლედ და დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს: „ჩვენ არას ვიტყვით არც დავით გურამიშვილზედ, რომლის დიდაქტიური პოეზია პირს არ შეირცხვენს თუნდ ლუკრეცის, ვირგილის და ჰორაციოს დიდაქტიურ პოეზიას დაუყენეთ პირის-პირ, და რომლის სარწმუნოებრივი დაღადება დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნების სიმალღემდეა ასული“. (II, 112). საყურადღებოა რომ ქართული მწერლობის ღირსებანაკლოვანების შეფასებისას ილია ჭავჭავაძე ყოველთვის ითვალისწინებდა მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბს და მომთხოვნელობის შესაფერის საზომს. ამ მასშტაბითა და საზომით ილია დამსა-

¹ Древнерусские описицы (ТР, IV, 1902).

ხურებულად თვლიდა დავით გურამიშვილის პოეზიას დიდი ლიტერატურული ღირებულების მოვლენად. „დავითიანი“ ამშვენებდა ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკას „ვეფხისტყაოსნისა“ და „ქილილა და დამანას“ გვერდით¹. უმთავრესად ამ ძეგლებიდან ჰკრებდა ილია ჭავჭავაძე ბრძნულ აფორიზმებსა და საანდაზო ლექსებს²...

„სიბრძნე-სიცრუის“ ავტორს ილია ჭავჭავაძე გვერდში უყენებს მსოფლიოს ისეთ გამორჩენილ მწერლებს, როგორც იყვნენ ეზოპე, ლაფონტენი, ძმები გრიმები, ანდერსენი, კრილოვი. ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა და დღესაც იწვევს საკითხი იმის შესახებ, თუ რა აზრია ჩაქსოვილი სულხან-საბა ორბელიანის ამ შესანიშნავი თხზულების სათაურში. „რას ჰნიშნავს ეს ორი სიტყვა — სიბრძნე-სიცრუე, ერთმანეთზე გადაბმული?“ — კითხულობს ილია და განაგრძობს: „საბა ორბელიანმა რომ თავისი ზღაპრები დასწერა, სიბრძნე-სიცრუის წიგნი დაარქვა. მე ხშირად ჩავფიქრებოვარ ამ უცნაურს სახელს წიგნისასო“³. ილიას საფუძველი ჰქონდა ღრმად ჩაჰკვირვებოდა და ცდილიყო სინათლე შეეტანა სულხან-საბა ორბელიანის თხზულების „უცნაური“ სათაურის აზრის გაგებაში. „სიბრძნე-სიცრუის“ ტექსტის ნაწყვეტები პირველად დაბეჭდა დავით ჩუბინაშვილმა თავის ქრესტომათიაში (II, 1846, გვ. 1—16). სათაურად შეარქვა „სიბრძნე სიცრუის ზღაპარი“ და ეს სათაური რუსულად შემდეგნაირად გადათარგმნა „Сказки мудрости и лжи“ (იქვე, გვ. II). სპეციალურად შეეხო ამ საკითხს პროფ. ალ. ცაგარელი. იგი ამბობს: „Я перевожу заглавие этой книги сибрძნე სიცრუისа словами, «мудрость вымысла», а не «мудрость и ложь», как это делают разные переводчики, ибо, во 1-х, между этими двумя словами (на груз. языке) нет никакой соединительной частицы; во 2-х, второе существительное стоит в родит. падеже; в 3-х, грузинское слово сирუე означает и умственную и нравственную фальшивость, в настоящем случае, очевидно, его следует понимать в первом значении и перевести словом вымысел (Dichtung, dichten), как единственно-противоположным понятию «мудрость», выражающим умственное совершенство. И так смысл заглавия упомянутой книги Сулхана есть, по моему мнению, след.: мудрое нравоучение, вытекающее (хотя бы и) из вымышленных рассказов и событий“⁴. ასეთი ვარცელი და დასაბუთებული განმარტების მიუხედავად იგივე წიგნი იმავე ალექსანდრე ცაგარელმა რამდენიმე წლის შემდეგ რუაულად გადათარგმნა და განსხვავებული სათაურით გამოაქვეყნა: Книга мудрости и лжи (грузинские басни и сказки XVII—XVIII стол.) Саввы Сулхана Орбелиани. Перевод и объяснения Ал. Цагарели. Санктпетербург, 1878г.

ასეთ ვითარებაში, ვიმეორებთ, ილიას საფუძველი ჰქონდა სერიოზულად ჩაფიქრებოდა „სიბრძნე-სიცრუის“ მნიშვნელობის ამოცნობის საკითხს. საკითხის

¹ როგორც თამარ მაჭავარიანმა გადმოცა, „დავითიანის“ ილია ჭავჭავაძისეული ცალი აშუაზად დაცულია საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში.

² საანდაზო ლექსები (ი. გრიშაშვილის გამოცემა), გვ. გვ. 12—13, 19; თ. მაჭავარიანი, ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა (ბიბლიოგრაფიის მოამბე, № 4—5, 1948), გვ. 234—235.

³ ჩვენი ელანდელი სიბრძნე-სიცრუე (თხზულებანი, II, 276—293).

⁴ О грамматической литературе грузинского языка. Санктпетербург, 1873, გვ. 100—101.

ყოველმხრივ გამოძიებისა და აწონ-დაწონის შედეგად ილია იმ დასკვნამდის მი-სულა, რომ: „საბა ორბელიანის სიცრუე ზღაპარია, არაქია, იგავია“. ოღონდ „ზღაპარი, არაქი, იგავი სიბრძნეც არის და სიცრუეც. ს ი ც რ უ ე თ ი თ ო ნ ა მ-ბ ა ვ ი ა, ს ი ბ რ ძ ნ ე — შ ი გ ჩ ა ს ა ხ უ ლ ი ა ზ რ ი ა“ (გვ. 280—281). სხვაგვარად რომ გამოითქვას: „ზღაპარი, არაქი, იგავი ერთსა და იმავე დროს სიბრძნეც არის და სიცრუეც, ს ი ბ რ ძ ნ ე ს უ ლ ი თ, ს ი ც რ უ ე ხ ო რ ც ი თ. ა ქ ს ი-ც რ უ ე ხ ა ტ ე ბ ა ა, გ ა ნ ს ა ხ ო ვ ნ ე ბ ა ა ს ი ბ რ ძ ნ ი ს ა“ (გვ. 281). ილია ჭავჭავაძის სიტყვით, „საბა-ორბელიანს ამის თქმა უნდოდა: მე ზღაპარს გეუბნე-ბი და სიბრძნეს-კი გამცნებო (გვ. 280). ამიტომაც „საბა ორბელიანისებური სიცრუე ნამუსიანია“ (გვ. 283).

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, „სიბრძნე-სიცრუისა“ ა ლ ე-გ ო რ ი უ ლ ი ხ ა ს ი ა თ ი ს უ ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ა, „სიცრუე თითონ ამბავია“, რომელიც იგავურად, გადატანით ანუ ალევგორიულად გამოხატავს სიბრძნეს. ვფიქრობთ, ეს არის სავსებით სწორი მეცნიერული ახსნა სულხან-საბა ორბე-ლიანის თხზულების „სათაურისა“!

ილია ჭავჭავაძის ლირიკულ ლექსს „ალაზნანს“ ეპიგრაფად უძღვის:

სიპაბუცისა ყვაილი
დამიკუნო ქაშთა დენამა,
ნდომა მომაკლო, დამიგლო
სასაყროდ გული რბენამა.

ეპიგრაფის ტექსტს მიწერილი აქვს: სა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი (1,49). დამო-წმებული ნაწევები საბას „აქამდე უცნობ ლექსად“ ითვლებოდა¹. ნამდვილად ეს მშვენიერი სტრიქონები ამოღებულია „ქილილა და დამანანად“, სახელდობრ „ქილილა და დამანას“ საბასეული რედაქციიდან². საყურადღებოა, რომ დიდხანს გაურკვეველი იყო საბას როლი „ქილილა და დამანას“ ქართული რედაქციის ჩამოყალიბების საქმეში³. ილია ჭავჭავაძეს სავსებით სწორი ალღო გამოუჩენია: და მოხმობილი სტრიქონები სამართლიანად ჩიუკუთვნებია საბა ორბელიანისა-თვის. ეპიგრაფის ტექსტი საუცხოდ ეხმაურება ილია ჭავჭავაძის ლექსის შინა-არსს და მის საერთო ლირიკულ განწყობილებას.

ერთ თავის პოლემიკურ წერილში, რომელსაც ეწოდება „ი. გომართელის ფილოსოფია და ა. ჯორჯაძის ფსიხოლოგია“,⁴ ილია ჭავჭავაძე ი. გომართელს

¹ ეს განმარტება ბოლო დრომდე საყოველთაოდ იყო გაზიარებული. იგი არ შეიწყარა-გ. იმედაშვილმა (წიგნი „სიბრძნე-სიცრუისას“ სათაურის განმარტებისათვის, სსსრ მეცნ. აკა-დემიის მოამბე, ტ XV, №5, 1954 გვ. 303—309). გ. იმედაშვილს წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“ ესმის, როგორც წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა. გ. იმედაშვილს დაეთანხმა ინგლისელი ქა-რთელმეცნიერი დ. ლენგი (სიბრძნე სიცრუისას სათაურისათვის, „მნათობი“, 1957, №5, გვ. 159—177).

² ტ. რ უ ხ ა ძ ე, ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული ლიტერატურა (მნათობი, 1937, №5, გვ. 150).

ქილილა და დამანა, აღ. ბარამიძისა და ბ. ინგოროყვას რედაქციით, თბილისი, 1949, გვ. 310 (ლექსის მეორე სტრიქონი ილ. ჭავჭავაძეს რამდენადმე შეუსწორებია); ეპიგრაფის პი-რველი სტრიქონი შესულია საანდაზო ლექსებშიც (ი. გრიშაშვილი, საანდაზო ლექსები, გვ. 129).

³ აღ. ბარამიძე, ანვარი სოპილის, ანუ ქილილა და დამანას ქართული ვერსიები (ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1, 1945).

⁴ თხზულებათა კრებული, II, 297—304.

ორონიულად უწოდებს „ყარამან ყათილ სააპყირანს“ (გვ. 298), ე. ი. „ყარამანი-ანის“ მთავარი დეგ-გმირი პერსონაჟის სახელს.

ერთ შემთხვევაში ილიას ციტირებული აქვს (მართალია, თავისებურად) ს ა ი ა თ ნ ვ ა ს აფორიზმი: „აშქარაა რომ გეოგრა ვერ გახდება შირაზის შუშა, რაც გინდ მაღლა თაროზე დასდოა“ და დიპლომი მეცნიერებისა შუბლზე მიაკრა“ (II, 1941, გვ. 451).

ილია ჭავჭავაძის საყვარელი წიგნი უნდა ყოფილიყო „ქილილა და დამანა“, რომელიც გრ. გურიელის საფასითა და ილია ჭყონიას რედაქციით დაიბეჭდა თბილისში 1886 წელს. შენახულია „ქილილა და დამანას“ ის ცალი, რომელსაც „ეტყობა პატრონის, «ივერიის» რედაქტორის ხელი და დაკვირვება“¹. ამ წიგნს გამოსვლისთანავე არაჩვეულებრივი პოპულარობა მოუპოვებია და ერთბაშად ფართოდ გავრცელებულა². „ქილილა და დამანადანაც“ იწერდა ილია ჭავჭავაძე საანდაზო ლექსების ნიმუშებს. იოსებ გრიშაშვილის გამორკვევით, „ილია როცა ამ ანდაზებს ადგენდა, «ქილილა და დამანა» არ იყო დაბეჭდილი“³. მაშასადამე, მას პირდაპირ ხელნაწერი ტექსტით უნდა ესარგებლნა. მართლაც, მოგვეპოვება ცნობა, რომ ილია ჭავჭავაძეს, სხვა ხელნაწერ წიგნებთან ერთად, ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სიძველეთსაცავისთვის შეუწირავს „ქილილა და დამანას“ ხელნაწერი⁴...

ილიას სათაყვანებელ პოეტად მთელი მისი ცხოვრების მანძილზე რჩებოდა უკვდავი შოთა რუსთაველი, რუსთაველის ვეფხისტყაოსანი იყო ილიას შთამბგონებელი პოეტური ძეგლი, მისი სულიერი საზრდოს უშრეტი წყარო. დაახლოებით ასეთსავე როლს თამაშობდა ვეფხისტყაოსანი საზოგადოდ XIX საუკუნის საქართველოს ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ყველა ხელმძღვანელი მოღვაწისათვის. ილია ჭავჭავაძესთან ერთად აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, გიორგი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილს, ივანე მაჩაბელს... თავი მოჰქონდათ ქართული სულიერი კულტურის ამ უქნობი გვირგვინით — შოთა რუსთაველის გენიალური ვეფხისტყაოსნით. ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე რუსთაველს თვლიდა თავისი ჭირისა და ლხინის მოზიარე საყვარელ მგოსნად. მშვენივრად ამბობს არჩილი რუსთაველის სახელით:

საქართველო სავე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუსს,
ვის ლხინი აქვს, მას უბნობენ, ანუ ვისაც გული უწუხს.

თავისი ჰუმანისტური იდეებით რუსთაველი ცოცხალ მოკავშირედ გამოდიოდა ქართველი ხალხის სოციალური და ნაციონალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის წარმოებულ დიად ბრძოლაში. ამიტომაც იყო ილია ჭავჭავაძისათვის რუსთაველის სახელი „წმიდათა-წმიდა“, „თავმოსაწონებელი“, „სასიქადულლო“, „უკვდავი“, სიმბოლო ყოველგვარი ამაღლებულისა, მშვენიერებისა და სიკეთისა. ქართველი ერის ღირსების სწორუპოვარი ქომაგი ფხიზელ გუშავად უდგა რუსთაველის დიდებულ სახელს ნიჰილისტთა და მკრეხელთა გაბოროტებული თავდასხმებისაგან.

¹ თ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა, გვ. 235.

² ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ცნობები ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების გამოცემის ისტორიიდან (ლიტერატურული ძეგლები, VIII, 1953, გვ. 418—419).

³ საანდაზო ლექსები, გვ. 13, შენ. 1.

⁴ თ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, დასახელებული წერილის გვ. 227.

ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, ვეფხისტყაოსანი წარმოადგენდა ღრმა აზრებისა და მაღალი პოეტური ფორმის პარმონიული სრულყოფილების გამოხატულებას. „ვეფხისტყაოსანი თუ არის უკვდავი, — ამბობდა ილია — არა მარტო თავის ფორმით, არამედ თავისი შინაგან ღირსებაებით“ (II, 36) და თავისი „მშვენიერი ენით“ (II, 10). ილიას, როგორც პოეტს და პუბლიცისტს, ძალიან ზშირად სახელმძღვანელო იდეად გამოჰქონდა რუსთაველის აფორიზმები და მათ უპიგრაფად ურთავდა თავის ნაწერებს. ასე, „კაკო ყაჩაღს“ ეპიგრაფად აქვს:

მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათვისუფლე მონები,
მიღწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.

„მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია“ უძღვის ილია ჭავჭავაძის ცნობილ მგზნებარე პუბლიცისტურ წერილს „კატკოვის პასუხად“ (II, 145). ეს წერილი იხურება რუსთაველის სიტყვებითვე (1309,3):

ესელა დაგერა ნუგეშად მის იმედისა დიდისა.

„თუ თავი ჩვენი ჩვენ გვახლავს, ღარიბად არ ეიხსენებთ“, ამბობს ილია წერილში „ქართული სტუდენტობა რუსეთში“ (II, 590).

რუსთაველის ტექსტების დამოწმების დროს ილია ჭავჭავაძე ზოგჯერ ასახელებს ავტორს, ზოგჯერ კი არა! პირველი შემთხვევის სანიმუშო მაგალითები:

1. „სხვა სხვის ომში ბრძენიაო“, ამბობს რუსთაველი (II, 39; II, 627).
2. რუსთაველი გვასწავლის, მოყვასს როგორც უნდა მოექცეს კაცი: ხამს მოყვანი მოყვასისთვის სიცოცხლისა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად (II, 48).
3. აქაც გავამართლებ ჩვენის რუსთაველის სიტყვები: ყოველი მსგავსი მსგავსსა შობსო (II, 55).
4. ლეკვი ღომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადიაო, უთქვამს რუსთაველს (II, 294).

უმეტეს წილად კი ილია ჭავჭავაძეს ავტორზე მიუთითებლად მოჰყავს რუსთაველის აფორიზმები და სხვა საანდაზო ლექსები. მაგალითად:

- 1 „იმ თაობამ, რომელმაც თავისი «საყვარელსა უჩვენა საქმენი საგმირონია», ვერ აღზარდა კარგი, მხნე და გონიერი თაობა“ (II, 175).
2. „ისიც ძალიან კარგად ვიცით, რომ «რა ვარდმან თვისი ყვავილი გაახმოს, დაამკენაროსა, იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა» (II, 183).
3. „თ. გ. თუმანოვისათვის საქმე სხეაა, სიტყვა სხეაა, შუა უზის დიდი ზღვარი“ (II, 217).
4. „ვიცი, კარგად ვიცი, რომ ოდეს ტურფა გაიფედეს, აღარა ღირს არცა ჩირად“ (II, 279).
5. „ერთგან რომ ერთს იტყვის ავტორი, მეორეგან სულ სხვას ამბობს, „უმსგავსოს და შორი შორსა“ (II, 331).
6. „ქმარა ასე წინა და უკუღმა ტრიალი. ყველაფერს რომ გამოვეუდგეთ, ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებთან“.

¹ ჩვენი დაკვირვება ემყარება იმ ტექსტუალურ მასალებს, რომლებიც გამოქვეყნებულია ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ზეოტომიული სრული კრებულის მეორე ტომში.

7. „საკვირველიც არ არის:

ქარგი რამ სჭირდეს, გვიკვირდეს, ავი რა საკვირველია“ (II, 363).

8. „ესეც კი საცოდნელია, რომ —

ზოგჯერ სიწყინარე გამოიბლი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“ (II, 388).

9. „ესეთია გადაუვალი ბუნებური კანონი: «ყოყასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების» და «ყოველი მსგავსი მსგავსსა ჰშობს» (II, 397).

10. „მოღით და ნუ იტყვით:

«ჰე, სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გკირსას!»

11. „ხოლო რას იზამთ? „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლომელი“ (II, 471).

12. „გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდესო“; ჩვენ გულს გავვიგმიარავს ხოლმე ცხოველი სიტყვა“ (II, 621) და სხვ.

არის შემთხვევები, როდესაც ილია ჭავჭავაძეს თავისი სიტყვებით მოჰყავს რუსთაველის ტექსტის აზრი. მაგალითად: „რუსთაველმა ძალიან ადრე სთქვა, რომ მარტო ბრძენი საწუთროს ეურჩებაო, სხვანი კი იმის მონები არიანო“ (II, 39, 627).¹

ილია ჭავჭავაძე თავის ადგილას მოხდენილად და მახვილონიერულად ურთავდა თავის წერილებში რუსთაველის „საანდაზო ლექსებს“, რომ მის მიერ წამოყენებული მოსაზრებანი უფრო მკვეთრი, ბასრი, მკაფიო და ნათელი გამოსულიყო. რუსთაველის აფორიზმებს ილიასთვის ჰქონდა „საანდაზო“, სამაგალითო და საილუსტრაციო მნიშვნელობა. ამიტომაც მწერალი ზოგჯერ იძულებული ხდებოდა შესაფერისად შეეცვალა რუსთაველის ტექსტის სიტყვა, საქცევი, ფორმა, კილო, ინტონაცია: ასეთ უცოდველ ოპერაციებს იგი შეგნებულად, მოფიქრებულად ჩადიოდა. იოსებ გრიშაშვილს მოჰყავს თვითონ ილიას შენიშვნა აღნიშნული გარემოების გამო: „ზოგან, მხოლოდ ორიოდ ლექსში, თითო-ოროლა სიტყვა შეეცვალეთ, რომ კერძოდ თქმულს აზრს ზოგადის აზრის მნიშვნელობა მისცემოდა“² აღნიშნულის საილუსტრაციოდ საკმარისია ორიოდ მაგალითი:

ესელა და გვ რ ჩ ა ნუგეშად მის იმედისა დიდისა.

(ილიასეული რედაქცია)

ესელა და მ რ ჩ ე ს ს ა ნ ა ც ვ ლ ო დ მის იმედისა დიდისა³.

(დედნის რედაქცია)

რუსთაველის ტექსტიდან სიტყვა „სანაცვლოდ“ ილიას შეუცვლია სიტყვით „ნუგეშად“. შეცვლილია ზმნის „დამრჩეს“ პირისა და რიცხვის ფორმა „დაგვრჩა“. ტექსტუალური ცვლილება გამოუწვევია ციტატის შესაბამისობას პოლემიკური წერილის ხასიათთან.

¹ ცალკე შემთხვევაში ილია ჭავჭავაძეს წერილის სათაურადაც აქვს გამოყენებული რუსთაველის აფორიზმი. მაგალითად: „ქარგი რამ მჭირდეს, გვიკვირდეს, ავი რა საკვირველია“, II, 252).

² საანდაზო ლექსები (გვ. 12).

³ ტექსტი ჩართულია წერილში „კატკოვის პასუხად“, რომელიც დაიწერა 1880 წლის 23 თებერვალს. ამ დროისათვის ილია ჭავჭავაძეს შეეძლო ესარგებლნა ვფობისტყაონის ვახტანგისეული, ბროსესეული ან ჩუბინაშვილისეული გამოცემებით.

დედნის „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენებ“, ილია ჭავჭავაძეს ასე აქვს წარმოდგენილი:

თუ თავი ჩვენი ჩვენ გვახლავს, ღარიბად არ ვიხსენებთ.

მნიშვნელოვნად გადაუკეთებია ილია ჭავჭავაძეს რუსთაველის განთქმული აფორიზმი:

ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად.

(ავტორისეული რედაქცია).

ხამს მოყვასი მოყვასისთვის სიცოცხლისა არ დამრიდად.

(ილიასეული რედაქცია)

საგულისხმოა, რომ ეს აფორიზმი თავისი პერსონაჟის (მღვდლის) პირით („გლახის ნაამბობიდან“) ილიას ასეთი რედაქციითაც აქვს გადმოცემული: „უნდა კაცი კაცისათვის სიცოცხლისა არ დამრიდად“. ოღონდ პერსონაჟი იქვე შენიშნავს: „მგონია, ეგრე სწერია, თუ ხსოვნამ არ მიღალატა“ (I, 283). იმავე „გლახის ნაამბობში“ სხვაგან ეგვევ აფორიზმი მოხმობილია რუსთაველის რედაქციით (I, 299).

გამონაკლის შემთხვევაში რუსთაველის ტექსტის სიტყვის შეცვლას იმდენად შეუცვლია დედნის შინაარსი, რომ მას დაუკარგავს ციტატის ხასიათი: ილია ასეთ შემთხვევაში აღარ ხმარობს ბრჭყალებს. რუსთაველის ფილოსოფიური აფორიზმი „გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან“ (848, 1) ილიას ერთგან მოუხმია სატირული მიზნებისათვის, რის გამო შეუცვლია ტექსტის ერთი სიტყვა, რასაც ძირეულად გარდაუქმნია პოეტური ფრაზის შინაარსიც და ინტონაციაც. წერილში „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ ილია ჭავჭავაძე მწარე სარკაზმით ამბობს: „ბოყინი, ზაფრა კუპის საქმეაო, მეტყვიო, და არა გულისაო. მართალია, მაგრამ გული, გონება და კუჭი ერთმანეთზედა ჰკიდიან, ნამეტნავად ეხლანდელ დროში“ (II, 276). როგორც შევნიშნეთ, რუსთაველის სიტყვებში აქ ბრჭყალებში აღარ არის ჩასმული, იმდენად დარღვეულია დედნის ტექსტის შინაარსობლივ-აზრობლივი მხარე.

ილია ჭავჭავაძის შესანიშნავ მეცნიერულ-პუბლიცისტურ ნარკვევს „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი“ ეპიგრაფად აქვს:

ეგრე მტრისა არ მეშინის,

რადგან ცხადად მაწყინარობს;

მოყვარესა მტერსა ვუფრთხი.

მემოყვრება, მოცინარობს...

ეპიგრაფის ტექსტს მიწერილი აქვს რუსთაველი. ვეფხისტყაოსანში მართლაც არის დამოწმებული ტექსტის შინაარსის გამოხმატველი აფორიზმი „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია“ (1211,2). როგორც ზემოთ ვთქვეთ, ეს აფორიზმი კიდევაც არის გამოყენებული ეპიგრაფად წერილში „კატკოვის პასუხად“. საანალიზო აფორიზმი კი („ეგრე მტრისა არ მეშინის...“) რუსთაველს შემთხვევით მიეწერება, იგი ამოღებულია „ქილილა და დამანადან“¹.

საკმაოდ თავისუფლად ექცევა ილია ჭავჭავაძე „დავითიანიდან“ და „ქილილა და დამანადან“ ამოღებულ აფორიზმებსაც. „ქილილა და დამანას“ გამო

¹ ქილილა და დამანა, ალ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით, თბილისი, 1949, გვ. 251 (შდრ. ი. გრიშაშვილი, საანდაზო ლექსები, გვ. 175—178).

ი. გრიშაშვილი საგანგებოდ შენიშნავს: „ილია ჭავჭავაძე უფრო «ქილილა და დამანას» ტექსტის გარედაქციებისთვის დამაშვრალა (შოთას და გურამიშვილს «ისე» ვერ ასხვავებებს). «ქილილა და დამანას» თითქმის ყოველი აფორიზმი ილიას თავისი გუნების მიხედვით შეუტყვლია“¹.

ვეფხისტყაოსნის იდეურ-მხატვრულ რაობას ილია ჭავჭავაძე აფასებდა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის პოზიციებიდან. საგულისხმოა, რომ გ. ბრანდესის წიგნას „*Историческая лигература XIX столетия*“, М. 1881 г. კითხვის დროს ილიას ყურადღებიდან არ გამოპარვია ქართული ლიტერატურის ისტორიის ფაქტები, კერძოდ ვეფხისტყაოსანი, და შესაფერის ადგილას მიუწერია რუსთაველის გმირების სახელები. ასე, იქ, სადაც დახასიათებულია ბენჯამენ კონსტანის ელეონორა, ილიას ჩაუნიშნავს—თ ი ნ ა თ ი ნ ი. დე-სტალის შემოქმედების განხილვას ილიასათვის მოუგონებია რუსთაველის ავთანდილი და „ნესტან და ტარიელის გამარჯვება“².

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის მაღალი მომთხვენელობის კრიტიკურიუმით ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე თავისი მეცნიერულ-კრიტიკული შემოქმედებითი შედეგის შექმნის დროს. ესაა წერილი „აკაკი წერეთელი და ვეფხვის-ტყაოსანი“³. ილია ჭავჭავაძის წერილი გამოიწვია აკაკი წერეთლის ლექციებმა ვეფხისტყაოსნის შესახებ⁴. 1887 წელს საჯაროდ წაკითხულ ლექციებში აკაკიმ ის აზრი გამოთქვა, რომ რუსთაველს სურდაო „დაეხატა მთელი საქართველოს სურათი და გამოეყვანა მისი საიდულო გმირი როგორც მამაკაცის, ისე დედაკაცისა“. ქართველთა ტომები სხვადასხვა ხასიათისა და ბუნებისანი არიან, ამისათვის რუსთაველმა „საჭიროდ დაინახა, ერთი გმირის მაგიერ აელო სამი, გადაეკავშირებია ერთმანეთთან, ერთი მეორით შეეცხო და ისე წარმოედგინა ჩვენთვის. ამ აზრით იმან აიყვანა ამერიდან ტარიელი, იმერიდან ავთანდილი და შავი ზღვის პირიდან ფრიდონი, და მათი შეერთებით დაგვიხატა ერთი სრული გმირი მთელ საქართველოსა“. აკაკი არჩევს ვეფხისტყაოსნის გმირების ხასიათს და ასკვნის: „ტარიელში იხატება ქართლელების ხასიათი და ზნე, ავთანდილში იმერლების და ფრიდონში შავი ზღვის პირელებისო“. აკაკი საგანგებოდ შენიშნავს: „რაც აქ კაცების შესახებ ვთქვით და დავინახეთ, იგივე ითქმის ქალების შესახებაცო“: ნესტან-დარეჯანი „ამერთა ქალია“, ხოლო თინათინი „იმერთა“.

ამრიგად, აკაკი წერეთლის შეხედულებით, ვეფხისტყაოსნის პერსონაჟები ასახიერებენ ქართველთა ტომების წარმომადგენლებს და გამოხატავენ იმათ სპეციფიკურ ეთნიკურ თვისებებს (ზნეს, ჩვეულებას, ხასიათს და ა. შ.).

ილია ჭავჭავაძე ჯერ დიდ ქებას ასხამს აკაკი წერეთლის ლექციებს. ილიას სიტყვით. აკაკი წერეთელმა თავისი ლექციების „დღეა-აზრის... აკიდოზედ ბეკრი მართალი მარგალიტები ასახა გონება-მახვილობისა, ლამაზის შედარებისა, როგორც ბ-ნ აკაკის ბედნიერის ნიჟის ამბავი მოგვხსენებათო“. მაგრამო, განა-

¹ სანდახო ლექსები, გვ. 191—192.

² თ მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა (ბიბლიოგრაფიის მოამბე, 1948, № 4—5, 232—233).

³ თხზულებანი, II გვ. 61—69

⁴ სამი ლექცია ვეფხისტყაოსანზე (კრებული, V, 1898, განყ. 1, გვ. 11, 31; იგივე, VI, 1898, განყოფილება 1, გვ. 19—56); რამდენიმე სიტყვა ბაზ. ილია ჭავჭავაძის საპასუხო ვეფხისტყაოსნის გამო (კრებული, V, 1898, განყ. II, გვ. 1—18). აკაკი წერეთლის ლექციების ტექსტი დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილის გამოკვეყნების შემდეგ.

გრძობს, „ჩვენი ფიქრით, თითონ აკიდოს ღერო კი მეტის-მეტად სუსტი რამ არის და, თუმცა ზედ ასხმულს მარგალიტებს ჰზიდავს, მაგრამ კრიტიკის ხელშეწყობას კი ვერ გაუძლებსო“. ილია ჭავჭავაძის მოსაზრებით, აკაკი წერეთელმა ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობა „ვიწრო ფარგალში მოამწყვდია“ და დიდი ქართველი პოეტი-მოაზროვნე „უბრალო ეთნოგრაფის საჩხირკედლო საქმეზედ ჩამოახდინა“. აკაკი წერეთლის ლექციებიდან ისე გამოდისო, ცხარე გულისწყრომით ამბობს ილია, რომ: „რუსთაველი დიდად სადიდებელი პოეტი კი არ არის, არამედ უბრალო ეთნოგრაფია, ან ამის მსგავსი ერთი ჩურჩუნი რამ არამკითხველს მოამბე“. ილია ჭავჭავაძის თვალთახედვით, ნამდვილად დიდი მწერალი ისაა, ვინც „ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნის“, ან „ზოგად-კაცობის ტიპსა“, და არა რომელიმე „ქართულს, კახელს, პეტრეს, ივანეს“. კერძო პიროვნების, პორტრეტის მხატვარს ილია არ თვლის შემოქმედ ხელოვანად, პორტრეტისტს იგი უწოდებს ოსტატს (ხელოსანს). ხელოვნების ძირითადი დანიშნულებაა ილია ჭავჭავაძეს მიაჩნია განზოგადებული, ტიპიური სახეების შექმნა. თავისი შეხედულება ზოგადისა და კერძოს მიმართებაზე ილიას ასე აქვს გამოთქმული: „ზოგადი სახე ადამიანისა, რამოდენადაც ამ შემთხვევაში უფრო წვრილზედ დახურდავებული იქნება, მაგალითებრ, ზოგადი-კაცი რომელსაჲმე ერის კაცად, ერის კაცი რომელსაჲმე თემის კაცად, თემის კაცი რომელსაჲმე გვარეულობის კაცად, გვარეულობის კაცი ოჯახის კაცად, ოჯახის კაცი ივანედ, ფრიდონად და მებრვე სხვა, — იმოდენად შემოქმედობა მწერლისა მალღილამ დაბლა ჩამოდის, იმოდენად მწერალი ნიჟ-ნაღლებია და დაქვეითებულიო“. პომეროსი, შექსპირი და ძმანი მათნი თავიანთი შემოქმედებით გამოხატავენო, ამბობს ილია ჭავჭავაძე, არა კერძოსა და ცალკეულს, არამედ ზოგადსა და საერთოსო. „ვიწრო მოედანი, — წერს ილია, — მარტო ფალავნის სარბიელია და არა იმისთანა გოლიათისა, როგორც შექსპირია და თუნდა ჩვენი რუსთაველიცა. რუსთაველის ტიპებს იმ პაწია ჭუჭრუტანილამ სინჯვა კი არ უნდა, საიდანაც მარტო ქართული, კახელი, იმერელი და სხვა ცალკე სახელწოდებული კაცი დანიანება, არამედ იმ უშველებელ სარკმლიდამ, რომ მთელს კაცად-კაცობას თვალი გადევლებოდეს, მის სრულს სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზედ“. ამ საზომით იხილავს ილია ჭავჭავაძე ვეფხისტყაოსნის პერსონაჟებს. რუსთაველის პერსონაჟები მას მიაჩნია ზოგადკაცობრიულ ტიპებად, ზოგადადამიანებად, რომლებიც ვერ მოთავსდებიან ვერც ნაციონალურსა და, მითუმეტეს, ვერც ტომობრივ-ეთნიკურ ჩარჩოებში. „ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, და სხვანი მამაკაცი და დედაკაცი ვეფხისტყაოსნისა ყველაზე უწინარეს ადამიანები არიან და, მამასადაჲმე, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით შექმნილნი და აგებულნიო“, აცხადებს ილია ერთგან და სხვაგანაც ხაზგასმით იმეორებს: „კიდევ ვიტყვი, რომ ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვანი კაცად-კაცი არიან, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით აგებულნი და სულდგმულნი“. „ამაშია მთელი სიდიადე რუსთაველის გენიოსობისაო“, ასკვნის ილია. ვეფხისტყაოსნის თითოეული პერსონაჟის მოქმედებას, მკვლევარის მოსაზრებით, განსაზღვრავს არა ავტორის სუბიექტური წადილი, არამედ ამ პერსონაჟის ბუნება, მისი ხასიათი. თუ, მაგალითად, თინათინი და ნესტანი ერთგვარ სიტუაციაში სხვადასხვანაირად მოქმედებენ, ეს იმიტომ, რომ „თანათინი სხვა ბუნებისა და ნესტან-დარეჯანი სხვა, და ეს ბუნების სხვადასხვაობა სხვადასხვა შემოქმედებასაც ექვემდებარება“. ასევეა ტარიელი, ავთანდილი და პოემის სხვა პერსონაჟი. „აქ რა შუაშია ან ქართული, ან კახელი, ან იმერელი“, ერთგვარი ირონიით კითხულობს ილია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძის წერილი წარმოადგენს მხატვრული ნაწარმოების ღრმა კონკრეტული ანალიზის საუკეთესო ნიმუშს. მოკლედ, მაგრამ დიდი დაკვირვებით აქვს ილიას გარჩეული ვეფხისტყაოსნის მთავარი პერსონაჟების „ბუნების სხვადასხვაობის“ საკითხი, თუ როგორ „სხვადასხვა ზემოქმედებასაც ექვემდებარება“ ეს „ბუნების სხვადასხვაობა“. თინათინი და ნესტანი პირველად ხვდებიან პირისპირ თავიანთ მიჯნურებს. თითქოს ერთგვარი უნდა ყოფილიყო ფსიქოლოგიური ეფექტი, სურათი კი სხვადასხვაგვარი გამოვიდა. თინათინმა და ავთანდილმა ტკბილი მუსაიფი გააბეს და ბოლოს საქმიანი გადაწყვეტილებაც მიიღეს. ნესტანისა და ტარიელის შეხვედრა კი უსიტყვოდ დამთავრდა. ილია ჭავჭავაძის განმარტებით, „დიდი მწუხარება ცრემლს უშრობს კაცს, პატარა კი ცრემლს ადენს; დიდს სინარულს ხშირად ცრემლი მოჰყავს და პატარას კი — ღიმილი; დიდი გულისტყმა, ჭეშმარიტი გრძნობა მუნჯია, უტყვია, და პატარა კი — ყბედი და ლაქლაქა“. ილია ალტაცებაში მოუყვანია რუსთაველის მიერ პოეტურად აღწერილი ეპიზოდის ფსიქოლოგიურ სიმართლეს, დიდი კრიტიკოსი მღელვარე პათოსით ამბობს: „აი, გულთამხილავი რუსთაველი, რამ-სიდიდე გრძნობას ჰხედავს ნესტან-დარეჯანის გულში და რა ხატით გვაჩვენებს ჩვენც მის ძლიერებას, სიდიადეს და ძლევაგამოსილობას: ქალმა ველარა სთქვა-რა, სიტყვა შეეკრაო. ეგ რატომ არ მოუვიდა თინათინს, როცა ავთანდილი დაიბარა პირველად სალაპარაკოდ? იმიტომ, რომ ღრმად კაცად-კაცის მცოდნე რუსთაველმა იცოდა, რომ თინათინი სხვა ბუნებისაა და ნესტან-დარეჯანი სხვა და ეს ბუნების სხვადასხვაობა სხვადასხვა ზემოქმედებასაც ექვემდებარება“.

ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილის მნიშვნელობა ძალზე დიდია. ეს წერილი ახალი და ცოცხალი სიტყვა იყო რუსთაველოლოგიაში. ქართველ მეცლევართაგან ილია ჭავჭავაძემ პირველად გაარჩია ვეფხისტყაოსნის ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისით. ამ გარჩევის შედეგად მან რუსთაველი დამსახურებულად ამოუყენა გვერდში მსოფლიო ლიტერატურის გიგანტებს — ჰომეროსს, შექსპირს და „ძმათა მათ“.

მაინც პირუთვნელობა გვაძიძულებს აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძე ერთგვარად აზვიადებდა „ზოგადი ადამიანის“ ან „ზოგადკაცობის“ ტიპის მნიშვნელობას, რამდენადაც მეტისმეტად განყენებულად განიხილავდა ზოგადი ადამიანის ცნების შინაარსს. ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, „ზოგად ადამიანს“ თითქოს არ შეეფერება არა თუ ეთნიკური, გვაროვნული, ოჯახური და კერძო ხასიათის თვისებები, არამედ ეროვნულიც კი. ამიტომაც, პრინციპულ ასპექტში სავსებით სწორად სვამდა კითხვას აკაკი წერეთელი: „რატომ არ შეიძლება, რომ ვეფხისტყაოსნის გმირები ერთსა და იმავე დროს ქართველებიც იყვნენ და საზოგადო, საყოველთაო ტიპებიც?“ რასაკვირველია, ეს მართებული შენიშვნა სრულიად არ ამბობს, რომ სწორი იყო აკაკი წერეთლის პოზიცია ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა გაგების საკითხში.

ილია ჭავჭავაძისათვის, როგორც კრიტიკული რეალიზმის დაჭერებულნი წარმოადგენლისათვის ქართულ მწერლობაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ლიტერატურული სახის ტიპიურობის პრობლემას. ილიასათვის მიუღებელი იყო ის ვიწრო და შეზღუდული შეხედულება, რომელიც ამ მხრით განავითარეს „მართლის თქმის“ მიმდევრებმა XVII — XVIII საუკუნეებში. თავის ერთ პოლემიკურ წერილში („ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“) ილია ჭავჭავაძე შემდეგნაირად მსჯელობს მხატვრული გამომგონებლობის შესახებ:

„მთელი ეგრეთ-წოდებული სიტყვაკაზმული ლიტერატურაც ამ საფუძველზეა აშენებული: მოგონილის ამბით ცხადჰყო მართალი იგიც ამ სათავედ მოდის. ამიტომაც ამგვარს ლიტერატურაში არ არის არც ერთი მოთხრობილი ამბავი, რომ მართლა მართალი იყოს, მართლა ნამდვილი იყოს: სულ ადამიანის ფანტაზიით შექმნილია და ისეთის შემოქმედობით ხორცთმესხმული, სულთჩასახული, რომ კაცს-კი არ ეჯავრება, დიდადაც მოსწონს და ესურვება. ტარიელი, ნესტან-დარეჯანი, ავთანდილ, ფრიდონ, თინათინ არც თავის-დღეში ყოფილან და არც არიან, არც ოდესმე უცხოვრიათ და არც ეხლა ცხოვრებენ, მაგრამ აბა ჰნახეთ ჩვენი საკვირველი რუსთაველი როგორ სასწაულთმოქმედობს ადამიანზე, როცა იმათს ცხოვრებას გვიამბობს, მათის ცხოვრების მაჯისცემას გვატყობინებს!.. შოთამ მის მიერ მოგონილ ამბავს ისეთი სული ჩაატანა, რომ ამ ქვეშაირტ სულისაგან თვით არაქვეშაირტი ამბავი მართალი გგონია. აი ეს საოცარი გარდაქმნა, ანუ უკეთ ვთქვათ, ქმნა არ-ყოფილისა ყოფილად, მართო შემოქმედს შეუძლიან და ამიტომაც ამ დღეთურს ძალღონეს ქმნისას შე მოქმედობას ეძახიან“ (II, 281 — 282).

მოყვანილი ამონაწერის მიხედვით ილია ჭავჭავაძე ამტკიცებს, რომ სიტყვაკაზმულ მწერლობაში სიმართლე ჩვეულებრივად იხატება მოგონილი ამბის საშუალებით. ვარკვეული უნარის ფარგლებში „არ არის არც ერთი მოთხრობილი ამბავი, რომ მართლა მართალი იყოს, მართლა ნამდვილი იყოს: სულ ადამიანის ფანტაზიით შექმნილია“. ხელოვანი მწერალი მას მსჭვალავს სინამდვილის სულით და სინამდვილის ხორცს ასხამს, მკითხველს საეჭვოდ არ მიაჩნია მოგონილი ამბის სიმართლე. ერთი სიტყვით, შემოქმედი-ავტორის წყალობით მოგონილი ამბავი მხატვრულ მწერლობაში დებულობს ნამდვილად მომხდარი, ქვეშაირტად მართალი ამბის ხასიათს.

ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ ჩერდება სწორედ ვეფხისტყაოსანზე: „ტარიელი, ნესტან-დარეჯანი, ავთანდილ, ფრიდონ, თინათინ არც თავის-დღეში ყოფილან და არც არიან, არც ოდესმე უცხოვრიათ... შოთამ მის მიერ მოგონილ ამბავს ისეთი სული ჩაატანა, რომ ამ ქვეშაირტ სულისაგან თვით არაქვეშაირტი ამბავი მართალი გგონია“. სინამდვილის ამ გარდაქმნას ან სინამდვილის მხატვრულ გარდასახვას ილია ჭავჭავაძე უწოდებს შემოქმედებას. რა თქმა უნდა, ილიას მხედველობაში აქვს რეალისტური შემოქმედება. ყველაფრიდან ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე იცნობდა XVII — XVIII საუკუნეების ქართველი მწერლების აზრს ვეფხისტყაოსნის შესახებ. ამ მწერლებისაგან განსხვავებით ილია სავსებით სწორად სწევვტს ვეფხისტყაოსნის მხატვრული სიმართლის, ვეფხისტყაოსნის რეალიზმის პრობლემას და დამარწმუნებლად აბათილებს რუსთაველის პოემის ანტირეალისტრობის თვალსაზრისს. იმავდროულად ილია ჭავჭავაძე ვეფხისტყაოსნის კონკრეტულ მაგალითზე არკვევს რეალისტურ შემოქმედებაში მხატვრული გამომგონებლობის ხასიათს და სამართლიანად აკრიტიკებს ყოველგვარ ვიწრო, შეზღუდულ შეხედულებას¹.

ილია ჭავჭავაძემ წამოაყენა ვეფხისტყაოსნის მხატვრულ სახეთა სისტემისა და პოემის იდეური შინაარსის გაგების ახალი, ორიგინალური თეორია.

რუსთაველის პოეზიის უზომო სიყვარულის გამო ილია ჭავჭავაძემ მკაცრად გააკრიტიკა აკაკი წერეთელი. ილია მშვენივრად გრძნობდა თავისი წერი-

¹ ალ. ბარამიძე, რეალისტური ნაკადის შესახებ XVII—XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში (ლიტერატურული მივანი, IX, 1955, 112—113).

ლის კილოს სიმწვავეს. შემთხვევითი როდია, რომ მისი კრიტიკული შენიშვნები საგანგებო განცხადებით იხურება: „ჩვენ რუსთაველის სახელი მეტის-მეტად დიდ სახელად მიგვაჩნია და მოგვიტევონ, რომ მის სახელს და დიდებას ადვილად ვერავის დაუთმობთ“.

თუ ასე მკაცრი იყო ილია ჭავჭავაძე აკაკი წერეთლის მიმართ, რა საკვირველია, რომ ახალი ქართული კულტურის დამსახურებული მესვეური უკომპრომისოდ დაუნდობელი ყოფილიყო ნარ-დონისადმი (— ივანე ჯაბადარისადმი), რომლის უდიერმა წერილებმა «Исторический» მთელი მოაზროვნე ქართველი საზოგადოების ერთსულოვანი გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია. ილია ჭავჭავაძის ნაქედი სიტყვით, ქართველი საზოგადოების ბუნებრივ გულისწყრომას იწვევდა ი. ჯაბადარის მხრით „ასე სასაცილოდ ავდება ყველაფრისა, ასეთი შეღახვა და შებლაღვა ლოდიკისა, ცოდნისა, მეცნიერებისა, ლიტერატურისა, მამყოსი, აწმყოსი, მერმისისა...“ (II, 330).

«Исторический» — ამბობს ილია სხვაგან — თავიდან ბოლომდე ერთი გაბატონებული და უშვებრი ტყუილია, მარტო ძაგებისთვის შეითხნინი, ჰირვეულობის და ყოვლად უაზრობისა და უვიცობისაგან და თავგასულ მამლაყინწაობისაგან ურცხვად გატარაბახებული“ (II, 414). ნარ-დონის წერილების საისტორიო ნაწილს ილია ჭავჭავაძემ გამანადგურებელი პასუხი გასცა („ი ისტორია“). ამის შემდეგ გამოქვეყნდა ნარ-დონის პასკვილის სალიტერატურო ნაწილი¹, სადაც უდიერად იყო დახასიათებული ქართველი ხალხის დიდი სულიერი კულტურა და მისი დიდება ვეფხისტყაოსანი. ავტორის თავისი წერილების ეს ნაწილი დაბეჭდვამდე წაუკითხავს „ივერიის“ რედაქციაში. იაკობ მანსეეტაშვილის სიტყვით, „ილია თავისებურად გაცხარდა და გაცეცხლებულმა უთხრა: არა, ბატონო ივანე, ჩვენ ეგრე ადვილად ვერ დავთმობთ რუსთაველს. დღევანდელი რუსული კრიტიკის თვალთახედვის ისრით ვერ გაიზომება ვეფხვის ტყაოსანი. ამას მეტი დაფიქრება, მეტი მოსაზრება უნდა. რუსული კრიტიკის ზენა-ქვერული ნაგარდობა აქ არ გამოდგება. აქ უფრო ღრმად უნდა საქმეს ჩახედვა. ვისაც რუსთაველზე წერა უნდა, იმან, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეითვისოს იგი არა ჭკუით მხოლოდ, არამედ გულითაც, უნდა იგრძნოს მისი გმირების სულისკვეთება, ჩასწვდეს ქართველი გულის სიღრმეს, იგრძნოს მისი მაჯის ცემა. ეს იქნება ქართველი კაცის ნამდვილი სულისთქმა, მისი რწმენა, მისი სამართლიანი განსჯა და არა სკაბიჩევსკის კრიტიკა.

და კიდევ ბევრი მწარე სიტყვები შესთავაზა ილიამ ჯაბადარს².

იმავე მანსეეტაშვილის მოგონების თანახმად, ჯაბადარმა მანსე დაბეჭდა თავისი თუ ლიუბატოვიჩის³ წერილი... ხოლო „ივერიას“ კი შემოსწყრა და მას უკან რედაქციაში აღარ გაუვლია“⁴.

ჯაბადარის საქციელმა დიდი მღელვარება გამოიწვია ქართველი ინტელიგენციის წრეში. საყოველთაო აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. ბევრი დაი-

¹ Северный Вестник, 1889, № 9, 10.

² იაკობ მანსეეტაშვილი, მოგონებანი, ლევან ასათინის რედაქციით, თბ. 1936, გვ. 93.

³ ი. მანსეეტაშვილი შენიშნავს: „შემდეგ შევიტყე, რომ ეს წერილი საუკუნით მისი (გ. ი. ი. ჯაბადარისა — ა. ბ.) არ ყოფილიყო. ამას მხოლოდ ვეფხისტყაოსანის შინაარსის ვადმოცემა ეუთვნოდა, დაწერა, გაუშუქა და კრიტიკული განხილვა იმის ცოდნის ყოფილიყო. ჯაბადარის ცოლი. შთამომავლობით რუსი, ლიუბატოვიჩის ქალი, დიდის ხნის რევოლუციონერი იყო „ნაროვოლოტების“ წრეს ეუთვნოდა“ (გვ. 94).

⁴ იქვე, გვ. 94.

წერა და კიდევ უფრო ბევრი ითქვა ჯაბადარის წერილების გამო. კამათში ჩაება გაზეთი «Новое обозрение» და იმისი რედაქტორი ნიკო ნიკოლაძე. მან გამოაქვეყნა რამდენიმე წერილი. პირველი და უმთავრესი წერილის სათაურია: «Византийские споры»¹.

ბევრ მართებულ კრიტიკულ შენიშვნებთან ერთად, წერილში გამოთქმული იყო ცალკეული საყურადღებო დადებითი მოსაზრებანი. მაგალითად, ნარდონის სიტყვით, რუსთაველი თითქოს მონურად ბაძავდა ნიზამი განჯელის პოემას „ლეილი და მაჯუნს“. ამის გამო ნ. ნიკოლაძე სამართლიანად წერდა:

«Скажите на милость, неужто среда, где процветали и процветают гаремы, была благотворнее для развития человеческого отношения к женщине, чем та, которая окружала грузинского поэта? Неужто Руставели, живя в стране, поклонявшейся св. Нине и возвеличенной Тамарю, не вокруг себя, а в гаремной Персии должен был искать идеалов женского культа?».

ნ. ნიკოლაძის წერილები იწყებოდა უცნაური შესავლით: «В грузинском обществе смятение; нашелся «нечестивец», усомнившийся в самобытности и оригинальности Шота Руставели, творца «Барсовой кожи». Сомнения свои сей заалазанский Герострат изложил—о, ужас,— на русском языке и предал тишнению в либеральном «Северном Вестнике» под заглавием «Письма о Грузии». ამ შესავლის შემდეგ ავტორი ორიოდ სიტყვით ეხება ჯაბადარის წერილებსა საისტორიო ნაწილს, ხოლო ვრცლად ჩერდება ვეფხისტყაოსნის პრობლემაზე საერთოდ, კერძოდ კი ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის საკითხზე. ნ. ნიკოლაძე წერს:

«Во-первых, мы не понимаем, что собственно хотел доказать... автор «Писем о Грузии»? Заимствовал-ли Руставели канву своей поэмы у персиян, или из своей головы сочинил он ее, или хоть слово в слово перевел ее от доски до доски, — разве не все равно это с точки зрения значения «Барсовой кожи» в истории грузинской литературы и грузинского развития? Серьезен тут один только вопрос: да, или нет, «Барсова кожа» служила-ли в течение шести столетий настояною книгою грузин всех областей грузинского царства? А раз она заучивалась наизусть, раз ее выражения превратились в поговорки, раз ее сентенции стали основою грузинской морали, книга эта становится документом для суждения о народе, ее присвоившем и ею проникшемся, все-же остальные ее стороны уходят на задний план и стушевываются для всякого серьезного мыслителя и критика». ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ გოეთეს და შექსპირს თავიანთი თხზულებების სიუჟეტები „ნასესხები“ აქვთ, მაგრამ არაფერ არ დაექვევბულა ამ თხზულებათა ორიგინალობასა და სიღიაღეშიო, და განაგრძობს: «Все это так. Но нас подобные ошибки автора «Писем о Грузии» признать, и не удивляли-б и не печалили-бы свыше меры: мало-ли в какие ошибки впадают юные и неопытные писатели; вреда от того никому ни малейшего не причиняется, кроме непроизводительной затраты сил, могших найти себе лучшее применение. Что нас особенно печалит, во всем этом деле, это—отношение грузинской интеллигенции и публики к

¹ Новое обозрение, 2. XI. 89. № 2022 (შემდეგი წერილები გამოქვეყნდა იმავე გაზეთში, იხ. №№ 2032, 2043, 2049).

подобным ошибкам и несообразностям». ნ. ნიკოლაძე ამბობს, რომ გერმანელსა და ინგლისელს სრულიად არ აინტერესებს და არ აწუხებს, საიდან აიღეს სიუჟეტები გოეთემ და შექსპირმა. გერმანელსა და ინგლისელს რომ გოეთესა და შექსპირის თხზულებების სიუჟეტების წყაროებზე მიუთითოთ, ისინი «не сочтут вас за это ни печестивцем, ни святоотатцем, ни изменником, ни посягателем на «честь» их родины. Они знают, что, тем не менее, и Гете, и Шекспир останутся великими до окончания мира и что оба эти писателя и после такого «разоблачения», как и до него, не перестанут быть гордостью и своих стран, и всего человечества. Между тем, грузины относятся к автору «Писем о Грузии» и к его словам о «заимствованиях» Шота Руставели с гневом и раздражением, точно он разрушил до основания михетский храм... Не больно-ли видеть это?... Не явный ли это признак византизма?»

ქართველი მოწინავე ინტელიგენცია და მისი იდეური მესვეური ილია ქავჭავაძე ვერ დააკმაყოფილა ნ. ნიკოლაძის გამოხატვამ. მეტიც, ილია აშკარად გულნაკლულია დარჩა. ეს გულნაკლულობა მან გამოხატა წერილით: «Новое отношение»-ს წერილის გამო¹. ილია ქავჭავაძეს არაფერი უთქვამს, მაგრამ მას უადგილოდ მიაჩნდა გერმანელის, ინგლისელისა და ქართველის შეპირისპირება მათი გენაალური ნაციონალური პოეტების შემოქმედების ზოგიერთი საკითხებისადმი დამოკიდებულების გამო. ნ. ნიკოლაძეს არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ ქართველი ინტელიგენციისათვის ვეფხისტყაოსანი არ წარმოადგენდა მარტოოდენ აკადემიური განსჯის საგანს და ვიწრო ლიტერატურულ პრობლემას. როგორც სემოთ აღვნიშნეთ, მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ვეფხისტყაოსანს უყურებდა როგორც უდიდესი აღმზრდელობით და შთამაგონებელი ძალის მქონე უბადლო მხატვრულ ნაწარმოებს, რომელსაც უნდა დაესაბუთებინა ქართველი ხალხის ეროვნულ-კულტურული მოწიფულობა და მისი კანონიერი უფლება ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის. ამიტომაც იყო ილია ქავჭავაძე შეუპოვარი ქომაგი რუსთაველის ღირსებისა და დაუნდობელი მებრძოლი ამ ეროვნული დიდების განმაჭიქებელთა წინააღმდეგ².

ილია ქავჭავაძე ბრალს სდებდა «Новое отношение»-ს წერილის ორქოფული ხასიათისათვის³. ნარ-დონის მხილებასა და კილვას ზოგჯერ ქების იერი დაჰკრავსო. ილია ქავჭავაძის უკმაყოფილებას განსაკუთრებით ის გარემოება აძლიერებდა, რომ ნ. ნიკოლაძემ გაკენწლა ქართველი ინტელიგენცია ჯაბაღარის წერილებისადმი გრძნობიერი რეაგირების გამო. «Что нас особенно печалит, во всем этом деле, — წერდა ნ. ნიკოლაძე — это — отношение грузинской интеллигенции и публики к подобным ошибкам и несообразностям... не больно — ли видеть это?» მისებური პრინციპული პირდაპირობითა და პილპილნარევი სიცხარით შენიშნავს ილია: „აჲლა ჰნახეთ, რა-რიგის

¹ ი. ქავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. II, 401—414.

² ალ. ბარამიძე, ნ. მარის შეუდომების შესახებ ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხების გაშუქებაში (ლიტერატურული ძიებანი, VIII, 1933, გვ. 49).

³ ილიას მხედველობაში ჰქონდა ნ. ნიკოლაძის პირველი წერილი («Византиские споры»), რომელიც ხელმოუწერლად გამოქვეყნდა (შემდეგი წერილები ხელმოწერილია).

გამომეტებით, რა-რიც დაუზოგველად «Новое издание» მიწასთან ასწორებს ქართველთა ინტელიგენციას იმისთვის, რომ გაჰბედა და აუპილიბლდა „ნარ-დონსა“ და ეომებაო მაშინ, როდესაც საომარი საგანი დახარჯულის ტყვეა-წამლის ფასადაც აღარ ღირსო; აქ რა თქმა უნდა «Нар-дон» სინაჟი.

შემთხვევას არა ჰყარავს ახაროს თავის მკითხველებს, რომ ქართველთა ინტელიგენცია ისე გონებამიხილი და დახშულიაო, რომ «Государство»-ს მეტი სალაპარაკო საგანი იმათს გონებას ვეღარ მოუპოვებია და მოუხერხებია საეარჯიშოდლაო. ილია ჭავჭავაძის სიტყვით «Нар-дон» სინაჟი-მონი-დომა ქართველი ინტელიგენციის „უსაბუთოდ გაბიბრებება“ და „ჩიტირეკიე-ბად“ მონათლა საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი. ამ შემთხვევაში, განა-გრძობს ილია, „წყაზარმა გაზეთმა“ (ე. ი. Новое издание-მ) „საბუ-თიცი“ იპოვაო: „იგი ამბობს, ვითომც ქართველთა ინტელიგენცია აუპილიბლდა „ნარ-დონსა“ მარტო იმისათვის, რომ ამ ვაჟბატონმა შესწამა რუსთაველს, ვი-თომ სხვისაგან გადმოეღოს თავისი ვეფხისტყაოსანის ამბავი. ვსთქვათ რომ ასე იყოსო.—ამბობს სხვა საგნებზე გონებაგადაღლეილი «Новое издание»: —აქ წყრომას და რისხვას ინტელიგენციისას რა ადგილი აქვსო? ვის არ გადმოუ-ღია, ვის არ გადმოუყებებია სხვისაგან გაგონილი ან ამოკითხული ამბავიო? «Новое издание»-ს მიზნად დაუსახავს ქართველი ინტელიგენციის ჭკუის სწავლებებო, ამბობს ილია ჭავჭავაძე და ირონიულად ასკვნის: „საწყალი ჭკუა-უბადრუკი, გონება-გაუჩარხავი ქართველთა ინტელიგენცია!“

ილია ჭავჭავაძის გულისწყრომას ის იწვევდა, რომ ნარ-დონმა ხელაღ-ბით, უსაბუთოდ „ლაფში ამოსვარა“ „ქართველთაგან თაყვანცემული კაცო“, ნ. ნიკოლაძე კი გამომდგარა და ამტკიცებს, რა მნიშვნელობა აქვს, რუსთა-ველმა თვითონ შექმნა ვეფხისტყაოსანი, თუ იგი „სიტყვა-სიტყვით“ გადმო-თარგმნა უცხოური ლიტერატურიდან, რაკი ქართველმა ხალხმა იგი მიიღო, შეიყვარა, შეითვისა და თავისი ზნეობრივი ცხოვრების საფუძვლად გაიხადაო?

ვეფხისტყაოსნის მსგავსი საბუთებით გამოსარჩლებას ილია ჭავჭავაძე თვლიდა რუსთაველის ღირსების დამცირებლად. „განა ვეფხისტყაოსანზე კაცმა მარტო ის უნდა სთქვას, რომ რაკი საქართველოს მთელი ექვსი საუკუნე ეს წიგნი სიყვარულით ხელში სჭერია, მისი სიტყვები ანდაზებლად გაუხნდა, გაუ-ზეპირებია, რაკი მისი სენტენციები საფუძვლად დასდებია ქართველთა ზნეო-ბას, რაკი ყოველივე ეს ასე მიუღია ქართველობას, იგი წიგნი დოკუმენტად უნდა ჩაითვალოს ამ ერის ავ-კარგიანობის გამოსარკვევად და სხვა მისი მხა-რენი კი უკან დაყენებულ ღა გაბათილებულ უნდა იქმნან ჭკუაღამჯდარ მკვლე-ვარისა და კრიტიკოსის თვალშიო? განა მარტო ეს უნდა ეთქვა «Новое издание»-სასარჩლად რუსთაველისა? ნუთუ ვეფხისტყაოსანი მარტო დო-კუმენტია, მარტო შშრალი პროტოკოლია და სხვა არარა? ამით ზომ «Новое издание» უფრო „ნარ-დონს“ ჰპოწმობს, ვიდრე ამტყუნებს. მართლა-კი ეგრეა? აბა ერთი გულზედ ხელი დაიდოს კაცმა და ესა ჰკითხოს თავის-თავსა“.

ილია ჭავჭავაძე სრულიად მართებულ კითხვას სვამს: „ნუთუ ვეფხისტ-ყაოსანს სხვა არავითარი ღირსება არა აქვს-რა, გარდა იმისა, რომ ქართვე-ლებს მოსწონს?“ ილიას მოსაზრებით, «Новое издание»-ს უნდა გა-მოერკვია და დაესაბუთებინა თავის თავადი ღირსება ვეფხისტყაოსნისა, თუ მას საქმიანად და გულწრფელად სურდა პოემის დაცვა ახალი დროის გან-მაქიქებელთა თავდასხმისაგან. ილია ჭავჭავაძე ითვალისწინებს საქმის მეორე

მხარესაც და საბუთიანად ამბობს: „ესთქვათ, საქართველო ესე მოექცა და ექცევა თავის საყვარელ ვეფხის-ტყაოსანს, განა არ შეიძლება საქართველო მოტყუებული იყოს ამაში და ის მოსწონდეს, რაც მოსაწონი არ არის თავის-თავად? განა ცოტა მაგალითებია მსოფლიო ისტორიაში, რომ «ხელი-ხელ სა-გოგმანებლად» გაეხადნოთ უშვერი და ულაზათო ოამ? განა თვით «ნარ-დონი» არა ჰყვირის თავის ჩხავანა ხმითა, რომ ეგ საქართველოს მიერ მოწონება ვეფ-ხის-ტყაოსნისა ბერის არას ნიშნავსო და არაფრის საბუთიაო? ნუთუ ვეფხის-ტყაოსანს სხვა არავითარი ღირსება არა-აქვს რა, გარდა იმისა, რომ ქართვე-ლებს მოსწონს?“

მხურვალე პატრიოტული პათოსითა და დამარწმუნებელი მეცნიერული საბუთიანობით დაიცვა ილია ჭავჭავაძემ რუსთაველისა და მისი მადიდებელი ქართველი ინტელიგენციის ღირსებანი ნარ-დონის მკრეხელობისა და «Новое обозрение»-ს ერთგვარად შემარიგებლური¹ უნიათობისაგან.

ილია ჭავჭავაძის მთავარი დებულების სისწორის საილუსტრაციოდ შეიძ-ლებოდა შემდეგი მაგალითის მოყვანა: ძველი ქართული ლიტერატურის ისტო-რიაში შნიშენლოვანი ადგილი დაიჭირა სპარსულიდან გადმოთარგმნილმა „როსტომიანმა“. „როსტომიანის“ გავლენის კვალი ემჩნევა არა ერთსა და ორ ქართველ მწერალს. „როსტომიანის“ ზოგიერთი ეპიზოდი ზეპირის გზითაც ფართოდ გავრცელდა, ამ ნიადაგზე წარმოიშვა ხალხური „როსტომ-ზურაბი-ანი“ და „ბეჟანიანი“. უცხოური წარმოშობის „როსტომიანის“ მკითხველებსა და მსმენელებს პოემაში გულწრფელად ეგულებოდა „ძველი ზნეობა და ზო-გადი ჩვეულება ძველთა ქართველთა“. „როსტომიანის“ მაგალითებს არა-იშვიათად „ძველნი ქართველნი შთამომავლობათა ანდაზად დაუდებდიან“. „როსტომიანის“ პერსონაჟები ძლიერ პოპულარული გახდნენ, ამ სახელებმა ნამდვილი ნაციონალური იერი მიიღეს ჩვენში. საკმარისია დავიმოწმოთ, — ზაალი, როსტომი, ზურაბი, გოდერძი, გივი, ბეჟანი, უშანგი, თეიმურაზი, მანუჩარი, ნოდარი, ქაიხოსრო, ლუარსაბი, როდამი, ქეთევანი და სხვანი. ერთი სიტყვით, ნ. ნიკოლაძის გამოთქმა რომ ვიხმართ, უცხოური პოემა «заучива-лась (в Грузии) наизусть, ее выражения превратились в поговорки, ее сентенции (нередко) стали основой грузинской морали, книга эта стано-вится документом для суждения о народе, ее присвоившем». და თუ აღნი-შნულის გამო «все остальные ее стороны уходят на задний план и стуже-выаются для всякого серьезного мыслителя и критика», მაშინ ქართველი საზოგადოებისათვის, და კერძოდ ამ საზოგადოების მოაზროვნე წრეებისათვის, პრინციპული განსხვავება აღარ არსებულა ვეფხისტყაოსანსა და როსტომიანს შორის. ქართველი მოაზროვნე საზოგადოებაც შესაფერისადვე ერთნაირად უნდა მოპყრობოდა გენიალურ რუსთაველსა და საბაშვილ-თურმანიძეს (სერა-პიონ საბაშვილი და ქაიხოსრო თურმანიძე არიან „როსტომიანის“ გამლექსავე-ბი). ყოველ შემთხვევაში ასე გამოდის «Новое обозрение»-ს ლოგი-კით. საკითხის ამგვარად გაუბრალოებისა და ობიექტურად ვეფხისტყაოსნის დამცირების წინააღმდეგ აღიმაღლა თავისი გოლიათური ხმა დიდმა ილია ჭავჭა-ვაძემ.

¹ თვითონ ნარ-დონი ნ. ნიკოლაძის წერილს ერთგვარად თავის დაცვად თვლიდა (Н. Д., Поклонение «современности» и «археологии», Новое обозрение, 8. XI. 89, № 2028).

ჩერ კიდევ არ დამცხრალიყო ქართველ საზოგადოებაში ჯაბადარის გამოხ-
დომით გამოწვეული ვნებათა-ღელვა, რომ გამოქვეყნდა მაშინ ახალგაზრდა
ორიენტალისტის ნ. მარის წერილი ვეფხისტყაოსნის შესახებ¹. ნ. მარი გამო-
წვევი კილოთი კითხულობდა: „ჩერ ვინ დაგვიმტყიცა, რომ რუსთაველი
ცრუობს და ვეფხისტყაოსანი სპარსულიდან არ არის გადმოთარგმნილი?“
აგტორი აცხადებდა, რომ იგი ელის „ცნობებს ერთ სპარსულ ხელნაწერზე,
რომელიც ბრიტანულ მუზეუმში ინახება ლონდონში და იქნება თვის ვეფხის-
ტყაოსნის ღედანია, რადგან ხელნაწერი შეიცავს, როგორც კატალოგიდან
სჩანს, «შაჰრიარ-ნამეს», ესე იგი წიგნს შარიერზე (ტარიელზე), რომლის ამბა-
ვი ინდოეთში მომხდარაო“. ნ. მარის ვარაუდი არ გამართლდა. ბრიტანეთის
მუზეუმის „შაჰრიარ-ნამე“ არ აღმოჩნდა „ტარიელის წიგნი“ (ვეფხისტყაოსა-
ნი). მარი მაინც არ იხევდა უკან, ჯიუტურად განაგრძობდა ნაჩქარევად და
შეუძომებლად გამოთქმული თავისი მოსაზრების გამეორებას: «Я продолжаю
надеяться, что рано или поздно в персидской литературе всплывет и тот
грузинский роман, прозаический перевод которого послужил материалом
творцу поэмы «Юноша в барсовой коже». ² ამ დროისათვის (1895 წლისათვის)
ნ. მარმა კიდევ უფრო გააღრმავა ვეფხისტყაოსნის სპარსულიდან წარმოშობი-
ლობის თეორია და უარყო უკვდავი პოემის ნაციონალური ხასიათი ფორმის
მხრივით³.

ილია ჭავჭავაძემ ერთხანს მოთმინებით უსმინა ნ. მარს, ბოლოს კი, რო-
დესაც ახალგაზრდა მეცნიერმა აზრი არ შეიცვალა, მას მოთმინების ფიალა
აფესო და ჩვეული პრინციპულობით მოურიდებლად დაესხა თავს რუსთაველის
სახელის ახალ შემბლაღველს. თავის განთქმულ მეცნიერულ-პოლემიკურ ნაშ-
რობში „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ლაღადი“ ილია ჭავჭავაძემ შემდეგი
ცეცხლოვანი სტრიქონები დაუთმო ნ. მარის კრიტიკას.

„ბ-ნი მარო სხვაფრივაც ირჩება, თითქო ჩვენზე გულმოსულია და ჯერს იყრის. კარგა
ჩანია, რაც დაიქადა, რომ დამადადეთ, ვე თქვენი რაღაც ვეფხის-ტყაოსანი, — სულ თავზე და-
გაფხრეფთო, ინგლ-სში ერთი მანუსკრიპტი მეგულება, იმას ვიპოვი და დაგიმტყიცებთო, რომ
იქიდან არის ვე ნათარგმნი, ან გადმოღებულო. ვაი ჩვენო თავ-მოსაწონებულო რუსთაველო!
თურქე ქურდი ყოფილხარ და... სხვისი შენად გავისაღებია! ჩვენ-კი რა დიდებულ კაცად მიგაჩ-
ნიეთ, შენს სახელს შეეხაროდით! ბ-ნი მარო, რომელიც ვითარცა დიდგულა მეცნიერი, შუბლზე
ბუზსაც არ ისვამს, უბრალო სიკვდილის-შეილი ზომ არ არის, ტყუილად დაიქადოს რამ და არ
იყოდეს, რომ ღისარი და პირით სიტყვა, რა გასტყორცნო, არ მობრუნდეს“. დაიქადა და აკი...
აი ის დღეა და ეს დღე. მას აქეთ შეიდი-რეა, თუ არ მეტი, წელიწადი გავიდა,—მაგრამ ქაღილი
ქაღილად დარჩა. ბ-ნმა მარმა კარგად იცის,—რა განძია ჩვენთვის ვეფხის-ტყაოსანი; კარგად
იცის, — რა ბურჯია იგი ჩვენის თავმოწონებისათვის, ქვეყნად ხმის ამოღებისათვის. მაშასადამე,
თუ თავში დასაცხები ვისზე რამ უნდა, უკეთესი იქნება აქედამ დაგვცხოს, აქედამ შეგვივგროს
ცხტ-სომეგარ ჩვენის სახელისა და თავმოწონებისა. თუ არ ამან, სხვა რა გულთმეგრამ უნდა
აგვხსნას ეს ამისთანა თვალაუპყრავი მუქარა და ქაღებდა მეცნიერისა, ფსიხოლოგიურად რომ
ჩაუეუკირდეთ?

¹ წერილი ვეფხისტყაოსნის გამო (გაზეთი „თეატრი“, 1890, № 12, 18 მარტი).

² Грузинский извод сказки о трех остроумных братьях из «Русуданияви» (Восточ-
ные заметки, СПб, 1895, გვ. 229).

³ იქვე, გვ. 228.

⁴ ი. ჭავჭავაძე, თბ. სრ. კრებული, ტ. II, 415—479 (ქვათა ლაღადი უკრ წერილე-
ბის საბით იბეჭდებოდა ივერიაში 1899 წელს, შემდეგ იმავე წელს ცალკე წიგნად გამოვიდა).

რა საკადრისა, კაცს ჭერ საბუთი არ ენახოს, არ გაეჩხრკაოს და არც იცოდეს, მართლა ამისთანა საბუთი არის სადმე თუ არა, აიღოს და მთელს ერს შეუვიწყლოს მისი სამართლიანად სახელგანთი კაცი, შეუბღალავოს იგი თითქმის წმიდათა-წმიდა, რომელსაც შეიდას-რეაისი წელიწადია განუწყვეტლად შესტრფის და შეპზარის, შეურყიოს ძირი იმ დიდებულს სასსოვარს, რომელსაც მთელნა ერმავე შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თვისნი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძობანი... რა საკადრისა! კიდევ ვიტყვი: ამისი საბუთი რომ ხელში ჰქონოდა, ვინ რაღას ეტყობა, მართლად წინ რაღა დაუდგებოდა! მაშინ თმცა შეეწყუბდებოდა, მაგრამ მაინც პატივისცემითა და მოწიწებით თავს მოვიხრით მართლის წინაშე. საქმე ის არის, რომ ჭერ საბუთი არ ენახა, და ან რას პნახავდა, რაც არ არის, და მაინც დაიჭადა. მე ესე მომელანდაო, სიზმარში ენახეო, რომ ინგლისში ამისი საბუთი არისო. თუ ეს მართლა სიზმარში მოლანდებული არ არის, მაშ რა ექნა იგი ქადებული საბუთი? რამ ჩაყლაპა? თუ იგი საბუთი არ აღმოჩნდა, ის პატიოსანი და ყოვლად ღირსეული თვისება ჰქმნარტის მეცნიერისა სადღაა, რამ სიქვას: შევედი და ვინახო. განა რომ ესოფლის ნაღიმთა მჯდომელი სოფელსავითვე ჰქრელია¹. განა რომ ბუთისგან ნუ გამოვილი ბოლოკარკაზის ბუღესა².

მოდით და გულზე ნუ მოხვალთ ამისთანა თავგასულ და შეუნანებელ საქციელისაგან! ვმომოხთ, მაგრამ მაინც ვიტყვი: ნუთუ ამისთანა ქედმაღალმა მეცნიერმა, როგორც მარიაა, თითონ რომ ჰქოხობთ, მართალი არა სთქვა? და თუ არა სთქვა, რას გვემართლებოდა? რათ დაიჭადა ასეთის გაბედულის რიხით, და თუ დაიჭადა, რათ არ აასრულა ქადებული? რა ანგარიშია, რომ ჰლამის ხელიდამ გამოგეაცალოს ჩვენ ჩვენი საუნჯე და ამისათვის ცარიელ მუჭარის და ქადილის დალაბრებული, პირგადლევილი ხმალი მოგვიღერა. ვისთვის და რისთვის ირჩება, რომ ისე უსაბუთოდ გვეტანება და ხელიდამ გვაკლის ჩვენს ეფფხის-ტყაოსანსა? ვის შერკმია თვალში ეკლად ეს ქართველების ეროვნულ ღირსებისა და ვინაობის სასსოვარი, რომ ბ-ნი მარია ავ-რეთ თავზე-ხელაღებულად იღწვის ამ ეკლის გამოღებისათვის? ყოველივე ეს თქვენ გამოიცანით, (მკითხველნო), და ჩვენ კი დიდი ხანია ვიცით, რომ ღხარა ხარათ დააბი, ან ფერს იცვლის ან ზნესა³.

ეტყობა, ნ. მარს მწარედ მოხვდა გულზე ილია ჭავჭავაძის კრიტიკის ბასრი მახვილი. იგი განაწყენებულა და გაგულისებულა. მაგრამ ბოდმა დაუფარავს. უფრო საყურადღებო ის არის, რომ ნ. მარს ერთგვარად გადაუშინჯავს თავისი შეხედულება ვეფხისტყაოსანზე უწინარეს ყოვლისა ილია ჭავჭავაძის კრიტიკის ზეგავლენით. ყოველ შემთხვევაში ნ. მარია აწ მორიდებულად აღნიშნავდა: „Естественно, в современной Грузии к вопросу охотнее подходят с национальной точки зрения“, რამდენადაც ქართველები ვეფხისტყაოსანში სამართლიანად ხელავენო, „высшее проявление своего гения в литературе“, იმას უყურებენო „როგორც ნაციონალურ სიამაყეს“, მეტიც, როგორც „священную реликвию родной исторической жизни, народную святыню“.⁴

ნ. მარის მიერ აქ მოხმობილია სწორედ ილია ჭავჭავაძის განსაზღვრებანი. კერძოდ, პირველად ილია ჭავჭავაძემ უწოდა ვეფხისტყაოსანს ქართველთა „წმინდათა-წმინდა“ წიგნი. ეს იგივეა, რაც ნ. მარის „священная реликвия“ და „народная святыня“. თავის წერილში „აქაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი“ ილია ამბობს: „ჩვენ, ქართველებს, სამართლიანად მო-

¹ აფორიზმი ამოღებულია „ქილილა და დამანადან“ (1949 წლის გამოცემა, გვ. 131). აღონდ უკანასკნელი სიტყვა „ჭრელია“ დედანში სხვაგვარადაა — „ტრელია“.

² ამოღებულია „ქილილა და დამანადანეუ“ (იგივე გამოცემა, გვ. 223).

³ ილია გადაკვრით მოაგონებს მკითხველს, რომ ნ. მარია იყო პროფესორ პატკანოვის მოწაფე.

⁴ Вступительные и заключительные строфы „Вязя в барсовой коже“ Шоты vs Русава (ТР, XII, Санктпетербург, 1910, გვ. I—II).

გვაქვს თავი მით, რომ ეგ დიდებული პოემა, შექმნილი ჩვენის ერის დიდებულობის დროსა, ჩვენის კაცისაგან და ჩვენს ენაზედ დაწერილია. ყველამ იცის, რომ ამით ჩვენ თავს ვიწონებთ, ვსახელობთ, ვქაღულობთ¹. აღნიშნულის აშკარა აზრობრივი და ტექსტუალური გამოძახილია ნ. მარის სიტყვები იმის თაობაზე, რომ ამ ძეგლში (ლაპარაკია ვეფხისტყაოსანზე) «грузины по праву видят высшее проявление своего гения в литературе, они в нем инстинктивно ценят современника, конечно не случайного, эпохи политического могущества и блеска родного государства, и на славу «Витязя в барсовой коже» с давних пор смотрят как на национальную гордость».²

ამან ნ. მარს მაინც არ დაუშალა გულში ჩუმად ეტარებინა ბოღმა. გვიან, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის თითქმის ოცდახუთი წლის შემდეგ, სახელდობრ 1930 წელს, ნ. მარმა მოიგონა ილიას ოდინდელი პოლემიკური ლაშქრობა და შეუფერებელი კილოთი აღნიშნა: «Отсле (იგულისხმება XIX საუკუნის 90-იანი წლები,— ა. ბ.) мишень всех националистических нападков особенно острых со стороны грузинских националистов, вождь которых, известный писатель кн. Чавчавадзе, при общем молчаливом сочувствии привоздил его (т. е. Н. Я. Марра, А. Б.) публично к позорному столбу, как ученого продавшегося врагам Грузии».³

აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს ორი გარემოება. ჯერ ერთი, 30-იან წლებში სხვაგვარ მეცნიერულ გუნება-განწყობილებაზე მყოფ ნ. მარს თავი მოაქვს იმით, რომ თურმე ერთ დროს იგი სამარცხვინო ბოძზე გაუჭრავს ქართველი ნაციონალისტების ბელად ილია ჭავჭავაძეს. მეორე მხრით, სახელმძღვანელო მეცნიერი ნებას აძლევს თავის თავს იმდროინდელი „რაპული“ გემოვნების შესაბამისად ილიას უწოდოს თავადი ჭავჭავაძე. ამ ვითომცდა ოდიოზური დახასიათებით მარი ნებისთ თუ უნებლიეთ ცდილობდა სახელი გაეტეხა დიდი ქართველი პოეტისათვის. ნ. მარს ავიწყდებოდა, უკეთ, იგი შეგნებულად ივიწყებდა, რომ ქართველი ხალხი „თავად“ ჭავჭავაძეს (მიუხედავად თავადიშვილური წარმოშობისა) ერთსულოვნად აღიარებდა თავისი უკეთილშობილესი სულიერი ზრახვების გამომხატველ უდიდეს მოწინავე მოაზროვნე პოეტად, მხურვალე მამულიშვილად და უანგარო საზოგადო მოღვაწედ, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის უმიწარ წინამძღოლად, რომელიც სახალხო ინტერესების საბრძოლო სარბიელს მხოლოდ ცარიზმის მოსყიდული აგენტების ვერაგულმა ტყვიამ ჩამოაშორა⁴.

ჩვენ უნდა გავიმეოროთ ილიას მიერ დამოწმებული უკვდავი სიტყვები რუსთაველისა:

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნეებ, რა ზნე გვირსა!

რუსთაველმა შთააგონა ილია ჭავჭავაძე როგორც პოეტი, შემოქმედი-ვეფხისტყაოსანი და მისი იდეები თავისებურად და სხვადასხვა ფორმით აისახა

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრებული, ტ. II, 61 (დაყოფა ჩემია, ა.—ბ).

² TP, XII, გვ. I-II, (დაყოფა ჩემია, ა.—ბ).

³ «Историология в Ленинградском государственном университете (Н. Я. Марр, Избранные работы, I, 1933, გვ. 271).

⁴ ალ. ბარამიძე, ნიკო მარის შეტღობების შესახებ... (ლიტერატურული ძიებანი, III, 50).

ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწერებში. საკითხის ეს მხარე საჭიროებს სპეციალურ შესწავლას¹. ჩვენ აქ დავეკავიფილებით მარტოოდენ გაკვრითი ხასიათის რამდენიმე წინასწარი შენიშვნით.

რუსთაველის აფორიზმები, სენტენციები და სხვა ბრძნული გამოთქმები მარგალიტებივით თინათინობენ ილიას მოთხრობებში და ლექსებში. „კაცია ადამიანის“ სათაურის საცილობელად ქცეული ვააზრება შინაარსობლივად და ტექსტუალურად მართლაც უნდა მომდინარეობდეს ვეფხისტყაოსნიდან². ავთანდილმა რომ პირველად ასმათი დაიხელთა, ქალმა იუცხოვა და კვიცილო მორთა. ავთანდილი მას ეხვეწებოდა დამშვიდებას და

ეტყოდა: ს უ ლ ე, რ ა მ ე გ ი ყ ა ე ? კ ა ც ი ვ ა რ, ა დ ა მ ი ა ნ ი (1233,1).

აი, ეს სინონიმური კაცია, ადამიანი დასდებია საფუძვლად ილია ჭავჭავაძის ჩანაფიქრს. დამფრთხალსა და შემკრთალ თამროსაც („გლახის ნაამბობიდან“) ვაბრო თითქმის ავთანდილის სიტყვებით მიმართავს: „ქალო! რა მიგარბევინებს? მგელი ხომ არა ვარ, ბიჭი ვარ, ადამიანი“. საერთოდ ვეფხისტყაოსნის ძლიერი ზემოქმედება განსაკუთრებით მკაფიოდ ეტყობა „გლახის ნაამბობს“. ეს თხზულება თავიდან ბოლომდის გამსჭვალულია ვეფხისტყაოსნის ჰუმანისტური აზრებით, ტექსტში ბევრია ვეფხისტყაოსნის ციტატები და ვეფხისტყაოსნის ტექსტუალური პერიფრაზები (როგორც, მაგალითად — „წავიდა იგიცა, ვითა სიზმარი ლამისა...“). „გლახის ნაამბობით“ ილია ჭავჭავაძე ააშკარავებს ვეფხისტყაოსნის დიდს აღმზრდელობით მნიშვნელობას საზოგადოდ ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის, კერძოდ, მოზარდი თაობისათვის. მომავლად გლახას შეუძახნია რუსთაველის სიტყვებით „სადაური სადა ვკვდებიო“ და მოუყვანია შესაფერისი ტექსტი ვეფხისტყაოსნიდან („ვა, სოფელო, რაშიგან ხარ...“). ამის გამო ავტორი ურთავს: „მე, აბა, წარმოიდგინეთ, რა-რიგად გამიკვირდებოდა ძონძებში გახვეულის გლახისაგან ეს ვეფხისტყაოსნის სიტყვები!.. ბარაქალა იმ კაცის მეტყველებას, რომლის სიტყვები ამისთანა უნუგე მოსაც ანუგეშებს საფლავის კარამდინა! მშვიდობა ძლიერსა სულსა შენსა უკვდაო რუსთაველო!“

ვეფხისტყაოსნის აღმზრდელობით-შემეცნებითი მნიშვნელობა კარგად არის დახასიათებული „გლახის ნაამბობის“ პერსონაჟის (მღვდლის) პირით: „ბევრგან იმის სიტყვები გაჭირებაში გულს მოგფხანენ, კირს გაგიაღვილებენ, გულს და გონებას გაგიწვრთნიან და სიკეთისათვის წაგახალისებენ“. იმავე პერსონაჟის განმარტებით (პერსონაჟი გამოთქვამს ავტორის აზრებს) ვეფხისტყაოსანი არის „ქართველების გულის საუნჯე“, „ვენაცვალე შენს დამწერსა,“ — გრძნობით ამბობს გლეხის ბიჭი ვაბრო.

„გლახის ნაამბობში“ მხატვრული ერთ მოკლედ განმარტებულია ვეფხისტყაოსნის ჰუმანისტური იდეები ძმობა-მეგობრობაზე, მოყვასისათვის თავგამოდებაზე, ქალის ღირსებაზე, ადამიანის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე, მოვალეობის გრძნობაზე და ა. შ. ნაწარმოებიდან შეიძლება საყურადღებო მეთოდიკური დასკვნის გამოტანა ვეფხისტყაოსნის ტექსტის გარკვეული თანმიმ-

¹ სპეციალურ შესწავლას საჭიროებს აგრეთვე საკითხი—ასკეტიზმის პრობლემა ძველ ქართულ მწერლობაში და ილია ჭავჭავაძის „განდევილი“.

² რ. შამგელაშვილი, „კაცია ადამიანის?“ სათაურის ვეფხისტყაოსნისათვის (ახალგაზრდა კომუნისტი, 11, II, 56).

³ „გლახის ნაამბობი“ ამ მხრით კარგად აქვს გაანალიზებული პროფ. ვ. ბერიძეს (ილია ჭავჭავაძე და ვეფხისტყაოსანი, ცალკე ამონაბეჭდი, 1936).

დევრობით შესწავლის შესახებ. მოძღვარმა გაბროს ჯერ „როსტევეანის ამბის“ კითხვა დააწყებინა. შეკითხვაზე „რატომ თავიდან არ მაწყებინებო“, მოძღვარმა აუხსნა „ნუ აჩქარდები, ყველაფერი თავის დროზედ უნდა. თავი უფრო ძნელია, მგონი, შენთვისაც და ჩემთვისაც; თუნდ ეგ არ იყოს, ამბავი აქედამ იწყება. მერე, როცა მე და შენ კარგად მიგნებდებით, მაშინაც მოვესწრობით მაგის გადაკითხვას“.

დამოწმებული ნაწყვეტი იმასაც გვირკვევს, თუ როგორ კარგად ესმოდა ილია ჭავჭავაძეს ვეფხისტყაოსნის პროლოგის („თავის“) მნიშვნელობა და მისი ტექსტობრივ-აზრობლივი მხარის სირთულე.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ „აკო ყაჩაღს“ ეპიგრაფად უძღვის რუსთველური ტექსტი. რუსთველური აფორიზმი აქვს ეპიგრაფად „აჩრდილსაც“:

რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჟღაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.

ილია ჭავჭავაძის ლექსებშიც (ისე როგორც პუბლიცისტურსა და კრიტიკულ წერილებში) ვხვდებით რუსთაველის პოეტურ ფრაზეოლოგიას ცალკეული გამოთქმებისა თუ მთელი ციტატების სახით. ილია აქაც ზოგჯერ (მაგრამ ძალიან იშვიათად) ასახელებს ავტორს, ზოგჯერ (და უმეტეს წილად) კი არა. მაგალითად „პასუხის პასუხი“ შემდეგი სტროფით იხურება (1, 95):

ვინა ყრინართო
ვირები ხართ, —
მაგ თქვენს ზრდილობას ვით ვკადრება?
მაგრამ შოთა მსოთქვა, —
რაც კოკაში სდგა,
იგივე თურმე წარმოსდინდება.

დამახასიათებელია, რომ ილია ჭავჭავაძე რუსთველურ ტექსტებს საგანგებოდ იყენებს თავის სატირულსა და პუმორისტულ ლექსებში. ამ შემთხვევაში ილიას ლექსებში ხშირად გადასულია, მართალია თავისებურად შეკეთებულ-შეფერადებული, რუსთაველის ტექსტის ტაეპები და სტროფებიც კი. მაგალითად, ი. გ. ო. გ. ე. ბ. ა. შ. ვ. ი. ლ. ის მიძღვნაში ვკითხულობთ:

ჩემი აწ სცანით ყოველმან,
მას ვაქებ, რაცა მიქია:
დედა-უნა მიჩნს სახელად,
არ თავი გამიქიქია.
იგია ფუძე ქართლისა,
მაგარი ვითა უქიქია...
დედა-ენითა წვრთნა ყრმისა
მე ბევრჯერ მოთქვამს, მიქია.
დედა-უნა პირველადვე
სიბრძნისაა ერთი დარგი,
ტკბილი ტკბილად გასაგონი
ყრმათა წვრთნისთვის დიდი მარგი...

მით ზრდას არეინ დამიწუნებს,
 თუ კაცია მართლა ვარგი...
 სიტყვა სრულად გულსა სწვდება,
 დედაუნა მით არს კარგად.

ძირითად ტექსტს მიჰყვება ნ ო რ ო ს მოძახილი, საიდანაც აგრეთვე მოის-
 მის რუსთველური სიტყვების ხმები¹.

რუსთველური სიტყვების გამოყენებით ჰკილავს ილია ჭავჭავაძე მიხეილ
 მაჩაბელს:

მე იგი ვარ, ვინც თიანეთს
 გადალახა მთა და გორი...
 თავი ყოლა ნუ ჰგონია
 ვისმე ჩემი თანასწორი.
 საცა გინდათ მე მგზავნიან,
 გზა მოკლე, თუნდა შორი!..
 არეინ უვით ჩემისთანა
 გრძლად მეტყველი ორატორი.
 ორატორი მას არ ჰქვინან,
 ვინც სადმე სთქვას ერთი, ორი,
 გრძელი სიტყვა მოკლედ მოსჭრას
 და გაქირდეს ვითა ჯორი.
 ვითა ცხენსა შარა გრძელი
 და გამოსცდის დიდი რბევა,
 შართ აგრეთვე ორატორსა
 გრძელთა სიტყვათ ცულად ბნევა.
 უპრაგონო ლაპარაკი,
 გულში ცემა, ხელთა ქნევა,
 არ-დაღალვა, არ-დაქანცვა,
 ოფლის წურვა, ოფლის ფრქვევა...²

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა³, მაგრამ სურათი ნათე-
 ლია. სატირული მიზნებითვე ილია ჭავჭავაძე ზოგჯერ მიმართავს ვეფხის-
 ტყაოსნის ტექსტის იმიტაციას.⁴ ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახე-
 ლოთ მისი ის ლექსი, რომელშიც ნ. ნიკოლაძე ჰყავს გაყენწილილი („იყო ქართლ-
 კახეთს, იმერეთს ნიკოლაძეი სვიანი...“).

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ-კრიტიკულ წერილებსა და მხატვრულ
 შემოქმედებაში ფართო გამოხატულება უპოვია დავით გურამიშვილის „და-
 ვითიანს“, ნაწილობრივ აგრეთვე „ქილილა და დამანას“. „დავითიანის“ ცი-
 ტირების რამდენიმე ნიმუში:

1. „დრო მოვა და გატკბილდების, ხილად სჭამენ პანტის ჩირსა“, ამბო-
 ბენ ქართველები (II, 279). ეს აფორიზმი ამოღებულია „დავითიანიდან“⁵.

2. სჯობს „ტყუილით ქვე ყოფნასა,

¹ შდრ. „ვეფხისტყაოსნის“ 904-ე სტროფის.

² მოყვანილ ნაწევრში მოხმობილია ცალკეული სიტყვები, გამოთქმები და ერთ შემთ-
 ხვევაში („ვითა ცხენსა შარა გრძელი...“) მთელი ტაეპი ვეფხისტყაოსნის პროლოგის მე-13 მე-15
 სტროფებიდან.

³ იხ. თხზულებათა კრებული, 1, გვ. გვ. 113, 115, 120, 121

⁴ იხ. თხზულებათა კრებული, II, გვ. 251.

⁵ დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბილისი, 1955 (ამ წიგნთა გამლექსავის
 გვარისა და სახელის გამოცხადება, 7,4).

ზე სიმართლით ავიბარგო“ (II, 516; ჰირი ქართლისა, 169, 2).

3. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: „მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან, განხეტქოს მთა და გორიო“ (II, 536; ჰირი ქართლისა, 375, 9).

4. გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს წარმოთქმულ სიტყვაში მოიპოვება ასეთი ადგილი: „დიდხანს და დიდხანს ქართველს საბუთი ექნება სთქვას, რაც მართო დიდ-ბუნებოვან კაცზეა თქმული: „მოკვდა და თვისისი ანდერძით აწ ისევ საქმობს მკვდარიო“ (II, 544). ციტირებულ (დაყოფილ) სიტყვებს ამბობს გურამიშვილი პეტრე პირველის შესახებ (ჰირი ქართლისა, 190, 4). საგულისხმოა, რომ ამავე სიტყვებით ამკობს ილია ჭავჭავაძე ერეკლე მეფეს. წერილში „ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან“ ვკითხულობთ: „სახელოვანი ერეკლე იმისთანა კაცი ყოფილა, რომელსაც შთამომავლობისაგან სამართლიანად ეთქმის: „მოკვდა და თვისისი ანდერძით აწ ისევ საქმობს მკვდარიო“ (II, 548).

საყურადღებოა შემდეგი გარემოება. როგორც ცნობილია, „ივერიაში“ სისტემატურად იბეჭდებოდა ე. წ. საანდაზო ლექსები, სხვათა შორის „დავითიანიდან“. ჩვენამდის მოღწეულია „ივერიიდან“ ამოჭრილი და ცალკე აკინძული „საანდაზო ლექსების“ ცალი. აქ გვხვდება „დავითიანის“ შემდეგი ტექსტი: „მე კაცი ვარ ხორციელი, სულ ხომ კაცს არ შევებრდები“. დაყოფილი სიტყვა „კაცს“ შეცდომით არის დაბეჭდილი, ეს შეცდომა შეუძენვეია ილია ჭავჭავაძეს და საკუთარი ხელით გაუსწორებია: „კაცს“ შეუცვლია სიტყვით „ცას“. ტექსტიც საუცხოოდ გამართულა:

მე კაცი ვარ ხორციელი, სულ ხომ ცას არ შევებრდები¹.

ჩვენ ზემოთ უკვე მივუთითეთ „ქილილა და დამანადან“ ციტირების რამდენიმე მაგალითზე. ამას ვიკმარებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ „ქილილა და დამანას“ ტექსტს, როგორც ეს ი. გრიშაშვილმა შენიშნა², გამოხატულება უპოვია ილია ჭავჭავაძის პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“:

არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია.

(დიმიტრი თავდადებული, XX).

კაცის სახელის მძებნელი უკვდავად შემირაცხია,
მკვდრად იგი თქმულა, ვის კაი სახელი ზედ არ აცხია.

(ქილილა და დამანა, 1949, გვ. 49).

დავით გურამიშვილის ლექსები (ისე როგორც ვფხვისტყაოსნის ტექსტები) ილია ჭავჭავაძეს უხვად გამოუყენებია სატირულ თხზულებებში. მრავალთაგან სანიმუშოდ დავიმოწმებ ერთ მაგალითს: ივანე მაჩაბლისადმი მიძღვნილი ლექსის პირველი სტროფი (I, 116)

მე საქორილამ თვალთ შიჩანს
ჩეულება მაქვს ბრმისაო;

¹ თ. შავჭავჭავაძის ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა, გვ 235—236 (საანალოზო ტექსტია „ქართლის ჰირია“ /31-ე სტროფის პირველი ტაქტი).

² საანდაზო ლექსები, გვ. 24.

დავიარები ამ ქვეყნად
ხელით მძებნელი ჭკვისაო.

შდრ. „დავითიანის“ ტექსტს (ჭირი ქართლისა, 64: 1—2):

ბედს საქორჩითგან თვალთ უჩანს, ქალის სახე აქვს ბრმისაო,
დაიარების ქვეყნადა, ხელით მძებნელი ჭრმისაო.

ჩვენი საკითხისათვის ტიპიურია ხო რო ს მოძახილი ამ მიძღვნისადმი
(I, 117):

მიღის, მოღის ეგ ბატონი,
იბრძვის, ჰმფოთავს, პირთის და პლეღავს...
თვითც არ იცის, — ცელს რას აქნევს,
რასა სთიბავს, რასა სცეღავს?
თუ კაცია, თვის თავს ეტყვის,
რასა ჰქსოვს და რასა სთელავს!..
ამად ეწუნობ ამგვარ კაცსა:
სულ ბნელია, რასაც ეღავს.

შდრ. „დავითიანის“ ტექსტს (ჭირი ქართლისა, 561):

მიღის-მოღის ეს სოფელი, ქარტეხილთა ზღვისებრ ღელავს!
უკან დასდევს დრო და ჟამი, მის ნაქსელავს ქსოვს და სთელავს.
ის მკლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა სთიბავს, რასა სცეღავს?
ამად ეწუნობ საწუთროსა, სულ ბნელია, რასაც ეღავს.



აკაკი ხინთიბიძე

ილია ჭავჭავაძის ლირიკის ფორმის საკითხები

ლირიულ განცდას მიმზიდველობა ემატება, როცა იგი დიდი და ძლიერი პიროვნების სულის გამონასხივია. მე-19 საუკუნის საქართველოს ილია ჭავჭავაძეზე უფრო დიდი პიროვნება არ ჰყოლია. ი. ჭავჭავაძე იყო ეპოქის საზრთა მპყრობელი, ბრწყინვალე ნიჭისა და მძლავრი ინტელექტის მქონე, მტკიცე და შეუდრეკელი სულის ადამიანი, რომელშიაც, როგორც ფოკუსში, თავს იყრიდა ქვეყნის ეროვნული, სოციალური, კულტურული, ეკონომიური და ყოველგვარი სხვა ინტერესი. იგი მრისხანე მსაჯულივით იდგა თავისი ერის ღირსებათა სადარაჯოზე და მკაცრი ლოგიკის ძალით, სატირის ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა გარეშე თუ შინაურ მტრებს. ასეთი იყო ილია ჭავჭავაძე და როცა ყოველივე ამას ითვალისწინებ, კიდევ მეტი მნიშვნელობა ეძლევა დიდი მწერლის ლირიულ განცდებს.

ილია ჭავჭავაძე არ იყო სანტიმენტალური განწყობილების ადამიანი; მას სძაგდა „დაძალებული გრძნობა, ძალად მოყვანილი ცრემლი“, უსაგნო ოცნება, მოჭარბებული სინარული და აღტაცება. ყოველივე ეს შეუფერებელი იყო მისი დიდი სულისათვის. მაგრამ ილიასათვის უცხო არ ყოფილა ცრემლი და აღტაცება, ცრემლი და აღტაცება ნამდვილი ვაჟკაცისა, რომელიც მამულიშვილური ბრძოლის დაძაბულ ვითარებაში, დროდადრო მიგვახედებდა თავისი სულიერი სამყაროსაკენ და დიდი ტაქტითა და თავდაპერილობით გვესაუბრებოდა მიქსტიდრემში ჩამალული გრძნობების შესახებ. ილიას ლირიკული განცდები არ არის გრძნობათა უბრალო თმაში; მასში გადმოცემულია ცხოვრების მთელი ფილოსოფია, ხალხისა და ქვეყნის ჰირ-ვარამი,—საერთო-საკაცობრიო იდეალები. ყოველი მოძრაობა ილიას სულისა გარკვეულ ლოგიკასა და ქვეყნდებარებული, გარკვეული იდეითაა გაპირობებული. კარგად უთხრა ვაჟა-ფშაველამ თავის დიდ მასწავლებელს:

საძირკვლად აზრი ჩააგდე,
ზედ დასდგი გრძნობის ტაძარი .

(„ილია ჭავჭავაძის სახსოვრად“)

ი. ჭავჭავაძის ლირიკა მოცულობის მხრივ არ არის დიდი: დაახლოებით 80 ლექსი, რომელთა უმრავლესობა დაწერილია 1857—1860 წლებში, პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში. ილიას ამ პერიოდის ლირიკა განსაკუთრებული თავისებურებით ხასიათდება, ამიტომ იგი ცალკე შეიძლება გამოიყოს.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრი ილიას რეალისტური ლირიკის რომანტიკული ელფერის შესახებ პოეტის მხოლოდ ამ პერიოდის ლექსებზე შეიძლება გავრცელდეს. სწორედ მათში ჰპოვა გამოხატულება ქართველი რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელმა მანერამ მწერლის პატრიოტულ თუ ინტიმურ სულისკვეთებათა გადმოცემისა. საშობლოს სიყვარულით წარმოშობილი სევდა, მშობლიური ბუნების სილამაზით შთაგონებული მღელვარე განცდა, სატრფოს ცრემლი და სიყვარულით ტანჯვა, რომლებიც ილიას ამ ლექსებშია გამოხატული, თემატიკურად, იდეური გააზრებითა და მხატვრული შესრულების მხრივაც ახლოსაა ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებასთან.

ქართველ რომანტიკოსებთან ილიას შემოქმედებითი ურთიერთობის საკითხი ძირითადად გარკვეულია². ჩვენ გვინდა მხოლოდ მივუთითოთ ამ ზეგავლენის ზოგიერთ ახალ მომენტზე და განვსაზღვროთ მისი საერთო ხასიათი და ქრონოლოგიური საზღვრები.

ილიაზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ბარათაშვილის ლექსების კრებულს, რომელიც მას პეტერბურგში ყოფნისას ჩაეარდნია ხელთ. ამას ადასტურებს ილიას მეგობრის კონტა აბხაზის მოგონება და ის ორი ლექსი, რომლებიც ილიამ ბარათაშვილს მიუძღვნა. ილია პირდაპირ წერს:

როს წაგივითხე მისი ლექსები,
ვერა რა ვთქვი რა განცვიფრებულმა .

(„ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“)

ხოლო როგორც კონტა აბხაზი გადმოგვცემს: „თითქმის ერთი კვირა ყმაწვილი ბოდავდა ბარათაშვილით“³.

ქაბუჯი პოეტი არ შეიძლებოდა გულგრილი დარჩენილიყო ბარათაშვილის გენიის მიმართ, რომელიც მან პირველად შეიგრძნო მთელი სისრულით, და არ განეცადა მისი კეთილისმყოფელი ზეგავლენა.

გარდა მხატვრული სახეების სიახლოვისა, მკვეთრად ბარათაშვილისებურია ილიას იმდროინდელი ლექსების მეტრი და რიტმი. მაგალითად, რიტმული თანხვედრილობა ი. ჭავჭავაძის „ლოცვისა“ და ბარათაშვილის „ჩემი ლოცვისა“, — ამ მსგავსი შინაარსისა და განწყობილების მქონე ლექსებისა, — არ შეიძლება შემთხვევითი იყოს; ილია ბარათაშვილის პოეზიითაა შთაგონებული. ამას კიდევ უფრო ნათელს ხდის ლექსი „ოჰ, სად არიან, სიკბაბუკე, სიტკბონი შენი“, სადაც ბარათაშვილისებური გლოვაა ყმაწვილურ სარწმუნოებათა დაკარგვაზე, სიყვარულის წმინდა ტაძრის დანგრევაზე, გრძნობათა გაცივებაზე, ნაადრევ სიბერესა და დაბრძენებაზე. საილუსტრაციოდ შეიძლებოდა მიგვეთითებინა შემდეგ ადგილებზე:

¹ კიტა აბაშიძე, ვტიუფები XIX ს. ქართული ლატერ ატურის შესახებ, ტ. I, 1912 გვ. 169.

² ა. წერეთელი, რამდენიმე სიტყვა „ჩანჯურის“ შესახებ, ჟურ. „ცისკარი“, 1865 წ., სექტემბერი: პავლე ინგოროცევა, ილია ჭავჭავაძე (ბიოგრაფიული ნარკვევი), ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1951 წ., გვ. XXXV—XLIX; დ. გამეხა-რ და შეილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, II, 1957, გვ. 209-223 ა. თოფურია, ი. ჭავჭავაძე და ნ. ბარათაშვილი, ჟურნ. „მნათობი“, 1950, № 11, გვ. 115-130

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. I, გვ. XLIV.

ბარათაშვილი:

რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება? .
(„სულთ ბოროტ“).

ილია:

აღმესნენ იგი საოცარნი ყრმობის სიზმარნი,
გულმა დაჰკარგა იმ სიზმრების სარწმუნოება.

ბარათაშვილი:

ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
(„იპოვე ტაძარი“).

ილია:

მან დამინგრია წმინდა გრძნობის წმინდა ტაძარი.

და სხვ.

გარდა ამისა, ბარათაშვილის გამოძახილი შესამჩნევია ილიას ლექსებში: „დაე, თუნდ მოვეკედე“, „ვაი მას—ვისაც ვაძლევდი მსხვერპლად“ და „მტკერის პირას“, რომლებიც 1858—1859 წლებშია დაწერილი. ამის შემდეგ, 1860 წელს ილია წერს ორ ლექსს ბარათაშვილზე, რომელთაგან ერთი არის აღფრთოვანება და განცვიფრება ბარათაშვილის პოეზიით, ხოლო მეორე—ბარათაშვილის სიკვდილით გამოწვეული ღრმა მწუხარების განცდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ილიას ახლა გაეგოს ბარათაშვილის არსებობაცა და მისი სიკვდილიც და პოეტის ახალგაპრილ სამარესთან მდგარი სამუდამოდ ემშვიდობებოდეს მას: „ვაი, დაგკარგეთ, უღვთო იყო შენი სიკვდილი“.

ამ გულმხურვალე დატირებით ილიამ თითქოს ერთგვარი შვება მისცა თავის სულს, ჩამოიცილა ბარათაშვილის მწუხარე ლანდი, რომელიც განუყრელად თან დაჰყვებოდა მას ამ წლების განმავლობაში და განთავისუფლდა მისი პოეზიის ძლიერი ზეგავლენისაგან.

ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაზე გრ. ორბელიანის კეთილისმყოფელი ზეგავლენის საილუსტრაციოდ მკვლევარები ასახელებენ, ერთის მხრივ, გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოსა“ და ი. ჭავჭავაძის „აჩრდილს“, ხოლო მეორეს მხრივ, გრ. ორბელიანის ლექსს „სალამო გამოსალმებისა“ და ილიას „მგზავრის წერილებს“¹.

ჩვენ გვინდა მივუთითოთ კიდევ ერთ დამახასიათებელ მომენტზე. ჩვენი ფიქრით, გრ. ორბელიანის ლექსთან „სალამო გამოსალმებისა“ ბევრი რამა აქვს საერთო ილიას „ყვარლის მთებს“. კავკასიის მთაზე, რუსეთ-საქართველოს საზღვარზე მდგარი გრ. ორბელიანი აგვიწერს კავკასიის ზვიად ბუნებას და ემშვიდობება თავის სატრფოს, რომელიც თანდათან ეფარება თვალს. ილიას ლექსიც რუსეთსმიმავალი ქაბუკის ასეთივე გამოსალმებაა თავისი მშობლიური მთებისადმი, საყვარელი სამშობლოსადმი. დამშვიდობება ორივე შემთხვევაში ნაღვლიანი ფერებითაა შესრულებული და თვით დეტალებშიაც კი ჩამოგავს ერთმანეთს. მაგალითად გრ. ორბელიანი წერს:

ეტლი პრბის, სატრფო შმორდების... თანა ჰსდევს ჩემი მას სული,
ემზურ... შორს ძლივსლა ჰსჩანს... აღარ ჰსჩანს... რაღასა ვუმზურ შმაგ-ქმნილი? *

ილია:

ყოფლი ნაბიჯი ჩემის ცხენის თქვენთან მაშორებს.
ყოველი წუთი გკარგავს თქვენა და მეც მობოლებს...

¹ ქავლე ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1951, გვ. XXXVII—XLII; ლევან ასათიანი, გრიგოლ ორბელიანი, 1946, გვ. 94—96.

აგერ თქვენც ჰქრებით თან-და-თანა... თქვენსა მწვერვალსა
ძლივს ვარჩევ... წუთიც!... მხოლოდღა ვსჭერებ ციაცსა ცასა.

ეს მრავალწერტილები ორივე პოეტის ერთნაირი სულიერი მღვლეარების
შაუწყებელია და, მიუხედავად იმისა, რომ ერთი თავის სატრფოს ემშვიდობება,
ხოლო მეორე სამშობლო მთებს, საერთო სურათი უცვლელია. შეიძლება ეს
იყოს შემთხვევითი კავშირი ორი ეროვნული პოეტისა. შესაძლებელია ისიც,
რომ ილია ამ დროისათვის ხელნაწერის სახით იცნობდა გრ. ორბელიანის ლექსს,
რომელიც 1841 წელსაა დაწერილი (პირველად გამოქვეყნდა 1860 წელს). მაგ-
რამ, როგორც არ უნდა იყოს, ერთი რამ ცხადია: „ყვარლის მთებს“ აქვს რაღაც
შინაგანი კავშირი გრ. ორბელიანის ლექსთან.

ილიას დამოკიდებულება ქართული რომანტიკოსებისადმი უაღრესად შე-
მოქმედებითი ხასიათისა იყო. არც ერთ შემთხვევაში იგი ბრმად არ მიჰყვებოდა
მათს მხატვრულ ჩანაფიქრს, არ იმეორებდა მათს სახეებს, არ ბაძავდა მათ. ბა-
რათაშვილის გამოთქმა: „რად მრისხანებ, ჩემის ბედის ვარსკვლავო“, სადაც
„ბედის ვარსკვლავში“ პოეტის მომავალი ნაგულისხმევი, ილიას სხვა კონ-
ტექსტში გადააქვს: „გამიქრა ბედის ჩემის ვარსკვლავი“ („ვინ მას — ვისაც ვაძ-
ლევედი მსხვერპლად“). აქ „ბედის ვარსკვლავში“ ნაგულისხმევი კონკრეტული
პიროვნება, რომლის სიკვდილის გამო პოეტი ცრემლს ღვრის. ილიას სიტყვები:
„ვინ მას, ვინცა ჭაბუკობას ჭაბუკ არ არი“ — ერგვარი კვინტესენციაა ბარათა-
შვილის ლექსისა „ჩემთ მეგობართ“¹. ასევე, სატრფოს გამოსაღმების გრ. ორბე-
ლიანისეული მანერა („საღამო გამოსაღმებისა“) ილიას სამშობლოს მიმართ გა-
მოუყენებია („ყვარლის მთებს“). ილია საერთოდ არ იყო იმ ტიპის შემოქმედი,
რომ იოლად აპყოლოდა სხვის ფეხს ხმას, თუნდაც ეს ხმა ბარათაშვილისა და
გრ. ორბელიანის ყოფილიყო.

ამ მხრივ დამახასიათებელია ერთი გარემოება: ყმაწვილობის ასაკში ილიას
დაუწერია ლექსი „ალბომში კნინას ნატალია ანდრონიკოვისას“, რომელიც
თავიდან ბოლომდე ბესიკისეურია:

„ნელ ტანის რხევა, ნაზი ჭკეცა მე შენი ვნახე,
არს შენნი თვალნი, განათალნი ჭაბუკოთვის მახე...“

7 და სხვა

ლექსის ბოლოს მუხამბაზურ ყაიდაზე მოხსენებულია ავტორის გვარი.
ერთი სიტყვით, ეს ლექსი ნამდვილად მიბაძვავა ბესიკისა და საერთოდ მუხამბა-
ზური პოეზიისა. მაგრამ ამას არ მალავს თვით ავტორიც — „გიძღვნი ამ ლექსსა
საალბომოდ, სხვათა მივბაძეო“ — წერს იგი.

ამრიგად, შემოქმედებითი კავშირი ქართველ რომანტიკოსებთან, მათს იდე-
ათა და გრძნობათა სამყაროსთან სიახლოვე, თემატიკური და თვით ფორმალურ-
მხატვრული შეხვედრები ილიას ამ პერიოდის საერთოდ რეალისტურ ლირიკას
რომანტიკულ იერს აძლევს.

ჩვენ არაფერს ვამბობთ ილიას რეალიზმზე, რამაც ცხოველი გამოხატულე-
ბა ჰპოვა პოეტის აღრინდელ ლექსებში; არაფერს ვამბობთ იმ მხატვრულ პრინ-
ციპებზე, რაც რეალისტ ილიას რომანტიკოსებისაგან განასხვავებს; ვფიქრობთ,
ეს ისე ნათელია, რომ მას საგანგებო მტკიცება არ სჭირდება.

1861 წლიდან, ილიას საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ პოეტის ლირი-
კა საგრძნობლად იცვლის ხასიათს. ეს სხვაობა იგრძნობა პირველსავე ლექსში

¹ აქ უნდა მოვიგონოთ, აგრეთვე, გრ. ორბელიანის ლექსი „ანტონს“, რომელშიაც პირ-
ველდადა გატარებული ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისი.

(„მას აქეთ, რაკი შენდამი“), რომელიც პოეტმა პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ დაწერა. ბარათაშვილის მსგავსად, ილიაც ამ ლექსში მარტობასა და სულიერ ობლობას უჩივის. ბარათაშვილის ერთხელ დაობლებულმა სულმა აღარ იცის

ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა,
ეფიქრება ხელმეორედ მას ნდობა .

ილიას სულიერი ობლობა კი იქიდან წარმოდგება, რომ თავის ქვეყანაში, ამდენ ხალხში კაცს ვერ ნახულობს—„რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვეუზიარო“.

ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ილია ბარათაშვილიდან ამოდის¹. მაგრამ, ბარათაშვილისაგან განსხვავებით, ილია პირდაპირ, დაუფარავად გვისახელებს თავისი ფიქრისა და ტანჯვის მიზეზს. ბარათაშვილის სულიერი ობლობის წყარო, საფუძველი კი რომანტიკულ ბურჟუაზია ვახვეული, ძნელი გასარკვევია ქართლის ბელია იგი, საკუთარი ოჯახური უბედობა, სატრფოს უარი თუ სამივე ერთად. ეს კია, რომ ბარათაშვილის კენესა-წუხილი უფრო ინტიმური ხასიათისაა, ვიდრე ილიასი. ილიამ ბარათაშვილის დარღ-ნალევლს რომანტიკული გაურკვეველობის ბურჟუაზი ჩამოაცალა და, აკაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „უფრო თამამად“ უთხრა ხალხს—„აი, რა უნდა ეთქო თქვენთვის ბარათაშვილსაო, აი რას მოასწავებდა და რას ნიშნავდა მისი კენესაო“.

ბარათაშვილის „სული ობოლისა“ და ილიას „მას აქეთ, რაკი შენდამის“ ურთიერთ-შედარება ნათელს ხდის, თუ როგორ დასძლია საბოლოოდ რეალისტმა ილიამ რომანტიკოსი ბარათაშვილი, რომლის პოეზია ასე ძლიერად აწვებოდა ახალგაზრდა პოეტის სულს და თავის ორბიტში მომწყვდევას უქადდა მას. ეს ორი ლექსი კარგი ნიმუშია ერთი და იმავე თემის, მოტივის რომანტიკულ და რეალისტურ ასპექტში გადაწყვეტისა.

ილიას ლირიკა, მიუხედავად მკირე მოცულობისა, იტევს თემათა და მოტივთა გარკვეულ რკალს, რომელიც სრულიად საკმარისია მასზე, როგორც ეპოქის ხასიათის გამომხატველ ერთ მთლიან, დასრულებულ მხატვრულ მოვლენაზე მსჯელობისათვის. ამასთან ერთად, ილიას ლირიკა მხატვრული გამოსახვის ზერხებისა და საშუალებების მკაცრად განსაზღვრული ხასიათით, წერის მკვეთრად გამოკვეთილი თავისებური მანერით გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ილიაზე, როგორც მხატვარზე.

ილიას ლირიკა, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს გამოსახვით ობიექტის ღრმა ვააზრებით, მასთან თავისი დამოკიდებულების გამოაშკარავებით, ამა თუ იმ მოვლენაზე თავისი მსჯავრის დადებით. ილიას ლირიკის გაცნობისას ნათელი ხდება, რომ ის დიადი მოქალაქეობრივი იდეალები, რითაც გაუღნითილია ილიას მთელი შემოქმედება, მწერლის სულის ორგანული ნაწილი ყოფილა, მის პირად ცხოვრებასთან გადაჯაჭვული, მის პირად ინტერესებად ქცეული. ამიტომაც, რომ ყოველ საგანს (პირადული იქნება იგი თუ საზოგადოებრივი) ილია ისე წარმოგვიდგენს, როგორც საკუთარი სულიერი ცხოვრების ნაწილს. მას არ უყვარს იოლი გზით სვლა, არ შეუძლია მოვლენებზე უგულო, ზერელე, ზედპირული საუბარი; იგი არ ერიდება თავის ლექსებში დააყენოს ცხოვრების რთული და საჭირობო საკითხები, შეეხოს ადამიანის სულის

¹ ეს შენიშნული აქვს თავის წერილში აკაკი წერეთელს.

ღრმად დაფარულ სიმებს. ილიას შეუძლია თვით უბრალო საგანშიც სხვების მიერ შეუნიშნავი დიდი მნიშვნელობის აზრი დაინახოს. ყოველივე ამის გამო ილიას ლექსების სახით საქმე გვაქვს ღრმა აზრებისა და ძლიერი ვნებების შემცველ პოეზიასთან.

მთავარი ძარღვი ილიას ლირიკისა, ისე როგორც საერთოდ მისი შემოქმედებისა, არის ეროვნული მოტივი. ამ გრძნობის გადმოსაცემად ილია რამდენიმე ხერხს მიმართავს. დამახასიათებელია, კერძოდ, ბუნების სურათების ფონზე სამშობლოს მდგომარეობის გამოხატვა („ელეგია“, „გაზაფხული“). „ელეგიაში“ ბუნების სტატიკურ სურათს ეთანხმება ქვეყნის მიძინებული მდგომარეობა:

ვიდექ მარტოა... და მთების ჩრდილი
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეაღერება .

„გაზაფხულში“ კი გაცოცხლებულ ბუნებასა და კვლავ მღუმარე ქვეყანას შორის კონტრასტია. ბუნება ხარობს, ჰყვავის, გაზაფხულის იერით იმოსება, ქვეყანა კი ჯერ არ გამოფხიზლებულა ზამთრის ძილისაგან.

ბუნებისა და ადამიანის დაპირისპირებას საუცხოო გამოხატულება უპოვია ლექსში „მწუხარება“. პოეტის გული შეპყრობილია საშინელი სევდით, რომელიც ადამიანის ღრმა სულიერ ტანჯვამდეა ამალებული:

სული მიგუბდა, გული მტეხდა ტკივილით, ტანჯვით,
თითქოს ჩემს გულსა ზედ გარდესხა ნავთი მღულარე,
ძარღვნი სკდებოდნენ საშინელის წვითა და დაგვით,
ტინი მეწოდა, გესლი მწვეთდა თვალთაგან მწარე .

ხოლო ამ ღროს

ქვეყანაზედ და ზეცაზედ კი იყო ღუმლი
მოლხენით იყვნენ უდარდელნი მთიებნი ცისა .

ეს მკვეთრი დისპარმონია ანარეკლია ცხოვრების მოუწესრიგებლობისა, ქვეყნისა და ხალხის დაბეჩავებული მდგომარეობისა. ილია მწვავედ განიცდის ამას და ეს არის ძირითადი წყარო იმ მძაფრი კონფლიქტიანობისა, რითაც მისი ლირიკა ხასიათდება. ლექსში „დაკარგული ედემი“ გადმოცემულია ტრაგედია ხალხისა, რომელსაც ბუნების მომხიბველ ედემში თავისი ბედნიერება დაუკარგავს. განსაკუთრებით მწვავედება განცდა, როცა ლექსის დასასრულს პოეტი გვეუბნება, რომ ის თვალწარმტაცი ედემი, სადაც მშვენიერ ხალხს თავისუფლება, ბედნიერება დაუკარგავს, ჩემი სამშობლოა.

სამშობლოს სილამაზე, მშვენიერება კიდევ უფრო მეტად და მეტად უკლავს პოეტს გულს. ეს გრძნობა შესანიშნავადაა გადმოცემული ლექსში „კითხვა-პასუხი“:

კარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყნავ,
ლამაზად მორთულ და მოკაზმული;
მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული .

რამდენადაც უფრო მალღდება სამშობლოს სიმშვენიერის განცდა, იმდენად უფრო ძლიერდება ეს გულის კვდომა და განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ღებულობს ლექსის ბოლოს, როცა უპასუხოდ რჩება პოეტის სამართლიანი საყვედური უსამართლო განგების მიმართ:

მარკვი. რად არის იქ გულთა კდომა,
სად სიციცხლეა გახარებული,
და რამდენად შენ ცხოველ-ყოფელ ხარ —
იმდენად უფრო რად კედება გული? .

მაგრამ ტრაგედია ამით არ თავდება: არაფერ არის ქვეყნის უბედურების გამკითხავი, არაფერ შესტივია გული სამშობლოს ბედ-იღბალზე. 1881 წელს ი. ოქრომქედლიშვილისადმი გაგზავნილ ბარათში პოეტი წერდა: „სხვა აქაურნი ამბები რა მოგწერო. ყველაფერი ძველებურად არის, ჩვენებურად: იგივე მთა, იგივე ბარი და იგივე გულაცრუებული ერი. კაცი არ არის გარეშემოში, რომ ადამიანის ნიშან-წყალი ჰქონდეს, უყრვიართ ისე, როგორც ნახირი ბაკში“¹.

ძნელია ეროვნული დაცემულობის ამაზე უფრო ძლიერი მხატვრული წარმოსახვა. ეს სიტყვები შორეული გამომდინარეობისაა ლექსისა „მას აქეთ, რაკი შენდამი“, რომელშიც გამოხატული იყო პოეტის ტანჯვა იმის გამო, რომ თავის ქვეყანაში, აშდენ ხალხში სამშობლოს ბედზე დაფიქრებულ კაცს ვერ პოულობდა, რომ მისთვის გული გაეხსნა, გრძნობა გაეზიარებინა. მაგრამ პირადი წერილი უფრო შორს მიდის. ჩანს, იმ ოც წელიწადში, რომელიც წერილს ლექსისაგან ამორებს, კიდევ უფრო გაძლიერდა პოეტის ეს გულისტკივილი და ზემოთ მოყვანილ სიტყვებში მძაფრი გამოხატულება ჰპოვა.

ილიას პოეტური სტილისათვის უცხო არ ყოფილა ჩვენს მაშინდელ პოეზიაში ცნობილი და გავრცელებული ხერხი სატრფოს ცნებაში სამშობლოს გამოხატვისა. „ყვარლის მთების“ შედარებისას ლექსთან „სალამო გამოსალმებისა“ შესაძლებლად მივიჩნით ის აზრი, რომ ილია იცნობდა გრ. ორბელიანის ლექსს და მის მიერ დახატულ სატრფოში სამშობლო უცენია, ანდა მისი სატრფოსადმი განშორება სამშობლოსადმი განშორებით შეუცვლია.

უფრო საინტერესოა მეორე მაგალითი: გასული საუკუნის 70-იანი წლების თბილისში ძალზე გავრცელებული ყოფილა ხალხური სატრფიალო რომანის „ორთავ თვალის სინათლეც, რაზედ მოგიწყენია“. ილიას ლექსს „ჩემო კარგო ქვეყანა“ ყოველი სტროფის ბოლოს მოსდევს რეფრენი: „ჩემო თვალის სინათლეც, რაზედ მოგიწყენია“, რომელიც თავდაპირველად ზუსტად ისე ყოფილა, როგორც ეს სატრფიალო რომანსშია².

ეკვი არაა, რომ ილია ამ სიმღერით სარგებლობს (რომელიც ილიას ლექსის დაწერამდე იყო ცნობილი)³, მაგრამ სარგებლობს არაპირდაპირ. სატრფოზე ნათქვამი ილიას სამშობლოზე გადააქვს. სამშობლოა მისთვის თვალის სინათლე — ეს ყველაზე უფრო ძვირფასი განძი ადამიანისა⁴.

¹ ი. ჭავჭავაძე, წერილები, 1, 1949, გვ. 63.

² გამოთქმას: „ორთავ თვალის სინათლეც“ ილია, ვფიქრობთ, იმავე მოტივით ცვლის, რა მოტივითაც იწუნებდა „შეშლილის“ მთარგმნელის სტრიქონს: „ცრემლი არ მშრება არც ერთ თვალზედა“. „თვალის სინათლეც“ იმგვარი სახეა, რომ მას მხატვრულად არაფერს მატებს დართვა სიტყვისა „ორთავ“.

³ ამაზე პირველად მიუთითა ი. გრიშაშვილმა. იხ. მისი „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბიბლიოთეკა“, 1928 წ. გვ. 108.

⁴ ეს არაპირდაპირი გამოყენება ძველ მწერალთა სახეებისა, აზრებისა, საერთოდ დამახასიათებელია ილიასათვის. ამგვარად მოექცა იგი ალ. ჭავჭავაძის ლექსს „მუხამბაზი ლათიაური“. ერთნული შინაარსი ზადო იქ, სადაც ლეონის მოტრფილის განცდები იყო და ლექსსაც შესაფერი სათაური მისცა — „ჩემი თარიარალი“. ამავე თვალსაზრისით საინტერესოა ილიას იუმორისტულ-სატირული ლექსი „ორ-ხმიანი სახალწლო ოპერტი“, რომელშიაც რუსთაველის, გუბაშვილისა და აკაკი წერეთლის პოეტური სახეები, სიტყვები, ფრაზები გამოყენებულია

1877 წელს ილიამ დაწერა ლექსი „ალარც ნატერა და ალარც იმედია“. ერთი შეხედვით, ლექსი წმინდა სატრფიალო ხასიათისაა, მასში ლაპარაკია „უიმედო ტრფობაზე“; პოეტი მიმართავს სატრფოს: „ახ, რად გნახე შენ ჩემს საუბედუროდ-“ო, თავის გულს კი ეუბნება: ერთხელ დაწყნარებულო, ერთხელ მკედარო გულო, რაღად აღსდექი მკვდრეთითო და სხვ. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ლექსი შეიძლება მიჩნეულ იქნეს მწერლის ეროვნული გრძნობის გამომხატველ ნაწარმოებად. მასში წარმოდგენილი სატრფო იგივე სამშობლოა. კიტა აბაშიძის მოპყავს ადგილები ამ ლექსიდან იმ კონტექსტში, სადაც ილიას მამულიშვილობაზეა საუბარი¹. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კიტა აბაშიძე არ ცდებოდა, თუმცა ამ აზრს დასაბუთება მაინც ესაქიროება.

პირველყოვლისა, დამაფიქრებელია ლექსის ძლიერი პესიმისტური დასაწყისი. უიმედო სიყვარულის შესახებ ილიას ბევრი ლექსი დაუწერია ჭაბუკობაში, მაგრამ არსად არაა მოცემული ასეთი მწვავე განცდა უიმედობისა. ეს სიტყვები უფრო შესაფერი იქნებოდა სამშობლოს ბედ-იღბალზე მეოცნებე ილიასათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსის შემდეგი სტრიქონები,

ახ, რად გნახე შენ ჩემს საუბედუროდ.
რამან შეგქმნა ვერე სავსე სიკეთით?

ილიას მთელი პატრიოტული ლირიკა მწუხარე კენესაა გარეგნულად ლაშაზ, მშვენიერ, მაგრამ უბედურ, დამონებულ სამშობლოზე. ეს კონტრასტი უკლავს პოეტს გულს, ეს არის მისი ტანჯვის სათავე („დაკარგული ვედიმი“, „გაზაფხული“, „კითხვა-პასუხი“ და სხვ.). ეს გრძნობაა ჩაქსოვილი ზემოთ მოყვანილ სტრიქონებშიაც.

სიტყვა „ტრფობას“ მამულის მისამართით ილია სხვაგანაც ხმარობს. ლექსში „ჩემო კარგო ქვეყანავ“ პოეტი ასე მიმართავდა სამშობლოს:

წერილ-შვილნი წამოგვეწრნენ ნაზარდი. გულმტკიცები,
მათი ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები.

მათი გული შენისა ტრფობის ფართო ბუღვა.

ამ ნაზარდ, გულმტკიცე შეილებში, რომელთა გული სამშობლოს ტრფობის ბუღვა, ილია, ალბათ, თავისთავსაც გულისხმობდა. იგი ჯერ კიდევ ყრმა, „ძლივს შოსული გონს და ცნობასა“ სამშობლოს მიმართ რაღაც არაჩვეულებრივი განცდით იყო შეპყრობილი („ყვარლის მთებს“). პეტერბურგში მყოფ პოეტს სიზმარშიაც არ ასვენებდა თავისი ქვეყნის ხატება („პავლოვსკის პარკი“) და რომანტიკული აღტკინებით ოცნებობდა ცარიზმის უღლისაგან სამშობლოს განთავისუფლებაზე („მესმის, მესმის“, „მგზავრის წერილები“). ამ გრძნობით შეპყრობილი ჩამოვიდა ილია საქართველოში, აქ კი ქვეყნის მდგომარეობის უფრო ახლოს. გაცნობამ რომანტიკული იდეალებით გატაცებული ჭაბუკი გულდინჯ რეალისტად აქცია, მისი ძირითადი ზრუნვის საგანი გახდა ქვეყნის შინაგანი გაძლიერება, ხალხის სულიერი და მატერიალური ძალების განვითარება. მაგრამ

სხვადასხვა პიროვნებათა და მოვლენათა დასახასიათებლად ძირითადად იუმორისტულ-სატირულ პლანში. ეს მხატვრული ხერხი, რომელიც ძალზე გავრცელებულია ჩვენს დღევანდელ იუმორისტულ-სატირულ პოეზიაში, ვფიქრობთ, ილია ჭავჭავაძიდან მოდის

¹ კიტა აბაშიძე, ეტიუდები XIX ს. ქართული ლიტერატურის შესახებ, ტ. 1, გვ. 156-157.

სამშობლოს ეროვნული განთავისუფლების გრძნობა ისე ღრმად იყო ჩაქირული პოეტის გულში, რომ მისი ამოშლა შეუძლებელი იყო და, აი, დასახელებულ ლექსში პოეტი კვლავ ძველ „ნატვრასა“ და „იმედს“ უბრუნდება, რომელიც გამქრალა და მის ნაცვლად პოეტს დარჩენია უიმედო ტრფობის ისრით განგმირული გული. ამ განწყობილების პოეტური გამოხატულება უნდა იყოს სიტყვები:

ეპა. გულო, ერთხელ დაწყნარებულო,
ერთხელ მკვდარო, რაღას აღსდევნი მკვდრეთით.

ბოლოს, გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ ილიას ამ ლექსის დაწერამდე ერთი წლით ადრე გაზ. „ღროებაში“ გამოქვეყნდა აკაკის ცნობილი ლექსი „აღმართ-აღმართ“, რომელშიც გამოყვანილია მტრის მიერ მონიბლული, შემცდარი სატრფო—სამშობლო. ის საერთო თვისებები, რაც ამ ორ შესანიშნავ ლირიკულ ნაწარმოებს ერთმანეთთან აკავშირებს, გვაფიქრებინებს, რომ ილიას „აღარც ნატვრა და აღარც იმედია“ ერთგვარი გამობზაურება უნდა იყოს აკაკის ლექსისა „აღმართ-აღმართ“¹. სატრფოს სახით სამშობლოს გამოხატვის აკაკისეული მანერა, რაც ორიგინალურ მხატვრულ სამკაულად მიჰყვება მთელ მის პოეზიას, როგორც ჩანს, უცხო არ ყოფილა ილიას პოეტური შთაგონებისათვის.

ილიასა და აკაკის შემოქმედების ურთიერთობასთან დაკავშირებით გვინდა კიდევ ერთ დამახასიათებელ მაგალითზე მივუთითოთ. საქმე შეეხება ილიას „ბედნიერ ერს“ და აკაკის ლექსს „გამტანია ჩვენი ერი“. მათ შორის უდავო მსგავსებაა, — ორივე სატირული ხასიათის ნაწარმოებია, — ერთიანი იდეური მიზანდასახულობით და მხატვრული კონცეფციით; ძირითადად, ერთნაირია მათი მეტრული წყობა და რიტმული ვარიაციებიც. ილიას ლექსის წამყვან რითმაზე „ერი“ აგებულია აკაკის ლექსი მთლიანად; ორივესთვის ნიშანდობლივია მესამე სტრიქონის გარითმულ მუხლებად დატეხა და სხვ.

ილია:

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მ ძ ი მ ე ყ ა ლ ნ ი თ,
ლ ა მ ა ზ ფ ა ლ ნ ი თ
მორთული და მშვენიერი.

აკაკი:

გამტანია ჩვენი ერი
გარეგახად მშვენიერი,
თ ე ა ლ შ ი მ ც ქ ე რ ი, პ ი რ მ ო მ ფ ე რ ი,
ქვეშ-ქვეშ მტერი, ტკბილად მმღერი

ფფიქრობთ, აკაკის „გამტანია ჩვენი ერი“, რომელიც ილიას „ბედნიერ ერის“ შემდეგაა დაწერილი, ამ უკანასკნელის გამოძახილი უნდა იყოს.

ილია სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა თავის უნარსა და შესაძლებლობაში დარწმუნებული, ყოველმხრივ მომზადებული დიდი და სერიოზული ბრძო-

¹ გარდა ტექსტუალური მსგავსებისა, აქ ყურადღებას იქცევს მეტრულ-რიტმული თანხედრობაც. „აღმართ-აღმართ“ თერთმეტმარცხულიანი თეჯლისურ-მუხამბაზური ლექსია. ეს ზომა აკაკისათვის ტიპიურია („ჩემო თავო“, „მუხამბაზი“ და სხვ.), ხოლო „აღარც ნატვრა და აღარც იმედია“ ერთადერთი ლექსია ილიას მთელს შემოქმედებაში, რომელიც ამ საზომითაა დაწერილი.

ლებისათვის; მან წინასწარ მიიღო საჭირო სულიერი წრთობა, გამოსცადა ბედის-ბრკეყალები, სიყვარულის ბასრი ეკალი, ბევრი სხვა ტანჯვაც, მაგრამ ყველაფერი დასძლია, ყველას გაუძლო. ამიტომ მისი პირადი განცდები არ არის განცდები ცხოვრების წვრილმანებზე მოწუწუნე ადამიანისა, მასში მოჩანს ძლიერი სულის, მტკიცე ნების პიროვნება, ამალღებული ცხოვრების ყოველდღიურ წინააღმდეგობებზე და დაპირისპირებულ ბუნებისა და საზოგადოების მრისხანე ძალებთან. ილიას არ ეშინია თვით ბედთან ჭიდილისა, არ ეშინია სიკვდილისა, საშინელებისა, ოღონდ კი თავის დასახულ მიზანს მიადწიოს, თავისი სიკვდილით გზა გაუნათოს მის კვალზე შემდგარ შთამომავლობას:

დაე. თუნდ მოკვდე, არ შეშინან,
მარამ კი ისე, რომ წემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი .
(„დაე, თუნდ მოკვდე“).

ეს არის ილიასებური გახსნა „მერანის“ იდეისა შთამომავლობისადმი თავგანწირული სამსახურის შესახებ. მხოლოდ ერთი რამ აფიქრებდა პოეტს: ამ ქვეყნიდან ისე არ წასულიყო, რომ თავისი კვალი არ დაეტოვებინა. აი, იგი წარმოიდგენს, რომ ბრძოლისაგან დაღლილი, წუთით ხელს უშვებს ნიჩაბს და თვითღინებით მიჰყვება ცხოვრების ტალღებს. მდინარე მას თავისი მცირე ნავით ზღვაში შეიყვანს, ზღვა კი გადაკრავს თავის მძლავრ ხელს, ჩაჰლუპავს ცივ სიღრმეში და წაიშლება მისი ურგები კვალი. ამის წარმოდგენა იყო ყველაზე დიდი ტანჯვა პოეტისა („მარტო მივსურავ“, „სიმღერა“). ყველას და ყველაფერს გაეუძლებ, ამბობს იგი, „ხოლო ჩემ თავის არაფრობისა არ ძალმიძს, ძმანო, ვერ რით გაძლება.“

ცხოვრება გამუდმებული ბრძოლა და ჭიდილია, ამ ბრძოლაში ადამიანი ზოგჯერ იღლება, დუნდება, სულიერ წონასწორობას კარგავს, ყველაფერს არა-რაობად მიიჩნევს. ილიასთვის არც ამგვარი განცდებია უცხო:

დაბნელდა სული, გარშემოც ხნელა,
სიცივე მკვიდრობს ეხლა ჩემს გულში;
აღარ მაქვს საზრდო სულისათვის მე
არც სიძულელიში, არც სიყვარულში .

(„დაბნელდა სული“).

რაოდენ მძაფრი სულიერი ღელვა უნდა გადაეტანა ილია ჭავჭავაძეს, რომ ეთქვა „აღარ მაქვს საზრდო სულისათვის მე“. მაგრამ ეს მაინც არ არის სულიერი დეპრესია. ავტორი მაინც ქედმოუხრელია, იგი ქონდრისკაცებთან ბრძოლაგადაბნდილი ვაჟკაცის იერით დაჰყურებს მოვლენებს:

ეხლა მათ საზიზღ, მდაბალ მტრობაზედ
არც შეცინება, არც შეტირება .

ეს რთული და მრავალფეროვანი ბუნება ილიას მღელვარე სულისა გამოხატულებას პოულობს მის სატრფიალო ლექსებშიც. ილიას გავებით, სიყვარული ეს არის ტანჯვა და ამ ტანჯვაშია სრული სიცოცხლე და ბედნიერება. სიყვარულით ტკბობა მას მხოლოდ ოცნებად გადაქცევია („მაშინ დავსტკბები სრულ-

ლის სამოთხით“). მაგრამ ეს ჰაეროვანი ოცნებაც გარკვეული კონფლიქტების შემცველია, აქაც შეზღუდულია პოეტი, აქაც სრულ ნეტარებას ვერ ეძლევა:

მწყუროდეს, მაგრამ კრძალულებითა
მე შენთვის კონცა ვერ გამებედოს .

რაც უფრო გადმოდის პოეტი ფანტაზიიდან რეალობაში, მით უფრო წინა-აღმდეგობანი რთულდება, გრძნობები მძაფრდება. სიყვარულის კონფლიქტზეა აგებული ილიას თითქმის მთელი სატრფიალო ლირიკა. აი, პოეტი შეჰყურებს სატრფოს, რომელიც დასტირის თავის ბედსა და სიყვარულს და თვითონაც მისგან დაშორებით ცრემლს ღვრის. სურათი შეიცვალა: სატრფოს ვარდი უპყრია ხელთ და სიყვარულით დასცქერის მას, პოეტი კი კვლავ ძველებურად ღვრის ცრემლს („ვიხილე სატრფო“). მაგრამ ილიასთვის უცხო არ იყო სიყვარულით აღფრთოვანებაც. ამის შესანიშნავი ნიმუშია რომანისი „ხმა გულისა“, სადაც მყუდრო ბაღნარში წამოწოლილი პოეტი თავის გულში აღმოაჩენს სიყვარულით გაგიჟებულ ბუღბუღს.

სიყვარულის ტკბილი ოცნებანი, ტანჯვა და სამოთხე, ჰაბუკური ფიქრები და გატაცებანი მალე მოეშალენ პოეტს. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაშივე მის ლალ გრძნობას ფრთა მოჰკვეცა პატრიოტი მოქალაქის მძიმე მოვალეობამ— ქვეყნისა და ხალხის სამსახურის შეგნებამ, ისე რომ იგი ვერ მოესწრო ყმაწვილური ნეტარებით დატკობას და აი, ჰაბუკი ილია დასტირის უდროოდ დაკარგულ სიჰაბუკეს. როცა ვკითხულობთ სტრიქონებს— „თვალ-წინ მიყრია უკეთესნი ყვაეილნი მჰკნარნი,“ ანდა:

განძარცვილვარ გრძნობით, უდროდა მეკეთენ ფრთენი,
გაზაფხულია, მე კი ვღგვეარ ვით უფოთლო ხე

(„ოჰ, სად არიან, სიჰაბუკე, სიტკბონი შენნი“).

ნათლად ვგრძნობთ პოეტის სულის მძაფრ მოძრაობას.

ასეთივე მწვავე კონფლიქტზეა აგებული ლექსი „ალაზანს“. პოეტი მშობლიური მდინარის ზვირთებში ეძებს თავის დაკარგულ ყმაწვილობას, ნადვლიანად შეჰყურებს იქვე მდგომ მუხას, რომლის ჩრდილ-ქვეშ არაერთხელ მისცემია სანეტარო ფიქრებს სასურველ არსებასთან ერთად... აწ გაქრა ის შვება გულისა, ის ტბილი აწმყო; წაეიდა როგორც მაშინდელი ზვირთი მდინარისა:

შენც გამოცლილხარ, ალაზანი, მუხაც გამხმარა...
მეც უდროოდროდ გამერია თმეში ჰალარა .

ამრიგად, ილიას ლირიკა გამომხატველია ავტორის მწვავე სულიერი ტკივილებისა, გრძნობათა მძაფრი ჰიდილისა. ილია ღრმად წვდება მოვლენებს და მკითხველს აძლევს საშუალებას მის არსში ჩაიხედოს, მისი ბუნება, ხასიათი განჰკვირიტოს. ამასთანავე, ეს საგნები, მოვლენები თავისთავად დიდმნიშვნელოვანი არიან, პოეტის სულის გზით უკავშირდებიან სამშობლოს, ხალხის ბედს, ადამიანობის პრობლემას, საერთო-საკაცობრიო იდეალებს. ილიას ყოველი პირადი განცდა საერთო-საზოგადოებრივის სიმალღემდეა აყვანილი, ხოლო საზოგადოებრივი ტკივილი პირადი განცდის სახითაა მოცემული. ორივე შემთხვევაში იგი ერთნაირად მძაფრია, ერთნაირად დიადი და ამაღლევებელი. ილიას კარგად ესმის ლირიკის როლი და მნიშვნელობა ადამიანის სულიერი ცხოვრების

გამოხატვის საქმეში. მას სჯერა ლირიკის, პოეზიის დიდი ზემოქმედებითი ძალისა. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე წარმოთქმულ სიტყვას ილია ლ. ბერნეს სიტყვებით იწყებს: „თვითელი ცემა გულის ძარღვისა გვკრის და გვაწულულებს ჩვენ, და ჩვენი სიცოცხლე ჭრილობიდან, სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო“¹.

“პოეზია ღვთაებური ღონეა,— მიმართავს ილია პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ,— გულის სიღრმიდან ადამიანის გრძნობათა მარგალიტების ამომტანელი, მხატვარია ცხოველყოფელი და ხორცშემსხმელი უსხეულო აზრისა, ფიქრისა, გრძნობისა...²

პოეზია დიდი ესთეტიკური ღირებულების მატარებელია, „... იგი გვატკბობს და გვასიამოვნებს ჭირსა და ლხინშიაც... იგი ხატებაა ჩვენთა გრძნობათა, გულისთქმათა, ფიქრთა, ნაღველთა, ლხინთა, ერთის სიტყვით ხილულთა და არა ხილულთა“³.

ილიას ამ შეხედულებებს პოეზიის შესახებ კარგად პასუხობს მისივე ლირიკული შემოქმედება, როგორც ეს ზემოთ ჩატარებული ანალიზიდან დავინახეთ. მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ იქნება საკმარისი ილიას ლირიკის შინაგანი სტრუქტურის ასახსნელად და გასათვალისწინებლად. საჭიროა კიდევ უფრო ღრმად შესვლა პოეტის შემოქმედებითს ლაბორატორიაში და ფხიზელი დაკვირვება იმ მხატვრულ ხერხებსა და საშუალებებზე, რომლებსაც ილია იყენებს თავისი ფიქრებისა და განცდების გადმოსაცემად.

* * *

ილიას პოეტური ოსტატობის საკითხს არაერთხელ გამოუწვევია კამათი და აზრთა სხვადასხვაობა. გასული საუკუნის 60—70-იანი წლების გაცხარებულ პოლემიკაში ილიას რკინის ლოგიკით მიწასთან გასწორებული მოწინააღმდეგენი მაშინვე მის ლირიკას ეცემოდნენ, როგორც, მათი აზრით, ყველაზე სუსტ ადგილს მწერლის შემოქმედებაში და მისი ლექსების ძაგებით ცდილობდნენ თავიანთი დანგრეული პოზიციების გამაგრებას. დავის საგანი პირველ რიგში იყო ილიას ლექსების ესთეტიკური მხარე.

ძირითადი მიზეზი ილიას თანამედროვეთაგან მისი ლირიკული შემოქმედების სათანადო შეუფასებლობისა, ვფიქრობთ, იყო ის იდეურ-მხატვრული სიახლე და თავისებურება, რაც მას გააჩნდა ადრინდელ ქართულ პოეზიასთან შედარებით.

ი. ჭავჭავაძის ლექსი პრინციპულად განსხვავდებოდა, ერთი მხრივ, ჩვენი ხალხური პოეზიისაგან და, მეორე მხრივ, რუსთაველის, თეიმურაზ პირველის, დ. გურამიშვილის, ბესიკის, ალ. ჭავჭავაძის ლექსებისაგან, ხოლო ნ. ბარათაშვილის ნოვატორული პოეზია 60-იან წლებამდე ჩვენში არ იყო იმდენად ფეხმოკიდებული, რომ მას თავისი ტრადიცია შეეჭმნა. ილია სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ცენტრში მოექცა და მისი ღრმა შინაარსით დატვირთული მძიმე სალექსო სტრიქონები, არასწორხაზოვანი რიტმი და ნაკლები რითმა უცნაურად მოეჩვენა ქართველი მკითხველის ყურს.

მართლაც, გარეგნულად, ერთი შეხედვით, ილიას ლექსი ნაკლებ ეფექტურია. მასში იშვიათად თუ შეხვდებით მოხდენილ მეტაფორებსა და შედარებებს,

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, 1953, გვ. 250.

² იქვე, გვ. 91.

³ იქვე, გვ. 90.

ნაირ-ნაირ მხატვრულ სამკაულებს, სტრიქონის მსუბუქ რიტმულ რხევას, მელოდიას, შინაგან ამღერებას, ყოველივე იმას, რითაც ბრწყინავდა ჩვენს ძველ პოეზია. მაგრამ ილიას ლექსებს აქვთ დიდი შინაგანი ღირსებანი, რაც სათანადო გაანალიზების შემდეგ საეხებით ცვლის ამ პირველ შთაბეჭდილებას.

პირველი დიდი ღირსება ილიას ლექსისა მდგომარეობს მის იდეურ სიცხადესა და სიმკვეთრეში. ავტორის მიზანდასახულება, ძირითადი იდეური ძარღვი მტკიცედ კრავს ლექსს და გასაქანს არ აძლევს არც ერთ ლამაზ ფრაზას, თუ იგი ლექსის ძირითად იდეას უშუალოდ არ პასუხობს. ცალკეული სტრიქონი, ფრაზა ილიასათვის მხოლოდ იმდენად არის კარგი, რამდენადაც იგი აუცილებელია ლექსის იდეური მთლიანობისა და მხატვრული ჩანაფიქრის უფრო სრულყოფილად გამოხატვისათვის. „მწუხარების“ პირველ ვარიანტში მეორე სტროფი ასე იწყებოდა:

“ ტირილი მსურდა და გამიშრა ცრემლიცა ტყილი,
ლოცვა მინდოდა, — დამკარგა სიტყვაც ლოცვისა”.

ილია დარწმუნდა, რომ ეს თავისთავად ლამაზი, მოხდენილი სტრიქონები ვერ გვაძლევდნენ შესაფერ წარმოდგენას მის მძიმე სულიერ მდგომარეობაზე. ამიტომ ისინი შეცვალა უფრო მძაფრი და მღელვარე სტრიქონებით (იხ. დასახელებული ლექსის შუა ექვსი სტრიქონი „სული მივუბნა, გული მტეხდა ტკივილით, ტანჯვით“ და ა. შ.).

ილიას ლექსები კომპოზიციურად მტკიცედაა შეკრული, აზრის დინება გარკვეულ ლოგიკურ კანონებსაა დაქვემდებარებული; ხშირად ენაცვლება ერთმანეთს სიტყვები: **რისთვის, მისთვის**. ლექსში „მითხარით, რისთვის ჩემ თავდანა მსურს“... ყოველ სტროფში არის კითხვა **რისთვის, მხოლოდ უკანასკნელ სტროფშია მოცემული პასუხი—მისთვის**.

ლექს „კითხვა-პასუხის“ პირველი ნაწილის ყოველ სტროფში წამოყენებულ აზრს თანამიმდევრულად აქვს პასუხი გაცემული მეორე ნაწილის შესაბამის სტროფებში, რაც ქმნის დასრულებულობისა და მთლიანობის შთაბეჭდილებას.

„გუთნის დედას“ დასაწყისში წამოყენებულია თეზა ანტაგონისტურ საზოგადოებაში უფლებრივად მშრომელი ადამიანის პირუტყვთან გათანაბრების შესახებ, გუთნისდედა მიმართავს თავის ხარს: „შენი უღელი ჩემს უღელზედა არ არის ძნელი“: ამ აზრის შემდგომ განვითარებაში გუთნისდედა იმ დასკვნამდე მიდის, რომ ბუნებისაგან ბოძებული ის უპირატესობა, რაც ადამიანს პირუტყვთან შედარებით გააჩნია, კიდევ უფრო გულისმომკვლეელია მისთვის —

შენ ვერ გაიგებ შეტყვევის ტანჯვას,
როცა მართალსა სიტყვას გულში კლავს .

ამიტომ საეხებით კანონიერად გაისმის ლექსის ბოლო ნაწილში გუთნისდედის სიტყვები:

„აქ შენდ, ლაბავ, ჩემი უღელი
შენს უღელზედა უფროა ძნელი .

ისეთი კუთხე მონახა ილიამ ადამიანისა და პირუტყვის შესადარებლად, რომ მიღებული დასკვნის სამართლიანობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ასე მძაფრდება და უფრო კონკრეტულ-დამაჯერებელი ხდება ლექსის დასაწყისში წამოყენებული სოციალური უთანასწორობის იდეა. ეს იდეური მთლიანობა ლექსს კომპოზიციურად კრავს და უფრო მონოლითურს ხდის.

ილიასთვის დამახასიათებელია პირველი სტროფის, პირველი ფრაზის განმეორება ლექსის ბოლოს, რაც გარკვეულ ჩარჩოს ქმნის ლექსში წარმოსახული აზრისა და გრძობისათვის. მაგრამ ხშირად დასაწყისი სტრიქონები უცვლელად არ შეორდება ლექსის ბოლოს და ამ შეცვლის მიზანია ლექსში გატარებული იდეის უფრო ნათელ და გარკვეულ ფორმებში დასრულება.

„ყუარლის მთების“ შედარებით ნეიტრალური დასაწყისი—„სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებს თავსა“—დასასრულში ასეთ ამაღლებულ სახეს ღებულობს:

„მშვიდობით, ჩემო, თვალში ცრემლით განებებთ თავსა“.

„ბედნიერი ერი“ ამ სტრიქონებით იწყება:

ჩვენსთანა ბედნიერ
განა არის სადმე ერი?

ეს რეფრენი, რომელიც უცვლელად მეორდება ყოველი სტროფის შემდეგ, ლექსის ბოლოს ამგვარ სახეს ღებულობს:

ჩვენსთანა ბედნიერი
კიდევ არის სადმე ერი?

აქ უფრო კატეგორიულად და გადაწყვეტითაა ნათქვამი, რომ ისეთი უბედური ერი, როგორც ჩვენი ერია, სხვა კიდევ არ შეიძლება არსებობდესო.

კიდევ ერთი მაგალითი. ლექსი „დაკარგული ედემი“ ასე იწყება:

ვის უნახავს ის ედემი შლალი..

და ასე თავდება:

ვის უნახავს ის სამშობლო ჩემი?

ამ დასასრულთ ილია ეუბნება მკითხველს, რომ ის გაშლილი ედემი, სადაც მშვენიერ ხალხს თავისი ედემი დაუქარგავს, ჩემი სამშობლოაო. ამით ნათელი ეფინება ლექსის იდეურ ჩანაფიქრს და, ამავე დროს, გასაქანი ეძლევა მკითხველს იფიქროს ავტორის დამწუხრებულ სულზე. მოულოდნელი დასასრული ახალი ფიქრისა და ოცნების დასაბამი ხდება¹.

ამრიგად, აზრის ლოგიკური მთლიანობა არის სათავე ილიას ლექსების მონუმენტურობისა. ამავე დროს, ილიას ლექსებში აზრი მხატვრული სახეების მეშვეობით არის გადმოცემული და არა ლოგიკური ცნებების ენით. ილიას ყოველი მხატვრული სახე ღრმად, ზუსტადაა გამიზნული და ცხოველ წარმოდგენას გვაძლევს მოვლენის ხასიათზე. მეტაფორა—„შენს ძარღვისცემას მე ყურს ეუგდებ სულგანაბელი“, რომელშიც გამოსახულია პოეტის დამოკიდებულება თავისი სამშობლო ქვეყნისადმი, ზუსტი განმსაზღვრელია ილიას მთელი მოღვაწეობისა. ასევე, „ელეგია“ მეორე სტროფი ერთი მთლიანი მეტაფორაა. მასში შესანიშნავადაა დახატული დასუსტებული, გაოგნებული ქვეყანა, რომლის ძილში ზოგჯერ ტანჯვით ამოძახილი კვნესა ისმის, რაც ცხადად მიგვანიშნებს მის ბედკრულ მდგომარეობაზე.

¹ ეს ზერში საერთოდ დამახასიათებელია ილიასათვის. მოვიგონოთ დასასრული ნაწარმოებებისა: „კაკო ყაჩალი“, „მგზავრის წერილები“, „სარჩობელახედ“, „ოთარანთ ქერივი“.

ილიას პოეტური აზროვნების სიღრმე და ორიგინალურობა ცხადად იჩენს თავს ცალკეულ მხატვრულ თქმებში, როცა ერთი მოვლენის გამომხატველი სიტყვა სხვა სფეროშია გადატანილი. მაგალითად, „ზღვაში ჩალუპვის“ პარალელურად ილია ხმარობს გამოთქმას—„ჰაერში ჩალუპვა“; „ლურჯსა ჰაერში ჩავილუპები“-ო, ამბობს ფრინველი („ჩიტი“), მაგრამ ეს გამოთქმა არსად არ იქნეს იმდენ ძალასა და ცხოველმყოფელობას, იმდენ სილამაზესა და მომხიბვლელობას, როგორსაც იგი იქნეს მეტაფორაში:

სადაც წეროთა ქარავანი ცას დაღუპული

(„ყვარლის მთებს“).

ეპითეტების კლასიკურ გამოყენებასთან გვაქვს საქმე ილიას სატირულ ლექსებში („ბედნიერი ერი“, „გამოცანები“, „კიდევ გამოცანები“, „პასუხის პასუხი“ და სხვ.). მაგალითად, შეიძლება ითქვას, რომ „ბედნიერი ერი“ თითქმის მთლიანად ამ მხატვრულ ხერხზეა აგებული. ლექსის მთელი სიტყვიერი შემადგენლობის ნახევარზე მეტი ეპითეტია და ისინი—სახელობით ბრუნვაში დასმულნი, თითქოს სტატიკურ მდგომარეობაში მყოფნი, ზმნის, შემასმენლის გარეშე—შესანიშნავად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას: მწვავე სატირულ ფორმებში ახასიათებენ ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის წყალობით ღირსებაახდილ ერს. აი, რამდენიმე ნიმუში ამ დახასიათებისა:

უწყინარი,
უჩინარი,
ქედრეკილი, მადლიერი...
თვალაბმული,
თავკარული,
პირს ლაგამი ზომიერი...
მტვერწყარილი,
თავდაბრილი,
ყოვლად უქმი, უდიერი...
მტრის არ მცნობი,
მოყვრის მგმობი,
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი .

და სხვ.

ასეთივე მკვეთრი და მამხილებელია ილიას ეპითეტები მიმართული „მამათა“ ბანაკის წარმომადგენელთა წინააღმდეგ:

ჩვენ მოკუნტულნი,
თქვენ გაპლინძულნი
ვერა ვთავსდებით ერთმანეთშია .

(„პასუხის პასუხი“).

ეპითეტების ეს სიუხვე მხოლოდ სატირული ლექსებისთვისაა დამახასიათებელი; რაც შეეხება საკუთრივ ლირიკას, აქ ილია ძალზე თავდაპირველია ენის მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებათა ხმარებისას. განსაკუთრებით უცხოა მისთვის მეტაფორისებულები სტილი, ფრაზის უხვი ორნამენტირება. ის ღრმა და მნიშვნელოვანი აზრები, რომლითაც დატვირთულია ილიას სტიტიკონები, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, დიდი ზემოქმედებითი ძალის მატარებელი არიან. მოვიგონოთ ცნობილი სტროფი—„დაე, თუნდ მოვკვდე, არ შეშინიან...“ ანდა „იანიჩარის“ ის ადგილი, რომელშიაც ასე ღრმადაა ჩაქსოვილი ჩვენი ეროვნული ტრაგედია:

„გოჭო თუ ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმაზრდესა,
შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამლუპველ ოსშალუსა“.

ილიას, როგორც დიდი მწერლისა და მოაზროვნის, მახვილ თვალს შეუძლია ჩვეულებრივი საგნის იქით უფრო ღრმა და არსებითი დაინახოს. აი, იგი შეს-
ცქერის ცხენზე უდარდელად მოთამაშე ივერიელ კაპუკს, რომელსაც უცხო
ქვეყანაში თავისი ეროვნული მეობა დაეწყებია და თვალწინ ეხატება ქართველ
მამულეთა შემზარავი ბედი, რაც წარმოათქმევენებს ზემოთ მოყვანილ სიტ-
ყევბს. მაგრამ ის მხატვრული სილალე, რაც ამ სტრიქონებისთვისაა დამახასია-
თებელი, არ შეიძლება მარტო აზრის ცხოველმყოფელობით ავხსნათ: იგი ენის
ცხოველმყოფელობის შედეგიცაა. ილიას პოეტური ენა მდიდარია აზრის ცოც-
ხლად, დინამიურად გადმოცემის ფორმებით. მისი მთავარი დამახასიათებელი
თვისება არის საგნობრიობა და მოქმედებითობა, რაც ხელს უწყობს მოვლენის
ნათელ, კონკრეტულ, ცოცხალ წარმოსახვას და რაც მეტყველებაში ზმნათა და
არსებით სახელთა სიუხვით ხორციელდება.

ზმნათა (შემასმენელთა) და არსებით სახელთა (ქვემდებარეთა და დამატე-
ბათა) სიხშირის, და ამის შესაბამისად წინადადებათა სიმოკლისა და სიმარტივის
წყალობით, ილიას ლექსებში აზრი, ამბავი წინაა წამოწეული, მოქმედება დინა-
მიურია, ადგილი აღარ რჩება ბუნდოვანებისათვის. მიუხედავად ღრმა და რთუ-
ლი შინაარსისა, ილიას პოეტური ფრაზა ყოველთვის ნათელია, გასაგები, ადვი-
ლად აღსაქმელი; უაზრო, არაფრისმთქმელი სტრიქონები ილიასათვის უცხოა.

ზმნათა და არსებით სახელთა სიხშირეს ილიას ლექსებში ჯერ კიდევ პროფ.
ალ. ცაგარელმა გაუსვა ხაზი. 1870 წელს გაზ. „დროების“ ფურცლებზე ალ. ცა-
გარელი მისი თანამედროვე ქართული მწერლობის მიმოხილვის დროს ეხება
ილიას „გაზაფხულს“ („ტყევე მოისხა ფოთოლი“), რომლის ღრმა ხალხურობის
დამადასტურებელ ერთ-ერთ მთავარ სტილურ ნიშნად ავტორს მიიჩნია ის გა-
რემოება, რომ ლექსი ხასიათდება „ზმნისა და სახელი არსებითის სიმდიდრით,
რომლებიც ს ა გ ე ბ ს ა და იმათ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს გამოხატავენ“¹.

ილიას „გაზაფხული“ მართლაც გამოირჩევა ამ მხრივ. 21 სიტყვიდან მას-
ში 15 არსებითი სახელი და ზმნაა. ზედსართავი სახელი (განსაზღვრება—უპი-
თეტი) სულ ორია, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ო ბ ო ლ ი ვა-
ზი“. ეს მშვენიერი გამოთქმა, რომელიც ილიამ პირველად შემოიტანა სამწერ-
ლო ენაში ო ბ ო ლ ი მ ა რ კ ა ლ ი ტ ი ს ანალოგიით, დღესაც ინარჩუნებს თა-
ვის ადრინდელ სურნელებას.

ზედსართავი სახელების სიქარბე ნაწარმოებს, ერთი შეხედვით, თითქოს
მხატვრულ ელფერს აძლევს, მაგრამ სინამდვილეში იგი ხელს უშლის აზრის
თავისუფალ, შეუფერხებელ განვითარებას და ხშირად სათავეა უაზრობისა და
ბუნდოვანებისა. ასე ფიქრობს, კერძოდ, ილია და ძირითადად სწორედ ამან გან-
საზღვრა მისი დამოკიდებულება ჩახრუხადისადმი. ილიას არ მოსწონს ჩახრუ-
ხადის „თამარიანი“ თავისი მხატვრულ-სტილური მიმართულების გამო. არ
მოსწონს იმიტომ, რომ იქ, ილიას სიტყვებით, არ არის „არც აზრი, არც სურათი,
არც მშვენიერება, არც უკუა, არც გული, არაფრისთანა არაფერი, გარდა ზედ-
შესრულების რახარუხისა... მისი თამარის ქება მთელ მოთხრობის ოდენაა. ზედ-
შესრულით დაიწყება და თითქმის ზედშესრულით თავდება“².

¹ „დროება“, 1870, №4. ხაზი ავტორისაა.

² ი. ჯ. ა. გ. კ. ა. ვ. ა. ძ. ი. თ. ხ. ს. რ. კ. რ. ხ. ლ. ი. ტ. 3, გვ. 10—11.

ზედშესრულების (ზედსართავი სახელების) სიჭარბე და ზმნის სიმცირე „თამარიანის“ სტილს ამძიმებს, სინათლესა და სიმსუბუქეს უქარგავს, მის სტრიქონებს ზოგჯერ კონკრეტულობას მოკლებულ უწინაარსო ფრაზებად აქცევს და ამცირებს მკითხველზე მისი ზემოქმედების ძალას.

ილიას შეხედულებით, „სიტყვის ნაწილებს შორის მარტო ზმნა არის აზრის გამომხატველი“. „უზმნოთ არა ენა, ფრინველის ენის მეტი, არ იხმარება და უფრო ჩვენი დალოცვილი ენა... სადაც ზმნა აკლია, იქ თვით აზრიც არ არის“¹.

კოზლოვის „შეშლილის“ რევავ ერისთავისეულ თარგმანში ილიას მხოლოდ ერთი ადგილი მოსწონდა. „მთელს თავის თარგმანში,—წერდა ილია,—თავად ერისთავს აქვს ექვსი სტრიქონი ლექსი ისეთი ლამაზი და მსუბუქი, რომ ჩვენ არც კი გვჯერა, რომ იმისი დაწერილი იყოს. აი, ეს ლექსები რარივად ხატავენ შეშლილის მღვდმარეობას:

ხან მიიხედავს, ხან მოიხედავს,
გარემოს ჩვენსა საფლავს შეხედავს...
ამოიხორებს, იწყებს ლოცვასა...
ხან ათრთოლდება. შეხედავს ცასა,
შეშინებული მე მომეყვება
და ხან უეცრად კრეპს მოჰყვება..

აი, აქ ჩანს ენაც, მხატვრობაც, აზრიც და ის სურათი, რომლის წარმოდგენაც ცხადად შეიძლება. ეს ლექსები ისე შევნიან დანარჩენ ლექსებში, როგორც ვარდი კინკრებში“².

ზემოთ მოტანილი ნაწყვეტი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ზმნების სიუხვით და სწორედ ეს არის სათავე მისი სილამაზისა და სიმსუბუქისა.

საილუსტრაციო მავალითების მოტანა ილიას პოეზიიდან შორს წავიყვანდა, რადგან ეს თვისება მეტ-ნაკლებად ნიშანდობლივია ილიას თითქმის ყოველი ლექსისათვის³.

წინადადებებში ზმნათა და არსებით სახელთა სიმდიდრის წყალობით ილიას პოეტური სტრიქონები აზრის არაჩვეულებრივი ტევადობით ხასიათდებიან. ამ მხრივაც ილია ბარათაშვილის უშუალო მემკვიდრეა. მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ილია ზოგჯერ მხოლოდ აზრის ლოგიკურ განვითარებას მიჰყვება და საგანგებოდ არ ზრუნავს მისი მხატვრული გაფორმებისათვის, სტრიქონები შედარებით მშრალია, მავალითად:

რა შევხედო მზეს? ვიცი, ვადმოყრილს
კაცთ მაცოცხლებელს არც ერთსა მის სხვის
არ ძალუქს ჩემი გულის გათბობა .

(„ერთხელ ჯდა ჩემთან ქალი ლამაზი“).

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 20, 52.

² იქვე, გვ. 25—26.

³ პოეტური მეტყველების ამ თავისებური ნიშნის მიმართ, რომლის მიხედვით ფრაზა მით უფრო სხარტი და მოწნილია, რაც უზუად შეიცავს ზმნასა და არსებით სახელს და არაა დამძიმებული განსაზღვრებებით (ზედსართავი სახელებით), შემოქმედებითი მიდგომა საჭირო იგი არ შეიძლება ყველგან და ყოველთვის მხატვრულობის კრიტერიუმად იქნეს გამოცხადებული.

მიუხედავად იმისა, რომ აქ ფრაზა ღრმავარდნიანია, იგი მაინც არ ტოვებს შესაფერ მხატვრულ შთაბეჭდილებას, მძიმედ და უხალისოდ იკითხება. ამისი ერთ-ერთი მიზეზი, სხვათა შორის, ისიცაა, რომ მეორე სტრიქონში ერთმარცვლიანი სიტყვების სიჭარბე (6 სიტყვიდან 4 ერთმარცვლიანია) აფერხებს სტრიქონის რიტმულ დინებას. ზოგჯერ ამ ენობრივ სიმშრალეს ემატება შინაგანი სითბოს უქონლობა და ქეშმარიტი პოეტური განცდის ნაცვლად ვლებულობა რიტორიკას. რიტორიზმის საშიშროებას თავის ლექსებში კარგად გრძობდა და ითვალისწინებდა თვითონ ილია. სწორედ ამის გამო მას თავისი რამდენიმე ლექსი დაუწუნებია კიდევ, გამოქვეყნების ღირსად არ უცვნიო. ლექსები „პავლოვსკის პარკი“ და „ს...ს“ („მის აქეთ, რაც შენ მე შემეყვარდი“) ხელნაწერშივე გადახაზულია და ავტორის ხელით არშიაზე მიწერილი აქვს პირველს— „რიტორიკა უშეერი“, ხოლო მეორეს— „რიტორიკა“. ამ ლექსებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ილია მკაცრი და მომთხვენელი იყო არა მარტო სხვების, არამედ, კიდევ უფრო მეტად, საკუთარი თავის მიმართ. ამასთან ერთად, ილია ყურს უგდებდა და ანგარიშს უწევდა სხვების რჩევას, შენიშვნას. 60-იანი წლების ცნობილ პოლემიკაში, როგორც ვიცით, კრიტიკის საგანი გახდა ილიას ლირიკაც. თუ რამდენად უსუსური იყო ეს კრიტიკა, იქიდანაც ჩანს, რომ ერთი კრიტიკოსთაგანი ილიას სიტყვებში —

მამულო საყვარლო
შენ როსლა აყვავდები

მწვანე ბალახის ნატვრას ხედავდა, ხოლო მეორე იწუნებდა ამავე ლექსიდან გამოთქმას „ობოლი ვაზი“ იმ მოტივით, რომ ვაზი, რომელსაც ბაღში ასე და ათასი სხვა ვაზი ახვევია, არ შეიძლება ობლად მივიჩნიოთ.

მიუხედავად იმისა, რომ ილიას ამგვარ კრიტიკოსებთან ჰქონდა საქმე, მაინც თუ მათს შენიშვნებში რაიმე გონიერულს ნახავდა, ლებულობდა და შემდეგ ამის მიხედვით თავის ლექსებს ასწორებდა კიდევ. მაგალითად, მან ძირითადად მიიღო ბარბარე ჯორჯაძის შენიშვნა „მერცხლის ჭყვილის“ შესახებ („გაზაფხული“). გიორგი ბარათოვის შესწორების საფუძველზე „ელეგიას“ უკანასკნელი სტრიქონი: „როსლა გვექნება ჩვენ გაღვიძება“, ასე გადააკეთა: „როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება“ და სხვ.

ილია საერთოდ ბევრს მუშაობდა თავის ლექსებზე. მრავალჯერ უბრუნდებოდა მათ, ასწორებდა, ცდილობდა რაც შეიძლება სრულყოფილი სახით მიეწოდებინა მკითხველისათვის. ილიას ლექსების დიდი ნაწილი რამდენიმე ვარიანტის სახითაა ცნობილი, ეს მძიმე და შეუწულებელი მუშაობა პოეტურ სიტყვაზე შედეგი იყო იმ დიდ. პასუხისმგებლობისა, რომელსაც ილია მუდამ გრძობდა მკითხველი საზოგადოების წინაშე.

პოეტური სინტაქსიდან ილიას მხატვრული სტილისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია გრადაცია—მოვლენის მხატვრული წარმოსახვის გაძლიერება, გამძაფრება, ამაღლება. ილიას გრადაციები ორგანულ კავშირშია განმეორებასთან, განმეორების გზით ხშირად ხორციელდება ზედასვლა, მხატვრული ცნების გაძლიერება. მოვიგონოთ „განდეგილის“ პროლოგისეული გრადაცია, რომლის ყოველი კენტი სტრიქონი იწყება ერთი და იმავე სიტყვით „სად“, ანდა გრადაცია პოემიდან „დედა და შეილი“:

სადაც რამდენჯერმე მეორდება სიტყვა „ხალხი“.

გრადაციის ბრწყინვალე ნიმუშად უნდა ჩაითვალოს „გუთნის დედას“ შემდეგი სტრიქონები:

„მე ჩემის კირის, ჩემის წუხილის.
ჩემის კაცობის გულის დღულის
სიტყვანი გულში მებაღებთან...“

ამ სტრიქონებში ხელშესახებადაა ნაჩვენები გუთნის დედის მძიმე ტრაგედია, —გრადაციის საფეხურებივით თანდათან მალა და მალა ასული. მკითხველს ხიბლავს გამოთქმის ძალა და სურნელება მიუხედავად იმისა, რომ სიტყვები ნათესაობით ბრუნვაშია დასმული, რასაც ჩვეულებრივად უნდა შეეფერხებინა და დაემძიმებინა გამოთქმა.

გამოთქმის ძალა და სურნელება განსაკუთრებით საგრძნობია იქ, სადაც სიტყვის შინაარსობრივი მხარე გაძლიერებულია ბგერათა ჰარმონიული წყობით. ჩვენ მხედველობაში ვვაქვს ილიას ცნობილი სტრიქონები:

აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა
და აღმიგზნებს იმელს გულში.

(„მესმის, მესმის“).

სადაც განმეორებულია ძირითადი აზრის გამომხატველ სიტყვათა (ზმნათა) დასაწყისი ბგერები, რომელთა ჰარმონიულობა ზუსტი გამოხატულებაა იმ იდეური ჰარმონიულობისა, რომელიც ამ ორ სტრიქონს შორის არსებობს: ხალხთ ბორკილის მტკრევის ხმა არა მხოლოდ აღაფრთოვანებს, აღიტაცებს პოეტს, არამედ გარკვეულ იმედსაც აღუგზნებს გულში; უფრო პირდაპირ რომ ვთქვათ, ილია არა მარტო აღფრთოვანებულია გარბილდის ბრძოლებით თავისი ქვეყნის განთავისუფლებისათვის, არამედ მას გულში იმედიც ესახება, რომ ნაციონალურ-გამათავისუფლებელი ბრძოლის სანატრელი ხმა შესაძლებელია თავის მამულშიაც გაიგონოს. გარდა ამისა, ლექსის იდეური შინაარსის უკეთ გამოვლინებას აქ ხელს უწყობს მოხდენილი ასონანსი—ხმოვან ი-ს გამეორება ყველა იმ სიტყვაში, რომლებზეც გადატანილია ლექსის იდეური აქცენტი (აღმიტაცებს, აღმიგზნებს, ის, იმედს); საგულისხმოა ისიც, რომ ამ სიტყვებში მახვილი თითქმის ყოველთვის ბგერა ი-ს ეცემა.

ბგერათა გამეორების საინტერესო შემთხვევასთან ვვაქვს საქმე „ქართვის დედას“ შემდეგ სტრიქონში:

მხნობა, ხმალი, მკლავი ქველური.

ეს არის ალიტერაციის გარკვეული სახეობა, რომელსაც შეიძლება ჭაჭვი-სებური ალიტერაცია ვუწოდოთ. პირველი ორი სიტყვა ერთმანეთს უკავშირდება თანხმოვნებით ჭანი და ხანი (მხნობა-ხმალი), მეორე სიტყვა მესამესთან, გარდა პირველი და მეორე სიტყვის საერთო თანხმოვნის მანისა, დაკავშირებულია აგრეთვე ბგერა ლასით (ხმალი-მკლავი), ხოლო მეოთხე სიტყვას მესამესთან, გარდა ბგერა ლასისა, აკავშირებს თანხმოვანი ვინი (მკლავი ქველური)¹.

¹ ჭაჭვისებური ალიტერაციის შესანიშნავი ნიმუშია რუსთაველის ცნობილი სტრიქონი: **ქართვის კალთა ჩახლართული ჩაეჭერ, ჩავაკარბაკე**.

ამრიგად, ჩვენ ვეხებით ილიას პოეზიის ემოციურობის ერთ მნიშვნელოვან მომენტს. ეს არის საკითხი ლექსის მუსიკალური წყობის შესახებ. ჩვეულებრივად ილიას მიიჩნევდნენ იდეურობის ისეთ მქადაგებლად პოეზიაში, რომელიც თითქოს ნაკლებ ანგარიშს უწევდეს ლექსის ემოციურ-მუსიკალურ მხარეს. საილუსტრაციოდ ასახელებდნენ მის წერილს „საქართველოს მოამბეზედ“, რომელშიაც დაგმობილია პოეტის „ბულბულივით უაზრო შტეენა“ და ლექსი „პოეტი“, რომელიც ასე იწყება:

მისთვის არ ვმღერ, რომ ეიმღერო
ვით ფრინველმა გარეგანმა.

და ბოლოს, მიუთითებდნენ იმ ლექსებზე, რომლებიც, ამ კრიტიკოსთა აზრით, მუსიკალურ-პარამონიულობის თვალსაზრისით არ იქცევენ ყურადღებას.

არ იქნებოდა მართებული გვეფიქრა, თითქოს ილიას ლექსები სრულებით არ იძლეოდნენ საბაბს ამგვარი დაეჭვებისათვის. ილიას ლექსების რიტმი ზოგჯერ უსწორმასწოროა, არის შემთხვევები სტროფში მაღალი და დაბალი შაირის უადგილო შენაცვლებისა, რასაც დისპარმონია შეაქვს ლექსის მუსიკალურ მთლიანობაში („ხმა სამარიდამ“, „ქართველ სტუდენტების სიმღერა“ და სხვ.). გარეგნულად არაკეთილხმოვან შთაბეჭდილებას ტოვებს ილიას რითმაც, რომელიც ხშირად ღარიბია. ამასთან ერთად, ილია ზოგჯერ კვეცავს და კუმშავს სიტყვებს, რის გამოც ხმოვნები მცირდება, თანხმოვნები ერთად იყრიან თავს და სიტყვა მძიმდება, თავის მუსიკალურ სილამეს ჰკარგავს; ეს კვეცალობა, ზოგჯერ, გრამატიკულადაც გაუმართლებელია, მაგალითად: რ ა ს ც („მუშა“), რ ა მ დ ე ნ ა დ ც („კითხვა-პასუხი“), უ ს უ რ ვ ლ ო დ („მარტო მივეტურავ ცხოვრების ზღვაში“) და სხვ. მრავალთანხმოვანიანობა საერთოდ დამახასიათებელია ილიასათვის: „გ ა ნ ძ რ ც ვ ი ღ ვ ა რ გ რ ძ ნ ო ბ ი თ“ („ოჰ, სად არიან სიჭაბუკე...“).

სიტყვათა შეკვეცის პარალელურად ილია მიმართავს სიტყვათა გავრცობასაც უმეტესად მიცემით ბრუნვაში გავრცობის ნიშნის ა-ს დართვით. ეს ჩვეულებრივად ხდება არა იმდენად სტრიქონის ბოლოში—რითმის გასაწყობად, როგორც ეს ხალხური პოეზიისთვისაა დამახასიათებელი,—არამედ სტრიქონის შიგნით:

შენ რომელსაცა, ერთის გროშით ღღე გემატება.

(„მუშა“).

ანდა:

იმ ხმას საკვირველს, იმ ხმასა გრძნულს.

(„ხმა ვულისა“).

არ შეიძლება ითქვას, რომ სიტყვათა ნებისმიერი შეკვეცისა და გავრცობის ხერხს ილია მხოლოდ მეტრის გასამართავად იყენებდეს; ზოგჯერ ეს მართლაც ასეა, მაგრამ საერთოდ ეს თვისება ილიას პოეზიის სტილური ნიშანია. მაგალითად, სიტყვას ქ ა რ თ ვ ე ლ ი ნათესაობით ბრუნვაში ილია ყოველთვის კუმშავს: „ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს დედაო, ძუძუ ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა“ („ქართველის დედას“), „ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ძილშია კენესა ისმოდა“ („ელეგია“) და სხვ. ეს სპეციფიკურია ილიასათვის. ასევე, მაგალითად, აკაკი წერეთელი არ იტყვოდა:

იმ ხმას საკვირველს, იმ ხმასა გრძნულს.

გავრცობის ნიშანს იგი აუცილებლად სტრიქონის ბოლოს გადაიტანდა ენეც ილიასთვისაა სპეციფიკური.

რიტმის უსწორმასწორობა, სიტყვათა ეს ნებისმიერი შეკვეცა ზოგჯერ არაა გაპირობებული მხატვრული აუცილებლობით და ამდენად არ ტოვებს სასიამოვნო შთაბეჭდილებას. მაგრამ ყველაფერი ეს, რაც ერთი შეხედვით ასე ნათელი და აწყარაა, იჩრდილება და თავისი უჩაყოფითი ზემოქმედების ძალას ჰკარგავს ილიას ლექსების მუსიკალური მხარის ყოველმხრივ გაანალიზების შემდეგ.

ილიას ლექსების რიტმი ისეთივე რთული და მრავალწახანაგოვანია, როგორც მისი პოეტური აზროვნება, პოეტური სახეები. ამ მხრივ მათ შორის სრული შესატყვისობა არსებობს. უფრო მეტიც: შეიძლება ითქვას, რომ ილიას ლექსების რიტმი შესატყვისი მუსიკალური გაფორმებაა მათში განსახიერებული გრძნობებისა და იდეებისა. ეს გარემოება თვალსაჩინო ხდება ილიას ლექსების მეტრულ წყობაზე დაკვირვებისას.

ილია არ ეძებს ახალ საზომებს, თავისებურ მეტრულ კონსტრუქციებს, იგი კმაყოფილდება იმით, რაც არსებობს და გავრცელებულია ჩვენში. მისი საყვარელი საზომებია: ათმარცვლიანი ფისტიკაური, რვა მარცვლიანი შაირი და თოთხმეტმარცვლიანი მცირებესიკური. ილიას მთელი ლირიკა, გარდა რამდენიმე ლექსისა, ამ საზომებს ეწყობა. ამათგან ყველაზე უფრო გავრცელებული და დამახასიათებელი ფისტიკაურია. ეს ზომა მცირებესიკურთან ერთად ყველაზე უფრო შეეფერება ილიას პოეზიის ბუნებას. იგი რვა მარცვლიან შაირზე უფრო მოსახერხებელია ილიას სულიერი სამყაროს გამოსახატავად. ამ რიტმში ილია, შეიძლება ითქვას, უფრო თავისუფლად გრძნობს თავს. ხოლო შაირი, განსაკუთრებით მაღალი შაირი, რომელსაც დაბალ შაირზე უფრო ხშირად მიმართავს ილია, არაა მისთვის სპეციფიკური და ნიშანდობლივი. მაღალი შაირისათვის დამახასიათებელი სიმსუბუქე და ამღერება ხშირად როგორც ვერ ეგუება ილია დინჯ მსჯელობას და ჩაკვირვებულ პოეტურ ხედვას. ამასთან ერთად, ილიას რიტმისათვის დამახასიათებელია ხშირი ცვალებადობა, თავისუფალი რხევები, ნებისმიერი გადასვლები და ამისათვის მეტ გასაქანს იძლევიან ათ და თოთხმეტმარცვლიანი ლექსების გრძელი სტრიქონები.

მეტრთა შერჩევისას ილია გარკვეულ ანგარიშს უწევს ლექსის იდეურ გამიზნულობასა და შინაარსობლივ მხარეს. ის ლექსები, რომლებშიც პოეტი რეალისტური სიმშვიდით, ერთგვარი საქმიანი კილოთი გვესაუბრება თავის მიზნებსა და ამოცანებზე, საუბრის ფორმასთან უფრო ახლოს მდგომი თოთხმეტმარცვლიანი საზომითაა შესრულებული („მას აქეთ, რაკი“, „ჩემო კალამო“ და სხვ.). ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ „ჩემო კალამო“ ილიას პირველად ათმარცვლიანი საზომით ჰქონია დაწერილი:

ჩემო კალამო რად გვინდა ტაში,

რასაც ვმსახურობთ — მას ვემსახურობთ .

და სხვ.

თოთხმეტმარცვლიანად მისი გადაკეთების მიზეზი, ვფიქრობთ, ისაა, რომ ათმარცვლიან სტრიქონში ილიამ თავისუფლად ვერ ჩაატია თავისი სათქმელი, იმ გაშლილ მსჯელობას, რაც საერთოდ დამახასიათებელია ილიას მეტყველებისათვის (და ეს ლექსიც ძირითადად მსჯელობის ფორმაზეა აგებული), უფრო შეეფერება თოთხმეტმარცვლიანი გრძელი სტრიქონი. ლექსის ახალი ვარიანტი უფრო სრულად, ნათლად და ძლიერად გვაგრძნობინებს სამშობლოს სამსახურ-

რისათვის თავდადებული პოეტის სულისკვეთებას. მაგალითად, ლექსის ცნობილი ადგილი:

აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართულის ზედმა,
და დაე გვიძახონ, — ჩვენ მის ძეგლით დავლით დღენი“ —

მის პირველ ვარიანტში ამ სახით იყო მოცემული:

„აგვიყოლია ჩვენ ქართულის ზედმა
და მის ძეგნაში დავლით დღენი“

ბოლო ვარიანტის უპირატესობა აშკარაა.

შედარებით მარტივი წყობით ხასიათდება ის ლექსები, რომლებშიაც ბუნების სურათებია გადმოცემული („გაზაფხული“, „ჩიტი“, „გაზაფხული“ („ტყემ მოისხა ფოთოლი“ და სხვ.), ანდა რომლებშიაც საქმე გვაქვს ავტორის მხიარულ, აღფრთოვანებულ განწყობილებასთან („მესმის, მესმის“).

აღნიშნული კანონზომიერება განსაკუთრებით ნათლად იჩენს თავს ალ. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ლექსების მეტრული წყობის ურთიერთშედარებისას. ლექსი „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ დაწერილია რვაშტრიცულიანი მაღალი შაირით; იგი მსუბუქია, მოქნილი და სავსებით შეესატყვისება იმ დახასიათებას, რასაც ამავე ლექსში ილია აძლევს ალ. ჭავჭავაძის პოეზიას:

მისი ლექსი შვებით, ღვნით
ხან მეჯლისში მოფრინდება,
გულს ჩაგვეერის, ქალაღობს. ჰხარობს,
გამღერებს და ამღერდება.

ამასთან ერთად, ალ. ჭავჭავაძე ლექსში წარმოდგენილია როგორც ცოცხალი, მოქმედი, რომლის სახეს კიდევ უფრო ცხოველმყოფელს ხდის ლექსის ცოცხალი და მოძრავი რიტმი.

ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი კი გამომხატველია ავტორის უსაზღვრო მწუხარებისა ბარათაშვილის გარდაცვალების გამო. ამის შესაბამისად აქ რიტმიც უფრო მდორეა:

ვაი, დაგვარგეთ! უღმრთო იყო შენი სიკვდილი!

გარდა ამისა, თოთხმეტმარცვლიანი მცირებუთიკური საზომი, რომლითაც შესრულებულია ეს ლექსი, დამახასიათებელი მეტრი იყო ნ. ბარათაშვილისათვის, ორგანულად შესიტყვებული მისი პოეზიის ბუნებასთან.

ჩვენი ფიქრით, შეუძლებელი იქნებოდა ალ. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლექსის რიტმით იმ შინაარსის გადმოცემა, რაც ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ლექსშია მოცემული და პირაქით. ასე ზუსტად ახამებს ილია ლექსის მეტრულ წყობას, როგორც პოეტური ფორმის ერთ-ერთ სახეობას, ლექსის შინაარსთან.

კიდევ უფრო საინტერესოა ილიას ლექსები მეტრული წყობის შიგნით თავისებური რიტმული ნიუანსებით. ილიას არასწორხაზოვანი რიტმი სტრიქონის შიგნით ტერფთა რთული და მრავალფეროვანი ვარიაციებით ხასიათდება. რიტმის ეს არასწორხაზობრიობა, ხშირი გადასვლები, გადატყდომები, ძირითადად, იქიდან მოდის, რომ ილია ჭარბად მიმართავს ტრადიციული ქართული ლექსისათვის ისეთ ნაკლებად დამახასიათებელ ტერფებს, როგორცაა II პეონი და ერთმარცვლიანი სიტყვა. II პეონი, როგორც ყველაზე გრძელი ტერფი, ხშირად ვერ ეტევა გარკვეულ რიტმულ ჩარჩოვებში და სიტყვასა და ტერფს შორის წარმოშობილი უთანხმოების შემთხვევაში იძულებული ხდება

ხან ერთს მიეკედლოს და ხან მეორეს. ამიტომ იგი მერყეობას განიცდის, რაც მთელი სტრიქონის რხევას იწვევს. ერთმარცვლიანი სიტყვა კი—ცალკე ტერფის შექმნის შემთხვევაში დამოუკიდებელ მახვილს საჭიროებს, რაც არღვევს სტრიქონის ჩვეულებრივ რიტმულ დინებას. განსაკუთრებით რხევადია სტრიქონი II პეონისა და ერთმარცვლიანი სიტყვის ერთად მოხვედრის დროს. სწორედ ამგვარ ტენდენციასთან გვაქვს საქმე ი. ჯავახიშვილის ლექსებში. პოეტისათვის დამახასიათებელია ათმარცვლიან ფისტიკაურში II პეონისა და ერთმარცვლიანი სიტყვის დაკავშირება, მაგალითად:

ვინ მოვმართოხ შენ და წინ არ დახვდეს .

(„კითხვა პასუხი“).

უფრო ხშირად ასეთი დაკავშირება ხდება სტრიქონის მეორე ნახევარში, სადაც სტრიქონის ბოლოს მოთავსებული ერთმარცვლიანი მახვილიანი სიტყვა მალა სწევს ტონს და კვლავ ახალი სტრიქონების მოსასმენად განაწყობს მკითხველს:

გიშურ და მზერა კვლავ ხსწურთან თვალს

(„კითხვა პასუხი“).

აღარ მაქვს საზრდო სულხისათვის მე

(„დაბნეულდა სული“).

და სხვ.

ეს რიტმული ვარიაცია, რომელიც თავისი უეცარი გადასვლით ყველაზე უგრძესი ტერფიდან ყველაზე უმოკლესზე ასეთ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, სპეციფიკურია ილიას ლექსების მუსიკალური წყობისათვის.

ილიასათვის უცხო არაა II პეონთან დაკავშირებული ისეთი შესამჩნევი რიტმული მოვლენა, როგორცაა II პეონის მოქცევა ქორეებს შორის:

და იმის მზიან ჩრდილებში

მუღამ გაზაფხული არი.

(„ბაზალეთის ტბა“).

ილიას რიტმის შესანიშნავი გრძნობა აქვს. ლექსში „გაზაფხული“ („ვიმ, გაზაფხული“) იგი აგვიწერს გაზაფხულის მოსვლას. აღწერა ჯერ ზოგადია: გაზაფხულმა ცით სიხარული მოიტანა, ამწვანდა მთები და მინდვრები, აყვავილდა ბაღები და ზერები, სიცოცხლის ნეტარებას მიეცა ყველა სულდგმული... შემდეგ სურათი უფრო კონკრეტული ხდება: დაქერილია ბელურას სიმღერა, ბულბულის სტვენა, პეპელას ფრთების რხევა, წყაროს ჩუხჩუხი... და ეს გადასვლა ზოგადიდან კონკრეტულზე შესაბამის გამოხატულებას პოულობს ლექსის რიტმში. სტრიქონთა ნელი რხევა ერთბაშად სწრაფ მოძრაობაში გადადის, მდორე, მონოტონურ მუსიკაში თითქოს ბულბულის სტვენის ხმა შეიჭრება:

განახლებული.

გაცოცხლებული

პლხინობს და სტკებბა

ყველა სულდგმული.

ბელურა იქ ქმდერს,

ბულბული აქ სტვენს.

ეს შესამჩნევი ცვლილება რიტმში გამოიწვია გრძელი, მრავალმარცვლიანი რიტმული ერთეულების (გ ა ნ ა ხ ლ ე ბ უ ლ ი, გ ა ც ო ც ხ ლ ე ბ უ ლ ი) მოკ-

6. ილია ჯავახიშვილი

ლე, ერთმარცვლიან ტერფებზე უეცარმა გადასვლამ (იქ ჰმღერს, აქ სტევენს).

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად მრავალფეროვანი და მომხიბლველია ილიას პოეზიის რიტმული წყობა, განვიხილოთ ლექსი „ალარც ნატვრა და ალარც იმედია“. ლექსის მინორულ შინაარსს ძალზე უხდება თერთმეტმარცვლიანი მეტრი. ცეზურა სტრიქონს ორ არათანაბარ ნაწილად ჰყოფს. პირველი ნაწილი მოკლეა (4 მარცვლიანი მუხლი), მეორე—გრძელი (7 მარცვლიანი). სტრიქონის მოკლე პირველი ნახევარი და გრძელი მეორე ნახევარი უმხავილო მარცვლებით დაბოლოებული მას თითქოს ერთი გრძელი ოხვრის ხასიათს აძლევს:

ალარც ნატვრა და ალარც იმედია!
ყველა წახდა... ვაი ესრეთ შთომილსა .

თერთმეტმარცვლიანი საზომის ჩვეულებრივი წყობა ასეთი უნდა იყოს: 4||4/3; ყოველგვარი გადახვევა ამ სქემისაგან რიტმის სწორხაზობრიობას არღვევს. ილია რიტმული მრავალფეროვნების მომხრეა და ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ სქემას ბოლომდე ვერ გაჰყვებოდა. ძირითადი ცვლილება სტრიქონის მეორე ნახევარებზე მოდის. თავიდანვე ილია გატეხილი რიტმით იწყებს ლექსს—პეონსა და დაქტილს ადგილებს უნაცვლებს:

„ალარც ნატვრა და ალარც იმედია“.

მეორე სტრიქონში რიტმი სწორდება: „ყველა წახდა... ვაი ესრეთ შთომილსა“ და ასე მიდის სტროფის ბოლომდე. მეორე სტროფში ახალი რიტმული რხევები შემოდის (2/5, 5/2):

ემა გულო, ერთხელ დაწყნარებულო,
ერთხელ მკედარო, რაღად აღსდექი მკედრეთით.

მესამე სტროფის პირველი სტრიქონი, მართალია, ძირითადი სქემის მიხედვით წინა სტრიქონის განმეორებაა, მაგრამ ერთმარცვლიანი და ორმარცვლიანი სიტყვების თავმოყრის გამო საგრძნობლად განსხვავებულ სახეს ღებულობს:

მე მისი ვარ, ის კი არ არის ჩემი.

გვინდა შევჩერდეთ კიდევ ერთ თავისებურ რიტმულ მოვლენაზე. მეოთხე სტროფის პირველი სტრიქონის ყოველი ტერფი ერთმარცვლიანი სიტყვით იწყება და მასთან შეერთებულია წინა შემთხვევებში დაქტილი, ხოლო სტრიქონის ბოლოს ქორე:

სად წარვიდე, ვის შეჩვილო, ვის ვუთხრა.

ეს მოვლენა იმდენად არის საინტერესო, რომ იგი ერთგვარი გამოძახილია წინა სტროფში დახატული სურათისა, რომელიც ზუსტად ამგვარივე რიტმული წყობითაა შესრულებული. პოეტი ხედავს, რომ მისი სატრფო „სხვას + თავს ევლის, სხვას + შეჰხარის, სხვას + ეტრფის“ და მე კი—„სად + წარვიდე, ვის + შეჩვილო, ვის + ვუთხრა“-ო.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სტრიქონი შინაარსობრივად მთელი ლექსის დასკვნითი სტრიქონია და მხოლოდ-მოდგობრივი კავშირით ყველა წინამდებარე სტრიქონთან არის დაკავშირებული, მაინც ყველაზე მეტი ურთიერთობა მას ჩვენ მიერ ზემოთ ციტირებულ სტრიქონთან აქვს,—მსგავსი მგლოდია მსგავს განწყობილებას ქმნის.

სპეციალური შესწავლის საგანია რითმის საკითხი ი. ჭავჭავაძის პოეზიაში. ილიას რითმა ესმის როგორც მხოლოდ შემადგენელი ნაწილი რიტმისა, არ ზრუნავს მის მუსიკალურ ელემენტებზე, მის თავისთავადობაზე საერთოდ, ამიტომ რითმის ბგერითი მხარე მას არა აქვს აქცენტირებული. ილიას რითმებში სიტყვათა მხოლოდ კლაუზულებია ერთმანეთთან შეთანხმებული. იშვიათია კლაუზულის წინ მყოფი ბგერების რითმაში მოქცევა, რა გზითაც ვლებულობთ ღრმა და მდიდარ რითმას. ქართულ რითმას მრავალმარცვლიანობისაკენ აქვს მისწრაფება. მისი ბუნება მოითხოვს, რომ სიტყვები რაც შეიძლება ბოლომდე იყვნენ გარითმულნი ერთმანეთთან. ილიას რითმებში ზოგჯერ კლაუზულის მხოლოდ უკანასკნელი მარცვლებია შეთანხმებული, მაგალითად, გრგვინვას დენახ („მტკვრის პირას“). გაუღიმიებ-უბრუნებ („ნანა“) და სხვ. ილია არ თვლის აუცილებლად რითმის სისრულეს. უსათაურო ლექსის „მამინ დაესტკბები სრულის სამოთხით“ ვარიანტში სრული, მდიდარი რითმა: **ს ა მ ო თ ხ ი თ ა გ ა მ ო თ ქ მ ი თ ა ბ ო ლ ო რ ე დ ა ქ ც ი ა შ ი ა ე ტ ო რ მ ა შე ც ვ ა ლ ა ა რ ა ს რ უ ლ ი რ ი თ მ ი თ : ს ა მ ო თ ხ ი თ - მ ო რ ც ხ ო ბ ი თ .** ასევე, „ორ-ხმიანი სახალწლო ოპერეტის“ V ლექსში ერთმანეთს ერითმება შემდეგი სტრიქონები: **პ ო ე ტ ი ს ს ი ლ ო ვ ა ნ ი ს ა - ს ა — ნ ა ყ ო ფ ს წ ყ ა ლ თ ა ნ ა ყ ვ ი ს ა ს ა .** რითმა უკეთესი იქნებოდა და თანაც რიტმიც გასწორდებოდა, რომ ასე ყოფილიყო: **პ ო ე ტ ს ი ლ ო ვ ა ნ ი ს ა ს — ნ ა ყ ო ფ ს წ ყ ა ლ თ ა ნ ა ყ ვ ი ს ა ს ა .** მსაზღვრელ-საზღვრულის ამგვარი შეთანხმება უცხო არ იქნებოდა ილიასათვის, მაგრამ. როგორც აღნიშნული გვაქვს, ილია გარკვეული პრინციპით ხელმძღვანელობს და საგანგებოდ არ ზრუნავს კეთილზომიანი რითმებისათვის!

ილიას რითმები ღარიბია იმ მხრივაც, რომ ზოგჯერ სიტყვათა მხოლოდ თანდებულები, ან ბრუნვის ნიშნებია გარითმული, მაგალითად: **საწყალსა-ხარჯსა („ხმა სამარადამ“), პაერში-ტყეში („ჩიტი“) და სხვ.**

ილიასათვის დამახასიათებელია ერთმარცვლიანი სიტყვის შერითმება მრავალმარცვლიანთან: **სულს—სიყვარულს („ქართვის დედას“), დღეს—დამშთენიეს („ვიი, მას—ვისაც ვაძლევდი მსხვერპლად“)** და სხვ. ეს იწვევს რითმათა არათანაბარმახვილიანობას. სიტყვებს: **ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს და დ ა მ შ თ ე ნ ი ე ს** მახვილი მოუღიბო ბოლოდან მესამე მარცვალზე. კეთილზომიანებისათვის უმჯობესია მათთან შერითმულ სიტყვებს მახვილი ასევე ბოლოდან მესამე მარცვალზე მოუღიბოდეთ. ყოველივე ამასთან ერთად, ილიას რითმები, ძირითადად, ხმოვნებზეა დაფუძნებული, პოეტი ნაკლებ ანგარიშს უწევს რითმებში თანზომიანთა ურთიერთ შეთანხმებას: თანზომიანების განმეორებას, მსგავსი თანზომიანების თავმოყრას.

ამრიგად, ილია საგანგებოდ არ ზრუნავს იმისათვის, რომ რითმა თავისთავად კარგი და კეთილზომიანი იყოს. მისთვის რითმა არ არსებობს ცალკე, ლექსის რიტმისაგან დამოუკიდებლად. ამ თვალსაზრისით კი ილიას რითმებს წუნს ვერ დავდებთ. ისინი სათანადოდ არეგულირებენ ტაქტის რიტმულ დინებას: აცხადებენ ან ანელებენ ტემპს. კერძოდ, ერთმარცვლიანი, ვაჟური რითმა ძალზე ეფექტური საშუალებაა სტრიქონის რიტმის მობრუნებისათვის, მისი გარკვეული გზით წარმართვისათვის. მუსიკალური მრავალფეროვნებისათვის

¹ რითმის საკითხში ილია ნ. ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის გზას მიჰყვება. მთავარად „საღამო გამოსაღმებისას“ პირველი რითმა: **კ ა ვ ა ს ა — მ ა მ ა მ ო ზ უ ს ა .** რითმის კეთილზომიანების თვალსაზრისით უკეთესი იქნებოდა **კ ა ვ ა ს ა — მ ო ზ უ მ ა მ ა ს ა ,** მაგრამ ეს არ იქნებოდა იმისადმიერი გრ. ორბელიანის ლექსისათვის.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ერთმარცვლიანი სიტყვის შერითმება ორ და მეტ-მარცვლიან სიტყვასთან. საინტერესოა ის გარემოება, რომ არათანაბარმახვილიანი რითმების ილიასებური გამოყენება დამახასიათებელია ისეთი მდიდრული და მუსიკალური რითმების მქონე პოეტისათვის, როგორცაა გ. ტაბიძე. მაგალითად, გ. ტაბიძისათვის რიტმულად ნიშანდობლივი სტროფია:

სარკმელთან ვღგვკარ, მალე, სულ მალე
სევდიან პანგებს ღაუფგდებ შე ყურს.
მოკა მოხუცი ძალმიღული
და აკვნესებს ჩემს კართან ფანდურს

(„სარკმელთან“).

ამ სტროფის თავისებური რიტმული წყობა დიდადაა დამოკიდებული: რითმაზე: ყურს—ფანდურს. რა თქმა უნდა, ილიას აქვს მუსიკალურად სრულყოფილი რითმები ლალატს—ჯალათს, მელის—ცრემლის („ბევრი ვატანჯე“), ფოთლი—ობოლი („გაზაფხული“), გადმოვაწვინოთ—ვაწვიმოთ („გუთნის დედა“) და სხვ. ამავე დროს, იგი როდი ფიქრობს, რომ ნაკლები, ღარიბი რითმაჯობია სრულ, კეთილზმოვან რითმას. იგი საერთოდ არ აყენებს ამ სიბრტყეზე: საკითხს, რადგან, მისი აზრით, რითმა კეთილზმოვანი იქნება თუ არაკეთილზმოვანი, ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა ლექსის მუსიკალური სრულყოფისათვის. ილიას პოეზიაში ძირითადი მუსიკალურ-ესთეტიკური ფაქტორის როლს ასრულებს რიტმი. რითმა მხოლოდ დაქვემდებარებული ხასიათისაა, რიტმის სრულყოფას უწყობს ხელს და მკითხველის ყურადღებაც ძირითადად რიტმზეა გადატანილი. სწორად შენიშნავდა ვ. კოტეტიშვილი ილიას ლექსების მუსიკალური მხარის ანალოზის დროს: „პოეტის გუნებ-განწყობილება ყოველთვის სწორ ზომას პოულობს და ეს მელოდია ხშირად იმდენად მიმზიდველია, რომ სტრიქონის ბოლოებს ყურადღებას არც კი აქცევთ. შთაბეჭდილების ცენტრი აქეთ არის გადმოტანილი, ლექსის შინა ქვეყანაში“¹.

ილიას აზრით, რითმა არ შეიძლება იყოს მთავარი ხერხემალი პოეზიისა. იგი დასცინის პოეტებს, რომლებიც რითმის გულისათვის აზრს სწირავენ, „რითმათა მორახუნებლებს“ ეძახის მათ. „განა რითმა რომ არ იყოს, პოეზიაც არ იქნება?“—კითხულობს იგი და საილუსტრაციოდ ასახელებს გრ. ორბელიანის ურითმო ლექსებს².

პოეტური ტექნიკის დაუფლება, საერთოდ, არ შეიძლება გადამწყვეტი იყოს პოეტისათვის. „ქართულად ლექსად მიწყობა სიტყვისა მეტად ადვილია,—წერს ილია,—არა გვგონია, სხვა რომელიმე ენა წარმოადგენდეს ამისთანა სიადვილეს. ხოლო ლექსი იმით არა ლექსობს, რომ სიტყვის ბოლოები ერთმანეთისათვის შეუწყვიანთ“³. ლექსი, პოეზია განსახიერებაა ცხოვრების მთელი შინაარსისა, ადამიანის გულში დაგუბებული ფიქრებისა და განცდებისა. იგი, უპირველეს ყოვლისა, თავისი ცხოველმყოფელი შინაარსით უნდა იქცევდეს ყურადღებას, ხოლო მუსიკა (რიტმი, რითმა, მელოდია) მხოლოდ დამხმარე საშუალებაა ამ შინაარსის ესთეტიკურ კატეგორიამდე ამოღებისათვის, იგი აუცილებელია პოეზიისათვის, რადგან „პოეზია ეს არის მეტყველი მუსიკა“. მაგრამ მას არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს: „არა მართო ტკბილ ხმებისთვის გამოგზავნა ქვეყნად ცამა!“

¹ ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ნაწილი II, 1925, გვ. 160.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 21.

³ იქვე, გვ. 92.



ქს. სიხარულიძე

ილია ჭავჭავაძის პოემების ხალხური წყაროები

ილია ჭავჭავაძე ჭაბუკობიდანვე იჩენდა ინტერესს ხალხური შემოქმედებისადმი. ეს ინტერესი პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანა მოაზროვნე პოეტმა, როდესაც იგი ქართულ ხალხს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მედრომედ მოეგვინა.

ილია ჭავჭავაძის ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობა, ღრმად შინაარსიანი წერილები ხალხური შემოქმედების საკითხებზე, სხვადასხვა ხასიათის წერილებში გამოთქმული მოსაზრებანი ხალხური შემოქმედების შემეცნებით, ისტორიულ და მხატვრულ ღირებულებაზე უშუალო გამოხატულება იყო იმ დიდი საზოგადოებრივი პრობლემებისა, რომლის გადაჭრასაც ფიქრობდა მწერალი თავისი ნათელი სიცოცხლის მთელ მანძილზე.

ზოგადსაკაცობრიო, ნაციონალური და სოციალური პრობლემებისადმი მიძღვნილ მხატვრულ ნაწერებში ი. ჭავჭავაძე დიდი ზომიერებითა და ოსტატობით ურთავდა ხალხურ სიუჟეტებს, მოტივებსა და სახეებს, რაც ხალხში ახალი აზრების დანერგვის ერთი საუკეთესო საშუალება იყო. ამასთან, ხალხურ სიტყვიერებას ილია ჭავჭავაძე იყენებდა ნაწარმოების სოციალური შინაარსის გაღრმავების, მხატვრული ფორმის სრულქმნის, სიტუაციათა შექმნისა და გმირთა სახეების გამოკვეთისათვის. სწორედ ამ თვალსაზრისით გვინტერესებს ჩვენ, ამჟერად, ილია ჭავჭავაძის პოემები.

ხალხურ შემოქმედებას მნიშვნელოვანი როლი აქვს ილია ჭავჭავაძის ერთერთი აღრინდელი ნაწარმოების—პოემა „აჩრდილის“ სიუჟეტის განვითარებაში. პოემაში, როგორც ცნობილია, ნაციონალური პრობლემა ორგანულად არის დაკავშირებული სოციალურ საკითხთან. ეროვნული ჩაგვრისა და სოციალური ბოროტების წინააღმდეგ მიმართული, კომპოზიციურად მეტად ორიგინალურად შეკრული პოემა სიუჟეტურად დამოუკიდებელია ხალხური შემოქმედებისაგან. ამ პოემის ხალხურ შემოქმედებასთან დამოკიდებულების შესახებ მსჯელობის საფუძველს გვაძლევს მისი ფაბულის განვითარების ხერხი და, აგრეთვე, ცალკეული ეპიზოდები, რომლებშიც მაღალპოეტურად არის წარმოდგენილი ხალხური შემოქმედების სხვადასხვა დარგის გენეზისისა და შემეცნებითი, მხატვრული და ისტორიული ღირებულების საკითხები. „აჩრდილის“ ში-

ნაარსი მეტად საინტერესოდ ვითარდება. ილია ჭავჭავაძის პოემებისათვის დამახასიათებელია შესავალში მშობლიური პეიზაჟის წარმოსახვა. „აჩრდილის“ შესავალშიც დიდი მხატვრის ფუნჯით არის დახატული საქართველოს წარმტაცი ბუნება. ილია ჭავჭავაძის პოემებისათვის სპეციფიკურია აგრეთვე შესავალში დახატულ ბუნების გრანდიოზულ სურათთან დაკავშირებით ზოგადი, საკაცობრიო პრობლემის დაყენება.

პოემის შესავალში დასმულ დიდ საკაცობრიო პრობლემას, ეროვნულსა და სოციალურ საკითხებს ილია ჭავჭავაძე დიდი ხელოვნებით ავითარებს ამბის დასაწყისიდანვე. აქვე პოეტი იყენებს სახობტო პოეზიის ტრადიციულ მხატვრულ სახეს—**ო ბ ო ლ მ ა რ გ ა ლ ი ტ ს**, რაც სილამაზის სიმბოლოა ქართული ხალხური პოეზიის მიხედვით¹.

ილია ჭავჭავაძის პოემაში ხალხური სიმბოლიკა პატრიოტული გრძნობის გამოხატვის საშუალებაა:

„სრულ საქართველო მოჩანდა შორსა...
იგი მოხუცი მას დააცქერდა;
ქვეყნის მარგალიტს მაგა ობოლსა
სიყვარულითა იგი დამზერდა.“²

პოემის ფაბულის განვითარებისას გამოყენებულია ხალხური დიდაქტიკური ლეგენდებისა და ფანტასტიკური ზღაპრების ტრადიციული მოტივი. საქართველოს „თანამდევი, უკვდავი სული“ მოხუცის აჩრდილის სახით წარმოგვიდგინა პოეტმა. ამ შემთხვევაში მან გამოიყენა ზეპირობით გადაცემულ ცნობილი მოტივი გვირის მიერ წმინდა მოხუცის სიზმრის ან მოჩვენების სახით ხილვისა. ხალხურ ზღაპრებში მოჩვენების თუ სიზმრის სახით ხილული მოხუცები დამრიგებელ-მჩრჩველთა როლს ასრულებენ. რიგი ლეგენდებით ამგვარად ხილული მოხუცები წინასწარმეტყველებენ ქვეყნის ბედს, ან კიდევ მათი რჩევა-დარიგების მიხედვით გვირები იხსნიან საფრთხის წინაშე მდგარ ქვეყანას. ამგვარ ნაწარმოებთა ციკლს ეკუთვნის საქართველოში შაჰ-აბასის აგრესიის ამსახველი პატრიოტული ლეგენდა ხორეშანას შესახებ. ამ ლეგენდის მიხედვით საქართველოს განსაცდელის ეპოს პატრიოტ ქართველ ქალს ხორეშანას ესიზმრა ჰალარა. მოხუცი. მოხუცმა იწინასწარმეტყველა ივერიის მომავალი ბედი. სამშობლოს გადასარჩენად ხორეშანას მისცა რჩევა-დარიგება. მოჩვენების რჩევა-დარიგების შესრულებით სამშობლო გადაურჩა ყიზილბაშებისაგან აოხრებას³. ამგვარ ლეგენდებს ჰქონდათ დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ისინი გამოხატავდნენ ხალხის რწმენას მომავალში გამარჯვებაზე, იმედს ნერგავდნენ და განამტკიცებდნენ თაობებში⁴. უკეთესი მერმისის, ნათელი იმედისა და ურყევი რწმენის გამოხატველია „აჩრდილის“ ფინალიც:

¹ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1934, გვ. 26—31.

² ი. ჭავჭავაძე, I, გვ. 135.

³ Шотто. Кавказская война, т. I, стр. 255—261.

⁴ ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება,

მსწრაფლ გადმოეშო ცისა ლაყვარდსა
 შეიდფუროვანი სარტყელი ცისა
 და გადფინა ჩემს ქვეყანასა
 მახარობელად ტკბილ იმედისა,
 ამენთო გრძნობა მადლითა ცეცხლებრ,
 ერთს ფიქრს მიეცა გულისთქმა ყველა,
 და მაშინ ვიგრძენ, რომ მშვენი მისებრ,
 ჯერ არ მენახა მე ცისარტყელა¹.

ჩვენ არ ვამბობთ, თითქოს ილია ჭავჭავაძემ „აჩრდილი“ მიინცდამინცდ აღნიშნული ლეგენდის საფუძველზე შექმნა. მაგრამ საყურადღებოა, რომ ზეპირსიტყვიერებაში ცნობილი წმინდა მოხუცის ხილვის მოტივის მიხედვით იწყება ამბავი პოემისა. ილიამ გავრცელებულ მოტივს ახალი შინაარსი და მაღალი მხატვრული ფორმა მისცა. გააახლა იგი, დაუკავშირა სამშობლოს ბედს და შექმნა ბრწყინვალე პოეტური ქმნილება, რომელსაც მუდამ საპატიო ადგილი ექნება კლასიკურ მხატვრულ შემოქმედებაში.

სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა „აჩრდილში“ ბრწყინვალე პოეტური ხერხითაა მოცემული. ამ შემთხვევაში ილიამ მოხდენილად გამოიყენა საგმირო პოეზიის შექმნის საფუძველი, ხალხური შემოქმედების ამ მდიდარი დარგის შესრულების წესები და მრავალგვარი საზოგადოებრივი დანიშნულება.

გმირის იდეალს ქადაგებს კავკასიონის მწვერვალზე მდგომი მოხუცის აჩრდილი. ხალხი უკვდავოფს სამშობლოსათვის თავდადებულ და სოციალური ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლ გმირებს. ხალხი უმღეროდა რევოლუციამდელი ოფიციალური ისტორიის მიერ უგულვებლყოფილ მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსულ გმირებს. ხალხურმა სიმღერამ უკვდავყო სახელი ეროვნული კულტურისთვის თავდადებული სვეტიცხოვლის აშენებელი ოსტატისა². ხალხურმა შემოქმედებამ შემოგვინახა სახელები XVIII საუკუნის მღვლეარე ეპოქაში მცხოვრები სამშობლოსათვის თავდადებული გმირებისა: ძაღლიკა ხიმკაურის³, გმირი დედაბრის ქრისტინეს⁴, მათა წყნეთელის⁵, დილოძისა⁶ და სხვათა.

ხალხურმა სიმღერებმა ვააცოცხლეს ოფიციალური ისტორიის მიერ უგულვებლყოფილი სოციალური ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი გმირები, როგორცაა—სისხლისმსმელი ფეოდალის ზურაბ ერისთავის წინააღმდეგ მებრძოლი მამუკა ქალუნდაური⁷, სვანეთის თავადთა წინააღმდეგ აჯანყებულთა მეთაურები ვიცბილ და მაცბილ⁸, ზვიადა ლობჯანიძე და გულითად გაეაშულამ-

¹ ი. ჭავჭავაძე, I, გვ. 149.

² ვარიანტებად არის ცნობილი ხალხური სიმღერა—„ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია“.

³ ქართული სახალხო გმირები, ქს. სიხარულიძის რედაქციით, 1952, გვ. 47.

⁴ იქვე, გვ. 48.

⁵ იქვე, გვ. 49—52.

⁶ ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, გვ. 178.

⁷ ქართული სახალხო გმირები, გვ. 45; ქს. სიხარულიძე, ბატონყმობის ასახვა ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში, „ლიტერატურული ძიებანი“, VIII, 1953, გვ. 247.

⁸ ქართული სახალხო გმირები, გვ. 70.

ვილი¹, გურული ფირალები—სიმონა დოლიძე, დათიკო შევარდნაძე, სისონა დარჩია,² კახელი მიხა ჭუჭულაშვილი და მრავალი სხვა. საგმირო სიმღერებს დიდი საზოგადოებრივი დანიშნულება ჰქონდა. ამგვარ სიმღერებს ასრულებდნენ მტრების წინააღმდეგ ამხედრებული ქართველი ვაჟკაცები. სალაშქრო ფუნქცია ჰქონდა არა მხოლოდ ვახტანგ გორგასლის, ერეკლე მეორის და სხვა მეფეთა თუ მხედართმთავართა შესახებ შექმნილ სიმღერებს, ამგვარი ფუნქცია ჰქონდა აგრეთვე სიმღერებს მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსულ გმირებზეც, როგორც იყვნენ ზეზვა გაფრინდაული, ხირჩლა ბაბურაული და სხვ.³

სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს უმღეროდნენ ქალწულები. გმირი იყო იდეალი გასათხოვარი ქალისა. ეს გარემოება აისახა მრავალ ხალხურ ლექსში⁴.

ქართველი დედები საგმირო სიმღერებით არწევდნენ შვილების აყვანს. საგმირო სიმღერები თან ახლდა ქართველი ხალხის ღონისა და ჭირს.

პატრიოტული საგმირო სიმღერების ძლიერი ტრადიციით,—ქართული ხალხური პოეზიის ამ წამყვანი დარგის მრავალგვარი საზოგადოებრივი დანიშნულებით არის შთაგონებული „აჩრდილის“ ერთი უძლიერესი ეპიზოდი:

წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა
მაშულისათვის თავის დადება!...
ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოჰკედება.
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნეთ ვტყვიის მის სახელს,
და არა ერთხელ ჭაბუკთა ყრმათა
ხმლის ტარზედ ძლიერს აუთრთოლებს ხელს;
იმ სიმღერას რა ისმენს მცხოვანი,
სიბერის ეამსა კვლავ მოიფონებს,
გმირის სიყვდილი სახელოვანი
ახლად ცხოვრებას მას მოანდომებს;
აკვანზედ დედა უმღერებს შვილსა
ტყბილისა ხმითა იმ სიმღერასა,
და თუ ინატრებს რასმეს მისთვისა,
ინატრებს გმირის მის დიდებასა;
და უფრო ხშირად იმღერს ქალწული.
გმირს მოიგონებს და გამხნევდება,
ყოველი იმღერს და სხვა მორტული
გმირი იმ მღერით დაიბადება.⁵

ამ მაღალპოეტური სტრიქონებით ილია ჭავჭავაძემ ღრმა მეცნიერული გაგებით დაახასიათა საგმირო პოეზიის შექმნის პირობები და შესრულების ტრადიცია.

¹ ქართველი სახალხო გმირები, გვ. 92.

² ანტ. ხინთიბიძე, გურული ფირალები, 1936.

³ წელიწდეული, I-II, 1923-1924, თბ. გვ. 200-203.

⁴ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1934, გვ. 33—34.

⁵ ი. ჭავჭავაძე, I, გვ. 136—137.

სოციალური პრობლემის გადაჭრას ემსახურება და გამარჯვებისა და თავი-მსუფლებლის ურყევ რწმენას გამოხატავს პოემაში საგნის ღრმა ცოდნით დახასიათებული შრომის სიმღერები. ილია ჭავჭავაძემ პოეტური შთაგონებით უწინასწარმეტყველა მშობლიურ მშრომელ ხალხს „განკაცება“. პოეტი ახასიათებს ტვირთმძიმეთა სევდიან სიმღერებს—გუთნურსა და მწყემსურს და დიდი ხელოვანის უტყუარი წინათგარძობით უპირისპირებს მათ თავისუფალ მშრომელთა ლალ სიმღერებს.

ჩვენამდე საკმაო რაოდენობით არის მოღწეული წარსულში მშრომელთა ძნელი ყოფის, მათი მძიმე ჯათის ამსახველი გუთნური სიმღერები.

მწუხარე და სევდიანი იყო რევოლუციამდელი მწყემსთა სიმღერებიც. ბევრი ამ სიმღერათაგანი გულსაკლავი მოთქმა იყო მშრომელთა ძნელბედობაზე.

მშრომელთა განწყობილების გამოხატვითა თუ კილოთი არაფერი აქვს საერთო რევოლუციამდელი მეზრისა და მწყემსის სიმღერა-კვენესასთან ტრაქტორზე ან ფერმაში მომუშავე საბჭოთა მშრომელების ხალისიან სიმღერებს. ტრაქტორზე მომუშავე სიხარულით მღერის თანამედროვე ტექნიკის მიღწევებზე, შრომის დიდებაზე. ასევე ხალისიანია ღღეს მწყემსთა სიმღერებიც.

ეს სიმღერები ნათელი ილუსტრაციაა ილია ჭავჭავაძის მიერ უტყუარი წინათგარძობით დაპირისპირებული ძველი და ახალი შრომის სიმღერებისა. ილია ჭავჭავაძემ დაუეფიწყარი სტრიქონებით იპადაცა შრომის ახსნის აუცილებლობა და აჩრდილის ნათქვამით მგზნებარედ მიმართა მშრომელ ხალხს:

აღლო აიღო ქვეყანამ ძველმა,
რომ დღე-ღამე მის წყობა ირღვევა,
და ამ ზვიადმა საუკუნემა
უნდა შვას იგი შრომის სუფევა.
მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,
წართმეულთ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები,
არც ვის ემონვი და არც იმონებ.
მაშინ ეგე ხმა შენის სიმღერის,
დაბლად ღუღუნი დაღონებული,
მღერა, ვით კვენესა, საწყალის მეზრის,
შორი ხმა მწყემსის დაობლებული,
მხიარულ ხმებად გარდაგვეცვლების
და შენს გუთანზედ გულით ღმობილი
იტყვი სიმღერას თავისუფლების,
ეგ სიმღერაა ვით ლოცვა ტკბილი!...
მინდორნი, ტყენი, ნახნაენი, ველნი
შენის ღებნითა განიხარებენ,
შენგან შეემკულნი იგი ყოველნი
შენს ტკბილ სიმღერას ბანს გამოსცემენ¹.

ილია ჭავჭავაძე მაღალ შეფასებას აძლევდა სასიმღერო ლექსებს. სიმღერის მნიშვნელობას ადამიანისათვის მიუძღვნა პოეტმა ლირიკული ლექსი:

¹ ი. ჭავჭავაძე, 1, გვ. 141.

როცა წუხილი მზაგრავს უწყალო,
 კაცთან არ ვილტვი მის განქარვებად;
 მყის თავის-თავად ლაღი, უბრალო,
 სიმღერა მორბის ნუგეშ-საყვამად.
 და იმ სიმღერას ჩემს წყურვილს ვანდობ,
 ის ჩემებრ არის სვედით ბურვილი,
 მის მწუხარ ხმებში ჩემს გულის ხმას ვსცნობ
 და მევე მიყვარს ჩემი წუხილი¹.

ლხინსა და ქირში სიმღერის დიდი მნიშვნელობა ადამიანისათვის ილიამ მკაფიოდ განსაზღვრა შემდეგ წლებში დაწერილ მცირე მოცულობის, მაგრამ ღრმა შინაარსის მქონე წერილში—„ქართული ხალხური მუსიკა“. ილია წერს: „...სიმღერაში, ვალთაში, მწყობრი ხმა ჰშველის წყობილ-სიტყვაობას და წყობილ-სიტყვაობა მწყობრ ხმასა, რათა მთლად და სავსებით ადამიანმა გამოსთქვას თვისის სულის მოძრაობა და თვისის გულის ძარღვის ცემა“². ილია მოხდენილად ახასიათებს სიმღერას, როგორც ადამიანთა უსასრულო ნიქს: „...მიზეზი გულის თქმისა უღვეელი და დაუსრულებელია, თვით სიმღერას, რომელიც მარტო გულის-თქმასა და სხვა არა-რა, ბოლო და დასასრული არ ექნება თავის-დღეში, ვიდრე ეს ღეღამიწის ზურგი ატარებს და იშენებს ადამიანსა. კაცთ ვარე, ჭვეყნიერობაში სიმღერა არ არის“³. ი. ჭავჭავაძე ამ შემთხვევაში გულისხმობდა „მწყობრ ხმას—მწყობრ სიტყვასთან შეერთებულს“⁴. ამგვარი შეერთების ნიმუშებია შრომის სიმღერებიც, რომელთა ხასიათის ზუსტი განსაზღვრით გადაჭრა პოეტმა პოემაში დასმული, ერთიმეორესთან მოხდენილად დაკავშირებული ეროვნული და სოციალური საკითხები.

ილია ჭავჭავაძის პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ სოციალური საკითხებისადმი მიძღვნილი ერთი საუკეთესო ნაწარმოებია არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაშიც. ამ ნაწარმოების შექმნისას მწერალმა მოხდენილად გამოიყენა ქართული ხალხური შემოქმედება. პოემაში ორგანულად ჩაქსოვილი ხალხური მასალა მებრძოლი ხასიათის ნაწარმოებს კიდევ მეტ კმედით ძალას აძლევს. ნაწარმოების ღრმა სოციალურ შინაარსს, დამაჯერებლად დახატულ გმირთა სახეებს, ლაპიდარულ ფორმას პოემისას მომხიბვლელ ნაციონალურ ელფერს მატებს გემოვნებით შერჩეული ხალხური ნაწარმოებები, ამ ნაწარმოებთა შესრულების ტრადიცია და წესები. პოემის შესავლის შესანიშნავი სტრიქონები, რომელიც ძალდაუტანებლად ზეპირად ამახსოვრდება მკითხველს, წარმოგვიდგენს გრანდიოზულ ბუნების წარმტაც სურათს:

სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი
 მწუხრის ზეწარი გადაეფარა,-
 და მთვარის შუქზე მთებისა ჩრდილი
 ალაზნის ველზე წამოიხარა,
 ღამის გუშავი, მუდამ მჭმუნავი
 მთვარე მეფურად მძლავრად ვიდოდა.

¹ „ციცქარი“, 1861, № 1.

² ი. ჭავჭავაძე, III, 1953, გვ. 145.

³ იქვე, გვ. 146.

⁴ იქვე.

მთებისა ცინვით ნაკვეთი თავი
 იმის სხივებთან მუსაიფობდა,
 შორნი მნათობნი შოკამკამენი
 იმ მწუხარს ღამეს მხიარულობდნენ,
 მღუმარს ქვეყანას, ვით, საყვარელნი,
 სხივებს ესროდნენ, ზედ დაჰხაროდნენ.
 და იმ მნათობთა სხივთა აღერსით
 ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა,
 მხოლოდ ნიაგი მთისა-მოლხენით
 ტყეში ფოთლებთან ღაზღანდარობდა.
 და ალაზანი შეუპოვარი
 ჰჩიოდა, თითქო კაცს ემდუროდა,
 მის ბუტბუტს მარტო მთაი მღუმარი
 დაფიქრებული ყურს მიუპყრობდა¹.

აქვე, ილია ჭავჭავაძისთვის ჩვეული ხერხით, დასმულია საკაცობრიო მნიშვნელობის სოციალური პრობლემა. დასამახსოვრებელი სტრიქონებით წარმოდგენილია წარსულისათვის დამახასიათებელი დიდი შეუსაბამობა მშვენიერ ბუნებასა და ამ მშვენიერ ბუნებაში მყოფ მშრომელთა ხვედრს შორის. მწერალი გვაცნობს ბატონყმობის მძიმე უღლის ქვეშ განაწამებ მშრომელთა სულის მოძრაობას, მათ გულის ცემას. ბუნებასა და ადამიანს შორის ამგვარი, თუ შეიძლება ითქვას, კონფლიქტის ჩვენებით შესავლიდანვე ვგრძნობთ პოემის მეტროლოგ ხასიათს. ამგვარ ხასიათს პოემის შესავალს აძლევს საგნის ღრმა ცოდნითა და ხელოვნებით გამოყენებული შრომის სიმღერის ხასიათი. ურმულის შესრულების გარემოს შესანიშნავი აწერით გამოხატულია პროტესტი სოციალური უსამართლობისადმი. წარსულში მშრომელთა ძნელებდობის ამსახველი ნაღვლიანი მოტივების შემცველი ურმული სიმღერები საკმაო რაოდენობით არის ცნობილი. ასეთია მაგალითად. პეტრე უმიკაშვილის კოლექციაში დაცული ტექსტი:

შავო და ბნელო ივანე,
 ვერ ამოუხველ სევდასა,
 გადიგიბრუნდა ურმი,
 შენ წამოუწვევ ფერდასა.²

წარსულის ამსახველ ხალხურ შემოქმედებაში ამგვარ ნაღვლიან მოტივებთან ერთად ყოველთვის იგრძნობოდა მშრომელთა ჯანსაღი ოპტიმიზმი, მათი ნუგეში, იმედი, მოლოდინი უკეთესი მომავლისა. ამგვარ ნაწარმოებთა შესახებ აღნიშნა ვ. ი. ლენინმა: „... Вель на этом материале можно было бы написать прекрасное исследование о чаяниях и ожиданиях народных“³.

მთვარიან ღამეში ურმის ჭრიალზე მეურმე დალიდინებდა სევდის უკუმყრელ სიმღერებსაც, როგორცაა მაგალითად:

¹ ი. ჭავჭავაძე, ტ. 1, 1951, გვ. 158—159.

² პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1937, გვ. 338.

³ Вл. Бонч-Бруевич. Ленин о поэзии, набросок из воспоминаний, „На литературном посту“, 1931, № 4, стр. 4.

გენაცვა შავო კამეჩო,
ნიკორა ზაქის დედაო,
შენი დაზრდილი ზაქები
მიმიღის მარილზედაო ¹.

ურმულის სევდიანი ჰანგის დახასიათებაა მოცემული პოემის შესავალში. ილია ჭავჭავაძე აქვე გვაგრძობინებს მშრომელთა იმ ნუგეშს, მოლოდინს, იმედს, რასაც ურმული სიმღერები გამოხატავენ:

ყველას ეძინა, დღით ჰფეთქეს რაცა,
თითქო დალილა მიწაც და ცაცა!..
მხოლოდ კი ერთგან ურემი მძიმე
მიტრიალებდა, გზას აღვიძებდა,
და ნაღვლიანად მასზედ მურუმე
მწუხარ სიმღერას დაპულუნებდა.
ღუღუნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი,
მაგრამ თუ ნაღველს მოჰბერს დაჩაგრულს,
უკუ-პურის კიდევ ვით ღრუბელს ქარი. ²

მხედრისა და მეურმის დიალოგის დამთავრებისას ურმულის მწუხარე ჰანგი ქმედით ძალას მატებს პოემას. მხედარმა მეურმეს აუწყა, რომ მასაც უსამართლობიდან გაქცეულ ბლაქიაშვილივით „ულრინავს გული“, რომ ისიც იცხოვრებს „ამ დღიდგან თავზედ ხელადებული“.

და, რა სიტყვა ესა, მოხდენით ცხენი
მოსხლიტა უცებ ლაშათიანმა;
გაფრინდა ცხენიც ვით შავარდენი,
და მის ფეხის ხმას ხმა მოსცა შთამა.
თითქო შენატრდა მისა მურუმე,
„ახ, ნეტავი შენ!“ — წაიდუღუნა
და, გაიქნია რა თავი მერმე
შურით, ხარს შოლტი გაუტყლაშუნა,
და მერმე ისევ უფრო მწუხარედ
თვისი სიმღერა დაიღუღუნა ³.

როგორც აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძეს ღრმად და ფართოდ ესმოდა სიმღერის როლი ადამიანის ცხოვრებაში. ასევე ღრმად და ფართოდ გაგებული ხალხური სიმღერა გამოიყენა ილიამ თავის პოემაში სოციალური ბოროტების დახატვის, გამირების სულისკვეთების გადმოშლის მიზნით. უსამართლობიდან გაქცეულ გამირთა შეხვედრის სცენაში, მათ დიალოგში მწერალს ორგანულად ჩაუქსოვია სხვადასხვა ჟანრის ხალხური ნაწარმოებები. პოემაში დიდი მხატვრის თვალით არის დანახული ბლაქიაშვილის სადგომი „საშიში, ბნელი, გულდასურბული, შეუვალელი და წამობურბული“. ამბის განვითარების ხერხით ხალხური ეპოსის ანა-

¹ გ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 174.

² ი. ჭავჭავაძე, ტ. I, გვ. 159.

³ იქვე, გვ. 160.

ლოგიურია შეუვალ ტყეში კაკოსა და ზაქროს შეხვედრა. საგმირო-რომანტი-ული ეპოსის ძეგლის მიხედვით „ტარიელმა, როგორც დევ-გმირმა, ყამით-ყამამდე ძილი იცოდა, და სანამ გაღვიძების ყამი არ მოუწევდა, მანამ ვერაინი გამოალავებდა. იმ დროსაც, როცა მეფის ლაშქარი შემოადგა და ისრები დაუშინეს, ტარიელს ეძინა ნაბაღწამოხურულს და ვერაფერმა ვერ გამოალავიდა. რაში რომ პატრონის განცდას ჰხედავდა, ტიროდა და ტორებსა სცემდა, მაგრამ რაკი ვერ გამოალავიდა თავისი პატრონი, მაშინ დასწვდა და ცალი თითი მოაკვნიტა; ეგებ ამით მაინც გამოვალავიძოვო... თითის მოკვენეტამ ტარიელი გამოალავიდა; დაინახა რაც ამბავი იყო მის თავს და ნელ-ნელა, აუჩქარებლად აღვა, ნაბაღწადან ისარნი დაიბერტყა და მოველო თავის რაშს“¹. რაში აღვიძებს ტარიელს თქმულების სხვა ვარიანტების მიხედვითაც? ტყეში მძინარე კაკოსაც მხედრის მიახლოებისას ცხენი აღვიძებს:

მოვარე ჩასული იყო დიდ ხნისა,
როცა იმ ტყეში, ერთ ხის ძირასა,
ფრთხილად ეძინა ბლაჭიაშვილსა,
ზედისგან მწარედ განაწირალსა.
მის შორი-ახლო ლამაზი ცხენი
კაშმ-მოუხდელი სძოვდა ბალახსა,
და მას ფოთოლიც მოშრიალენი
ხშირად უფრთხობდნენ მოხვეწებასა.
უეცრად შეკრთა, აცქვია ყურნი,
თავი აიღო და გაიხედა;
მერე ტრიალით იწყო ფრუტუნა
და ერთს ალაგსა ზედ დააცქერდა;
დიდ ხანს უცქერდა და, რა მოესმა
თავისის მოძმის ცხენის ფეხის ხმა,
ვერ მოითმინა, დაიხვიხვინა
და პატრონს ძილი დააფრთხობინა.²

ამ შემთხვევაში ხალხურ ეპოსსა და ილიას ქმნილებას შორის დიდი განსხვავებაც არის. ილიას პოემის გმირს არავითარი მითითური ელფერი არა აქვს. გმირის ცხენიც არ არის ჯადოსანი ქომაგი. დიდ რეალისტ მწერალს ამბის განვითარებისას არ სჭირდება სასწაულებრივი ამბავი. პოემაში მაღალბოეტურად, რეალისტურად არის გადმოცემული ცხოველის თვისება. ცხენი ინსტიქტურად ეხმარება მისი ჯიშის არსებას და ძილს უკრთობს პატრონს. ამგვარი ხერხით მწერალი ამბავებს მკითხველის ინტერესს გმირთა მოქმედებისა და ხასიათების გასაცნობად. აქვე გმირთა შორის დიალოგის დაწყებისას ახალი ფუნქციით არის გამოყენებული მზათორმულა ზღაპრული პერსონაჟების შეხვედრისა. გავრცელებული ქართული ხალხური ზღაპრის მიხედვით ღვევებმა „დაინახეს ყარაბოლლი და შესძახეს:

— კაცო, კაცო, სამტროდ მოსულხარ თუ სამოყვროდო?

— სამოყვროდ მოვედიო,—მიუგო ყარაბოლლი“³.

¹ მ. ჩიქოვანი, ხალხური ვეფხისტყაოსანი, 1936, გვ. 82.

² „ივერია“, 1888 წ. № 230—231.

³ ი. ჭავჭავაძე, ტ. 1, გვ. 162—151.

⁴ ქს. სიხარულძე, ხალხური ზღაპრები. 1933, გვ. 91.

ილია ჭავჭავაძის პოემის მიხედვით ბლაჰიაშვილმა

... რა იხილა მხედარი ველზე

შეჰკივლა: „მიოხარ, ვინა ხარ შენა?

რისთვის მოსულხარ, -- მოყვარად, თუ მტრადა?“

მხედარი

— მოყვარად, გულუციხო, იყავ მშვიდადა¹.

გმირთა დილოგში მოხდენილად არის ჩართული ხალხური პოეტური ფორ-
მულა. ქართველ ხალხში გავრცელებულია გამოთქმები: „გულს გული ადვილად
იცინობსო“², „გული გულს იცინობს და სული სულსაო“³. ხალხური ნათქვამით
პოემაში დახასიათებულია სოციალური ბოროტების წინააღმდეგ ამხედრებული
გმირები, გამოხატულია მათი განწყობილება. უცნობი მხედარი ნაქვაცურად
მიმართავს ბნელ ტყეში თავშეფარებულ ბლაჰიაშვილს:

— გულს გული იცინობს და ღონეს-ღონე,

მენდე, გაგიყო ჰირი და ლხენა⁴.

გმირის მიერ ნათქვამი ზალხური ფორმულა პოემაში წინ უძღვის მძაფრ სი-
ტუაციას.

დიდ სითბოს, გულწრფელობასა და უშუალობას აძლევს პოემას ხალხური
საგმირო-საისტორიო ნაწარმოების შექმნის რეალური საფუძვლის განსაზღვრა.
გმირის სახელს ხალხი უკვდავყოფს. რეალური გმირი ხალხის მიერ ხშირად მი-
თითურ-ზღაპრული ელფერითაა მოსილი. ქართულ სინამდვილეში უამრავი ნა-
გალითი გვაქვს ეროვნული თუ სახალხო გმირების ლეგენდარულად წარმოდგე-
ნისა, მაგრამ ამ წარმოდგენას ყოველთვის გარკვეული რეალურ-ფსიქოლოგი-
ური საფუძველი აქვს—გმირისადმი ხალხის სიყვარული. ამის საფუძველზე
საგმირო ამბების დაბადება ილია ჭავჭავაძის პოემის ორგანული კომპოზიცი-
ური ელემენტია. უცნობი მხედარი მიისწრაფის ბლაჰიაშვილთან. ბლაჰიაშვილიც
აცნობს მას უდაბურ ტყეში ყოფნის პირობებს და ბოლოს ეკითხება:

მიოხარ, საიღამ გემცანურები?

ჩემთან მოსვლა რამ გაგაბედვინა? ⁵

მხედარი გულწრფელად უპასუხებს:

— შენი გაცნობა არ არის ძნელი,

ამაზედ რაღა ვილაპარაკო,

შორს გავარდნილა შენი სახელი,

ბავშვმაც კი იცის, ვინ არის „აკაო“!

შენზედ მოუბნობს კაცი და ქალი,

ვისაც ენა აქვს, შენ ყველა გაქებს;

შენი ამბავი, ეხლა მართალი,

ზღაპრად მიუვა ჩვენს შვილიშვილებს ⁶.

როცა კითხულობთ პოემის ამ ადგილს, მის გარეშე ვერ წარმოგიდგენიათ
ორი გმირის—უსამართლობის წინააღმდეგ ერთგვარად ამბოხებულთა სული-

¹ ი. ჭავჭავაძე, ტ. 1, გვ. 161.

² ანდაზები, 1943, გვ. 12.

³ ქართული ანდაზები, 1955, გვ. 36.

⁴ ი. ჭავჭავაძე, ტ. 1, გვ. 162.

⁵ იქვე, გვ. 163.

⁶ იქვე, გვ. 164.

ერად დაკავშირება. მწერალი იქვე სულიერი ნათესაობის ძაფს აბამს პოემის პერსონაჟებსა და ხალხის საყვარელ გმირ—არსენა ოძელაშვილს შორის...

შენზედ ამბობენ, რომ ხარ მამაცი,
გამოჰქეციხარ უსამართლობას,
ამბობენ, თურმე გიყვარს გლეხკაცი,
ბარაქალა მაც გულკეთილობას,...
რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს—
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს,—
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!
მარტო არსენას, თუ განსოვს შენა,
გლეხკაცი როგორც ძმა ჰყვარებია,
გლეხკაცის ბედი, ჭირი და ლხენა,
შვილსაგით კალთით უტარებია.
აბა, კაციცა. ისა ყოფილა
და ქულიც იმას, ძმაც, ჰხურებია!
ნეტავ იმ დედას, ვისგანც გაზრდილა,
და ვისაც ძუძუ უწოვებია!...¹

ხალხური ნაწარმოების გამოყენებისას ილია ჭავჭავაძის ერთი თავისებურება ის არის, რომ იგი დიდი ოსტატობით კუმშავს ხალხურ სიუჟეტს, მტკიცედ შეკრული ფორმით გადმოვცემს მის ძირითად აზრს, აღრმავებს ხალხური ნაწარმოების სოციალურ შინაარსს, ესთეტიკურად ამაღლებს მას. ამგვარად გადამუშავებულ ხალხურ მასალას ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში დიდი მხატვრული ძალა აქვს. უურადღებებს იქცევს ამ მხრივ მოყვანილი ეპიზოდი პოემისა. იგი უშუალოდ მისდევს საგმირო ნაწარმოების წარმოშობის განსაზღვრას. ლაპიდარული ფორმით გადმოცემული დედააზრი მესტერიული პოემისა არსენა ოძელაშვილის შესახებ, ამ პოემის აღწერდელი მნიშვნელობა, მისი დიდი შთამბგონებელი როლი მშრომელი ხალხისათვის დიდი ხელოვნებით არის შექსოვილი პოემაში გმირთა თავგადასავლის, განცდებისა და სულისკვეთების გადმოცემის მიზნით. საქართველოს ყველა კუთხეში მრავალ ვარიანტად გავრცელებულ მესტერიულ პოემას გარდა ცნობილია მოკლე მოცულობის ლექსებიც არსენა ოძელაშვილის ბრძოლაზე სოციალური ბედუკუდმართობის წინააღმდეგ². ხალხი ახლაც მარტივი სტრიქონებით, მაგრამ სიყვარულით ანასიათებს არსენა ოძელაშვილს:

მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს,
ღმერთი როგორ წაახდენსა.

ან კიდევ:

სადაც ტიტველასა ნახავს,
თავის პერანგს ჩააცმევსა.³

¹ ი. ჭავჭავაძე, ტ. 1, გვ. 164.

² ქართველი სახალხო გმირები, ქს. სიხარულიძის რედაქციით.

³ იქვე, გვ. 64.

ხალხური შემოქმედებით შთაგონებული მწერალი ამბის დასაწყისიდანვე ქმნის განწყობილებას იმ სოციალური პრობლემის გადასაჭრელად, რაც ასე მკვეთრად არის დაყენებული პოემაში. არსენა ოძელაშვილი პოემის გმირის იდეალია. ამგვარი იდეალის სოციალურ სარჩულს პოემის შესავალშივე ვეცნობით. შემდეგ-კი პოემის ამბის განვითარებაში სახალხო გმირის სახე ხან ანელებს სიტუაციებს, ხან ამძაფრებს. ამგვარად იგი გამოყენებულია იმ რთული სოციალური საკითხის გად.საჭრელად, რასაც ეძღვნება მთელი პოემა.

ბლაქიაშვილთან მისული მხედრის გულსაკლავი თავგადასავლი ძირითადი ღერძია პოემის ფაბულისა. ამ თავგადასავლის ერთი ღრმა ფსიქოლოგიური მომენტია „არსენას ლექსის“ შემეცნებითი ღირებულების გამომხატველი სტრიქონები. თავისი გაუხარეელი ჰავშვობის მოგონებაში მხედარი აღნიშნავს ხალხის საყვარელ გმირზე შექმნილი ნაწარმოების დიდ შთამაგონებელ როლს:

ის ზღაპრები მე გულს მიღონებდნენ
და აქამდინა დამრჩნენ ხსოვნაში,
ჭკვლებურს დროსა შემაყვარებდნენ
იმ ჩემ მხიარულ ყმაწვილობაში.
ეპ, მარტო ერთი იმ ზღაპრებისა
ლეილ დედასავით მე შემეთვისა!
ის მე ბერს რასმე გულს ჩამძახებდა,
ხან მომაღხენდა, ხან მაღონებდა...
არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა,
ჩვენამდინ, ძამო, ზღაპრად მოსული,
ის იყო ჩემი ჯაგრი და ლხენა,
ის იყო ჩემი გული და სული.¹

განსხვავებით ბალადისაგან, პოემის გმირის სახე თანდათან ვითარდება. ამ შემთხვევაში ხალხური საგმირო-საისტორიო ნაწარმოების შემეცნებითი ღირებულების მაღალპოეტურად დახასიათება საუკეთესო ხერხია გმირის (ზაქროს) სახის შექმნისათვის.

ეგრეთ გონება ხალხიანი
არსენას ამბით მე მეზრდებოდა;
მიყვარდა მე ის კეთილდღიანი
და არსენობა მენატრებოდა.²

მხედრის თავგადასავალში გადმოცემულია ზღაპრის, სიმღერის, საგმირო ამბების შესრულების წესები და ტრადიცია. ბოლო დრომდე ცნობილია ხალხური შემოქმედების ძლიერ ტრადიცია მწყემსებში. ზღაპრის მოყოლა ძილის პირს, მწყემსთა მიერ ნაღვლიანი სიმღერების შესრულება, გართობა-თამაშობანი მენახირე ბიჭებს შორის ქმნის მშრომელთა წარსული ყოფის დასამახსოვრებელ სურათს და მიმზიდველობას აძლევს პოემის ისედაც მშვენიერ ფორმას.

პოემის ფაბულის განვითარებისას განსაკუთრებით მძაფრდება სიტუაცია მხედრის (ზაქროს) მამისა და ბატონის დიალოგით. ილია ჭავჭავაძემ ცხოვრების ღრმა ცოდნით, უსამართლობისადმი დიდი სიძულვილით შექმნა ეგოისტი, გულ-

¹ ი. ჭავჭავაძე, ტ. 1, გვ. 167.

² იქვე.

ქვა ბატონის სახე. მოხუცისა და ბატონის დიალოგში ჩართული ანდაზები გამოყენებულია უარყოფითი გმირის ხასიათის შესაქმნელად. უძლური მოხუცის თხოვნაზე დაუთმოს შვილი, რომ შემდგომში „გადასახადი ერთიორად მიაართვას, შეუბრალებელი ბატონი უპასუხებს:

„არა, „ერთი მაქვს—სჯობს ათასს მქონდეს“¹.

ამ შემთხვევაში ილია წინწყლებით გამოყოფს მის მიერ უცვლელად გამოყენებულ ხალხურ ანდაზას² და აკისრებს მას მნიშვნელოვან როლს, შეუბრალებელი, ეგოისტი ბატონის ხასიათის გადმოსაცემად.

ბოროტი ბატონისა და სიმართლის მაძიებელი მშრომელის დაპირისპირების საშუალებაა ხალხური ფორმულა იმავე დიალოგში:

ბატონი

—თუნდ სულიც გაგჭრეს, არ მენადვლება,
თავში ქვა იყვ და ისა ჰქენა.

მამა

—შე დალოცილო. ქვა ვიყვ თავში,—
რა პასუხია, როგორ იქნება!..
ჩვენც ვურევივართ კაცებში, ხალხში,
ჭამა-სმა გვინდა, გვინდა ცხოვრება...³

ამ შემთხვევაში მძაფრი სიტუაციის შესაქმნელად გამოყენებულია გავრცელებული ფორმულა:

თავში ქვა უხლია და მუცელში სამართებელი⁴.

როგორც ვხედავთ, დიალოგის ფორმით განვითარებული სოციალური საკითხისადმი მიძღვნილი პოემის ფაბულის განვითარებაში გამოჩენილმა მწერალმა დიდი და სერიოზული ფუნქცია დააკისრა საუკუნეთა მანძილზე ქართული ხალხის მიერ შექმნილ მხატვრულ შემოქმედებას. ხალხის შემოქმედებითი გენიის ნაყოფი მწერალმა ამ შემთხვევაში პროგრესული იდეების ქადაგების სამსახურში ჩააყენა.

პოემამ „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ თავის მხრივ მოახდინა გავლენა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების განვითარებაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ილია ჭავჭავაძის პოემის შინაარსი, პერსონაჟები ამ პოემისა ხალხმა დაუკავშირა იმ გმირის სახელს, რომლის შესახებ შექმნილი ნაწარმოებით არის შთაგონებული ილია ჭავჭავაძის ქმნილების გარკვეული ეპიზოდები. 1947 წელს ყვარლის რაიონის, სოფელ გრემში ფოლკლორისტმა აბ. ცანავამ წერა-კითხვის მცირე მცოდნე ნიკო ლუარსაბიშვილისაგან ჩაიწერა გადმოცემა არსენას შესახებ. იგი ასე იწყება: „არსენას მამა მსახურობდა ბატონთან. მამა გაუროზგა ბატონმა. უყურებს, რომ მამას სცემს ბატონი. მოახლე ყოლოდა კიდე იმ ბატონს. მოახლე უყვარდა არსენას. მამა რო

¹ ი. ჭავჭავაძე, ტ. 1, გვ. 171.

² ქართული ანდაზები, 1955, გვ. 51.

³ ი. ჭავჭავაძე, ტ. 1, გვ. 172;

⁴ ქართული ანდაზები, 1955, გვ. 77.

გაუროზგეს, დაჲცა ბატონს და მოკლა. გავიდა მეგრე“. ამის შემდეგ გადმოცემის შინაარსი ვითარდება მესტირული „არსენას ლექსის“ მიხედვით¹.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხალხში აფორიზმების სახით არის გადასული ილია ჭავჭავაძის პოემის სტროფები, როგორიცაა მაგალითად:

რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს —
 ეგ ვერაფერი სიყვარულია,
 სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს, —
 ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!

აღნიშნული გარემოებანი მეტად მნიშვნელოვანია ხალხური სიტყვიერებისა და ლიტერატურის ურთიერთგავლენის თვალსაზრისით.

ხალხურ ნაწარმოებთა მოტივებით, ანდაზების გამოყენებით, ამბის განვითარების ხალხური სტილით ყურადღებას იქცევს ისტორიული პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“.

პოემის შესავალში ქართული ეთნოგრაფიული ყოფის საფუძვლიანი ცოდნით არის აწერილი ხალხური სიმღერის შესრულების გარემო წარსულში. პოეტი ღრმა განცდით გადმოგვცემს სიმღერების შთამავგონებელ როლს მშრომელებისათვის და ხალხის სიყვარულს მთქმელებისადმი. აქვეა მოცემული მეფანდურის დასამახსოვრებელი პორტრეტი. მთლიანად შესავალი პოემისა შექმნილია ხალხური შემოქმედების ტრადიციის საფუძველზე:

უქმე დღე იყო, ტვირთმიმევი და დამაშვრალი
 საყდრის წინ ჯგუფად ხალხი იდგა და ჰყაყანებდა;
 იქავე ახლოს, ცაცხვის ხის ქვეშ ერთი საწყალი
 ბრმა მეფანტურე იჯდა ცალკედ და მღუმარებდა.

„ეჲ, რას ყაყანებთ, — დაიძახა ყმაწვილმა ბიჭმა, —
 შინაც ძლივს ვუძლებთ დღე-მუდამის ჭირს, ვაგლახობას,
 აქ მაინც ცოტად ფრთა გაშალოს გულის წადილმა...
 ბრმა მეფანტურე, გვითხარ რამე, მამა-შვილობას!

გვითხარი რამე, ბერო-კაცო, ნასმენ-ნახული,
 ეგებ გულს ენავი მოაშორო კარგის ამბითა...
 კარგს მთქმელს ტყვედ რჩების ნატკივარი გული ზაგრული,
 გული გაზრდილი ვაებითა, წვით და დაგვითა“.

ბრმა მეფანტურე გაიმართა მაშინვე წელში,
 სახე ღრუბლივლი გაუნათლდა რაღაც მადლითა;
 მისწვდა, აიღო თვის უბრალო ფანტური ხელში,
 დაჲკრა ფანტურსა და დამღერა ნელისა ხმითა ².

ამგვარი შესავალი პოემის საუკეთესო ხერხია მკითხველისთვის წინაპართა გმირული ამბების გასაცნობად და სათანადო განწყობილების შესაქმნელად.

პოემის შინაარსი ხალხური საგმირო-საისტორიო სიმღერის სტილითაა გადმოცემული. წარსულში წერა-კითხვის უცოდინარი მშრომელი ხალხისათვის ზეპირსიტყვიერება ერთგვარი დაუწერელი ისტორია იყო.

¹ ქს. სიხარულიძე, ლიტერატურულ ნაწარმოებთა ფოლკლორული ვარიანტები, ლიტერატურული ძიებანი, V, 1949, გვ. 359.

² ი. ჭავჭავაძე, ტ. 1, გვ. 178.

მეფანდურეებს, გადმოცემების და თქმულებათა მცოდნე მოხუცებს თაობიდან თაობაზე გადაჰქონდათ თავისუფლების მოპოვებისათვის წინაპართა გმირული ბრძოლების ამბები. საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა ამგვარი ტრადიცია თვით ხალხურ ლექსებშიც კი არის ასახული. ამის ნიმუშია მთიულური ლექსის სტრიქონები:

დაჯექ, დათოლე პაპაო,
 ძველი რამ გეცოდინება,
 თუ კარგ რამეებს გვიამბობ,
 ცრემლები დაგვედინება,
 გეითხარი, ვინ შავაწუხა
 ვინ გაგვიბედა გინება,
 ვინ იყო რომ მოკივარდათ,
 მთიულთ მოსაბოა ინება¹...

ილია ჭავჭავაძის პოემის I და III თავები ხალხური სტილით იწყება:

მოდით, შეილნო, აქ მოგროვდით,
 გეტყვით გულის გასათბობსა,—
 ვინ ვიყავით, რა ვიყავით
 ჩვენ ქართველნი წინა დროსა²
 ყური მივდეთ, გეტყვით ამბავს
 უტყუარსა და მართალსა:
 ერთი მეფე თურმე ჰყვანდათ,
 უწინ ჩვენ მამა-პაპასა³.

გმირთა სახეებისა და ხასიათების შესაქმნელად პოემაში გამოყენებულია ხალხური პატრიოტული საისტორიო ლექსების მოტივები და სტრიქონები. დიმიტრი მეფე ყანის მოსალოდნელი მრისხანების გამო ამბობს:

დედას თავის ძუძუთა-შვილს
 კბილითა დააგლეჯინებს,
 უსუსურს ბავშვებს ძნად ჩაშლის
 და ზედ კალოს აღეწვინებს⁴.

პოემის ამ ადგილის წყაროა ჩვენი წარსული ტრაგედიის ამსახველი ხალხური ლექსების სტრიქონები:

ორშაბათ დილას გათენდა
 ავი დღე და ავი დარი,
 ყმაწვილების კალოს ლეწავს
 თურქმანის ცხენის ნალი;

¹ „მოგზაური“, 1901, № 11;

² ი. ჭავჭავაძე, ტ. 1, გვ. 178.

³ იქვე, გვ. 180;

⁴ იქვე, გვ. 186.

იქუზა და ირაგრაგა,
 შთა და ველი გადალახა,
 ყმაწვილების კალო ლეწეს,
 დედამ შვილი ველარ ნახა¹.

საგმირო-საისტორიო სიმღერის გავლენით არის შექმნილი პოემის XXI თავი. იგი ასე იწყება:

თითქო ზევით ზარი იყო,
 თითქო ღმერთი მოველინა...²

ღიმიტრი თავდადებულის სახის შესაქმნელად ამ შემთხვევაში გამოყენებულია გავრცელებული სასიმღერო ლექსი:

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
 ციდან ჩამოესმა რეკა...

პოემის სიუჟეტის განვითარებაში მნიშვნელოვანი ფაქტორია ანდაზები. პოეტი ზოგ შემთხვევაში აღნიშნავს კიდევაც მის მიერ გამოყენებული ხალხური ფორმულების კოლექტიურ სასიათს. გმირული წარსულის მოგონების მნიშვნელობა თანამედროვეობისათვის ასეა გადმოცემული მეფანდურის სიტყვებით:

წინა კაცი უკანასი
 ხილიაო, ნათქვამია³.

ღიმიტრი მეფის ხასიათს გვაცნობს სტრიქონები:

თქმულა: გმირის კაცისათვის
 თქმა და ქმნაოი ერთ არი⁴.

გმირის ხასიათს გვაცნობს პოემაში ცნობილი ანდაზა „ასჯერ გაზომე, ერთხელ გასჭერი“⁵. ეს ხალხური ფორმულა ილია ჭავჭავაძის მიერ ოდნავ შეცვლილი სახითაა გამოყენებული:

ოცჯერ ზომვა, ერთხელ ჭრაო—
 წესია მეფეთ ქებულთა⁶.

უხეში ძალმომრეობის გამოხატვის საშუალებათაა გავრცელებული ანდაზა ყვენისადმი მიმართულ ღიმიტრი მეფის სიტყვებში:

ნუ მოგაქვს თავი იმით, რომ
 ძალა აღმართის მხენელია⁷.

პოემა „მეტე ღიმიტრი თავდადებული“ გადავიდა ხალხში. ერთი ზეპირი ვარიანტი პოემისა ჩაწერილია 1947 წელს ს. ენისელში, 92 წლის საინტერესო მთქმელის ვანო მიქელაშვილისაგან. გადმოცემის წყაროდ მთქმელმა ზეპირსიტ-

¹ ქს. სიხარულიძე, ხალხური პოეზია საკოლმეურნეო სოფლებში, ლიტერატურული ძიებანი, ტ. VI, გვ. 62.

² ი. ჭავჭავაძე, ტ. I, გვ. 180. შდრ. ქართული ანდაზები, გვ. 211.

³ ი. ჭავჭავაძე, ტ. I, გვ. 189.

⁴ იქვე, გვ. 189, შდრ. ქართული ანდაზები, გვ. 30.

⁵ ქართული ანდაზები, გვ. 13.

⁶ ი. ჭავჭავაძე, ტ. I, გვ. 183.

⁷ იქვე, გვ. 200.

ყვიერება დაასახელა: „ეს ბებერი ხალხისაგან მაქვს გაგონილიო“. ვანო მიქელაშვილისაგან ჩაწერილი გადმოცემა ერთგვარი ფაბულარული სქემაა ილია ჭავჭავაძის პოემისა¹. ზეპირსიტყვიერებაზე ილია ჭავჭავაძის პოემის გავლენის საილუსტრაციოდ საინტერესოა შედარება ზოგიერთი ადგილებისა:

ილია

ერთხელ ყვინს აეშალა
თათარივე კაცი ერთი,
(ტ. 1, გვ. 181)

ილია

უცებ მეფემ თვალი მოჰკრა,
ხალხი გაიჩრდა შუაზედ,
ორს მარჯვე ზიპს ბერი-კაცი
მოჰყავთ მის წინ მოედანზედ.
მოჰყავთ კახცახთი, ხანხალით
ჩაჩანაკი და ბებერი,
მკერდზედ სცემდა თოვლივითა
მოხსუებულს თეთრი წვერი.
მოვიდნენ და გააჩერეს
ის მოხუცი მეფის წინა,
ბიჭები კვლავ მხრებში უსხდნენ,
თუმც ყავარჯენს დაებჯინა,
(ტ. 1, გვ. 192)

გადმოცემაში გვხვდება უცვლელად გადასული სტრიქონები პოემისა. ასეა თია მოხუცის სიტყვები მეფისადმი:

ილია

მოახსენა: — ზე მეფეო,
ნუ შემრისხავ ერთგულ ყმასა
მე ხომ მხედავ, გადასრულ ვარ,
სამარილამ გაძლევ ხმასა...
აჰა, მეფევე, ორი ზიპი,
მხრებში რომ ამომჯდომია,
ორივე ჩემი შვილი არი,
ერთი მეორის მჯობია;
მიირთვი და ინაცვალე,
ჩემს ქვეყანას მტლად დაუდე!
ომში, მეფევე, გაჩვენებენ,
და ლომებს პზრდის ქართელის
ბუდე.
შეკრიბე დიდი, პატარა,
გაუძელ წინამძღოლადა.

ხალხური

შაბაშ ყვინი ვომებოდა
სულთანს, თათარი თათარს
ვომებოდა.
(„ლიტ. ძიებ.“, V, გვ. 358).

ხალხური

სოფლი კაცსა ერთსა ბებერ
კაცსა ყვანდა ორი ვაგი. როცა
გაიგო ამ ბებერმა კაცმა შაბაშ
ყვინი აღონებს დიმიტრი მეფეს,
მაშინ ამ ბებერმა კაცმა თავის
შვილებს უთხრა. მხრებში შაისვა
და წავიდა დიმიტრი მეფესთან.
(„ლიტ. ძიებანი“, V, გვ. 358).

ხალხური

— ბეი მეფევე, მე ხომ მხედავ,
გადავსულვარ,
სამარილან გაძლევ ხმასა
შაკრიფე დიდი, პატარა,
გაუძებ ჯარს წინამძღვრათა.
ვინც უკუ-დგეს,
დედა შეერთოს ცოლათა
(„ლიტ. ძიებანი“, V, გვ. 358—359).

¹ ქს. სიხარულიძე, ლიტერატურულ ნაწარმოებთა ფოლკლორული ვარიანტები, ლიტერატურული ძიებანი, ტ. V, გვ. 357—358.

მტერს წინ დახვდი... ვინც უკუ-დგეს,

დედა შვერთოს ცოლად!

(ტ. 1, გვ. 192, 194).

ილიას პოემისგვარად, დიმიტრი მეფის ცხოვრების ტრაგიკული დასასრულით მთავრდება ხალხური გადმოცემაც:

ილია

მანც აიღო ხელთ ნაჯახი,

ერთ წამს კისერს დაუსწორა,

დასცა და ერთის დაკვრიოთა

თავი ტანსა მოაშორა

(ტ. 1, გვ. 204)

ხალხური

... მოკლა შაბაშ ყინმა

ჩვენი მეფე, ცულით თავი მაშურა

და საქართველოზე იღებდა კონლზე

ერთ მანეთს.

(„ლიტ. ძიებანი“, V, გვ. 358).

ილია ჭავჭავაძის პოემის ხალხში ზეპირად გავრცელების მიზეზი მის ამდღეულ იდეასთან ერთად თხრობის ხალხური სტილიც არის.

ქართული კლასიკური ლიტერატურის ბრწყინვალე ძეგლი „განდგეილი“ ხალხურ სიუჟეტზეა აგებული. პოემის წყაროა სამიჯნურო ცდუნების მოტივის შემცველი ხალხში ბოლო დრომდე გავრცელებული ლეგენდა. სამიჯნურო ცდუნების მოტივი გავრცელებულია მსოფლიო ლიტერატურასა და ზეპირსიტყვიერებაში. ქართულ ლიტერატურაში ამ მოტივის შემცველ ძეგლებს აყად. კორნელი კეკელიძემ მიუძღვნა საინტერესო ნარკვევი: „სამიჯნურო ცდუნების პრობლემისათვის ქართულ ლიტერატურაში“¹. სამიჯნურო ცდუნების მოტივს შეიცავს მსოფლიო ეპოსის მრავალი ნიმუში, მათ შორის თქმულება ნიბელუნგებზე, ან კიდევ როსტომიანი. ეს უკანასკნელი ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს ყველა კუთხეში. აღქმა უზიწობისა ეპიური გმირის მიერ ხშირად ფალაგნობასთან არის დაკავშირებული. ქართული ხალხური თქმულებით, როსტომ გმირის მიერ ქექეოზის სამეფოს დატოვების მიზეზი სამიჯნურო ცდუნება იყო². ეს მოტივი ქართულ საისტორიო ეპოსშიც გვხვდება. თქმულების მიხედვით ერეკლე მეორის თანამედროვე სახალხო გმირი თამარ ვაშლივანელი ფალაგნობის დაკარგვის შიშით გათხოვების წინააღმდეგი იყო³. ქართულ ეპოსში ეს მოტივი წმინდანობასაც უკავშირდება. ლეგენდების მიხედვით თამარ მეფემ უზიწოების დაკარგვის შემდეგ დაკარგა უნარი ლოცვის დროს პაერში დგომისა. ან კიდევ უზიწოების დაკარგვის შემდეგ მზის სხივმა აღარ დაიჭირა თამარის სამოსელი⁴. მზის სხივის სასწაული ერეკლე მეორის სახელთანაც არის დაკავშირებული. ლეგენდის მიხედვით „ერეკლე როცა ლოცვაზე დადგებოდა, ხმაღს მზის შუქზე დაჰკიდებდა ხოლმეო და ლოცვას როცა გაათავებდა, ის სხივიდგან ისევ აიღებდა ხმაღსაო“⁵.

ასეთი მოტივების შემცველ ლეგენდებს ფართო გავრცელება აქვს საქართველოში. ამგვარ მოტივზეა აგებული მყინვარის კლდეში გამოკვეთილ ბეთლემ-

¹ კ. კეკელიძე, ერთუღები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან—II, 1945 წ.

² „ივერია“, 1867, № 214.

³ „ივერია“, 1882, № 12.

⁴ В. М и х е р, Осетинские этюды, III; „დროება“, 1878, № 73; „კვალი“, 1883, № 37.

⁵ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, 1931, გვ. 365.

თან დაკავშირებული ლეგენდა¹. ილია ჭავჭავაძე შესანიშნავად იცნობდა და ფლობდა ქართულ ზეპირსიტყვიერებას. თავისი პოემის ქარგად მან ბეთლემის შესახებ არსებული ლეგენდა გამოიყენა. ბეთლემის გამოქვაბული ნამდვილად არის მყინვარის კლდეში. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით „მყინვარის კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა, და უწოდებენ ბეთლემსა, გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჭაჭვი რკინისა, გარდმოკიდებული ქვაბიდან და მით აღვლენ“². ქართველ ალპინისტთა ჭგუფმა ცნობილი მთასვლეელი ქალის აღექსანდრა ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით მიაყვლია ვახუშტის მიერ აღწერილ გამოქვაბულს³.

ბეთლემის გამოქვაბულთან დაკავშირებული ფანტასტიკური ლეგენდების არსებობაზე მიუთითა ვახუშტიმ. ჩვენ თავის დროზე აღვნიშნეთ გამოჩენილი გეოგრაფისა და ისტორიკოსის კრიტიკული დამოკიდებულება ამ ლეგენდებისადმი⁴. ცხოვრებისაგან განდგომილი ადამიანის მარცხზე შექმნილი ლეგენდისადმი ილია ჭავჭავაძის ინტერესი სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე ღრმად განიცდიდა ცხოვრების ავ-კარგს.

აღნიშნულია, რომ ილია ჭავჭავაძის პოემასა და ლეგენდას შორის საერთოა: ბეთლემის სიწმინდე და შეუვალობა; მამისერთა მწყემსი ქალის მისვლა მონასტერში; ქალის ბეთლემში აყვანა; ცეცხლის დანთება და ქალის გათბობა; ცეცხლის შექმნე ქალის სილამაზის შემჩნევა და ბერის მოჭადოება; შხის სხივის სასწაულის დაკარგვა ბერის სიწმინდის შებღალვის შედეგად; ბერის ცხოვრების ტრაგიკული დასასრული⁵.

ხალხური ლეგენდიდან ი. ჭავჭავაძეს არ გამოუყენებია მტრელების მოტივი. განსხვავების მაჩვენებელია ისიც, რომ ხალხური ლეგენდის მიხედვით ბეთლემში ორი ბერია. ამას გარდა ი. ჭავჭავაძეს ხალხური ლეგენდიდან ქალის ბერისადმი აღრინდელი მიჯნურობის ამბავიც არ აუღია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ილია ჭავჭავაძის პოემაში ბევრი უძლიერესი ეპიზოდი სავსებით დამოუკიდებელია ხალხური ლეგენდისაგან. ხალხური ლეგენდის მიხედვითაც დაგმობილია ცხოვრებიდან გაქცევა, მაგრამ ილია ჭავჭავაძის პოემაში ეს იდეა უღიღეს პრინციპულ სემალეზეა აყვანილი. ილიას პოემაში ეს არის დიდი საკუთბრითი იდეა. ცხოვრების განხორციელებისათვის ბრძოლის ხერხები ილიას პოემაში სავსებით ორიგინალურია. ამ ხერხებს პოემაში დიდი ქმედითი ძალა გააჩნია. იმის ნიშნად, თუ როგორ გადაამუშავა ილია ჭავჭავაძემ ხალხის წიაღიდან ამოღებული ნაწარმოები, რა მაღალ ესთეტიკურ საფეხურზე აიყვანა მისი სოციალური შინაარსი, ორიოდ მაგალითს მოვიყვანთ. ხალხურ ლეგენდაში არაფერია ნათქვამი განდევნის გარეგნობაზე. ილია ჭავჭავაძეს მოცემული აქვს მეუღაბნოეს დასამახსოვრებელი პორტრეტი:

¹ ლეგენდა ჩაწერილია პროფ. მ. ჩიქოვანის მიერ 1945 წელს, მთქმელ ო. სუჯაშვილისაგან.

² ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ. 1941, გვ. 67.

³ ვახ. „კომუნისტი“, 1948, I თებერვალი.

⁴ ქს. სიხარულიძე, ვახუშტი ბატონიშვილი ხალხური შემოქმედების შესახებ, ლიტერატ. ძიებანი, IV, გვ. 399.

⁵ ნ. მახათაძე, ი. ჭავჭავაძის „განდევნის“ ფულკორული წყაროები.

არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს
 სულის სიმაღლე ზედ დასჩნეოდა,
 ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი
 სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა.
 სახე გამხდარი, კუჭტი და მწყურალი
 სიწმინდის მაღლით დაჰშვეწებოდა,
 და მაღალს შუბლსა, ნაოპად შეკრულს,
 შარავანდედი გადაჰფენოდა.
 მისთა მეცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება
 ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი,
 თითქოს მათშიგან ჩასახლებულა
 თვით საფნოება, კდემით მოსილი;
 თითქო ნელისა სიხარულითა
 სასოებითა მიისწრაფიან¹.

პოემის დიდი შემეცნებითი და მხატვრული ძალა იმაშია, რომ ამჟღავარი, ერთის შეხედვით თითქოს დადებითი გმირის მარცხით არის დაგმობილი ცხოვრებისაგან განდგომა. ეს არის მეტად თავისებური ხერხი უკეთესი მერმისისათვის ბრძოლისა.

ხალხურ ლეგენდაში არ არის მოცემული აგრეთვე დიალოგი მწყემს ქალსა და მეუღაბნოეს შორის, რაც ილიას პოემის ერთი უძლიერესი ეპიზოდია. სიცოცხლის მშვენიერების დიდი ძალა ოსტატურად არის გამოხატული ამ დიალოგით:

ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!
 მერე იცი კი რა-რიგ ტკბილია!
 აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,
 აქ ჭირია და იქ კი ლხინია.
 ნუთუ თვისტომი, ტოლი და სწორი
 ყველა გულიდამ ამოგილია?
 ნუთუ ნაღველი, დარდი და ჯავრი
 თან არავისი წამოგილია,
 არ გაგონდება არც მამა, დედა,
 უნ ძმა, ანუ და, ან სახლი, კარი?
 ნუთუ მის—დღეში აღარ გყოლია
 მოკეთე გულის შემატკივარი?
 როგორ მოშორდი?... “—“ რა გითხრა, შეილ ო?
 ყველაზე უფრო სული ტკბილია,
 იგი ტყვე არის წუთის-სოფლისა
 და ეგ ყოველი მის ბორკილია“.
 — „მამ ვინც ქვეყნად ვართ, ყველა წაეწყვდებით,
 ვეღარ დავისნით ვერაფერი სულსა?“
 — „ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა
 ესეთი მერგო მე... უბედურსა...“²

¹ ი. ჭავჭავაძე, ტ. 1, გვ. 208.

² იქვე, გვ. 218

ჩვენ არ ვიზიარებთ სამეცნიერო ლიტერატურაში არა ერთგზის გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს „განდეგილს“ განცალკევებული ან თავისებური ადგილი ეჭიროს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში. „განდეგილი“ დაგვირგვინება იმ საკაცობრიო იდეისა, რომელიც პოეტმა წამოაყენა უფრო ადრე შექმნილ სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში და წერილებშიც ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ. „განდეგილის“ შექმნამდე ორი ათეული წლით ადრე, 1862 წელს დაწერილ წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ მოაზროვნე პოეტმა ხატოვანი თქმებით დაახასიათა ცხოვრების მშვენიერება:

„გული სხვა-რიგად სცემს, როცა დედამიწაზედ ზამთრის შემდეგ მზე ამოხეტავეს მწვანე ბალახსა და უფრო სხვა-რიგადა სცემს მაშინ, როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვავილი ახალის აზრისა... მით უფრო მშვენიერია ეგ ყვავილი, რომ ჰქნება, თუ ცხოვრობს, მაინც ისე არ გაძუნწდება, რომ სხვა არ აღმოშობოს, იმ სხვამ კიდევ სხვა და ეგრეთ არ შეადგინოს ისტორიული ყვავილთა გრეხილი, რომელშიაც მომდევარი წინამსვლელებზედ ყოველთვის უფრო სრულია, უკეთესი და მშვენიერი, თუ რომ ცხოვრების ვითარების და გარემოების გავლენა ადრე და მალე არ დაუხლართავს გზასა და ზრდას არ დაუშლის. მაგრამ ესეც კია სანუგეშო, რომ როგორი დარიც უნდა დაუდგეს მაგ ყვავილსა, თუ კი ძირი ღონიერი აქვს, რაც უნდა ფეხი დააჭირო და სრესო, მაინც გაარღვევს დღეს და ხვალ დედამიწასა, ამოხეთქავს და გამოვა სინათლეზედ უფრო დამშვენებული და ძლიერი“¹.

ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის მსგავსად ილიას ყოველთვის სწამდა სიცოცხლის მშვენიერება. ქადაგება სიცოცხლის მშვენიერებისა, ცხოვრების განახლებისათვის ბრძოლის იდეა უწყვეტ ჯაჭვივით მისდევს ილია ჭავჭავაძის მდიდარსა და მრავალფეროვან შემოქმედებას. ხალხურ საშენ მასალაზე აგებული „განდეგილიც“ ამ უწყვეტი ჯაჭვის შემადგენელი ერთი რგოლია.

¹ ი. ჭავჭავაძე, ტ. III, 1953, გვ. 58.



ვ. ითონიშვილი

ეთნოგრაფიული მასალების გამოყენების შესახებ ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწერებში

საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი ინტერესი, რასაც მკვლევართა რამდენიმე თაობა იჩენდა და დღესაც იჩენს ილია ჭავჭავაძის უმდიდრესი ლიტერატურული და მეცნიერულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობისადმი. ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მრავალმხრივობამ და სიძლიერემ განაპირობა ლიტერატურის ისტორიის მომიჯნავე დარგების სპეციალისტთა მუშაობის აუცილებლობაც ლიტერატურის ისტორიკოსებთან ერთად ილიას შემოქმედების ცალკეულ საკითხებს იკვლევენ ფილოსოფიის, ისტორიის, ხელოვნებისა და სხვა მეცნიერებათა წარმომადგენლები.

ილიას სიბრძნის ზღვაში ეთნოგრაფსაც შეუძლია მარგალიტების მოძებნა. ილია ჭავჭავაძე იყო ქართული ეთნოგრაფიის ისტორიის ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელთაგანი, ეთნოგრაფიული მუშაობის უდიდესი ორგანიზატორი და ტონის მიმცემი. მისი თაოსნობა რომ არაა, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა იმის გაკეთება, რაც მისმა თანამედროვეებმა—ალ. ყაზბეგმა, ვაჟა-ფშაველამ, დიმიტრი და მოსე ჯანაშვილებმა, თედო სახოკიამ, ნიკო ჯანაშიამ, ბესარიონ ნიჟარაძემ, ნიკო ხიზანიშვილმა, ივანე გვარამაძემ და სხვა მოღვაწეებმა შეძლეს. ილიამ ფართო გასაქანი მისცა ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე („დროება“, „ივერია“) ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ხასიათის წერილების ბეჭდვას და ამით განუზომელად დიდი წვლილი შეიტანა აღნიშნული დარგების შესწავლის საგნად ქცეული მდიდარი მასალის ამტყვევლების საქმეში. მაგრამ მხოლოდ ამის თქმა როდი იქმარებს ეთნოგრაფიის სფეროში მისი მოღვაწეობის გასაცნობად. ზემოთქმულთან ერთად, ხაზი უნდა გაესვას მის შემკრებლობითსა და კვლევით მუშაობას, რამაც თავისებური ასახვა ჰპოვა ავტორის ცალკეულ წერილებში, გამოკვლევებში, მიმოხილვებში და მხატვრულ ნაწერებში.

ილ. ჭავჭავაძის ნაწერების ეთნოგრაფიული თვალსაზრისით შეფასება ჯერ კიდევ 1908 წელს სცადეს. მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული ბუნებისმეტყველებისა, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საიმპერატორო საზოგადოების ეთნოგრაფიულმა განყოფილებამ 1908 წ. 12 მარტს სპეციალური სხდომა მოაწყო ილიას ხსოვნისა და მისდამი პატივისცემის ნიშნად. ამ სხდო-

მაზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა პროფ ვს. მილერმა,¹ რომელმაც დიდი შეფასება მისცა ილიას სალიტერატურო, სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მანვე აღნიშნა, რომ ეს იყო მეორე შემთხვევა ალ. პუშკინისადმი მიძღვნილი სხდომის შემდეგ, როდესაც ეთნოგრაფიის სფეროში მწერლის მიერ გაწეული მუშაობა ფასდებოდა.

სხდომაზე მოხსენებებით გამოვიდნენ ალ. ხახანაშვილი², გ. ჟორდანიას³ და დ. არაყიშვილი⁴. იმ დროისათვის ეს იყო წინ გადადგმული ნაბიჯი და საკითხის სერიოზულად დასმა ილიას შემოქმედების ამ მნიშვნელოვანი მხარის გააშუქების აუცილებლობის შესახებაც. მაგრამ, სამწუხაროდ, ილიას ეთნოგრაფიული მოღვაწეობა ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ეს შეიძლება ითქვას იმდენად რამდენადაც ალ. ხახანაშვილისა და გ. ჟორდანიას შრომებში ეს საკითხი მკრთალად და ზერელედაა განხილული. პირველი მათგანის წერილში არსებითად ილიას ლიტერატურულ მოღვაწეობაზეა ლაპარაკი, ხოლო ილია, როგორც ეთნოგრაფი, დახასიათებულია კონკრეტული მასალის მოუშველებლად, ზოგადი ფრაზებით.

ასევე მკრთალი და მეცნიერების თანამედროვე მიღწევებისათვის არადაამკმაყოფილებელია გ. ჟორდანიას სტატია, სადაც უფრო მეტად სოციალური ბრძოლისა და ბატონყმური ურთიერთობისათვის ნიშანდობლივი იმ სიტუაციის შესახებაა ლაპარაკი, რაც ილიას მხატვრული ნაწერების მიხედვით გვესახება, და არა ყოფასა და ჩვეულებებზე, რასაც ასე ფართო ადგილი უჭირავს მწერლის მხატვრულ შემოქმედებაში და რომლის გამოვლენას ისახავდა მიზნად დასახელებული სტატიის ავტორი.

ამ წერილში ჩვენ შევეხებით საკითხს ეთნოგრაფიული მასალის ასახვის შესახებ ილიას მხატვრულ ნაწერებში. საკითხის ამ წესით განხილვა საჭიროა იმიტომ, რომ სამეცნიერო პუბლიცისტური ნაწერებისაგან განსხვავებით, ილიას პოეტურსა და პროზაულ ნაწერებში ეთნოგრაფიული მასალა მხატვრული ქმნილების ჩარჩოებშია მოქცეული და მისი დანიშნულებაც ამ გარემოებითაა განპირობებული.

ქართველი ხალხის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ყოფითი მოვლენებისა თუ მისი შემადგენელი ელემენტების მეტ-ნაკლები ცხოველყოფილობით წარმოსახვამ, რაც მშრალი ეთნოგრაფიული აღწერილობის ნაცვლად მხატვრულ ასპექტშია მოცემული და გააზრებული, მწერალს შესაძლებლობა მისცა სისრულით აესახა გარკვეული ეპოქის ნიშანდობლივი მხარეები. შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ხალხის საყოფაცხოვრებო პირობების საფუძვლიანი ცოდნა იყო ერთი მძლავრი წყაროთაგანი, სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ვითარების ღრმა ცოდნასთან ერთად, რომელიც მძლავრად ასაზრდოებდა მწერლის მხატვრულ შემოქმედებას.

ჩვენ არ შეგვიძლია დასახელება ილიას არც ერთი პროზაული ქმნილები-სა, რომელშიაც სათანადო ადგილი არ ჰქონდეს დათმობილი ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული მასალის მხატვრულ ფორმებში ასახვას. ეს ისე ოსტა-

¹ В. С. М и л е р, Памяти бытописателя Грузии, КН. Илья Григорьевича Чавчавадзе, ж. «Этнографическое обозрение», Москва, 1908 г., № 1—2, стр. 119—121.

² А. Х а х а н о в, Князь И. Г. Чавчавадзе, как этнограф, დასახ. ჟურნალი, გვ. 122—135.

³ Г. Ж о р д а н и я, Быт и нравы грузинского народа середины XIX века в литературных произведениях, кн. И. Г. Чавчавадзе, დასახ. ჟურნალი, გვ. 136—143.

⁴ Д. А р а қ ч и е в, кн. Чавчавадзе и его стихотворения в грузинской народной песне დასახ. ჟურნალი, გვ. 144—148.

ტურადაა გაკეთებული და ამით იმდენადაა გაძლიერებული ნაწარმოების ესა თუ ის ადგილი, რომ უიმისოდ აშკარა სიცარიელეს ვიგრძნობდით. ყოველივე ეს რომ თვალნათლივ წარმოვიდგინოთ, საჭიროა გავყვეთ ანალოგიური საკითხების რიგს თანმიმდევრობით ვაჩვენოთ, ერთი მხრივ, გამოყენებული ეთნოგრაფიული მასალის რაობა და, მეორე მხრივ, გავარკვიოთ რამდენად აუცილებელი იყო მისი იმ სახით გამოყენება, როგორც ეს მწერლის ბელეტრისტულ ნაწერებშია მოცემული.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ აფასებდა ილია ხალხურ სიბრძნესა და შემოქმედებას, საემარისა ვავიხსენოთ მისი უკუდავი „კაცია-ადამიანის“ მოკლე, მაგრამ დიდი შინაარსის შემცველი შესავალი, სადაც ილიასთვის ჩვეული ოსტატობით გამოკვანძულ კითხვა-პასუხში მჭერმეტყველურადაა განსაზღვრული ხალხურ სიტყვა-თქმათა შემოქმედებითი მნიშვნელობა.

ილიამ „კაცია ადამიანს“ ებიგრაფად წარუძმღვარა ქართული ხალხური ანდაზა—„მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“, რომელსაც ის „გონიერ ანდაზა“-ს უწოდებს და იქვე წერს: „სადა ხარ ეხლა ამ გონიერის სიტყვის მოქმელი? ვიცი, სადაცა ხარ: ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ. ისიც ვიცი, რაცა გქვიან: შენ ხალხის გენიას გეძახიან. ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ: შეუტდომელი და ყოველთვის მართალი ხარ!.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ აქ კალმის გენიალურად მოსმის ერთ შესანიშნავ ნიმუშთან გვაქვს საქმე, რომელიც კომენტარს აღარ საჭიროებს.

ხალხურ სიტყვა-თქმათა მოსწრებულად გამოყენებასთან ერთად ილიას პროზა საკმაოდ მდიდარია ეთნოგრაფიული ეპიზოდებითაც. ეს შეიძლება ითქვას თუნდაც იმავე „კაცია-ადამიანის“ შესახებ, სადაც ავტორი ღრმა ცოდნას იჩენს ხალხური მკურნალობის, მიმინოთი ნადირობის ძველი ქართული ჩვეულების, ჰამა-სმის კომპლექსის, კლასობრივი საზოგადოებისათვის ნიშანდობლივი სოფლის ზოგიერთი თავისებური მხარის, საქორწინო ჩვეულებებისა და რწმენა-წარმოდგენების შესახებ. ყველაფერი ეს თავისთავად საყურადღებოა, როგორც მხატვრული ტილოს ამა თუ იმ ადგილის გამაძლიერებელი ელემენტი. ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევჩერდებით.

იმის საჩვენებლად, თუ როგორ იყენებდა ილია ჭავჭავაძე ქართველი ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულ მასალას, მოვიგონოთ თუნდაც ნაწარმოების ის ადგილი, სადაც ლუარსაბის დაქორწინების ამბავია აღწერილი.

მოთხრობის საკმაოდ ვრცელ ნაწილში, სახელდობრ იქ, სადაც ლუარსაბისა და მაჭანკლის დიალოგია გადმოცემული, ოსტატურადაა აღწერილი კლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი საქორწინო ურთიერთობის ზოგიერთი ნიშანდობლივი მხარე, კერძოდ, გარიგების ხასიათი. ერთი მხრივ, საცოლედ მოყრილი ლუარსაბის ფიქრების გადმოცემისა და, მეორე მხრივ, მაჭანკალთან მისი შეხვედრის მომენტის აღწერით, ავტორი აღწევს მაჭანკლობის ვაჭრული ბუნების არაჩვეულებრივი სიზუსტით დახასიათებას. აქ წარმოდგენილი ყოველი წინადადება და ფრაზა იმდროინდელი სოციალური ვითარების ამსახველი და შესაბამისი წეს-ჩვეულების ანარეკლია. ის გარემოება, რომ ლუარსაბი ქალს გვარიშვილობისა და სიმდიდრის მიხედვით არჩევს, რომ თავად გძელადისაგან შერჩეული მაჭანკალიც, სილამაზესთან ერთად, ქალის ღირსების

ნიშნებად მისი ოჯახის ეკონომიურ შეძლებასა და თავადიშვილობას ასახელებს, იმის ცხად სურათს გვიხატავს, რაც არა მარტო ქართულ მწერლობაში, არამედ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში თუ ეთნოგრაფიული ხასიათის წერილებშიც მდიდრადაა ასახული და ფაქტიური მასალით გამაგრებული.

ზემოთქმულთან ერთად თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ილია ჭავჭავაძე ამ ნაწარმოებით გვაცნობს მაქანკლისათვის გასამრჯელოს მიცემის ჩვეულებას და ისეთ მოვლენასაც კი, როგორც იყო გასინჯული საცოლეს მაგივრად ულა-მაზო ღის შენაცვლების შემთხვევები, რაც არც თუ ისე იშვიათად ხდებოდა საქორწინო ურთიერთობის მოწესრიგების შემოსხენებულ ჩვეულების გამოყენებასთან დაკავშირებით, დავრწმუნდებით იმაში, რომ მწერალი ფიზიკლად აღევნებდა თვალს ხალხის ყოფა-ცხოვრებას და სათანადო შეფასებას აძლევდა მის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს.

მაქანკლობის ვაჭრული ბუნება კიდევ უფრო სხარტად და კომიკურადაა ნაჩვენები ორმოქმედებიან კომედია „მაქანკალში“, რომელიც „კაცია-ადამიანის“ გადაკეთებას წარმოადგენს.

ყოველივე ამით მწერალმა იმ ქვეშარიტების წინაშე დაგვაცენა, რომ მთელი ეს „ცერემონიალი“ განპირობებული იყო ეკონომიური ფაქტორით. ეს მომენტი განსაკუთრებული სიმწვავეითაა გახაზული ლუარსაბისა და დარეჯანის მიერ ეკლესიაში ჭვარის დაწერის აღწერასთან დაკავშირებით.

ილია ჭავჭავაძის მიერ აქ წარმოდგენილი ვითარება თავის დადასტურებას პოულობს საქორწინო ურთიერთობის ამსახველ ეთნოგრაფიულ ნაწერებთან შედარებისას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მწერალი საფუძვლიანად იცნობდა ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მოქმედ საქორწინო ჩვეულებებს და მკაცრად სვამდა მისი დრომოკმულობის საკითხს.

საქორწინო ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით კიდევ უფრო საინტერესოა მოთხრობა „კაკო“, რომელშიც დაქორწინებისათვის სავალდებულო წინაპირობებზეა გამახვილებული ყურადღება. სახელდობრ, მსჯელობა მიმდინარეობს გასათხოვარი ქალის შეფასებაზე პირადი ღირსების მიხედვით და ირკვევა შემდეგ: გასათხოვარი ქალის ღირსების უმნიშვნელოვანესი საზომია ნაშუსი, ხოლო ამ უქანასკნელი თვისების შემუშავება დამოკიდებული ყოფილა დედის, როგორც აღმზრდელის, პირად თვისებებზე და მის მიერ გაწეულ აღმზრდელობით მუშაობაზე.

ქალის აღზრდის საქმეში გარკვეული როლის შემსრულებლად გვესახება მამაც, რომელიც, მოთხრობის მიხედვით, დედისაგან განსხვავებულ მეთოდს იყენებდა. კერძოდ, აღმზრდელი მამა აქ რელიგიას მიმართავს და თავის ქალს საიქიოში ჯოჯოხეთურ მღვდმარობაში ჩაყარდნას უწინასწარმეტყველებს უნამუსობის ჩადენის შემთხვევაში. იგივე მამა დარწმუნებულია ხალხური სამართლის ძალით გათვალისწინებული სასჯელის ისეთ სახეობათა მიზანშეწონილებასში, როგორც იყო უნამუსობის ჩამდენი ქალის „ჩაქოღვის“ აუცილებლობა და სხვა. იმავე ქართული ხალხური სამართლის თავყანისმცემელია ქალის დედაც და თავის აღზრდილს ახსენებს ერთი მუხტის შინაარსს „უნამუსო გოგოსა ვირზედ შესვამდნენ და სოფელში თავლაფდასხმული ჩამოატარებდნენ“-ო!.

როდესაც ვეცნობით ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „კაკოს“ ამ ადგილს და ვუღარებთ მას ანალოგიური ვითარების ამსახველ ეთნოგრაფიულ მასალას, დამოწმებულს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით იმაში, რომ ილია ხალხურ ჩვეულებებს საგანგებოდ სწავლობდა.

„კაცია-ადამიანი“¹ ეთნოგრაფიულად საინტერესო მეორე მომენტსაც აქვს ადგილი, რომელიც რელიგიის სფეროს განეკუთვნება და ქართველთა ძველი სარწმუნოების ზოგიერთი ნიშანდობლივი მხარის გათვალისწინების შესაძლებლობას გვაძლევს.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა თუნდაც სალოცავად გამგზავრებული ლუარსაბისა და დარეჯანის დიალოგი, როცა ისინი მსჯელობენ ქალაქში პირველად ჩასულის მიერ კენჭების ჩაყლაპვის საჭიროებაზე. ამ დიალოგით მწერალი გვაცნობს ჩამორჩენილი ადამიანის მსოფლმხედველობის დონეს და იქვე სქოლიოში სათანადო განმარტებასაც იძლევა: „ჩვენში ბევრსა სწამს, რომ, თუ ვინც პირველად ქალაქში ჩადის და კენჭს არ ჩააყლაპავს, ქალაქი დასცილისო. მეც, ამის დამწერს, გადამაყლაპეს ერთს ღროს“¹.

არანაკლები ყურადღების ღირსია თვით სალოცავად გამგზავრების მიზეზი, კერძოდ, უშვილობისაგან თავის დაღწევის მიზნით ხატში (სალოცავში) შესაწირავით მისვლა. საქართველოში ძველად გავრცელებული, და არა ერთი და ორი მკვლევრის მიერ მრავალჯერს დამოწმებული, ამ ჩვეულების თავისებურება მწერალმა თვით ლუარსაბისა და დარეჯანის მოქმედების ერთი მომენტის აღწერით შემოხაზა. აქვე კარგად არის გათვალისწინებული რწმენა-წარმოდგენების სხვა დამახასიათებელი მხარეებიც.

შელოცვილი ქვებითა და ამულეტებით ხატის კარზე მისვლასთან ერთად ეს „უიღბლო“ ცოლ-ქმარი გულს იმშვიდებენ დარეჯანის მიერ ნანახი სიზმრით, თითქოს მას თეთრწვერიანი კაცი გამოეცხადა და უთხრა: გამრავლი ვითარცა იაკობო. მათ თითქოს ამით უმსუბუქდებათ უშვილობით წარმოქმნილი ტრაგედია, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ, უშვილოდ გადასვლის შემთხვევაში, მემკვიდრის უფლებით მისი ძმა და ძმისწულები ისარგებლებდნენ.

ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიის შესწავლისათვის, ზემოთქმულთან ერთად, მნიშვნელობა აქვს ამავე ნაწარმოებში აღბეჭდილ სხვა მომენტებსაც. ასეთად გვესახება, მაგალითად, ლუარსაბის მიერ ნანახი სიზმრის შინაარსი, ცრუმორწმუნე ადამიანის განცდა და, ამასთან დაკავშირებით, მის მიერვე გამოთქმული შეხედულება.

ლუარსაბი ღმერთს სამდღურავს უთვლის, რომ თელეთობაზე შესაწირავით (ცხვრით) მისვლისა და ხატისადმი ხეწვნა-მუდარის მიუხედავად, ღმერთმა წყალობა მაინც არ გამოიღო და მათთვის შვილი არ გაიმეტა, მაშინ, როდესაც არადროს არ უღალატნია ქრისტიანული რელიგიის კალენდარისათვის და ყოველთვის წმინდად შეუხსრულებია ლოცვა-ვედრება თუ მარხვა. ამასთან დაკავშირებით მას არ ავიწყდება თავისი ძმის მოქმედება, რომელიც რელიგიით დაღვინილი წესების შესრულებაში უტოლდველი როდია. ლუარსაბს ის თავისთან შედარებით გაცილებით დაბლა მდგომ ადამიანად ეჩვენება, რადგან ის არ ინახავს მარხვას, არ იცავს სავალდებულო რელიგიურ წესრიგს... „მერცხალი გინდა, იმას დასძლევს ხოლმე, ოფოფი გინდა, იმას დასძლევს, გუგული, კვიცი—რაც გინდა, ყველაფერი ბოროტი იმაშია, მე კი—ღმერთო, ხომ შენ იცი—არა

ფერს არ დაეუძლევივარ, რად მიწყრები? იმისთვის, რომ თელეთში წასვლაზედ კოკმანობა დაიწყე? აკი მაშინვე მოვინანიე“¹.

ლუარსაბის მოთქმაში ასახული ამ რელიგიური რწმენა-წარმოდგენის მხატვრულ ქარგაში გადმოცემასთან დაკავშირებით ილია სქოლიოში ასეთ განმარტებას იძლევა: „არის ამისთანა ამოთმორწმუნება ჩვენში, რომ თუ ღვინო-დალეული არ შეხვდი ჰირველად მერცხალს, მერცხალი დაგძლევს. კვიცი რომ დაინახო, მაშინვე ქვაზედ უნდა დახვდე და სხვა. ლუარსაბს, როგორც ათასს სხვას, ეს დაძლევა ცოდვა ჰგონია, ამიტომაც ეგრე გულმოდგინედ დაეთოს ღმერთთან აბეზღებს“².

როგორც ნაწარმოების გვირის პირით ნალაპარაკევეს, ისე ილიას მიერ გაკეთებულ კომენტარს საფუძვლად უდევს ხალხური ცოდნა, ილიასთვის აგრე რიგად მახლობელი, ძირფესვიანად შესწავლილი და ოსტატურად გააზრებული.

იმავე ხალხური მსოფლმხედველობისა და ყოფა-ცხოვრებაში დამკვიდრებული ტრადიციის ღრმად შესწავლის საფუძველზე აღიბეჭდა „კაცია-ადამიანის“ ფურცლებზე მკითხაობის, ჯადოქრობისა და მსგავსი მოვლენების ამსახველი მასალები, რითაც გაუნათლებელი, გონებაჩლუნგი და გადაგვარებული ადამიანების დასამახსოვრებელი სახეების სრულყოფასთან ერთად, ამ ნაწარმოებში ჩართული თქმულებები, შელოცვები და მათი შესრულების წესები ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან ამგვარი ცრურწმენების შინაარსისა და მისი რეაქციული ხასიათის შესახებაც. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება გავიხსენოთ შელოცვის შესრულების წესის სხარტი დახასიათება: „ბებერი ძირს ჩაჯდა. ჩააგდო ჭერ ერთი ხორბალის მარცვალი, აიღო ხელში დანა და ნახშირი და დაიწყო ტუჩების ცმატუნნი, მითამ-და ულოცავს. მერე გაუშტერა თვალი წყალსა. ჩვენი ცოლ-ქმარნი შიშით და კრძალვით ელოდებოდნენ, ჩვენი ბედისწერა რას იტყვისო“³.

ეს ეპიზოდი და მისი მომდევნო ადგილი, სადაც ჯადოს ძებნა-პოვნის სურათებია დახატული, არა მარტო მხატვრული გააზრების ბრწყინვალე ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ, არამედ ანტირელიგიური პროპაგანდის გამოხატულებადაც.

ეთნოგრაფიული სურათებით საინტერესოა „ოთარაანთ ქვრივიც“. მოთხრობაში მწერალი აღწერს ბატონყმობის გადავარდნის დროინდელი გლეხის კარ-მიდამოს, მის საცხოვრებელსა და სამეურნეო დანიშნულების მქონე ნაგებობებს, წარმოდგენას გვიქმნის მარნის, კალო-საბძლისა და ბოსტნის განლაგების შესახებ, გვაცნობს მორწყვის წესსა და მასთან დაკავშირებულ სიძნელებებს.

სხვა საკითხებთან ერთად მწერლისათვის კარგად არის ცნობილი ვენახის მოვლა-მოშენების ქართული კულტურაც. სახელდობრ, ამ ნაწარმოების ცალკეულ ნაწილებში ლაპარაკია ვაზის დარგვის წესზე, ადგილ-მდებარეობისა და მორწყვის სისტემის თავისებურებათა მხედველობაში მიღებით.

ამასთან ერთად, ილია უშუალო დაკვირვების საფუძველზე აღწერს ქართული ხელხევაიანი შემოდგომის ზოგიერთ ნიშანდობლივ მხარეს—ყურძნის კრეფას, ქვევრების რეცხვას, საწანალების ხიზვას და წმენდას, ყურძნის წურავს, მაჭრობას, თივის მოტანის პროცესს და სხვ.

„ოთარაანთ ქვრივის“ ავტორი საფუძვლიანად იცნობს ქართული ნაციონალური აპორტის სახეებსაც. ამის მაგალითად გამოდგება ნაწარმოების ის ადგი-

¹ ი. ქ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. II, გვ. 201.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 209—210.

ლი, სადაც არჩილის მოჯამაგირისა და გიორგის ჩხუბია აღწერილი და მწერლის მიერ ქართული ჰიდაობის ზოგიერთ ილეთზეა ყურადღება გამახვილებული.

ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფისა და ზეპირი სიტყვიერებისადმი დიდ სიყვარულს ამჟღავნებს ავტორის „გლახის ნაამბობშიც“. გარდა იმისა, რომ ამ მოთხრობაში შესანიშნავად არის ნაჩვენები გასული საუკუნის შუა წლების ქართული სოფლის მკვიდრთა სოციალური პირობები, გზადაგზა ვხვდებით როგორც ხალხური ცოდნის მდიდარი ფონდიდან ამოღებულ მოსწრებულ სიტყვა-თქმებს, ისე ცოცხალი სინამდვილის ამსახველ მაგალითებს. ამის დასამტკიცებლად შეიძლება დავიმოწმოთ ეკლესიასთან შეყრილი ხალხის მსჯელობის ეპიზოდი, მღვდლისა და პეტრეს დიალოგი. გაბროსთან მღვდლის საუბრის მომენტი და ა. შ.

როგორც უკვე აღნიშნულა, ბატონყმობის მახინჯი მხარეების ამ მკაცრად მამხილებელ „ნაწარმოებში ჩართული ზღაპრის, ლექსების, ანდაზების და სხვათა საშუალებით მწერალმა ჩაგვახედა სოციალური ბოროტებით გამწარებულ ემა გლეხთა გულში; მათი საშუალებით დავგანახა ფუქსავატი, ზვიადი, უინიანი ბატონის შემზარავი სახე; გაგვაცნო მეფის მოხელეთა მუხანათობა,—მათი „უსამართლო სამართალი“¹.

ბატონყმობის დროინდელი ქართული სოფლის გარეგნული სახე, „არეულად მიყრილ-მოყრილი წნული სახლებით“, შიგადაშიგ კრამიტიანი ფიცრულებით, საყდრით, ციხე-გალავენების ნანგრევებითა და რამდენიმე თავადის თეთრად შელესილი სახლებით, თვალნათლივ წარმოგვიდგება მოთხრობა „კაკოს“ მიხედვითაც. რომელშიც შედარებით სრულად არის მოცემული „გლახის ნაამბობის“ თემატური რკალი.

ოღრო-ჩოღროიანი და ორღობეებით დასერილი პატარა კახური სოფლის სურათს იძლევა მწერალი მეორე პროზაულ ნაწყვეტში „კოლა“, რომელიც „კაკოზე“ ადრეა დაწერილი.

მოთხრობა „კოლა“ საყურადღებოა მატერიალური კულტურის ელემენტების აღწერის თვალსაზრისითაც. სახელდობრ, აქ ყურადღება გამახვილებულია ქართველი მხედრისა და ცხენის მორთულობა-აკაზმულობის, შავი ძვლის მასრებით მოწყობილი ჩოხის, ვერცხლის ბალთებიანი ქამრის, ვერცხლით შემოსილი პატარა ხანჯლის, წითელ ბუდეში ჩასმული ვერცხლითვე შეჭვილი დამბაჩის, მალაყელიანი ჩექმების, წმინდა პიეს ახალუხის, თეთრი ტილოს პერანგისა და სხვათა შესახებ.

საინტერესო ეთნოგრაფიული სურათია მოცემული ილიას მოთხრობის— „სარჩობელაზედ“ შესავალ ნაწილში, სადაც ვეცნობით გასული საუკუნის საქართველოს მძიმე საურმე გზას, სატრანსპორტო საშუალებებს, ქარავნის წყობისა და მოძრაობის წესებს და ა. შ. განსაკუთრებით საყურადღებოა ქართველი მოქარავენების ყოფაში ფართოდ დამკვიდრებული, ხალხის ხსოვნაში დღემდე შემონახული და ილიასთვისაც კარგად ცნობილი ჩვეულება, რაც თვალისწინებდა ქარავნის უფროსის არჩევისა და შორის მანძილზე მოგზაურობის შემთხვევაში დროის მაჩვენებლად მამლის თან წაყვანის აუცილებლობას.

იმის ნათელსაყოფად, რომ ამ ჩვეულების თავისებურებას ილია ზუსტად განსაზღვრავს, საჭიროდ აღარ ვთვლით სიტყვის გაგრძელებას და დავკმაყო-

1. ქს. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, თბილისი, 1956, გვ. 33.

ფილდებით სქოლიოში გაკეთებული ავტორისეული განმარტების მოტანით. ილია წერს: „ურმის ქარავანი რომ წავა შორს მანძილზედ, ერთ-ერთს ურემზედ მამალს დასმენ ხოლმე, რომ მამლის ყვილა გათენება შეატყობინოს ქარავანსა. მეურმეების საათი გზაზედ—მამალია. უფრო ხშირად ვისაც პირველობა აქვს ქარავანში, მამალიც იმას უზის ხოლმე. ურმის ქარავანში პირველობა, ე. ი. წინა-ურმის მეურმეობა. გლეხობაში სასახელოა, რადგანაც მარტო კარგს, გზის მცოდნეს, ფხიზელს, სანდო მეხრეს და კაი ხარ-კამეჩის პატრონს ანდობენ ხოლმე მაგ პირველობას“.

ცნობილია, რომ მოთხრობა „სარჩობელაზედ“ ილიამ 1879 წელს დაწერა და იმავე წელს დაბეჭდა ჟურნალ „ივერიის“ მეორე ნომერში, ე. ი. ეს ნაწარმოები ეკუთვნის ილიას მწერლობის მეორე პერიოდს, „ივერიის ხანას“. ამავე პერიოდს განეკუთვნება 1880 წელს დაწერილი და 1890 წელს გაზეთ „ივერიის“ ახალწლის ნომერში გამოქვეყნებული მოთხრობა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“.

ისევე, როგორც ზემოთ განხილული ნაწარმოებების, ამ პატარა მოთხრობის შინაარსის მიხედვითაც ვლინდება ილიას დიდი ინტერესი ხალხური ჩვეულებებისა და ტრადიციებისადმი.

ილიას თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნული აქვს, რომ ამბავი ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილისა მას მოუსმენია ბავშვობისას და ამ დროიდან ჩარჩენია იგი ხსოვნაში. ეს ამბავი უამბნია პატარა ილიასთვის მის ოსტატს—მთავარს, რომელთანაც ილია სწავლობდა ბავშვობისას სოფლის სკოლაში.

შემთხვევითი არაა, რომ ილია ამ ნაწარმოებს „საახალწლო მოთხრობას“ უწოდებს. გაგონილი ამბავი მას საახალწლო დღესასწაულისათვის გაჩაღებული საშხადისის აღწერილობასთან დაკავშირებით აქვს გადმოცემული. მოთხრობაში არაჩვეულებრივი მიმზიდველობითა და სისადავითაა ასახული საახალწლოდ მზადების ძველი ქართული ჩვეულება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ილია ჰაკვავაძემ შესანიშნავად გაითვალისწინა ეთნოგრაფიულად საინტერესო ორი მნიშვნელოვანი მომენტია—ზეპირად მოთხრობილი ამბისა და უშუალო დაკვირვების გზით შესწავლილი ჩვეულების გამოყენების საჭიროება.

საკუთარი დაკვირვების გზით ქართველი ხალხის სოციალური ურთიერთობის მნიშვნელოვანი მომენტებია აღბეჭდილი თხზულებაში „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“, რომელიც დაწერილია 1865 წელს, დღეშემდეგ მომხიბვლელ შუამავლად ყოფნის დროს.

ამ ნაწარმოებში უშუალო ასახვა ჰპოვა ბატონყმობის გადავარდნის პირველ ხანებში ნაყმევთა და ნაბატონართა შორის შექმნილ ურთიერთობაზე დაკვირვებით მიღებულმა მთაბეჭდილებებმა. ამიტომ, მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როგორც დროის განსაზღვრული მონაკვეთისათვის დამახასიათებელი ურთიერთობის საყურადღებო მომენტების ამსახველ ტილოს.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორი მონდომებითა და სიყვარულით ეკიდებოდა ილია ხალხური მასალის შეგროვების საქმეს, სხვა ნაწარმოებებთან ერთად, შეიძლება დავასახლოთ მისი „ამბავად გაგონილნი“, სადაც სხარტად და მიმზიდველადაა ასახული მეფე ერეკლე მეორისა და გიორგი მეცამეტის ცხოვრებასთან დაკავშირებული მომენტები.

ეთნოგრაფიული მასალის ასახვის თვალსაზრისით ილიას პროზაულ შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „მგზავრის წერილებს“, სადაც მკვეთრად და თანაც ზედმიწევნით ზუსტად არის აღბეჭდილი მოხვედრა სოცია-

ლურა ყოფისათვის ნიშანდობლივი მოვლენები, ხალხის ხსოვნაში დღემდე ცოცხლად შემონახული და ეთნოგრაფთათვის ჯერ კიდევ ადვილად ხელმისაწვდომი.

ერთი თეალის გადავლევებით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ილია ჭავჭავაძის მიერ ამ ნაწარმოებში წარმოსახული ეთნოგრაფიული ცნობები თავის თანამგზავრ მოხვედრისათვის საუბრის მომენტში იყო ფიქსირებული და იმ სახით პირდაპირ ნაწარმოებში გადმოტანილი. მასში არაფერია ისეთი, რის დანახვაც შეუძლებელი იქნებოდა ილიასთვის გზად გაელის დროს, მაგრამ, როგორც ირკვევა, ილიამ ადგილობრივ ეთნოგრაფიულ სინამდვილეზე ხანგრძლივი დაკვირვებით მოპოვებული მასალების შეჭერების გზით გადაამუშავა და დააზუსტა მოხვედრისათვის საუბრის დროს ჩაწერილი ტექსტი.

3. ინგოროყვას თქმით, „1871 წელს, „მგზავრის წერილების“ რედაქტირების დროს, ილიას გადაუმუშავებია „მოხევეთ ან საუბარი“. 1864 წლიდან—ვიდრე 1871 წლამდე, ილია, როგორც ცნობილია, დუშეთში მუშაობდა, ამ ხნის მანძილზე, მას არა ერთგზის მოუხდა მთიულეთ-ხევში მოგზაურობა და ჰქონდა შემთხვევით ახლო გასცნობოდა მთიულეთს ყოფა-ცხოვრებას. კერძოდ ილია იყო ხევში 1871 წლის დასაწყისშიც. ჩვენამდე მოღწეულია ილიას უბის წიგნაკი ამ დროიდან (იხ. საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია, № 1717—A). უბის წიგნაკში სწერია: მოხევეები ისტეთან წმინდა, 22 მარტს 1871 წელს“. იქვე ილიას ხელით ჩაწერილია მოხეურთი ხალხური ლექსები და ბოლოში მიწერილია—როგორც ნიშნულში მოხეური სალაპარაკო ენისა—ფრაზა: „საქირბოროტოა შაკაზმულ ცხენ, დაილოც შიშვალ ცხენ, ფეხ გადასწვდიდი და გადაჭდიდი“. ეს ჩანაწერი ადასტურებს, რომ ილია ამ დროს ამუშავებდა მოხვედრისათვის საუბრის ტექსტს. კერძოდ ეს ფრაზა „საქირბოროტოა შაკაზმულ ცხენ“ და სხვ. ილიას უცვლელად შეუტანია კიდევაც „მგზავრის წერილების“ საბოლოო რედაქციაში (იხ. თხზ., ტ. II, გვ. 25)¹.

აქ მოტანილ დოკუმენტებსაც, რომ დავანებოთ თავი, ილიას მიერ ადგილზე გაწეული ეთნოგრაფიული მუშაობის დამადასტურებელია თვით „მგზავრის წერილების“ სათანადო ადგილები, სადაც არა მარტო მოხეური დიალექტის თავისებურების გათვალისწინებისა და გადმოცემის ცდასთან გვაქვს საქმე, არამედ ადგილობრივ მკვიდრთა კილოზე ჩაწერილი ტექტიური ცნობების სიუხვევითანაც.

¹ პავლე ინგოროყვა, ილიას ნაწარმოებთა კომენტარი, ილ. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. II, გვ. 582. აქვე საინტერესოა გავეცნოთ მკვლევარის მიერ იმავე გვერდზე სქოლიოში გაკეთებულ შენიშვნას: „იმავე 1871 წლის უბის წიგნაკში, ზემოთყვანილი მოხეური ტექსტის შემდეგ, მიწერილია ილიას ხელით ახსნა ორი სიტყვისა „პეიტრობა და იერი“. ილია იქვე შენიშვნავს: „ვამიგია ეს სიტყვები ივანე გულაშვილისაგან, რომელიც სცხოვრობს ქვემო-აქალას“. სიტყვები „პეიტრობა“ და „იერი“ ილიას ნახშირი აქვს სწორედ „მგზავრის წერილებში“ და საგანგებოდ აქვს ახსნილი ნაწარმოების შენიშვნებში (იხ. ტ. II, გვ. 26—27).

ივანე გულაშვილი, რომელსაც აქ ასახელებს ილია, ჩანს, მთის რაიონიდან ყოფილია. ილიას ამ ცნობიდან ივანე გულაშვილის შესახებ ისიც ირკვევა, რომ მოხეურ-მთიულურ კილოს ნიმუშები ილიას ჩაუწერია და შეუმოწმებია სხვადასხვა დროს ხევ-მთიულეთის კილოს მცოდნეთაგან“.

მოხვევსთან საუბრის ტექსტზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მთისა და ზარის თავისებურებათა შეპირისპირების გზით ილია გულმოდგინედ სწავლობდა ადგილობრივ სამეურნეო პირობებსა და ეკონომიურ ყოფას. მისთვის ერთნაირად საინტერესოა ხევის ნიადაგის თვისებები და მოსავლიანობა, მიწათმოქმედების გარდა შემოსავლის სხვა დამხმარე საშუალების როლის გარკვევა ამორიგენი მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში და ა. შ. მწერლის ეს ინტერესები თვალნათლივ წარმოგვიდგება მოხვევისადმი მიცემული რამდენიმე შეკითხვის მიხედვითაც.

გარდა ამისა, ავტორი ღილ ინტერესს იჩენს ხევის მატერიალური კულტურის ძეგლების, ხალხური მმართველობის სისტემისა და ისტორიული წარსულისადმი.

საარქიტექტურო ძეგლებიდან მწერალი განსაკუთრებით დაინტერესებულია წმინდა სამების მონასტრის დანიშნულების შესწავლით. რასაც ის აღწევს დასმულ კითხვაზე მოხვეის მიერ გაცემული პასუხით: „წმინდა სამების სახტარ არ, უწინდალთ განძთა საფარი... ქართველთა მეფეთა განძი აქბიდ უფარვან მტრიანობას, მცხეთაილ საუნჯეი საფარად აქ ზიდულა მრავალჯერ.“

საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეების მიერ XIII საუკუნის დასასრულისა და XIV საუკუნის პირველი ნახევრის ეპოქით დათარიღებული¹ ამ მონასტრის მცხეთის განძის სახიზრად გამოყენების შესახებ ილიას მიერ ხევის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული მასალის შინაარსის მხარდაჭერია ვახუშტი ბაგრატიონის კაპიტალურ ნაშრომში დაცული შემდეგი ცნობაც: „ზეით ამისა (სოფ. გერგეტის ზევით—ვ. ი.) არს, მყინვარის კალთასა ზედა, მონასტერი სამებისა, გუმბათიანი, მცხეთის სამკაულის სახიზრად, სადაცა ესვენა ნინოს ჯვარი, შეენიერ ნაშენი, შეენიერს ადგილს“².

წმინდა სამების მონასტერი რომ ამ დანიშნულებითაც იყო მოხმარებული, ამის შესახებ მეტყველებს დღემდე შემონახული გაღმოცემებიც, რაც თავისი შინაარსით ილიას მიერ მოპოვებულ ცნობებს შეესატყვისებთან.

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ამ ნაწარმოებში წარმოდგენილი ცნობები იმავე წმინდა სამების სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე მიშენებული თემის საბჭოსა და ხალხური მმართველობის ადგილობრივი ტრადიციების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ თემის ბჭეთათვის მსჯელობის ადგილად განკუთვნილი სენაკი დღემდე არის დაცული და მისი დანიშნულების შესახებ საკმაოდ სარწმუნო ცნობებია შემონახული. ამიტომ, ამ ნაწარმოების მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის წარსულში მოქმედი წყობილების, სახელდობრ, ხალხური მმართველობის კუთხური სპეციფიკის ამოსაცნობად მეტად დიდია.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ აღნიშნული პრობლემის შესწავლისათვის ხევი საკმაოდ მდიდარს და, ზოგიერთ შემთხვევაში, უნიკალური მასალის მიღების შესაძლებლობას გვიქმნის. ჩვენ მიერ ადგილზე წარმოებული ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების საფუძველზე მოხერხდა სათემო მმართველობისათვის განკუთვნილი ცენტრებისა და მათი ადგილმონაცვლეობის ეტაპების დადგენა. გამოირკვა, რომ ასეთი ცენტრები არსებულა სოფ. სათა-

¹ В. Долидзе, Р. Шмерлинг, Военно-Грузинская дорога, Тбилиси, 1956, стр. 68—69.

² ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 67.

რგმნოში, რომელიც შორეულ წარსულში მდინარე ყუროს ხეობაში ჩამოხვავებულმა ნიაღვარმა შთანთქა, სოფ. გარბანში, სოფ. სიონში, და, ბოლოს, სოფ. გერგეტის თავს—წმინდა საწების მონასტერთან მიშენებულ იმ სენაკში, რომლის შესახებაც ამჟამად გვაქვს ლაპარაკი. თემის საბჭოდ ამ ნაგებობის გაკეთება და ხალხური მმართველობის ცენტრად მისი გადაქცევა მოხვევთა ტრიოტორიალური თემის ცენტრების ადგილ-მონაცვლეობის უკანასკნელი ეტაპია. ბუობის ძველმა ჩვეულებამ წმინდა სამების სენაკში დაითვალა თავისი არსებობის უკანასკნელი დღეები და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის წარმოქმნასთან დაკავშირებით დაიწყო მისი მიცეა.

ილია ჭავჭავაძე სწორედ ამ ძეგლზე ამახვილებს ყურადღებას და გვაცნობს ბჭეთა მსჯელობის ადგილად მისი ნამდვილად არსებობის დამამტკიცებელ იმ ფაქტებს, რომლებიც მან მთხრობელთან საუბრის დროს აღწუსა. მაგრამ მწერალი ამით როდი კმაყოფილდება. მისი ძირითადი მიზანია ბუობის თავისებურებისა და ხალხური მმართველობის მოხეური ტრადიციების ნიშანდობლივი მხარეების გამოვლენა. ამ მოკლე ჩანაწერებში მან არაჩვეულებრივი სიზუსტით წარმოსახა როგორც სათემო საბჭოს დანიშნულების, ისე მმართველობის ძველი მოხვეური სისტემისათვის დამახასიათებელი მხარეების ამსახველი მასალა, რაც იმ დროისათვის მხოლოდ გადმოცემის გზით იყო შემონახული და არ გამოდინარეობდა მაშინდელი ყოფა-ცხოვრების სინამდვილიდან.

იმასთან ერთად, რომ წმინდა სამების ერთ მხარეზე მიშენებული სენაკი განსაკუთრებული დანიშნულების მქონე ნაგებობას წარმოადგენდა და მხოლოდ სათემო საქმეებისათვის გამართული მსჯელობის ადგილად იყო განკუთვნილი, რის შესახებაც აქ საკმაოდ ცხადი სურათია დახატული, ამ ნაწარმოებში სხარტად არის დახასიათებული მმართველობის ძველი წესრიგიც. მეტად სანდო მასალაზე დაყრდნობით, რაც აქ მოხვევსთან საუბრის გზითაა გადმოცემული, მწერალი გვაუწყებს, რომ თემის ბჭეებად ამორჩეული იყვნენ სიღარბისლითა და გონებრივი გამჭრიახობით სახელგანთქმული მოხუცები, რომლებსაც ევალებოდათ საქმის ძირფესვიანად შესწავლა, მისი ობიექტურად განსჯა და შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანა. აქვე კარგად არის შენიშნული, რომ ბჭეების თავშეყრა მხოლოდ ამ სენაკში უნდა მომხდარიყო. ეს კი განსაკუთრებული შემთხვევის საფუძველზე ხორციელდებოდა: „როდეს ასტყდის ერობანი დიდ-დტვა, დიდ-საქმე, დიდი არჩევანი“. თემის ბჭეების გადაწყვეტილების უგულვებელყოფა შეუძლებელი იყო, რადგან მას შეუტყვეველი კანონის ძალა ჰქონდა მთელი თემის მასშტაბით.

სათემო მმართველობის დახასიათებასთან ერთად მეტად საინტერესო სურათი წარმოგვიდგება მოხვევთა სოციალური ყოფის ერთი მნიშვნელოვანი ნოვლენის აღწერასთან დაკავშირებითაც. კერძოდ, ავტორი აქ ეხება მოხვევთა ცხოვრების სინამდვილეში არსებული უფლებრივი მდგომარეობის საკითხს და მას შემდგენაირად წარმოგვისახავს: „სამების ძირჩი სოფელ გერგეთ არნ. იქაველ კაცთ მეფეთა შეუტყვეს სახტრის დარაჯობანი. მის სამაგტერ მეფეთა თარხნრბა მიანჩქის სრულ სრფელს. გუჯბრიც მანქსციის საშვრლი-შვრლად. ყაველ ლამ აწინაც გერგეთიდ სამ-სამ კაც დარაჯად იგზავნებბის. გერგეთელნ აწინაც სახტრის დარაჯრბას თავ-დებულრბემ, მაგრამად რუსობანი თარხნრბა გაუტუდლის მეფეთ გუჯარს რუსრბამ ყური არ ათხრვის. გერგეთი აწინა

სხვაერთა ბეგრობს. გაუქმდის ადრინდელ დაწყობაში, ხთის მათხანეილ მადლრთი ბჰობანიც სამებანი გადავარდისა.¹

მხატვრულად გაფორმებულ ამ დოკუმენტში, რომელსაც შენარჩუნებული აქვს მთხრობელის მონაყოლის თავდაპირველი სახე, იმაზეა ლაპარაკი, რომ სოფ. გერგეტის მკვიდრთ დავალებული ჰქონდათ წმინდა სამების მონასტრის მეთვალყურეობა, რის გამო ისინი დანარჩენი მოხევეებისაგან განსხვავებული პრივილეგიებით სარგებლობდნენ.

ჩვენთვის ხელმისაწვდომი წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, უფლებრივი უთანასწორობა ხევში XIV საუკუნიდან მაინც აშკარად შეიძინევა. ბაგრატ V (1360—1393 წწ) მიერ გერგეტელთათვის წყალობის განახლების მიზნით ნაბოძები სიგელისა² და გერგეტის სულთა მატინის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ გერგეტლები, როგორც „წმინდა სამების მოსამსახურენი და „საყდრისშვილები“, უფლებრივად მალა დგანან ხევის სხვა სოფლებში მცხოვრებ მოხევეებზე³.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე საფუძვლიანად იცნობდა ხევში არსებული სოციალური ურთიერთობის იმ მხარეს, რაც მოსახლეობის გარკვეული ნაწილის უფლებრივ უპირატესობას გულისხმობდა. ამ ვითარების შესწავლა მწერალმა შეძლო ეთნოგრაფიული მასალის მოპოვების წყალობით, რომლის მეცნიერულ სიზუსტეს მხარს უჭერენ როგორც ისტორიული დოკუმენტები და გვიანხნობამდე შემონახული გადმოცემები, ისე მოხევეთა ყოფაცხოვრებისათვის ნიშანდობლივი ტრადიციები.

ილია ჭავჭავაძის ამავე ნაწარმოებში აღბეჭდილია ცნობა იმის შესახებ, რომ თემისა და საზოგადოებრივი საქნისათვის „ერთგულთა ვეჭათა ჩუქებაც დიდ რყვის: ადგილ-მამულ ებრძვის, თარხნობაი მიეწყვებრდის“.

ეს ვითარებაც მთელი სიცხადით დასტურდება ადგილზე მოპოვებულ ეთნოგრაფიული მასალებით. იმასთან ერთად, რომ ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლ პირს თემი სუფრაზე მიუწყველად დასწრებისა თუ უშუაყაცოდ ქალის ცოლად შერთვის უფლებით მოსავდა (ეს უფლება გამოხატულია ფორმულაში—„სიფრო უწყეარი, ქალი უთხოვარი“), ქონებრივ ჯილდოსაც არაიშვიათად აძლევდნენ. ილია ჭავჭავაძე სწორედ ამ მეორე მოვლენაზე ამახვილებს ყურადღებას.

„მეზავრის წერილებს“ მომდევნო სტრიქონები მიეძღვნა ილიას თანამგზავრ ლელთ ლუნისა³ მიერ ნაამბობი თქმულების გადმოცემას არშის ციხეში მოხევეთა და კახელთა შორის მომხდარი ბრძოლის შესახებ, სადაც სრულყოფილია ეროვნული მთლიანობის იდეა, გამოხატული მოხევის სიტყვებში: „აწინა ყველანი ქართველნი ძმანები ვარნ. არ ბტრობით ვისაუბრე კახთათვის“.

მხატვრული პროზის ამ შედეგის მრავალ სხვა ადგილთან ერთად, სადაც ხალხური შემოქმედებისა და ეთნოგრაფიული ყოფის ძლიერი ცოდნა სჩქეფს, ეროვნული თვითშეგნებისა და ერის ინტერესების გამომხატველი ღრმავაროვანი სტრიქონების შემცველი ეს ეპიზოდიც მთხრობელის ნათუბარის ზუსტად ჩა-

¹ სიგელი, რომელიც ხბოს ტყავზეა დაწერილი და ბოლოში მოხეულია, ინახება ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

² ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.), III, გერგეტის სამების „მატიანე მოსასწენებელი სულთა“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაქ. 30, თბილისი, 1954, გვ. 217—288.

³ ლელთ ლუნისა ილია, როგორც ცნობილია, სოფ. გაიბოტნის მკვიდრად აცხადებს. მართლაც, ამ სოფელში ცხოვრობენ ზულეიძეები. „ლელთ“ უნდა მიმდინარეობდეს „ზულეიძე“-საგან.

წერის ერთი საუცხოო ნიმუშთაგანია. გადაქარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ილიამ წარმატებით მიაღწია თავის მიზანს—მთხრობელის „აზრისათვის იმისივე ფერი“ შეენარჩუნებინა და „იმისი სიტყვისათვის იმისივე კილო“¹.

ილია ჭავჭავაძე პირველი ქართველი მწერალია, რომელმაც მოხვევ საუთარი-დიალექტით აამეტყველა და ადგილობრივი კილოს ზუსტი დაცვით გააცნო მკითხველს მეტად საინტერესო ეთნოგრაფიული მასალა. ეს ტრადიცია განაგრძო მისმა თანამედროვე ბელეტრისტმა—ალ. ყაზბეგმა, რომელმაც მკითხველისათვის მანამდე უცნობი კუთხის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებას მრავალი ეთნოგრაფიული წერილი თუ მთელთა ზნე-ჩვეულების ამსახველი მასალით მდიდარი მაღალმხატვრული ნაწარმოებების მთელი სერია მიუძღვნა.

მშრომელი ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე დაკვირვებამ თავისებური გამოძახილი ჰპოვა ილია ჭავჭავაძის პოეზიაშიც. მისთვის კარგად არის ცნობილი როგორც მიწისმოქმედი გლეხის, ისე ქალაქელი მუშის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა. უფლებააყრილი ყმა გლეხის არაადამიანური პირობების რეალური სურათია მოცემული სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ დაწერილ ლექსში „გუთნის დედა“, რომლის მიხედვით გუთნის დედა თავის ერთგულ ლაბასთან სწევს ჭაპანს. „გუთნის დედა“ და „მუშა“ სოფლისა და ქალაქის ჩაგრული, უსამართლო შრომით ჯანდაშრეტილი და არაადამიანური ექსპლოატაციით განაწაპები ფენების ღუხჭირი პირობების აღმწერელ დიდმნიშვნელოვან მხატვრულ ქმნილებებს წარმოადგენენ.

ბატონყმობის ღრინდელი ქართველი გლეხის სოციალური პირობებისა და ყოფა-ცხოვრების ღრმა ცოდნას იჩენს ილია ჭავჭავაძე პოემაში—„რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. ეს ვითარება განსაკუთრებული სიცხადით წარმოგვიდგება კაკოსთან მისული ზაქროს მონათხრობიდან. ზაქროს მოთქმა-ჩივილში ისმის იმდროინდელი ქართველი გლეხის კვნესა და ვაება.

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა პოემის ის ეპიზოდები, სადაც ყმა გლეხთა-მენახირეთა ცხოვრებაზეა ლაპარაკი. აქ ჩვენ ვეცნობით იმ გარემოებას, რომ ისინი დაღამებისთანავე დათვლიდნენ ნახირს, დაბამდნენ საქონელს, ტყის პირად გააჩაღებდნენ დიდ ცეცხლს, მოიტანდნენ თავ-თავიანთ საგზალს, გარშემო შემოუსხდებოდნენ, ჰამდნენ, ხუმრობდნენ, მღეროდნენ, იცინოდნენ და მორიგეობით ზღაპარსაც ამბობდნენ. დილის ცისკარზე დამის ყარაული ყველას გამოაღვიძებდა, აიშლებოდნენ, აუშვებდნენ საქონელს, გაშლიდნენ მინდორზე, თითონ გრილ წყაროსთან მოგროვებოდნენ, პირს დაიბანდნენ ზეზუერად დანაყრდებოდნენ, შემდეგ ქვის სროლითა თუ ბურთის თამაშით შეიქცევდნენ თავს, შუადღის დროს ძროხას ალაზანში შეყარდნენ, თითონაც ცივი წყლით გაიგრილებდნენ გაშანთულ სხეულს, საღამო ხანს კვლავ ბინაზე მიერკვდნენ საქონელს და ჩვეულებისამებრ ცეცხლის ირგვლივ მსხდომნი აგრძელებდნენ ხუმრობასა და ქართული ზღაპრების მორიგეობით თხრობას.

პოემა „რამდენიმე სურათი“... საყურადღებოა არა მარტო ყაჩაღად გავარდნის მიზეზის ახსნის, არამედ თვით ამ პირობებში მყოფი ადამიანის ცხოვრების დახასიათების თვალსაზრისითაც. აქ მთელი სიცხადით წარმოგვიდგება იმ პირის ყოფა, რომელსაც ბევრი რამ აკლია, უსახლ-კარობითა და სიმშლით იტანჯება, ხელში ღლე და ღამ იარაღი უჭირავს, მხეცივით მარტოკა დაძრწის

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრებული, ტ. II, გვ. 20.

უღრან ტყეში და კურდღლევიტ ფხიზლად სძინავს, მაგრამ მას ისევ იქ ყოფნა ურჩევნია, სადაც თვითაა ბატონი.

ზემოთქმულს გარდა, ანიშნული პოემა ეთნოგრაფის ყურადღებას იქცევს ქართული მუსიკალური ფოლკლორის ზოგიერთი ელემენტის, სახელდობრ, შრომის სიმღერის თავისებური სახით წარმოსახვის მხრივაც. ამ მხრივ საინტერესოა ის ადგილი, სადაც მოცემულია „ურმულის“ სოციალური ბუნებისა და ფუნქციის მხატვრული დახასიათება. ძველი ქართული სიმღერების ამ ჟანრის თავისებურებათა გარკვევისათვის „ურმულის“ ტრადიციის ილიასეული დახასიათება უეჭველად უნდა გაითვალისწინოს მუსიკალური ფოლკლორის მკვლევარმა, როგორც სოციალური უკულმართობით განაწამები ფენების სულიერი განწყობილების გამომხატველი მნიშვნელოვანი დოკუმენტი.

მეტად საინტერესო ეთნოგრაფიული მასალაა ჩაქსოვილი პოემა „განდგილის“ შინაარსშიც, რასაც ჩვენ ცალკე შევხებით მისი ფოლკლორული წყაროების გამოვლენასთან დაკავშირებით.

ილია ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებაში ეთნოგრაფიული მასალის ასახვა-გამოყენებისა და გააზრების საკითხზე უფრო ვრცლად შეიძლება მსჯელობა, მაგრამ ამ არასრული მიმოხილვის შემდეგაც შეიძლება თამამად დავასკვნათ, რომ პოეტი საფუძვლიანად იცნობდა ქართველი ხალხის მატერიალურ კულტურას, მეურნეობას, სოციალურ ყოფასა და იდეოლოგიას.

ეთნოგრაფიული მასალისა და ხალხური შემოქმედების ნიმუშების ღრმა ცოდნა მწერალს უდიდეს დახმარებას უწევდა სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური, ფილოსოფიური და ეროვნული პრობლემების გადაჭრისას. უხვი ეთნოგრაფიული აღწერილობანი და ხალხური სიბრძნის შედეგები ილია ჭავჭავაძემ ორგანულად ჩააქსოვა თავის უმდიდრეს ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, ვირტუოზულად აამეტყველა მხატვრული ქმნილების ჩარჩოებში და ხალხური სინამდვილიდან ამოკრებილი ეს საუნჯე ხალხისავე ინტერესებისათვის გაწეული ბრძოლის პროცესში უმძლავრეს იარაღად გამოიყენა.





ი. გრიშაშვილი

ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი

იმას ვერა ჰგავს ვერავინ გრძნობის მცოცხლები მწერალი.
 ლოშია ოდეს განრისხდეს, მარად ძმობისა მღერალი,
 იტყვის მართალს და გზიანსა, უპყრია მართლის მწვერვალი,
 პრის გულწრფელი, ზნე-ქველი, მხნე-მსრბოლი, მოუფერალი,
 ნ. ტ. და დ ი ა ნ ი

მე მინდა ეს ლიტერატურული ეტიუდი მიეუძღვნა ჩვენი ხალხის ერთ-ერთი დიდი მოამაგის ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის დაეიწყებულ მხარეს. ეს არის ილიას საქმიანობა ქართულ თეატრში, იმ ქართულ თეატრში, სადაც ჩვენი კულტურა იყო განფენილი, და მეფის რუსეთის თვითმპყრობელობის დროს თამამი ქართული სიტყვის ბრწყინვალე კერას წარმოადგენდა.

ავწიოთ ფარდა წარსულისა!

*

1850 წლის ქართული თეატრი, ეს ვორონცოვის მიერ „საკენკვადაყრილი“ დაწესებულება, 1854 წელს დაიხურა!

ქართული წარმოდგენებისადმი ლტოლვა მაინც დიდი იყო ქართველ საზოგადოებაში.

1870 წელი!

ოცი წლის ხარვეზის შეესებას ცდილობენ. 1850 წლიდან მოყოლებული 1870 წლამდე ქართულ წარმოდგენებს სისტემატური ხასიათი არა ჰქონია. გ. ერისთავის და ზ. ანტონოვის თეატრი უღლეური გამოდგა... ვერც ივ. კერესელიძე გაუძღვა საქმეს... კერძო სახლებში გამართული წარმოდგენები არ იზიდავდა მაყურებელს. რუსულ დრამატულ თეატრში ხალხი არ დაიარებოდა. მოიჯარადრე იაბლოჩკინას დასის შესახებ „დროება“ წერდა: „ის გარემოება, რომ რუსული თეატრისადმი გულგრილობას იჩენენ, ნათლად გვიმტკიცებს, რომ ქართულად მოლაპარაკე საზოგადოებას სწყურიან გასაგებ ენაზედ თეატრი, მისი ცხოვრებიდან აღებული სურათები, ნაცნობი და მისახვედრი მზიარულების თუ მწუხარების გამომხატველი სცენები... მაგრამ ამნაირი კაცი, რომ არ ვაგვიჩნდა? რომ არა ვაეწყო-რა ქართული ტრუპის დაარსებას? არ შეიძლება საპატიო ხალხმა თეატრის საქმეს მოჰკიდოს ხელი და სცენიდან გააგონონ საზოგადოებას თუ აზრი არა, ენა მაინც? (იხ. „დროება“, 1874 წ., № 445).

აქ „საპატიო“ კაცად შექველად ილია ქავჭავაძეა ნაგულისხმევი... ერთ-ხელ ივ. მაჩაბელიც წერდა: „ჩვენი თეატრი წინ წავა და ხალხში ფესვებს გაიდგამს თუ რიგიანი მოთავე ეყოლებოა“.

ასეც მოხდა.

ქართულ თეატრს, ისე როგორც სხვა ყოველგვარ ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებას, სათავეში ჩაუდგა ბუმბერაზი ილია ქავჭავაძე. მან თავის გარშემო შემოიკრიბა მაშინდელი თეატრალები—გ. თუმანიშვილი, დ. ერისთავი, ნ. ავალიშვილი და ჩამოაყალიბა მუდმივი დასი—ქართველ მსახიობთა კოლექტივი.

თუ გიორგი ერისთავმა აღადგინა ძველი ქართული თეატრის ძირები, ილიამ განაახლა და ააყვავა ამ ფესვების რტოთა ლაშქარი.

ეს იყო 1879 წელს!

მაგრამ ამ თარიღს წინ უსწრებდა მოსამზადებელი ხანა (!875, 1876, 1877, 1878, წწ.). ამ წლებში გახშირდა სცენის მოყვარეთა წარმოდგენები, ამ წლებში აღმოჩნდნენ უშესანიშნავესი ნიჭით მოსილი მსახიობები: ნატო გაბუნია, ვასო აბაშიძე, მარიამ საფაროვა-აბაშიძისა, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი და სხვები, რომელთა თავდადებულმა შრომამ ეროვნული თეატრის მომავლისათვის უქკნობი ნაყოფი გამოიღო¹.

I. ილია და „მეფე ლირი“

თეატრი და სანახაობა ილიას ბალღობიდანვე იზიდავდა. ჯერ კიდევ 1859 წელს, 22 წლის ქაბუჯი ილია, ავადმყოფობის გამო დროებით თავს ანებებს სწავლას. პეტერბურგიდან მოემგზავრება თბილისს და რამდენიმე თვეს თავის სამშობლოში ატარებს. მას თან ჩამოჰყვა „იმ მოძრაობის ჰაერი, რომელიც მთელი რუსეთის საზოგადოებაში და მწერლობაში ტრიალებდა და ფეხს იკიდებდა“ (სიმ. ხუნდაძე), მას თან ჩამოჰყვა სურნელი ზანგი მსახიობის ოლ რ ი ჯ ი ს ვ ა ს ტ რ ო ლ ე ბ ი ს ა, რომლის „მეფე ლირზედაც“ 1858 წ. მთელი პეტერბურგი ლაპარაკობდა. ბიოგრაფების ცნობით, ამ ხანებში თბილისის ყოფილი პირველი გიმნაზიის დარბაზში, სადაც ერთ დროს გ. ერისთავმა პირველი ქართული წარმოდგენა გამართა, ილიას დაუდგამს ცოცხალი სურათები შექსპირის „მეფე ლირიდან“. ამ ცოცხალ სურათებში მონაწილეობა მიუღწა თბილისის წარჩინებული ოჯახების წევრებს, მათ შორის ალექსანდრე ქავჭავაძის ქალსა და ვაჟს—სოფიოს და დავითს. მეფე ლირი—თვით ილია ყოფილა.

ეს იყო პირველი ცოცხალი სურათების დადგმა საქართველოში².

როგორც ჩანს, ლტოლვე „მეფე ლირისადმი“ ილიას დიდხანს უტარებია გულში. საზოგადოდ შექსპირი მისი საყვარელი მწერალია. ერთ დროს კრიტიკულ წერილსაც ამზადებდა, სადაც დაპირისპირებული უნდა ყოფილიყო შექსპირის „ჰამლეტი“ და შოთას „ტარიელი“. გიორგი თუმანიშვილის ქალაქ-ლებში ვნახეთ მისი დის ბარბარე თუმანიშვილის ერთი კერძო წერილი, სა-

¹ ლადო მესხიშვილი 3 წლის შემდეგ შეემატა მუდმივ დასს (მისი დებიუტი იყო „სამშობლოში“—1882 წ. 20 იანვარს), ხოლო ვალერიან გუნია გაჩნდა 1883—1884 წლებში.

² ცოცხალი სურათებისთვის გადაკეთებული სცენა კარგა ხანს ხელუხლებელი დარჩენილა გიმნაზიის დარბაზში, მოწაფეთა მიერ აქ ხშირად დადგმულა ქართული წარმოდგენები („ივერია“, 1899 წ., № 210).

დაც შემდეგია ნათქვამი: „აქ, ამას წინად მოხდა ყრილობა ქართველი ლიტერატორებისა... ამბობენ, ილია ჭავჭავაძე სწერს კრიტიკულ სტატიას, სადაც გაყვანილი იქნება პარალელი ჰამლეტსა და ვეფხის-ტყაოსნის გმირ ტარიელს შორისა“¹.

როგორც ვიცით, ილიას ეს კრიტიკული წერილი არ დაუწერია. სამაგიეროდ მან პირველობა შეინარჩუნა შექსპირის ტრაგედიების ლექსად თარგმნის საქმეში, რომელიც ასე შესანიშნავად დაავიგოვინა ივანე მაჩაბელმა.

ჩვენ აქ გვინდა შევეხოთ ილია ჭავჭავაძის და ივანე მაჩაბლის ურთიერთობას „მეფე ლირის“ თარგმნის გარშემო. ერთი მწერალი ამბობს: „შექსპირის თარგმნის იდეა ივანე მაჩაბელს ეკუთვნისო. მეორე წერს: ლირის თარგმნა პირველად მაჩაბელმა დაიწყო; მესამე— ლირის თარგმანში მთავარი ღვაწლი მაჩაბელს მიუძღვისო; ხოლო ი. მანსვეტაშვილი ჰკუნწავს ყველა ამ ნათქვამს და თითქოს აკანონებს: „ივანე მაჩაბელმა ჯერ კიდევ პეტერბურგში სცადა თავისი კალამი და ილიასთან ერთად სთარგმნა ლექსად შექსპირის დრამა „მეფე ლირი“, თარგმანი ეკუთვნის ივანე მაჩაბელს, როგორც მცოდნეს ინგლისური ენისა, ილიამ მხოლოდ შალაშინი გაჰკრა, თავისებური შნოთი გაალამაზა, შეკაზმა“².

ეს არ არის მართალი!

1873 წ. ილია ჭავჭავაძე ბანკის საორგანიზაციო საქმეების გამო იმყოფებოდა პეტერბურგს, წესდებას არ უმტკიცებდნენ და დიდხანს დარჩა იქ... აი, იპოვა თავისუფალი დრო, აუსრულდა ნანატრი და დაიწყო თარგმნა შექსპირის „მეფე ლირისა“. ახლად აღმოჩენილ ილიას წერილებიდან ჩანს, რომ იგი ინგლისური ენის შესწავლასაც შესდგომია³.

პეტერბურგში ყოფნის დროს ილია ჭავჭავაძემ პირველად გაიცნო ივანე მაჩაბელი, იმ დროს ახალგაზრდა პეტერბურგელი სტუდენტი. უნდა ვიფიქროთ, ილია ჭავჭავაძისა და მაჩაბლის დაახლოება სწორედ ამ დროს მოხდა, და მოხდა სწორედ „მეფე ლირის“ თარგმნის გამო. ივანე მაჩაბელს, როგორც ინგლისურის მცოდნეს, უუქველია შეეძლო დიდი დახმარება გაეწია ილიასთვის. მათ შორის მართლაც გაიბა თანამშრომლობის ძაფი და „მეფე ლირი“ საბოლოოდ გადაითარგმნა ორივეს საერთო ძალღონით, თუმცა „მეფე ლირის“ დაბეჭდილ ეგზემპლარებს, ახალგაზრდა მთარგმნელის წასახალისებლად ჯერ ივანე მაჩაბელი აწერია და შემდეგ— ილია ჭავჭავაძე, მაგრამ ლირის ქართული ხელნაწერის შესწავლის მიხედვით, „მეფე ლირის“ საბოლოო რედაქცია ილიას ეკუთვნის. ეს შესანიშნავი ტრაგედია ნათარგმნაილიანსებური ფოლადის სტრიქონებით, ხშირად მძიმე, მაგრამ რიტმული და საზრიანი სტრიქონებით. ივანე მაჩაბლის თარგმნილი შექსპირი კი ყველა ამ ღირსებებთან ერთად, ელასტიურია და არქაული სიტყვებისაგან

¹ წერილი დაწერილია 1873 წ., 16 თებერვალს. ბარბარე თუმანიშვილი (1846—1873) მის. ბირთვლის-ძე თუმანიშვილის უფროსი ქალიშვილი იყო, დაიწყო ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა და გიორგი თუმანიშვილისა, იგი მწერლობაშიც იღებდა მონაწილეობას (მაგ., „სტუდენტონი“ 1876 წ.), მეტად ნიჭიერი ქალი ყოფილა. გარდაიცვალა ოცდაშვიდი წლის ახალგაზრდა.

² იხ. იაკობ მანსვეტაშვილის „მოგონებანი“, ლ. ასათიანის რედაქციით, გვ. 167.

³ მე უსაკმობის გამო, — სწერს ილია თავის მეუღლეს პეტერბურგიდან, — ინგლისური ენის სწავლას შეუდევნი და შექსპირის ტრაგედია „მეფე ლირი“ ვთარგმნე სხვასთან ერთად. აქედან რომ ჩამოვალ ინგლისური მეცოდინება იმდენად, რომ მსუბუქი თხზულების წაკითხვა შემიძლება“.

გაცლილი. ამიტომ არის, რომ ივანე მაჩაბლის შემდეგი თარგმანები („ოტელო“, „ჰამლეტი“ და სხვ.) სრულიად არა ჰგავს „მეფე ლირის“ თარგმანის სტილს. ეს რომ ასეა, ამას ნათლად ადასტურებს დიმიტრი ყიფიანის წერილი მიწერილი ილია ჭავჭავაძისადმი.

მოვიყვანო კუპიურებით:

„უძვირფასესო ჩემო კოლეგა კნ. ილია გრიგოლის-ძვე!“

თქვენ რომ (20 ამ თვეს) ლირის როლი შენმომძღვით, მე მოგახსენეთ, გადავიკითხავ და მაშინ გეტყვით ვიკისრებ თუ ვერა მეთქი. გადავიკითხე და როგორ? წინ გადავიშალე ექვსი წიგნი; 1) ნამდვილი შექსპირი ტაუნნიციის გამოცემული 1854-ში. 2) ნამდვილი შექსპირი რაუტლენჯის გამოცემული, ბევრით უფრო ადრე, 3) ბენეამენ ლაროშის ნათარგმნი ფრანცუზულად 1857-ში, 4) ფრანსუა ვიკტორ ჰიუგოს ნათარგმნი 1861-ში, 5) თქვენი ნათარგმნი ქართულად 1877-ში და 6) სადღერის ლექსიკონი ინგლ. ფრანც. და ფრანც.-ინგლისური. შემოვიწყე ეს წიგნები და მიუხედავად თქვენს ნათარგმნს; კვალში ჩაუღდექ შედგრად, შეუპოვრად, დაულაღვად, 23 ვიწყე და გუშინ ისევ დავკეცე წიგნები, რათა? ვისიეც პატივისცემა მაქვს დანერგვილი გულში და არა მარტო ენაზედ, — და მაშასადამე, ვინც მიყვარს, მინდა რომ იმას წუნი არა ჰქონდეს-რა და თუ შევამჩნიე რამე, პირდაპირ უნდა ვუთხრა... მეგობრულად. მაგრამ თქვენმა თარგმანმა სასიქადულოდ გადიელო თავს ამისთანა კრიტიკა, კრიტიკა მიუკარებელი, შეუბრალებელი. შრომა გაგვიწევიათ დიდი. ნიქი გამოგიჩინიათ შესანიშნავი. ერთი შეცდომაა, მხოლოდ ერთადერთი: კილო—შექსპირის თხზულებაში, რომელიც კარგა ძველია, ლექსიც ბევრი იპოვება დაძველებული, რომელსაც დიდიხანია აღარ ხმარობენ; მაგრამ კილო არის სასაუბრო, კილო, რომლითაც საპატოო ყრილობაში ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობენ. თქვენ უფრო სამწიგნობრო კილოს ვაპყობიხართ. მშვენიერება არის თქვენი თარგმანი, ეს ყოვლად უეჭველია, მაგრამ ამ კილოზედ არც სად ულაპარაკნიათ, არც სად ლაპარაკობენ. სათქმელი თუ არის რამე თქვენს თარგმანზედ, ეს არის, სხვა სრულებით არაფერი...

ახლა მე რადგან ერთიეც თვალწინ მიდგია და მეორეცა, იქნება მე უფრო გაუთხილებელი გამოვიდე და გთხოვთ: თუ მაინცა და მაინც გნებავთ ლირი მე წარმოვადგინო,—ნება მომეცით, რომ ეს როლი თვითონ მე ვსთარგმნო, ჩემებურად.—მარტო ეს როლი. თქვენს ნათარგმნს ამითი სრულებით არა ეზიანებარა, ბევრჯელ მომხდარა, რომ ერთი როლი ერთს ენაზედ უთამაშნიათ და სხვა როლები იმავე პიესაში, სულ სხვა ენაზედ. აქ ამისთანა არა გამოვა-რა: მთელი წარმოდგენა ქართულს ენაზედ იქნება,—ზოგი სასაუბროზედ, ზოგი სამწიგნობროზე. აგრე იყოსთქო, თუ მეტყვით. საქმეს შევეუდგები.

თქვენი სულით და გულით ერთგული დიმიტრი ყიფიანი.

1879 წ., 31 ოქტომბერი. სოფ. ქეიშხეთა“ (საქ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 1720--A).

დიმიტრი ყიფიანი „ლირის“ თარგმანს „მწიგნობრულს“ უწოდებს, აკაკიეც ხომ ამბობდა: მეფე ლირი სახარების ენით არის თარგმნილიო¹. ეს საყვედური ილიას ეკუთვნის და არა ივანე მაჩაბელს. დიმიტრი ყიფიანის ამ წე-

¹ „ყველას მოსწონს, აკაკი წერეთლის გარდა“ (ილიას წერილთან).

აკაკის თავის ახრი „მეფე ლირის“ თარგმნის შესახებ გამოთქმული აქვს წერილში—
„ი. მაჩაბლის გამო“ (იხ. „აკაკის თვეური კრებული“, 1898 წ., № 12, გვ. 13).

რილიდან ნათლად დასტურდება, რომ „ლირის“ მთავარი მთარგმნელი, ამ ტრაგედიის ქართულად გადმოღების თავსმხიერი ინიციატორი და რედაქტორი ილია ჭავჭავაძეა და ყოველგვარი ქება თუ აუგი ილიას მიმართ უნდა იყოს განკუთვნილი. ილია „მეფე ლირის“ თარგმანს თავისად სთვლიდა. „ხომ იცი ჩემი ნაწერების ქება არ მიყვარს“, სწერდა ილია თავის მეუღლეს „მეფე ლირის“ თარგმნის გამო¹.

ვ. გუნიას სიტყვით, როცა ერთხელ ერთმა მსახიობმა „ლირში“ სიტყვები დაამახინჯა, თვით ივ. მაჩაბელს უთქვამს: „როგორ შეიძლება ერთი წიხლით ძირს დაანთხიო ილაჯგასაწყვეტი და სათუთი შრომა კაცისა, მერე რა დიდი კაცისა, — ილია ჭავჭავაძის თარგმანი, რომელსაც მთელი ქართველობა გულის ფანცქალით მოელოდაო“ (იხ. ჯ. „რუსთაველის თეატრი“. 1934 წ., გვ. 36).

ჩვენს ხელთაა ახლად აღმოჩენილი ილიას კერძო წერილი, სადაც პოეტი „მეფე ლირის“ თარგმნის პროცესს ასე გატაცებით აგვიწერს. 1873 წლის 19 დეკემბერს ილია პეტერბურგიდან თავის მეუღლეს სწერს: „...ვერ წარმოიდგენ ჩემს უბედურს და უგემურს გარემოებას! ვგდივარ დიდიდამ საღამომდე შინ და თუ გავალ ისიც სასეირნოდ. იმ დღეს გიორგი შარვაშიძესთან ვიყავ — აი, მთავრის შვილი რომ არის. ამას წინად თვითონ მოვიდა და მთხოვა შექსპირის ტრაგედია კოროლი ლირი, რომელიც ქართულად ანგლიურადმ გადეთარგმნეთ, წაგვიკითხეთ, წავედი წასაკითხავად; კარგა ბლომა ხალხი იყო და ძალიან მოიწონეს. ასე იფიქრე, ქალებმა იტირეს და კაცები კი სულ აფერუმს იძახოდნენ. მართლა და თარგმანი მშვენიერი რამ გამოვიდა, ასეთი კარგი, რომ წამკითხველი მთარგმნელებს დაგვლოცვენ. ქალაქში რომ ჩამოვალ, გვინდა წარმოვადგინოთ. სცენაზე მშვენიერი რამ იქნება. ვერ წარმოიდგენ, რა რიგად კარგად გამოვიდა ქართულს ენაზედ. არც ერთი რუსული თარგმანი ქართულს არ შეედრება. აი, ღვთის მადლით, როცა მშვიდობით მოვალ, მოვიტან და კარდანახში წაგიკითხავთ და თუ არ გატიროთ, ცუდი კაცი ვიყო. შენ ხომ იცი, რომ ჩემი ნაჯღაბნის ქება მე თვითონ არ მიყვარს, მაგრამ ეს ასეთი თარგმანია, რომ არ ვაქო, ცოდვა იქნება. აქაური ყმაწვილ-კაცობა მაგ თარგმნისათვის გაგიყვებულა და ალტაცებაში მოსული“².

¹ ილია საზოგადოდ კარგი მთარგმნელი იყო, მის მიერ ნათარგმნი ლექსები (პუშკინიდან, ლერმონტოვიდან, ჭინედიან, ბაირონიდან) აღსავსეა გრძნობით და ქართული ენის ძლერადობით:

„ხლავთა მფლობელის ვენეციის ზღუდეთა თანა,
ღამის ციმციმში უდარდელი გონდოლიერო
ნავსა აბრძოლებს კიდის პირ-პირ ლაქვარდ წყალთანა.
რინაღლოს, ტანკრედს, ერმინიას ჰმღერს ბედნიერო“ (შენიე).

ილიას მიერ ნათარგმნი „იზა“, შიგ რომ უცხო სახელები არ იყოს, ქართული რომანი ეგონება მკითხველს.

ილია ჭავჭავაძეს 1904 წელს განზრახვა ჰქონია ეთარგმნა ალ. სუმბათაშვილის „ლალატი“ მაგრამ, როგორც ვიცით, არ უთარგმნია. სამაგიეროდ „ლალატი“ შესანიშნავად თარგმნა ილია ჭავჭავაძის გახუთ „ივერი-ს“ უახლოესმა თანამშრომელმა — გრ. ყიფშიძემ. ამ თარგმანმა ჩრდილში მოაქცია „ლალატის“ სხვა მთარგმნელები — კოტე მესხი, ნიკოლოზ ავალიშვილი და აკაკი წერეთელი.

² ილია ჭავჭავაძის კერძო წერილებს ცოლისადმი (თითქმის ორასამდეა), ცალკე გამოსაცემად ამზადებს ისტორიკოსი პავლე ინგოროყვა (ნაწილი ამ წერილებისა 1949 წ. სუბუნი გამოცემა იოსებ ლუარსაბის-ძე ბეცვაძემ).

არისტო ქუთათელაძის მოწმობით (არ. ქუთათელაძე გარდაიცვალა 1912 წელს, 13 ნოემბერს) ილია და ივანე მაჩაბელი დიდის ენთუზიაზმით შესდგომიან „ლირის“ თარგმნას... იგი ასე გადმოგვეცემს ილიას და ივანეს თანამშრომლობას: ერთ მხარეს ილია მუჯდარა, მეორე მხარეს — ივანე. ივანე სწერდა, ილია — უკარნახებდა. როცა როჰელიმე ადგილის თარგმნა გაუძნელდებოდათ, ილია წამოდებოდა და მივიდოდა ფანჯარასთან, რომელიც ფარდით იყო ჩამობნელებული. იქ შუბლს მოისრესდა და, შესაფერი სიტყვის მოძებნით გახარებული, მიმართავდა ივანეს: „დასწერე!“... ილია ამ ჩამობნელებულ ფანჯარას „მუხის კუთხეს“ უწოდებდა (სეით იაშვილის ნაამბობიდან).

ილია ლირის თარგმანს რამოდენიმე ეგზემპლარად წერს. ერთს უგზავნის თავის ცოლს, ხოლო მეორეს — „კრებულის“ რედაქციას. მეტად საინტერესოა ილიას კერძო წერილი პეტრე უმიკაშვილთან, საიდანაც გამოსკვივის ილიას ზრუნვა „ლირის“ ტექნიკურად აწყობა-დაბეჭდვაზედაც კი. „ჩვენო დედაბოძო და არა — ბოძო პეტრუს — ბეგ! — წერს ილია „კრებულის“ რედაქციას. — ჩვენი ნათარგმნი ლექსი აქამომდე მიღებული გექნება და გადაკითხულიცა. მაშინ მოგწერეთ, რომ დააბეჭდინე მეთქი კრებულში. ეხლა ორს შეუცვლელ პირობას გიღებ: 1) ისე უნდა დაბეჭდონ რომ ლექსი არ გატეხონ, ესე იგი, მთელი სტრიქონი ერთს სტრიქონზედ უნდა დასტიონ და 2) რომ ეგ პირველი მოქმედება ერთს ნომერში სრულად, ხელუხლებლად დაბეჭდონ და კორექტურა კი შენს გაფაციცებულს თვალს მიანდონ. ცუდი არ იქნება, რომ მაგ თარგმანზე შენი ჩვეულებრივი პირუთენელი აზრი მოიწერო... თუ ეგ ნათარგმნი მოგეწონა, მაშ იმასაც გახარებ, რომ მეორე მოქმედებაც დღეს გავათავეთ და პირველ მოქმედებას სიკეკლუტით არ ჩამოუვარდება“.

ილია ჭავჭავაძე რუსეთიდან ჩამოსვლისთანავე აწყობს „მეფე ლირის“ საჯაროდ კითხვას. „ღრობა“ წერს: „ჩვენ დავესწარით „მეფე ლირის“ კითხვას და მართალი უნდა ვსთქვათ, თარგმანი სწორედ სამაგალითოა. არც ჩვენ, არც სხვებს არ გვეგონა, თუ ეს შესანიშნავი თხზულება ასე მშვენივრად გადმოიღებოდა ქართულ ენაზედ“ („ღრობა“, 1874 წ. № 420).

ილიას უყვარდა „ლირიდან“ ორი ნაქეთის წაკითხვა, ერთია — მარტოდ დარჩენილი ლირის მონოლოგი, როცა ის შეიტყობს თავის შეცდომას და შეილებსიგან განდევნილი ტყეში დაძრწის უსავეანო და მიუსაფარი („იზუზუნე და იქროლე“); მეორე — კორდელიას სიტყვა მამისადმი, რომელიც თავის უმცროს ქალიშვილს გამოსწირავს სამეფო ნაწილს, რადგან ის, კორდელია, თავისი დების მსგავსად პირმოთნე და მლიქვნელი არ არის:

კორდელია:

დიდებულებას თქვენსას ერთს ვსთხოვ: თუმც ენა ჩემი არ არს გაქლესილ და გაპოხილ პირფერობითა და ვრჩეზო ჯერეთ საქმე იყოს და მერე სიტყვა, — მაგრამ მაინც გთხოვთ აღიაროთ, ჩემო ხელმწიფე, რომე მიზეზი თქვენის წყრომის და გულის-აყრის არ არის არცა ბიწიერი ქცევა რამ ჩემი, არცა კაცის კვლა, ავსულობა, ნამუს-დამხობა,

არც ქალწულების ჩემის რითმე შურაყცყოფა
და არცა სხვაი სამარცხენო რამ საქციელი,—
არა, არც ერთი საზიზღარი უწმინდურება
ვერ გაბედავს ჩემს ყოფაქცევას მოაცხოს რამე.
თუმც რაც მაკლია, მე იმით ვარ მხოლოდ მდიდარი,
მაგრამ ეგ ნაკლი მე გამიხდა წყრომის მიზეზად:
მე არ მაქვს თვალნი მათხოვარნი და ენა მლიქნნი
და არ-ქონვა ეგ მე მახარებს და მასულმდგმარებს,
თუმც მაგ არ-ქონვამ მაძის გული დამაკარგინა:.

თბილისის საზოგადოებრიობა „მეფე ლირის“ თარგმანს დიდ ეროვნულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ეს სიხარული გამოკრთის კონსტანტინე ბებუთოვის წერილში, რომელიც ნიკო ნიკოლაძისათვის გაუგზავნია თბილისიდან პარიზში (1874 წ., 19 იულისი) «На днях,—სწერს ბებუთოვი,—был здесь Илья и читал у меня свой перевод Лира. Слушателей было человек 30. Перевод кончен и находят прелестным. Может быть зимою поставим на сцену»¹.

გრ. ყიფშიძის თქმით „მეფე ლირი“ ამავე წლებში სცენაზედაც უთამაშნიათ და ილიას შეუსრულებია კენტის როლი.

კოტე ყიფიანიც საინტერესო ცნობას გადმოგვცემს: ილიას მოუნდომებია „მეფე ლირის“ დიდ სცენაზე დადგმა, ისე რომ როლები უნდა შეესრულებინათ მხოლოდ მწერლებს: ილია ჭავჭავაძეს, ივანე მაჩაბელს, მამია გურიელს, ნინო ორბელიანს, დავ. ერისთავს, დიმიტრი ყიფიანს და სხვებს. მაგრამ, როგორც მასალებიდან ირკვევა, „მეფე ლირის“ წარმოდგენა მწერალთა მონაწილეობით არ შემდგარა (გამონაკლისის სახით კორდელიას როლი უნდა ეთამაშნა დავით ყიფიანის დადს მარიამს). „მეფე ლირი“ პირველად წარმოდგენილ იქნა ქართველ მსახიობთა მიერ 1883 წელს, 16 თებერვალს. როლები ასე იყო განაწილებული: კ. ყიფიანი (ლირი), კოტე მესხი (მასხარა), მ. საფაროვ-აბაშიძისა (კორდელია), ვასო აბაშიძე (ედგარი), ალექსანდრე ყაზბეგი (ედმუნდი) და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ამ წარმოდგენას ასი რეპერტიცია ჰქონია, ვაზ. „დროება“ მაინც ჩვენს არტისტებს აუგად იხსენიებს („დროება“, 1883 წ., № 37).

საქართველოში შექსპირს წინათაც თარგმნიდნენ: დიმ. ყიფიანი, დავ. ყიფიანი, მ. ზ. ყიფიანი, ლ. არდაზიანი, მიხ. ფავლენიშვილი, შემდეგ—ანტონ ფურცელაძე, ნიკო დადიანი, ივ. ჯაჯანაშვილი, ვ. გუნია და სხვანი. მაგრამ ილიას და ივანე მაჩაბლის თარგმანს ვერც ერთი ზემოხსენებული თარგმანი ვერ შეედრება². რასაკვირველია, ზოგიერთ მათგანს თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „ემის წარმატების საქმისა და ქართული ლიტერატურის, მხატვრული სიტყვაკაზმული მწერლობის ზრდისათვის“, ეს ითქმის განსაკუთრებით დიმ. ყიფიანის თარგმანზე. მაგრამ თითქმის არც ერთი მათგანი არ იყო გამოსადეგი სცენისათვის. ზოგი ბრჯგუ ასოებიითაა დატვირთული, ზოგს ქალაქური იერი დაჰკრავს („ჰამლეტჯან“ და სხვ.), ზოგი მთარგმნელი „ჰ“ სდევნის და მის ნაცვლად ხმარობს „ლანს“, გამოდის არა „ჰამლეტი“, არამედ „ლამლეტი“ (—როგორც იტყოდნენ ჩვენი ძველები: „ლუბერნატორი“,

¹ ავ წერილზე მივივითთა თამარ მაკაეაზიანმა, რომელსაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

² დაწერილებით იხ. ჩვენი წერილი „ქართული შექსპირიანა და ივანე მაჩაბლი“ ჩემი „ლიტერატურული ნარკვევები“, 1957, გვ. 329.

„ლლასნი“, „დეკუბა“), ზოგი კიდევ გარმიანული (უცხოური) სიტყვებითაა აპრელეზული: ამ პლასმის იცნობთ თქვენა? (მ. ყიფიანი), ან: „აჰა, ორი პატრეთი“ (არდაზიანი), ან კიდევ: „არ გაუცვეთია ბაშმაკები, რომლითაც მიზღვედა ქმრისა კუბოსა“ (არდაზიანი). ანტონ ფურცელაძის მიერ თარგმნილ „ჰამლეტში“ (IV მოქმედ.),—როცა აღელვებული ლაერტი შემოიჭრება სცენაზე და მეფე კლავდიუსს მიმართავს თავისი მამის პოლონიუსის დაღუპვის შესახებ, — მთარგმნელს ეს აბზაცი ასე აქვს ნათარგმნი: „ქოროლო“, შერზავცო, დამიბრუნე მამაჩემი“ და სხვ.

ილიას ნათარგმნი „მეფე ლირი“ იმითაა შესანიშნავი, რომ იგი თოთხმეტმარცვლოვანი თეთრი ლექსით არის გამართული; მე ვამბობ თოთხმეტმარცვლოვან ურითმო ლექსზე, თორემ თოთხმეტმარცვლოვანი რითმიანი ლექსი ხომ თვით ა. ჭავჭავაძის და ბარათაშვილის დროსაც იყო განთენილი („გოგჩის ტბა“, „მერანი“). ალექ. ჭავჭავაძის წყობითა აქვს ნათარგმნი ილიას 1860 წელს ბაირონის პოემები: „კაენი“, „მანფრედი“ (ნაწყვეტები), მეფე ლირში კი ილიამ თითქმის შექმნა თოთხმეტმარცვლოვანი ურითმო ლექსი და ამ ქართული მეტყველების კეთილშობილ წყობას გზა გაუხსნა შემდეგი მთარგმნელებისაქენ (ივ. მაჩაბლის თარგმნილი შექსპირი, გრ. ორბელიანის „ფსალმუნი“ და სხვ.).

„ლირის“ დაბეჭდვამდე პეტერბურგიდან მეტად საყურადღებო ცნობა დაიბეჭდა გაზ. „დროებაში“ — „პეტერბურგში ჩვენი ყმაწვილები თარგმნიან პირდაპირ ინგლისურიდან შექსპირის ტრაგედიას „ქოროლ ლირს“. აქ შესანიშნავი ის კი არ არის, — განაგრძობს კორესპონდენტი ვასილ მაჩაბელი, — რომ პირდაპირ დედანიდგან სთარგმნიან, არამედ ის არის, რომ შექსპირის გარეგანი სიტყვების ფორმა სრულიად გადმოაქვდ ქართულ ენაზე იმ ლექსთწყობილებით, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში არ ხმარებულა, ე. ი. თოთხმეტმარცვლოვან ლექსით, ურითმოთ (ხაზი ჩემია.— ი. გ.). ამბობენ რომ ასეთი ლექსთწყობა ჩვენს ენას უხდება და კეთილშობიანიც არისო“ („დროება“, 1873 წ., № 40).

როგორც ენახეთ, „მეფე ლირის“ თარგმანს სიხარულით მიეგება შექსპირის პირველი მთარგმნელი დიმიტრი ყიფიანიც: „თარგმანმა სასიქადულოთ თავს გადიელო კრიტიკა მიუყარებელი, შეუბრალებელი, დიდი შრომა გაგიწევიათ, ნიჭი გამოგიჩენათო“ — სწერდა ჭალარამოსილი მოღვაწე ი. ჭავჭავაძეს 1879 წელს.

ილია ჭავჭავაძემ თავისი „ლირით“ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მას, გარდა კარგი საქმის ინიციატორობის ინსტიქტისა, მუდამ ჰქონდა ქართული რიტმის ენობრივი შეგრძნობა და ისეთი ემხით მოქმედა სტრიქონისა, რომელიც ბლაჟიაშვილის ხმალივით ბასრი და ელვარე იყო.

2. ილია დეკლამატორი

ილია ჭავჭავაძე ახალგაზრდობაში ლექსებს ძალიან კარგად კითხულობდა. ვანსაყუთრებით უყვარდა ნ. ბარათაშვილის და გრ. ორბელიანის ლექსების წარმოთქმა. ილიას დამახასიათებელი თვისება ყოფილა, სიტყვის კათეტად გამოთქმა და სახის ნაკეთთა ათამაშება (მიმიკა). მისი დეკლამაცია იყო ბუნებრივი და შთამბეჭდავი.

„შემდეგ ჩვენს თარგმნილს ლირს წაიკითხავდი, — სწერს ილია თავის ცოლს კარდანახში პეტერბურგიდან 1874 წ. თებერვალს, — მომწერე, როგორ მოგეწონა შენ და სხვებსაც. მაგას კაი წაიკითხვა უნდა, რომ კაცმა

მოიწონოს. სწორედ ახალ წლის პირველ დღეს სრულიად გვათავით თარგმანი. მე ძალიან მომწონს, სხვისა არ ვიცი. აი, როცა ნოვალ, მე თვითონ წაგვიკითხამთ და მაშინ ნახავთ, როგორი თარგმანია... (ხაზი ჩემია—ე. გ.).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ილიამ მართლაც წაიკითხა თბილისში, არამც თუ თბილისში, ქუთაისშიც და ყველგან ალტაცება გამოიწვია¹. ილია ძალიან გატაცებული იყო ლირის თარგმნით, მისი დაბეჭდვით, მისი სცენაზე განსახიერებით, არა ნაკლებ აინტერესებდა „ლირის“ დეკლამაცია: „მაგას კაი წაკითხვა უნდა“... „როცა ნოვალ, მე თვითონ წაგვიკითხამთ და ნახავთ როგორი თარგმანია“. ილიას სწამდა თავისი სიტყვის ძალა, გამოთქმის ლაზათი, მას ესმოდა სიტყვის საიდუმლოების შინაარსი, ხშირად სიტყვა ილიას ურჩი ბალღვით ებუტებოდა, პოეტს უყვარდა ამ სიტყვის ხელში ჩაგდება, მოთვინიერება. მისი შემოქმედების ყაზახი სავეს იყო ათასნაირი სიტყვის ფალავანით. იგი სიტყვის რაინდი იყო.

ილიას ხშირად იწვევდნენ საღამოებში მონაწილეობის მისაღებად. იგი სცენიდან კითხულობდა საკუთარ მოთხრობებს, ხოლო ლექსები კი სხვა ავტორებისა უყვარდა. 1875 წელს, თბილისში, „ერთი კეთილი საქმის შესაწევრად“ (ასე ეწერა აფიშებში) გაიმართა პირველი სალიტერატურო საღამო (4 აპრილს და 22 აპრილს). ამ საღამოში მონაწილეობდნენ: დიმი. ყიფიანი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, რაფ. ერისთავი, დ. ერისთავი, პ. უმიკაშვილი და გ. ჩიქოვანი (ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონის“ და გოგოლის მოთხრობების მთარგმნელი).

აი მათი წაკითხული ნაწარმოებნი:

რაფ. ერისთავს წაუკითხავს გ. სუნდუკიანცის „პეპოდან“ ერთი ნაწყვეტი და საკუთარი სცენები².

დი. ყიფიანს — „ვეფხისტყაოსნიდან“ (ქაჯეთის ციხეზე მისვლის თათბირი), „ვენეციელი ვაჟრიდან“, „რომეო და ჯულიეტადან“ და ალ. ჭავჭავაძის „გოგჩის ტბა“.

დავით ერისთავს — ილიას „მუშა“, „აზრდილი“ და გრ. ორბელიანის „საღლეგრძელო“ (ნაწყვეტები).

¹ ილიამ ქუთაისში წაიკითხა „მეფე ლირის“ ნაწყვეტები 1874 წ. 18 აპრილს. „დროება“ წერდა: „ამ თვის თარგმნეტს ქუთაისში შინაური ლიტერატურული საღამო ყოფილა. ამ საღამოზე ორმოც კაცამდე შეკრებილან. წაუკითხავთ: ილია ჭავჭავაძეს—„მგზავრის წერილები“, მერმე ატატო ბებურიშვილს—სცენები ხალხის ცხოვრებიდან. ბოლოს კი „მეფე ლირი“ მთარგმნელს—ილია ჭავჭავაძეს. მსმენელები ძალიან კმაყოფილი დარჩენილან საზოგადოდ საღამოთი. განსაკუთრებით მოსწონებიათ „მეფე ლირის“ თარგმანი“ („დროება“, 1874 წ., № 420 შდო. აპოლონ მანარაძე, „ლიტ. საქ.“, 1938 წ., № 8).

² ე. გ. გაბაშვილმა მიიხრა: რაფიელ ერისთავს წაუკითხავს საკუთარი სცენა „მარილის ყანა“, რომელშიაც ასეთი აზრია გატარებული: ივანიკამ და გოგიელამ მარილი დათესეს, მაგრამ „ტყულა მოლიც არ ამოსულა“. იფიქრეს ივანიკამ და გოგიელამ „სწორებ რალაცამ ამოგადოვო, გაკეთებას ველოდით და ვინცამ სუმთლა მოგვიკანა მარილის ყანაო“, მერე ივანიკამ და გოგიელამ დაუდარაჯეს მარილის ყანას და ქურდის დაქურას ლამობდნენ, მაგრამ „არ შეგკამოს კირმა ყანა მაინც არ ამოვიდა, რაფერც ჩემს თავზე არაა ბალანი, ისთუ იქ ბალახიო“. ე. გ. გაბაშვილის თქმით, რაფ. ერისთავმა ამ სცენის წარმოთქმის დროს, ხელი მიირტყა მელიორ თავზე და ხალხიც გააცინაო.

რაფ. ერისთავის გამოსვლას, გ. წერეთლის თქმით, ყავლან ორბელიანიც დასწრებია და ლოყიდან ხმაშლია წამოუძახნია: „დახე ამ უნიკოსა, აკი იმანაც გააცინა საზოგადოება?“ (იხ. კრებული: „საერთო დღესასწაული“, 1899, გვ. 27).

პ. უმიკაშვილს—სცენებმ თბილისის ცხოვრებიდან.

აკაკი წერეთელს—„ადვოკატის დილა“, „ზღაპარი“, „სცენა საპატიმროში“ და მოთხრობა: „ქალი რა თევა?“¹.

ილია ჭავჭავაძეს ორივე სალამოზე წაუყიობხავს: ნაწყვეტი „მგზავრის წერილებიდან“, ნ. ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზე“, გრ. ორბელიანის ყარაჩოღული და ბოჭემური ლექსი—„ონიკოვის დარღები“, „კაცია ადამიანიდან“ და თავისი მეგობრის, დიმ. ყაზბეგის, მოხევეური სცენა: „მავენ სულელები“.

მე მინდა ერთ წუთს თვალი დავხუკო და წარმოვიდგინო თბილისის საზაფხულო თეატრის სცენა 1875 წელს... აი გამოდის ილია ჭავჭავაძე, „ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალი“—როგორც დაახასიათა გრ. ორბელიანმა. პარტერში ტაშის ტკრციალი გაისმის. მერე სიჩუმე ჩამოვარდება... ილია ერთ წუთს ჩაფიქრდება და დაიწყებს გრ. ორბელიანის ლექსის კითხვას:

ლიმიტ[რი] ონ[იკაშვილ]ის დარღები

როდის მობრძანდები, ჩემო ბატონო,

ფეხქვეშ გაგეშალო ფიანდაზათა!..

ს ა ე ა თ ნ ა ვ ა

ეს რა ცეცხლში ჩავარდნილვარ, სადა ვარ?

გული მეწვის, სასიკვდილოდ მზადა ვარ.

ძალსაერთა ვედივარ ა ი მ ქუჩაში,

ვეარაულობ ერთის ვისმეს კარებსა,

ერთს მოაჯირს, ორ ბატარა ფანჯარას,

ეგებ ჩემი მზე იქიდან აღმოჩნდეს!..

ეშხისაგან გონება გამოცლილსა,

მზე ბრწყინავს, თუ თოვლი მოდის, არ მესმის!

განა ღამით ძილი არის-ლა საღმე,

ანუ დღისით განსვენება სულისა?

ან ვილას აგონდება სადილი,

ანუ ღამით აბანოში ღებინები?..

ნაბად-გახვეული ვგდივარ ქუჩაში;

ფობრაე, მაგრამ ჩემი დარდი ვის ესმის?

ვინც გაივლის, მკითხავს: აქ რას აკეთებ?

— შენ რას ნაღვლობ, მე რას გიშლი, რა გინდა?

მითილი ხარ, თორემ არა მკითხავდი,

მოდე ამ ვირს ეშხე ელაპარაკე!

და სხვ.

ჩვენ ამ ლექსის ნაწყვეტი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ გვეგრძნო ილია სცენაზე, წარმოგვედგინა მისი სახის მეტყველება, მისი დინჯი ხმა და მარჯვენა ხელის მალიმალ მალლა აწევა, რაც ასე უყვარდა თურმე პოეტს.

¹ აკაკის ეს პროზა: „ქალი რა თევა?“ დაიბეჭდა ვახ. „დროებაში“, 1875 წ., № 45. აკაკის რეპერტუარი რუსულ ვახეთ „კავკასხ“ გაუქვწლავს, აკაკისაც უქასუხნია („დროება“, 1875 წ., № 42; შდრ. ჩვენი რედაქციით დაბეჭდილი აკაკის ნაწერების აქად. გამოცემა, ტ. III, 1940, გვ. 686).

ჩვენს მგოსანს ეს ლექსი სიბერემდე არ დავიწყებია. 1900 წ. „ახალმოსულის“ ფსევდონომით „კვალთან“ კამათის დროს ციტატები „ონიკოვის დარდებიდან“ ხშირად მოჰყავდა პოეტს.

ამ ლექსზე ილიას თავისი აზრი აქვს გამოთქმული, ჯერ კიდევ 1860 წელს, როცა კახლოვის მთარგმნელს ეკამათებოდა: „განა რითმა რომ არ იყოს,—უსაყვედურებს რევან ერისთავს ილია,—პოეზია არ იქნება? აბა აიღეთ ურითმო ლექსები თავად გრ. ორბელიანისა. თუნდ ბოლონდელი ოქტომბრის „ცისკრის“—„ონიკოვის დარდები“. აბა, ყურადღებით წაიკითხეთ, რა პოეზიაა მაგ ურითმო ლექსია. თვალწინ წარმოგიდგებათ ის ჩათუქესანი თბილისის ქართველი, რომლის ნატკრა და სამოთხე კახური ღვინოა, სიყვარული და ორთაქალის ბალები. აბა, ნახეთ ის ქართველი პაქარნი, ნაბაღწამოსხმული ლოთურად ჩითმერდინით ყელზედ, როგორ გულმოდგინედ შეპყურებს თავის საყვარლის ფანჯრებს, ვინც კი დაუშლის, აღრინდება და ეუბნება: „მოდი, ამ ვირს ეშხე ელაპარაკე“ რამდენი ნამდვილობა და ჭეშმარიტებაა მის წმინდა ქართულ პოეტურ დარდებში, კენესაში და ნატკრაში. პოეზია განსახოვნებაა ჭეშმარიტებისა, ცხოვრებისა და არა ჯაჭვი უთავბოლოდ გადაბმული რითმებისა“ (ილია, ტ. 4, 1927 წ., გვ. 20).

ილია აქ გვევლინება, როგორც უაღრესად რეალისტი მწერალი (პოეზია სინამდვილის და ცხოვრების ამსახველი უნდა იყოს) და ილიას პოეზია ცდიდალ განსხვავდება მისი თანამედროვე პოეტების ლექსებისაგან. ილიას ლექსი ისე არ ესმის, როგორც რითმის მიგნება (გაიხსენეთ მისი სასტიკი კრიტიკა ჩახრუხაძის პოეზიის მიმართ). მას სწამს ლექსი ჭეშმარიტი, უბრალო, მაგრამ სიტყვა რიტმულად გამოკვეთილი. რამდენადაც ილია აქებს გრ. ორბელიანის ზემორე მოყვანილ ლექსს, იმდენად იმავე ლექსს აძაგებს აკაკი: „გრ. ორბელიანს მწერლობა ხელობად არ მიაჩნდა,—წერს აკაკი თავის თავგადასავალში,—რამოდენიმე გულის საფხან ლექსის მეტი არა დაუწერია რა, „ონიკოვის დარდები“, „ლოპიანას ვინაობა“ და „იარალი“ ქვეყნის პირვარამი ეგონა, მისი ფიქრი—ლხინი იყო, მისი უბედურება—უღბინობა“ (ტ. 1, გვ. 93).

მართალია, გრ. ორბელიანს ერთ დროს ილიაც ეკამათებოდა, მაგრამ მისი ლექსები ისე სწამდა და უყვარდა, რომ მას სცენიდანაც ამზევებდა. ილია, თვით დეკლამაციის დროსაც, არ ღალატობდა თავის ხაზს. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ილია პასუხისმგებლობით ეპყრობოდა არამც თუ მხატვრულ ნაწარმოებს, არამედ ყოველგვარ საზოგადო საქმესაც. ამ მხრივ ილია არა ჰგავდა არც ერთ თავის თანამედროვე მოკალმეს... ეს ნათლად ჩანს ილიას მიერ დატოვებულ სამურებო მასალებიდან, ეს ნათლად ჩანს ამ პატარა კერძო წერილიდანაც კი, რომელიც აქ მომყავს:

„...დღეს საღამოზე,—სწერს ილია ვლადიმერ მიქელაძეს,—სამეურნეო საზოგადოებაში საზოგადო კრება არის და კირიმ-გირიის მოხსენება იქნება შეასახებ აქაურ ენების ხმარებისა აქაურ სკოლებში. მე მინდა წინააღმდეგე, თუ აქაური ენების წინააღმდეგე ლაპარაკი იქნება. რადგანაც ჩვეულებად მიღებული მაქვს მოუძხადებლად არსად წავეჩხირო (ხაზო ჩემია—ე. გ.), ამიტომ დღეს სამსახურიდან რომ შინ წავეალ, მაშინვე ამის სამზადისს შევუდგები. ამის მიზეზით დღეს შენთან სადილად ვერ ვისიამოვნებ და დიდსა და დიდს ბოდიშს ვიხდი. სხვა დროს იყოს, შენთან ქეიფი ყოველთვის სანატრელია და სასურველი. შენი ილია ჭავჭავაძე“.

სცენაზე გამოსვლასაც მუდამ „მომზადებული ილია“ დიდის სიფრთხილით ეკიდებოდა: წასაკითხ მასალას დიდხანს ეძიებდა და არჩევანშიც არასცდებოდა. ერთ საქველმოქმედო სალიტერატურო საღამოს შესახებ ილია ჰავეჭავაძე შემდეგსა სწერს დავით ერისთავს: „ამას წინად ვახტანგ თულაშვილის წიგნი მომივიდა, რომლითაც იგი მთხოვს მონაწილეობა მივიღო სალიტერატურო საღამოშია... შენ ამასა გთხოვ, რომ დაწვრილებით მომწერო: 1. ვინ არიან მკითხველნი; 2. შენც ურევიხარ თუ არა; 3. შინაური მოწყობილება ექნება იმ საღამოს, თუ საგარეო. ამის პასუხი ძალიან ნალე მაცნობე“... ამ წერილიდან აშკარად ჩანს, რომ ილიასთვის სცენაზე გამოსვლა არ ყოფილა ხელჩასქენვეი საქმე. მისი დეკლამაცია მისი ავტორიტეტის ფარდენდა ყოფილიყო და ამას იგი მტკიცედ მისდევდა...

როგორც პროგრამიდან ჩანს, ილიას სცენიდან წაუკითხავს დიმ. ყაზბეგის „მავნე სულები“, რომელიც თავიდან ბოლომდე მოხვედური დილაქტით არის დაწერილი. მოხვედურად მოლაპარაკე ილია, საინტერესოა, სად და რომელ სიტუაცს დაჰკრავდა ნახვილს? ის ხომ „მგზავრის წერილების“ ავტორი იყო და, ალბათ, თავისი მოხვევის კილოს გამოიყენებდა.

ექ. გაბაშვილის თქმით, როცა ილიამ 1876 წ. 29 იანვარს კავკასიის მუსიკალური საზოგადოების დარბაზში (იარმუჯაში) წაიკითხა „კაცია ღდამიანის“ ის ადგილი, სადაც ლუარსაბი და დარეჯანი შვილის ყოლაზე ოცნებობდნენ (თავი 13) და როცა ილიამ მოთხრობის გათაფებისას — „ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი-ჩუპარ“ დასძახა და ტაშის შემოკვრით გავიდა სცენიდან — ყველას აღტაცების ცრემლებით თვალები აგვენამაო, — დასძენს მწერალი ქალი.

ეს პირველი სალიტერატურო საღამოები საზოგადოებას ისე მოსწონებია, რომ ბილეთები აფიშების გამოსვლისთანავე იყიდებოდა თურმე. ბევრი უბილეთობის გამო უკან ბრუნდებოდა, რაც იშვიათი მოვლენა იყო იმდროინდელი ქართული თეატრისათვის.

ერთ ასეთ საღამოს „დროებამ“ მეთაურიც უძღვნა... იქვე მოთავსებული რეცენზია, სადაც პირველი საღამოს მონაწილენი ცალ-ცალკეა დახასიათებული. გაზეთი წერს: „...ღ. ი. ყიფიანი ნამდვილი ოვაციით მიიღო საზოგადოებამ. გამოვიდა თუ არა ეს პატივისცემი გაქალარავებული მოხუცი, ყველანა ერთი ხმით დაჰკრეს ტაში და ეს ტაშის კერა რამოდენიმე წუთის განმავლობაში არ შეწყვეტილა. ამ ოვაციით, სხვათა შორის, საზოგადოებამ, ჩვენის აზრით, თანაგრძნობა გამოუცხადა მკითხველს იმისთვის, რომ ახალგაზრდებთან ერთად ჰკიდებს ხელს საზოგადო საქმის დახმარებას. სცენა საკუთარი ნათარგნის შექსპირის „შეგლობადგან“ და აგრეთვე „ვეფხის ტყაოსნის“ ერთი თავი დიმ. ყიფიანმა კარგათ წაიკითხა. მაგრამ საუბედუროდ, ისე დაბალი ხმით, რომ ზოგიერთებს, ვინც სცენაზე მოშორებული იყვნენ, არ გაუგონიათ. ესევე ნაკლულევანება ჰქონდა რ. ერისთავის კითხვასაც, რომელმაც „პეპოს“ ნაწყვეტი სუსტი ხმით და წაბორძიებით წაიკითხა, მაგრამ მის მაგიერად მეორედ გამოსვლაზე გამოისყიდა ეს ნაკლულევანება: სცენები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან, ნამდვილის ხელოვნებით იყო წაკითხული! მაგრამ ნამდვილი დამამშვენებელნი და გამაცოცხლებელნი ამ საღამოსი იყვნენ აკაკი წერეთელი და ილია ჰავეჭავაძე. ჩვენ იშვიათად გავვიგონია ისეთი ოსტატური და ხელოვნური წაკითხვა, როგორც აკაკიმ თავისი „ადეოკატის“

დილა“ და „სცენა საპრობილემო“ წაიკითხა, ი. ჭავჭავაძემ კი თავისი „კაცია ადამიანის“ ერთი ალაგი და გრ. ორბელიანის „დ. ო—ვის დარდები“¹.

პირველ „სალამოს“ ჩვენი ბრწყინვალე პოეტი გრიგოლ ორბელიანიც დასწრებია და თავისი შთაბეჭდილება მეგობრისთვის მიუწერია: „4 აპრილს იყო ქართულ თეატრში სალიტერატურო და სამუსიკო სალამო—ასე ეწერა ათიშეკაში. ძალიან ცუდათ გამოჩნდნენ რ. ე. და დ. ყ. რალაცა ღმერთი გაუწყრათ. სულ ვერ წაიკითხეს. და ძალიან კარგად იყვნენ დ. ე. გლ. ი. კ. და ა. წ.“².

გოგოლი ამბობდა: „მწერლების გამოსვლა სალიტერატურო სალამოებზე ნომევალში წარმოდგენის მაგიერობას გასწევს“. ჩვენი სალიტერატურო სალამოები კი წინამორბედი იყო ნომევალი ქართული თეატრისა, რომელიც 1879 წელს ჩამოყალიბდა „მუდმივი დასის“ სახელწოდებით. თვით იმ სალამოს შემოსავალიც (254 მან.) ქართული სცენის სასარგებლოდ გადაიდო.

*

სხვისა ლექსი შენგან თქმული
კეთდება და უფრო შენის!

ეს ილია ჭავჭავაძის უცნობი მუნასიბია ცნობილ დეკლამატორ კოლა ერისთავისადმი მიძღვნილ წიგნზე წარწერილი. მართლაც და, სცენიდან თქმულ ცოცხალ სიტყვას, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ილია ერთ წერილში ამბობს: „არ ვარგა მართო წიგნიდან გამოხედვით“, ხოლო მეორე წერილში მოჰყავს ლესინგის აზრი: „მწერალმა საზოგადოებაში უნდა იცხოვროს“. იგი ამ მზრივ ხალხში გასვლას ჰქადაგებდა... სცენიდან ნათქვამი სიტყვა ყოველთვის კეთდება, შეენის და მიზანს აღწევს. როცა ილია სალიტერატურო სალამოებზე გამოდიოდა, ქართველები ჯერ კიდევ არ იყვნენ შეჩვეულნი საჯაროდ კითხვას; ილია კითხვის კულტურას ხელს უწყობდა თავისი მოხდენილი დეკლამაციით და ქართულ კაზმულ მწერლობას პოპულარიზაციას უქმნიდა.

როგორი იყო ილია დეკლამაციის დროს?

არტურ ლეისტის გადმოცემით, ილია რომ ლაპარაკობდა, ცეცხლი და ვატაცება თანდათან ემატებოდა!

ი. მანსვეტაშვილის თქმით, ილია კარგი მკითხველი იყო, თუმცა ხმა ცოტა მოყრუო ჰქონდაო.

„ილიას ხმა დიდი არა ჰქონდა, არც ძალიან მელერავეი, მაგრამ მკაფიო, მკვეთრი და ნათლად გასაგონი. არ იცოდა კილოშეკიდებით ლაპარაკი, ხმის აკანკალება. არც ხელების წარამარა სავსავი. მასში იყო არტისტულობა და არა თეატრალიზაცია. ამა თუ იმ საგნის გამოხატვა სხეულის და სახის მოძრა-

¹ იხ. „დროება“, 1875 წ., № 42. ხალხის თხოვნით სალამო მეორედაც გაიმართა ამავე წლის 22 აპრილს. გარდა ამისა გაზეთი აუწყებდა თავის მკითხველებს: „ესევე წამკითხველები ქუთაისშიც აპირებენ წასვლას და იქაც ამგვარსავე სალამოს გამართავენო“ („დროება“, 1875 წ., № 45.—ორივე სალამოს პროგრამები, რომლებიც სიფრიფანა ქალღმერთს დაბეჭდილი, ჩემს ბიბლიოთეკაშია დაცული).

² გრ. ორბელიანის წერილი იაკინთე მესხიშვილისადმი 1875 წ. 7 აპრილს (იხ. „დროება“, 1883 წ., № 176). ინიციალები ასე ითარგმნება: რ. ე. (რ. ერისთავი), დ. ყ. (დიმ. ყიფიანი), დ. ე. გლ. (დავით ერისთავი გლუხარჩი), ი. კ. (ი. ჭავჭავაძე) და ა. წ. (ა. წერეთელი).

ობით იცოდა. ერთი სიტყვით, ილიას ჰქონდა სიტყვის თავისებური გამოთქმის უნარი და ხმის ოდნავი მოდულაციები ჰქმნიდა მთელ მუსიკას მისი მეტყველებისას* (ი. ელფთფერიძე).

ქ. მესხიცი იგონებს ილიას კითხვას: „1874 წელს პირველად ვნახე ილია ჭავეჭავაძე, ის მაშინ მომრიგებელ მოსამართლედ მსახურებდა სადღაც და თბილისში ჩამოვიდა. ერთ საღამოს ჩვენი რედაქციის პატარა ოთახებში შეიკრიბა რედაქციის ყველა წევრი და ქართული მწერლობის მოყვარული (ლაპარაკია „დროების“ რედაქციაზე—ო. გ.). ილიაც მოვიდა და თან მოიტანა თავისი „გლახის ნამბობი“. წაგვიკითხა. ასეთი ტკბილი, ძლიერი, მკაფიო ქართული კითხვა ან სიტყვა ჯერ არ მსმენოდა (ხაზი ჩემია—ო. გ.). ვატყობდი ყველა ალტაცებული იყო და მე ხომ სულ დამონებული ვიყავი ძლიერის შთაბეჭდილებით“ (ქ. მესხის „მოგონებანი“—ხელნაწერი ჩვენთან ინახება).

1889 წელს, 25 მარტს წ. ქ. საზ. სასარგებლოდ გაიმართა დიდი სალიტერატურო საღამო, საღამოს ეშხის და ლაზათის მისაცემად ილიაც დაითანხმეს. მისი გამოსვლა სცენაზე ტრიუმფად გადაქცეულა. წაუკითხავს ერთი ნაწყვეტი „ოთარაანთ ქერივიდან“ (გიორგის სიკვდილის სცენა). აი, როგორ აგვიწერს იაკობ გოგებაშვილი (ი. სიმონიძის ფსევდონომით) ილიას განოსვლას სცენაზე: „...საქმე ილია ჭავეჭავაძეზე მიდგა. იგი გამოვიდა დინჯად, გაშალა კათედრაზე რვეული და დაიწყო კითხვა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ დარბაზში ბუზის ფრენას გაიგონებდა კაცი. ეს ყურადღება კითხვის გათავებამდე არ შენელებულა... მართალია, ილია დეკლამატორი არ არის, ნაფიც მკითხველების დასს არ ეკუთვნის, მაგრამ სამაგიეროდ შემკულია ბუნებრივი მკითხველის ღირსებითა: ხმა აქვს მუსიკალური, კილო შესაფერი, ლოგოური ხმის აწვე-ღაწვევა რიგზე მიჰყავს, გამომეტყველება და მოძრაობა პირისახისა შეესაბამება წაკითხვის შინაარსსა და საზოგადოდ მისი ხმა მკაფიოდ ჰხატავს ყოველს აზრსა და გრძნობას, რომელსაც კი იპყრობს სიტყვები და ფრაზები“ („ივერია“, 1889 წ., № 76).

ამას დაეუმატოთ ილიას სახის სილამაზე, რომელიც ი. მანსვეტაშვილის თქმით, „საბერძნეთში ღირსი და დამამშვენებელი იქნებოდა ფიდიუსის ქანდაკებისა“ და ადვილად წარმოიდგენთ მის სცენიურ ნომხიზობას.

„ილიამ ბევრი ილაპარაკა. —სწერს ალექსანდრე ყიფშიძე თავის მოგონებაში, — მაგრამ დასვენებით, მოკლედ და მკაფიოდ. Он производит неслыханное впечатление, а не в том, что он читает, а в том, что он читает, а не в том, что он читает, а в том, что он читает...“ („ლიტ. მატრიანე“, 1940 წ., წიგნი 1-2, გვ. 185).

ილია ჭავეჭავაძე საზოგადოდ კარგი მობაასე ყოფილა. მისი სიტყვა ყოველთვის ხიბლავდა ხალხს. რომანოზ ფანცხავე (კრიტიკოსი ხომლელი) იგონებს ილიასთან ყოფნას და დასძენს: „დატყვევებული ვუსმენდი ილიას შესანიშნავ საუბარს კახურ კილოზე“.

სოფ. მგალობლიშვილიც იმეორებს ილიას სახის მომხიზლობას: „ილია ჭავეჭავაძე ისეთი ლამაზი და მარილიანია, კაცი თვალს ვერ მოაშორებს. მშვენიერი ფართო შუბლი, თმა ხშირი, შავი, როგორც ვიშერი, შუაზედ გაყოფილი და გრძლად დაშვებული კისრამდე... ტანით თურმე პატარა კახს მიაგავს, მაგრამ როცა ზის, ჰგონია ადამიანს, ხიზაბავრელის მხარბეჭი აქვსო“ („რჩეული მოთხრობები“, გ. თავიშვილის რედაქციით, გვ. 288).

თანამედროვეთა დახასიათებით ილიას პორტრეტი ასე წარმოგვიდგება: ილიას ჰქონია ბედრი სახე, თმა შუაზე გადაყოფილი, მეტყველი თვალები, გამოქანდაკებული სოთი ცხვირი—მოძრავი ნესტოებით და მაღალი, ფართო შუბლი, რომელიც ასე კარგად გვახსოვს „განდეგილიდან“:

და მაღალ შუბლსა ნაოჭად შეკრულს,
შარავანდელი გადაჰფენია!

3. რა მისცა ილიამ თეატრს?

„ხომ იცი თეატრი რა დიდი რამ არის ჩვენი თანა დაცემულ ხალხისათვის. მაგის მეტი ნაციონალიზმის ნიშან-წყალი ჯერჯერობით ჩვენი არა გვაქვს-რა. ეგ ადგილია სადაც ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს. ესეც საკმაოა რომ კაცმა თავი გამოიღოს, თორემ თეატრს ხომ სხვაც ბევრი სიკეთე მოსდევს!“ — ეს წერილი ილიას ეკუთვნის¹.

ქართული თეატრი ილიას დროს და შემდგომაც, პროგრესულ იდეებს და ეროვნულ თავისუფლებას ჰქადაგებდა. სხვაგან დევნილი ქართული ენა, თეატრში ჰპოვებდა თავშესაფარს. „ჩვენი ენა ფეხზე უნდა წამოდგეს მთელი თავისი მშვენიებითა და სიმდიდრითაო“. ამბობდა ილია. ჩვენს პოეტს არ შეეძლო ამისათვის, როგორც ჩვენი ცხოვრების ყველა სხვა დარგისათვის, ყურადღება არ მიექცია და აქაც კვალი არ დაემჩნია.

ილია გულმოდგინედ მუშაობდა მუდმივი დასის შესაქმნელად. იგი იყო დრამატული საზოგადოების ერთი დამფუძნებელთაგანი, მისი მზრუნველი თავმჯდომარე².

საინტერესოა ერთი ეპიზოდი, საიდანაც ჩანს, თუ რა დაბრკოლებათა გადალახვა სჭირდებოდა ქართულ თეატრს მუდმივი დასის შესაქმნელად. როგორც ვიცით, 1879 წელს დაარსდა ცალკე კომიტეტი და საჯარო კრების მოსაწვევად დაიგზავნა ილია ჭავჭავაძის ხელმოწერილი ბარათები... ბევრი მოღვაწე უარყოფითად შეხვდა ამ სასარგებლო საქმეს, ბევრმა კიდევ.. მაგრამ უმჯობესია თვით გრ. ორბელიანის პასუხი მოვისმინოთ: „ჩემო ბატონო, კნიაზო ილიავ, — სწერს გრ. ორბელიანი ილიას, — დღეს ვერ ვიქნები ჩვენი საზოგადოების კრებაში თეატრის გამო, რადგან ვარ მიწვეული в экстренное заседание общества восстановления христианства; მაგრამ გავბედავ და გულწრფელობით მოგახსენებ, რომ მე არა ვარ თანამგრძობი ქართული თეატრისა ამ ეჭამად დაწესების, რომელზედაც დახარჯული ფული მგონია დაკარგულად. მე არ მესმის, როგორ უნდა დაემყაროს თეატრი, რომელსა არა აქვს თავისი შენობა, რომელსაც არ ჰყავს განსწავლული აქტიორები, რომელსა არ შეუძლიან შენახვა თავისა თვისისა? და თუ ქართული სცენის მოყვარენი წარმოადგენენ რასმეს წელიწადში ორჯერ, სამჯერ ხომ ეხლაც არის ამგვარი თეატრი. — არა მგონია, რომ ჩვენი ბანკი იყოს ისე ვასუქებული, რომ სამასი თუმნის უსარგებლოდ დახარჯვა არაფრად მიაჩნდეს მას“³. მაგრამ ილია ჭავჭავაძე მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე და ყოველწლივ აგო-

¹ მიწერილია ილია ოქრომქედლიშვილისადმი (დაცულია მწერალთა მუზეუმში).

² 1881 წელს ახლად დაარსებულ დრამატული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ილია ჭავჭავაძე, თავმჯდომარის ამხანაგად—აკაკი წერეთელი, ხაზინადრად—გ. თუმანიშვილი, მდივნად—კ. ყიფიანი.

³ წერილი დაწერილია 1879 წ. 18 მაისს—„ბაბტრონი“, 1922, № 21.

ნებდა საზოგადოებას, რომ „წელიწადში სამასი თუმანი, სულ ფეხზედ დააყენებს ჩვენ თეატრს, იმ მხრით მაინცა, რომ დასი ეყოლებათ“. („ივერია“, 1881 წ., № 11, გვ. 156).

რა მისცა ილიამ ქართულ თეატრს, როგორც მწერალმა?

მულღივმა დასმა, რომელსაც ასე სკეპტიკურად უყურებდა ზოგიერთი მოღვაწე, დიდი როლი ითამაშა, სხვათა შორის, სცენაზედ ქართველ მსახიობთა გამოვლინების საქმეშიც. თვით ილია მწერლობითაც მულამ ხელს უწყობდა თეატრს. გაიხსენეთ თუნდ ილიას აკადემიური რეცენზიები იაკობ ლაზარაშვილის „მეტრვალზე“, ასიკო ცაგარლის „ქართველ ღედაზე“ და მოლიერის — ჩექვით ავადმყოფზე“¹.

რაც შეეხება პიესებს, ილიას სპეციალურად პიესები არ უწერია, არ იყო დრამატურგი, — ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. ილიას უფრო აინტერესებდა ცალკე ტიპები: ქრიაშვილი, კაკო, ხორეშან, ლუარსაბი, აზნაურის ქვრივი, ოთარანთ ქვრივი და სხვ.

ჩემის აზრით, მის ნაწარმოებთა დიალოგები, რომ ისევე სადად და გადაუკეთებლად განსახიერდეს ჩვენს სცენაზე, როგორც რუსეთის სამხატვრო თეატრი ანსახიერებს ტოლსტოის და დოსტოევსკის ნაწერებს — ფრიად სანიაზო და მხატვრული წარმოდგენები გვექნება ქართული თეატრის თანამოსაგრეებს.

მე-19 საუკუნეში იშვიათია ისეთი მწერალი, ვის ნაწერებსაც თავიდან ბოლომდე, ბაღმობიდან სიბერემდე, გასდევდეს ერთი ხაზი, ერთი იდეა. ილიას თქმა რომ ვიხმაროთ, მას ყოველთვის თვალწინ ედგა: „იმა კირთების ბედშაენი დღენი“. ილია ქავჭავაძეს, „მგზავრის წერილებიდან“ დაწყებული უკანასკნელ ლექს — „ბაზალეთის ტბამდე“ ერთი აზრი ასულდგმულებს. ეს არის ეროვნული იდეა, ცარიზმის ჭანგებისაგან მისი თავის დახსნა... მაშინ, როდესაც მისი წინაპარი რედაქტორები წერდნენ, „გვიცავს უძლიერესი ორთავიანი ბედნიერი არწივი ჩრდილოეთისაო“, ილია თავის „მომოხილვაში“ ასე ძლიერად, ასე ნართაულად ლაპარაკობს შავბნელი რეაქციის წინააღმდეგ.

დაუგდეთ ყური:

„იქნება არ დაიჯეროთ და ერთი საოცარი, უცნაური სენი დამჩემდა. ამბობენ, ეს სენი მარტო მე არა მქირს. თურმე ნუ იტყვიოთ, ყველას, ვისაც კუუსთან რაიმე საქმე აქვს, იმათაც ის ემართებათ. რაც მე. დაფიქრდები რაზედმე თუ არა, ან ჩაუფიქრდები რასმე და ტვინის ძაფები მოძრაობაში შევლენ, ერთი რაღაც სულთამხუთავსავით ამეტუზება თვალწინ და არა მშორდება... ეხლაც თვალწინ მიდგა და საშინელს ჯადოს მიკეთებს, მე ერთის თქმა მინდა — ის სულ სხვას მალაპარაკებს, ენა ჩემი იძვრის — სიტყვა იმისია, კალამი ჩემი სწერს — აზრი იმისი გამოდის; რა მემართება, არც მე ვიცი. ქვეყანა ჩემ თვალწინ როგორღაც უხეიროდ, წაღმა-უქუღმა ტრიალებს, თითქო ღერძი გაუტყდა და საცა არის ტალახის გუნდასავით დაეცემა და დაიმსხვრევია... ის ჩემი სულთამხუთავი — კი თავს მადგია და იღრიჯება, იცინის; რას იღრიჯები შე უგვარო, უმსგავსო-მეთქი, ვეუბნები. იმან პასუხად ღორის

¹ განა ილია არ იყო, რომ ქართული პიესების გამოცემას გზა გაუხსნა და თავის „ივერიებში“ (1879. 1880. 1881. 1893) სისტემატურად ბეჭდავდა ჩვენი დრამატურგების ორიგინალურ პიესებს... (მაგ. „ადვოკატები“ რ. ერისთავისა, „მათიკო“ — ა. ცაგარლისა, „პეპო — გ. სუნდუქიანისა, „სამშობლო“ — დ. ერისთავისა, „ჩეთევან წამებული“ — ა. ყაზბეგისა და სხვ.).

ეშვებდათ თავისი სიბერისაგან ფანტალა ლოჯები წამომიყარა და ამოჭეპრ-ტლულ ბუხარსავით შავი პირი უფრო დიდად დაალო. ფუ, ეშმაკო მეთქი, დავიყვირე, შენც არ მომიკვდე, არც ამან მოაცვლევიანა ფეხი. რა ყოფილა, თქვენი ჰირიმეთ! ესე ამ ყოფაში ვარ ხოლმე, მანამ მამალი იყიფლებს, რაკი ის დალოცვილი წამოიყიფლებს ხოლმე, სულთამხუთავიც უცბათ თვალწინ გამიფრთხება, გაქრება, როგორც ქარისაგან ბოლი. ეხლა კი საათი ქვეყნისა მოშლილია და არ ვიცი, ანუ მამლის ყივილამდე ბევრი დრო დარჩა კიდევ თუ არა. ვზივარ და შეეყურებ სულთამხუთავს, ვზივარ ლოდინით დალაღული და ვნატრობ მამლის ყივილსა. როდემდის უნდა ვილოდინო, როდემდის! შე დალოცვილო მამალო, რაღას უყურებ და არ დაიყვილებ! (ტ. 7, გვ. 80).

და რამდენი ტანჯვა, რამდენი გულის წკმეტა უნდა განეცადა ამ დიდბუნებოვან ადამიანს იმისთვის, რომ ეს თავისი იდეები გაეპარებინა სულთამხუთავ მეფის ცენზურის მსახრავი თვალისაგან. და მერე რამდენი ხნის განმავლობაში; ბატონყმობის არსებობის დროიდან, მეოცე საუკუნის დამდეგამდე!

ტყუილად კი არ ეშინოდათ ილიასი ცარიზმის აგენტებს.

იგი მეფის რუსეთის დაუცხრომელი მტერი იყო.

თვით „მეფე ლირის“ თარგმნის დროსაც კი ილიას ის ადგილები აქვს კარგად ნათარგმნი, რომელიც მის სულიერ განწყობილებას ენათესავებოდა. ავიღოთ კენტის როლი. კენტი მეფის უსამართლობის წინააღმდეგ აშკარად გამოდის, იგი პირდაპირია და ნაკლს პირში ახლის. განდევნილი კენტი მიმართავს ლირს:

მშვიდობით მეფევ, დღეს გვიჩვენე რომ შენსა ახლოს
თავის უფლება და სიმართლე ვერ ისაღებებს.

ეს. სიტყვები თითქოს ილიას გულიდან ამოსდის! როცა თბილისის სკენაზე „მეფე ლირის“ დადგმა გადაწყდა, ილიამ კენტის როლი აირჩია. განსაკუთრებით კარგად არის ნათარგმნი შემდეგი დიალოგი:

კენტი:

ბატონიშვილნო, გეთხოვებათ თქვენ ყველას კენტი,
უცხო მხარეშიც ის დაშობის იმავე კენტად...

ლირი:

მოზიდულია მშვილდი, კენტო, უფროხილდი ისარს!

ილია შექსპირის რეპლიკებით თავის გულის წყრომას ამკლავებდა...

„კენტად“ დარჩენილი ილია ჭავჭავაძე მაინც ვერ გადაურჩა მეფის რუსეთის შხამიან „ისარს“...

თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი თავის საიდუმლო მოხსენებაში ილიას შესახებ შემდეგსა წერდა:

„...მე მქონდა მოხსენებული, რომ სემინარიის ამბოხებაში არა მცირედი წილი უძევს თბილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მასწავლებელთ (არსებობს განსაკუთრებით ქართველებისათვის). აგენტების საშუალებით ახლად შეგროვილი ცნობები, რომელნიც ლირსია ნდობისა, ადასტურებენ, რომ დასახლებული სკოლის მასწავლებელთა გავლენა არ განისაზღვრება ერთი სე-

მინარიით, არამედ ეს ხელმძღვანელნი ღებულობენ მონაწილეობას უფრო ფართო ეროვნულ მოძრაობაში ქართველთა შორის. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იმ მიმართულების მთავარი ხელმძღვანელი, რომლის მიზანიცაა ეროვნული მოძრაობის გაღვივება, არის თავადი ილია ჭავჭავაძე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის თავმჯდომარე (ამ ბანკის საშუალებით ინახება აღნიშნული თავად-აზნაურობის სკოლა და აგრეთვე იგია რედაქტორი ქართული გაზეთის „ივერიისა“). თავადი ილია ჭავჭავაძე არის თვალსაჩინო კჳუსის და მდგომარეობის პატრონი. დიდი ავტორიტეტის მქონე ქართველებში საერთოდ და თავისუფლად მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებით. დადის ხმები, რომ მასთან დროდადრო იმართება საიდუმლო კრებები, სადაც არკვევენ სხვადასხვა საზოგადო ხასიათის და სოციალურ კითხვებს¹.

ამას წინათ თვალი გადავავლეთ ილიას საარქივო მასალების ნაკუწებს, ვარიანტებს, შენიშვნებს და დავრწმუნდით, რომ დიდებული პოეტი ათასნაირ ხერხს მიმართავდა ცენზორთა თვალის ასახვევად. ავიღოთ მისი მბატკრული ნაწარმოებიდან ლექსი „იანიჩარი“. თავდაპირველად ავტორს ეს ლექსი ასე დაუსათაურებია: „კანეოელი“ და ცნობილი სტრიქონი: „შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველ ოსმალებსა“—პირველი ვარიანტით ასე იკითხება: „შენი რაა, რომ ამშვენებ შენით—ბნელსა ჩრდილოეთსა“.

საზოგადოდ ცენზურის თვალის ასახვევად ჩვენი მწერლები ხშირად ჩრდილოეთს სცვლიდნენ ოსმალებსა. მაგია გურიელს თავის ცნობილ ლექსში („ალავერდი“) ერთი ადგილი ასე აქვს: „და ძირს დაეცვო ბრძეფ თათრობა“ (პირველი ვარიანტი: „ეს მთავრობა“)... ასე იქცეოდა აკაკი წერეთელიც. აი, ერთი ნაწყვეტი მისი ლექსიდან:

დამხსენი, ოსმალგო,
რა მაქვს შენთან საზიარო?
თვით ოხერო, მოუვლგო,
როგორ გინდა მოზიარო?
ბუნებისგან დაჩავრული,
განა შესძლებ მეგობრობას?
მოშხამული ცივი გული
სხვას რას გასწევს, თუ არ მტრობას?

დიდი ფიქრი არ არის საჭირო იმის გასაგებად, რომ პოეტი აქ გამოხატავს თავის სიძულვილს. ცარიზმისადმი და თუ ჩვენი პოეტები თავიანთი ასეთი განზრახვის შესანიღბავად სიტყვა „ოსმალგოს“ ან „თათრობას“ ხმარობდნენ, ეს იმიტომ, რომ ქართველი ხალხის ცნობიერებაში ოსმალგო იყოველთვის წარმოადგენდა უაღრესად სიძულველ და მტრულ ქვეყანას.

საინტერესო საცენზურო დოსტაქრობა განიცადა ილიას ტრაგედიაში—„დედა და შეილმაკ“, რომელიც ქართულ თეატრს ყოველწლიურად თავის რეპერტუარში შეჰქონდა.

ამ ნაწარმოებს ილია თავის ხელნაწერებში დრამატულ ეპიზოდს უწოდებს, არა იმიტომ, რომ იგი დრამატული თეატრისათვის არის დაწე-

¹ თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის საიდუმლო მოხსენება პოლიციის დეპარტამენტისადმი 1894 წ. 1 მაისის თარიღით (—ქართველების სეპარატიული მოძრაობის შესახებ).

როლი, არამედ იმიტომ რომ აქ მთელი მონოლოგები აღსაყვება ჭეშნარიტი და დიადი დრამატიზმით. ამ ნაწარმოების ქვესათაურმა რამდენჯერმე განიცადა ფერისცვალება... „დედა და შვილი“ წარსულისაგან მიხედვით კი არ არის, არამედ მომავლის განჭვრეტა“. როცა ეს ნაწარმოები 1871 წელს „კრებულში“ დაიბეჭდა, ასეთი ქვესათაური ჰქონდა:

(„დრამატიული ეპიზოდი თამარ მეფის ცხოვრებიდან ოსმალეთთან ომის დროს“).

ხოლო „ივერიაში“ რომ მოთავსდა (1879, № 7) ამისთანა ქვესათაური გაუკეთა ავტორმა:

(„ეპიზოდი დავით აღმაშენებლის დროთაგან, როცა არაბთაგან ანთავისუფლებდა საქართველოს“).

ილიას ავტოგრაფებში კი ქვესათაურად შემდეგი საგულისხმო სტრიქონია დარჩენილი („სცენა მომავალ ცხოვრებიდან“).

მასასადამე ეს დრამატული პოემა ნამდვილად უნდა გავიგოთ როგორც მოწოდება საქართველოს მომავალი განთავისუფლებისათვის, რათა, სოლომონ რაზმაძის თქმისა არ იყოს, „თავი დაეხსნათ სკვითთ დესპოტისგან“.

თავისუფლებაჲ, შენ ხარ კაცთა ნათესაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმათლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა.

და ეს თავისუფლების შესანიშნავი ჰიმნი ბრძოლისაგან მოწოდებად ქლერს დედის მონოლოგში:

ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს.
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ფიქრობს
და ეს ფიქრია მთელ კავკასიის თავისუფლება.

აქ ბართლაც: „ილიას წარმოდგენაში საქართველოს თავისუფლება გადაჯაჭვულია მთელ კავკასიის თავისუფლებასთან“. აქა ჩანს „ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი განუწყვეტელი ბრძოლა ჯიჯიბოური დამპყრობლების წინააღმდეგ ქართული სულის და აქტიური შემოქმედების შესანარჩუნებლად“. ამიტომ იყო რომ „დედა და შვილი“ ასე ხშირად კრძალავდნენ სცენაზე წარმოსადგენად და რომელიმე მობენეფისეს დაჟინებითი თხოვნით ხელახალი ნებართვით იღგებოდნენ. „დედა და შვილი“ პირველად დაიდგა 1882 წელს, 26 სექტემბერს. დედას ნატო გაბუნია ასრულებდა, ხოლო შვილს—კოტე მესხი¹.

ილიას მეორე ნაწარმოები, რომელიც გადაუკეთებლად იღგებოდა ჩვენს სცენაზე, ეს იყო, „გლეხთა განთავისუფლების პირველ დროების სცენები“ ანუ, როგორც მერე მსახიობები არქმეედნენ, „გლახა კრიაშვილი“.

¹ „დედა და შვილი“ მეორედებოდა ილიას მოსაგონარ წლიურ საღამოებზედაც. დედას ასრულებდა ნინო დავითაშვილი, ხოლო შვილს—ალექსანდრე იმედაშვილი. „დედა და შვილის“ სიუჟეტზე კომპოზიტორ იპოლიტოვ-ივანოვს დაუწერია ოპერაც, რომელიც ჯერ არ დაუდგამთ ჩვენს დროს. ახალგაზრდა კომპოზიტორმა ა. მაკავარიანმა შექმნა ილიას პოემის მიხედვით თრმოქმედებანი ოპერა „დედა და შვილი“, რომელიც აირველად დაიდგა ჩვენს სცენაზე 1945 წელს, მაისში. განზრახული კი იყო ამ ოპერის დადგმა უფრო ადრე (იხ. ვახ. „კომუნისტა“, 1944, № 50, 10 მარტი). ამავე სიუჟეტზე აგრეთვე ლეო ფალიაშვილს აქვს დაწერილი ერთ-მთქმედებანი ოპერა—„დედა და შვილი“.

„გლახა ჭრიაშვილი“ პირველად დაიდგა 1870 წელს 23 ნოემბერს, ამ საღამოს თამაშობდნენ სამ პიესას: გ. ერისთავის „ძუნწა“, რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწილეს“ და ილიას ამ „სცენებს“... მაგრამ საზოგადოებას ყველაზე მეტად ილიას ნაწარმოები მოსწონებია. აი რასა წერს ამ წარმოდგენის თაობაზე „დროების“ რეცენზენტი:

„უფ. ***-ის „სცენების“ ნახვა¹ პირველი იყო და მართალი ვითხრათ, მე არ მეგონა თუ წარმოსადგენად ივარგებდნენ ეს მშვენიერი „სცენები“, რადგანაც თეატრისთვის არ არიან დაწერილნი, მაგრამ ჩემდა სასიამოვნოდ, მე მოვტყუვდი: თითქმის ყველა პიესებზე მომეტებული უურადლება იმას მიაქცია საზოგადოებამ და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამის მიზეზი მარტო ის არ იყო, რომ ამ „სცენებს“ პირველად ხედავდა ჩვენი საზოგადოება. „სცენებს“ არა აქვს, მართალია, სცენიური მოძრაობა, სასცენო ეფექტი, მაგრამ მის ნაცვლად ყოველი სიტყვა მომქმედი პირებისა და ყოველი მათი მიხერა-მოხერა, თვით ნაწილი ცხოვრებიდან გაშქრიახი თვალთ არის შენიშნული და ხელოვნური კალმით დაწერილი. აი, ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ „სცენები“ ასე მოეწონა საზოგადოებას...“ („დროება“, 1870 წელი, № 47).

რატომ მოეწონა საზოგადოებას „გლახა ჭრიაშვილი“? იმიტომ, რომ აქ არის შესანიშნავი დიאלოგი ილიასებური, ხალხურ ფოლკლორზე აშენებული სიტყვა-პასუხი და ბუნებრივი, ქართული კონსტრუქციით აყვავებული სტრიქონები. ილიას ამ ოსტატობაში ბადალი არა ჰყავდა.

ილიას სასცენო ნაწერებს შორის, ყველაზე მეტად „გლახა ჭრიაშვილს“ თამაშობდნენ თეატრში. კოტე მესხი იგონებს „გლახა ჭრიაშვილის“ ერთ წარმოდგენას, რომელიც 1874 წელს გაუმართავთ თბილისში. სხვათა შორის, ამ საღამოს მომრიგებელი მოსამართლის როლი კირილე ლორთქიფანიძეს შეუსრულებია, რეცენზიაც „დროებაში“ თვით კირილეს დაუწერია და თავისი თავი ასე დაუხასიათებია: მომრიგებელ მოსამართლის როლის აღმასრულებლის მაგიერ, სცენაზედ რომ მუთათქა დაედვათ, სულ ერთი იქნებოდაო“ (იხ. „დროება“, 1874 წ., № 409).

მუდმივი დასის დაარსებიდან კი (1879 წ.) ამ პიესას მიეცა უფრო დისციპლინური ხასიათი; „გლახა ჭრიაშვილს“— შესანიშნავად ასრულებდა კოტე ყიფიანი, ხოლო აზნაურის ქერივის როლს ნატო გაბუნია². სხვათა შორის, ამ სცენებით აღტაცებული იყო ჩვენი დიდი მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე, რომელმაც რუსულად გადათარგმნა და დაბეჭდა კიდევ ოთხმოციან წლების რუსულ ჟურნალ „Нравственная литература“-ში (1883 წ., № 6).

ილიას მესამე ნაწარმოები, რომლის მოქმედი პირნიც ცალკე შავი ასოებითაა გამოყოფილი და პიესას მოგვაგონებს, — ეს არის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღთა ცხოვრებიდან“ (ხალხმა „კაკო ყაჩაღი“ დაარქვა). ეს

¹ სამი ვარსკვლავი*** ილიას ფსევდონიმი იყო. სხვათა შორის ამ ფსევდონიმით ერთი ლექსი შეგვედა ძველ ხელნაწერებში: „ეს ხიცოცხლე რიხთვის შინდა. თუ არ შენთვის, ოხ, შამლო“, მაგრამ ავტოგრაფის აღმოჩენამდე ამ ლექსს ჯერჯერობით ვერ ვამხევეთ.

² ოთხმოცდაათიან წლებში აზნაურის ქერივის როლს ასრულებდა ლიზა ჩერქეზიშვილიც, ხოლო ჭრიალიშვილს—ვიქტორ გამყრელიძე.

ლიზა ჩერქეზიშვილს შეუსრულებია აგრეთვე დარეჯანის როლი ილიას „კაცია-ადამიან-ში“ (ქუთაისი, 1913, 27 ოქტ.). რეცენზენტი ამბობს: „პირდაპირ შეუდარებელი იყო ქ-ნი ვლ. ჩერქეზიშვილი. დარეჯანის როლშიო“ („სახალხო გაზეთი“, 1913 წ., № 1031). დარეჯანის როლი უთამაშნია პოეტ ნინო ორბელიანსაც („დროება“, 1883, № 54).

ნაწარმოები ისე ხშირად არ იდგმებოდა ჩვენს სცენაზე, ჯერ ერთი იმიტომ რომ ლექსად იყო დაწერილი და მისი შესწავლა უძნელდებოდა ჩვენს მსახიობებს, მეორეც—სიუჟეტის სირთულის გამო.

„დედა და შვილი“!
 „გლაზა კურიაშვილი“!
 „კაკო ყაჩაღი“!

აი, ის სამი ნაწარმოები, რომელიც ილიამ თეატრს უშუალოდ მისცა. გარდა ამისა, სხვადასხვა ავტორების მიერ სასცენოდ გადაკეთებული ილიას შემდეგი ნაწერები (ბარემ ამ ნუსასაც მოვიყვანთ ილიას სასცენო ნაწერების სისრულისათვის და ამით შევკრათ კიდევ ეს მესამე კარი).

ბატონი და ყმა, პიესა 3 მოქმედებად, გადმოკეთებული ილია ჭავჭავაძის „გლასის ნაამბობიდან“ შალვა დადიანის მიერ, პირველად ითამაშეს ქიათურაში, 1907 წ. 27 ოქტომბერს.

ოთარაანთ ქვრივი, დრამატული სცენები 3 მოქმედებად „გადმოკეთებული ს. ფ.—გან“ ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივიდან“... ეს პიესა პირველად დაიდგა 1907 წელს, 12 ოქტომბერს არტისტული საზოგადოების თეატრში.

ჩატეხილი ხედი, მონტაჟი ი. ჭავჭავაძის ნაწერებიდან გამართული შალვა დადიანის მიერ. პირველად ითამაშეს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში 1933 წელს, 23 ოქტომბერს.

ყაჩაღი კაკო ზღაპიაშვილი, ორიგინალური დრამა 5 მოქმედებად და 7 სურათად ვალ. გუნიასი. პირველად დაიდგა 1884 წელს, 19 დეკემბერს. ეს პიესა, ხელნაწერის სახით, არქივშია დაცული (№ 114). პიესა დაწერილია 1883 წელს. სათაურის ქვეშ ასეთი წარწერაა: „ამ პიესაში არის ჩაყვანილი ერთი სცენა ი. ჭავჭავაძის პოემისაგან—„რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“.

კაკო ყაჩაღი, ოპერა 4 მოქ. და 8 სურათად, მუსიკა ა. ანდრიაშვილისა. ლიბრეტო გ. იმედაშვილისა. პირველად წარმოდგენილი იყო 1940 წ. 19 ოქტომბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში.

დემიტრი თავდადებული, სასცენო მონტაჟი ნიკო ერისთავისა. პირველად წარმოდგენილი იყო თბილისის სცენაზე 1910 წელს, 2 ნოემბერს. დემიტრის ასრულებდა — ნიკო ერისთავი, მღვდელ-მთავარს — გ. არადელი-იშხნელი, ბერიკაცს — ვ. შალიკაშვილი, სპასალარს — ვ. მატარაძე და სხვ.

ბატონებო, გაკეთებული შალვა დადიანის მიერ ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებთა მიხედვით („დამაკვირდი“, „ზაზაღეთის ტბა“, „დემიტრი თავდადებული“, „კაკო ყაჩაღი“ და „კაცია ადამიანი“). დაიდგა ფოთში 1937 წ. (იხ. რეცენზია: „მგზნებარე კოლხიდელი“, 1937 წ., № 138).

ლუარსაბ თათქარიძე, პიესა 1 მოქმედებად გადმოკეთებული „კაცია-ადამიანიდან“ ვალერიან გუნიას მიერ. დაიბეჭდა გაზ. „საქართველოს“ დამატებაში, 1916 წ., № 1. წარმოადგინეს ქართულ თეატრში, 1913 წელს, 27 ოქტომბერს.

„მეთხავი, კომედია 3 მოქმედებად ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანიდან“ გადმოკეთებული ა. ცაგარლის-მიერ. პირველად დაიდგა ნ. გაბუნიათა საბენეფისოდ 1885 წ. 23 იანვარს¹.

¹ ეს პიესა აქამდე დაკარგულად ითვლებოდა. მისი ერთადერთი გვებმპლარი (ა. ცაგარლის ხელით დაწერილი) ჩვენს ბიბლიოთეკაშია დაცული. დაბეჭდვით გ. „მნათობში“ 1937, № 5.

მაჭანკალი, კომედია 2 მოქმედებად, გადმოკეთებული „კაცია ადამიანიდან“ თვით ავტორის — ილია ჭავჭავაძის მიერ. ეს პიესა რამდენჯერმე დაიდგა ჩვენს სცენაზე: პირველად 1881 წელს, 31 მაისს, მეორედ — 1882 წ. 7 იანვარს ნ. თომაშვილის სახენფისოდ, მესამედ — 1884 წელს, 16 დეკემბერს.

კაცია ადამიანი — ამ სათაურით სასცენოდ დააზუსტეს და გამართეს შალ. დადიანმა და ე. ყუშიტაშვილმა, — ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია ადამიანი“ (პიესა „მაჭანკალის“ ჩართვით) სამმოქმედებიანი პიესის სახით პირველად წარმოადგინეს კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში 1946 წლის 16 ოქტ.ამბერს, დადგმა — ყუშიტაშვილისა, მხატვარი — სუმბათაშვილი, კომპოზიტორი — კერესელიძე. წარმოდგენამ მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა... ჯერ კიდევ ვასო აბაშიძის ჟურნალი „თეატრი“ აღნიშნავდა, რომ „ლუარსაბ თათქარიძე... ფარსიაო“ (1855 წ., გვ. 122). ჩემის აზრით, ამ პიესის გამარჯვება მსახიობზეა დამოკიდებული... აქ „ფარსი“ არაფერ შუაშია! ამიტომ უნდა აღინიშნოს ვასო გოსიაშვილის სასახელოდ, რომ იგი ლუარსაბის როლში უნაკლო იყო.

ჩვენს მუზეუმებში მოიპოვება აგრეთვე ხელნაწერის სახით ილიას ნაწერებიდან გაკეთებული სხვადასხვა ავტორის რამდენიმე პიესა, რომელთაც ჯერ სცენა არ უნახავთ. ასეთებია:

ცხოვრება ყაჩაღისა, გადმოკ. კოტე ყიფიანის მიერ.

კაცია ადამიანი, გადმოკ. ალექსანდრე ყაზბეგისაგან.

კაცია ადამიანი, ი. მანსვეტაშვილისა.

თავადი როსტომი, პიესა ორ მოქმედებად ალ. ბაჯიაშვილისა, („აზრი აღებულია ილიას კაკო ბლაქიაშვილის ცხოვრებიდან“)¹.

4. ილიას პიესა „მაჭანკალი“

ჩვენ ამ პიესაზე ცოტა დაწვრილებით მოგვიხდება ლაპარაკი, რადგან ილიას ეს ახალი ნაწარმოები, თვით ილიას ავტოგრაფი, მხოლოდ წელს აღმოვაჩინეთ².

გადვიკითხეთ ეს პიესა. შევადარებთ მოთხრობას და უნდა ითქვას, რომ ილიას სახელისათვის სუსტი ნაწარმოებია. აქ ვერა ვგრძნობთ ემოციური სიღრმის იმ უდიდეს შთაბეჭდილებას, მოთხრობის წაქითხვის დროს რომ განვიცდით. სამართლიანად აღნიშნავდა დავით ერისთავი, რომ რომანებიდან

¹ ამ ბოლო დროს ილიას იუბილესთან დაკავშირებით, ბევრი ავტორი აკეთებს სასცენოდ ილიას ნაწერებს: სკოლებისათვის (მ. ველისციხელი), რაიონულ თეატრებისათვის (ს. მთვარაძე), თოჯინების თეატრებისათვის (კ. გოჯიაშვილი, კ. დოლონაძე), რუსთაველის თეატრისათვის (ს. კლდიაშვილი), მოზარდ მაყურებელთა თეატრისთვის (გრ. ბერძენიშვილი). „ოთარაანთ ქვრივი“ პიესად გადააკეთა ირ. ჭავჭავაძემ; ამჟამად რუსთაველის თეატრის რეპერტუარში ირიცხება ილიას „გლახის ნამბოზი“ (ინსცენირება გ. ნახუციურიშვილისა და დავით ცხაკაიასი). უნდა აღინიშნოს, რომ ძველად ილიას პოემიდან ხშირად ყოფილა ნაჩვენები „ცოცხალი სურათებიც“, მაგ. „მეფე დიმიტრი თავდადებული“, „განდგეილი“ და სხვა („ივერია“, 1887, № 50 და „ივერია“, 1889 წ., № 46).

² ჩვენს მიერ მიგნებული ილიას ავტოგრაფი ინახება რუსთაველის თეატრის ბიბლიოთეკაში № 1652.

„მაჭანკალი“ პირველად მე დავბეჭდე ილიასადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში (წინეგრისიტუტის გამოცემა 1937), ილიას ტომშიც ჩემი რედაქციით და კომენტარებით შევიდა.

„მაჭანკალის“ აღმოჩენის შემდეგ, ილიას ეს ნაწარმი დაიდგა რუსთაველის თეატრალურ ინსტიტუტში აკაკი ვასაძის რეჟისორობით — 1940, 26 დეკემბერს.

გადმოკეთებული პიესები ყოველთვის მარცხით თავდება, ჩვენ დაეუმატებდით: მხოლოდ ორი ავტორის გამოკლებით. ერთია ალექსანდრე დიუმა და მეორე — კარლ გუტკოვი. ორივემ საკუთარი მოთხრობები გადააკეთეს პიესად, პირველმა — „მარგარიტა გოტიე“ და მეორემ — „ურთელ აკოსტა“.

ორივე დრამა დღევანდლამდე შერჩა სცენას და ყველგან დიდი წარმატებით მიმდინარეობს.

ილია ქავჭავაძის „კაცია ადამიანი“ თავისი უკვდავი დილოგების წყალობით უფრო ეგუება სცენის პირობებს... ამიტომ იყო, რომ ზემორე ჩამოთვლილი „გადმოკეთებელი“ (და მათ შორის ილიაც) პირველად ამ მოთხრობას წააულებდნენ ხოლმე ქოჩორში ხელს... მაგრამ არც ერთი პიესა, „კაცია ადამიანიდან“ გადმოკეთებული, არ შერჩა ჩვენს რეპერტუარს. და თუ ზოგიერთი „გადმოკეთებული“ პიესა, ასე თუ ისე, კიდევ ბოგინობს ჩვენს სცენაზე, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ შიგ „ქარგი მსახიობი“ იღებს მონაწილეობას... ასე რომ არ იყოს, მაშინ თუნდაც იმავე „კაცია ადამიანს“ სახლში წაიკითხავს თეატრის მოყვარული და თეატრში წასვლით აღარ გაირჯება. „სახოგადოდ შენიშნულია, რომ მოთხრობიდან და რომანიდან გადმოკეთებული პიესა ვერ ხეირობს სცენაზე. გადამკეთებელი შებოროკილი და შევიწროებულია მოთხრობის შინაარსით, მოქმედი პიერების ხასიათით და ფაბულით; იმის ფანტაზიას ფართო გზა, თავისუფლება არა აქვს, რომ სცენისათვის გამოსადეგი სრული პიესა შეადგინოს და მისი ყველა პირობები დააკმაყოფილოს“... („დროება“, 1881 წ., № 113).

როგორია ილიას ეს ერთადერთი პიესა — „მაქანკალი“? რა ცვლილება შეუტანია პიესაში ავტორს მოთხრობასთან შედარებით? დავიწყეთ მოქმედი პიერებით:

პიესა ორ მოქმედებიანია და მეორე მოქმედება ორ სურათად იყოფა. პირველი მოქმედება, უკანასკნელ ორ სურათთან შედარებით, უფრო მოზრდილია. პიესაში სულ ხუთი მოქმედი პირია:

დავთ თათქარიძე, — 40 წლისა, შიშნიევი.

ელისაბედი, მისი ცოლი 35 წლისა, კორინთლისა.

ლუარსაბი თათქარიძე, ძმა დავითისა 20 წლისა, ყიფიანი.

მოსე გეგლაძე, თავადიშვილი, 45 წლისა, მაჩაბელი.

ხორეშანი, სურტ-კნინად ცნობილი, მაქანკალი, 40 წლისა, გაბუნია.

მოქმედ პირთა შორის მოხსენებულია პატარა როლების შემსრულებელნიც: გეგლაძის მოსამსახურე — ივანე, პირველი და მეორე ბიჭი, მაყრიონი და მზარეული, მაგრამ უკანასკნელისათვის თვითონ ილიას გადაუსვია ხაზი¹.

პიესა „მაქანკალის“ შინაარსი წარმოადგენს ლუარსაბის ცოლის შერთვის ამბავს (იხ. „კაცია ადამიანი“ — თავი მეექვსე, მეშვიდე, მერვე). ავტორს აუღია მხოლოდ ერთი მომენტი, სახელდობრ ის ადგილი, როცა 20 წლის ლუარსაბს, ლამაზი ქალის ნაცვლად, მოსე გეგლაძე თავის მახინჯ ქალს შე-

¹ ჩვენს ხელთ არსებულ ილიას ავტოგრაფის მიხედვით ირკვევა, რომ ილიას თვითონვე გაუნაწილებია როლები და მოქმედ პირთა გასწვრივ საკუთარი ხელით აღუნიშნავს ამა თუ იმ მსახიობის გვარი — ესენი იყვნენ: შიშნიევი (ნიკო), კორინთელი (ბაბო), ყიფიანი (კოტე), მაჩაბელი (ხაალ) და გაბუნია (ნატო). მაგრამ წარმოდგენის დროს რეჟისორს მაინც შეუუკვლია ილიას მიერ განაწილებული როლები. მაგ., ლუარსაბ თათქარიძე უთამაშნია — ნოდარ ჯორჯაძეს, კ. ყიფიანის ნაცვლად. ხოლო მოსე გეგლაძე — ვასო აბაშიძეს, ზ. მაჩაბელის ნაცვლად („დროება“, 1881 წ., № 113).

ატყუებს. პირველი მოქმედება ერთი აზნაურიშვილის ქორწილში ხდება. სცენა წარმოადგენს ბალში დადგმულ ფანჩატურს, სადაც ზარხომ ლუარსაბს ნაქანკალი (გაბუნია) გადაეყრება და ცოლის შერთვაზე ჩამოუტდება ლაპარაკს, აქ არის მათი დაუსრულებელი მუსაიფი. უფრო ცოცხლადაა დაწერილი მეორე მოქმედება, რომელიც მოსე გებელაძის სახლშია, ხოლო მეორე მოქმედების ბოლო სურათი ეკლესიის ეზოში სწარმოებს.

„კაცია ადამიანთან“ შედარების დროს გამოირკვა, რომ პიესა „ნაქანკალი“ ძალიან ენათესავება მოთხრობას. ავტორმა შეინარჩუნა მოთხრობის ძირითადი თსიქოლოგიური შტრიხები. მოთხრობის თხრობითი რკალი ილიას გაუხსნია, გაუწევია და მოთხრობის ზოგიერთ ზუნჯ ეპიზოდში მოქმედ პირებს ალაპარაკებს. ჩამატებულია ბევრი რემარკა, რომელსაც ნაქანკალი „პურლიკისკენ“ (ე. ი. პარტერისკენ) ლაპარაკობს. ამ რემარკებს პიესაში შეაქვს ხალისი და ღიმილი. მოთხრობასთან შედარებით პიესაში ზოგიერთი სიტყვა შეცვლილია.

ილიას ძალიან კარგად ესმის, რომ სცენიდან წაკითხული მოთხრობის ზოგიერთი დეტალი არ მიდის მაყურებლამდე, შეიძლება დაიკარგოს კიდევ, ყური ვერ მოჰკრან კარგად, ამიტომ პიესაში ასეთ ადგილებს ილია აქუცმაცებს, რემარკებს ხსნის, ხან ამოკლებს, ხან აგრძელებს, რომ მსმენელის ყურს ადგილად მოეკიდოს ესა თუ ის აუცილებელი ნათელი გამოთქმა. მაგალითად:

„კაცია ადამიანი“

„ნაქანკალი“

- | | |
|---|---|
| 1. წიგნი რატ მიინდა? რა ზრძნად ხომ არ დავსომ? | 1. წიგნი რა ჯანაბად მიინდა. დიამბეგად დავსომ თუ. |
| 2. როგორი ყარამანიცა შენა ხარ, იმისთანა სალბიხურამან ის არის. | 2. როგორ ყარამან-ყათილიც შენ ხარ, იმისთანა სალბიხურამან ის არის. |
| 3. მაშ ქა!.. ფულს ისე ვინ განდობს!.. სომეხს უნდა გამოვართო... აბა, სომეხი ხომ იცი, რა ურიაა... | 3. მაშ ფულს ისე ვინ განდობს... სომეხს უნდა გამოვართვა. აბა სომეხი ისე გვანდობს? |
| 4. შენ ერთი ეს მითხარ, მადლიანი სახე აქვს? ფერზედ როგორ არის? | 4. შენ ერთი ეს მითხარ ელფერზედ როგორია. |
| 5. ქალი არ მოსწონს, ნუ გეწყინებათ კი შახინჯი არისო. | 5. ქალი არ მოჰსწონს. ნუ გეწყინება კი და უმარილო არისო. |
| 6. კაბაც შენი ჭირის სანაცვლო იყოს. | 6. მაშუესტა, კაბაც შენი ჭირის სანაცვლო იყოს. |
| 7. თუ ჩემს პურმარილს არ დაივიწყებ, საქმეს დამში მოვიყვანთ. | 7. თუ ჩემს პურმარილს არ დაივიწყებ, საქმე კიდევ საქმეზე მოვა. |
| 8. — ძმას გამოგზავნის.
— უფრო კარგი. რასაც თავის თვალით ჰნახავს, თუნდ ქრთამი არ იყოს, ის არ უნდა უთხრას? | 8. ზორეშ. ძმას გამოგზავნის: მოხე:— უფრო კარგი, ხომ იცი, ჩვენ ქართველობაში ძმა უფრო გაიმეტებს ძმას. ვიდრე უცხო ვინმე. იმას უფრო მალე დავალბობ ქრთამით. |
| 9. კაცს რაკი ერთხელ და ერთხელ ესტობარი წაუხდება, აღარ დაუჯერებენ. | 9. რაკი ერთხელ და ერთხელ შენს თვალში აბრუ გამიტყდა, რალას დაიჯერებ? |

10. ნამუსია? შარშან რომ ათთუმნად შენი დისწული, გასათხოვარი ქალი დიანბეგს მიჰგვარე, ნამუსია? როცა დაორსულდა, შენ წამალი მიეცი და მუცელი წაუხდინე, ნამუსია?
10. ნამუსია? შარშან რომ იმ პრადალა დიამბეგს ათი თუმანი გამოართვი სანაქანკლოში და ქალი მიჰგვარე, ნამუსია? ქალებს რომ რალაც წამლებს ასმევე, ნამუსია?

გარდა ამისა მოთხრობის მიხედვით, დავით თათქარიძე მოსე გძელაძისაგან ქრთამს იღებს ათ თუმანს, ხოლო პიესით—ოცდაათთუმანს. ეს ფულის მომატება სხვაგანაც მეორდება... პიესაში არის ელისაბედის და მოსე გძელაძის სცენა ლუარსაბისა და დარეჯანის ჯერისწერის დროს, მაშინ როდესაც მოთხრობით—„ელისაბედი არც კი წასულა ქორწილში“... ლექსიკის მხრივაც განსხვავებაა და ილიას პოეტურ სალაროს ამ უცნობი ნაწარმოებით ბევრი ახალი სიტყვა ემატება...

„მაჰანკალი“ პირველად დაიდგა 1881 წ. 31 მაისს ნატო გაბუნიას საბენეფისოდ. აი, განცხადებაც გაზ. „დროებიდან“.

არწრუნის თეატრში
კვირას 31 მაისს

ნ. გაბუნიას ქალის სახარგებლოდ

ქართული დრამატული ტრუპისაგან წარმოდგენილი იქნება:

I
მაჰანკალი
ორ-მოქმედებიანი კომედ., ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანისაგან“
იმისგანვე გადმოკეთებული.

II
ბაიუში
ორ-მოქმედებიანი ფარსი—გოდევილი, აქვ. ცაგარლისა.

III
დივერტისმენტო
ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასაში და „ივერის“
თამბაქოს მაღაზიაში.
დახაწუხი 3¹/₂ ხაათზე.

პიესა საზოგადოებამ ძალიან ცივად მიიღო. საზოგადოება ილიასაგან უფრო მეტს მოელოდა. დავით ერისთავი, ამ პიესის რეცენზენტი. ამას აშკარად აღიარებს: „ათი წელია სდუმს ილია ჭავჭავაძემ... როცა აფიშებში მისი გვარი წაიკითხეთ, ისიც მისთვის უჩვეულო ახალი ნაწარმოებით, გულმა ტოკვა დაგვიწყო და ცნობისმოყვარეობით აღვსილი წავედით თეატრში, მაგრამ იმედი გავვიმტყუნდა. ილია ამ ბოლო დროს სწერს, მაგრამ არა ჰქმნის. ის ამ ათი წლის განმავლობაში, რალაც მოზადობულ წრეში იმყოფება და ვერ განთავისუფლებულა... რაც შეეხება „მაჰანკალს“ იგი ვაკიანურებულია... მთელი მოქმედების განმავლობაში (რომელიც ერთ საათს გაგრძელდა) „მაჰანკალი“ სცენიდან არ გადის და სულ ლაპარაკობს, თუმცა სიმართლე უნდა ითქვას, რომ მისი ლაპარაკი აღსაყვება გონებამახვილობით. მოქმედი პირები გამოკვეთილია ოსტატის ხელით და ლაპარაკობენ წმინდა ქართული ენით.— აი ამ პიესის მთავარი ღირსება. წმინდა ქართული ენით წერა მხოლოდ ილია ჭავჭავაძემ იცის და რაფიელ ერისთავმა“—დასძენს „სამშობლოს“ ავტორი, ერთი თავის რუსულ, ამჟამად დავიწყებულ, სტატიას (იხ. ე. „пашагра“).

საქმე ის არის, რომ ილია თავისი მოწოდებით არ ყოფილა წმინდა თეატრალი. თეატრალური სანახაობა მისთვის არ იყო სიციცხლის თავი და ზოლო. ილიას თეატრი იმდენად უყვარდა, რამდენადაც ის წარმოადგენდა ეროვნულ-კულტურული კერის ერთ ნაპერწკალს, რომელიც ათბობდა ილიას, მაგრამ არა სწავადა. ის ვერ იტყოდა ბელანსკივით: „თეატრი! თეატრი! გიყვართ თუ არა იგი, როგორც მე მიყვარს? ახ, მუყაოს ხეებო და ქალაქის მთვარევე, თქვენ ნამდვილ ხეებს და მთვარეს მიჩვენებთ...“

აშკარაა „ელეგის“ ავტორი ამას ვერ გაიმეორებდა; როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მასში იყო არტისტულობა და არა თეატრალობა. ილიას თეატრალური ხელოვნება ყველაზე ურთულეს ხელოვნებად მიაჩნდა. „დრამის შექმნა, — წერს ილია ერთ თავის რეცენზიაში, — დიდად ძნელი რამ არის. დრამა სულისა და გულის ცხოვრებაა, სულისა და გულის ძვრაზეა ასაგებელი და ასაშენებელი. მეტისმეტი მჭრელი, მეტისმეტი მიილაღი ნიჭი უნდა, მეტისმეტი ნათელი გონება, რომ კაცი მისწედეს, შუქი რამ მიჰფინოს იმ საოცარს, იმ უცნაურს საიდუმლოებას, რომელსაც ადამიანის სულისა და გულის ძვრა ჰქვია და, რომელიც იმდენად უფრო დიდ საიდუმლოებად გვევლინება, რამოდენადაც უფრო ახლოს მიუვალთ. ამიტომაც დრამის შექმნა, — განაგრძობს ილია, — ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია და ყველა მწერალი, თუნდ ნიჭიერიც, ვერა შებედავს ხელი შექმნარათოს“ (ტ. 4, გვ. 202).

ვინ იტყვის, რომ ილიას არა ჰქონდა ბუნებრივი ალღო, ბუნებრივი სიყვარული ხელოვნებისადმი. მაგრამ პიესების საწერად მიიღო ვერ „შეჰმართა ხელი“. ილია უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის ნიჭს. იგი არა ჰგავდა იმ მწერლებს, რომელთა თეორიასა და შემოქმედებას „შუა დიდი ზღვარი ძევს“. მისი თეორიული მსჯელობა და შემოქმედებითი პროდუქცია საოცრად ემთხვევა ერთიმეორეს. მიუხედავად ანისა ილიას პიესები არ დარჩა, იგი გაურბოდა შემოქმედების ამ დარგს, მაგრამ ვერ გაექცა ნატო გაბუნის ნიჭს...

5. ნატო გაბუნია მაჰანკლის როლში

ჩენის ლიტერატურაში მაჰანკლის სახე პირველად გამოიყენეს შემდეგმა მწერლებმა: ზ. ანტონოვი („მე მინდა კნინა გავხდე“) ლ. არდაზიანი („ზორჩილი“), ბარბარე ჯორჯაძემ („რას ვეძებდი, რა ვპოვე“), ილია ქავკავაძემ („კაცია-ადამიანი!?!...“), რაფიელ ერისთავმა, გაბრიელ სუნდუკიანცმა და ბევრმა სხვამ, მაგრამ ყველაზე ტიპიური და ეშხიანად ამეტყველებული მიიღო ა. ცაგარლის „ხანუმა“ დარჩა ჩენის რეპერტურაში!

მერე რა მადლიანად ასრულებდა ამ როლს დალოცვილი ნატო გაბუნია! ნატო გაბუნისა გენიალური ტალანტი ახარებდა და აამაყებდა გენიალურ ილიას. ნატო გაბუნია იმ დროს მოველინა ქართულ სცენას, როდესაც თეატრალური რეპერტუარი ისევ და ისევ ძველი პიესებით განისაზღვრებოდა. „დროება“ წერდა, 25 წელი გავიდა გიორგი ერისთავის თეატრის შემდეგ და დღესაც „გაყრას“ და „მზის დაბნელება“ ეთამაშობთ. დ. ერისთავმა, როგორც მუდმივი დასის ერთმა ხელმძღვანელთაგანმა, სცადა და ხარვეზის ამოკლება: მუდმივი დასის დაარსებამდე მან ფრანგულიდან გადმოთარგმნა ერთი მკრთალი კომედია: „გეო, მინას და კამპანია“. გაბუნია იმ პიესაში ითამაშა მინასას ცოლის როლი 1879 წელს, 21 მარტს. ეს იყო მისი დებიუტი,

ამ დღიდან გადაწყდა ნატოს ბედი, ყველა გრძნობდა, რომ მოდის დიდი არტისტი, ზღაპრული ფასკუნჯი, რომელიც ძველი პიესების ოქროს გალიაში ვერ მოემწყვდებოდა.

მაგრამ პიესების სილარიბე მაინც ნათელი იყო:

„ჰკიდე ისევ კალამს ხელი.

სწიე მწერლის ჭაპანია,

როდემდისინ დაჟიძახოთ:

„გეო, მინას, კამანია“.

ასეთი საახალწლო მილოცვით მიეგება ასიკო ცაგარელი დავით ერისთავს.

ე. აბაშიძის, მაკო საფაროვის, ნატო გაბუნიას და კოტე ყიფიანის ნიჭით შთაგონებული მწერლები ქმნიან ახალ-ახალ პიესებს, მაგრამ ამ ტურნირზე მხოლოდ ასიკო ცაგარელმა გაიმარჯვა. ისტორიამ მხოლოდ მას მიაკუთვნა პირველი დრამატურგის სახელი გიორგი ერისთავის შემდეგ, მაგრამ მაშინდელი დუხპირი ცხოვრების პირობების გამო, ა. ცაგარელი ჰეცეცავს ნაადრევად გაშლილ ფრთებს და ლუკმა პურის საძებნელად შედის რკინიგზის სამსახურში (ჯერ ქურდამირში იყო სადგურის უფროსად, მერე ჭალადილში... ერთი სიტყვით, იმ ჭაობიან ადგილებში გზავნიდნენ, სადაც არც ერთი ადამიანი არ მიდიოდა სამუშაოდ).

ქართული რეპერტუარის ნაკლებობა იმდენად საგრძნობი იყო, რომ ვასო აბაშიძემ 1881 წელს სცენიდანაც კი წარმოსთქვა ასეთი მონოლოგი:

„...აქტიორი მთელი წელიწადი იმასა ფიქრობს, კარგი ბენეფისი გამართოს და საზოგადოება დააკმაყოფილოს, ხომ მოგეხსენებათ. რა მდგომარეობაშია ჩვენი დრამატიული ლიტერატურა. გაჰქექე-გადმოჰქექე და ვერას იპოვი. ან ისეთი უაზრო პიესებია, რომ მათი ყურება კაცს შეაწუხებს. ჩვენ, ვოდევილების არტისტები ვართ... შარშან არ იყო, რალაც ეშმაკად, „ყომარბაზის ცხოვრება“ წარმოვადგინეთ, ისეთი დრამა გამოვიდა, რომ კინალამ ფერდების ანთება მოუვიდა მაყურებელს სიცილისაგან... მიხვალ რაფ. ერისთავთან, დაელრიჯები, ერთი პიესა დამიწერეო, ან გადმომიკეთეო, მაგრამ დალოცვილს, როგორც პოეტს, თუ გული არ მიუდის, ხელსაც არ ახლებს პიესას. მერე გინდა მიხვიდე ივანე მაჩაბელთან, მაგრამ „ბუნტის“ შემდეგ, როგორღაც გულგრილად გვიყურებს. მიხვალ დ. ერისთავთან და პიესას რომ გაუხსენებ, მაშინვე გაშლის ხელებს და დაიცივრებს—რა დროს პიესებია, ვერა ხედავ ამ ტელეგრამებმა ლამის დამადნოს, რა თქვენთვის მცხელოო. აკაკი წერეთელთან რა პირით მიხვალ!; ბოლოს აიღებ ქუდს და გასწევ ანჩისხატისუბნელთან [პ. უმიკაშვილი.—რ. გ.] მიხვალ, დაუკაქუნებ ძველებურად ალაყაფის კარებს, ახვალ აივანზე, შესჩივლებ შენს მდგომარეობას, ის კი გეუბნება. ახლა მაგდენ ჯამაგირს რომ იღებ, ცოტას ვერ გადასდებ რომ წიგნი დაბეჭდო რამეო? თქვენ, შვილებო, უკაცრული მოხსენებაა, შარლატნები და მალჩიშკები ბრძანდებით. ორი სიტყვა ვერ დაგისწავლიათ ზეპირად... შენ არ

¹ აკაკი წერეთელის „პატარა კანში“ მსახიობს უნდა ეთქვა თურმე: „თუმცა უდროოდ დაგვისწულდა, ბატონი მეფე თეიმურაზი“, ნაცვლად ამისა, როლის უცოდინარს მსახიობს, უთქვამს: „თუმცა უდროოდ დაგვოარსულდა ბატონო მეფე თეიმურაზი“, აკაკი გაჯავრებულა: „არა, შელოსა, მე თქვენ პიესებს აღარ მოგცემთ, მეფეებს მიორსულებთო“ (შდრ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1935 წ., № 5, გვ. 65. მსახიობ იუზა ხარდალიშვილის მოგონება).

იყავი რომ ჩემს პიესაში „შუქის მაგიერადა „ბუქს“ ამბობდი?.. გირჩევ, ბენეფისის მაგიერად „არსენას“ ლექსი გამოსცეო“... („თეატრი“, 1887 წ., № 11, დ. ერისთავის ინტერმედია).

აი, ამ მდგომარეობაში იყენე ჩვენი არტისტები... მაგრამ უფრო მეტ ტანჯვას განიცდიდა ნატო გაბუნია. ნატო გაბუნიას ნიჭი ბრწყინავდა და ფეთქავდა, იმდროინდელი რეპერტუარი ვეღარ აკმაყოფილებდა, მისი დიდი ნიჭი ვიწრო ჩარჩოების გარღვევას ლამობდა, ძველი პიესები მოინარეკლა. ახალი პიესები არა ჩანდა. როგორც თეატრალური მასალებიდან ირკვევა, მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე, ნატო გაბუნიას არ დაუტოვებია არც ერთი მწერალი, რომელთანაც არ მისულიყოს და იასაულივით თავზე არ დასდგომოდეს: ბენეფისისთვის რამე დამიწერო! აკაკი წერეთელი წერს: „გაბუნიას საბენეფისოდ დანიშნული პიესა, საფაროვ-აბაშიძის ქალის ავადმყოფობის გამო, გადაიდო... მე ახალგაზრდა ნიქის ყოველთვის თანამგრძნობი ვიყავი და გაბუნიას დალონებამ მეც შემაწუხა. დავჯექი იმ ლაგისვე და გათენებამდე დავწერე „კინტო“, სადაც ერთი ქალის მეტი არ არის საჭირო“... და ამ ერთ ქალსაც მშვენიერად ასრულებდა ნატო გაბუნია; კინტოს ტანისამოსში გამოწყობილი ნატო განსაკუთრებით კარგად მღეროდა ამ პიესაში ჩართულ აკაკი წერეთლის ქალაქურ ყაიდაზე დაწერილ ლექსებს:

საყვარლისა ეშხვდა
 ღვინო დამიღვია...
 მის ხვევნა-სიყვარულში
 სულიც დამიღვია..

ან კიდევ —

ერთი კინტო მეცა ვარ,
 საყვარელი მეცა მყავს,
 ის სულ სხვა ვარდი არის.
 სხვის საყვარლებს არა ჰგავს.

საზოგადოდ უნდა ითქვას, ნატო გაბუნიას ბადალი არა ჰყავდა ქართული ხმების ჰოპოლარიზაციის საქმეში. ი. დავითაშვილმა ნატო გაბუნიას, როგორც მომღერალს, ასეთი მუნასიბი უძღვნა:

„დაო, ღმერთმა გადღეგრძელოს,
 რო ბრძანდები ნიჭიერი;
 დაამლერე გრძნობით ჩონგურს
 ეგ უენი ხმა მშვენიერი.
 მაგ უენი ხმით გაამხნევე
 [დაჩაგრული ჩვენი ერი,]¹
 უთხარ გმირო ნუ შეშინდი,
 დრო მოვიდის ბედნიერი“.

¹ ეს სტრიქონი დავითაშვილის წიგნში ამოჯდებულია, ალბათ ცენზორის მიერ და წერტილებია დასმული. ბოდიშს ვიხდი დავითაშვილის არაქალის წინაშე, რომ კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სტრიქონი ჩვენ ჩაწერეთ, ორიგინალის უპოვნელობის გამო... ი. გ.

ჩვენს ბიბლიოთეკაში დაცულია „გრამაფონის ფირფიტების ძველი კატალოგი“, საიდანაც ირკვევა, რომ ნატო გაბუნიას ჰქონია ექვსი სიმღერა გრამაფონში ჩანამღერი. ესენია: ნ. ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძის, ბესიკის ილიას და აკაკის სიტყვებზე ჩაწერილი ქართული ხმები: „სულო ბოროტო“¹ „რაც შენ გამშორდი“, „ლოთებო ნეტავი ჩვენა“, „გაზაფხული“, „ნანა“ და „ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე“².

აი, რას წერს ერთი კორესპონდენტი ბათუმში გამართულ ქართული სალამოს შესახებ: „ხალხს ეოდველებიასაგან სევდიანი ღრუბლები გადასწმინდა ნ. გაბუნიას ქალის ქართულ ტანისამოსში დაირის ღვრილით გამოჩენამ. თითქმის ყველას სახეზე ალმული იყო ანთებული და ყველა მოუთმენლად ელოდა ხმის გაგონებას, იმ წამს ბევრი იმას ნატრობდა, რომ ორი თვალის მაგიერ ათი თვალი ჰქონოდა და ორი ყურის მაგიერ ოცი ყური. ოჰ, რა ხმა იყო ის მშვენიერი ხმა, რომელმაც პირველსავე ამოშვებით ბევრის გონება უგრძნობლად გაიტაცა „სუბუქ ფრთით“. „ბრაკოს“ ძახილს და ტაშის კვრას ყურები ჰქონდა წაღებული, იქამდე აიტაცნენ ზოგიერთები, რომ უკანასკნელი მადლობის თქმისათვის ადგილებიდან წამოხტნენ და სცენაზე მიიქრნენ... ხალხი დიდი მადლობით დაბრუნდა წარმოდგენიდან. ეს კმაყოფილება და და მადლობა გაბუნიას ქალის მშვენიერი ხმით ნათქვამ სიმღერას ეკუთვნის“... („დროება“, 1879, № 149).

ნატო გაბუნია ყველას ემუდარებოდა: ერთი ჩემი ამპლუსის შესაფერი პიესა დამიწერეთ, ბენეფისში მინდა დავდგაო, მაგრამ მაშინდელი დრამატურგები თითებზე დაითვლებოდნენ. რა უნდა ექნა! სამაგიეროდ ჩვენი მსახიობი ქალი, სიმღერაში აქსოვდა თავის დიდ არტისტულ ნიჭსა და ენერგიას. დ. კლდიაშვილიც იგონებს ნატოს მუდარას „ნატო გაბუნია მთხოვა პიესა. მის საბენეფისოდ, შევთავაზე „დარისპანის გასაჭირი“. პიესა წაკითხულ იქმნა პართენ გოთუასას. მოწონებულიც, მაგრამ ნატომ არ დადგა. მართას როლი არ მოეწონა“³.

კოტე მესხი „მელანიას ოინები“ სულ რაღაც ათ დღეში გადმოაკეთა ჰაუპტმანის პიესიდან („ნაძიხაჲაჲ იუჯნა“). ხელნაწერ პიესას აწერია: „უძღვნი ნატო გაბუნიას, 1902 წ. 20 დეკემბერი. კ. მესხი“. „მელანიას ოინები“ პირველად დაიდგა ნატო გაბუნიას საბენეფისოდ 1903 წ. 23 იანვარს. ამ პიესაში პავლე მედროვეს, მის ცოლს მელანოს და მიკიტან არუწას როლებს შესანიშნავად ასრულებდნენ: ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია და დავით აწყურელი.

ბენეფისის დრო მოახლოვდებოდა თუ არა, ნატო გაბუნია, გაფაციცებით დაეძებდა ახალ პიესას... თუ სათანადო პიესა არ აღმოჩნდებოდა, მაშინ

¹ კარგი იქნება თუ ვისმეს მოგეოვება ნატო გაბუნიას სიმღერების ფირფიტები ან ზოგჯერ იდოს, ან დავითმოს ასლის ასაღებად. მე ამ 40 წლის წინათ „სახალხო ფურცლებში“ (1916 წ., № 541), წერილიც მქონდა დაბეჭდილი, სადაც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ვურჩედი ქართველი მოღვაწეების მიერ ჩანაწერი ფირფიტების შექმნას და შენახვას! რად უნდა დაიკარგოს ხმები ძამსაშვილ-ცამციცივისა, ერქომაიშვილებისა, დუმბაძეებისა, სანდრო კავსაძისა, იობიშვილისა, ია კარგარეთელისა, კანახაძისა, დათიკო ფალავასი, ჯანო ბაგრატიონის დედისა (ამირაჯიბის ასული), შესანიშნავი ტენორის მქონე „ბაგრატიანი“, ვასო აბაშიძისა, ვანო სარაჯიშვილისა, აკაკისა, ნ. გაბუნიასი და სხვა?

² მართლაც: ნატო გაბუნიას საბენეფისოდ 1904 წლის 2 თებერვალს უნდა წარმოდგენილი ყოფილიყო „დაოისანის გასაჭირიც“, მაგრამ ამ პიესის ნაცულად, მიუხედავად იმისა, რომ ზახუთებში იყო გამოცხადებული, წარმოადგინეს ა. ცაგარლის „მათიკო“-ს მესამე მოქმედება (იხ. „ც. ფ.“, 1904 წ., № 2399).

თვითონ თხზავდა ასეთს; ერთი მისი პიესა „დღედაკაცის ბრალია“ ოპერის თეატრშიც გავეითამაშეთ 1907 წ. 15 თებერვალს. ნატოს კალამიც უჭრიდა: გაზ. „დროებაში“ დაბეჭდილია მისი რამდენიმე სცენა სოფლის ცხოვრებიდან (იხ. „დროება“, 1883 წ., № 37), ხოლო ბავშვობაში ლექსების წერის ნიქსაც არ იყო მოკლებული¹.

ასიკო ცაგარელი ხომ ნატოს ნიქს მსხნელად მოვევლინა. მათი შეუღლების შემდეგ (1882 წელს იქორწილეს) ჩვენს დრამატურგს, არ დაუწერია ისეთი პიესა, სადაც მთავარი როლი ნატოს არ შეეხრებინოს. ყოველ წელიწადს, ბენეფისის დროს მე გულდამშვიდებული ვიყავი, რადგან ვიცოდი, რომ ასიკოს ჩემთვის ახალი პიესა მომზადებული ექნებოდაო—იგონებს ნატო გაბუნია.

სრულიად ახალგაზრდა ნატო გაბუნიამ აამოძრავა ილიას „ჩვეულებრივი სიზარმაცე“ (ილიას გამოთქმა) და თავის საბენეფისოდ სცენისათვის გადააკეთებინა „კაცია ადამიანი“. ეს გადაკეთება ილიამ მხოლოდ ნატოს ეშხით იკისრა. პიესას დაერქვა „მაჰანკალი“; ნატო გაბუნია, რა თქმა უნდა, მაჰანკლის როლს ბრწყინვალედ შეასრულებდა. ეს ასეც მოხდა. ნატოს ამპლუა ამ პიესით დაკანონდა. საინტერესოა „დროების“ რეცენზია (ამ წელს „დროების“ ერთი რედაქტორთაგანი ილიაც იყო): „ნაკლოვანება დაეტყო „მაჰანკალს“,—წერდა „დროება“ ილიას პიესაზე,—პირველ მოქმედებაში ბევრი კარგი სიტყვები, კარგი ლაპარაკია, მაგრამ ეს ერთი, რომ ეს ლაპარაკი ერთობ გრძელი, გაუთავებელი გამოვიდა და მეორეც, სრულიად არავითარი მოქმედება, მოძრაობა არ იყო. ამ მიზეზის გამო, პირველი მოქმედება „მაჰანკლისა“ მყუდროებისთვის მოსაწყენი შეიქნა, მაგიერად მეორე მოქმედებამ ისე ჩინებულად და ცოცხლად ჩაიარა, რომ პირველისაგან მოგვირილი ძილი სრულებით დაგვიფრთხო... მშვენიერი, ნამდვილად ხელოვნურად გამოხატა ჩვენებური მაჰანკლის ტიპი მობენეფისემ ამ გვარსაქმეში, მოგეხსენებათ, გაბუნიას ქალი ნამდვილი არტისტი“ („დროება“, 1881 წ., № 113).

თუ პიესა „მაჰანკალი“ სუსტი გამოდგა, მან ერთი კარგი საქმე მაინც გააკეთა: სტიმული მისცა ახალგაზრდა დრამატურგს ა. ცაგარელს, რომ მას დაეწერა თავისი უკვდავი კომედია „ხანუმა“, რომელიც პირველად 1882 წლის პირველ დეკემბერს წარმოადგინეს იმავე გაბუნიას საბენეფისოდ².

¹ უფლებას ვიტოვებ „ჩემს თავგადასავალში“ უფრო დაწვრილებით შევებო ნატო გაბუნიას პოეტობას და მის მოღვაწეობას ქართულ სცენაზე.

ნატოს თავიდანვე საზოგადოებაში ისეთი ღრმა სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა დამსაბურთელი, რომ ყველა დიდად აფასებდა მასთან შეზვედროს და გამოლაპარაკებას. ეს სიყვარული იქამდე მიდიოდა, რომ მისი თამაშით აღფრთოვანებული მყუდროებული არამტყუ და უცხოეთში ტაშით აჯილდოვებდა მის ყოველ გამოსვლას,—მორიდებით შესცივინებდნენ თვალებში და, ზოგიერთი მისი ნაცნობი მყუდროებული, იმასაც კი ნატობოდა, რომ ნატოს სცენიდან შეებნნია, მისალმებოდა და ვრთი პატარა ღიმილი იმისთვისაც გაემგტა. არა ერთი და ორი ბარათი მოიპოვებდა ნატოს ქალაქებში, სადაც საყვარელ მსახიობისადმი ასეთი ხეყწნა გამოთქმული „ნატო, მე თავი ცალკე დამიკარაი“ (ელენე) შეც დამიკარაი“ (მიხაკო მღვდლივი!) და სხვ.

² ასიკო ცაგარელმა ნატო გაბუნიას შემდეგი ბენეფისისთვის ხელი მოჰკიდა ილიას „კაცია ადამიანის“ გადაკეთებას. გადაკეთა კიდევ 1895 წელს, 10 იანვარს. პიესას ეწოდა: „მკითხავი“ („მკითხავი“ კომედია—ფარსი 3 მოქმედებად ილია კვაკვაძის „კაცია ადამიანიდან“ გადმოკეთებული ა. ც.—გან“). მაგრამ ვერც ამ პიესამ იხვირა სცენაზე. (პირველად წარმოადგინეს 1885 წ. 23 იანვარს). „მკითხავი“ ჩვენი რედაქციით დაიბეჭდა. „მნათობში“ 1937 წ., № 5;

ილიას „მაჰანკალში“ ბევრი ახალი შტრიხია. აქ უფრო ცალკე სცენა-ბია, ვიდრე სრულყოფილი კომედია თავისი მოულოდნელობით და ხლართით. „მაჰანკალში“ მშვენივრად არის გამიზნული ცალკე პირთა ხასიათი, რომლას გამოძერწვა ასე ეხერხებოდა „გლახა კრიაშვილის“ ავტორს.

ამ პიესაში ორი მოქმედი პირია გამოკვეთილი და ტიპური: მოსე გძელაძე, რომელიც მაჰანკალზე უფრო მოხერხებული და ჭკვიანი გამოდგება და თვით მაჰანკალი (ხორეშანი, სუტკენინად წოდებული). დარეჯანი სულ არ არის გამოყვანილი სცენაზე. ამით ზედმეტად მტკიცდება რომ პიესა „მაჰანკალი“ მხოლოდ და მხოლოდ ნ. გაბუნიასთვის იყო განკუთვნილი¹.

ერთი სიტყვით ილიას პიესა „მაჰანკალი“, თუ არ მივიღებთ მოთხრობიდან ზოგიერთი მონოლოგების უსიტყვოდ გადმომღერებას, შეიძლება დამოუკიდებელ ნაწარმოებად ჩაითვალოს, ილია ისეთი ოსტატი იყო დიალოგების შექმნისა, რომ ეს სიტყვა-პასუხი სცენაზე თავისთავად სხლტება, ნაფარდობს და მსახიობს ენის წვერზე ეკიდება. იმიტომ იყო რომ სხვა მწერლებთან შედარებით. ყველაზე მეტი ინსცენირება ილია ჭავჭავაძის მოთხრობებსა და პოემებს ხვდა წილად. ილიას დიალოგები გვაგონებს ძველ მისტიკებს, სადაც მოქმედება ნაკლებია და სჯა კი მეტი, ასეთი პიესები, როგორც ლიტერატურული ნაშრომები, ხშირად წასაკითხად იწერება, ალფრედ დე-მიუსე თავის პიესებს, რომელნიც სცენისათვის არ იყო განკუთვნილი, უწოდებდა: „წარმოდგენა სავარძელში“-ო.

ილიას მრავალფეროვან მოღვაწეობას ამ პიესით ერთი ახალი ხაზიც ემატება.

*

ილია ქართულ თეატრს ფრიად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ბრძოლის ამოცანას აკისრებდა... იმ დროს, როცა ქართული ენა და ყველაფერი ქართული იღვენებოდა, სცენა უნდა გადაქცეულიყო ეროვნული კულტურისა და თვითმყოფობის მგზნებარე ტრიბუნად. და მართლაც, დიდი ქართველი მოღვაწეების მბრუნველობით და დახმარებით ქართული თეატრი თავიდანვე, პირველ დღეებიდანვე, ხალხის, მშრომელი ადამიანების სასიცოცხლო ინტერესების სამსახურში ჩაღვა.

ილია თეატრს უყურებდა, როგორც მაყურებელზე უშუალო ზეგავლენის, მისი იდეურ-მორალური აღზრდის უძლიერეს საშუალებას. ილია თეატრს არასოდეს არა სთვლიდა მხოლოდ უბრალო გართობის იარაღად.

ილიამ, აკაკისთან ერთად, ქართულ თეატრს ბრწყინვალე შემოქმედებითი ტრადიციები შეუქმნა, განავითარა მისი რეალისტური გზა და სცენა ხალხს დაუახლოვა.

დღეს ქართულმა თეატრმა მტკიცედ შემოინახა და გააგრძელა ილიას მიერ ჩანერგილი მოქალაქეობრივი პრინციპები. ეს პრინციპები ქართულმა თეატრმა უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა.

¹ „ხანუმა“ კი იმ ბედნიერ პიესათაგანია, რომელიც დღევანდლამდე შერჩა ქართულ სცენას. 1919 წ., „ხანუმას“ სიუჟეტზე მზარული ოპერა შექმნა ვ. დოლიძემ (ლიბრეტო თვით კომპოზიტორს გუთუნის, რეაქცია—ი. გრიშაშვილს), ოპერა 1928 წელს კინოსურათად იქნა გადაღებული ა. წუწუნავას რეჟისორობით. „ქეთო და კოტე“ ეკრანზე ხელახლად გადაიტანეს და გაახმოვანეს 1948 წელს. „ქეთო და კოტე“ ამჟამად დიდი წარმატებით იდგმება—მოსკოვში, ლენინგრადში, ოდესაში, როსტოვში და ბევრ სხვა ქალაქში.

თუ ქართული თეატრი ამჟამად თავისი ხალხურობით, თავისი პროგრესული წარსულით, ამაში ერთი უპირველესი დამსახურება ილია ჭავჭავაძის ეკუთვნის.

ილია ჭავჭავაძე პოეტი, ილია ჭავჭავაძე ბელეტრისტი, პუბლიცისტი, მკვერმეტყველი და სიტყვის ჯადოქარი. მისი მხატვრული საუნჯე უღვევლი წყაროა ახალგაზრდათა აღსაზრდელად. იგი იმედის თვალთ შესცქეროდა ახალ თაობას: „მათ ახლად აღგიდგინონ შენ დიდების დღენია“ — უმღეროდა სამშობლოს.

ილია — რედაქტორი: ნიკიერი ხალხის აღმომჩენი და ხელისშემწყობი, ილია — ხალხის ღირსების დამცველი, ხალხურობისა და რეალიზმის მქადაგებელი, ილია — მებრძოლი შავი რეაქციის წინააღმდეგ, თავისუფალი საქართველოსათვის მეოცნებე.

1897 წელს რამდენიმე წერილი მოთავსდა მაშინდელ გაზეთებში ილიას იუბილეს შესახებ. 2 ნოემბერს, 1897 წელს დანიშნული იყო ილიას საიუბილეო კრება (დაბადებიდან 60 წლის და მოღვაწეობის 40 წლის იუბილეს მოსაწყობად). მაგრამ იუბილე არ შემდგარა. ილიამ უარი განაცხადა. ხმა დაირხა: ჟანდარმერიას დემონსტრაციისა შეეშინდაო... სოფ. მგალობლიშვილი ასეთ წერილსა სწერს ნიკო ნიკოლაძეს: „ილიას იუბილეს საქმე შეფერხდა, გუბერნატორმა არ მოგვცა ნება: არაკეთილსაიმედოთა სიაში გახლავთ თქვენი დევგმირი ილიაო“.

დღეს, ილიას დაბადებიდან 120 წლის იუბილე ჩვენს თაობას ერგო და... რა სასიცილოდ გამოიყურება ის შავბნელი ხანა, როცა მეფის რუსეთის აგენტების მიერ მოკლულ ილიას მეორედ ჰკლავდნენ და გაიძახოდნენ: „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!“ (იხ. ამ სათაურიანი წიგნი ქუთაისში გამოცემული 1913 წელს), როცა, არც ისე შორეულ წარსულში დევნიდნენ ილიას ნაწერებს და ტუქსავდნენ იმ პედაგოგებს, რომელნიც კაკო ბლაჰიაშვილების სიყვარულს უნერგავდნენ ჩვენს მოზარდ თაობას.

ძვირფასო! კარგო! დაუვიწყარო! ჩვენო დიდო მოპირნახულე ილიავ! სულ მამულის აყვავებას ნატრობდი და, ჰა, ოცნება სინამდვილედ იქცა. დღეს შენი სამშობლო, თავისუფალი და აყვავებული, დღესასწაულობს შენს ხელშეორედ აღდგენას, შენს ნათელ ხსოვნას და ჩვენთვის, მთელი საბჭოთა ხალხისათვის, ეს სიხარული უნაპიროა.

...ახ რომ იცოდე დღეს როგორ შვენი
ილიავ, აღსდგა დიდება შენი!

ერთ დროს დაშლილი და გაშინჯული,
აღსდგა მამული — შენი მიჯნური:

მორჩა, გათავდა ძველი კირთბა.
შენო სახელი მეფობს, ირთვება.

გათავდა შენი ტანჯვა და ჯვარცმა,
შენ გაგაცოცხლა ფოლადის კაცმა:



ივანე ჯავახიშვილი

ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია

თუ წინათ ილია ჭავჭავაძის საქართველოს ისტორიისადმი დამოკიდებულების საკითხის შესახებ მსჯელობა მხოლოდ მისი ისტორიული პოემების მიხედვით შეიძლებოდა, 1927 წლის შემდეგ, როდესაც ჩვენი დიდებული მოღვაწის ნაწერების სრული კრებულის მე-5 ტომი გამოვიდა, მკვლევარს სრული საშუალება მიეცა ეს საკითხი უკვე ვრცლად და ბევრი სხვა მისი ნაშრომის მიხედვითაც განეხილა. მე მგონია, რომ ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციისა და მისი მოღვაწეობის ამ დარგში მნიშვნელობის გასათვალისწინებლად ჩვენი მგონის ისტორიული პოემების გამოყენება არც საჭიროა და არც მართებული. პოემები ხომ არსებითად მხატვრული ნაწარმოებებია და მიზნადაც იქ ავტორს საქ. ისტორიის დაწერა არ ჰქონია დასახული. ამიტომაც ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა გამოსარკვევად და იმ წვლილის ცხად-საყოფელად, რომელიც მას საქართველოს ისტორიის გაშუქებაში შეტანილი აქვს, მისი ისტორიული პოემები არც გამოიყენებია. უამისოდაც ეხლა საკმაო და მრავალფეროვანი მასალა მოგვეპოვება, რომ ზემოდასახელებული ამოცანის განხორციელება შევძლოთ. სრულებით ბუნებრივია, რომ ჩვენი მიზნის მისაღწევად ჯერ ილია ჭავჭავაძის ზოგადი კონცეფციის განხილვით დავიწყოთ, ხოლო შემდეგ უკვე მისი მეთოდოლოგიის განხილვაზე გადავიდეთ.

ილიას არა ერთხელ, მაგ. თუნდაც 1888 წელს, უთქვამს: „როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწანწალა“, რომელსაც „ალარ ახსოვს, ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისიც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც... თავისი ისტორია არ ახსოვს“-ო (V.207).

1888 წელს, დ. ბაქრაძის ნაშრომის „ისტორია საქართველოსი“-ს პროგრამის გამოქვეყნების შემდგომ, ამავე საკითხს ჩვენი მგონანი კვლავ უბრუნდება და ამბობს: წინათაც არა ერთი იყო ისეთი ხალხი, რომელსაც თავისი ისტორია არ ჰქონია და „ამისთანა ხალხნი დღესაც ბევრნი არიან ქვეყანაზედ“ მაგრამ, ილია ჭავჭავაძის აზრით, „ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის, ვინ არის, რისთვის არის, საიდან მოდის და სად მიდის. ამიტომაც ესეთი ხალხი ბევრით არ გამოირჩევა პირუტყვთაგან და იქნება ბევრში უკანაც ჩამოურჩება“. ჩვენი მგონის სიტყვით, „ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს. ეხლანდელს დროში“-ო (V, 240). „თუ ესეთი არა, ბევრით მეტი ალარ არის იგი ერთი, რომელსაც ისტორია ჰქონია და იგი ისტორია დაუვიწყნია; ალარც ამისთანა ერსა აქვს მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებობისათვის საჭიდაოდ“-ო (V, 240).

ამიტომაც არის, რომ ილია ამბობდა: „არ ვიცი, სხვა როგორ ფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“-ო (V, 207).

ამგვარად, ილ. ჭავჭავაძის ღრმა რწმენით, ყოველმა კულტურულმა ერმა თავისი წარსული კარგად და სრული შეგნებით უნდა იცოდეს. ქართველებსაც, თუ წარმატებული არსებობა სურდათ, ეს დებულება უნდა კარგად ჰქონოდათ შეგნებული.

მაგრამ ჩვენ დაუვიწყარს მოამაგეს საქართველოს ისტორია ეროვნული თავმოქმედების თვალსაზრისითა და ეროვნული სიამაყის გრძნობის ჩასანერგავად კი არ უნდოდა და სჭირდებოდა, არამედ მას წარსულის მხოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთვნელი შეფასება აინტერესებდა... ილია ჭავჭავაძე მაგ., 1888 წ. წერდა: „ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით, ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუდვია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყო დაშყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ესეა, ამისი საბუთი თვალ-წინა გვაქვს, რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორი ათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედვა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით—რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა. ან გამდიდრებაში თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთან ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი და ფხენილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას. რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელია სიფუყე და სისუტე, ამას ახსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია. და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ-დაგვივიწყნია ჩვენის ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი. და თუ ესეა, რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი“-ო (V, 241 — 242).

რა იყო ჩვენი წარსულის სიმაგრე და რა იყო სისუსტე, სიფუყე, ამის გამორკვევა ხომ ისტორიული პროცესის შეგნებით შეიძლება.

მაგრამ ისტორიის გაგება და სისწორით წარმოდგენა ახლაც ადვილი საქმე არ არის, მით უფრო ძნელი საქმე იყო მაშინ, წარსული საუკუნის იმ ხანაში, როცა ილია ჭავჭავაძე ჩვენი კულტურის სწორუბოვარი ბელადი და ხელმძღვანელი იყო.

როდესაც რომელიმე ერის ისტორია შესწავლილი არ არის, ისტორიის მაგიერ ხშირად, ერთი მხრით, უკვემოდ წარმოებული კვლევა-ძიებაა ხოლმე გაბატონებული, მეორე მხრით კი მიმბამძველობასა და რწმენაზე დამყარებული სქემატიზმი იპყრობს ხოლმე ასპარეზს. პირველი დამაღონებელია თავისი უსისტომობითაც და თანაც არც გულსა და გონებას არას ეუბნება, მეორემ კი, თუმც შესაძლებელია გამოუტყდელი მკითხველი თავისი აღნაგობითა და გარკვეულობით უფრო მოხიბლოს. მაგრამ მაგნებელია იმდენად, რამდენადაც, წარსული ცხოვრების ხორცშესხმული სურათის მაგიერ, რეალურ შინაარსს მოკლებული სქემა არის ხოლმე წარმოდგენილი. ასე იყო საქართველოშიც. ჩვენში წარსული საუკუნის 90 იანი წლების დამლევამდე და შემდეგაც არსებითად უკვემო, შემთხვევითი ხასიათის, ისტორიოგრაფთა ბატონობდა, რომელიც, რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძეს ვერც მოეწონებოდა და ვერც და-

აკმაყოფილებდა. აი, მაგალითად, რას ამბობდა ილია ჭავჭავაძე 1880 წ.: „ჩვენის ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუშუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და, თუ არის კანტი კუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა, ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზე, რომელშიაც ერთობ ხალხი იჩენს თავის თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში. ერთის სიტყვით, ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორია ჭკარ ფარდა აუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული, თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა საქმეთა“-ო (V, 201).

სწორედ ასეთი უსისტემო და უმეთოდო ისტორიის საწინააღმდეგოდ 1889 წ. „Северный Вестник“ („ჩრდილოეთის მოამბე“-)ში ნ. დ.-ს ფსევდონიმით ივ. ჯაბადარის წერილები გამოქვეყნდა საქართველოს შესახებ (Письма о Грузии). ავტორი იქ, მისივე განცხადებით, საქართველოს ისტორიაზე ისტორიული კრიტიკისა და შედარებითი მეთოდის გამოყენებით მსჯელობდა: ამ თავის წერილებში, ვითომც სწორედ ამ ორი მძლავრი მეთოდით აღჭურვილმა, საქართველოს ისტორიაც განიხილა და, მისი წარსულის შეფასების შემდგომ, თავისი მსჯავრიც დასდო. მაგრამ, საფუძვლიანი, დიდი კვლევა-ძიების მაგიერ, ივ. ჯაბადარის წერილებში სწორედ ისეთი სქემატიზმი აღმოჩნდა, რომელიც, ავტორის სრული მოუშადებლობის გამო, მთლიანად მცდარი გამოდგა. ამისდა მიუხედავად, მაინც, ვითარცა თითქოს ისტორიის უმალესი და მკვეთრი მეთოდებით მომარჯვებული ადამიანის ნამუშევარსა და ნასიბრძნს, ქართული საისტორიო წყაროების უცოდინარსა და გამოუცდელს ჩვეულებრივ მკითხველზე ივ. ჯაბადარის კატეგორიულს დასკვნებს დიდი შთაბეჭდილების მოხდენა შეეძლო. ხოლო, რამდენადაც მთელი მისი მსჯელობა თავაშეებული ნიპილისტური მსოფლმხედველობით იყო გამსჭვალული, იგი მკითხველს დიდს ენებას მოუტანდა. ამიტომაც ივ. ჯაბადარის წერილების უყურადღებოდ და განუხილველად დატოვება არ შეიძლებოდა. რა თქმა უნდა, ეს უპირველესად ქართველ ისტორიკოსთა მოვალეობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ, რაკი ისინი სდუმდნენ, ვითარცა ქართ. საზოგადოებრივი აზრის მესაქეს, ისტორიკოსის მოვალეობის ასრულებაც უნებლიედ ისევ ილ. ჭავჭავაძეს მოუხდა. მან ივ.ჯაბადარის ნაშრომი ვრცლად განიხილა თავის წერილებში, რომელთაც სათაურად „აი ისტორია“ უწოდა. ფრიად საგულისხმოა თუ როგორ მოეპყრო იგი ამ საქმეს და რა გააკეთა მან ამ დარგში.

რაკი ილ. ჭავჭავაძეს ისტორიის უაღრესი მნიშვნელობა კარგად ესმოდა და შეგნებული ჰქონდა, ცხადია, მას არ შეეძლო საქართველოს წარსულის შესწავლის საეაღალო მდგომარეობისათვის ყურადღება არ მიექცია. და მართლაც, ჩვენს დიდებულს მგოსანსა და პუბლიცისტს წინათაც და შემდეგშიც არა ერთხელ თავისი პირდაპირი მოვალეობისათვის თავი დაუხნებებია და ისტორიული კვლევა-ძიების საკითხებში ჩარეულა.

ვინც ილ. ჭავჭავაძის ამ დარგის საკმაოდ მრავალრიცხოვან წერილებს გულდასმით გადაიკითხავს, მას საშუალება ექმნება, როგორც მისი კონცეფცია გამოარკვიოს ისტორიის ზოგადს საკითხებზე, ისევე ისიც გაითვალისწინოს, თუ

რა წვლილი აქვს ილ. ჭავჭავაძეს საქ. ისტორიის შესწავლაშიც შეტანილი. სწორედ ეს მიზანი გვაქვს ჩვენ ამ ჩვენს მოხსენებაში დასახული.

ივ. ჯაბადარის უკვე ძირითადი რწმენა სქემატიზმისა და მონურ მიმბაძეელობის გამამეღავენებელი იყო. იგი დრეპერის ოდესღაც გაერცლებულს აზრს ემყარებოდა. ვითომც ყოველ ერს, თავისი ბავშვობისა, ყრმობისა და ჭბაუკობის შემდგომ, აუცილებლად სიბერე ეწეოდეს ხოლმე. ამიტომ იყო, რომ ჯაბადარს ერთს თავის წერილთაგანში ნათქვამი ჰქონდა: მართალია, თუ არა, რომ ქართველი ერი უკვე მოხუცებულია და ღონე გამოელია, თუ მას ჯერ კიდევ სრული ინტენსიური ცხოვრება არც კი დაუწყია და თავის ძალღონე მერმისისათვის შეუნახავს? და თითონვე პასუხს აძლევდა მკითხველს: არა, ჯერ ინტენსიური ცხოვრება არც კი დაუწყიაო. ილ. ჭავჭავაძემ ამ შეცდარსა და ასე უცნაურად გამოთქმულ დებულებას სასტიკად შეგებროლა. იგი ირონიულად ამბობდა: „ავტორი (ე. ი. ჯაბადარი) მერე დაგვიტკიცებს, რომ ჩვენ სრულის ინტენსიური ცხოვრებით არ გვიცხოვრია და (გვიხაროდეს!) ღონე შეგვინახავს მერმისისათვის“-ო. (V, 8). ასეთი რამის თქმა შეეძლო მხოლოდ იმას, ვისაც სწამდა, რომ „სრული ინტენსიური ცხოვრება“ ღონისაგან სცლის ერსა, ე. ი. ასუსტებს, აუძლურებს, ხოლო „არა-ინტენსიური ცხოვრება კი ანახვინებს ღონეს მერმისისათვის“-ო (V, 8). ამაზე ილ. ჭავჭავაძე სამართლიანად წერდა: „დღეს აქამომდე გვეგონა, რომ ხსნა ერისა სწორედ მაგ ინტენსიურ ცხოვრებაშია და, თურმე ნუ იტყვი, დასარჩობი ფონი-კი სწორედ ეგ ინტენსიური ცხოვრება ყოფილა“-ო (V, 9). აქეთგან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ „ბედნიერი ერის ისა ყოფილა, ვინც ამ ინტენსიური ცხოვრების მაცდურობას არ აპყობია, მისგან არ გაბრწყინებულა და ღონე შეუნახავს მერმისისათვის“-ო (V, 9).

ილია ჭავჭავაძეს ეს მოძღვრება სლავიანოფილების მსოფლმხედველობის ანარეკლად მიიჩნდა: „ესეც გამოვიდა სლავიანოფილების მოძღვრება, მერე მარტო იგი ნაწილი ამ მოძღვრებისა, რომელიც დიდისა და პატარისაგან სასაცილოდ აგდებულა“-ო (V, 11).

ჩვენმა დიდებულმა მოღვაწემ ამ მოძღვრებას თავისი შემდეგი მსჯელობა და რწმენა დაუპირისპირა: „ინტენსიური ცხოვრება ერთსა და იმავე დროს სათავეც არის და შედეგიც კულტურისა, რომელიც ათასის წლობით შენებულა, აგებულია, მართალია კაცობრიობის დაულაღავ და დაუძინებელ ჯაფით, გარჯითა და მხნობით, მაგრამ იმისათვის კი არა, რომ ღონისაგან დაიკალოს, არამედ იმისთვის, რომ უფრო გაღონიერდეს, გაძლიერდეს, გამოფლადდეს, გამოჯიქდეს არსებობისათვის საჭიდაოდ. ამიტომაც კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია, ჭეკუთხედია“-ო (V—9), „ღონე შეინახება მერმისისათვისაო, გვანუგეშებს ავტორი. კაი ნუგეშია კაცმა პური აღარა ჭამოს, რომ კბილები არ გაუცვლდეს და მემრისისათვის შეინახოს. რა ოხრობისთვის-ლაა საჭირო, რილას მაქნისია ის შენახული ღონე, თუ არ იმავე ინტენსიურ ცხოვრებისთვის. თუ ასეა, ან თითონ ინტენსიური ცხოვრება რის მაქნისია, თუ ღონისაგან სცლის ერსა, ასუსტებს, აუძლურებს“-ო (V—9—10).

ასეთ სქემატიზმსა და გაზვიარებულ აზრებს ალ. ჭავჭავაძემ სულ სხვანაირი შეგნება დაუპირისპირა. მაგრამ ილია ჭავჭავაძე ასეთ აკვიტებულ აზრს რომ წინააღმდეგა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ისტორიის ღრმად გაშუქება არ ენატრებოდა. მისთვისაც ისტორია მარტო ფაქტების გროვა არ იყო. მას

ისტორიული პროცესის საფუძველი და ამამოძრავებელი ძალა აინტერესებდა, ხოლო შემდეგ მოვლენათა შეფასებაც, ამასთანავე მისი რწმენით მთავარი ყურადღება შინაგანს, ე. ი. სოციალ-ეკონომიურსა და კულტურის პრობლემებს უნდა მიჰქცეოდა.

ილ. ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციით, კაცობრაობის პროგრესის სათავე შემოქმედებას წყურვილი და ნაჰია, რომელიც წინათ ზოგჯერ ისეთს დარგში და იმ სახითაც იჩენდა ხოლმე თავს რომელიც თანამედროვე შეხედულებას უკვე ვეღარ აკმაყოფილებს, მაგრამ, ისტორიკოსს უნდა ესმოდეს, რომ მაშინ „დრო იყო ამისთანა“. აი თუნდაც ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, ტაძრებისა და მონასტრების ნაგებობანი რომ ავიღოთ, რომელსაც ყურადღების ღირსად არ სთვლიდა და საძრახისადაც კი მიიჩნდა მათ ამგებელთათვის ივ. ჯაბაძარს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ეკლესიები და ტაძრებია. ილია ასეთი მსჯელობის საწინააღმდეგოდ ამბობდა: „ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩვენს ხუროთმოძღვრებას საბერძნეთისა და რომისთანა მნიშვნელობას არ ვაძლევთ“, „მხოლოდ ვამბობთ, რომ ერა შეხედება ხოლმე დრო. როცა, თუნდ მონასტრებისა და ტაძრების შენებათ,—წყურვილს სულისას იკლავს ხოლმე. ეს საბატოო წყურვილია, იმიტომ რომ სათავე წარმატებისა ეს წყურვილია და სხვა არა რა“ (V, 67).

ნამდვილი ისტორიკოსის მოვალეობა, ილ. ჭავჭავაძის რწმენით, იმაში მდგომარეობს, რომ, რაჟი „ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გავება ამ ტკივილისა ხვედრია მარტო ჩინებული კაცებისა ამიტომაც „ქეშმარიტა შეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროებას ჭერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განკითხოს თვითდროების შეიღწევა, ეს რომ არ იყოს, კაცო ვერც საბუთს უპოვნის, ვერც აზრს, თუნდაც მთელს ჯვაროსნობას ომებს, რომელსაც მთელმა ევროპამ კინაღამ თავი არ შეაკლა“ (V, 66). აქვე ჩვენი ავტორი სამართლმანად უმატებს: „ეს ხომ აზნანია ისტორიის ფილოსოფიისა“.

საისტორიო მეცნიერებაში ამას ისტორიული პერსპექტივის აუცილებლობა ეწოდება და მართლაც, ცხადია, რომ უამისოდ წარსულის არც ერთ შეფასებას ღირებულება არ ექმნება.

თუ რა გარემოებას აქცევდა ილ. ჭავჭავაძე ისტორიული პროცესის დროს რა საფუძვლის გამოჩვენება მიიჩნდა საქაროდ მოვლენათა გასაგებად, ამას მისი ერთი საყურადღებო წერილი გვაგვებინებს.

1880 წელს დაბეჭდილს წერილში ილ. ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიას მანამდე სრულებით უცნობი თვალსაზრისით მიუღდა. მან აღნიშნა, რომ ჩვენი ხალხისა და ქვეყნის წარსულში „არის ერთი იმისთანა ისტორიული მოვლენა, რომელსაც ვერავინ უარს ვერა ჰყოფს და რომელიც დღესაც უკვირს ყველას, ვისაც კი ამ მოვლენისათვის თვალი დაუკვირებია“ (V, 201). ყველამ იცის, „რომ ჩვენს ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოერია თავისის ცხოვრებითა და თვითმოქმედებითა. უეჭველია, რომ ამ ორი ათას წელს იმისთანა ხანა ისტორიისა არ დაადგომია, რომ მტრისაგან მოსვენებული ყოფილიყოს ზღაპოყოლებით და განუწყვეტლივ ასი წელიწადი წინაც ერთად“. თითქმის მთელი თავისი ისტორიული არსებობის დროს საქართველო „იარალით ხელში იდგა“, რადგან „მტერი თითქმის ყოველ მხრიდან მოწოლილი იყო“ (V, 202). ყველანი აქ მხოლოდ გულადობითა და გრძნობით იყვნენ აღტაცებულნი, მაგრამ არავის ფიქრად არ მოხვლია ამ საგულისხმოდ მოვლენას ღრმად ჩაბკვირვებოდა ილ. ჭავჭავაძე-კი აქაც საქართველოს ისტორიას სულ სხვა მხრით გაეშუქებინა.

„ეოქვეთ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა“-ო, ნათქვამი აქვს მას ჯერ კიდევ ამ ნახევარი საუკუნის წინათ, ეს კიდევ თუნდაც არაფერი იყოს. უმთავრესად „საკვირველი ეს არის, „რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფნას? რა ჰქვეპავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა? ეს ერთი მუჟა ხალხი თითქმის ქულზედ კაცად უნდა მდგარიყო იმდენი ხელში, რომ მტრისაგან მტერად არ აღგვილიყო, და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდაო, კითხულობდა ჩვენი დიდებული მგოსანი და პირველი მართველი სუბლიცისტი (V, 202).

საკორც ხელავთ, საქართველოს ისტორიის ასეთს გაუშუქებაშიც ილ. ჭავჭავაძეს პირველობა ეკუთვნის და ამ მხრივაც ის დიდი დეწული მიუძღვის, რომ მან პირველმა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი წარსულის ეკონომიური საფუძვლის გამოკვლევის აუცილებლობა აღიარა. საქართველოს ისტორიოგრაფიას მის დროს არამცაუ ამ თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნის თავგადასავლის გაშუქება აზრალაც-კი არ მოსვლია, ის მაშინ იმდენად უმწეო მდგომარეობაში იყო, რომ, ასეთი საკითხის გამოყენების შემდგომაც, პასუხის გაცემა ვერავინ შეძლო. ილ. ჭავჭავაძემ ეს გარემოება, ეს უმწეობა თითონაც კარგად იცოდა და ამიტომაც იქვე დამატებული აქვს: „ყოველს ამა საგანზედ შექვევლი და გულდადებით პასუხი მეტად ძნელია. ამ შემთხვევაში ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხელს ვერაფრით შეგვიწყობს, ერთს იმისთანას არას გვანიშნებს, რომ საბუთად ვინმაროთ შექვევლ-ს დასკვნისათვის. მხოლოდ უნდა ვიგულისხმობთ, რომ ამის პასუხი ჩვენს ეკონომიურ აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახუბოდეს. შექვევლია ჩვენი წინაშეული წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდან ჰქონდა ის ქონებითი ძალდონე, რომლითაც იგი გასძლიოდა ამოდენა ვაი-ვაგლასა და ომებსა ამოდენი ხნის განმავლობაში“-ო (V—202).

ეს პრობლემა ილ. ჭავჭავაძეს სრულებით სამართლიანად საქართველოს ისტორიის პირველხარისისთვის ამოცანად აქვს აღიარებული. ის ამბობს: „აი, საგანი ღირსშესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალ-წინა ჰქონდეს ჩვენს ეზრანდელ შეხატორებს, ამ საგანზედ რომ შექვევლი პასუხი მოგვცეს ვინმემ, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა“-ო (V, 201—203).

მაგრამ ილ. ჭავჭავაძის მიერ წამოყენებულ საკითხზე პასუხის გამცემი რომ მაშინ საქართველოში არავინ იყო, ეს მას სხვებზე უკეთ მოეხსენებოდა და, რაკი საქმე ასე იყო, თითონვე სცადა შეძლებისამებრ ამ საგულისხმოსა და დიდმნიშვნელოვანი ამოცანის შესახებ თავისი მოსაზრება გამოეთქვა. თუმცა „ჩვენგან დიდი კანდიერება იქნებოდა, რომ ამ მძიმე საქმის გამოკვლევას შევსდგომოდით, ამისათვის არც მომზადება გვაქვს, არც საჭირო წყარო“-ო, ამბობდა იგი და მხოლოდ „ფაქრად მოგვდის ორიოდ აზრი, ისიც ვარაუდობით ცნობილი, და ელონებ მეტი არ იყოს, ის ორიოდ აზრი მკითხველსაც გაუზიაროთ“-ო (V, 203).

იმ ეკონომიურ საფუძვლად, რომელმაც ქართველ ერს მრავალრიცხოვან მტრებთან ესოდენ ხანგოალივი ბრძოლია წარმოება შეაძლებინა, ილ. ჭავჭავაძეს მიწისმფლობელობის წესი მიაჩნდა. მისი სიტყვით, „ჩვენს ეკონომიურს“ წყობაში ორგვარი მიმდინარეობა იყო, როგორც ყველგან სხვაგან: ერთი სამსოფლო და მეორე საკონლო. პირველი მიიზიდებოდა ისე, რომ სოფლის წრეში ყოფილი მამულები, მიწა, მინდორი, ტყე,—საზოგადო, სამსოფლო ხმარებაში ყოფილიყო; მეორე ისე, რომ ყოველივე ეგენი განსკუთრებულიყო,

თუ საკომლო ფებს გაიდგამდა და გავრცელდებოდა, მაშინ განსაკუთრებას მიწისას და, მაშასადამე, უსწორ-მასწორობას მიწისმფლობელობაში ფართო გზა გაეხსნებოდა. და თუ სამსოფლო გაძლიერდებოდა მაშინ იმ უსწორ-მასწორობას გზა შეეკვროდა: აქედამ ცხადია, ჩვენი მეფეები რას უნდა გაჰფრთხილებოდნენ. როგორც ეტყობა, უფრთხილდებოდნენ კიდევ, თუ არ მეფენი, თითონ ხალხი მაინცა. ეს იქილამა სჩანს“-ო, ამბობს ილია, „რომ ჩვეულებამ ფრთა შეაკვეცა საკომლო განვითარებას, რადგანაც ყველგან საკომლო განსაზღვრული იყო ზოგან ოცის დღიურითა, ზოგან ორმოცის დღიურითა, მამულების ნაყოფიერებისა და გვარად“-ო. თანაც „ტყისა და მინდვრის განსაკუთრება ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო და დღესაც აქამომდე ჩვენის ხალხის გონებაში ვერა თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე და არა სამხოფლო“-ო. (V, 203—204).

შემდეგ საუკუნეებში, ილ. ჭავჭავაძის სიტყვით, საქართველოს ეკონომიური წესწყობილების ამ კარგს მხარეს „ყური აღარ ათხოვეს; გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კოლჰეურნეოვამ, ჩამოვარდა უსწორ-მასწორობა მიწის მფლობელობაში არამტუთ კომლთა შორისაც, არამედ სოფელთა შორისაც“-ო. (V—204) და, როგორც ეტყობა, საქართველოს მერმინდელი პოლიტიკური დასუსტების ერთ მთავარ მიზეზთაგანად ჩვენ მგოსანს სწორედ ეს გარემოება მიაჩნდა.

საქმე ის კი არ არის, სწორეა თუ არა თვით ილ. ჭავჭავაძის ზემომოყვანილი განმარტება. აქ ყველაზე საუურადღებო ის გარემოებაა, რომ მან ჯერ კიდევ 1880 წ. აღიარა ისტორიული პროცესის გასაგებად ეკონომიური საფუძვლის ცოდნის აუცილებლობა.

რაკი ეხლა უკვე ვიცით ილ. ჭავჭავაძის ზოგადი შეხედულება ისტორიისა და ისტორიკოსის უპირველეს მოვალეობაზე, საინტერესოა გაგვეგო, თუ კერძოდ კიდევ საქართველოს ისტორიის რომელი საკითხები იპყრობდა მის ყურადღებას.

ილ. ჭავჭავაძე ამბობდა: ყოველ ერს თავისი გამოჩენილი მოღვაწეები უნდა ახსოვდეს, რადგან „ერთი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულს, თავის მწვრთნელს, თავის ღონესა და შემძლებლობას, თავის ხატსა და მავალითს“-აო (V, 208).

ისეთ პირად, რომლის ღვაწლისა და ამაგის დაიწყოება საქართველოს არ შეჰშენის, ილ. ჭავჭავაძეს, რასაკვირველია, დავით აღმაშენებელიც მიაჩნდა და ჩვენთვის სწორედ ის არის საინტერესო, თუ რა მოსაზრებით. მისი სიტყვით, „დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობათა“, საქართველოს მთლიანობის დამყარებითა და სახელმწიფოებრივობის შექმნით, „არამედ თავის დიდბუნოვან კაცობითაც. იგი თავდადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და... სარწმუნოებისა“, იმავე დროს „დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა“. ყველაზე უფრო საყურადღებოა, რომ დავით აღმაშენებელი იყო „ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოვლად შეუძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლისა და სარწმუნოების ერისა“ (V, 209), როდესაც ის უკვე „სრულად გაბატონდა თავის ქვეყანაში და, მაშასადამე, ამისთანა პატიოსანი და განათლებული ქვეყნმარტო იმის დიდ ბუნდოვან გულს და გონებას უნდა მიეწეროს და არათერს სხვას“-აო (V, 211). ამასთანავე განმაცვიფრებელი სწორედ ის გარემოებაა, რომ

დავით აღმაშენებელი „სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იყო იმ დროში“. დავით აღმაშენებლის ამ თვისებას ხომ მარტო ჩვენი ქართველი მატრიანები არ მოგვითხრობენ, სომეხთა ავტორებიც ამასვე ადასტურებენ. ხოლო, თუ სომხეთში დავით აღმაშენებლის ასეთი დამოკიდებულება შესაძლებელია იმით აიხსნას, რომ სომხები ქრისტიანები იყვნენ, „დიდბუნებოვანი ესტომოყვარება დავით მეფისა“ ხომ „მაჰმადიანებსაც მიეფინათ“. ჩვენთვის ეს გარემოება და თვისება მით უფრო საგულსხმოა: „მით უფრო ბრწყინვალეა ეს ამბავი, რომ მაჰმადიანები თვით დავით მეფისა და მის ერის სარწმუნოებას ერჩოდნენ აღმოსაფხვრელად“ (V, 210) და მაშასადამე, მოსალოდნელ გულისწყრომასაც იგი არ წაუტყუებია. აქვე თავის დებულების დასამტკიცებლად ილ. ჭავჭავაძეს ალ-აინის ცნობა აქვს დამოწმებული, რომელშიც სხვათა შორის აღნიშნულია, რომ დავით აღმაშენებელმა საქართველოში „ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები და სადგომი სახლები მოქადაგეთა, სუფიებთა და პოეტთათვის, რომელთაც ულუფას უნიშნავდა“-ო, და საერთოდაც „დავითი უფრო მეტს პატივსაც სცემდა მუსულმანთ, ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი“-ო (V, 210—211).

როგორც ზემომოყვანილთაგან დარწმუნდებოდა, ილ. ჭავჭავაძეს საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა ნაშოქმედარში მარტო პოლიტიკური მხარე კი არა, არამედ ამ მოღვაწეობის უფრო მეტად კულტურული გეზი, სხვა ერთა ღირსებისა და უფლებების პატივისცემა იზიდავდა.

საუცხოვოდ აქვს მას მათი პოლიტიკის მთავარი ამოცანა XII ს., გახმარტებული. როდესაც ივ. ჯაბადარმა თამარის საქართველოს წინაშე ღვაწლის დამცირება სცადა და საბუთად ის მოსაზრება მოიყვანა, ვითომც თამარს ყარსზე გაელაშქრებინოს, მარტო იმისთვის, რომ თავის ახლად დაბადებულის შეილის გიორგის ბედი გამოსცადოს და ამისთვის აუარებელი სისხლი დაიღვარა ტყუილაუბრალოდო, ილ. ჭავჭავაძე ამ საკითხის განხილვასაც ზოგადი თვალსაზრისით შეუდგა. ჯერ იმ წყაროს შეეხო, რომლითგანაც ეს ცნობა მომდინარეობდა, მერმე-კი ბეცი ადამიანისაგან თვით ამ ამბის ნამდვილ მიზეზად მიჩნევაზე დაიწყო მსჯელობა. ილია ამბობდა: „იქნება გვითხრან— „ქართლის ცხოვრებაში“ ეს სწერია, „როგორც ჯაბადარს აქვს ნათქვამიო. „თუნდაც რომ ეწეროს, რა დასაჯერია?!“. სწორედ უცნაურია, „ასეთი მალე დაჯერება დაუჯერებელისა ამ კაცისაგან, რომელიც მართალსაც არ იჯერებს ვითომდა უპრიტიკოდ!“, „ქართლის ცხოვრებაში“ რაც სწერია, განა ყველაფრის განუსჯელად დაჯერება შეიძლება? „ნუთუ ძველისძველ საქართველოს მეხტორიემ ეს ანბანი არ უნდა იცოდესო“, ამბობდა ილია, „რომ მას შემდეგ რაკი ხომხეთი შემუსრა, სამხრეთით ჩვენი კარი ღია დარჩა მტერთათვის შემოხახევად. ამ მიზეზით, სომხეთის შემუსვრის შემდეგ, არც ერთი მეფე არ ყოფილა ღირსეული ამ სახელისა, რომ თვალი სამხრეთისაკენ არ სჭეროდეს და აქეთ საბრძოლველად არ გასულიყოს, რომ ან ჩვენი მიჯნა სამხრეთისა საქართველოზე შორის გაედგა მოსვენებისა და უშიშრობისათვის, ან მტრისათვის ისეთი ზარი დაეცა, რომ დიდხანს აღარა შემოებდნა რა საქართველოსათვის. ეს იყო პოლიტიკური საქიროება, რომელიც ეთავდებებოდა ჩვენს მშვიდობით ყოფნასა და არსებობასა. შანქორის ომსაც განჯისაკენ ესევე აზრი ბქონდა და საქიროება“-ო (V, 68).

დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამისა და თამარის დროინდელი სამხედრო პოლიტიკის მიზნების შესახებ, როგორც ცნობილია, იოსებ გედევანიშვილს ჰქონდა 1915 წ. საინტერესო გამოკვლევა გამოქვეყნებული. ურიგო არ არის გავიხსენოთ, რომ არაერთად ამ პრობლემის გაშუქების პირველობაც, ამასთანავე 26 წლით უფრო ადრე, ილ. ჭავჭავაძეს ჰქუთვნებია.

საქართველოს ისტორიითგან ილ. ჭავჭავაძეს შემდეგ ერისთვის თავგანწირულობა ჰხიბლავდა. ცნობილია, რომ მისი ისტორიული პოემის „დიმიტრი თავდადებულის“ დედააზრი და სულისკვეთება სწორედ ეს არის: ქართველი ერის, უღანაშაულო ხალხის მონღოლთა ყაენისაგან განადგურებას დიმიტრიმ ხომ თავისი სიცოცხლის განწირვა არჩია. დიმიტრი თავდადებულის შემდგომ საქართველოს გმირ პიროვნებათაგან ილ. ჭავჭავაძის ყურადღებას ლუარსაბ მეფის პიროვნება იზიდავდა. აქაც მისი მოღვაწეობის შვეულებად მას ქვეყნისათვის იგივე თავგანწირულება მიაჩნდა: უნდა გავიხსენოთ საქართველოს ის გმირი, რომელმაც „სთქვა: რა მადლია თავი გადავიჩინო და ჩემი ქვეყანა მტერს ავაოხრებინო, — წავიდა“ და თავისი თავი ქვეყნის უვნებლობას შესწირაო (V, 219).

მაგრამ ილ. ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ გმირობასთან ერთად საქართველოს წარსულს წოდებრივ სიამაყეზე და უპირატესობის შენარჩუნების ნიადაგზე აღმოცენებული ბევრი შური და მტრობაც უნახავს. სწორედ ამ თვალსაზრისით აინტერესებდა ილ. ჭავჭავაძეს საქართველოს ისტორიითგან გიორგი სააკაძის პიროვნებაც. ის ჩივის, რომ მისი „მოქმედება და ქცევა დღესაც აუხსნელია ჩვენთა ისტორიკოსთაგან“ და იმისდა მიუხედავად, რომ ის იყო „უხვად შემკული ყოვლის სამამაცო და საგმირო ღირსებითა“, მაინც „დღეს“—აქომამდე არც ავად არის ჩვენ მიერ დაფასებული და არც კარგადა, მისი ავკარგიანობით აღსავსე განსაცდელიანი ცხოვრება და საოცარი მოქმედებანი, მისნი ავად და კარგადაც აღსახსნელნი დიდნი საქმენი, ჭერ შიგნულად გამოძიებულნი არ არიან და ელიან პირუთენელს გამკითხველსა“—ო (V, 215).

გ. სააკაძეზე, როგორც ცნობილია, არჩილ მეფესვე ჰქონდა თავის ისტორიულ პოემაში მოსაზრება გამოთქმული, მაგრამ ამ ადამიანის მოღვაწეობა სხვადასხვანაირად იყო ყოველთვის შეფასებული. ვერა გადაწვევითა მხოლოდ ქართ. ისტორიკოსებს. ილიას-კი მაინც თავისი მოსაზრება გაცივრით გამოთქმული აქვს. ლუარსაბ მეფის „აზნაურიშვილის მოყვრობამ და ნამეტნავად აზნაურიშვილის ქალის გადედოფლებამ გული აღმღვრია მაშინდელ დიდებულებს, რომელთაც ითაკილეს აზნაურის ქალის დედოფლობა და ბატონობა“. შესაძლებელია ლუარსაბი უბედურებაში სწორედ ამ გარემოებამ ჩააგდო. „დიდი მოურავი თუმცა ყოვლად ნიჭიერი კაცი იყო, ყოვლად მხნე სახელმწიფო კაცი და წარჩინებული მეომარი და სარდალი, მაგრამ ყოველივე ეს ვერ იბატონებდა მას მღაბალბუნებთანა კაცთა შურისაგან, ეს ნამძირალი გრძნობა ადამიანის ავწინაობისა ბევრს შეტოქეს და მოშურნეს მოუპოვებდა მაშინდელ დიდებულთა შორის, რომელთაც მოდგმა უფრო დიდ ღირსებად მიაჩნდათ, ვიდრე ნიჭიერი დიდბუნებთანობა“—ო (V, 218).

ესლა რომ ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხებზე ილ. ჭავჭავაძის მსჯელობასა და იმ წვლილის განხილვას შევეუდგეთ, რომელიც მას იმ დარგშიც საქართველოს ისტორიის წინაშე მიუძღვის, ილ. ჭავჭავაძეს, რა თქმა უნდა, ისტორიული კრიტიკაცა და შედარებითი მეთოდიც ისტორიის მძლავრ და აუცილებელ საშუალებად მიაჩნდა, მაგრამ ივ. ჯაბაძარის ნაშრომმა დაარწმუნა, რომ

მას ვერც ერთი ამ მეთოდთაგანის ვერც დანიშნულება გაუგია და ვერც მათი გამოყენება შესძლებია რაკი ილ. ჭავჭავაძემ თითონაც კარგად იცოდა, რომ საქართველოს წარსულის შემსწავლელთა შორის ამ ორი მეთოდის მცოდნე და გამომყენებელი მართლაც არაყინ ჩანდა, ივ. ჯაბადართან კამათის დროსაც ილ. ჭავჭავაძე ამას არამცთუ არ უარყოფდა, არამედ თითონაც ადასტურებდა: „არა ერთხელ გვითქვამს და ეხლაც საჭიროა გავიხსენოთ, რომ ჩვენი ავტორი (ე. ი. ივ. ჯაბადარი) ჩვენს ლიტერატურას უკეთინებს, კრიტიკა და შედარებითი მეთოდი მისთვის უცნობიაო. ეს მართალია“ (V, 134), მაგრამ ილია იმაზე სწუხდა, რომ საუბედუროდ თვით ყიუინის დამცემიც სრულებით უციცი გამოდგა (V, 27 და 134). რაკი ამნიარად თვით ჯაბადარსაც არც ამისი ცოდნა და არც უნარი არ აღმოაჩნდა, აქაც მაშინდელი ქართველი მკითხველისა და მკვლევართათვის ისტორიული კრიტიკისა და შედარებითი მეთოდის განმარტებას თვითონვე შეუდგა. მაგრამ ამაზე საყურადღებო და უფრო მნიშვნელოვანი ის გარემოებაა, რომ მარტო ამით არ დაკმაყოფილებულა, არამედ ყველას საქართველოს წარსულის შესასწავლად ამ ორი მეთოდის მარჯვედ და ნაყოფიერად გამოყენების რამდენიმე მაგალითიც უჩვენა.

უპირველესად საგულისხმოა, რომ იმ დროს, როდესაც საქართველოს ისტორიის მაშინდელ მკვლევართ „ქართლის ცხოვრების“ ყოველივე ცნობა სჯეროდათ და აქ ნაამბობს იმეორებდნენ ხოლმე, ილ. ჭავჭავაძე „ქართლის ცხოვრებას“ კრიტიკულად ეპყრობოდა და ყველაფერი, რაც იქ მოთხრობილია, ქეშმარიტებად კი არ მიიჩნდა, არამედ არა ერთხელ მას იქ ჩართული ზოგი ცნობების მცდარობა აღუნიშნავს. მაგ., ის ამბობდა: „ქართლის ცხოვრების“ ცნობა დარუბანდის ფრიდონისაგან აგების შესახებ ზღაპარია, რადგან სხვაგან ასეთი ცნობა არსად მოიპოვებაო (V, 52, 53). უეჭველია, რომ „ქართლის ცხოვრებას“ „აურევია სახელები“-ო (V, 53).

ივ. ჯაბადარს ფარნავაზ მეფე, „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, საქართველოს უდიდეს და ცენტრალურ პიროვნებად ჰყავდა გამოყვანილი. ილია კი ამბობდა, „არა გვეგონია „ქართლის ცხოვრების“ გარეთ, ჩვენმა ავტორმა გვიპოვნოს რაიმე ხსენება ფარნავაზისა ჩვენს ხალხში“-ო (V, 60—61), ხოლო შემდეგ უკვე პირდაპირ ნათქვამიცა აქვს, „ძალიან შესაძლოც არის, რომ ყოველივე“ ის, რაც „ქართლის ცხოვრებას“ ფარნავაზზე მოთხრობილი აქვს, „ტყუილიც იყოს“-ო (V, 62).

შედარებითი მეთოდის სახელი, ილიას სიტყვით, სრულიად „არ შეეფერება იმგვარს კვლევას საგნისას, რომელსაც ამ სიტყვით ჰხატავს მეცნიერება ყველა ენებში. ეს გვარი კვლევა შედარება კი არ არისო“-ო, არამედ „სწორედ ის არის, რომ კაცი კვალში ჩაუდგეს რომელსავე საგანს, ანუ მოვლენას, რომ ან თავიდან ბოლომდე ჩამოჰყვეს, თუ სათავე ვიცით და ბოლო არა, და ან ბოლოდამ სათავემდე აჰყვეს, თუ ბოლო ვიცით და სათავე არა, და ამისთვის კიბედ გაიხადოს ყოველივე შემთხვევა, ყოველივე დრო, ყოველივე ადგილი, სადაც კი ან საგანს; ან მოვლენას თავი უჩენია“-ო (V, 22).

მეტად საგულისხმოა ილ. ჭავჭავაძის მსჯელობა საისტორიო კვლევა-ძიებისათვის, შედარებით მეთოდთან ერთად, ლინგვისტიკური ანალიზითა და დაკვირვებით მოპოვებული დასკვნების გამოყენებაზეც. გერმანელი ენათმეცნიერის შარდერის ნაშრომზე დაყრდნობით პირველად ილიამ მიაქცია ყურადღება ქართული ზმნის „მართლად გასაკვირველი ფორმების“ სიუხვეს და აზრის გასაოცარი სიმოკლითა და სიმარჯვით გამოთქმისათვის ჩვენი ენის ამ

თვისების მნიშვნელობაც კარგად განმარტა (V 92—95). მანვე მაშინდელ ქართველ მკვლევართ დაანახა, თუ რაოდენად საგულისხმო და მნიშვნელოვანი საკითხების გამორკვევაა შესაძლებელი ენის ნამდვილი ანალიზის საშუალებით. ილ. ჭავჭავაძე ამბობდა: ივ. ჯაბაღარი რომ ენის „სარკვეში ჩახედვის და ნახვის უნარი რამ ჰქონოდა და ერთი ბეწვა გაგება“ განა ის უ-ს „გაზანდრის ადლით გაზომვას“ დაიწყებდა? არა, ის „სხვა გზით დააკვირდებოდა ჩვენს ენას და სულ სხვა ამბავს გამოკითხავდა“-ო (V, 97). მერმე ილ. ჭავჭავაძეს თავისი შემდეგი საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული: „განა ამისთანა სიტყვები, რომელნიც ჩვენს ენას დღევანდლამდე შერჩენია, არაფრის მოხრობელნი არ არიან, მაგალითებრ: „წყალობა, მიწყალე, შემიწყალე, მოწყალება“. აქ ყველგან „წყალი“ ისმის და ეს ამისთანა ცოცხალი მოწმე „განა არ გვეუბნება, რომ პირვანდელი ბინა ქართველისა ისეთი მშრალი ქვეყანა ყოფილა, რომ „წყალობს“ ნატვრისა და ვედრების საგნად ვანდომია“. შუა მდინარესაც რომ თავი დავანებოთ და თუნდაც რომ მარტო არმენია ავიღოთ, საცა წინათ ბინადრებულა ქართველი და საცა დღესაც „წყალობა“ მართლა დიდი ღვთის წყალობაა, იმიტომ რომ მიწა მდიდარია, ხოლო უწყლოდ კი არა მოჰყავს-რა“-ო (V, 97). კარგად გვიხსნის, თუ რატომ უნდა მინიჭებოდა „წყალობა“-ს ასეთი მნიშვნელობაო. საუცხოო და გონება-მახვილი დაკვირვებაა!

ან ავიღოთ, განაგრძობს ჩვენი დიდებული მოღვაწე, „სიტყვა „მიცვალება“, „მიცვალებული რომელიც მოკვდომასა და მკვდარს ჰნიშნავს, მაგრამ არა სრულიად გაარარაგებს, არამედ „გარდაცვლას“, სხვა სახედ გადახვლას. ნუთუ ამაში გონების ხელმოსაჭიდებელი არა არის რა, რომ კაცმა უტყუარი აზრი შეადგინოს მასზედ, თუ როგორ სწამებია ქართველს ის დიდი მოქმედება ბუნებისა, რომელსაც სიკვდილი ჰქვიან? ან ქალის „გათხოვება“, „მითხოვება“ განა არას გვეუბნება, რომ უწინდელ ქართველის ცოლის შერთვაში „თხოვებას“ რაღაც ადგილი ჰქონია: განა ეს სიტყვა არ ასურათებს პირველყოფილ ქართველს ცოლქმრობის შესახებ“-აო, კითხულობდა ილია (V, 97—98).

საინტერესოა აგრეთვე ილ. ჭავჭავაძის მსჯელობა ქართველთა სხვა ერებთან კულტურული ურთიერთობის ლექსიკური მასალის ანალიზის საშუალებით გამორკვევის შესაძლებლობაზეც. იგი ამბობდა: „ვთქვათ, შეგვხვდა ქართული ბავშური სიტყვა „აჩუა“. საიდან არის ეს სიტყვა, რის მომასწავებელია და ნიშნავს იმას თუ არა, რასაც ბავში ამ სიტყვით ასახელებს? ჩვენს ენაში ამ სიტყვის ასახსნელს ვერაფერს ვიპოვი. თუ კვალში ჩავდგებით და სხვა ენებს ამ განზრახვით მოვხიხრეთ, დავინახავთ, რომ სანსკრიტულად acva, ზენდურად aspa, ლათინურად equus, ირლანდიურად ech, ლიტოვურად aszwa ცხენს ნიშნავს და ყველგან ისმის ცხადად და ნათლად ჩვენებური „აჩუა“. ცხადი არ არის ეხლა, რის ნაშთია და საიდან წარმომავალია ეს სიტყვა „აჩუა“, რომელსაც დღეს ჩვენში მარტო ბავში ჰხმარობს ან ბავშვისათვის ვხმარობთ ცხენის მაგიერ“-ო (V, 22—23).

თავისი ზემომოყვანილი საგულისხმო დაკვირვებების შემდეგ, ილიას სამართლიანად აქვს აღნიშნული: „ბევრს ამისთანა მაგალითს წარმოგვიდგენს ჩვენი ენა, თუ რომ ბრმა კაცი და, ჩვენი ავტორსავით ყოვლად უფიცი არ შეხვდა“-ო (V, 98). ლუბბოკმა ამ მეთოდითა და ასეთი მასალით პირველყოფილი რწმენის, წესწყობილებსა და კულტურის სურათის აღდგენა-კი შესძლო (იქვე) და განა ქართველი ხალხის წარსულის ასევე აღდგენა არ შეიძლებოდა, სათანადო ცოდნა და ნიჭი რომ ყოფილიყო, ფიქრობდა ილ. ჭავჭავაძე.

ივ. ჯავახიშვილის მკვლევარ დებულებათა კვლევა კვლავ განხილვისას ილ. ჭავჭავაძე არქეოლოგიასა და შედარებით მითოლოგიასაც შეეხო და აქაც არა ერთი საგულისხმო მოსაზრება ჰქონდა გამოთქმული ზნეჩვეულებებსა, კაცი-შვილობასა, წარმართული რწმენის წინაპართა თაყვანისცემისა და დასაფლავების წესების შესახებაც. მანვე სკადა გაეზარებინა მემატიანის ზოგიერთი ცნობაცა და ძველს სამარხებში აღმოჩენილი ვითარების შესაძლებელი მიზნებიც განმარტა (V, 23—26, 111—113, 125—126, 142—143, 147 და სხვ.).

ყველა ზემომოყვანილი, იმედია, დაარწმუნებს ყველას, თუ რამდენად საინტერესო ყოფილა ილ. ჭავჭავაძის მოღვაწეობა ისტორიის დარგში: როგორც ამ მეცნიერების ზოგადს ამოცანებსა და მეთოდოლოგიაზე, ისევე კერძოდ საქართველოს ისტორიისა და ისტორიკოსთა ამოცანებსა და სწორი მეთოდოლოგიით მნიშვნელოვანი შედეგის მოპოვების შესაძლებლობაზეც ჩვენს დაუფიქრარს მოამაგეს ფრიად საგულისხმო მოსაზრებანი ჰქონდა გამოთქმული. მაგრამ ქართულს მაშინდელ ისტორიოგრაფიაში ისეთი უმწეო მდგომარეობა იყო, რომ არამცთუ არსად ჩანდა მკვლევარი, რომელსაც თითონვე ნათლად გაეთვალისწინებინა, თუ რა იყო უპირველესად გასაკეთებელი და შესასწავლი, როგორის თანდათანობითა და რა საშუალებით უნდა ყოფილიყო საქართველოს ისტორიის უამრავი მასალები განხილული, არამედ, ილ. ჭავჭავაძის ზემოაღნიშნული წერილების შემდეგაც არავინ აღმოჩენილა, რომელსაც ჩვენი სახელოვანი მგოსნისა და პუბლიცისტის მიერ დასახული ამოცანების განხორციელება ეცადოს და მეთოდების გამოყენება შეძლებოდეს. ქართველ ხალხს ანდაზად აქვს ნათქვამი: „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა“. —ო. და, ჩვენდა საუბედუროდ, მაშინ ილ. ჭავჭავაძეს კარგი გამგონე არ გამოსჩენია. მაგრამ ეს ხომ მისი ბრალი არ არის?! თუ თავდაპირველად ილ. ჭავჭავაძე ახალი ქართული მწერლობისა და ქართველთა საზოგადოებრივი აზრის უცილობელ ბელადად ითვლებოდა, წარსული საუკუნის დამლევითან მოყოლებული, როგორც ცნობილია, თავი იჩინა ისეთმა მიმართულებამ, რომელიც არამცთუ საზოგადოებრივი აზრის მის ბელადობას სრულებით უარყოფდა და მიწასთან გასწორებას ცდილობდა, არამედ პოეზიის დარგშიც კი მისი ღვაწლის მთლიანად გაქარწყლებას ლამობდა. საბედნიეროდ, იმ უმაგალითო უცნაურობას უკვე საბოლოოდ ბოლო მოეღო და, უეჭველია, მთელი საქართველო გულწრფელ მადლობას უძღვნის იმას, ვისი წყალობითაც ეს საშინელი უსამართლობა მოსპობილია და ილ. ჭავჭავაძის დიდი ღვაწლიც საქართველოს წინაშე ღირსეულად შეფასებულია. ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ მხოლოდ, რომ ვინც მომავალში ქართველი ისტორიოგრაფის თავგადასავლის მე-19 ს. ამბების შესწავლასა და აღწერას შეუდგება, ის ვალდებული იქნება იხიცი აღინიშნოს რომ ილ. ჭავჭავაძე დიდებული იყო მართკო პოეზიასა და პუბლიცისტისტიკაში კი არა, ანდა კიდევ მართკო ვითარცა ახალი სალიტერატურო ქართული შემქმნელიც კი არა, არამედ რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც მას ისეთი ღვაწლი ჰქონია, რომლის დავიწყების უფლება არც ერთს ქართველს არა აქვს!

¹ წაკითხულია, მოხსენების სახით, 1937 წ. ენიშკის საჯარო სხდომაზე, რომელიც მიმდინილი იყო ილია ჭავჭავაძის დაბადების ასი წლისთავისადმი.

გ. აბზიანიძე

ნიკო ნიკოლაძე ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ

ნიკო ნიკოლაძის კრიტიკულ ნააზრევს ქართული ლიტერატურის დიდი კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ, ბუნებრივია, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ მნიშვნელობას აღრმავებს ის გარემოება, რომ ნიკო ნიკოლაძე იყო ილიას ერთი გამოჩენილი თანამებრძოლთაგანი და უშუალო მონაწილე იმ ახალი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოძრაობისა, რომლის მებაირახტრედ ილია ჭავჭავაძე გვევლინება.

ქართული კულტურის ეს ორი სახელგანთქმული მოღვაწე ერთმანეთის მიმართ ღრმა პატივისცემით იყვნენ გამსჭვალულნი. როგორც ცნობილია, ნიკო ნიკოლაძეს ილია ჭავჭავაძე უწოდებდა ახალი მოაზროვნე თაობის ფალაგანს¹.

ნ. ნიკოლაძე, როგორც მოაზროვნე და კრიტიკოსი, ქართული ლიტერატურული ცხოვრების დიდი ორგანიზატორი იყო. მას, როგორც პროგრესული ორგანიზაციის „ღრობა“—„კრებულის“ ერთ-ერთ ხელმძღვანელს, მჭიდრო კავშირი ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან 70-იან წლებში, როცა პოეტი დუშეთში ცხოვრობდა. ნ. ნიკოლაძე, ბუნებრივია, განსაკუთრებით აფასებდა ილია ჭავჭავაძის უდიდეს მხატვრულ ნიჭს, გონების ძალას და მშობელი ხალხისთვის თავდადებას და ყოველმხრივ ცდილობდა ხელი შეეწყო ლიტერატურული მოძრაობის სათავეში ილიას კვლავ ჩადგომისათვის. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ნ. ნიკოლაძის შემდეგი სიტყვები: „როდესაც ილია ჭავჭავაძე დუშეთში ცხოვრობდა, საცა მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობას ასრულებდა, ჩემი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ ყოველი მაშინდელი ახალი თაობის მომხრენი შევავაროვე და დავაჯერე—დუშეთში ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევ ქართულ მწერლობას დაუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ მეთქი. ამ აზრით და მიზნით 1871—1873 წლებში ხუთჯერ მაინც ავსულვართ დუშეთს „გროვად“ ქართული მწერლობის და აღორძინების მოტრფიალენი.“²

ი. ჭავჭავაძე, თავის მხრივ, დიდ ანგარიშს უწევდა ნიკო ნიკოლაძის კრიტიკულ აღლოს და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ნ. ნიკოლაძე უკვე ამ დროს ცნობილი იყო თავისი ფართო ერუდიციით; ის ბრწყინვალედ იცნობდა მსოფლიო ლიტერატურას და შესანიშნავ წერილებს აქვეყნებდა არა მხოლოდ ქართული, არამედ რუსული და დასავლეთ ევროპული მხატვრული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების აქტუალურ საკითხებზეც.

ჯერ კიდევ 70-იან წლებში ჟურნალ „კრებულის“ ფურცლებზე, სადაც ილია ჭავჭავაძის თხზულებები იბეჭდებოდა, გამოქვეყნდა ნიკო ნიკოლაძის

¹ ი. ჭავჭავაძის კერძო წერილები, პროფ. სიმ. ხუნდაძის პუბლიკაციით, „მნათობი“, 1933, № 8—9, გვ. 283—284.

² „მნათობი“, 1933, № 8—9, გვ. 279

წერილებიც, რომლებშიც ქართველი კრიტიკოსი უარესად მაღალ შეფასებას აძლევდა ილია ჭავჭავაძის ღვაწლს. ნ. ნიკოლაძე ილია ჭავჭავაძეს აფასებდა, როგორც ქართული დემოკრატიული კულტურის მებაირახბერეს, როგორც დიდ მხატვარსა და მოაზროვნეს, რომელმაც ახალ, პროგრესულ მიმართულებას დაუდო სათავე.

იმ ლიტერატურულ მოძრაობას, რომლის ცენტრში ილია ჭავჭავაძე იდგა, ჩვენი კრიტიკოსი ანალიზებდა არა განკერძოებულად, არამედ ქართული სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების ისტორიული ვითარების ფონზე. მისი აზრით, 60-იანი წლების ლიტერატურული პაექრობა არ იყო უბრალო ბრძოლა, ცალკეულ მოსაზრებათა შეჯახება, არამედ ერთმანეთთან დიამეტრალურად დაპირისპირებული ორი სხვადასხვა იდეოლოგიური მიმართულება, ორი მოწინააღმდეგე ბანაკი, რომლებიც სულ სხვადასხვაგვარად სწუვეტდნენ ქართველი ხალხის აწმყოსა და მომავლის საკითხებს. აქ მთავარი იყო არა მხოლოდ ლიტერატურული ენის და ესთეტიკის საკითხები, საქმე ეხებოდა იდეური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე მეტად საჭირობოროტო საკითხებს, ცხოვრების ძველსა და ახალ წესს შორის ატეხილ ბრძოლას. ეს აზრი შესანიშნავად აქვს ჩამოყალიბებული ნიკო ნიკოლაძეს 1872 წელს დაწერილ ერთ კრიტიკულ წერილში, „1863 წელს, — წერს იგი, — ილია ჭავჭავაძემ დაიწყო „საქართველოს მოამბის“ გამოცემა. ვის არ ახსოვს ეს წელიწადი, როცა ერთის მხრით ჩვენი ცხოვრება თავის უწინდელ კალაპოტს ცვლიდა და ახალში შესვლას აპირებდა, ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ, არ აპირებდა, მაგრამ მაინც უხდა შესულიყო და როცა მეორეს მხრით ატყდა სასტიკი ბრძოლა ახალგაზრდობისა, ე. ი. ახალი ცხოვრების, და ძველი კაცობის, ე. ი. ძველს წესს და სჯულს შუა. რაც კი რამ იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნეთ ეკავა ილია ჭავჭავაძეს. ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეიფარა „ცისკარში“ და ამნაირათ იმ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბესა“ და „ცისკარს“ შუა, სჩანდა ის ნამდვილი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდუღდა ძველს და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაში“.¹

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძე ილია ჭავჭავაძეს უწოდებს ახალი თაობისა და პატიოსანი მომავლის გაბედულ მებრძოლს. ახალ თაობას ი. ჭავჭავაძის მეთაურობით მოჰქონდა ახალი იდეები: სოციალურ სფეროში — ბატონყმობის წინააღმდეგ სასტიკი პროტესტი, ფილოსოფიაში — მატერიალისტური პრინციპები, მწერლობაში — მხატვრული რეალიზმი და უტილიტარული ესთეტიკა, იბრძოდა ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის. ამ ახალი იდეებისათვის ბრძოლაში, ნ. ნიკოლაძის მოსაზრებით, ფასდაუღებელი ამაგი მიუძღვის ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც შეძლო თეორიულად დაესაბუთებინა თავისი იდეური პოზიციები, ჩამოეყალიბებინა რეალისტური ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მიმართულების პრინციპები.

მაგრამ ამასთან ერთად საჭირო იყო ძველი, კონსერვატიული ბანაკის იდეოლოგიის, მისი მიმართულების სერიოზული მეცნიერული კრიტიკა და მისი იდეური საფუძვლების დარღვევა.

ეს ისტორიული მისიაც, ქართველი კრიტიკოსის სიტყვით, პირნათლად

¹ „არბული“, 1872 წ., № 10—11—12, გვ. 151—152

შეასრულა ილია ჭავჭავაძემ, რითაც თავისი სახელი სამუდამოდ დაუკავშირა მთელს ახალ ეპოქას ქართული კულტურის განვითარებაში.

აი, რას წერდა ამის შესახებ 1880 წელს დაბეჭდილ ერთ-ერთ სტატიაში ნ. ნიკოლაძე: „ქართული ლიტერატურის უფრო დიდი ნაწილი ის გარემოება, რომ სერიოზული კრიტიკა არასოდეს არ შეხებია მასში ლიტერატურის ზოგად მიმართულებას. მხოლოდ ერთხელ იყო ამგვარი ცდა, როდესაც ი. გ. ჭავჭავაძემ 1861 წელს უღრნად „ცისკარში“ მოათავსა პამფლეტი მაშინდელი ლიტერატურის მოღვაწეთა წინააღმდეგ. ეს პამფლეტი კილავდა წვრილმანებს—მწერლების ენას, მათ განუვითარებლობას, მათ ზრუნვას მარხვებსა და დღესასწაულებზე და ა. შ.“ „...მაგრამ,—განავრძობს ნ. ნიკოლაძე—“ყველას ახსოვს რა ფასდაუღებელი ამაგი დასდო ქართულ ლიტერატურას „საერთო მიმართულების საკითხის“ აღძვრამ. ატყდა კიჟინა. ი. გ. ჭავჭავაძეს ლანძღავდნენ და სახელს უტეხდნენ ყოველ გზაჯვარედინზე, ღმერთმა უწყის რას არ წერდნენ და ბეჭდავდნენ მის შესახებ. მიუხედავად ამისა, ქართული ლიტერატურის ძველი მიმართულება ძირფესვიანად შეირყა და შეიცვალა ახლით, რომელიც გაცილებით უფრო სასარგებლო და ცხოველმყოფელი იყო.“¹

როგორი უნდა იყოს პიროვნება, რომელსაც შეეძლება ერის ისტორიული განვითარების შემობრუნების პასუხსაგებ მომენტში კრიტიკულად განიხილოს და შეარყიოს ძველი გონებრივი საზოგადოებრივი მიმართულების საფუძვლები და სათავე დაუდოს ახალ მიმართულებას?—სვამს ამ საინტერესო კითხვას ნიკო ნიკოლაძე და თვითონვე პასუხობს.

ეხება რა ილია ჭავჭავაძის პირველ ვალაშქრებას კონსერვატული მიმართულების წინააღმდეგ, ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს: „ჩემის აზრით, გარდა ამ ცდისა, ქართულ ლიტერატურაში ჯერ არც ერთხელ არ ყოფილა შემთხვევა განეხილათ მისი (ქართული ლიტერატურის გ. ა.) საერთო მიმართულების კრიტიკული საფუძვლები და ხასიათი. თავისთავად იგულისხმება, რომ ამგვარი ცდისათვის საჭიროა მრავალი პირობა. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კრიტიკოსი აღჭურვილი იყოს ზოგადი ფილოსოფიური განათლებით, რომელიც განზოგადების უნარს აძლევს მის გონებას, ამასთანავე იგი უნდა იდგეს მისი თანამედროვე აზროვნების განვითარების სათანადო დონეზე. მეორეს მხრივ მისთვის უცხო უნდა იყოს მიკერძობება, ყოველგვარი წრეებისა და მოღვაწეების პიროვნული ინტერესები“.

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძე 60-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეში ილია ჭავჭავაძის პიროვნებას ახასიათებს, როგორც განსაკუთრებული თვისებებით, ნიჭით, ნებისყოფით აღჭურვილ მოღვაწეს, რომელსაც შეეძლო ჩადგომოდა სათავეში ერს, როგორც მისა ბელადი, როგორც ხელოვანი და მოაზროვნე. ნიკო ნიკოლაძე დაახლოებით იმას ამბობდა ი. ჭავჭავაძეზე, რაც ბელინსკიმ თქვა გოგოლის შესახებ, როცა ეხებოდა მის დამსახურებას მშობელი ხალხის წინაშე: «Гоголь был одним из великих вождей еѣ на пути сознания, развития, прогресса.»

ილია ჭავჭავაძის მძლავრი ფიგურა, ჩვენი კრიტიკოსის აზრით, 60-იანი წლების ეპოქამ წამოაყენა. მისი მტკიცებით, ილია ჭავჭავაძე ღრმა მემკვიდრეობითი კავშირით იყო გადაჭაჭკული ნ. ბარათაშვილთან, როგორც მის წინამორბედთან. ილიას გონებრივი მემკვიდრეობა მთლიანად ქართული საზო-

¹ ნ. ნიკოლაძე, ქართული ლიტერატურა 1879 წელს, „ობზორი“, 1880, № 394.

გადოებრივი ცხოვრებისა და ეროვნული კულტურის ნაყოფია. მაგრამ ნ. ნიკოლაძე ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ „კაცია-ადამიანის“ ავტორის იდეურ ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის რუსული პროგრესული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებს.

„ილია ჭავჭავაძე, რომელსაც უპირატესად წილად ხვდა პატივი სამოციანი წლების დასაწყისში საქმის ასეთი გონივრული წარმართვისა, — წერს ნიკო ნიკოლაძე, — სწორედ ისეთი ადამიანი იყო, როგორც სკირდებოდა მაშინდელ ქართულ ლიტერატურას. მისი ნიჭი, მისი განწყობილება და მსოფლმხედველობა: მაშინ სრულიად შეესაბამებოდა დროის მოთხოვნილებებს. ი. ჭავჭავაძემ, აღზრდილმა ორმოციანი და ორმოცდაათიანი წლების რუსული ლიტერატურის ქმნილებებზე, როდესაც ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ პროტესტი იყო საფუძველი რუსი მწერლების საუკეთესო ნაწარმოებებისა, მოახერხა და შეძლო ჩასდგომოდა სათავეში მოძრაობას, შეძლო მოეტანა მეტად ხელშესახები სარგებლობა როგორც ქართული ლიტერატურისათვის, ასევე ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარებისათვის“.¹

ი. ჭავჭავაძის მეთაურობით საზოგადო ასპარეზზე გამოსული 60-იანი წლების მოღვაწეთა რაზმი მცირერიცხოვანი იყო. ამას არა ერთხელ აღნიშნავს ნ. ნიკოლაძე და სხვა მესამოციანელებიც. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ეს რაზმი იქცა ახალი რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ნამდვილ მებრძოლ შტაბად.

განა დიდი ლენინი თვით რუსეთის 60-იანი წლების მოღვაწეთა პლეადაზე არ ამბობს, რომ იგი მცირერიცხოვანი იყო. ლენინი წერს: *Революционеры 61-го года остались одиночками... На деле именно они были великими деятелями той эпохи, и, чем дальше мы отходим от неё, тем яснее нам их величие*“.²

დიდი ლენინის ეს სიტყვები ჩვენ შეგვიძლია გავიმეოროთ ქართველ მესამოციანელებზე და მათ ბელად ი. ჭავჭავაძეზე.

ნიკო ნიკოლაძე არა ერთგზის აღნიშნავს ი. ჭავჭავაძისა და მისი მეთაურობით გამოსულ მოღვაწეთა სიახლოვეს ხალხთან, ხალხის ინტერესებისთვის თავდადებას. ჩვენი კრიტიკოსი განსაკუთრებით უსვამს ხაზს 60-იანი წლების ქართული ლიტერატურის უმკიდროეს კავშირს ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. ქართულ სინამდვილეში სოციალური საკითხის აღძვრასთან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს მეტად საყურადღებო ისტორიულ-ლიტერატურულ ფაქტს: „ქართულ ლიტერატურას საშუალება მიეცა ორჯერ შეხებოდა ამგვარ საკითხს (გლებთა საკითხს გ. ა.) ჩვენი საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისისა და მიწურულს, როცა ჩვენს მხარეში აღიძრა საკითხი გლეხობის ბატონყმური უღლისაგან განთავისუფლების შესახებ და როდესაც ხმებმა ამ საქმის შესახებ დაინტერესა და ააღელვა ადგილობრივი მოსახლეობის ყველა ფენა, მაშინ ლიტერატურამ მოახერხა იმ დროისათვის მთავარი საჭირობორტო საკითხების შენიშვნა და ფრიალ გაბედულად და მეტისმეტად აზრიანად გამოეხმაურა მას. ინტერესი, რომელიც ქართულ საზოგადოებაში მაშინ მშობლიური ლიტერატურის მიმართ აღიძრა, გახდა თითქმის მთავარი საფუძველი პრესის დღევანდელი განვითარებისა“.³

¹ ნ. ნიკოლაძე, ქართული ლიტერატურა 1879 წელს, „ობზორი“, 1880, № 381.

² *Ленин, Сочинения*, ტ. 17, გვ. 100.

³ ნ. ნიკოლაძე, ქართული ლიტერატურა 1879 წელს, „ობზორი“, 1880, № 381.

ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების ამ საჭირობორტო საკითხებს, ნ. ნიკოლაძის მტკიცებით, ყველაზე გაბედული პასუხი გასცა ილია ჭავჭავაძემ. იგი შეიქმნა არა მხოლოდ პოლიტიკურ-პუბლიცისტური აზრის მე-საჰე 60-იან წლებში, არამედ ქართული სულიერი კულტურის ყველაზე ძვირფასი მონაწირის—ქართული კრიტიკული რეალიზმის მამამთავარი.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ნ. ნიკოლაძემ დაახასიათა, როგორც ჭეშმარიტად ეროვნული, ხალხური სულისკვეთებით გაყდენთილი ხელოვნება, რომელიც ერის სასიცოცხლო ინტერესებს პასუხობდა. ილიას მხატვრულ შემოქმედებას საფუძვლად ედგა ის პროგრესული, სოციალ-პოლიტიკური ტენდენცია, რომელიც მისი მეთაურობით გამოსული ახალი თაობის სამოქმედო პროგრამიდან გამომდინარეობდა. ნიკო ნიკოლაძე 70-იანი წლების დასაწყისში ლონდონიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ ბარათში პუბლიცისტ ბესარიონ ჯაფარიძეს წერდა: „საზოგადოთ მწერლობის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების ზნეობა გააუმჯობესოს, საზოგადოების აზრი წინ წასწიოს და დაამზადოს იმ ცვლილებების მისაღებად, რომელნიც ახალგაზრდობის პროგრამას შეადგენენ“¹.

ი. ჭავჭავაძის შემოქმედება სწორედ წინ სწევდა ქართულ საზოგადოებრივ აზრს, ზნეობრივად ზრდიდა ქართულ საზოგადოებას და გაბედულად ნერგავდა განმათავისუფლებელ იდეებს.

თავისი შეხედულებანი ი. ჭავჭავაძის მხატვრული მემკვიდრეობის შესახებ ნ. ნიკოლაძეს არა ერთ გზის აქვს გამოთქმული, მაგრამ ყველაზე ვრცლად ილიას შემოქმედებას იგი განიხილავს 1873 წელს გამოქვეყნებულ კრიტიკულ სტატიაში, რომელიც სპეციალურად მიძღვნილია „გლახის ნაამბობისადმი“.

ამ წერილში მთავარია არა მხოლოდ ი. ჭავჭავაძის ცალკეული მხატვრული თხზულებების ანალიზი, არამედ მწერლის შემოქმედების ძირითადი ტენდენციის შეფასება რეალისტური ესთეტიკის მეთოდოლოგიური პოზიციიდან.

„გლახის ნაამბობს“ ნიკო ნიკოლაძე განიხილავს ქართული რეალიზმის ევოლუციისა და ზრდის ასპექტში. მისი აზრით, ამ ნაწარმოებში ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ მტკიცედ ვერ დგას კრიტიკული რეალიზმის ეროვნულ ნიადაგზე. „გლახის ნაამბობი“ მწერლის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯია თავისი შემოქმედებითი განვითარების დიდ გზაზე, რომელზედაც სხვა თხზულებებით მან აღმართა კრიტიკული რეალიზმის დიდებული შენობა.

„გლახის ნაამბობი,“—აღნიშნავს ნიკო ნიკოლაძე,—1859-შია დაწერილი, პეტერბურგში. ილ. ჭავჭავაძის თხზულებებში ეს მოთხრობა იმ ნაწერებს ეკუთვნის, რომელთაც ამ მწერლის პირველი პერიოდის და პირველი მანუარის ბეჭედი ასვიათ. ის ბევრით განისხვავება „კაცია ადამიანისაგან“ და საზოგადოთ იმ თხზულებებიდან, რომელნიც ჭავჭავაძის დაეაქაცებულ გონებას და ნიჰს ჩვენი მწერლობისთვის უკვლევია“².

მიუხედავად ამისა, ჩვენი კრიტიკოსი „გლახის ნაამბობს“ ქართული მწერლობის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვან მოვლენად თვლის, რადგან იგი შესანიშნავი მწერლის შემოქმედების სათავეს მიგვანიშნებს.

„გლახის ნაამბობი“ ჩვენთვის მით უფრო შესანიშნავია,—ამბობს ნ. ნიკოლაძე,—რომ ამ ჩინებული მწერლის პირველ ნაბიჯებს გვიჩვენებს, მის

¹ წერილი დათარიღებულია 1872 წლის 7 დეკემბრით. დედანი ინახება ჩვენთან. გ. ა.

² „პრებული“, 1873, № 5—6, გვ. 401.

უწინდელ გზას გაგვაცნობს, მის პირველ ენის ამოდგმას გვასწრებს. ჩვენც მწერლობის ისტორიისათვის ამით დიდი მნიშვნელობა ეძლევა ამ მცირე მოთხრობას, უფრო მეტი, ვინემც იმას მისი საკუთარი ღირსება და მისი ნამდვილი ფასი მისცემდა.¹

ნ. ნიკოლაძის აზრით, „გლახის ნაამბობს“, მიუხედავად გარკვეული მხატვრული და იდეური ღირსებებისა, გააჩნია ერთი მნიშვნელოვანი ნაკლოვანება, რომელიც ასხეავენს მას ი. ჭავჭავაძის სხვა რეალისტური თხზულებებისგან. კრიტიკოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ მოთხრობის „ამბავი“ შეკეთებულია, „შეფერილი, განგებ გასუფთავებული და გალამაზებული“, ამის გამო „ის ნამდვილ ცხოვრებას არ ეთანხმება“ (გვ. 427—428). ეს გამოწვეული იყო, ნ. ნიკოლაძის მტკიცებით, გარკვეული ისტორიულ-საზოგადოებრივი პირობებით.

ამ გარემოებას კრიტიკოსი ხსნის 50-იანი წლების რუსული ბელეტრისტიკის გავლენით და იმ სულის შემხუთველი გარემოთი, რომელშიც უხდებოდა განვითარება როგორც რუსულ, ისე ქართულ მხატვრულ ლიტერატურას. „რუსულ მწერლობაში ამ ოცი წლის წინათ,—განმარტავს ნ. ნიკოლაძე თავის აზრს,—ერთი ისეთი მიმართულება დაარსდა, განსაკუთრებით ბელეტრისტიკაში, რომლის ნამდვილს და ჩინებულს სურათს წარმოგვიდგენს ჩვენ „გლახის ნაამბობი“. როცა ეს მწერლობა ათას ნაირ ჭახრავ წაჰკირებული იყო, და თავისი მაშინდელი გულის-წადილის გამოთქმას ვერ ახერხებდა, იმ გულის-წადილის, რომელსაც თანაუგრძნობდა მთელი მაშინდელი გონიერი და სინდისიანი საზოგადოება, ის სხვადასხვა კილოთი, სხვადასხვა მოხერხებული გადაკრულ-გადმოკრული სულისნამვით ჰხედავდა ხოლმე თუ არ გამოეთქვა, ცოტადნათ მაინც გაეხსენებია მკითხველისათვის ეს გულის-წადილი. როგორც მკითხველმა იცის, მაშინ რუსული საზოგადოებისა და მწერლობის უმთავრესი გულის-წადილი და იდეალი იმაში მდგომარეობდა, რომ მოსაპობილიყო როგორმე ის უჯიშო და კაცის დამმდაბლებელი ბატონყმობა, რომელიც სულს ართმევდა რუსეთელ ხალხს და ნიადაგ დაბრკოლებად უდგა საზოგადოების წარმატებას და წინ-წაწევას. ამ საერთო და საყოველთაო გრძნობას ვერ გამოსთქვამდა იმდროინდელი რუსული მწერლობა, ამიტომ რომ მწერლობის გარემოებები იმის გამოთქმის ნებას არ აძლევდნენ, რაც მწერლობას დაარსებულ კანონებში და გაწყობილებაში სავენებელ და შესაცვლელ რაიმე მიაჩნდა. მაშინ მწერლობა, რომელსაც ამ მხრით თავისი აზრისა და გრძნობის გამოთქმა არ შეეძლო, უფრო მოთხრობებს, რომანებს და დრამულ თხზულებებს მიაწვდა, რომლებშიაც კარგად თუ ავად გლეხ-კაცური მდგომარეობის გამოსახვა შეიძლებოდა. ისეთი ბელეტრისტული თხზულებების ბეჭდვა, რომლებშიც გლეხკაცობა გამოყვანილი იყო კაცურ კანში, შემოიღო „სოერემენიკმა“. ამ ყურნალმა სულისშემხუთველი მეფის ცენზურის თვალის ასახვევად „ბატონყმობის საქმე სიყვარულის ასპარეზზე გადაიტანა“².

აღსანიშნავია, რომ ნ. ნიკოლაძე რეალისტური ლიტერატურის აღნიშნული ტენდენციის არა მარტო ახსნას გვაწვდის, არამედ, როგორც რევოლუციურ-დემოკრატიულად განწყობილი მოაზროვნე, ამ ტენდენციას პროგრესული ლიტე-

¹ „კრებული“, 1873, №5—6, გვ. 402.

² იქვე, გვ. 402—404.

რატურის ისტორიულ დამსახურებად, საჭირო და სასარგებლო საქმედ თვლის, „აღნიშნულ რომანებში და სხვა თხზულებებში—წერს ქართველი კრიტიკოსი,— ნიდაგის ერთი და იგივე ამბავი იყო აღწერილი, რომ გლეხს გლეხის ქალი შეუყვარდა, მაგრამ ბატონის ძალამ, გავლენამ და ძალადობამ იმისი ბედნიერება მოსპო და ორი კეთილი გული, ჩვილი გრძნობიერება და სული დასტანჯა, დააობლაო, მაშინდელი რუსული საზოგადოებისათვის იმ დროს ეს დიახაც საჭირო და სასარგებლო მწერლობა იყო. მკითხველი ძალუწებურათ იმ შეხედულებას ეჩვეოდა, რომ გლეხსაც კაცის გული აბადია, რომ იმასაც ამ გულში კაცის გრძნობა, სურვილი და იმედი უღვივისო, რომ გლეხიც ღვთის გაჩენილი ქმნალებააო და ღმერთს ის ქვეყანაზე სატანჯველათ და სხვის მრჩენელათ კი არა, თავის თავის სანუგეშოთ გაუჩენიაო. ამით მკითხველ საზოგადოებას, რომელსაც უამისოთაც ბატონ-ყმობა უსამართლო საქმეთ მიაჩნდა და მისი მოსპობა გამოუკვლევად ნატვრათ ჰქონდა, ნამდვილი თანავგრძნობა და შებრალება ებადებოდა გლეხ-კაცობისა. და ეს კილო, ეს მანერა და ეს სარგებლობა ხასიათათ ჰქონდა ყველა იმ მწერლებს, რომლებიც მაშინ „Современник“-მა წინ წამოსწია, და რომელთაც საზოგადოების ყურადღება, თანავგრძნობა და მადლი მოუპოვა“¹.

როგორც ვხედავთ, აქ ნ. ნიკოლაძე დგას „შეუფერავი რეალიზმის“, ე. ი. ცხოვრების ღრმა წინააღმდეგობათა რეალისტური ჩვენების თვალსაზრისზე და მას ზემოაღნიშნული ტენდენცია,—„ცხოვრების შელამაზება“, რომელმაც, მისი სიტყვით, თავი იჩინა „გლახის ნაამბობშიაც“, მხატვრული მწერლობის ერთგვარ ნაკლად მიაჩნია.

ისმის კითხვა: ვალად ადევს თუ არა ლიტერატურულ კრიტიკას მწერლობის ეს ნაკლი, ჩრდილოვანი მხარე აღნიშნოს და საზოგადოების ყურადღება მასზე გაამახვილოს?

ნ. ნიკოლაძე ამ საკითხს უდგება არა „წმინდა ხელოვნების“ ესთეტიზმის პოზიციიდან, არამედ მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპით და კონკრეტული ისტორიული კრიტიკიუმით. იგი წერს:—„უძვეველია, რომ ეს ძლიერ დიდი ნაკლულევანება იყო იმ მწერლობისა, რომლის ხასიათს ჩვენ ვსწერთ, მაგრამ ვიმეორებთ, რომ მაშინდელ დროში, 1861-მდე, ამ ნაკლულევანებაზე შეჩერება, მათი ძაგება ან გამოაშკარავება კრიტიკის მხრით ნამდვილი შეცოთმა იქნებოდა, ამიტომ რომ კრიტიკა ნიდაგ პუბლიცისტიკურ დანიშნულებას უნდა ასრულებდეს და თითონ მწერლობის სარგებლობის და საქმის მალა მთელი ხალხისა და საზოგადოების საჭიროებას და სარგებლობას უნდა სთვლიდეს. მაშინდელი რუსული კრიტიკა იმ აზრით მოიქცა, რომ ჯერ გლეხების გათავისუფლება კანონათ იქცეს, და მერმე თუნდა იგრძნოს საზოგადოებამ ნამდვილი გლეხ-კაცების ნაკლულევანებაო, მაშინ იმდენი ვნება არ მიეცემა საზოგადო საქმეს. მით უფრო რომ შემდეგ ვეცდებით საქმე გავასწოროთ და შეუფერავი სურათებით საზოგადოების გრძნობა გავასწოროთ“².

ნ. ნიკოლაძე აქ აყალიბებს რეალისტური ლიტერატურული კრიტიკის საზოგადოებრივი დანიშნულების იდეას. ხალხის სარგებლობა, მისი თავისუფლებისთვის ბრძოლა—აი უმაღლესი პრინციპი, რომელიც განსაზღვრავს რეალისტური მწერლობისა და კრიტიკის განვითარებას ნ. ნიკოლაძის თვალსაზრისით.

¹ „კრებული“, 1873, № 5—6, გვ. 412—413.

² იქვე.

ნიკო ნიკოლაძე, როგორც მებრძოლი დემოკრატი, მოაზროვნე და კრიტიკოსი, აღძრულ საკითხს განიხილავს ეპოქის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ბრძოლის ფონზე. იგი თვალწინ გვიშლის 50—60-იან წლებში რევოლუციონერ-დემოკრატიულ და რეაქციულ ბანაკებს შორის ატეხილი ბრძოლის სოციალურ შინაარსს. რევოლუციური ახალი თაობა, პროგრესულ-რეალისტური მწერლობა იცავდა გლეხთა განთავისუფლების საქმეს და ილაშქრებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ხოლო მეფის მთავრობის მოსყიდული აგენტები, ბულგარინები და კატკოვები გააფთრებით ებრძოდნენ რევოლუციური ბანაკის წარმომადგენლებს. „კრიტიკას რომ ამ დროს ეს შენიშვნები გამოეთქვა (სინამდვილის შელამაზებული ჩვენების შესახებ—გ. ა.), წერს ნ. ნიკოლაძე, ამით საშინელი ვნება მიეცემოდა საზოგადო საქმეს და სული ჩაედგმებოდა იმ უხეირო მწერლობას და იმ საზიზღარ მიმართულებას, რომელიც ამ საზოგადო საქმეს ჩუმიად ეწინააღმდეგებოდა ან სწყყევლიდა“.¹

აღნიშნული მიზეზების გამო, ქართველი კრიტიკოსის მტკიცებით, მხატვრული ლიტერატურის მკაცრი რეალისტური მოთხოვნების წაყენება 50-იანი წლების მწერლობისადმი ყოვლად გაუმართლებელი იყო. ამისათვის საჭირო იყო გარკვეული ისტორიულ-საზოგადოებრივი სიტუაცია. კრიტიკოსის აზრით, მომდევნო წლებში ეს მომენტიც დადგა. „პირველი ხმა,—წერს ნიკოლაძე,—რომელიც რუსულმა კრიტიკამ ამ თხზულებების (ცხოვრების შემლამაზებელი თხზულებების—გ. ა.) წინააღმდეგ ამოიღო, მათი სისუსტის შესანიშნავათ, მართო გლეხების გათავისუფლების შემდეგ, 1861 წლის ნოემბერში, მოისმა: თვითონ „Современник“—მა გამოთქვა სხვა უფრო ხელოვნური თხზულებების საჭიროება თავისი უფროსი თანამშრომლის სტატიით „Не начало ли переменны“ („Современник“, 1861 г.)“.²

ჩერნიშევსკის ეს საყოველთაოდ ცნობილი სტატია (ნ. ნიკოლაძეს უფლებია არ ქონდა იმ დროს დაესახელებია ჩერნიშევსკის სახელი) რუსულ ლიტერატურაში მნიშვნელოვან მოვლენას ეხებოდა. ნ. ნიკოლაძის მიერ დასახელებული ჩერნიშევსკის სტატია წარმოადგენდა 60-იანი წლების დემოკრატი მწერლის ნიკოლოზ უსპენსკის (1837—1888) მოთხოვნების რეცენზიას, რომელშიც ავტორი ნიკოლოზ უსპენსკის მოთხოვნების ერთ-ერთ ძლიერ მხარედ თვლიდა იმას, რომ იგი „წერს ხალხზე ყოველგვარი შეფერვის გარეშე“. ეს ღირსება, დასძენდა რეცენზიის ავტორი, „მეტად ძლიერ მოსწონს საზოგადოების საუკეთესო ნაწილს“. ამასთან დაკავშირებით ჩერნიშევსკი აღნიშნავდა რუსული ლიტერატურის გარკვეულ ნაკლს. იგი წერდა:

«Давным давно критика стала замечать, что, в повестях и очерках из народного быта и характера, и обычай и понятия сильно идеализируются. Стало быть нам нечего и доказывать это, когда всем оно известно. Мы лучше поищем причин, по которым не мог отстать от идеализирования народа никто из прежних наших белетристов, несмотря на советы критики».

ნ. უსპენსკის მოთხოვნების ვრცელი ანალიზის შემდეგ ჩერნიშევსკი შემდეგ დასკვნას აკეთებს: «Мы заметили радикальную разницу между характером рассказов о простонародном быте у г. Успенского и у его предшественни-

¹ „კრებული“, 1873, № 5—6, გვ. 407.

² „კრებული“, 1873, № 5—6, გვ. 407.

ков. Те идеализировали мужицкий быт, изображали нам простолюдинов такими благородными, возвышенными, добродетельными, кроткими и умирными, терпеливыми и энергическими, что оставалось только умыляться над описаниями их интересных достоинств и проливать нежные слезы о неприятностях, которым подвергались иногда такие милые существа, и подвергались всегда без всякой вины или причины в самих себе».

ჩერნიშევსკის ამ სტატიაში რუსი საბჭოთა კრიტიკოსები ხედავენ რეალისტური ლიტერატურის ზოგი საკითხის სხვაგვარ დასმას, ვიდრე ამას ბელინსკისთან ჰქონდა ადგილი. ეს გამოწვეული იყო ისტორიულ-საზოგადოებრივი პირობების ცვლილებებით. ჩერნიშევსკის აზრით, ხალხში უკვე აღიძრა ახალი ძალები, მაგრამ მასები ჯერ კიდევ პოლიტიკურად გათვითცნობიერებულნი არ არის, ამ გათვითცნობიერების პროცესს ნელი რომ შეუწყოთ, საჭიროა ლიტერატურამ ხალხის ცნობრება დახატოს ყოველგვარი შეფერვის გარეშე, მისი ნაკლოვანების ყოველგვარი დაფარვის გარეშე.¹

ნ. ნიკოლაძემ დააკონკრეტა და განავრცო ჩერნიშევსკის წამოყენებული დებულება—„რასი მდგომარეობდა ვითომ ეს ნაკულევენება და რას მოითხოვდა კრიტიკოსი (ჩერნიშევსკი გ. ა.) ხელოვნური მწერლობის სახელით?“—სვამდა კითხვას ნ. ნიკოლაძე და თვითვე აძლევდა ამომწურავ პასუხს—ამ მწერლების (გრიგოროვიჩის, პოტეხინის, პისემსკის, ტურგენევის, მარკო-ვოვჩოკის და სხვათა) ნაკულევენება,—წერდა ქართველი კრიტიკოსი,—იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი გლეხ-კაცობას ხატავდნენ ისე, თითქო წინ ნამდვილი გლეხი კი არა, მათი საკუთარი თავი ყოლოდეთ, გლეხ-კაცურ ფარაჯაში ჩაცმული. ამის გამო გლეხის პირით იმათ თხზულებებში ხშირათ ისეთი სიტყვები და აზრები ვამოითქმოდა, რომელთაც გლეხი კაცი არ ცნობს და არ ხმარობს. მკითხველის წინ ნამდვილი, ცოცხალი გლეხის მაგიერათ, მის შეუფერავ გრძნობის ადგილზე, იდგა ნასწავლი კაცი გლეხურ სამოსელში, რომელიც თავის ნამდვილ ენას, თავის საყოველღეო დარდს და აზრს კი არა, გაზეპირებულ, წიგნიდან ამოკითხულ, ბაირონის და შილერის ფრაზებს ამბობდა და გამოთქვამდა. კაცი გრძნობდა, რომ ეს ფრაზები, ეს ვითომ-გრძნობა, ეს დარდი ღრმათ და ჭეშმარიტად გულს გამძღარი რომ ჰქონდეს ამ გლეხს, უფრო გასაგები, უფრო ბუნებითი და გულიდამ პირდაპირ ამოსული სიტყვებით გამოთქვამდა ის თავის სათქმელსო. მკითხველს ის შთაბეჭდილება როდი რჩებოდა, რომელსაც მოუგონელი გრძნობის შეუფერავი გამოთქმა სტოვებს, ის შთაბეჭდილება, რომელიც ჟრუანტელს უვლის კაცს ტანზე და რომელიც თითქმის სანიღადავთ რჩება მის ტვინში და მეხსიერებაში. ამ შთაბეჭდილების მაგიერ ის ხედავდა შეფერილ, გალამაზებულ, ნასწავლ და ზეპირ-მოლაპარაკე გლეხს, რომელიც ისეთ ნაირათ ლაპარაკობდა და იქცეოდა, როგორც ლაპარაკობს ან მოიქცევა გერმანიელი სენტიმენტალური მწერლობით გამოზრდილი კაცი, და როგორც თავის დღეში ვერ ილაპარაკებდა ვერც ერთი მაშინდელი გლეხი ან გლეხის ქალი. ამ თხზულებებში გამოყვანილი გლეხ-კაცობა ყოველთვის გულკეთილი, მეტის მეტათ პატიოსანი, მტკიცეთ გამრჯელი, ერთი სიტყვით, ყოველი ღირსებით და უმანკობით ავისილი იყო. მკითხველს, თითქმის ის აზრი რჩებოდა თავ-

¹ Б. И. Бурсов, Чернышевский, как литературный критик, изд. АН СССР, 1951, стр. 120—121.

ში, რომ ანგელოზები ჩამოსულან ციღამ და გლეხის ტულუფი, გლეხის სარაფანი ჩაუცვიათო¹.

უნდა ითქვას, რომ აღძრული პრობლემა მეტად საყურადღებოა როგორც თეორიული, ისევე ლიტერატურულ-ისტორიული თვალსაზრისით. აქ ჩვენ რამდენიმე მოსაზრებას გამოვთქვამთ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, რამდენადაც ამ საკითხის შუქზე განიხილავს ნ. ნიკოლაძე ი. ჭავჭავაძის შემოქმედებას.

აღძრული საკითხის გაშუქებისას ნ. ნიკოლაძის ძირითადი ხაზი პრინციპულად სწორია, მაგრამ მის შეხედულებებს უსათუოდ აქვს გარკვეული ნაკლოვანება—ეს არის ერთგვარი გაზვიადება და ტენდენციურობა ე. წ. „შეფერილი“ რეალიზმის შეფასების დროს. მართალია, ამ მიმართულების წარმომადგენლების შესახებ, რომელთაც, ქართველი კრიტიკოსის სიტყვით, ეკუთვნოდა გრიგოროვიჩი, პოტეხინი, ტურგენევი (მგზავრის წერილები) და პისემსკი, ბევრს დადებითს ამბობს ნ. ნიკოლაძე, აფასებს მათს ისტორიულ ღვაწლს, აღნიშნავს, რომ „იმათ თხზულებებს მთელი ათი წლის განმავლობაში მეტის მეტი ხალისით კითხულობდა რუსული საზოგადოება“, „ამ თხზულებებს საზოგადო საქმისთვის მოქონდა სარგებლობა“ და სხვა, მაგრამ ნ. ნიკოლაძე მეტის მეტად ამუქებს ფერებს, როცა დაასკვნის თითქოს აღნიშნული მწერლები და, მათ შორის, ტურგენევიც „გლეხის მდგომარეობას არც კი იცნობდნენ. იმათ გლეხები შორიდან დაენახათ და თავიანთ კაბინეტში, პეტერბურგს მოუაზრებიათ, რომ რადგანაც გლეხი ჩვენისთანა ადამიანია, იმასაც ჩვენნაირი გული უნდა ჰქონდესო, ისიც ჩვენსავით უნდა გრძნობდესო“.

ტურგენევეზე, ყოველ შემთხვევაში, შეუძლებელია მთლიანად გავავრცელოთ ეს შეხედულება. კარგად ცნობილია, რა მალალი აზრი გამოთქვეს ტურგენევის მიერ შექმნილ გლეხის ტიპებზე ბელინსკიმ, გერცენმა და თვით ჩერნიშევსკიმ. პროგრესული რუსული კრიტიკის მიერ ერთხმად იქნა აღიარებული „მონადირის წერილების“ ავტორის უდიდესი ცოდნა რუსი გლეხის ყოფაცხოვრებისა.

ტურგენევი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც რეალისტურად დახატა რუსი გლეხის სულიერი სამყარო. ამ შემთხვევაში და საერთოდ მთელს მსჯელობაში ამ საკითხის ირგვლივ ნ. ნიკოლაძე უსათუოდ აპარბებს, მეტისმეტად ზღუდავს ტურგენევის რეალიზმის ფარგლებს. ასეთსავე გადაჭარბებას გხედავთ ჩვენ ნ. ნიკოლაძის საერთო შეფასებაში „გლახის ნაამბობის“ მიმართ. ეს განსაკუთრებით ითქმის ჩვენი კრიტიკოსის იმ მოსაზრებებზე, რომელთა მიხედვით „გლახის ნაამბობი“ ნამდვილ ცხოვრებას არ ეთანხმება“ (გვ. 424—428) და რომ მის ავტორს „მიბაძვა თავიდან ვერ აუცილებია“, რომ იგი „სხვისი კილოთი და სხვისი ენით ლაპარაკობს“.

ეს შეფასებანი ნ. ნიკოლაძის საერთოდ სწორი კონცეპციის ჩრდილოვანი მხარეებია, ცალკეული შეცდომებია, რომლებშიც დღეს ჩვენ სახელოვან კრიტიკოსს ვერ დავეთანხმებით. მისი ძირითადი პრინციპული დებულება კი, როგორც ვთქვით, სწორია.

რაში მდგომარეობს, ამ შემთხვევაში, ნიკო ნიკოლაძის ამოსავალი წერტილი, პრინციპული თვალსაზრისი, რომლითაც იგი განიხილავს ი. ჭავჭავაძის შე-

¹ „კრებული“, 1873, № 5—6, გვ. 407—410.

მოქმედებით ზრდასა და განვითარებას, მწერლის რეალისტურ შემოქმედებით მეთოდს.

ნ. ნიკოლაძე იცავს ე. წ. ნატურალური სკოლის, კრიტიკული რეალიზმის გაფართოებისა და გაღრმავების პრინციპს. ნ. ნიკოლაძის აზრით, რეალიზმის შემოქმედებით შესაძლებლობებს ზღუდავს ცხოვრების შეღამაზება, სოციალური მოვლენების იდეალიზაცია, რასაც გარკვეული ადგილი აქვს „გლახის ნაამბობში“. საჭიროა სინამდვილის ჩვენება მთელი თავისი უარყოფითი მხარეებით, ღრმად შეჭრა ცხოვრებაში და მთავარ, ყველაზე მწვავე სოციალურ წინააღმდეგობათა ჩვენება. ასეთი რეალისტური, მკაცრი ფერავეტი დანატლული ცხოვრება და არა იდეალიზირებული ტიპები და მოვლენები მისცემენ მკითხველს საზოგადოებას შესაძლებლობას გაეკვივოს ავსა და კარგში. „ხელოვნური მწერლობის დანიშნულება იმაში მდგომარეობს,—წერს ნ. ნიკოლაძე,—რომ დაუხატოს მკითხველ საზოგადოებას ხალხის საზოგადოების და კერძო პირის ნამდვილი მდგომარეობა, ხასიათი, საჭიროება, დაუხატოს ისე, რომ მკითხველი ამ მდგომარეობის, ხასიათისა და საჭიროებების ნამდვილ გარემოებებს და თვისებებს ზედადეს, კარგსა და ავს მხარეს სცნობდეს და თან იმ მიზეზების გაგებაც ჰქონდეს, რომელთაც ესეები დაუბადნია“¹.

მხატვარმა სინამდვილეს გაბედულად უნდა შეხედოს, ასახოს მისი არა შემთხვევითი, არამედ ტიპური მხარეები, გაბედულად თქვას სიმართლე და ხალხის წყლულები მთელი თავისი საშინელებით. გამოიტანოს მზის სინათლეზე. ეს არის კრიტიკული რეალიზმის ესთეტიკის მთავარი პრინციპი, რომელმაც მაღალმხატვრული განსახიერება ჰპოვა, ნ. ნიკოლაძის სიტყვით, „კაცია-ადამიანში“. ამ ნაწარმოებში, როგორც სარკეში, ნაჩვენებია ქართული სოციალური სინამდვილე მთელი თავისი უარყოფითი მხარეებით, ყოველგვარი შეფერადების გარეშე.

ნ. ნიკოლაძის აზრით, სინამდვილის კრიტიკულად გამონატვის ასეთი შემოქმედებითი მეთოდი არის ერთადერთი სწორი გზა ქართული რეალისტური ლიტერატურის განვითარებისა და გაღრმავებისა. ეს იყო, ჩვენის ფიქრით, ქართველი კრიტიკოსის მნიშვნელოვანი დამსახურება ქართული ლიტერატურის წინაშე. ეს იყო 70-იანი წლების პერიოდში ქართული რეალიზმის შემოქმედებითი პროცესის ღრმა რევოლუციურ-დემოკრატიული ინტერპრეტაცია.

ნ. ნიკოლაძე, 60-იანი წლების მეტობოლი მატერიალისტური კრიტიკის თვალსაზრისზე მდგარი, „კაცია-ადამიანს“ აღიარებს რეალისტური ხელოვნების ნიშნულად. იგი რეალისტურ სატირას, უარყოფით მოვლენათა უღმობელ დაცინვასა და გაკიცხვას თვლის ხელოვნების პირველ მოთხოვნილებად, განსაკუთრებით, როცა საზოგადოებრივი წინააღმდეგობები თავს იჩენს და სოციალურ ძალთა ბრძოლა ჩაღდება. ამ დროს მხატვრული მწერლობის ვალია არა მხოლოდ შეუფერავდ აჩვენოს ცხოვრების მანინჯი მხარეები, არამედ კიდევაც უნდა განსაჯოს იგი, სატირის შანთით დადალოს უარყოფითი მოვლენები და საზოგადოებას უკეთესი მომავლის გზა უჩვენოს.

კრიტიკულად აფასებს რა „იდეალიზირებულ მომენტებს“ „გლახის ნაამბობში“, ნ. ნიკოლაძე გარკვევით აყალიბებს თავის ესთეტიკურ კრედოს:— „ჩვენ მართლა იმას ვამბობთ—წერს იგი,—რომ მწერლობაში შეუფერავათ და სწორეთ უნდა გამოიხატებოდეს თანამედროვე ცხოვრება. მაგრამ, მეორეს მხრით, მწერლობაში დიდი მნიშვნელობა და გავლენა სხვა საჭიროებასაც აქვს,

¹ „კრებული“, 1873, № 5—6, გვ. 413—414.

და მწერლობა ამ საჭიროებასაც უნდა აკმაყოფილებდეს. მწერლობა მარტო მასალებს და იდეალს კი არ უნდა იკვლევდეს, იმას ხშირათ სხვა დანიშნულებაც აქვს,—პირდაპირ სჯის გამოთქმისა, გამოხატული მოვლენის დაფასებისა, მისი ნამდვილი ადგილის ჩვენებისა, და ამ მხრით იმას ძლიერ ხშირათ მეორე იარაღის ხმარება, მეორე კილოთი წერა სჭირდება. მწერლობაში დიდი გავლენა და ძალა აქვს მწვევ და სასტიკ სჯას, დაცინვას, ირონიას. ხელოვნურ მწერლობაში ამ მხარესაც დიდი ადგილი უყავია, და უმჯობეს მწერლებს ეს იარაღი თითქმის ისე ხშირათ უხმარიათ, როგორც ცხოვრების შეუფერავი და გონიერი გამოხატვა. ეს მეორე იარაღი უფრო საჭიროა და გამოსადეგია მაშინ, როცა საზოგადოებრივი ცხოვრება ცოტაოდნათ მაინც მოძრაობს, როცა საზოგადოებაში აშკარათ ან მალულათ ბრძოლა სდუღს, როცა მწერლობა პირდაპირ ამ ბრძოლაში უნდა ერეოდეს და თავის აზრს, შთაბეჭდილებას და გრძნობას საზოგადოებას უნდა აგებინებდეს“.¹

ამრიგად, ნ. ნიკოლაძის აზრით, მხატვრულ თხზულებას მით უმეტესი საზოგადოებრივი ზემოქმედების ძალა გააჩნია, რამდენადაც მასში ჩანს არა მშვიდი ჰერეტიკა სინამდვილისა, არამედ ცხოვრების წყლულების გამოძვლანება, მისი უარყოფითი მხარეების კრიტიკული ჩვენება პროგრესული მსოფლმხედველობის უჭეჭე.

ჩვენ ძირითად ხაზებში განვიხილეთ, თუ როგორ განავითარა ნ. ნიკოლაძემ რეალიზმის თეორიის პრინციპები „გლახის ნაამბობის“ კრიტიკული ანალიზის დროს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ქართული კრიტიკოსისთვის ამ მოთხრობის ჩრდილოვანი მხარეების აღნიშვნას ხელი არ შეუშლია მასში დაენახა ქართული მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო თვისებებიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნიკო ნიკოლაძე ამ თხზულებას ქართული მწერლობის ისტორიისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. საგულისხმოა, რომ ჩვენი კრიტიკოსი აღნიშნავს ილია ჭავჭავაძის მხატვრული ალლოს დიდ სიმახვილეს. იგი წერს, რომ „გლახის ნაამბობის“ ავტორი გრძნობდა სუსტ მხარეებს იმ ლიტერატურისას, რომელსაც დადებით თვისებებთან ერთად, ხალხური ცხოვრების იდეალიზაცია ახასიათებდა, „რადგანაც,—ნ. ნიკოლაძის სიტყვით,—ილია ჭავჭავაძის ხელოვნური (წაიკითხე მხატვრული—გ. ა.) გრძნობა მაშინაც ხედავდა ამგვარი მწერლობის ზოგიერთ სუსტ მხარეებს,—იმის „გლახის ნაამბობში“ ეს სისუსტეები მეტის მეტად შემსუბუქებულნი არიან“².

რაში ხედავს ნ. ნიკოლაძე ამ სუსტი მხარეების შემსუბუქებას?

„მაგალითად,—წერს კრიტიკოსი,—წელან რომ ვამბობდი, რუსულ რომანებში გლახი ჩვილ სენტიმენტალურ, მწერლობის ენაზე ლაპარაკობდა თქო, ილ. ჭავჭავაძის უგვრძნია ეს ნაკლულევაინება, და მის „გლახის“ ნასწავლს ენას, მის გრძნობიერ და პოეტურ სურათებს და ფიქრებს მკითხველს იმით ავიწყებინებს, რომ ამ გლახას სურამიდანვე ერთ კეთილ-მოქმედ ღვდელს შეყრის, რომელიც იმას წერაკითხვას ასწავლის, გზას უჩვენებს,—და „ვეფხვის ტყაოსანზე“ აღზრდილს და სიყმაწვილეში ზნეობითი დარღვევებით გამოკვებულ კაცში, რასაკვირველია, „ნასწავლი“ ლაპარაკი და შეფერილი ან ნამდვილი გრნობიერება ადვილი წარმოსადგენი და გასაგებია“³.

¹ „კრებული“, 1873, № 5—6, გვ. 422—423—424.

² იქვე, გვ. 426.

³ იქვე, გვ. 426—427.

საინტერესოა აგრეთვე ნ. ნიკოლაძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მღვდლის ტიპი „გლახის ნაამბობში“ ერთგვარად იდეალიზირებულია, ისევე, როგორც არ არის ტიპური გაბროს ზოგი თვისება. ჩვენი კრიტიკოსი 70-იან წლებში, „გლახის ნაამბობის“ განხილვისას, გარკვეულად აღიარებდა, რომ გაბროს გადაქარბებული რელიგიური გრძნობიერება და „ღვდლის ერთობ გადაქარბებული სიწმინდე და გულკეთილობა“, „აშკარად ეწინააღმდეგება ნამდვილ ცხოვრების სურათებს“. ნ. ნიკოლაძის ამ მითითებას ქეშმარიტად პროგრესულ-დემოკრატიული, რეალისტური კრიტიკის თვალსაზრისი უღვევს საფუძვლად.

შესაძლოა, რომ ეს შენიშვნები აღრევე ჰქონდა პირადად გზიარებული ი. ჭავჭავაძისათვის ნიკო ნიკოლაძეს. ამას გვაფიქრებინებს ნ. ნიკოლაძისადმი გაგზავნილი ი. ჭავჭავაძის პირადი ბარათის ერთი ადგილი. „ძმაო ნიკო,—სწერს ილია თავის ადრესატს,—უკანასკნელის შენის წიგნის საპასუხოდ გაუწყებთ შემდეგსა: ტყუილ-უბრალოდ შეუწუხებიხარ „გლახის ნაამბობის“ კორექტურის თაობაზედ. მე გთხოვე, მარტო უკანასკნელი კორექტურა გამომიგზავნოთ იმ პირობით, რომ მეორე დღეს უკანვე დაგიბრუნდეთ. „გლახის ნაამბობის“ გასწორება ფიქრად აღარა მაქვს, როგორც დაბეჭდილია, ისე გადაბეჭდეთ. დეე მაგ პირმშო ძემან ჩემმან ისე იაროს ქვეყანაზედ, როგორც თავდაპირველ შობილა. ვისაც არ მოეწონოს, გზა აუქციოს...“ შემდეგ მოსდევს ამ ნარკვევის დასაწყისში მოტანილი სტრიქონები: „რაც ახალი დამიწერია (იგულისხმება „გლახის ნაამბობის“ ახალი თავები—გ. ა.) მინდოდა შენთვის გამომეგზავნა, რომ შენ და კირილეს თვალი გადაგვევლოთ და მის შემდეგ თქვენ პირუთვნელი აზრი ჩემთვის გეცნობებინათ. ამ განზრახვასაც თავი დავანებე. რაც იქნება ის მოხდეს. ჩვენი პოეტისაგან ნათქვამია: ბრძენი სიფრთხილით წახდებო, მაგრამ ღლეული აუკაცო ან მოკლავს ან შეაკვდებო, ქართველი კაცი ვარ და უჭერებ ჩვენს ქართველ პოეტსა. რაც მინდოდა იმას კი ვიტყვი ჩემს „გლახის ნაამბობში“ და კარგად ვიტყვი თუ ცუდად—ამის დარდი ბევრი არა მაქვს“¹.

ამ სიტყვების მიხედვით შესაძლოა ვიფიქროთ, რომ „გლახის ნაამბობის“ შესახებ აღრევე ჰქონდათ აზრთა გაცვლა-გამოცვლა ილია ჭავჭავაძეს და ნიკო ნიკოლაძეს. ილიას, როგორც ჩანს, უნდოდა ნიკოლაძისათვის გაეგზავნა ეს მოთხრობა, რათა მეგობარ კრიტიკოსის „პირუთვნელი აზრი“ გაეგო, მაგრამ ეს განზრახვა შემდეგ მწერალს უარუყვია. ამ მხრივ, ჩვენის ფიქრით, საგულისხმო ნიუანსს შეიცავს ილიას კატეგორიული და ცოტა არ იყოს, გამომწვევი ტონით ნათქვამი ფრაზა: „დეე, მაგ პირმშო ძემან ჩემმან ისე იაროს ქვეყანაზედ. როგორც თავდაპირველ შობილა. ვისაც რა მოსწონს, გზა აუქციოს...“

დაუებრუნდეთ „გლახის ნაამბობის“ ნიკო ნიკოლაძისეული ანალიზის შეფასებას. თუ ჩვენ, ერთის მხრით, მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპების განხორციელება დავინახეთ ნ. ნიკოლაძის ზემოთაღნიშნულ რიგ შენიშვნაში „გლახის ნაამბობის“ მიმართ, მეორე მხრით, ჩვენი კრიტიკოსის ზოგ შენიშვნას თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა ეერ ვაიზიარებს. კერძოდ, არ შეიძლება ნ. ნიკოლაძეს დავეთანხმოთ იმის მტკიცებაში, რომ გაბრიელის გრძნობის სინარჩარე და ზნეობრივი სიფაქიზე შედგეგია მღვდლის მორალური ზემოქმედებისა².

¹ ი. ჭავჭავაძის წერილები ი. ბოცვაძის რედ., გვ. 54—55.

² „კრებული“, 1873, № 5—6, გვ. 426—427.

ნ. ნიკოლაძის ეს მოსაზრება სრულიად უმართებულოა, რადგან ქართველი გლეხის ზნეობრივი სამყაროს სისპეტაკე ილია ჭავჭავაძეს დიდი სიმართლით და დამაჯერებლობით აქვს გადმოცემული და იგი სრულიად ეთანხმება ნამდვილი ცხოვრების სურათებს. აქ გამოთქმული ცალკეული მცდარი აზრი, საბედნიეროდ, წინააღმდეგობაშია ნ. ნიკოლაძის მიერ მრავალჯგუფად გამოთქმულ უაღრესად მაღალ შეხედულებებთან ქართველი გლეხობის მორალური სიწმინდისა და სულიერი სილამაზის შესახებ. აღნიშნულ აზრს ეწინააღმდეგება ნ. ნიკოლაძე თვით დასახელებულ წერილშივე; სადაც ილია ჭავჭავაძის პოემა „კაკო ყაჩაღში“ დახატულ ქართველი გლეხების კეთილშობილური თვისებებით გაბრწყინვალეულ ტიპებს მაღალ შეფასებას აძლევს და პოემის ავტორს „მაღალი ლტოლვილების პოეტს“ უწოდებს.

ჩვენ გზადაგზა აღვნიშნეთ რიგი მნიშვნელოვანი მომენტებისა, რომლებიც ნიკო ნიკოლაძეს „გლახის ნაამბობის“ დადებით თვისებად მიაჩნია. როგორც ზემოთ დავინახეთ, ნიკო ნიკოლაძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „იდეალოზირებული რეალიზმის“ ჩრდილოვანი მხარეები ი. ჭავჭავაძის მხატვრულმა ნიჭმა შეამჩნია და რომ „იმის „გლახის ნაამბობში“ ეს სისუსტეები მეტის მეტად შემსუბუქებულნი არიან“.

ამ სუსტ მხარეებსაც ნიკო ნიკოლაძე ქართული ცხოვრების ისტორიულ-ობიექტური მიზეზებით არა მხოლოდ გეიხსნის, არამედ ამართლებს კიდევ. გლეხის ყოფის თავისებური იდეალოზაცია პასუხობდა მაშინდელ სოციალურ მოძრაობას. დროის საჭიროებას. მაგრამ ამ მომენტსაც რომ ყური არ ვათხოვოთ, კრიტიკოსის შეხედულებით, „გლახის ნაამბობი“ ბევრს ნიჭიერს და გრძნობით სავსე ფურცლებს წარმოგვიდგენს“. ეს მოთხრობა „ბევრს ხელოვნების მარგალიტს შეიცავს“¹. როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძე ნაკლის აღნიშვნასთან ერთად ასაბუთებს „გლახის ნაამბობის“ მაღალ მხატვრულ ღირსებებს.

აღსანიშნავია, რომ ნ. ნიკოლაძე მკითხველის ყურადღებას ამახვილებს „გლახის ნაამბობის“ ისეთ ადგილებზე, რომლებშიც ყველაზე მეტად გამოსჭვივის მწერლის საზოგადოებრივი ჰუმანისტური იდეები. კრიტიკოსს მთლიანად მოჰყავს მოთხრობიდან მაღალმხატვრული პასაჟები. ბრძნული დაკვირვებანი და აზრები, გამთბარი აღამიანის სიყვარულის გრძნობით.

ასეთი ძვირფასი თვლებით კიბობს მთელი მოთხრობა, ჩვენი კრიტიკოსის აზრით. „ერთი სიტყვით,—დაასკვნის იგი,—ძალათ თუ არ შევიკავებთ თავი, ამისთანა ჩინებული თვლების ამოწერა ას-ასობით მოგვიხდება“². ნ. ნიკოლაძის სიტყვით, „ცალკე ადგილების მშვენიერი სურათები, ენა, შედარებები, იგავები, ანდაზები და მარჯვეთ და მოკლეთ გამოთქმული დაკვირვებები“ ამკობენ ამ ნაწარმოებს. „გლახის ნაამბობის“ კრიტიკული ანალიზის დასკვნას, თავის საერთო მოსაზრებას ქართველი კრიტიკოსი შემდეგ სიტყვებში გამოხატავს: „ეხლანდელი ჩვენი საუბარი მარტო... ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძეს შეეხება, რომელსაც „კაცია-აღამიანი“ რომ არ დაეწერა, „გლახის ნაამბობი“ ჩინებულ თხზულებათ ჩათვლებოდა, მაგრამ რომლის თავი ჩვენ მკითხველ საზოგადოებას „კაცია-აღამიანის“ დამწერმა დააეწიყა.“³

ნიკო ნიკოლაძე ილია ჭავჭავაძის მხატვრული პროზის შედეგად თვლის „კაცია-აღამიანს“. მისი მტკიცებით. ეს თხზულება ახალი ეტაპია ქართული

¹ „კრებული“, 1873, № 5—6, გვ. 428—429.

² იქვე, გვ. 431.

³ იქვე, გვ. 434.

ლიტერატურის განვითარებაში. იგი კრიტიკული რეალიზმის ბრწყინვალე ძეგლია. რომელიც აღბეჭდილია ღრმად ეროვნული ხასიათით.

ნ. ნიკოლაძე აყალიბებს კრიტიკული რეალიზმის თეორიის შემდეგ ძირითად პრინციპებს: მხატვარმა უნდა ასახოს ნამდვილი ცხოვრების სურათები მათ ყველაზე ტიპიურ გამოვლინებაში, აჩვენოს სინამდვილის მწვავე წინააღმდეგობანი, რეალისტური ნაწარმოები გაუღენთილი უნდა იყოს ხალხურობით, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ხალხურ ფორმას, არამედ ხალხურ იდეებსაც, სინამდვილის მოვლენები გამოხატული უნდა იყოს კრიტიკული თვალსაზრისით და მწერალი მოწინავე მსოფლმხედველობით უნდა იყოს შეიარაღებული.

მატერიალისტური ესთეტიკის ამ მაღალ მოთხოვნებს, ნ. ნიკოლაძის მტკიცებით, სრულიად აკმაყოფილებს ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია-ადამიანი“. მწერალმა მთელი სიმართლე თქვა ქართული სოციალური სინამდვილის შესახებ. მხატვრულ სახეებში დაგვისურათა ცხოვრების მთავარი წინააღმდეგობანი. ამაშია ი. ჭავჭავაძის შემოქმედების პროგრესული და თან ღრმა, ხალხური ნაციონალური მნიშვნელობა.

განმარტავს რა რეალიზმის თეორიულ საფუძვლებს, ნ. ნიკოლაძე „კაცია-ადამიანი“-ს შესახებ წერს: „ილია ჭავჭავაძის თხზულებებში ჩვენ ვხედავთ მოთვლილი მოთხოვნილებების რიგიან გაგებას და დაკმაყოფილებას. მისი „კაცია-ადამიანი“ გვიჩვენებს, რომ „გლახის ნაამბობის“ ცდის შემდეგ იმას მალე გაუგია იმ მიმართულების სისუსტე, რომელზედაც ჩვენ ამ სტატიის დასაწყისში ვლაპარაკობდით, და მალე გაუცვანია ნამდვილათ ხელოვნური მწერლობის კილო და პირობები: „კაცია-ადამიანი“ გამორჩეული საგანი სწორეთ ისეა აღწერილი, როგორც ნამდვილ ცხოვრებაში არსებობს, და დაფასებულია პირდაპირი სჯით კი არა, სურათების ოსტატური შეზავებით და ერთმანეთზე გადაბმით.“¹

ქართველი კრიტიკოსის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ იგი კარგად სჭვრეტს ილია ჭავჭავაძის მხატვრული ტალანტის თავისებურებას და მწერლის შემოქმედებით ძალას ცხოვრების ღრმა რეალისტურ მხატვრულ აღქმაში ხედავს. „კაცია-ადამიანი“ მას ნიაჩნია ბატონ-ყმობის საბრალმდებლო აქტად. კრიტიკოსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ თხზულებაში ამბავი მოთხრობილია და დახატულია ისე, როგორც ნამდვილ ცხოვრებაში არსებობს, ხოლო მოვლენები შეფასებულია არა პირდაპირი სჯით, არამედ სურათების ოსტატური შეზავებით და ერთმანეთზე გადაჯაჭვით. ეს ნიშნავს, რომ ამ თხზულებაში სინამდვილის კანონზომიერებანი გადმოცემულია დიდი მხატვრული ლოგიკით, რაც მწერლის გენიალურ მხატვრულ ტაქტზე მიგვიბრუნებს. ამ თხზულებით ილია ჭავჭავაძემ შეძლო არაჩვეულებრივი შემოქმედებითი სიძლიერით, შეუფერავი სურათებით ემხილებინა ბატონყმობა და მთელი იმდროინდელი სოციალ-პოლიტიკური სისტემა. მწერალმა თავის მკითხველს თვალნათლივ დაანახა, თუ რამდენად საზიზღარო იყო ბატონ-ყმობის უსამართლო სოციალური ინსტიტუტი, როგორ ბოქავდა იგი ქართველი ხალხის ეროვნულ ენერგიას.

ნ. ნიკოლაძე აღიარებს, რომ ილია ჭავჭავაძე არა მხოლოდ „კაცია-ადამიანი“თ. არამედ რიგი თხზულებებით პასუხობს რეალისტური ლიტერატურის მაღალ მოთხოვნილებებს.

¹ „კრებული“, 1873, № 5—6, გვ. 424—425.

ქვეშარტ მწერალს უნდა ყოფნიდეს ტალანტის ძალა სინამდვილის პროცესების რეალისტურ-მხატვრული გააზრებისათვის, მას უნდა შეეძლოს დაიჭიროს ცხოვრების განვითარების მთავარი ტენდენცია და მოახდინოს მისი მხატვრული განზოგადება: „ამ ახალ მოთხოვნილებებს—შენიშნავს ნ. ნიკოლაძე,—აკმაყოფილებს ი. ჭავჭავაძის შემდეგი თხზულებები და განსაკუთრებით „კაცია-ადამიანი“.¹

ნ. ნიკოლაძეს განზრახული ჰქონია დაეწერა სპეციალური შრომა „კაცია-ადამიანი“ და ი. ჭავჭავაძის სხვა თხზულებებზე, რომლებიც, კრიტიკოსის მოსაზრებით, ახალ ეტაპს ქმნიდა მის შემოქმედებაში. „ჩვენ გავაცანით მკითხველს,—წერს ნ. ნიკოლაძე,—ჩვენი შეხედულება ილია ჭავჭავაძის ყმაწვილურ ცდებზე. მის ნამდვილ და გავლენიან შრომას კი, მის „კაცია-ადამიანს“, „სცენებს“ და სხვა ჩვენ როდესმე სხომის დაუბრუნდებით, მათი დაწვრილებით გასაშინჩველათ. მარტო მაშინ მკითხველს ნაჩვენები და გამოსატული ექნება ჭავჭავაძის ნამდვილი ღირსება და მნიშვნელობა, მისი ძალა და ხასიათი და მისი ნაწარმოების გავლენა ჩვენი მწერლობის ეხლანდელ მდგომარეობაზე და მომავალ ბედზე.“²

ამ სიტყვებიდანაც კარგად ჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ნ. ნიკოლაძე ი. ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებას არა მხოლოდ იმ დროის ქართული მწერლობისათვის, არამედ ქართული სიტყვიერი ხელოვნების მომავლისთვისაც. ქართველ კრიტიკოსს კარგად ესმოდა, რომ ი. ჭავჭავაძე მემკვიდრე იყო მდიდარი ქართული კულტურისა, მის საუკეთესო ტრადიციებს აგრძელებდა და თავის მხრით სრულიად ახალ საფეხურზე აპყავდა ქართული მხატვრული სიტყვა, ახალ პერსპექტივას უშლიდა მას.

მეტად მაღალ შეფასებას აძლევს ნიკო ნიკოლაძე ილია ჭავჭავაძის პოემა „კაკო ყაჩაღს“. ამ პოემის ავტორს იგი სახავს ჰუმანიური იდეალებისთვის გაბედულ მებრძოლად. ამ თხზულებაში, ისევე როგორც „კაცია-ადამიანში“, ჩვენი კრიტიკოსი განსაკუთრებით აფასებს ორი მოპირდაპირე კლასის თავად-აზნაურობის და გლეხობის სოციალურ წინააღმდეგობათა მხატვრული სიმართლით და ბუნებრივობით გადმოცემას. მას მოსწონს, რომ „გლახის ნაამბობთან“ შედარებით „რამდენიმე სურათში“ ნაკლები სენტიმენტალობაა და პოემის „მომქმედი პირების ხასიათის გამოხატვას შიგ უფრო მეტი ძალა და სიმტკიცე აქვს“. ტიპების გამომჩრწვის ამ მაღალ ხელოვნებაში პოეტს ორგანულად ჩაქსოვილი აქვს პროგრესული იდეოლოგია. „გლახის ნაამბობში“ და „კაკო ყაჩაღში“ ილია ჭავჭავაძე იჩენს მკითხველის ემოციებზე რეალისტური ხელოვნების ფსიქოლოგიური ზემოქმედების ძალას იმით, რომ იგი, ნ. ნიკოლაძის სიტყვებით რომ ვთქვათ,—„შესანიშნავი მწერალია და გრძნობით საესე პოეტი, რომელსაც პატრიოსანი თანაგრძნობა უღვივის გულში ყველასადმი, რაც ჩვენს უხეირო ცხოვრებას დაუჩაგრავს და ოხლად დაუტოვებია და მაღალი ლტოლვილება აქვს ყველაფრისადმი, რაც კაცის გულს აკეთილშობილებს, რაც საზოგადოებას ამალლებს, რაც ხალხს აბედნიერებს და მამულს სარგებლობას აძლევს ან უკეთეს მომავალს უმზადებს.“³

შეუძლებელია უფრო ღრმად და ალტაცებულ გრძნობით დაეახასიათოთ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების დემოკრატიული და ჰუმანიტური შინაარსი და

¹ „კრებული“. 1873, № 5—6, გვ. 413.

² იქვე, გვ. 434.

³ იქვე, გვ. 432—433.

საზოგადოებრივ-პატრიოტული იდეა, როგორც ეს მოცემულია სახელოვანი ქართველი კრიტიკოსის სიტყვებში.

5. ნიკოლაძე ი. ჭავჭავაძის მხატვრულ მემკვიდრეობას მკიდროდ უკავშირებს ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს და მის გმირულ ბრძოლას ნათელი მომავლის დამკვიდრებისთვის. ნ. ნიკოლაძე უკვე 60—70-იან წლებში ილია ჭავჭავაძეს ახასიათებს როგორც შეუღარებელ მხატვარს, როგორც ერის იდეურ ბელადს. მასში ხედავს ქართველი კრიტიკოსი ჩაგრულთა დამცველს, ჰუმანიზმის მესიტყვეს, სამშობლოს თავისუფლებისთვის თავდადებულ რაინდს.

ნ. ნიკოლაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში „გლახთა განთავისუფლების სცენებს“. ეს თხზულება ჩვენი კრიტიკოსის თხონით მისთვის გაუგზავნია პეტერბურგში თვით ავტორს. თარგმანი დაიბეჭდა ჟურნალში „Изяшная литература“ (1883 г. № VI, И. Г. Чавчаваძე, „Сцены из времён освобождения крестьян“ перевод с грузинского Н. Я. Николаძе).¹

ნ. ნიკოლაძეს ამ ნაწარმოებშიც რეალისტური მხატვრული ოსტატობა და საზოგადოებრივი შინაარსი მოსწონდა. „გლახების განთავისუფლების სცენები“, —წერს იგი, —იმნაირივე ხელოვნური მწერლობის მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ (როგორც „კაცია-ადამიანი“—გ. ა.) და ჩინებულად აკმაყოფილებენ და მეორეს მხრით თანამედროვე ცხოვრების საჭიროებას და საყოველთაო კითხვას პასუხს აძლევენ, სჯიან, აგრეთვე ოსტატურათ და სურათების ძალით“².

როგორც ვხედავთ, ჩვენს კრიტიკოსს ამ თხზულების ღირსებაზე საუბრის დროსაც მხედველობაში აქვს მაღალმხატვრული რეალისტური განზოგადების ხელოვნება. რომელიც პასუხობს „თანამედროვე ცხოვრების“ საჭირობორტო კითხვებს. იგი გმობს ცხოვრების დაყვანას ფოტოგრაფიის დონემდე.

ასაბუთებს რა პროგრესულ-დემოკრატიული კრიტიკის ერთ-ერთ აქტუალურ ფორმულას მებრძოლი პუბლიცისტიკისა და მხატვრული მწერლობის დაკავშირების შესახებ, ნ. ნიკოლაძე იქვე დასძენს:—„აქედამ არავინ ის დასკვნა არ უნდა გამოიყვანოს. ვითომ მწერლობას, ჩვენის აზრით, ნიადაგ და მარტო დღითი-დღითი ცხოვრების ფოტოგრაფიული გამოხატვა უნდა ჰქონდეს სახეში.“³

„მგზავრის წერილები“ ნ. ნიკოლაძეს მიაჩნია ქართული მხატვრული პროზის საუკეთესო ნიმუშად. ამ თხზულებაში კრიტიკოსი ხედავს ი. ჭავჭავაძის საარკაზმის ძლიერებას და ამ მახვილ მხატვრულ ხერხს, როგორც აღვნიშნეთ, უღარესად მნიშვნელოვან მოვლენად თვლის: „მწერლობაში,—წერს ნ. ნიკოლაძე,—დიდი გავლენა და ძალა აქვს მწვავ და სასტიკ სჯას, დაცივნას, ირონიას, მწერლის გრძნობის გამოთქმას, ლირიზმს, ერთი სიტყვით თვითონ მწერლის გრძნობის პირდაპირად გადაცემას მკითხველისათვის“⁴.

მხატვრული პროზის ამ ამოცანებს პასუხობს ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“. ნ. ნიკოლაძის სიტყვით,—„ი. ჭავჭავაძის ლექსები და „მგზავრის წერილები“ ხომ ჩინებულათ იმ დანიშნულებას ეთანხმებიან, რომელიც მწერლო-

¹ ეს გარემოება ირკვევა ნ. ნიკოლაძისადმი გაგზავნილი ი. ჭავჭავაძის ერთი ყრძობარათიდან, რომელიც დაკუთვნილია პაველ ინგოროყვასთან.

² „კრებულები“, 1873, № 5—6, გვ. 425.

³ იქვე, გვ. 423.

⁴ იქვე.

ბის საჭირო და გავლენიან ნაწილს შეადგენს. მისი გრძნობა და მისი სარკაზმის ძლიერება ამათში მეტის-მეტად სანუგეშო გავლენას წარმოგიდგენენ“.¹

ნ. ნიკოლაძეს თავისი შეხედულება გამოუთქვამს „ოთარაანთ ქერივის“ შესახებაც. ამ მოთხრობის განხილვისას, როგორც ამას ვაღმოგვეცემს ი. მანსვეტაშვილი თავის მოგონებებში—„წამოდგა ნ. ნიკოლაძე და ესეც კესოს გამოესარჩლა. ილიას არ მოსწონს, რომ კესომ შორს დაიჭირა თავი და გიორგის სულიერი ტანჯვა ვერც კი შეამჩნიაო და მიზეზად იმას ასახელებს, რომ სხვადასხვა წოდების ხალხნი არიანო, ერთი თავადის ქალია, მეორე—გლეხის შვილი, მათ შუა უფსკრულიაო. სხვადასხვა ნაპირასა დგანანო. ხმა ვერ მიუწვდენიათ ერთმანეთისათვისო. ხელს ვერ აწვდიან ერთმანეთს, რადგან ხილია მათ შორის ჩატეხილიო. აქ ჩატეხილი ხიდი არაფერს შუაშიაო. ხიდი რომ გასდოთ კიდევ, კესო და გიორგი მაინც ერთმანეთს ხელს ვერ მისცემენ, კესო გიორგის გულის წადილს პასუხს ვერ მისცემს. რატომ? მიზეზი იქ ხიდის უქონლობა კი არ არის, არც გეარისშვილობა, აქ კულტურული დაშორებაა. აბა გიორგი უბრალო მოჭამაგირედ, ისიც უსწავლელ უწიგნო კაცად არ მისდგომოდა კესოს კარებს! წარმოიდგინეთ, რომ გიორგის სწავლა მიეღო, ყოფილიყო, ვთქვათ, ინჟინერი, ექიმი, მასწავლებელი.—როგორ გგონიათ, კესო გულცივად შეხვდებოდა გიორგის, ამას რომ თავის გრძნობა ემცნო! არა, ეს შეუძლებელია, ეს ბუნების წინააღმდეგი იქნებოდა და კესო არც კი იკითხავდა გიორგი გლეხია. თუ თავადიშვილიო, სწავლამ, კულტურამ მათ შორის ჩატეხილი ხიდი შეაკეთა. გაამაგრა.“²

ნ. ნიკოლაძის ეს შენიშვნა ყურადღების ღირსია, მაგრამ ამ მოგონების მიხედვით ძნელია შევიფიქროვოთ წარმოდგენა ნ. ნიკოლაძის კრიტიკულ მიდგომაზე ი. ჭავჭავაძის შემოქმედების ისეთი დიდებული ძეგლის მიმართ, როგორიცაა „ოთარაანთ ქერივი“.

ილია ჭავჭავაძის რეალისტურ პოეზიას ნიკო ნიკოლაძე თვლის ქართული სიტყვიერი ხელოვნების უმჯობესეს განძად. ჩვენ გავეცანით მის შეხედულებებს „კაკო ყაჩაღის“ შესახებ. რომელშიაც პოეტმა, კრიტიკოსის სიტყვით, გამოხატა „მბაღალი ლტოლვილება ყველაფრისადმი, რაც კაცის გულს აკეთილშობილებს და საზოგადოებას ამაღლებს“.

ნ. ნიკოლაძის კონცეფციამ ი. ჭავჭავაძის პოეზიის ფორმის შესახებ ერთგვარი ევოლუცია განიცადა. 90-იან წლებში მან გამოთქვა აზრი, რომ ილიას ლექსები ფორმის მხრივ მძიმეა და ნაძალადევიო.³ ამ მხრით მას გაყავდა პარალელი აკაკის პოეტურ შემოქმედებასთან, რომელიც, კრიტიკოსის სიტყვით, ფორმის ვირტუოზობით ხასიათდება. ამ შედარებაში მართალია მხოლოდ ის, რომ აკაკის ლექსის ფორმა უფრო მსუბუქია და ჰაეროვანი, მაგრამ ჩვენი კრიტიკოსი უცილობდ ცდება ამ პერიოდში, როცა წერს—ი. ჭავჭავაძის ლექსი ნაძალადევიაო. რაც შეეხება ილიას ლექსის სიმძიმეს, როგორც მის ნაკლოვანებას. ეს აზრი არსებით კორექტივს საჭიროებს. ცნობილია, ერთ დროს პუშკინის და ლერმონტოვის პოეზიის შედარებისას ლერმონტოვსაც უკუიხიებდნენ ლექსის სიმძიმეს, რის წინააღმდეგაც გაილაშქრა ჩერნიშევსკიმ. დიდი რუსი კრიტიკოსი სამართლიანად წერდა: „Тяжестью стиха часто кажется энергия, поэтому говорят, что стих Лермонтова тяжелее стиха Пушкина, что решительно несправедливо“.

¹ „კრებულო“, 1873, № 5—6, გვ. 425—426.

² ი. მანსვეტაშვილი ი. მოგონებანი, 1936, გვ. 117.

³ „Новое обозрение“, 1889, № 1865.

90-იან წლებში აღნიშნული ლიტერატურული პარალელიდან ნ. ნიკოლაძეს გარკვეული საერთო დასკვნები გამოჰყავდა: მიუხედავად იმისა, — წერდა იგი, — რომ ასეთი დიდი განსხვავებაა თანამედროვე ქართული ლიტერატურის ამ ორი კორიფის ბუნებრივ ნიქს შორის, ილია ჭავჭავაძემ და არა აკაკი წერეთელმა დაიკავა მასში მეთაურის ადგილი და მისცა მას მიმართულება სრულიად სწორი და მტკიცე.“

ილიასა და აკაკის მხატვრული ტალანტის ნიკოლაძისებურმა გაგებამ სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია მაშინდელი ქართული ლიტერატურის წარმომადგენელთა ერთ ნაწილში. ნ. ნიკოლაძეს სამართლიანად უსაყვედურეს ამ შემთხვევაში ერთგვარი ცალმხრივობა და საკითხის არასწორად დაყენება.¹

ნ. ნიკოლაძემ ი. ჭავჭავაძის პოეზიის როგორც იდეური შინაარსის, ისევე მხატვრული ოსტატობის ღრმა და სწორი შეფასება მოგვცა 70-იან წლებში, როცა გამოქვეყნდა ი. ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობის ყველაზე მთავარი და უძვირფასესი ნაწილი.

ქართველი კრიტიკოსი ამ პერიოდში პირველყოვლისა ეხებოდა ილია ჭავჭავაძის პოეტური შემოქმედების ევოლუციის საკითხს. „აკაკი ყაჩაღის“ ავტორის ყრმობის ლექსებში იგი ვერ ხედავს ორიგინალურ თვისებებს, ისინი არ გამოირჩეოდნენ ქართული პოეზიის საერთო ფონიდან, მაგრამ ერთი მომენტი ასხვავებდა, ნ. ნიკოლაძის თვალსაზრისით, ყრმა პოეტს სხვა მისი თანამოკალმეებისაგან, — ეს იყო აზრის ძლიერება. ილიას ყრმობის პირველ ლექსებში, — წერს ნ. ნიკოლაძე, — „სხვა ჩვენ მწერლებზე უპირატესობა, აზრის ძალის მეტი, თითქმის არა იყო რა. ეხლანდელ მის ლექსებში კი, საზოგადოთ, სულ სხვა თვისებებს ვხედავთ ხოლმე.“²

თუკი ილიას სიყრმის ლექსებში ჩანდა აზრის ძალა, — კრიტიკოსის მტკიცებით, — იგი მითუმეტეს გაღრმავდა შემდეგ, მხატვრული ფორმის მხრით სრულყოფილ, ორიგინალურ ლექსებში, რომლებიც უკვე აღბეჭდილი იყო ნაციონალური თვითმყოფლობისა და ინდივიდუალური თავისებურების ბეჭდით. აქვე აღსანიშნავია, რომ იდეას, აზრს ნიკო ნიკოლაძე მისი დიდი მასწავლებლის ჩერნიშევსკის მსგავსად, თვლიდა ხელოვნების ცხოველმყოფელ სულად.

ნ. ნიკოლაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქართული მხატვრული კულტურის განვითარებაში ი. ჭავჭავაძის პოეტურ დაეჯეკაცებას. ამ დროს იგი გვევლინება უდიდეს ეროვნულ პოეტად, რომელმაც თავის შემოქმედებაში ასახა თავისი მშობელი ხალხის საუკეთესო თვისებები, თავისი ლექსები მთლიანად გაეღინთა ხალხურობით, პოეტი ღრმად დაეწაფა ხალხური პოეზიის წმინდა წყაროს. ნ. ნიკოლაძე გვაძლევს ილია ჭავჭავაძის პოეტური შემოქმედების ხალხურობის კლასიკურ დახასიათებას. ი. ჭავჭავაძის ლექსებში, წერს ნიკო ნიკოლაძე, — ჩანს ჩვენი ხალხის ენა, ხელოვნური სიტყვის თლილობა, სურათის უბრალოება და ძალა, და თან ნამდვილი გრძნობის შეუფერავი და მიინც ლაზათიანი გამოთქმა. ეტყობა, რომ ი. ჭავჭავაძეს ჩვენი ხალხის პოეზიისთვის ყური უთხოვებია, მის ხასიათს გაეცნობია, მისი სულით აღესილა, ჩვენი ხალხის ენა, მოაზრების კილო, აზრისა და გრძნობის გამოხატულება კარგა საფუძვლიანათ დაუნახავს და შეუესწავლია.“³

¹ ჟურნ. „კალი“, 1894, № 25.

² „კრებული“, 1873, № 5—6, გვ. 435.

³ იქვე, გვ. 435—436.

კრიტიკოსის მიერ აქ ხალხურობა გაგებულია არა მხოლოდ ფოლკლორული წყაროების ათვისებისა და გადამუშავების ასპექტში, არამედ ხალხური იდეების გამოხატვის თვალსაზრისითაც, კრიტიკოსის სიტყვები რომ გავიმეოროთ, ილიას შრომბელი ხალხის პოეზიასთან ერთად მისი აზრი და გრძნობა დაუნახავს და შეუთვისებია.

ჩვენი კრიტიკოსის შეხედულებით, ი. ჭავჭავაძის დამსახურება მდგომარეობს ღრმა ეროვნული, ხალხური იდეების მაღალ-პოეტური რეალისტური ოსტატობით გადმოცემაში, „პოეტური აზრის, ან სურათის რაც შეიძლება უფრო ნათლად და მშვენიერად გამოხატვაში.“ ამ მხრით, ნ. ნიკოლაძის მტკიცებით, — ილია ჭავჭავაძე გვერდს უმშვენიებს ნიკოლოზ ბარათაშვილს.¹

ნ. ნიკოლაძე ი. ჭავჭავაძის პოეზიის ხალხურობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მთელ ქართულ ლიტერატურას უსახავს იმ რეალისტური პოეზიის გზას, რომელზედაც დიდი ქართველი პოეტი იყო შემდგარი; რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედება აღესილია ხალხური პოეზიით, ხალხის აზრითა და გრძნობით, განაგრობს ნ. ნიკოლაძე—„ეს მეტისმეტად საქები და სასარგებლო საქმეა. ერთი მით, რომ ხელოვნურ მწერლობას ამით იარაღი უუკეთესდება და უძლიერდება და მეორე მით, რომ მისი გავლენა და მნიშვნელობაც ძლიერდება. ჩვენ მწერლობას ნამდვილი მწერლობის ძალა და ხასიათი მარტო მაშინ მიეცემა, როცა ჩვენ გავიცნობთ ხალხის გონებას და მოსაზრებას, როცა ჩვენ იმის ლაპარაკს და ენას ვაკვირვებით და იმნაირ წერაში გავიწაფებით, რომელსაც პირდაპირ ხალხის გრძნობამდი და გონებამდი მიწევა შეეძლოს. მარტო ამით მოვიპოვებთ ჩვენ ხალხის გულს, მარტო ამით შეუძენთ მწერლობას ძალასა და გავლენას, და მარტო ამით შევძლებინებთ იმას ხალხის სასარგებლოთ გამოსადგეს სამსახურს და გავლენიან შრომას.“² ამავე დროს ნ. ნიკოლაძე ი. ჭავჭავაძის თვლის შემქმნელად ახალი ქართული სალიტერატურო ენისა, რომელიც მწერალმა გაამდიდრა ხალხური მეტყველების ფორმებით...

ამის შემდეგ ადვილი გასაგებია, რომ ნ. ნიკოლაძე, თავის ლიტერატურულ მოწინააღმდეგეებთან კამათში, როგორც ახალი, რეალისტური პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშს, ასახელებდა ხოლმე ილიას ლექსებს „ქართველის დედას“, „მუშას“ და „გუთნის დედას“. ამ ლექსებში, რომლებსაც ნ. ნიკოლაძე თვლიდა 40-იანი წლების დემოკრატიული პოეზიის მანიფესტად, გამოხატული იყო ქართველი ხალხის სოციალური ტრაგიზმი. ამავე დროს „ქართველის დედა“ აღბეჭდილი იყო ისტორიული ოპტიმიზმით, ნათელი ეროვნული მომავლის რწმენით.

როგორც მეტბოლო დემოკრატი-მოაზროვნე და კრიტიკოსი ნ. ნიკოლაძე თავის პუბლიცისტურ წერილებში 60—70-იან წლებში იმავე მოწინავე სოციალურ და ეროვნულ იდეებს ატარებდა, რასაც ი. ჭავჭავაძე თავის ლექსებში.

დამახასიათებელია, რომ ერთ-ერთ წერილში, რომელიც გვერცენის „კოლოკოლიში“ დაიბეჭდა, ნიკო ნიკოლაძეს მოყავს პოეტური სტრიქონი ილიას ლექსიდან „მუშა“:

„ბატონის მათრახს ვერ გაუძელ, გამოქეულხარ!“

ნ. ნიკოლაძის ცნობილი სტატიის—„გლახთა განთავისუფლება საქართველოში“ რიგი ადგილები ეხმაურება ქართული სოციალური პოეზიის შედეგს—„მუშას“.

¹ „დროება“, 1871, № 26.

² „კრებული“, 1873, № 5—6, გვ. 436.

ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ნ. ნიკოლაძემ განიხილა მატერიალისტური ესთეტიკის მებრძოლი რეალისტური კრიტიკის პოზიციებიდან და მან პირველმა დააყრდნო მეცნიერულ საფუძველზე ი. ჭავჭავაძის შემოქმედებისა და აზროვნების შესწავლა. მან გვიჩვენა არა მხოლოდ ი. ჭავჭავაძის რეალისტური მხატვრული შემოქმედების ადგილი ქართული ნაციონალური კულტურის საგანძურში, არამედ დაგვისურათა ი. ჭავჭავაძე, როგორც მოაზროვნე, ერის სულიერი ბელადი, ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური განმათავისუფლებელი ბრძოლის მებაირახტრე.

ნ. ნიკოლაძის განხილული კრიტიკული შეხედულებანი გასულ საუკუნეში ზელს უწყობდა ქართული მწერლობის დემოკრატიზაციის პროცესს და ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ფართო პოპულარიზაციას.

ნ. ნიკოლაძემ ერთმა პირველთაგანმა დააფასა „კაცია-ადამიანის“ ავტორის უდიდესი ღვაწლი ქართველი ერის წინაშე და მთელი თავისი კრიტიკული ნიჭის სიძლიერით გააშუქა ილია ჭავჭავაძის კოლოსალური ფიგურა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.





ს. ხუციშვილი

ილია ჭავჭავაძის პირველი კრიტიკოსები

ილია ჭავჭავაძემ მკითხველი საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია 1861 წლის „ციცქრის“ აპრილის ნომერში დაბეჭდილი კრიტიკულ-პოლემიკური წერილის შემდეგ. ამ დროიდან ილია ჭავჭავაძის სახელი ქართული ლიტერატურული კრიტიკის ცენტრში დადგა, თუმცა ქართველი მკითხველი მას მანამდეც იცნობდა. ილია ჭავჭავაძის სახელი პირველად გამოჩნდა „ციცქარში“, როცა ეს ჟურნალი 1857 წელს ხელახლა მოველინა საზოგადოებას. ილია ჭავჭავაძემ მასში დაბეჭდა „ჩიტი“, რომელიც შეუმჩნეველი არ დარჩა „ციცქრის“ პირველი ნომრის შემფასებელს ნიკო ბერძნიშვილს („კავკაზ“, 1857, № 4—„რამდენიმე სიტყვა ქართული ლიტერატურის შესახებ“). „უკანასკნელი ლექსი—წერდა იგი „ჩიტის“ გამო,—მოგვეწონა, განსაკუთრებით, ბუნების უმწიკლო სიწმინდის აღწერით, სისუბუქისა და გამოთქმის ხმოვანების განა“¹.

ამჯერად არაფერს ვამბობ ილია ჭავჭავაძის წერილების—„ორიოდე სიტყვა“... და „პასუხის“ საპასუხოდ დაწერილ კრიტიკულ თხზულებებზე. ამ კამათის დროს ბევრი მოკამათეთათვის შეუფერებელი სიტყვა ითქვა, თუმცა ცხოვრების განვითარებამ დაადასტურა ვინ იყო მართალი და ვინ უნდა გამოსულიყო გამარჯვებული დიდი ბრძოლიდან. აღსანიშნავია ამ კამათის ზოგიერთი შედეგი, კერძოდ: ილია ჭავჭავაძე მოწინააღმდეგეთა შეხედულებებს გულდასმით სწავლობდა, მათ ზოგ მოსაზრებას იზიარებდა და იყენებდა კიდევ. მაგალითად, მან ბარბარე ჯორჯაძის ზოგიერთი ზესწორება მიიღო და ლექსში „თავად აღექსანდრე ჭავჭავაძეს“ რამდენიმე ადგილი გადააკეთა, ასევე შეასწორა შილერის ლექსის თარგმანი და „ელეგია“.

ცხარე კამათის დროს, 1861—1863 წლებში, ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შეფასება ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე. შეზღვევ, როცა უკვე შეიძლებოდა ნათელი გონებით მისი ნაწერების დაფასება, კიდევ გამოითქვა რამდენიმე სხვადასხვა ხასიათის ეოსაზრება. აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი: კამათის პირველი ტალღის შემდეგ ილია ჭავჭავაძეს უკვე იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ მწერლობაში, რომ რასაც არ უნდა შეეხებოდეს კამათი, მისი სახელის გარეშე იგი აღარ მიიმართება. ამ მხრივ აღსანიშნავია პაექრობა, გამართული დავით ჩუბინაშვილის მიერ 1863 წელს გამო-

¹ ნ. ბერძნიშვილი, რამდენიმე სიტყვა ქართული ლიტერატურის შესახებ, „კავკაზ“, 1857, № 4.

ცემულ „ქართულ ქრესტომათიასთან“ დაკავშირებით¹, დიმიტრი ჯანაშვილსა და ვინმე ლვიმელს² შორის.

1865 წელს „ციხიკარში“ დაბეჭდილ წერილში—„ჩვენი დროების მწერლები“ ლვიმელი შეეხო რამდენიმე პრინციპულ საკითხს: როგორი ენით უნდა იწერებოდეს თხზულება, როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება ძველი მწერლობისადმი და რა მასალა უნდა შეეტანა დავით ჩუბინაშვილს ქრესტომათიაში. ლვიმელის მოსაზრებანი აქტუალური იყო, ავტორი იღვანა ახალი დროის მოთხოვნილებათა სიმაღლეზე; მისთვის სრულიად ცხადია, რომ ლიტერატურა ცხოვრებას უნდა მისდევდეს, რომ მწერლობა ხალხის საარსებო მოთხოვნილებას უნდა ემსახურებოდეს. ლვიმელი მსჯელობს ლიტერატურული ნემკვიდროებისადმი მისი თანამედროვეობის დამოკიდებულების შესახებ და, ამასთან, თუ როგორი უნდა იყოს მხატვრული გამოსახვის საშუალებანი, რომ მკითხველმა ნაწარმოები გაიგოს და აითვისოს.

დ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი ქრესტომათიის განხილვისას ლვიმელი შეეხო მასში წარმოდგენილ მასალას და ერთ-ერთ მთავარ ნაკლად შემდგენელს ჩაუთვალა ძველი ლიტერატურით შემოფარგვა. ავტორი შენიშნავდა, რომ ქრესტომათიაში უდიდესი ადგილი თანამედროვე ლიტერატურას უნდა ეჭიროს, რადგან იგი არის გამომხატველი ჩვენი ცხოვრების მრავალფეროვნებისა და სიბრტყლისა. თანამედროვე მწერალთაგან ლვიმელი ასახელებდა აკაკი წერეთელსა და ილია ჭავჭავაძეს, როგორც ისეთ მწერლებს, რომელთა შემოქმედებაც გამოძახილია ახალი ცხოვრების მოთხოვნილებებისა. ლვიმელის სიტყვით, დ. ჩუბინაშვილს ყურად არ უღია არც თხზულებათა ღირსება, არც დამწერთა ცხოვრების დრო და, სიძველით გატაცებულს, მხოლოდ ადრინდელი მწერლების თხზულებები შეუტანია წიგნებში. „ვინც ძველი გვარის ანდა ადგილით შესანიშნავი იყო, ეგონა თუ იმის ლექსებიც ღირსშესანიშნავი იქნებაო, ანდა პოეზიაშიდაც ისე გვირგვინოსანი და მირონ ცხებული იქნებაო, როგორაც ის პირები ამ ქრესტომათიაში მოკრძადავითა შორის განირჩევიან“. „გვირგვინოსან“ მწერალთა შორის ლვიმელი ასახელებდა თეიმურაზ პირველს, მდივანბეგ ქაიხოსრო ანდრონიკაშვილს, ნამოდურალ ზაქარია გაბაშვილს და სხვათ. იგი გულსიტყვილით აცხადებს, რომ ქრესტომათიაში ნი-იანი წლების მწერლებს ადგილი არ ეთმობათ—„ამ ჩემნი დროს მწერლების ერთი ლექსიც არა აქვს დაბეჭდილი“, ამიტომ გაცხარებული მიმართავს შემდგენელს: „მიჩუქნოს უფ. ჩუბინაშვილმა... რომელიც შევდრებოდეს უფ. წერეთელსა და ი. ჭავჭავაძეს? ეკვი არ არის, რომ ვერც ერთი იმისაგან დაბეჭდილი ლექსი ვერ შევდრება წერეთლის და ჭავჭავაძის ლექსებს, იმაშიდაც ეკვი არ არის, რომ ეს ორი ჩემნი მწერლები ისე ამაღლებულნი არიან წარსული საუკუნის მწერლებზედ ნიქით და ტალანტით, როგორც მზე მიწიდანა“.

თავისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრებით დაინტერესებული ლვიმელი მწერლებს აფასებს მათი შემოქმედების აქტუალობის მიხედვით, საზო-

¹ ქართული ქრესტომათია, ანუ გამოწერილნი სტატიები სხვათა და სხვათა ჩინებულთა მწერალთაგან, პეტერბურგი, 1863 წ., ორ ნაწილად—ქართული პროზა და ქართული ლექსები.

² შეიძლება ეკვით ითქვას, რომ ლვიმელის ფსევდონიმს ამოფარებულია სამსონ აბაშიძე, ილიას თანამზრახველი და ტალი. ლვიმელის ზოგიერთი ფრაზა ჭავჭავაძის სამსონ აბაშიძისას. ახალთაობის მხარეზე ზემო იმერეთიდან იგი გამოდიოდა და მღვიმევი სოფელია იმ რაიონში, სადაც დაიბადა სამსონ აბაშიძე.

გადოებრივი ღირებულებით და მოქალაქეობრივი მოტივების წინ წამოწევის თვალსაზრისით. ძველი მწერლობის ზოგიერთი წარმომადგენლის უდიდობისა და საზოგადოებრივი ინტერესის უქონლობის ნიმუშად მას თეიმურაზ პირველის თხზულება გამოუყენებია, საიდანაც ამოუწერია კიდევ ადგილი, რომელშიც მეფე-პოეტი რაჭაში უნებურად ცხოვრების შესახებ მოსთქვამს:

გათავდა ეს ამბავი, იგ კთხვა-არაკობანი,
სიტყვისა შესხმა რიტორად, ენის სამკაულ-მკობანი,
არც სიხარული სულისა, არც არა ზატაკობანი,
უსაქმოს მოწყენილისა ცული რამ ტიკტიკობანი.
ცულად წოლით და ვღებითა ეს მიმაგონა რაჭაშა,
ორმოს ჩამავლო სოფელმან, ძირს ჩამიტანა რა ჭამა...
ღმერთო, ნუ მიწყენ ამ ცულსა ლაყაბსა, მიღმოდგებას...¹

პოეტის ამ აღიარებაში ლეიმელა ხედავს არა პოეტურ მოწოდებასა და მოქალაქეობრივ ზრუნვას, არა პოეტური განცდის შედეგს, არამედ სიზარმაცისა და მოწყენილობისაგან თავის დაღწევის საშუალებას. „შამიფარვანინი“ ლეიმელის აზრით, უსარგებლო თხზულებაა, „მიდმოდების“ შედეგი, „ცული რამ ტიკტიკობა“. თეიმურაზ პირველისა და სხვათა მის მსგავსთა საპირისპიროდ ლეიმელს ახალი ქართული ლიტერატურის სამი წარმომადგენელი ჰყავს დასახელებული, რითაც იგი ერთმანეთს უპირისპირებს ქართული ლიტერატურის ორ ეტაპს. ამ დაპირისპირებაში ლეიმელი წინ წამოწევის საზოგადოებრივ მოტივს, მოყვასთათვის ზრუნვის გამოხატულებას, როგორც ახალი ქართული ლიტერატურის შენატენს. ლეიმელს სანიშნოდ მოაქვს ნ. ბარათაშვილის „მერანი“, მაგრამ კრიტიკოსი ამით არ კმაყოფილდება. მართებული შემთავსებელი ბარათაშვილისა, იგი მიმართავს ილიას და აკაკის შემოქმედებას, და მათ ნ. ბარათაშვილის სიმალღეზე აყენებს, რადგან, ნ. ბარათაშვილის მსგავსად, მათ საკუთარ თავზე და უბედურებაზე კი არ იტირეს, როგორც თეიმურაზმა, არამედ გამოხატეს საზოგადოებისთვის ზრუნვა. ლეიმელი იმოწმებს ილიას სიტყვებს—„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში“ და აკაკის ლექსს—„საბრალო გული“. ლეიმელს ხელსაყრელი ნიმუშები აქვს მოტანილი იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად მძლავრი იყო ახალი დროის სამ პოეტში ხალხის სამსახურის გრძნობა, მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნება და სურვილი მოძმეთა ბედისათვის ზრუნვისა. ძველი ლიტერატურის ერთი დიდი წარმომადგენელი კი თავის ერთ-ერთ საუკეთესო თხზულებაში აღიარებს საკუთარი შემოქმედების არაკობას, ლაპარაკობს უსაქმოდ წოლაზე და ხელმოღუნებული ღმერთს შეთხოვს ხსნასა და იმედს.

ამრიგად, ორი ეპოქის პოეტების შემოქმედების ხასიათის დაპირისპირების შედეგად ლეიმელი ასკვნის, რომ ჩუბინაშვილის ქრესტომათია არ უპასუხებს დროის მოთხოვნილებას და ხელოვნურად ანელებს თავის მიერ შედგენილი წიგნის აქტუალობას, რადგან თანამედროვეთა პოეტური შემოქმედება არ გაუთვალისწინებია ჯეროვნად. ილია ჭავჭავაძე, ნიკ. ბარათაშვილსა და აკაკი წერეთელთან ერთად, ლეიმელის მიერ მართებულად არის

¹ „შამიფარვანინის“ ბოლოსიტყვაობა, იხ. თეიმურაზ პირველი, გვ. 23.

შეფასებული, მის მიერ სწორადაა დანახული და გაგებული მისი შემოქმედების მნიშვნელობა.

ლეიმელის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი უპასუხოდ არ დარჩენილა. იმავე წელს მას გამოეხმაურა დიმიტრი ჯანაშვილი. ლეიმელისა და დიმიტრი ჯანაშვილის გაკამათება ერთი მომენტი აორი მსოფლმხედველობის დაპირისპირებისა, ამდენად ორი აზრის ურთიერთობის ისტორიაში 60-იან წლებში მათი სახელების მოხსენება ამ ბრძოლის მონაწილეთა რიცხვს აღიდებს. დიმიტრი ჯანაშვილმა დაიცვა დ. ჩუბინაშვილის ქრესტომატიის შედგენილობა და ამრიგად მაშინდელი ახალი თაობის მხატვრული შემოქმედების წინააღმდეგაც ანოილო ხმა.

დ. ჯანაშვილის გამოსვლა იყო გამტკიცება ბ. ჯორჯაძის, გ. ბარათაშვილისა და სხვათა რაზმისა. მიუხედავად იმისა, რომ 1865 წელს უკვე გარკვეული იყო ძალთა სხვადასხვაობა და განსაზღვრულიც მხატვრული სიტყვის როლი საზოგადოების სამსახურის საქმეში, დიმიტრი ჯანაშვილი მაინც თავს ესხმის ლეიმელს და ირონიით შენიშნავს, იმეორებს რა მის სიტყვებს: „ილია ქავჭავაძე და აკაკი წერეთელი ასეთი დიდი გენიოსები არიანო, რომ რუსთაველს არ დაუვარდებიანო და დ. ჩუბინოვს ამათი ლექსები რატომ არ დაუბეჭდია თავის ქრესტომატიაშიო“. მაშინ უკვე სახელმოხვეჭილი ახალგაზრდა მწერლების — ილიასა და აკაკის შემოქმედება ჯანაშვილს არად ჩაუგდია, უსარგებლოდ და ურეზონანსოდ მიუჩნევია. დ. ჯანაშვილი მათ ზარმაცებს უწოდებს, მათი ნიჭი უსარგებლოდ ჩაუთვლია, ისინი ღირსნი არ არიან ქებისა და დაფასებისაო. „რომ განთიადის ცისკარივით თავი ამოაყოფინა თავის ჟურნალს და მერე ისე საჩქაროდ გააქრო, რომ ვერც კი დავინახეთ კარგათა. აი ეს არის შენი „გენიოსი“ ილია ქავჭავაძე თავის საქმითა! იმას თურმე მარტო ეფუფეკტისათვის სურვებია თავის ჩქურნება ხალხისათვის და არა იმისათვის განიოცა თავის ჟურნალი, რომ სარგებლობა მოუტანოს ქართველობას“¹.

ჯანაშვილის სიტყვები იმას მოწმობენ, რომ მათ ავტორს ვერ გაუგია „საქართველოს მოაზრებში“ წამოყენებული მოსაზრებანი, ვერ გარკვეულა პოლიტიკურ ვითარებაში, ვერ გაუგია ის სხვაობა, რაც არსებობდა რევოლუციონერ-დემოკრატიულ ინტელიგენციასა და გაბატონებულ სისტემას შორის, ვერც იმ სიტყვებში, რომლითაც ილ. ქავჭავაძე მიმართავდა მკითხველს თავისი ჟურნალის მეშვეობით. „საქართველოს მოაზრის“ დახურვა მას მიუჩნევია ილია ქავჭავაძის შეხედულებათა განელებად, კაპრიზად და უპრინციპობად. „საზოგადოების და მამულის მოყვარე, ერთგული შვილი მამულისა, მისთვის სიყეთის და ბედნიერების მსურველი, — ამბობს ის, — მარტო ლაპარაკით არ გაატარებს დროს, საქმესაც გააკეთებს, ისე მოკვდება, რომ რამე სხსოვარი თავის ამ საწუთროში ყოფნისა კეთილად მოსაგონებელი რანე დატოვოს“. ილია ქავჭავაძეს რომ მხოლოდ ლაპარაკი ჰყვარებია და არა საქმე, იქიდან ჩანსო, — წერდა დ. ჯანაშვილი, — რომ მან თავისი „გლახის ნაამბობი“ და „კაცია აღამიანი“ წიგნებად არ დაბეჭდა და ხალხში არ გაავრცელაო. „თითონ ამბობდა, რომ ცამ ტკბილი ხმებისთვის არ გამოგზავნა, არამედ იმისთვის, რომ ხალხის მოძმედ იყოს კმუნებასა და სიხარულში და წარუძღვეს წინა ერსა“, მაგრამ ეს ლიტონი სიტყვებია და არა საქმეო. რად-

¹ „მახე“, წერილი დ. ჯანაშვილისა, „ცისკარი“, 1865 წ., № 11.

გან ილიას და მის ამხანაგებს არა გაუკეთებიათ რა, თავისი სიტყვები არ გაუმართლებიათ, მაშ არც მნიშვნელოვანი ყოფილან და რაღა გასაკვირველია ასეთი უმნიშვნელო პოეტების თხზულებები დაეით ჩუბინაშვილმა ქრესტომათიაში რომ არ შეიტანაო.

ვრცელი და მნიშვნელოვანი კრიტიკული წერილი ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის“ შესახებ გამოაქვეყნა ანტონ ფურცელაძემ 1864 წ. გაზეთ „კავკაზის“ ლიტერატურულ დამატებაში—„Литературный вѣстник“ (№№ 3—9). კრიტიკოსის მიზანი ყოფილა ილ. ჭავჭავაძის აღნიშნული თხზულებისათვის ადგილის მიკუთვნება ქართულ მწერლობაში, რადგან ილიას ამ და სხვა თხზულებებთან დაკავშირებით მრავალი მითქმა-მოთქმა ყოფილა და ზოგიერთს ისიც კი უთქვამს—„გლახის ნაამბობის“ ავტორთან შედარებით რუსთაველი არაფერიაო.

ანტონ ფურცელაძის განმარტებით, მოთხრობა მნიშვნელოვანია მით რომ იგი ცხოვრებასთან შეუდარებლად ახლოს დგას, იგი არის აღწერა „თათქარიძეშინასია“. კრიტიკოსი თხზულების განხილვას იყენებს თათქარიძეობის დასაგმობად, გამოთქვამს პროტესტს უსაქმურობა-უმოქმედობის წინააღმდეგ, შეფასებას აძლევს იმ პირობებს, რამაც წარმოშვა თათქარიძეობა. წერილს ეტყობა ცენზურის გავლენა, ამიტომ კრიტიკოსი მეტწილად თხზულების ნაწილების ციტირებას მიმართავს, საკუთარი მსჯელობა-დასკვნებისაგან თავს იკავებს. შინაარსისა და პერსონაჟთა ხასიათების გადმოცემით ან. ფურცელაძე ოსტატურად აკრიტიკებს საზოგადოებრივ ცხოვრებას, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიურ ვითარებას, რამაც წარმოშვა ლუარსაბი, დარეჯანი, დაეთი, ელისაბედი, სუტკენიანა... კრიტიკოსი ნაწარმოების ავტორთან ერთად ზიზლით უტკერის თათქარიძეობას. თხზულებაში აღწერილი მრავალი პასაჟი შეფასებულია როგორც სინამდვილის ტიპიური სურათი. ლუარსაბის სახლ-კარის აღწერაში დანახულია ჩვეულებრივი სურათი ქართველი მემამულის ყოფისა. თათქარიძეობა ნიშნავს მაღალი სოციალური ფენის ცხოვრებას მილიონების ხარჯზე, ამ მილიონების წამებას, განადგურება-გაპარტახებას. ლუარსაბის სახეს კრიტიკოსი ზოგადად წარმოადგენს. ეს სახე, როგორც ზოგადის კონკრეტული მაჩვენებელი, ტიპიურია, მასშია განსახიერებული თათქარიძეობა, რომლის ფიზიკური და ზნეობრივი ლაობის მიზეზი არის ექსპლოატაციის ველური წესი. „კაცია, ადამიანი“, არის შეუბრალებელი და მოურიდებელი მხილება იმ საზოგადოებისა, რომელიც აცილებულია აღზრდა-განვითარების ნორმალურ წესებს. ჩამორჩენილი და ყრუ საზოგადოებრივი აზრი, შეუგნებელი წრე მოზარდში ყველაფერს ადამიანურს ანშობს. დარეჯანი, მიუხედავად იმისა, რომ ავტორის მიერ ლუარსაბთან შედარებით მკრთალად არის დახატული, კრიტიკოსის მიერ შეფასებულია როგორც ნიმუში ენერჯისა და მოთხოვნილების მქონე ადამიანისა, რომელსაც ბუნებით აქვს საქმის კეთების, მოძრაობის სურვილი, მაგრამ რომელსაც უწყსო აღზრდის გამო წართმეული აქვს საშუალება თავისი ფუსფუსით შექმნას რაიმე სასარგებლო. ანტ. ფურცელაძის აზრით ლუარსაბი მეტად ზოგადი სახეა, მასში ძლიერ მცირეა ქართულ-ნაციონალური. ხასიათით, ქცევით, გონებით და მსოფლმხედველობით კრიტიკოსი ლუარსაბს ობლომოსა და

ივან ნიკიფოროვიჩის შუა აყენებს. ლუარსაბის მსგავსთა მონახვა, კრიტიკოსის აზრით, საქართველოს გარეთაც შეიძლება.

სამაგიეროდ დავითი—ლუარსაბის ძმა, წმინდა ქართულ მოვლენად არის მიჩნეული ანტ. ფურცელაძის მიერ. დავითის მსგავსები ყოველ ნაბიჯზე იპოვებიან ჩვენშიო—წერს იგი. ანტ. ფურცელაძის აზრით, მოთხრობაში დავითს ნაკლები ყურადღება ექცევა, მაგრამ მასში უფრო მეტია ქართული, ვიდრე ლუარსაბშიო. მასში ნაკლებადაა ისეთი ელემენტი, რაც შეიძლება სხვა ხალხის შვილის თვისება იყოს. დავითი შვილია თავისი ხალხისა, საქმიანი და თავაზიანი, აკეთებს ყველაფერს, რის გაკეთებაც კი შეიძლება. იგი ისე არაა მოქცეული ცრუ აზრების გავლენის ქვეშ, როგორც ლუარსაბი. მას შეუძლია მარხვაში სამხსნილო მიიღოს, კასტური აზრები, მართალია შეუგნებლად, მაგრამ მოცილებული აქვს: იგი მინდორშიც დადის და არავისი არ ერიდება, ამასთან მას არაფრად უღირს სინდისს უღალატოს. იგი სხვას დახმარების ხელს გაუწვდის, თუ ამაში არაფერს თავისთვის საზიანოს არ დაინახავს, მაგრამ, მიეცემა თუ არა შემთხვევა სარფის მიღებისა, ჭუჭყიანი საქმისაგან უკან არ დაიხვეს. ამის დასადასტურებლად ანტ. ფურცელაძე იხსენებს ეპიზოდს, როცა მოსე გძელაძემ დავითი ათი თუმნით გააჩუმა და ლუარსაბს მზეთუნახავის მაგიერ კოთხონჯი დარეჯანი ამოუყენეს ეკლესიაში გვირგვინის ქვეშ.

ანტ. ფურცელაძეს უნდა შეენიშნოთ, რომ მას დავითი ქართველი ხალხის სინონიმურ სახედ ჰყავს წარმოდგენილი.

კრიტიკოსს საქმაოდ მახვილგონიერად ყავს დახასიათებული ელისაბედი და სუტკენინა. ელისაბედის მსგავსი ქალების აღწერა შეუძლია, მისი აზრით, ან გოგოლის მახვილ კალამს, ან ოსტროვსკის მოხდენილ ენას, თუმცა ამით ანტ. ფურცელაძე არ ფიქრობს რაიმე ჩრდილი მიაყენოს მწერალს. „ელისაბედები, — წერს იგი, — განსაკუთრებულ სიამოვნებას პოულობენ ადამიანთა გადაკიდებაში. მივლენ ერთთან და მეორეზე ისეთ რამეს მოჩამახვენ, როგორსაც თვით დიდი იურკევიჩიც კი ვერ მოისაზრებდა თავის ლექციებში მატერიალისტების წინააღმდეგ“. ასევე ახასიათებს სუტკენინასაც. მისი არსებობა ანტ. ფურცელაძეს მიჩნეული აქვს ქართველი საზოგადოების ნაკლოვანებად, რამდენადაც ეს ქალი შუამავალ-მაჰანკალია და ჯერ კიდევ მის საქმიანობას გასაველი აქვს საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ყველა ფენა უსიმატიოთ უცქერის მაჰანკალს, მაინც იგი აუცილებელი ელემენტია ქართველი ქალების კარჩაკეტილობისა და ჩამორჩენილობის წყალობით. აქამდე ჯერ კიდევ ბევრიაო, — წერს ანტ. ფურცელაძე, — თვით მალაღ წრეებშიც კი იმისთანა, რომ უცხო კაცს ქალს არ აჩვენებსო. მაჰანკალის არსებობა ანტ. ფურცელაძეს შეფასებული აქვს, როგორც მაჩვენებელი ქართველი ქალების უმოქმედობისა, რომ ეს ქალები სულაც არ ცდილობენ მოიშორონ უღირსი და დამამცირებელი უღელი და საზოგადოების საბურველ-ახდელ წევრებად იქცნენო.

როცა ანტ. ფურცელაძის ამ მნიშვნელოვან კრიტიკულ მიმოხილვას ვეცნობით, გაგვახსენდება ნ. დობროლიუბოვის წერილი — „Что такое обломовщина?“ დობროლიუბოვმა, ანტ. ფურცელაძის შეხედულებისაგან განსხვავებით, გონჩაროვის რომანის „Обломов“-ის მთავარი გმირი ნამდვილ რუსულ მოვლენად მიიჩნია. „В типе Обломова и во всей этой обломовщине мы видим нечто более, нежели просто удачное создание сильного талан-

та; мы находим в нем произведение русской жизни, знамение времени¹. ობლომოვი და მისი წინამორბედები რუსულ ლიტერატურაში, ონეგინიდან დაწყებული, დობროლიუბოვმა მონათლა „ძირეულ, ჩვენ სახალხო ტიპებად“. ობლომოვის უმოქმედობა, ნ. დობროლიუბოვის შეხედულებით, არის შედეგი მისი სოციალური წარმოშობისა, აღზრდის პრინციპებისა, რომელიც გამო-მუშავებული იყო ფეოდალური ექსპლოატატორული ფსიქოლოგიით. ობლო-მოვს ჰყავს ზახარკა და კიდევ სამასი ზახარკა, რომელნიც მას ტანსაცმელს ჩააცმევნენ, ლუქმას პირში ჩაუღებენ, ყველაფერში მოემსახურებიან. ობლომოვმა პატარობიდანვე შეითვისა და შემდეგ ურყევე აზრად გადაეცა, რომ ყველა-ფერი უნდა აკეთოს მოსამსახურემ, ხოლო „папешка и маменька только рас-поряжаются да бранятся за дурное исполнение“². ილია ობლომოვმა ისიც შეითვისა ბავშვობიდანვე, რომ წოლა ბევრად ჯობია, ვიდრე მუშაობა და ფუსფუსი. მას გამოუმუშავდა ზიზლი და აპატია მოძრაობისადმი. დობრო-ლიუბოვი მოხდენილად ახასიათებს ობლომოვის უქნარობას: „гнусная при-вычка получать удовлетворение своих желаний не от собственных усил-лий, а от других,—развила в нем апатическую неподвижность и поверг-ла его в жалкое состояние нравственного рабства“³. ობლომოვმა არა იცო-და რა სოფლის საქმეებისა, მას საერთოდ არც კი შეეძლო ცხოვრება გა-ერკვია და აზრი შეემუშავებინა მასზე. ობლომოვის ბედნიერების იდეა-ლია გაძღობა და, როგორც დობროლიუბოვი წერს: „в халате, крепком сн... и в созерцании того, как крестьяне работают“⁴.

როგორც ჩანს ანტ. ფურცელაძე ისე აფასებდა ლუარსაბ თათქარიძეს, როგორც ნ. დობროლიუბოვი ილია ობლომოვს. თვით ტერმინი „თათქარი-ძეშენიან“ თავისთავად საინტერესოა, როგორც რუსული „обломовщина“-ს მსგავსი. ობლომოვის დობროლიუბოვისეულ დახასიათებაში ანტ. ფურცელა-ძემ ბევრი რამ ისეთი დაინახა, რის მიყენებაც შეიძლებოდა ლუარსაბისადმი და ამიტომაც ილია ჭავჭავაძეს შენიშნა, რომ ლუარსაბი არაა ქართული მოვ-ლენა, მისი მსგავსი ტიპების მოძებნა სხვაგანაც შეიძლებაო და ძირითადში გონჩაროვისა და გოგოლის შემოქმედებას გულისხმობდა. ამდენად, ასკენიდა ანტ. ფურცელაძე, ლუარსაბის სახე ნაკლებ ორიგინალურია, მისი სახის შექმნაში აეტორს ნაკლები შრომა დასჭირდაო.

დობროლიუბოვისაგან განსხვავებით ანტ. ფურცელაძე ქართულ საზო-გადოებრივ ცხოვრებაში და ლიტერატურაში არ ეძებს გმირის ისტორიულ ძირს. ქართველ კრიტიკოსს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურაც არ უქმნიდა ამის საფუძველს.

ნაწარმოების შინაარსის თხრობისა და პერსონაჟთა დახასიათების შემ-დეგ ანტ. ფურცელაძე არკვევს იმას, თუ როგორ გადაწყვიტა მწერალმა და-სახული ამოცანა. ანტ. ფურცელაძის კრიტიკის ეს ნაწილიც საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში გამოჩნდა წინააღმდეგობა კრიტიკოსის დასკვ-ნებსა, ერთის მხრით, და ნაწარმოების შინაარსსა და პერსონაჟთა ინტერ-პრეტაციას შორის, მეორეს მხრით.

¹ «Что такое обломовщина?» Н. Добролюбов, Сборник сочинений в трех томах, т. II, 1951. стр. 113.

² იქვე, გვ. 115.

³ იქვე, გვ. 117.

⁴ იქვე, გვ. 118 და 119.

გარდა ლუარსაბის ხასიათისა ანტ. ფურცელაძემ მოთხრობის ყველა ელემენტი ნაცნობად და ადგილობრივ, ქართულ მოვლენათა ანარეკლად აღიარა. მიუხედავად ამისა, გამოიტანა დასკვნა, რომ ილია ჭავჭავაძეს ნაწარმოები დაუწერია სხვადასხვა ავტორების გავლენით და ამდენად აღებული ვალდებულება კეთილსინდისიერად ვერ შეუსრულებიაო¹.

კრიტიკოსს შეიძლება დავეთანხმოთ იმაში, რომ ლუარსაბის ხასიათი არაა ზუსტად ქართული და, რომ ავტორი, კრიტიკოსის სიტყვით „ზნირად მიაწერს თავის გმირს ისეთ საგნებს, რომელნიც არ ეთანხმებიან ქართველის ირგვლივ არსებულ საარსებო პირობებს“, რომ „ზოგჯერ თათქარიძეში წმინდა რუს მემამულესა ხედავთ, ზოგჯერ კი არც ისაა, არამედ ხელში რჩება რაღაც ამოკაიებული, უშუალოდ შეკოწიწებული“, მაგრამ გარდა ლუარსაბისა, მან ნაწარმოებში დაინახა ბევრი რამ ისეთი, რაც მწარე ფიქრების ამშლელი იყო, რაც ნაცნობ ადამიანებსა და მათ შორის ურთიერთობას გაიხსენებდა. დასკვნაში კრიტიკოსი ამის შესახებ არას ამბობს.

ნაწარმოების ერთგვარ ნაკლად კრიტიკოსს ლუარსაბის სახის გადაქარბებულიად დახატვაც მიუჩნევია. კრიტიკოსი ილია ჭავჭავაძეს ბრალსა სდებს იმაში, რომ მან არ იცის ადამიანი, რომ შეუგნებლად თავისთავს დასცინის იმით, რომ ლუარსაბი ბუზების დამთვლელად, ამ დამთვლასთან დაკავშირებით აგებული კამათის დამწყებად გამოიყვანა. ანტ. ფურცელაძის აზრით, ბუზების თვლა ბავშვების საქმეა. ლუარსაბს მანაღდე ბევრჯერ ექნებოდა ბუზები დათვლილი, ამიტომ ნაწარმოებში აპის შესახებ აღარაფერა უნდა თქმულაყო, ლუარსაბისათვის ავტორს მისი ასაკის შესაფერი რამ საქმე უნდა გამოეძებნაო. ლუარსაბის ხასიათის უტრირებად მიაჩნია კრიტიკოსის ისიც, რომ მან არ იცის ადამისა და ევას დროს იყვნენ თუ არა თავადები. ლუარსაბის ამ საკითხში რწმენა ანტ. ფურცელაძეს ჯიმშერიძის² უღოგიკობად მიაჩნია. კიდევ უფრო საოცარი ანტ. ფურცელაძის მსჯელობაში არის ის, რომ მას უცნაურად ეჩვენება ილია ჭავჭავაძის აღწერა ლუარსაბის სახლ-ქარისა. ილია ჭავჭავაძე ლუარსაბის ქონებითა და სიმდიდრით გაცილებულ მკითხველს ეუბნება—ასე უპატრონოდ იმითომ გამოიყურება ლუარსაბის კარ-მიდამო, რომ მისი პატრონი ქართველიაო. ანტ. ფურცელაძე კითხულობს—ეს რა აქსიომიაო. ამასთან მას ავიწყდება, რომ ცოტა ზემოთ თვით მსჯელობდა ქართველი თავადების მოღუნებული ცხოვრების შესახებ, თვით აკრავდა ჯვარზე ექსპლოატაციასზე დამყარებულ სისტემას, რომლის შედეგადაც მართებულად თათქარიძეობას თვლიდა და ამტკიცებდა—წმინდა ქართული მოვლენააო.

ანტ. ფურცელაძე ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ნაკლად მიიჩნევს იმასაც, რომ მწერალს შეუძლია ადამიანის შინაგანი სამყაროს გამოხატვაო. როცა იგი სხვა ავტორთა გავლენიდან გამოდის, გარეგან ცხოვრებასა და მის მდგომარეობას კარგად აღწერს, ხოლო შინაგანი ვითარების გადმოცემა, ადამიანის გრძნობათა სულის სიღრმეიდან ამოკრეფა არ შეუძლიაო³. ამასთან

¹ ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ ანტ. ფურცელაძემ ასეთი აზრი გამოაქვეყნა 1863 წელსაც, როცა „ციცქარში“ გააჩნია „საქართველოს მოამბის“ პირველი ორი ნომერი.

² ჯიმშერიძის ფსევდონიმით დაბეჭდა ილია ჭავჭავაძემ „კაცია ადამიანი“.

³ 1863 წელს „ციცქარში“ (№ 3) დაბეჭდილ წერილში ილ. ჭავჭავაძის „მუშის განზიღვისასაც ასეთსავე აზრს ადგა: „ავტორი კი არ უნდა თითონ დასწრიბინებდეს თავისგნით გამოხატულს პირს—უნდა სხვას აგრძობინებდეს და მიაღებინებდეს ყურადღებას თავის გამოხატულებასზე...“

ერთად, ანტ. ფურცელაძე მოთხოვნებიდანაც აყენებდა: ჩვენ არ გვინდა ბაირო-ნისებური გრძობანი და სულიერი დღეგანი, დღე გვიჩვენონ წერილი და პატარა ხაზები ისეთი ადამიანებისა, როგორც ლუარსაბია, მისი შინაგანი ცხოვრება. ჩვენთვის ესეც საინტერესოა და იქიდან არანაკლები სარგებლობის მიღება შეგვიძლიაო. ასეთ „პატარა ხაზებს“ ანტ. ფურცელაძე ვერ ხედავდა ვერც „კაცია ადამიანში“, ვერც ილია ჭავჭავაძის სხვა რომელიმე ნაწარმოებში. ცხადია, ლუარსაბსა და დარეჯანში ზედმეტი იყო ინტელექტის ძებნა. სხვა პროზაული თხზულება, სადაც გმირის შინაგანი არსი იქნებოდა მოცემული, ილიას მაშინ დაწერილი, ან მთლიანად გამოქვეყნებული არ ჰქონდა, მისი ლირიკული თხზულებები კი ანტ. ფურცელაძეს ხელოვნურ და ზერელე ნაწარმოებებად მიაჩნდა. ობიექტური კრიტიკის დამწერს კი უნდა დაეხანა პოეტის შინაგანი განცდები და მათი გამოხატვის საშუალებები იმ თხზულებებში, რომლებიც ილია ჭავჭავაძეს გამოქვეყნებული ჰქონდა „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“¹.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების იდეური ღირებულების პირველი მართებულად შემფასებელი აკაკი წერეთელი იყო. აკაკის წერილს, რომელიც მან „ცისკარში“ დაბეჭდა 1865 წელს² დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ლიტერატურული კრიტიკისათვის და აკაკის მსოფლმხედველობის გათვალისწინებისათვის. აკაკის წერილი იმითაცაა საინტერესო, რომ თანამედროვე წერს დიდი თანამედროვის შესახებ. წერილი ამგვარად იმას, თუ რამდენად ძვირფასი და მნიშვნელოვანი იყო ახლის გრძობა თერგდალეულებში, რა დამოკიდებულება ჰქონდათ ძველთან, როგორ აფასებდნენ გარდასულ ეპოქათა მხატვრულ სიტყვას და რა კავშირს პოულობდნენ თავისი და ბრწყინვალე ქართველი პოეტების შემოქმედებას შორის, როგორ აფასებდნენ მხატვრულ სიტყვას, როგორც ხალხისა და ქვეყნისათვის ზრუნვის გამოხატულებას.

აკაკის ეს წერილი არის კირილე ლორთქიფანიძის მიერ პეტერბურგს გამოცემული კრებულის „ჩონგურის“ რეცენზია, მაგრამ, რეცენზენტს იმდენად თვით „ჩონგური“ არ აინტერესებს, რამდენადაც სწორედ ილია ჭავჭავაძის ნაწერების განხილვაა. ეს განხილვა დაიწერა ჯერ კიდევ დაუმცხრალი ბრძოლის დროს, როცა ახალი თაობა „დროების“ გამოსაცემად ემზადებოდა. იმ დროს, როცა ძველებს კვლავ ხელშეუხებლად მიაჩნდათ წარსულის მწერლობა, აკაკი წერეთელი „ცისკარში“ ნ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავაძის შემოქმედებით კავშირზე წერდა. ილია ჭავჭავაძის მახლობელთათვის თავიდანვე ვარკვეული ყოფილა ის იდეური კავშირი, რაც მას ბარათაშვილის პოეზიასთან ჰქონდა, მათ ილია ჭავჭავაძე მაშინვე უცენიით ბარათაშვილის მემკვიდრედ და 1865 წელს აკაკი წერეთელმა დაბეჭდა კიდევ ამის შესახებ.

„ჩონგური“ თავისი მასალით თითქოს დაუპირისპირდა დ. ჩუბინაშვილის ქართულ ქრესტომათიას. აკაკი წერეთელმა ეს კრებული შეაფასა როგორც ქართული სისხლ-ხორცის მქონე პირველი წიგნი, ქართველების კენსით მტირალი. ყველა ქართველისთვის „ჩონგურის“ გამოსვლა სასიხარულოა, რადგან მასში ორი უპირველესი მგოსნის თხზულებებია დაბეჭდილი—ბარათაშვილისა

¹ მაგალითად: ელფია, თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე, როცა წუხილი მაგრავს უწყალო, მწუხარება, ჩემო კალამო, მას აქეთ, იანიჩარი, პოეტი, ვუთნის დედა და სხვანი.

² „რამოდენიმე სიტყვა „ჩონგურის“ შესახებ“, „ცისკარი“, 1865 წ. № 9.

და ქვეკვაძის ლექსებში. აკაკი არ დაერიდა ზოგიერთი მკითხველის გულისწყრომას და ქვეკვაძე ბარათაშვილს გვერდით დაუყენა. „როგორაო,—წერს აკაკი—ვინ აძლევს იმას ბარათაშვილის გვერდით ალაგს? ჰმ, ეს ილია ქვეკვაძე, კპან-წყვეტით ლექსების მწერალი, რომლის ლექსებშიაც არც სულის გამაცხოველებელი პოეზია იპოვება და არც სასმენელის დამტკბობი გარმონია ისმის, ნუთუ ერთს ტახტზედ უნდა გვერდით მიუჯდეს ბარათაშვილს?“—იკითხავს გამწყრალი მკითხველიო. აკაკი გამწყრალ მკითხველს ამცნობს, რომ ბარათაშვილი და ქვეკვაძე განუწყვეტელი ჯაჭვით არიან დაკავშირებული, რომ ერთიმეორის გარეშე მათი გაგება არ შეიძლება, მან შესანიშნავად და მოსწრებულად დაამტკიცა, რომ ბარათაშვილი არის ქვეკვაძის იდეური წინაპარი, რომ გულისტკივილი ბარათაშვილისა არის გულისტკივილი ილიასი, რომ ისინი არიან აარონი და მოსე ჩვენი ლიტერატურისა. კრიტიკოსს რომ არავინ დასწამოს ძველი ქართული ლიტერატურის უცნობლობა, ამისათვის პატარა მიმოხილვას აკეთებს და გაიხსენებს ბესიკს, რომლის დაფასებისას აკაკი ამტკიცებს თავის, როგორც დემოკრატიული მოაზროვნის შეხედულებას პოეზიაზე. პოეზია, აკაკის აზრით, არა მარტო ტკბილ ხმათათვისაა შექმნილი, არამედ ხალხის გულის მესაიდუმლედ, მისი წუხილის გამომხატველად. აკაკიმ ბესიკი შეადარა ბულბულს, ტკბილი ხნით მყუფარს, რომლის მსგავსნი საქართველოში ბევრია, რომელნიც სასმენელს ატკბობენ, მაგრამ განა ბულბული შეიძლება პოეტად ჩაითვალოს! ბესიკის ბულბულისებურ პოეზიას ერთი ღირსება აქვს—იგი ტკბილად ისმის, მაგრამ სტვენის მეტი არ არის რა.

აკაკიმ მოკლედ მიმოიხილა ბარათაშვილის სულის ობლობის მიზეზი, პოეტი აღიარა ხალხის მწუხარების გამომხატველად, წერილს ილუსტრირება გაუკეთა ბარათაშვილის სიტყვებით და დაასკვნა, რომ ილია ქვეკვაძესაც სწორედ ის აწუხებდა, იგიც იმავე მოქალაქეობრივი გრძნობით იყო აღსავსე, რითაც ბარათაშვილი. რის თქმაც ბარათაშვილმა ვერ მოასწრო უდროო სიკვდილის გამო, თქვა ილიამო. ილიას სიტყვები—„მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის“—ეკუთვნის ბარათაშვილსაცო¹.

გრ. ორბელიანი, ალ. ქვეკვაძე, რაფიელ ერისთავი, ბარბარე ჯორჯაძე ისეთ პოეტებად აღიარა აკაკიმ, რომელთაც ხალხის დარდი არ ჰქონდათ. მართალია, მშვენიერი იყო მათი პოეტური სიტყვა, მაგრამ მასში არ იყო მოქალაქეობის განცდა. ერთი ამბობდა: სულოჯან, მეორე: დაეხსნათ ცოდნის ძებნასა, მესამე: რად შემიყვარებ, განა არ ვიცი, შენ ჯერ ნორჩი ხარ, მე კი მოხუცი, მეოთხე კი ცეცხლს მკვებსა თვალებს ეტრფოდა და ასე ქვეყანა და ხალხი დაიწყებულნი ჰქონდათო. ილია ქვეკვაძის შემოქმედების მნიშვნელობას აკაკი იმაში ხედავს, რომ ქართული საზოგადოებრივი აზრის ისეთი სიღარიბის, ან, როგორც აკაკი ამბობს—„სიკოტრის ფაშა“, გაჩნდა ილია ქვეკვაძე. როცა ქართული ლიტერატურა ლაპარაკობდა პირად გრძნობებზე, ამ დროს ილიამ ხალხის კენესას დაუგდო ყური².

¹ ამ ლექსის გამო ანტ. ფურცელაძე ილიას აუჯად იხსენიებდა—ამ ქვეყანაზე თავის ტოლად და ღირსად ვერავინ დაუნახიაო.

² აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1864 წელს დაწერილ ლექსში „პასუხი ბ. ჯორჯაძისას“ აკაკიმ პოეტი ქალის პოეზიაში პირადულის გარდა საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწყობლობით გამოწვეული სევდაც დაინახა. მის ცრემლშიო,—წერდა აკაკი, იხატებო ქართულის მწარე აწყობ ბედი, გამჭრალი ძველი დიდება და მომავალი იმედი.

მაგრამ, ცხადია, აკაკი წერეთლისათვის მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნისათვის გულისტკივილის გამოხატვის ხარისხს.

აკაკიმ ილიას ლექსების მხატვრული ღირსების შესახებაც ილაპარაკა; ასიც კი თქვა, რომ „ამ ლექსებში პოეზიის ნატამალიც არ იპოვება, ეს არის მხოლოდ ცარიელი რიტორება, ლექსის შემარცვლა უსწორ-მასწორა და რითმაც, პირველი სიმდიდრე ჩუშნის ლექსისა, არსად სჩანს, ერთის სიტყვით, როგორც ლექსი—ძალიან სუსტია, მაგრამ ამის ერთ სტრიქონს, ფუთობით რომ მიბოძოთ ჩუშნის ბულბულების ნაწერში, რომელშიაც პოეზიაც იქნება, მარცვლებიც და რითმებიც, არ გავცვლი. და ჩიზგიც ის არის, რომ ამ ლექსებში ოცნებას კი ვერა ვხედავთ, მაგრამ ყოველს დღიურს ჭეშმარიტებას, ჩუშნს ნაკლულევანებას და ჩუშნს საჭიროებას და ამისთვის მოგვწონს პოეტი და ამაში მდგომარეობს მისი მაღალი ღირსებაც“. აკაკიმ მეტად ნათლად და ცხადად გამოთქვა თავისი აზრის მიზანი და შინაარსი.

აკაკი საკმაოდ მკაცრია არა მარტო ძველი ლიტერატურის წარმომადგენელთა, არამედ ილიას მიმართაც. პოეზიაში პოეტურად უნდა იყოს აზრის გარდა. „ამასაც არ დავფარავთ,—განაგრძობს აკაკი—რომ ჩემის აზრით ამახინჯებს (ილია ჭავჭავაძე.—ს. ხ.) ქართულს და სიტყვებს კვეცავს, რომ ძალის დატანებით ლექსი გამოიყვანოს ხოლმე“... აკაკის შეხედულებით ილიას სიმღერა უჭირს. სამაგიეროდ მისი პროზა შეუდარებია ობოლი მარგალიტისათვის. ამის საბუთები „კაცია, ადამიანი“ და „გლახის ნაამბობიაო“. ამიტომ ურჩევს კიდევ ილიას პროზით წერას, ქართული მარილიანი სიტყვით და რბაისლურად მუსაიდუს.

დასასრულ, აკაკი წერეთელი განათლებულ საზოგადოებას მოუწოდებს, რომ მოჰკიდონ ხელი კალამს და კრიტიკული წერილებით მწერლებს საქმიანი მითითებები მისცენ. იმ განათლებულთაგან გამიგონია, ჯერ არაფერი დაწერილა და რაზე ვილაპარაკოთო. აკაკი ამისთანა თქმას თვალის ახვევას უწოდებს. „ის კაცი, რომელსაც წინ უდევს რუსთაველი, ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სტყუა ამ სიტყვებით, არაფერი გვაქვსო!“ მოწოდება, რომ კრიტიკოსებმა მასალად გამოიყენონ პოეზია რუსთაველისა, ბარათაშვილისა ან ჭავჭავაძისა, ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს იმას, თუ რამდენად ძვირფასი იყო აკაკისათვის ილიას გონიერი შემოქმედება, მისი კაცობა, რაც ჭავჭავაძემ გამოხატა სიტყვებით—„ხალის წყლული მაჩნდეს წყლულად“-ო.

აკაკიმ ილიას შემოქმედება ამ მხრიდან განიხილა და დაათასა.

ილია ჭავჭავაძის გამორჩენა ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ იმავე დროს აღნიშნა. მას შემდეგ, რაც ილია ჭავჭავაძე „შვილების“ მეთაურად იქცა და ახალი თაობის, რევოლუციონერ-დემოკრატების შეხედულებათა დაცვას შეუდგა, ლიტერატურული კრიტიკა ორი მხრით აფასებდა მას—ძველი და ახალი თაობების პოზიციებიდან. ილია ჭავჭავაძის პირველსავე კრიტიკოსებში გამოჩნდა ორი ერთ-ერთის საწინააღმდეგო შეხედულება, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მისი მხატვრული შესაძლებლობის შეფასებაში ზოგჯერ ორი სხვადასხვა მსოფლმხედველობის მქონე კრიტიკოსები ერთიანდებოდნენ.

მართებული იყო ილია ჭავჭავაძის ის შეფასება, რომელიც ადასტურებდა მოწინავე იდეათა მემკვიდრეობას და ხაზს უსვამდა იმას, რომ ილია ჭავჭავაძე იყო გამგრძობელი ქართული მოქალაქეობრივ-საზოგადოებრივი პოეზიისა, კერძოდ, ნ. ბარათაშვილის შემოქმედებითი ინტერესებისა, რომ აგი იყო ქართველი მშრომელი ხალხის სულისკვეთების გამომხატველი.

ივანე ქავთარაძე

ილიას ქართული

(პერსონაჟების მეტყველების ზოგი თავისებურება ილიას პროზაში)

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის ილია ქავთარაძის მოღვაწეობას ისეთივე როლი და მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ა. ს. პუშკინის ახალი რუსული ლიტერატურული ენის დაფუძნებაში.

მთელი თავისი მხატვრულ-ლიტერატურული შემოქმედებით, ეურნალისტურ-პუბლიცისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ილია ემსახურებოდა ახალი ქართული ლიტერატურული ენის შექმნა-განვითარების, მისი გავრცელებისა და ქართველ მოსახლეობაში ფართოდ დანერგვის საქმეს, ქართული ეროვნული კულტურის გაფურჩქვნისა და გამდიდრების საქმეს.

ილიამ მოგვცა დასაბუთებული კრიტიკა ანტონის სქოლასტიკური ლინგვისტიკური დოგმებისა, რომლებიც გზას უღობავდა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას, იგი ობიექტურად ხელს უწყობდა მის გამოფიტვასა და დადამბლავებას. ილია ქავთარაძემ დასაბუთა ცოცხალი ხალხური სასაუბრო მეტყველების დიდი ღირსება, ახალი ქართული სალიტერატურო ენის საფუძვლად მისი გამოყენების აუცილებლობა. თავისი მდიდარი და შინაარსიანი მხატვრული შემოქმედებით მან დაძლია ანტონისა და მისი სკოლის ძველი, შეუფერებელი და შინაარსისაგან დაცლილი ნორმები, დიდი გემოვნებით შეარჩია, დახვეწა, ლიტერატურაში შემოიტანა და ფართო ხმარებისათვის გზა გაუკავა მრავალ ისეთ გრამატიკულ თუ ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ ერთეულს, რომელიც დღესაც ამშვენებს ქართული ენის საუნჯეს.

ილიამ და მისი წინამძღოლობით ახალმა, თერგდალეულთა თაობამ აღადგინეს ხალხური მეტყველების გაწყვეტილი მაგისტრალური ხაზი, რომელიც მეთორმეტე საუკუნიდან მეთვრამეტე საუკუნემდე ასაზრდოებდა ქართული ლიტერატურის ენას, შექმნეს ქართული პოეზიისა, პროზისა და პუბლიცისტიკის შედეგები, რომლითაც გამოჰქედეს მძლავრი, უსაზღვროდ ტევადი და მოქნილი ახალი ქართული ენა, რომელსაც შეუძლია გადმოსცეს ადამიანის მდიდარი აზრის ურთულესი ნიუანსები მისთვის ზუსტად შესაფერის ფორმებში.

ქართული წარმოდგენა რომ გვქონდეს ახალი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში ილიას როლის შესახებ, რომ ზედმიწევნით შევისწავლოთ საკუთრივ ილიას ქართული, საკუთროა წინასწარ გაირკვეს სალიტერატურო ენის მდგომარეობა ილია ქავთარაძის სამოღვაწეოდ გამოსვლამდე; შემდეგ—

ილიას თეორიული შეხედულებანი ქართული ენის აღნაგობისა და განვითარების გზების შესახებ: დაბოლოს, ილიას პრაქტიკულ-ლიტერატურული მოღვაწეობის, როგორც ახალი ქართული სალიტერატურო ენის შემადგენელი ნაწილის, ძირითადი თავისებურება. ამ მიმართულებით იგულისხმება ილიას თხზულებათა გრამატიკული, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური და სტილისტიკური ანალიზი.

უკანასკნელი საკითხის ერთი მხარეა ილიას პროზის მოქმედი პირების მეტყველების თავისებურებათა შესწავლა: რა ენობრივ საშუალებებს იყენებს ილია თავისი პერსონაჟებია მეტყველების დახასიათებისათვის, როგორია მისი დამოკიდებულება დიალექტიზმისადმი და სხვა.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის მშენებლობაში ილია ემყარებოდა ამ ენის ერთიან, საერთოეოროვნულ ფორმებს, რომლებიც მისი ღრმა რწმენით გავრცელებული იყო ხალხის ფართო ფენებში. ცნობილი იყო წიგნური ტრადიციის ისტორიით და შეესაბამებოდა ქართული ენის განვითარების ბუნებას. ილიას პროზაულ თხზულებებში საკმაო როლს ითამაშებდა ქართულ-კახური წარმოშობის დიალექტიზმები, რამდენადაც კუთხის მეტყველება დიდ წიერალს ბავშვობიდანვე ჰქონდა შეთვისებული. ეს დიალექტიზმები ავტორს სოფლებით სავსებით ბუნებრივად მიჰყვებოდა საერთო ქართულ მოვლენად. მაგრამ განსაკუთრებით საგულისხმო ისაა, რომ დიალექტიზმიდან აღებულ გრამატიკულ თუ ლექსიკურ ფორმებს ილია იმგვარად არჩევს, რომ მის სმარებას სრულებითაც არ შეაქვს დისონანსი საერთო-სახალხო ქართული სალიტერატურო ენის სტრუქტურისათვის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებში.

როგორც ცნობილია, დიალექტის ენობრივი ფორმა ორგვარი შეიძლება იყოს: ერთი ისეთი, რომელიც, მართალია, გავრცელებულია ტერიტორიაზე გავრცელებული, მაგრამ გაუგებარი არაა სხვა ტერიტორიული დიალექტის წარმომადგენელთათვის, შესაძლოა შეგვხვდეს ლიტერატურაში, არ აბრკოლებს ურთიერთობასა და გაგებანებს. ამგვარ დიალექტიზმებს უპირატესად ფონეტიკური პროცესების შედეგები განაპირობებს. იგი ბლომად გვხვდება როგორც ავტორის თხრობაში (ილიას პროზაული თხზულებების ქვეტექსტებში, რემარკებში და კერძო წერილებში), ისე განსაკუთრებით პერსონაჟების მეტყველებაში.

მეორე სახის დიალექტიზმები, ფონეტიკური იქნება იგი თუ გრამატიკულ-ლექსიკური, საერთოდ ან მოცემულ მომენტშია გავრცელებული განსაზღვრულ ტერიტორიაზე, სხვა ტერიტორიული დიალექტი მას ამგვარად არ იცნობს ან, თუ იცნობს, სხვაგვარი მნიშვნელობით იყენებს. ამგვარ დიალექტიზმებს ილია სრულებით არ ხმარობს და ამით განსხვავდება მისი დიდებული თანამედროვის—ვაჟა-ფშაველასაგან. თუ ნაინცდამაინც საჭიროებაა ასეთი დიალექტური ფორმის გამოყენებისა. ილია მეს. ძალიან ფრთხილად და ზომიერად ეკიდება. ავტორს ისე შენოჰყავს იგი თხრობაში, რომ უშუალოდ ერწყმის მთელი თხზულების სიტყვიერ კსოვილს, არ ეთიშება მას, მკითხველიც დაუბრკოლებლად ითვისებს, როგორც საერთო ქართულის ორგანულ შემადგენელ ნაწილს. დამახასიათებელია ამ მხრივ ერთი ადგილი „ოთარანთ ჰერივიდან“, სადაც აღწერილია ქერივის ოთახის მოწყობილობა. ამ კონტექსტში ახალ სიტყვას ავტორი ერთი შეხედვით შეუმჩნეველ, მაგრამ მეტად საჭირო განმარტებას ურთავს: „კერას აქეთ-იქით თითო ტახტია

დაფენილი ქრელის ფარდაგებითა. კარგა ხნის ფარდაგებია, მაგრამ კარგად შენახული და ნაპატრონები. ტახტების თავზედ თითო **ბაცანკალი** ანუ, როგორც ზოგან ეძახიან, **სართუმალი** სდგას. ხარატით ნაკეთები“ (II.257¹).

უფრო ფართოდ და მრავალფეროვნად ხმარობს ილია პირველი რიგის **დიალექტიზმებს**. ეს ბუნებრივიცაა; სხვა რომ არ იყოს, ქართულ-კახური, როგორც სალიტერატურო ენის ფუძე დიალექტი და მასთან ყველაზე ახლო მდგომი, არც იქნებოდა წასალას მეორე რიგის დიალექტური ფაქტებისათვის.

როგორც ცნობილია, ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში დიალექტიზმებს იყენებდნენ ჯერ კიდევ გიორგი ერისთავი და ზურაბ ანტონიძე, აღნიშნულ მწერალთა სახელწოდებებში დიალექტიზმები უმეტესწილად პაროდულ გროტესკული თეატრალისათაა განოყენებული. დიალექტიზმებისა და ფარგონიზმების ფორმები ახალი ცხოვრების ტიპების ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებანა. მაგრამ სათანადო ტერიტორიული დიალექტის ფორმათა ხმარება, როგორც პერსონაჟის ინდივიდუალიზაციისა და ტიპიზაციის გარკვეული მხატვრულ-სტილისტიკური სერბი, განვითარებული და სრულყოფილი სახით ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში დანერგა ილია ჭავჭავაძემ. აქ უკვე მიმართების საკითხი დგას სხვაგვარად: დიალექტური ფორმა საერთოეროვნული ქართული სალიტერატურო ენის სიბრტყეში.

ილიამ მოგვცა მოხეური დიალექტური ფორმების პირველი ლიტერატურული ფიქსაცია, რითაც ერთგვარად ისტორიული დიალექტოლოგიის საყურადღებო მასალაც შემოგვინახა. ჩვენთვის ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმას, იყო თუ არა ნამდვილად ცნობილი პირი (როგორც ვარაუდობენ) და ნამდვილად მოხევე ილიას თანამგზავრი. ფაქტია, რომ ილია ცდილობს ზედმიწევნით სიზუსტე დაიცვას მოხევის ნაუბარის გადმოცემაში. მოხევის მეტყველების მელოდიურ-ინტონაციური თავისებურების შენარჩუნების მიზნით შემოღებული აქვს მახვილის თავისებური სისტემა, რაც ძირითადად სწორად ასახავს ფაქტობრივ ვითარებას. თუმცა რიგი გრამატიკული ფორმა დღევანდელ მოხეურ მეტყველებაში იმ სახით არ დასტურდება (და თეორიულადაც არაა სავარაუდებელი), როგორითაც ილიას აქვს ფიქსირებული, მაგრამ საერთოდ დიდი მხატვრის რეალისტური სტილი ენაშიც იმავე პრინციპული სიზუსტით არის გატარებული, როგორითაც ლიტერატურაში. დამახასიათებელია ამ შემთხვევისათვის იმავე ილიას მითითება, „მგზავრის წერილებში“ გამოთქმული, მოხევის საუბართან დაკავშირებით: „ჩემი ცემა მართო იმაშია, რომ იმის აზრისათვის იმისივე ფერი შემერჩინა და იმის სიტყვისათვის იმისივე კილო“ (30). ავტორისათვის, მაშასადამე, ამოსავალია ყოფისა და მოქმედების, აზრისა და შეხედულების, მეტყველების სინამდვილის რეალისტური ჩვენება. ენა ილიასათვის მოქმედი პირების რეალისტური დახასიათების უპირველესი საშუალებაა. დიალექტიზმებს ილია იყენებს პერსონაჟის განათლების დონისა და მეტყველების კულტურის შესაფერისად, იგი მას მიმართავს როგორც მოქმედი პირის ფსიქოლოგიისა და შეხედულების ჩვენების ერთ-ერთ, მაგრამ არამთავარ საშუალებას.

¹ გამოყენებული გვაქვს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ტექსტი, გამოცემული საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ენისა და ლიტერატურის კვლევების კრებით, 1950, ტ. II.

როგორი ხასიათისაა ეს დიალექტიზმები, რას იძლევა ამ დიალექტურ ფორმათა ანალიზი?

ჩვენ უნდა გავარკვიოთ ნებისთ თუ უნებლიეთ შესული დიალექტიზმების თავისებურება ილიას ენაში, დიალექტიზმები პერსონაჟების მეტყველებაში, რომელსაც გარკვეული მოსაზრებით მიმართავდა ავტორი. ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლექსიკური დიალექტიზმები ილიას თხზულებებში ძალიან ცოტაა. ჯერ ერთი, როგორც აღვნიშნეთ, ასეთი სიტყვების ხმარებას ილია ერიდებოდა, მეორე—ილიას ხმარებით ბევრმა სიტყვამ საერთოეროვნული გავრცელება მოიპოვა და წინანდელი დიალექტიზმი დღეს უკვე დიალექტიზმი აღარაა. ყოველ შემთხვევაში ამ საკითხის ზუსტი და სრული შესწავლის აუცილებელი დასაყრდენი—ილიას ლექსიკონი და ქართული ენის ისტორიული ლექსიკონი—სანამ არა გვაქვს, სხვაგვარი დასკვნის გამოტანა არ შეგვიძლია.

ფონეტიკაში თავისებური ხასიათის მოვლენებიდან აღსანიშნავია ბგერათმონაცველობის, ზგერათა გადასმის, შერწყმის, დაკარგვისა და ბგერათცვლილებების ისეთი ნიმუშები, რომელთაც ამჟამადაც იცნობს ქართლისა და კახეთის ტერიტორიული დიალექტები. პერსონაჟების მეტყველებაში ამგვარი მოვლენებია:

„ცოდო ვარ, შეილო, ცოდო“: „ოთარაანთ ქვრივი“, მეწისქვილე, 326.

„კუდად არ ჩამოშართოხ მეთქი“: „გლახის ნაამბობი“, გაბრიელი, 93.

„ბრძნად ხომ არ დავხომ“: „კაცია-ადამიანი?“, ლუარსაბი, 174.

მოუხარე და საქმელი მივე: „გლახის ნაამბობი“, გაბრიელი, 84.

„ეს რა მცოდნოდა“: იქვე, 40.

„ხმა გაშე, ხმა“: იქვე 84.

„ქალი(...) საყდარში მიმყვანოხ“: „მაქანკალი“, მოსე, 397.

„ოჯახში არ შეგატაინებო“: იქვე, ელისაბედი, 399.

„რისთვის შეეთრიე აქ?“, „დაუმთავრ. მოთხრ.“, თამარი, 445.

„კილონ ბატონო წამცდება ზვალმე, ნუ შეშრისხხაშო, შენი კირი მე“:

„გლებთა განთავის. პირვ.-დრ. სცენები“, გლახა ჭრიაშვილი, 329.

„ერთხელ შემომტრია კიდენაც“: „გლახის ნაამბობი“, გაბრიელი, 42.

საესებით ამავე რიგისაა ფონეტიკური დიალექტიზმები ილიას ენაში. მის ქვეტექსტში და პირად წერილებში, რომლებიც ძალიან კარაგად გვიხასიათებს ავტორის მეტყველების ჩვევას.

გული კი რა გენახათ: „კაცია-ადამიანი?“ 130.

თუნდა ყოფილიყო კიდენაც¹, იმ სოფლამდინ ვინ მიაღწევინებდა: იქვე, 143.

იწერები—შეეპატრონეთ აქაურობასო: ილია, წერილები², 124.

როცა მივებ ვახში მიიხთო: „ამბავად გაგონილი“, 248.

პეტრემ შეხწო მწვადი: „სარჩობელაზედ“, 227.

მელავი... შოხხო თვალბზელ: „ოთარაანთ ქვრივი“, 288.

დიალექტური ფორმები შეინიშნება მორფოლოგიაშიც. აქაც იგი თითქმის თანაბარი რაოდენობით გვხვდება მოქმედი პირების დიალოგებში და ავტორისეულ ტექსტში. ზმნური დიალექტიზმები შეიძლება მოკლედ დავა-

¹ სხვაგან პერსონაჟი ხმარობს აგრეთვე კიდენაც (იქვე, ბაბაღე, 144).

ილია ჯავახიძის წერილები, იოსებ ბოცვაძის რედაქციით, სუბუმი, 1949.

ჯგუფოთ შემდეგნაირად: 1. **შე-** და **შე-** ზმნისწინების ხმოვანთშენაცვლება (იხმარები **შა-**, **შა-**); 2. **თემატური სფიქსების** შენაცვლება ზმნებში; 3. **ფუძე-** დრეკად (**კერძოდ**, **-ეგ** სუფუქსთან) ზმნებში ხმოვანთა შორის **ვ** (თანხმოვნის შენარჩუნება და 4. **სუბიექტურ-ობიექტური პირების** ნიშანთა ხმარება, რაც თანაბრად არის გავრცელებული და დასტურდება დღევანდელ კახურ მეტყველებაში¹.

პერსონალებთან: 1. „**თუ ღმერთი გწამს, მამშობადი**“: „გლახის ნაამბობი“, პეპია, 90.

„მაგ ამოკენესასა **აშაყოლა** სული: იქვე. გაბრიელი, 112.

„სანამ სხვა იარალს **მაიხმარებდა**: იქვე, 117.

საწყალს სიტყვა **შაეკრა**: იქვე, 92.

ანჯიქო... თურმე კამეჩს **შახჰამდა**: „მაჰანკალი“, ხორეშანი, 369.

„მაგისტანა დღეს ნუ **შემახწრობ**: „სარჩობელაზედ“, ერთი დღე-აკაცი, 233.

2. „**ზამთრის სუსხი კიდეც მოახწრობს**“: „გლახის ნაამბობი“, გაბრიელი, 40.

„**მუცელსაც არ გაუძღობს**“: იქვე, 77.

3. „**იმ დალოცვილმა ხელი დამიქნოვა**“: იქვე, 55.

დავიწვიე კაკლებქვეშ, გამინდვრებულზედ“: იქვე, 83.

„**ღმერთო შეგცოდე, შური მომეროვა**“: იქვე, 44.

ავტორთან: 1. ისინიცი **მაიტანეთ** თან: წერილები, 97.

შახტები და **შემოტრიალდები**: იქვე, 94.

ვერ **მაითმენდა** (დარეჯანი): „კაც-ად?!“ 133.

2. **შეხბორე**... თავლაში **შესწრობოდა**: „ოთარაანთ ქერივი“, 293.

ალარაფერი აღარ **მოგვეხწრობოდა**, **დავიწყობდი**: წერილები, 48.

3 **აქნოვა** სადავენი: „მგზავრის წერილები“, 8.

ლუარსაბმა... ახლო **მოიწოვა**²: „კაც-ად?!“ 156.

რაც შეეხება პრეფიქსების ხმარებას ზმნებში, ამ მხრივ ზოგი რამ გასწორებულია გამოცემულ ტექსტში, მაგრამ ხელნაწერებთან შედარება³ და პირადი ნიმოწერა გვიჩვენებს, რომ მშობლიური დიალექტისაგან ბავშვობაში შეთვისებულ ფორმებს მწერალი ბუნებრივად ხმარობს: „**ჩაჰხყვცტა, შეჰხცვალა, წარმოჰხტევა** (პროზაში), **ჰხჩანს, ვჰხწერე, ჰხჯობს, მიმცემს** (წერილები, გვ. გვ. 23, 24, 28, 38). **ჰ** და **ხ** პრეფიქსების ასეთი პლეონასტური ხმარება ქართულში შეინიშნება ჯერ კიდევ X—XI სს ტექსტებში და იგი ცოცხალი მეტყველების გავლენით იხსნება. **ჰ** კომპლექსი თითქოს უფრო ზუსტად გამოხატავს იმ აკუსტიკურ შთაბეჭდილებას, რომელიც მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშანთა გამოთქმას ახასიათებს ქართულსა და კახურში⁴. მეორე მხრივ, აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს,

¹ ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი და გ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის კახური დიალექტი, 1956, გვ. 10 და სხვ.

² ილია ხმარობს აგრეთვე ახალ ფორმებსაც: **გაეროა** (230) **გამიწოა** (231) და მისთ.

³ ხელნაწერებთან შედარება წარმოდგენილი აქვს ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე ს წერილში „ქართულ-კახური ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებანი ილია ჭავჭავაძის ენაში“: ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის უნივერსიტეტის შრომები, XIII, 1955, გვ. 9—27.

⁴ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: არილი, გვ. 75; ვ. თ ო ფ უ - რ ი ა, ქართული, იქვე გვ. 148.

ისიც, რომ ზოგ რამეში (კერძოდ, პირის პრეფიქსების ხმარებაში) ილიამ გარკვეული ხარკი გადაუხადა ანტონიას სკოლის გრამატიკული ნორმების გავლენას, ვერ აიკლენა იგი და იხმარა რამდენიმე არქაული ფორმა. ამ მოსაზრებით აიხსნება უპირველესად **ჰხჩანს** ტიპის ფორმები, რომელიც კახურ ცოცხალ მეტყველებაში ერთპირიან ზნებში არა გვაქვს. მაგრამ ამით ილია ანტონისეული ნორმების ოებალიტაციას კი არ ფიქრობდა, არამედ იგი ნაწილობრივ ტაქტიკური მოსაზრებითაც ხელმძღვანელობდა და ძველი თაობის გამოჩენილ წარმოადგენლებთან თანამშრომლობდა, იცოდა რა, რომ საერთოდ ამდიდრებდა ახალ სალიტერატურო ქართულს და აუარაოებდა მისი ხმარების ფარგლებს.

ცნობილია, რომ ილია თავის ნაწერებში ძალიან ხშირად იყენებს -დამ თანდებულს (ვლადიკავკასიდან—ვლადიკავკასიდან), რომელიც მის დროსაც იხმარებოდა კახურში (ამჟამად მისა გამოყენება სუსტდება ლიტერატურული ცნის ვაგლენით). გავრცელებით დიალექტურია აგრეთვე -**მდინ** || -**მდისინ** (აკამდისინ ვერ მიპოვია, გვ. 39) თანდებულიც.

დღევანდელი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების თვალსაზრისით თუ შევაფასებდით. დიალექტიზმად უნდა მიგვეჩნია ი- და ე- პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა მრავლობითის გეორგ სერიაში -ენ სუფიქსიანი წარმოება: **დავილუპენით** (391), **ვეყარენით** (238), **მოგერიდენით** (284), **ვიყენით** (126); აგრეთვე სათავიანო ქცევის ზმნათაგან კაუზატიური კატეგორიის გამოხატვა (**გაიტეხინა**, **ეთრევიანა**...) და, ბოლოს, თურმეობითის დრო-კილოებში -ნ სუფიქსიანი ზნების ხმარება: **მომეჩხრიკნა** (წერილები, 99) **ეპასუნა** (291), **უქეიფნათ**¹ (126) და სხვა, რასაც თანაბრად შეეხედებით ავტორისეულ თხრობაშიც და პერსონაჟების მეტყველებაშიც. მაგრამ აქ საკითხი უფრო რთულია, ვიდრე ზემოთ, ამკარა დიალექტიზმების შემთხვევაში გვექონდა. ამგვარი ფორმების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს ისტორიულ ასპექტში, სალიტერატურო ენის განვითარებისა და დიალექტიზმების ისტორიული ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით. ამდენად, დიალექტიზმად უქანასკნელ ფორმათა მონათვლა გამართლებული თუ იქნებოდა ნაწილობრივ დღევანდელი ლიტერატურული ენის ნორმათა მიხედვით. XIX ს. 60—70-იან წლებში, როცა იწერებოდა ილიას ძირითადი მხატვრული თხზულებანი, ქართული სალიტერატურო ენის ერთიანი ნორმები საბოლოოდ ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი, „ლიტერატურულისა“ და „დიალექტურის“ გამოიჯენისათვის (განსაკუთრებით **მოგერიდენით**, **უქეიფნათ** ტიპის ზნებში) დამუშავებული მეთოდით ჯერ კიდევ არ იყო. ასეთ პირობებში, ახალი სალიტერატურო ენის შექმნის პროცესში, ამგვარი ფორმების მოძალემა ლიტერატურულ ენაში ბუნებრივიც იყო. საინტერესო და გასაკვირი აქ ეს კი არაა, არამედ უფრო ის, თუ რა და როგორ შეისისხლხორცა დიალექტურ ფორმათაგან სალიტერატურო ენამ, რა უკუაგლო და რა მიზეზით.

მეორე პრინციპული მნიშვნელობის მოსაზრებაც არის აქ მხედველობაში მისაღები. საქმე ისაა, რომ ილიას თხზულებებში ნახმარი დიალექტური ფორმები ერთგვარია და თანაბარი მოცულობისაა ავტორის ენაშიც და პერსონაჟების

¹ ილია ხშირად ხმარობს ისეთ ფორმებსაც, სადაც ანალოგიურ შემთხვევაში ნ არაა (ი. ქავთარაძე, დრო-კილოთა შესამე სერიის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, 1955).

მეტყველებაშიც. ზოგჯერ ავტორი არ არჩევს მათ ჩვეულებრივი ლიტერატურული ფორმებისაგან. ეს არაა შემთხვევითი. ხალხური მეტყველების მრავალფეროვნება, მისი სიტყვათშემოქმედების უშრეტო წყარო ილიას მიაჩნდა ლიტერატურული ენის ერთადერთ რეზერვად და დიალექტური ფორმების შემოტანისას იგი ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა. როგორც ვიცით, ილია პირველი იყო, რომელმაც ცოცხალი ხალხური სასაუბრო მეტყველება გამოაცხადა სალიტერატურო ენის საფუძვლად და ნათელყო ამ დებულების დიდი სასარგებლო მნიშვნელობა. ილიას მთელი თეორიული მუშაობა ქართული ენის განვითარების პერსპექტივების დასაბუთების საქმეში განუყრელია მისი ლიტერატურული შემოქმედების პრაქტიკისაგან.

იგი მოითხოვდა დაკვირვებით მიქცეოდა ყურადღება ხალხის სიტყვის გამოთქმას, ხალხის ენაში მონახულიყო ფაქტები და, თუ „ხალხი ხმარობს, მამასადამე ვარგისიანია“¹ სიტყვა და ფორმაო. ასეთ მძალე შეფასებას აძლევდა ილია ხალხის ენას, ასე ძალუმად იზიდავდა მას მშობლიური ხალხის გამოთქმა და კილო, მის მიმოხვრაში ხედავდა იგი ქართული ენის ძალასა და ლაზათს.

ილია არაა კაბინეტის მწერალი, იგი ოდნავადაც არა ჰგავს თავისი თეორიული შეხედულებების ტყვეობაში მყოფ ზოგიერთ კარჩაკეტილ და პედანტურ ლიტერატორს. ყოველდღიური ცხოვრების სტიქია, მოძრაობა და მოძრაობა, სიახლისათვის დაუდგრომელი ზრუნვა, ეპოქის მიერ წამოყენებული ახალი კულტურული მოთხოვნილებებისა და საჭიროების დასაკმაყოფილებლად დაუღალავი ძიება, ახლის შექმნა და მისი დანერგვისათვის მგზნებარე ბრძოლა—ესაა მთელი მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ნიშანსვეტი. ცოცხალი ხალხური მეტყველების დოვლათიანობა ულევ ნაკადად იჭრება მის მხატვრულ პროზაში, განსაკუთრებულ განჭვირვალობას, სიმსუბუქესა და ძარღვიანობას ანიჭებს მის თხზულებებს.

საიდან, როგორ მოდის ის ახალ-ახალი გრამატიკულ-ლექსიკური ფორმები, რომელთაც უხვად ვხვდებით ილიას ნაწერებში?

ილია მშობლიური ხალხისა და კულტურის მარტოოდენ საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას როდი ემარობდა, იგი ამ ცოდნას ამდიდრებდა და აახლებდა ხალხთან ურთიერთობით, მეურნეობისა და ადამ-წესების მცოდნე მშრომელ გლეხობასთან ყოველდღიური კავშირით. მას ჰყავდა დიდძალი ნაცნობები და მეგობრები, ხშირად უზიარებდა მათ თავის აზრებს, იღებდა მათ განჩევასა და ინფორმაციებს ქართული ენის რიგ საკითხებზე. უდავოა, რომ ქართლ-კახეთის სოფლების გლეხობა, მათი მეტყველება და ყოფა-ცხოვრება იყო ილიას თხზულებათა ენის ერთ-ერთი მთავარი მასაზრდოებელი ნაკადი. მისი თანამედროვე გლეხები კიდევ გადმოგვცემენ, თუ როგორი გულისყურით სწავლობდა ილია ხალხურ სიმღერებს, ლექსებსა და ზაირებს, გლეხების სიტყვა-პასუხს სხვადასხვა დროს, განსაკუთრებით დღესასწაულებზე (ილიაობაზე და სხვ.²), ილია თვითონაც აღნიშნავდა ამას: წინამძღვრიანთ კარის სკოლის გახსნის დროს გლეხობისადმი მიმართულ სიტყვას ჩაურთო მათგანვე მოსმენილი ანდაზები: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“ — თქვენგანვე თქმულა და მართალიც არის... „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰ-

¹ ილია ჭავჭავაძე, პასუხი, თხზ. სრ. კრებული, ტ. II, 1941, გვ. გვ. 27, 32.

² შდრ. ალექსი შოთნიაშვილისა და ნოზრუგან ჯაფარიძის მოგონებანი: ლიტერატურის მატრიანე, წიგნი 1—2, 1942, გვ. გვ. 153, 198, 212.

ქონდეს და გამოჰქონდესო“—თქვენგანვე მაქვს გაგონილიო“¹—დაასკვნის ილია. ხოლო სიტყვას ასე ამოთარებს: „თქვენ იცით ხოლმე, როცა სიმღერას გაათავებთ, იტყვი: თქვენი გამარჯვებისა იყოსო. მეც გაეთავე, რაც სათქმელი მქონდა, და თქვენებურად, ჩვენებურად გეუბნებით: თქვენი გამარჯვებისა იყოს“².

ხალხური ლექსები, ცოცხალი ხალხური გამოთქმები ილიას გაბედულად შეჰქონდა თავის მხატვრულ ნაწერებში და ყოველთვის განსაკუთრებული სიამოვნებით აღნიშნავდა მას. პეტრე ნაკაშიძისადმი გაგზავნილ ბარათში ილია სხვათა შორის წერს: „ქართლის დედაში“ „მე ყველაზე უფრო ჯარის სიმღერა მომწონს, **გლახურ კალღზედ** შეწყობილია“³. ამგვარი ხალხური ლექსები თუ სხვა ჩანაწერები არა ერთი აქვს ილიას და ზოგი კიდევ გამოაქვეყნა მანვე თავის დროზე⁴.

ხალხურისადმი ინტერესი და სიყვარული, ხალხის მეტყველების პატივისცემა, ცოცხალი ხალხური მეტყველების საფუძველზე ქართული სალიტერატურო ენის აშენება და განვითარება ილიას ლოგიკური აუცილებლობით უკარნახებდა დიალექტურ ფორმათა გამოყენებას და ამართლებდა მის თეორიულ შეხედულებებს. პერსონაჟის მეტყველებაში გამოყენებული ფონეტიკურ-გრამატიკული დიალექტიზმები ხშირად მეორდება ავტორის ენაშიც იმიტომ, რომ იგი საკუთრივ ილიას ბუნებრივი მეტყველებაა. ილია მას ხმარობს არა ეგზოტიკური თვალსაზრისით, არამედ როგორც **ხალხურს**, ბევრ შემთხვევაში სალიტერატურო ენისათვის გამოსადეგად და სასარგებლოდ მიიჩნევს მას და არ ფიქრობს, რომ იგი დიალექტიზმია ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. „ყოველთვის უფრო სასიამოვნოა წასაკითხავად თხზულება, — წერდა ილია—დაწერილი საყოველთაო, შინაურულს ენაზედ, იმ ენაზედ, რომლითაც ლაპარაკობს ქართველი კაცი თავის სახლში, თავის ცოლ-შვილში, ტოლთანა და ამხანაგთან“⁵.

„კაცია ადამიანის?!“ პროლოგში⁶ ამ ხალხურობისა და ხალხური სიბრძნის გამოყენების თვალსაზრისით საინტერესოა ილიას გამოთქვები; „სხვამ რაც უნდა სთქვას, მე კი ამ სიტყვების სიმართლით გვაიმხნევებ ჩემს თავსა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს—პირს უკანაო“. სადა ხარ ეხლა, ამ გონიერის სიტყვის მთქმელო? ვიცი, სადაცა ხარ: ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ. ისიც ვიცი, რაცა გქვია: შენ ხალხის გენიას გეძახიან. ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ. შეუცდომელი და ყოველთვის მართალი ხარ“ (124).

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ყოველგვარი ხალხური ფორმა და გამოთქმა ილიას მხატვრულ პროზაში თავისი ნატურალური სახით შესულიყოს, ყოველგვარი განსჯისა და აწონ-დაწონის გარეშე. ხალხური სასაუბრო ენა ილიასათვის მაინც ნედლი მასალაა, რომელსაც იგი ამუშავებს და აქანდაკებს სწორუპოვარი მხატვრული სახეებისა და პეიზაჟების შესაქმნელად. ამ

¹ ი. ქავთარძე თხზ. სრ. კრებული, ტ. VII, 1929, გვ. 23.

² ა. შანიძე, ილია ქავთარძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის: კრებული „ილია ქავთარძე“, 1939, გვ. 29.

³ ი. ქავთარძე, წერილები, გვ. 36.

⁴ ქს. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, 1956, გვ. 15.

⁵ ი. ქავთარძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. IV, 1929, გვ. 310.

⁶ ამგვარი ნაწილები „კაცია-ადამიანი?!“ სხვადა. იგივე ერთგვარი კონფერანსიის როლს ასრულებენ და ავტორის შეხედულებებს ნათლად წარმოგვიდგენენ.

შესალებს იგი ამუშავებდა¹, ასწორებდა, აგროვებდა შემდგომი ახალი ჩანაფიქრების ხორცეცხასხმელად. დამახასიათებელია, რომ ილიას ჰქონდა შედგენილი საკუთარი ქართული ლექსიკონი, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოღწეულა².

ცნობილია, რომ „გლახის ნაამბობი“ თავიდან ბოლომდე პერსონაჟების თხრობაზე ან მათ დიალოგებზეა აგებული. ილია რომ პერსონაჟის მეტყველებაში დიალექტის გამოყენების საკვებით ისეთი პრინციპის მიმდევარი ყოფილიყო, როგორისაც თუნდაც ალ. ყაზბეგი, ე. ნინოშვილი, დ. კლდიაშვილი ან ქართველი ხალხისანი მწერლები იყვნენ, მაშინ აქ საერთოეროვნული ლიტერატურული ქართული ასე მძლავრად და მონოლითურად წარმოდგენილი შეიძლება ვერ ყოფილიყო, მიუხედავად ზემოთ დასახელებულ მწერალთა მშობლიური დიალექტებისა და ქართლურ-კახურის სალიტერატურო ენასთან თავისთავად მიმართების სხვადასხვაობისა. ილია მეტისმეტად ფრთხილი და დაკვირვებულია დიალექტური ფორმის შერჩევაში, ისე ზომიერად და ფაქიზად ეპყრობა მის გამოყენებას, რომ პერსონაჟის მეტყველებაში ნახშიარი დიალექტიზმი არ ეთიშება და არ უშირისპირდება ავტორისეულ ენას, პირიქით, ზოგჯერ კიდევ იმეორებს მას და ორგანულ მთლიანობაშია მასთან. ამიტომ დიალექტიზმების გამოყოფა აქ ჭირს კიდევ. ილიას ენაში შეგნებულად შევიდა მხოლოდ ხალხური მეტყველების ყველაზე მაღალი კულტურის მანიშნებელი ფორმები, რაც ავტორის სალიტერატურო ენის განვითარების პერსპექტივების შესაფერისად და მისაღებად მიაჩნდა, ყოველ შემთხვევაში მის ძირითად მაგისტრალურ ხაზს არ ეწინააღმდეგებოდა. ილია ამ შემთხვევაშიც იმას ცდილობდა და იქიდან ამოდიოდა, რომ უფრო და უფრო გაეფართოებინა ქართული ენის გამომხატველობით საშუალებათა სისტემა. როგორც აღვნიშნეთ, სალიტერატურო ენა ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ დამუშავებული და ნორმირებული, მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა სტაბილური ფორმები, რომელიც ჩვეულებრივ განმტკიცებას საჭიროებს ხოლმე. ამიტომ საყრდენი დიალექტის (ქართლური და კახური ცოცხალი მეტყველების) მასალის ამგვარი გამოყენება ილიას მოღვაწეობაში ახლის ძიებას ემსახურებოდა.

ილიას ნაწერებმა, როგორც ქვემოთაც ვნახავთ, უმეტეს შემთხვევაში აღბეჭდეს ხალხური მეტყველების ყველაზე სიცოცხლისუნარიანი და მდიდარი გამომხატველობითი ძალის მქონე ფორმები (ანდაზები, იდიომატური და ხატოვანი გამოთქმები, ბრუნება-ულვლილების ახალი, მოქნილი ნიმუშები...), რომელთაც გარკვეული როლი შეასრულეს ქართული სალიტერატურო ენის გაძლიერებისა და ხალხურ მეტყველებასთან შემდგომი დაახლოების საქმეში. სხვაც რომ არაფერი ყოფილიყო, მარტო საკითხის დასმა—ხალხური მეტყველების ფორმების ლიტერატურაში შემოტანის შესახებ—იყო თავისთავად ემოქალური მნიშვნელობის მოვლენა ჩვენი სინამდვილისათვის.

ილია პერსონაჟის ენობრივი დახასიათების უბადლო ოსტატია. იგი უაღრესად მრავალფეროვანი გამომხატველობითი საშუალებების შერჩევით, მოხდენილი ენობრივი ფორმების დაძებნით ახერხებს ტიპის ინდივიდუალური ნიშნების გამოკვეთას, მისი ხასიათისა და ბუნების დამაჯერებელ ჩვენებას.

¹ ასე დაამუშავა მან „მგზავრის წერილები“, „ოთარანთ ქვრივი“. ილიას პირადი წერილებიდან ჩანს, რომ გასწორებას უპირებდა „გლახის ნაამბობს“, „ქართულის დედას“ (იხ. წერილები, გვ. გვ. 29, 54).

² ა. შ. ა. ნ. ი. ძ. ე. დასახ. ნაშრ. გვ. 26

ილიას მხატვრულ პროზაში გამოყვანილია ათეულობით მოქმედი პირი, რომლებიც ეყოფნით სრულებით სხვადასხვა სოციალურ წრეს, მოქმედებენ განსხვავებულ სიტუაციებში, აქვთ საკუთარი, ზოგჯერ ერთმანეთთან დაპირისპირებული შეხედულებები და მიზნები. სავსებით ბუნებრივია, რომ ამ გარემოებამ, აგრეთვე აღზრდის თავისებურმა პირობებმა, განათლების სხვადასხვა დონემ და ცხოვრების მეტ-ნაკლებმა გამოცდილებამ თავისი ბეჭედი დასვა თითოეული პერსონაჟის მეტყველებას ისევე, როგორც განსხვავებული იყო მათი გარეგნობა, საზოგადოებრივი მდგომარეობა და ქონებრივი ავლადიდება. რასაკვირველაა, ენა ერთია და საზოგადოების ყველა წევრისათვის საერთო. სწორედ ამ საერთო ენის გამომხატველობითი საშუალებების თავისებური შერჩევა და გამოყენება ქმნის პერსონაჟის მეტყველების ინდივიდუალიზაციას. ამიტომ არის, რომ ილიას მოთხრობების გმირები არა ჰგვანან ერთმანეთს, თითოეული მათგანი თავისებურ „სამეტყველო კოსტიუმს“ ატარებს, თავისებურია მისი სიტყვა-პასუხი, გამოთქმის კილო და ლოგიკა.

ილია დიდი მხატვრული ოსტატობით და ტაქტით ძერწავს პერსონაჟის ინდივიდუალურ დეტალებს სწორედ მისი ზნე-ხასიათისა და შეხედულება, ბედის შესაფერისი სამეტყველო ფორმების შერჩევით, რამდენიმე მოხუერი დიალექტური ფორმის გამოყენებით ილიამ უაღრესად ცოცხლად, მიწვილვლად და დასახსოვრებლად დაგვიხატა ხევის ქართველის ტიპი:

„—ადრღდა ანვად თუ კარგად ჩვენ ჩვენნი თავნი ჩვენანდვე გვეყუდნეს, მით რყვის უქედ. ადრღდა ერი ერობდის გული გულობდის, ვაჟი ვაჟბდის, ქალი ქალბდის. ადრღდა?! ერთ-ურთს დავეყუდნით, ერთ-ურთს ვიხვეწებდნით... აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ—პირანდ და გულად ჯულღურ არნ. ჭრი დავარდნილ, გალახულ არნ, ვრდრმილ-კართომილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთწყობანი“... (28)

ილია ცდილობს, ყოველმა პერსონაჟმა საერთოეროვნული ქართული ენის ისეთი ფორმებითა და იმგვარად ისარგებლოს, რომ იგი ყველაზე უკეთ შესაბამებოდეს მის ბუნებას და თავისებას, ტიპის ხასიათს. ინდივიდუალური სახის ტიპიზაციის საუკეთესო ნიმუშებია ლუარსაბი და დარეჯანი, გიორგი და ოთარაანთ ქვრივი, არჩილი და კესო, გაბრიელი, პეტრე და მრავალი სხვა. ისინი ერთი ეპოქისა და ერთი ქვეყნის ადამიანები არიან, მაგრამ სხვადასხვა ბედის შვილები, განსხვავებული სოციალური გარემოს წევრები, სხვადასხვა აზრისა და შეხედულების მატარებელნი. ილია ნათლად გვიჩვენებს მათ ინდივიდუალურ ნიშნებს, ანიჭებს მათ მხატვრულ სისრულესა და ექსპრესიულობას, ამ საფუძველზე ქმნის საერთო ტიპობრივ ნიშნებს. ილიას მხატვრულ პროზაში გამოყვანილი ტიპების ხასიათსა და თავისებებს, მათ განწყობილებებსა და თვალსაზრისსა, ერთი მხრივ, და მათ მეტყველებას შორის, მეორე მხრივ, ორგანული კავშირია, ავტორის იგი სრულ ლოგიკურ მთლიანობაში აქვს წარმოდგენილი.

ქართული ენა ილიას ლიტერატურული შემოქმედების პირველი ელემენტი. ქართული ენის მდიდარი საუნჯიდან კრებს იგი თავისი პერსონაჟების ინდივიდუალიზაციისა და ტიპიზაციის საუკეთესო საშუალებებს. რა საშუალებებია ეს დიალექტიზმები?—ძალიან იშვიათად! თითქმის მოხვედრის გარდა

ილიას პროზაში დიალექტიზმები ანეგარად აღაჩნა გაცოცხლებული ვინე-
ორებით, დიალექტიზმები ერთ-ერთი ნაკლებგავრცელებული საშუალებათა ილიას
პერსონაჟის მეტყველების დახასიათებისათვის. აქ ჩვენ გვხვდება სხვა, ახალი
და მოქნილი საშუალებები, რომლებიც უფრო ზუსტად და დამაჯერებლად
გამოყოფს ტიპობრივ სახეს ილიას პროზის მოქმედი პირობისას. ესაა და-
მახასიათებელი სიტყვებისა და გამოთქმების შერჩევა, ამა თუ იმ პერსონაჟის
მიერ რომელიმე გრამატიკული ფორმისა და ფრაზეოლოგიური სინტაგმის
ხშირი, ზოგჯერ აკვიატებული ხმარება, სინტაქსური და სტილისტიკური კონ-
სტრუქციების თავისებური გამოყენება და სხვა. კვლევით ამ ნიშნის მიხედვით
შევვადებით წარმოვადგინოთ პერსონაჟების ენობრივი დახასიათების აღწერა.
შესავლის სახით, ზოგადად აქ ხაზი გეინდა გავუსვათ რამდენიმე დამახასიათე-
ბელ ნიმუშს, რომელთაც პერსონაჟების დიალოგებში ვხვდებით:

„პეტრე, აი პეტრე!—დაუძახა შორიდან თივის მდგმელს (გიორგიმ)—
ბალისაქენ გადახრილია ე თავი სათივისა; გვერდელად ატყავს“: „ოთარაანთ
ქვრივი“.

„აკი ღმერთი არ გამწყროშია!—დაიძახა პეტრემ.—გასწორება უნდა.
მოდის, თუ ღმერთი გწამს, გიორგი, ერთი ამომეშველე, გაეასწოროთ, თორემ
მე მარტოკა დღეს მაგას ველარ მოვახწრობ და საქმის სახელიოდ დაგდება
კი მეზარება“: 301—302.

„ჩემს კისერზე იყოს, ჩემო გიორგი! არ დაგეკარგება. სხვა არა იყოს
რა, მამი შენის ხნის კაცი ვარ. ემ, შეიღო და ძმაო, კაცი რომ დაპებრდება,
შეიღდი უნდა ძირს დასდოხ

რადაო?—პკითხა გიორგიმ.

—მადაო, ჩემო კარგო, რომ ბერ-კაცს თვალიც ატყუებს და ხელიც
პლალატობს, ის ქარი აღარა აქვს, რაც ახალგაზრდას. შენს ხანში ხელს არ
მოვიტეხდი, რომ ეს ამბავი მომსვლოდა?

—ახალსა ნამშურაგაღსა ბერის ხეობია ჩანჩალიო. გულს ნუ გაიტეხ.

—გაცოცხლა ღმერთმა, თქმაც იცი და კეთებაც“: იქვე, გვ. 302.

„მაგდენს რად უდებ ურემსაო? ან საქონელი არ გეცოდება, ან შენი
თავიო!... ეგეც რომ არ იყოს, სხვასაც ხომ მაგდენს მოხთხოვნო: ვთქვათ,
შენ შეგიძლიან, სხვა მაინც არ გეცოდებაო. (...) აქაო და ჯამაგირს იძლევა,
სულს ხომ არ ამოგართმევს აღაშიანსაო!“: „ოთარაანთ ქვრივი“, მოჯამა-
გირე, 268;

„ვთქვათ, კაცები ჩემსავით თამაშად მოხულანო, ამ დედაკაცებს რაღა
ღმერთი გასწყროშიათო, ეგრე თავი მოუყრიათო, რა მაგათი ხაქმეაო“: სარჩო-
ბელაზედ“, პეტრე, 230;

„ოთარაანთ გიორგის რა მოწამე უნდა? ღმერთმანი, იტყუებს და!...
სთქვა ვილაცამა“: „ოთარაანთ ქვრივი“, 268;

—ეგა სთქვი და!... მეც ეგ არ მიკვირს“: იქვე.

—ვერ უყურებთ პეტრეს!...—სთქვა თავისთავად მღვდელმა და ჩა-
ფიქრდა“...

„ეგ არის და!...—დაიძახა ვილაცამ, —ავი ძაღლი არც თითონა ხვამს,
არც სხვას აქმევსო“: „გლახის ნამბობი“, 49.

„აი, მაგალითად, გუშინ ზაქარიას ცოლს რა უქნია?—წამოიძახა ენა-
ქარტალა ელისაბედმა, იცით რა უქნია?—ხიკს გაუჯავრებია... ზაქარიას ცო-
ლი ხომ ანჩხლია?

—მერე რა რიგი! საშინელი!—დაჰკრა კვერი დარეჯანმა.

—**ბიჭვ** გაუჯავრებია, — დაიწყო ისევ ელისაბედმა, — გამოსდგომია, წა-
უძვრია ფეხიდან — ჩუსტი ყოფილა თუ ქოში, ქოში იქნებოდა, ამდენი უცემია,
რომ დაუოსებია თურმე.

—**არა, თუ ღმერთი გწამს?** — ჰკითხა გაკვირებულმა ლუარსაბმა.

—**თქვენმა ხსოცხლემ!**

—**ეს რა მესმის, თქვენი ჰირომით!** იქნება პატარა ბიჭსა სცემა? ... „კა-
ცია-აღაზიანი“, 153—154;

„**მე და ჩემი ღმერთმა**, მაგის გულში ან ღვთის მადლი ჰტრიალებს ან
ერთი რალაც უბედურებაა მაგის თავს — დაჰკრა კვერი მეორემ: „ოთარაანთ
ქვრივი,“ 270.

არის თუ არა ერთმანეთისაგან განსხვავებული ფორმებისა და გამოთქ-
მების შემცველი ციტირებული დიალოგები? უდავოდ არის. რა ქმნის ამ
განსხვავებებს? ანდაზების თავისებურება? შერჩევა, სიტყვათა განმეორება და
შეწყვეტა (და...), — ნაწილაკის დართვა თითქმის ყოველ სიტყვაზე, ჩართული
სიტყვები მთავარ წინადადებაში და სხვა.

ყველა ეს შეიძლება სალიტერატურო ენის ნორმად არ მივიჩნიოთ, მაგ-
რამ არც რომელიმე დიალექტის კუთვნილებაა იგი, რამდენადაც ყველა დია-
ლექტში შეიძლება შეგვხვდეს. ყველგან გასაგებია. მაშასადამე, ეს ფორმები
ხალხურია, არაწიგნური, აქ გამოყვანილი პერსონაჟების მეტყველებაში სრუ-
ლებით ბუნებრივი და მოსალოდნელი.

ამას გარდა, ილია ფაქიზად არჩევს ქართული სიტყვების სტილისტიკურ
ნიუანსებს, უფარდებს მათ ხმარებას პერსონაჟის წოდებასა და სოციალურ
მდგომარეობას, რითაც იცავს კლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასია-
თებელ სტილს. ამგვარი მოკრძალების აღმნიშვნელი სიტყვებით არის, მაგა-
ლითად, გადმოცემული გლეხის დიალოგი მეფესთან, რომლის პასუხები ამას-
თან შედარებით უფრო ფამილარულია:

„მეფემ უბრძანა (გლეხს): — ვახშმად ჩემის ამალით **შენი** სტუმარი
ვარო“.

„**მობრძანდი შენი, ჰირომი!** — უპასუხა გლეხმა: — მაპატივე კი, აქ სამზა-
ლისი არა მაქვს, შინ მეწვიეო“.

„ერთხელ მეფეს იმისათვის [ქარისკაცისათვის] **ებრძანებინა**: — ერთი
მითხარი, რისგან არის, რომ მე ამოდენა ჰალარა გამომერია, ლამის სულ
გავეთორღეო და **შენ** კი, ჩემზედ უფროსს, ეგრე შავად შეგაბერდა თმა და
წვერ-ულვაშიო?.

—**წესიცი ევრეა, ბატონო!** — უპასუხა ქარისკაცმა. — **თქვენ** ხელმწიფე
ბრძანდებით, პირნათლად უნდა ხუფევედეთო, და მე კი თქვენი ყმა ვარ,
პირშავადაც რომ ვიყუ, არა მიშავს რაო“: „ამბავად გავონილი“, 249—250.

ასეთია ზოგადად მოქმედი პირების ურთიერთობა, გამოხატული მათი
მეტყველების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით. კონკრეტუ-
ლად, ცალკეული პერსონაჟის მიხედვით ილიას ეს ენობრივი დახასიათება
კიდევ უფრო საინტერესოდ და მრავალფეროვნად აქვს მოცემული. უპირვე-
ლეს ყოვლისა ყურადღებას შევაჩერებთ ოთარაანთ ქვრივზე.

როგორც ცნობილია, ოთარაანთ ქვრივი ქართული გლეხი დედაკაცის
ერთ-ერთი სრულყოფილი ტიპია, რომლის მგაეკს ბევრს იცნობდა ჩვენი
ცხოვრება. გამრჯე, საწართლიანი, პირდაპირი, შეგნებული და აკვარგიანი
ქალი, რომელსაც მწარე ცხოვრებამ თავისი დალი დააჩნია და რომლის

მეტყველებაც ამ თავისებური ბედის ანარეკლია. მძიმე ხვედრის მქონე ოთარაანთ ქვრივისათვის უცბოა არისტოკრატიული ფუფუნება და განცხრომა, მას არა სჩვევია ტკბილ-ტკბილი სიტყვებით ლაქუცი და ფარისევლობა: „ტკბილი სიტყვა რა არისო!—იტყოდა ხოლმე. ამ გამწარებულს წუთისოფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი“ (253).

ამიტომ იყო, რომ ოთარაანთ ქვრივმა მკვახედ იცოდა ლაპარაკი: „ნათლიდელა [ოთარაანთ ქვრივი] სიტყვას მარტო ეკლავა ჰხმარობსო—მითამ და გაიხუმრა არჩილმა, მაგრამ ვაი ზუმრობასა!...“ (285). სხვაგვარად არც შეეძლო პირში თქმას ჩვეულს, უშიშარს და შავი ბედისადმი შეურიგებელ ოთარაანთ ქვრივს: „ენამ გულისა უნდა სთქვას, ფერ-უმარილი რა საჭიროა... მიხვევ-მოხვეულს სწორე სჯობიაო“ (283)—ასეთი იყო უტეხი და პირდაპირი ოთარაანთ ქვრივის დევიზი, რომელიც მას მწარე ცხოვრებამ გამოუმუშავა. „შენც რომ ჩემი დღენი გამოგველო [მიმართავს ოთარაანთ ქვრივი კესს], ჩემს ტაჭაში დამწვარიყავ. შენც ეგრე ილაპარაკებდი. ან სხვაფრივ ლაპარაკი რა საჭიროა? ადამიანს ვარამი და ჭირი ალაპარაკებს. ქვეყანაზედ ჭირი რომ არ იყოს, ადამიანი ენასაც არ ამოიდგამდა: მეტი ბარგია. ლხინს რა ლაპარაკი უნდა? ძაღლს რომ უხარიან, კუდის ქნევითაც იტყვის ხოლმე“ (283—284). მაგრამ ოთარაანთ ქვრივი სრულებითაც არაა ისეთი, რომელსაც ყვეფი ლუარსაბსავეით რაც მოადგებოდა ენაზე, იმას წამოროხავდა.

პირფერობას უჩვევს, დაუმსახურებელი და ჟადგილო ქების მოძულე ოთარაანთ ქვრივს არ ექაშნიკა არჩილის ქათინაურე—„ბრძენი დედაკაცი ხარ, ნათლიდელ, ბრძენი!... „სხვა დროს იქნება ერთი თავისებური მკვახე სიტყვა ეტყვიცა ოთარაანთ ქვრივს ამ ქებისათვის, მაგრამ ეხლა კი გაუჩუმდა. მერე თითონაც უყვირდა, ნეტა ენა რამ დამიბაო“ (285).

საგულისხმო ის არის, რომ ოთარაანთ ქვრივი ყველასთან ერთნაირად პირდაპირი და მოურიდებელია. თავის სიმართლეში დარწმუნებული, იგი საკმაოდ გამბედავია და ხშირად უხეშიც კი, მაგრამ უალრესად სამართლიანი, გულისხმიერი და აკვარგინი. ყველაფერი ეს ნათლად ჩანს ოთარაანთ ქვრივის მოქმედებიდან და ქცევიდან.

ამასთან დაკავშირებით, არის თუ არა ქვრივის მეტყველება მისი ხასიათისა და შეხედულების, მისი გონებრივი გამჭრიახობისა და შორსმჭერტელობის შესატყვისი? როგორი ენობრივი ქსოვილით მოსავს ავტორი მკაცრსა და სამართლიან ოთარაანთ ქვრივს?

შრომისმოყვარე ოთარაანთ ქვრივი საზოგადოდ სიზარმაცის მტერია, უქნარებისა და მუქთამჰმალების წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი, სძაგს უუნარო და დონდლო. თუმცა „გლახა მთბოვარა ისე არ მიადგეოდა კარს, რომ ოთარაანთ ქვრივს რითიმე არ გაეკითხნა, მაგრამ თავისებურად კი წამოულაგებდა“ მკვახე-მკვახე სიტყვებს:

„— ი... ი... ი... შენ კი მოგაკვდა ეგ უხეირო თავი, —მიიყოლებდა ხოლმე, როცა გასაკითხს აწვიდია—დაგიბრიყვებია ჩემისთანა სულელი დედაკაცები და ლუქმა პურს პირიდან აცლი. აი, მენი კი დაგაუარე მაგ ქეციან თავზედ. შე ოხერო, რომ აგოღია თავი და დაეხეტები სათხოვრად, ნამუხი აღარ გაქვს? ამ წუთისოფელში ვისა აქვს მეტი ლუქმა, რომ შენ გაძლიოს. ვერა ჰიედაუ, შე გულმკვდარო, რომ ვინც კია, წელეაზედ ფეხს იდგამს და დღის სარჩოს ძლივსლა ჰშოულობს და შენ როგორღა გარჩინოს? ქვეყნისა

არა გრცხენია! არა, შე თყარაყო, ოთარაანთ ქვრივი დედა შენი, მამა, თუ შენი მოვალეა, რომ შეგინახოს! აი, გაგისმებს ეს ხელ-ფხვი! რისთვის გასხია ეგენი მაგ მუტრუხ ტანზედ, თუ ვერ მოგიხმარებია? ქვეყანას თავისი თავი კი შეუნახავს, რომ ეგ შენი ბრიყვი თავიც ინახოს? ფუ, შენს ნამუსსა!... (255).

შრომაში აღზრდილი ოთარაანთ ქვრივი შრომა-გარჯას მოითხოვს სხვისგანაც. მაგრამ მის აღამიანურ გულს მაინც ებრალება უმწეო და გაჭირვებული, მადლს უშვრება მას, ოღონდ მარილს კი არ აყრის, არამედ მწარე ცხოვრებით გამკაცრებული საკუთარი თვისებების გამო, პილპილს აყრის და მადლის გაწირვას ამგვარი გამოთქმებით გამოხატავს.

—წამოეთრე ერთი მარანში, ღვინოს ჩაგაცეცხლებ. ნუ გეგონოს კი რომ მადლს გიშვრებოდე რასმე. აი, გაქრეს, ოთარაანთ ქვრივმა შენთვის არა გამოიმეტოს რა, აი ქვევრში რალაც წუმზე ნაძირალა დაძრჩა, მაინც გადასაღვრელია და ბარემ შენ ჩასცეცხლო! (255).

ოთარაანთ ქვრივი არ იყო სუსტი ბუნების, ჩვეულებრივი ნაზი ქალური აგებულების აღამიანი. იგი „ჩაირული და გვირისტი შეკერილი“ მშრომელი გლეხი ქალია, ის დედაცაა და კაციც, ნამდვილი დედაკაცი, ამ სიტყვის ილიასეული გაგებით¹, უსამართლობასთან მებრძოლი, ბეჯითი და თავდადებულია შრომაშიც, სიყვარულშიც. აკი ამბობდა კიდევ იგი თავის თავზე: „მე მარტო ისა ვარ, რომ ჩემს ჯავრს არავის შევარჩენ, ტყუილ-უბრალოდ არავის დავეჩავგრინები. თუ გაქირდა, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს ავიღებ და ხელმწიფემდინ ვივლიო“ (252). მაგრამ, მიუხედავად აწისა, აეტორი არ ივიწყებს მის ერთ ჩვეულებას—სალანძლავი და უხეში სიტყვების გამოყენებასთან ერთად წყევლის თავისებური ფორმულების ხმარებას. ოღონდ ეს წყველა არის არა სუსტი და ამაოდ მორწმუნე დედაბრის თვითდარწმუნებული ბუზღუნი, არამედ იმგვარად შერჩეული სიტყვები და იმგვარი ტონით წარმოთქმული, რომ მით ყველაზე უკეთ გამოიხატება თავისებური, ეგრეთწოდებული სიბრალულის აღმნიშვნელი ზიზი. ერთ შემთხვევაში, მაგალითად, ოთარაანთ ქვრივი აძაგებს უნდელი და უხეირო სოფლელი დედაკაცის უქნარობას სწორედ იმნაირად შერჩეული სიტყვებით, რომლებიც ყველაზე მეტად აშიშვლებს და ამძაფრებს სინამდვილეს, ყველაზე მეტ ექსპრესიულ ზემოქმედებას ახდენს მსმენელზე და აფიქრებს მას:

—ჰა, ხეთქო,—ეტყოდა ხოლმე დედაკაცსა—დავილა ეგ შავის მიწით ამოხავებები პირი, შე პირშაო, შენა, და შენი დღენი ძალსაჯით სხვას შეჰყურებ, აგერ გამოხრულს ძვალს გადმომიგდებენო. შე არ დასაცალებელო, რისთვის მოუცია ღმერთს ეგ ბარძაყის ოდენა მკლავები!.. დახე, დახე ამ წუწყსა, წუწყს შეილსა, სამგლე გოჭხავით გათხვირულა, ლუკმა პურის შოვნის უნარი კი არა აქვს. რა კარგი დაეყრებათ ამ შენს ცოდვის შვილებსა! შენი მაყურებლები შენგან აბა რა კარგს ისწავლიან! ესენი მაინც არ გეცოდება, შე უბედურის დღისავ!...“ (254).

მართალია, ოთარაანთ ქვრივი „ისე არავის გაუვლიდა გვერდით, რომ არ გაეკინწლა“, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში „თუ რამ თვალში არ მოუეიდოდა“, „ვისაც უსაქმოდ მოასწრებდა ხოლმე“. იგი, მასწავლავი, უპრინციპო მოკინკლავი კი არ იყო, არამედ უმოქმედობისა და უწესრიგობის მოძულე, უხეში და მწარე სიტყვებით დაუზოგავად ამხილებდა და ებრძოდა მას..

¹ შდრ. ი. ჯავთარაძე, თბ. სრ. კრებული, ტ. IX, 152, გვ. 245

საზოგადოდ მისი საქმე (მოქმედება) და სიტყვა ერთია, ეზარება ტყუილ-
უბრალოდ ლიქინი, მას (და ასევე მის შვილსაც—გიორგის) სწამს მაოლოდ
საქმე სიტყვიანი და სიტყვა საქმიანი... ოთარაანთ ქვრივის ლანძღვა სრუ-
ლებითაც არაა უწმიდური ავყოობა, იგი თავისებური, ე. წ. ლაზათიანი
ლანძღვა („ლაზათიანად გამოგვილანძღათ...“), რომლის მიზანია—თავისი სა-
კადრისი სახელი უწოდოს მახინჯ სინამდვილეს და ბოროტებას, გაამძაფროს,
საგანგაშოდ გახადოს იგი და მისი სასწრაფოდ გამოსწორებისათვის მთელი
ყურადღების მობილიზაცია მოახდინოს. ასეთია, სხვათა შორის, ერთი შემდეგი
ადგილიც (როდესაც სოფლის დედაკაცებს უსაქმოდ მიუხსურებს):

„—რაო, შექთაშქაშელო? ეტყოდა ხოლმე— შენს ქმარს თავისთავის
გამოკვება კი ვადვილება, რომ შენც მუქთად გკვებოსო. რას დაგიკრე-
რებია გულზედ ეგ დასამიწი ხელებო, აი, მოგიკვდებ ეგ უგულო გული! მამა-
შენსა აქვს ცხონება, შენც თუ ხელი გასძარი, შენს ქმარს მეტი ლეკმა
გულზედ დაადგება, აი!... მეტი მოუვა განა!... აი, დამიწდი, დამიწდი, კარგი
რამ შენა ხარ!“... (252—253).

ილია საზოგადოდ ცოტას გვეუბნება ოთარაანთ ქვრივის ვინაობის,
თავგადასავლისა, გარეგნობისა, ჩვეულებისა თუ ზნე-ხასიათის შესახებ, ორი-
სამი რემარკაა სულ ამისათვის, ზოგჯერ ისიც არა, მაგრამ რამდენადაც მე-
ტად ვკითხულობთ მოთხრობას, იმდენად ახალ-ახალს ვტყუობილობთ მის შე-
სახებ იმდენად უფრო სრულად წარმოგვიდგება თვალწინ ქვრივის გარეგნობა,
მისი სულიერი თვისებები. ყოველივე ამას ავტორი ახერხებს ენობრივი ინდი-
ვიდუალიზაციის ფაქიზი და ორიგინალური საშუალებების ოსტატური გამო-
ყენებით, ქართული სიტყვის ძლიერი და მრავალფეროვანი გამომხატველო-
ბითი შესაძლებლობის შესანიშნავი განაწილებით როგორც ცალკეული ტიპე-
ბის მიმართ, ისე კონკრეტული გარემოებისა და ვითარების შესაფერისად.

ოთარაანთ ქვრივის მეტყველებაში სულ ერთი-ორი თუ იქნება დიალექ-
ტური ფორმა, მაგრამ სწორედ უამისოდ ეს მეტყველება უაღრესად ინდივი-
დუალიზებულია. იგი ოთარაანთ ქვრივის, როგორც ტიპის, მეტყველებაა, მას
და მაოლოდ მას შეუძლია ამგვარი სიტყვა-პასუხი, ოთარაანთ ქვრივს საერ-
თოდ ეხერხება საუბრის აწყობა, აქვს ამდენი ობიექტანთლება და გემოვნება,
იცის, რომ ხშირად მიხვეულ-მოხვეულს სწორად და უფერ-უნარილო თქმა
სჯ. აბია, მაგრამ ზოგჯერ გაჩუმებითაც თავისი აზრია გამოხატული. არასო-
დეს არ მიმართავს უთავბოლო და უსაქმო მრავალსიტყვაობას, „მეჯავრება
ტყუილ-უბრალოდ ლიქინიო“ (277)— აღნიშნავს; ლაპარაკობს ლოგიკურად
თანმიმდევრული, სინტაქსურად მტკიცე, აზრობრივად შეკრული და სხარტი
წინადადებებით, რომლებიც მძივების მარცვლებივითაა ასხმული და ლალად
მიჰყვება ერთი მეორის მდინარებას. მისი ეპიური და დინჯი ტონი, ზოგჯერ
თავისებური ბრძანებითი კილო რალაც განსაკუთრებულ დამაჯერებლობას
და სერიოზულობას ანიჭებს მის თხრობას:

„—ჩემს გიორგის თქვენთან დგომა უნდა (...). ჩემი ნებაც არის. ჩემი
შვილი ჯერ მე დამეკითხა. მეწყინა, მაგრამ დაშლა აღარ ეგებოდა. მრცხვე-
ნიან, კაი ოჯახის შვილია, კაი მამის ჩამომავალია. ვთაკილობ და გვიანლა
წუწუნი: ვერ გავტებე, ვერ ავეხირდი. დეე, რაც საქნელია, იქმნას“ (284).

„—ნუ, ნუ!... ნუ ეტყვი უას. მე დედა ვარ და წამავალი, ის შვილია
და მომავალი; მე მივდივარ, ის მოდის. იმისი დღენი გასავლელი მინდორია,

მე კი ჩემი მანძილი გამივლია. მე ბოლოში ვარ, ის თავში. წინ ვერ ავეფარები* (284).

ოთარაანთ ქვრივს წიგნის სკოლა არა აქვს გავლილი, მისი სკოლა მწარე პრაქტიკული ცხოვრებაა, რომელმაც მას ქუა-გონება გაუწვრთნა და გამოცდილებით გაამდიდრა, ცხოვრებაზე დაკვირვების უნარმა შორსმჭვრეტელობა და დღევანდელი დღის შედეგების განოცნობის სიზრძნე შესძინა. ილიას დიდებულ კალამს არ გამოეპარა ყველაფერი ეს. ოთარაანთ ქვრივის საუბარში, მის ნათელ შედარებებში, სიტყვათა სემანტიკურ გააზრებებსა და სინონიმურ მონაცვლებებში, მის ლაკონიურად მოკვეთილ და მიმზიდველად გამოთქმულ ფრაზაში სულ მოკლელაა გამოხატული მთელი ფილოსოფია ისე, რომ თითოეული ნათქვამი აფორიზმი და სენტენციაა:

„... ეს წუთისოფელი ცოდო და მადლის ქიდილია, სხვა არაფერი. ზოგი ცოდოს იკიდებს ზურგზედ და ტყვიასავით მიიმეა, ზოგი მადლს და ბუნებულსავით სუბუქია“ (278);

„—გაჭირება რას მიქვიან? სურვილია, იღბალია... ჯერ დაუდულარო მაჭარია და ბუყბუყებს. დაუდულარს მაჭარს სარქველი არ დაეხურება, კურკულს გახეთქს“... (284).

„—რას მიქვიან ტბილი სიტყვა? თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი. ტბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოჰფხანს. გულის ფხანა რალა დარდულალა! ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება. სიტყვა სამურველი ზომ არ არის,—მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქეთ მისწიოს ან იქით, თორემ ობი მოეკიდება, როგორც კიღობანში დავიწყებულს პურსა. გული ადგილიდამ უნდა მისძრას-მოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა. ფხანა გულისა რის მაქნისია! უქმის კაცის საქმეა! თავადიშვილები ფეხის გულზე ხელს ასმევიენებენ, რომ ძილი მოიგვარონ. გულის ფხანაც ის არის. ძილს მოჰგვრის. ის კი არ იციან, რომ თუ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუქე, ისე გაათელაეს, როგორც დიდოელი ლევი ნაბადას“ (253).

„—აღამიანს მინამ ხელ-ფეხი ერჩის, მარტო არ იქნება, საქმეა ტოლ-ამხანაგი მარტოხელისა. წუთისოფელი ვის აცლის მარტობისათვის? მარტო თქვენისთანასა... მარტონი თქვენა [არჩილი და კესო] ხართ“ (285).

ოთარაანთ ქვრივის მეტყველების თავისებურებათა საჩვენებლად ილი შშენნივრად იყენებს პოეტური სინტაქსის ზოგიერთ თავისებურებას, თავის ადგილას და მოხდენილად ურთავს რიტორიკულ შეკითხვებს. მიმართავს დაპირისპირებებსა და განმეორებებს, თხრობის შეწყვეტას, შეჩერებას და სხვა, რითაც ნათლად გადმოგვცემს მისი გრძნობებისა და განცდების რთულ საწყაროს.

„—დედა-შვილობაში შენ-ჩემობა რად არის?... —ჰკითხა ოთარაანთ ქვრივმა თავის თავსა. —დედა-შვილობაში ორი თვალი რად უნდა იყოს? ნეტა დედას სხვასავით მიინც ორი თვალი არა ჰქონოდა... თუ აქვს, რად უჭრის ერთი თავისად, მეორე შეილისად? გული რად იხედება გარეთ ორის თვალითა, რად? რატომ ერთი თვალი არ ებრმავის, როცა მეორე იყურება?... ვინ ვისთვისაო,—რა საკითხავია დედაშვილობაში? ვაი, რომ საკითხავი ყოფილა! ამისი ქიდილია თურმე დედა-შვილობაცა“ (288).

„—ჩემგან მიდის და პატარა ნალველიც უკან არ ახედებს... განა აქ არა დაპრჩა რა!... სხვაგან მიდის და სიხარული მარტო წინ აყურებინებს... განა ყველაფერი იქ არის, სულ ყველაფერი!...“ (288).

როგორ ზემოთაც ითქვა, ოთარაანთ ქვრივის მკვახე სიტყვებსაც თავისებური შნო და გამართლება აქვთ, რამდენადაც იგი თავის ადგილას არის ნათქვამი. მაგრამ უფრო მიმზიდველია ოთარაანთ ქვრივის მონოლოგი, როცა იგი თავის მწარე ხედვას გადმოგვცემს, ან შეილს ესაუბრება და მასთან მსჯელობს, ან კიდევ არჩილს მასთან მისეულის მიზეზს უხსნის. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ილია დიალოგის აგების ისეთივე დიდი ოსტატია, როგორიც მონოლოგებისა. დიალოგი ეს უბრალო კითხვა-პირდაპირი კითხვა-პასუხის, როგორც, სამწუხაროდ, ზოგიერთ მწერალს ჰგონია. მასში პოლემიკაა, მსჯელობაც, დადასტურებაც და უარყოფაც. ხშირად მასში ჩანს მოქმედი პირების აზრის სისწრაფე და გონების მარილი. ოთარაანთ ქვრივის თვისება და ხასიათი განსაკუთრებით ნათლად ჩანს დიალოგებში, მის მოსწრებულ და გონებამახვილურ სიტყვებში, ფრთიან გამოთქმებში, რომლებშიც მოხდენილადაა შერჩეული მხატვრული ეპითეტები, ბუნებრივი ხატოვანი შედარებები, მეტაფორები და ანდაზები:

„— მა რას ჩაქეტილხარ და დახურულხარ შენს გულში? შეილო, დედა ვარ და არა უცხო. შენი ჯავრი გულში ჩაშიჯდა ქიასავით და ქიასავით მტკიავს და მჭამს. შემებრალე და მაცოცხლე!“... (278).

„— ქალი რომ იყო, ეგრე ადვილად ვერ გამოფრინდებოდი ხელიდამ“ (...). „ქალი, მინამ გათხოვდება, დასაფრენი ბლარტია და ფრთას ქვეშ უზის დედასა (...). ქალი ბედს შინ მოელოდინება, კაცი კი გარეთ ეძებს... (287).

„— (...) დეე, იცოდნენ, რომ ოჯახის შვილი ხარ და არა ეული ვინმე, ბოგანა. დეე, იცოდნენ, რომ ოჯახიდან გასდიხარ და არა უოჯახობიდან.“

[გიორგი]—განა არ იციან?...

—გაგონილს თვალთ ნახული სჯობია. დეე, რაც ყურით გაუგონიათ, თვალთაც ნახონ.

[გიორგი] —სასაცილოდ ამიგდებს მთელი სოფელი, ეგრე ბარგაკიდებულა რომ მნახონ.

—თავ-სიცილს კაცი არ მოუკლავს. კაცი რომ სულელების კბილთა ღრქას აპყვეს, სად წაგა?“ (286).

ოთარაანთ ქვრივს ძალიან ფართო ურთიერთობაში და მრავალფეროვან გარემოებებში უხდება მოქმედება. ავტორს ყოველი ამ კონკრეტული შემთხვევისათვის შესაფერისი ენობრივი ნიშნები აქვს შერჩეული და მის აღამიანურ ბუნებას მთელი სიღრმითა და სისავსით გვისურათებს. სოფლის უსაქმურ დედაკაცებთან მკაცრი და გესლიანი ოთარაანთ ქვრივი, ზომბზე მეტად გულთბილი და მოალერსე დედაა; მზრუნველი მშობელი და ბოლომდე ერთგული მეუღლეა. დედაკაცი, რომლის შესახებაც სოფელში ამბობდნენ— „გულის მაგიერ ქვა უდევსო“,—განსაკუთრებული ლირიკული სიტბოთი და სიღბოთი ეალერსებოდა თავის ერთადერთ შვილს, ქალური სინაზითა და გულწრფელობით დასტრიალებდა თავზე და გულში იკრავდა მას; აწმყოთი დაჩაგრული და გაუბედურებული, მოგონებებში გადადიოდა, ცხარედ ტიროდა, თუმცა „ცრემლს არავის დაანახებდა, შეილსაც კი, შეილსაც არ შეამცნეინებდა ხოლ მე“ და ქმრისეული თოფ-იარაღის მოვლა-მზრუნველობაში ამტკიცებდა თავის შეუცვლელ ერთგულებასა და შრომისმოყვარეობას. ამ მომენტში ოთარაანთ ქვრივის მონოლოგ-დიალოგებში, რა თქმა უნდა, აღარაა წინანდელი ლანძღ-

ვა, მუქარის გამომხატველი მკვახე სიტყვები და ბრძანებით-დამრიგებლობითი ტონი. იგი შეცვლილია ნაზი ალერსისა და ჰუმარითი სიყვარულის აღმნიშვნელი სიტყვებითა და ერთგულების გამომხატველი ფიცის ფორმულებით.

— „მერე რა პირითლა შევეყარო საიქიოს ჩემს ქმარსაო — ამბობდა ხოლმე — აი, უწინამც დღე დაუბნელდეს ოთარაანთ ქვრივს, მინამ მაშინაც ვალს სახლში დაუსვამდეს თავის პატარა გიორგისა. ვენაცვალე იმის სიყრმეს!... მაშაშენს ვულალატო შენ ვაგცე!.. აი, უწინამც დედაშიწა გაირღვევა და შიგ ჩაპიტანს. გაიზარდე, ჩემო თვალის სინათლევ, და გაახარე აქ დედაშენი და იქ მამაშენი. აი, შენ დაგედოს მტლად შენი უბედური დედა!“

„შენი ვარ, შენთვის მოგკვდები, შენთვის დავიციემ დანასაო“ — იტყოდა ხოლმე თავის გულში დედა, როცა შვილს სამუშაოდამ მოწავალს დაინახავდა* (263).

„ვაი, ვაი მე უბედურსა!... — ჩაიკრავდა ხოლმე გულში ხელს — სადღედაბროდლა გახდა ეს ვაეკაცის იარაღი. მოგიკვდათ, თქვე საწყლებო, კაი პატრონი!... უიმე! განა მარტო თქვენ მოგიკვდათ!... ხომ მეც მომიკვდა, მეც!... წაიღო შავმა მიწამ ჩემი თევდორე... წამოგექცა, ოჯახო, დედაბოძი, დავიმიწდათ, თოფო და ხმალო, თქვენი ფანდი ვაეკაცი... გატყდა შუაზედ ჩვენის წუთისოფლის უღელიცა, მოგიკვდა, ოთარაანთ ქვრივო, ტოლსადები მეუღლე, დარჩი ცალად... ვაიმე უშენოსა!... (259 – 260).

დასასრულ, ილიას დიდი დრამატული დაძაბულობით და განსაკუთრებული ექსპერესიული ძალით აქვს გადმოცემული ყველაზე ტრაგიკული სცენა — ოთარაანთ ქვრივის მოთქმით ტირილი გიორგის ცხედართან:

„— ჩემი გიორგი აღარ არის, არა!... — ჰომოდა ხმადაბლა დედა. — მე დაერჩი, მე, და გიორგი კი აღარ არის!... შეილო, წამიხველ? მომიკვდი? წამიხველ, წამიხველ და აღარ მომიხვალ!... შეილო, შენი დასამარხავი ვიყავ და მე გმარხავ შენა, მე!... შენი დასატირებელი ვიყავ და მე დაგტირი!... ამ ხელებმა ვაგზარდა და ამ ხელებმავე უნდა მიწა მოგაყაროს!? მაგ ხელებს უნდა დაეკრებნა ჩემთვის გულზე ხელი და ეხლა მე უნდა დავიკრიბო, მე!... ვაი, დედას ამის დამსწრეს!“ (310).

ილიას მხატვრულ თხზულებათა პერსონაჟები შეიძლება ორ ძირითად კატეგორიად გაეყოთ: პირველია გაბატონებული წოდების წარმომადგენლები, მაღალი არისტოკრატია, რომელთაგან ერთ მხარეზეა ლუარსაბი, დარეჯანი და სხვა, მეორეზე — არჩილი და კესო. მეორე კატეგორიას განეკუთვნება დაბალი წოდების წარმომადგენელი მშრომელი გლეხობა — გაბრიელი, პეპია, გლახა ჭრიაშვილი, დათო, გიორგი, ოთარაანთ ქვრივი. ამ პერსონაჟებს შორის განსხვავებაა მათი სოციალური მდგომარეობითა და საზოგადოებრივი შეგნებითაც. ყველაფერი ეს გამოისახება მათ შეხედულებებში და მოქმედებაში, განსაკუთრებით კი ენაში — სიტყვათა შერჩევაში, აზრთა წყობაში.

ოთარაანთ ქვრივის ასლი და კვალაა მისი შვილი გიორგი: თითქმის იგივე პირდაპირობა, სიმართლისა და შრომისმოყვარეობა, იმგვარივე მოქმედება და სიტყვათმხარება, ისეთივე დამრიგებლობითი კილო, როგორც მისი დედისაგან ესმოდა. „სხვისაგან თავზედ ფრინველსაც არ გადიფრენდა და ფეხქვეშ ჭიანჭველასაც არ გაიტარებდა“, ვერ მოითმენდა, საქმე და მოსაქმე რომ ერთმანეთისაგან გაყრილი ენახა. მოკრძალებული და სიტყვაშეუბრუნებელი დედის მიმართ, მოურიდებელი და უკმეხი იყო მუქთახორებისა და მატყუარებისადმი. ერთი ფაქტი: „გიორგი ტყეში ყოფილიყო ქიგოს საჭრე-

ლად. ომარაანთ მოჯამაგირე ენახა ტყეში. თურმე ურემი გამოუტანებიათ შე-
შისათვის და ის კი ჩრდილში წამოწოლილიყო და ლაზათიანად ჰხვრინავდა.
ეს კიდევ არაფერი. კამეჩები წნელით გამოება ურემზე. საცოდავი პირუტყვები
იქვე ურმის თვალთან ეყარნენ და ზარმაცად იცოხნებოდნენ უილაჯობით.
გიორგი თურმე ზედ მიაღვა მოჯამაგირეს, ტყილამ მოდენილი, ფეხი წაჰკრა
გასალევიძებლად.

—ადე, ძმობილო, აუშვი ე კამეჩები, ცოდონი არიან.

შენ რა ჩემი ფეხები გინდა,—დაუყვირა მოჯამაგირემ, როცა თვალები
წამოაჰყიტა.

- თითონ რომ არ ვარგებარ, შენი ფეხები ვისთვის რის მაქნისია. კამე-
ჩები ცოდონი არიან-მეთქი.

—მერე შენ რა გეპრიანება?

—ის მეპრიანება, რომ არამია შენთვის ჯამაგირი. ვთქვათ, პატრონს
ატყუებ და ატყუებ, ე პირუტყვები მაინც არ გენანება, ქრისტიანი არა ხარ,
მაგათი ცოდო მაინც არა გწავას!... მიგიღძვია საცოდავები წნელით ურემ-
ზედ, შიმშილით ფერდები ჩასცივინიათ.

—მაშ არა და თავზედ დავისვამდი.

—დაისვამდი, მე ვიცი, მაგ ქეციან თავზედ ბევრს კი მოსძოდნენ,
აი!... ვერა ჰხედავ, ტყეში ბალახი მუხლამდევ: ფასი ხომ არ გავივა, გაგეშო,
პირი მოეტყუებინათ.

—გამეშო რა, მუქთი ფეხები მაქვს მაგათ ძებნაში მერე სული ამომრთ-
მეოდა.

—აი, შე უნამუსო! აქაო და არაინა მხედავსო, ნამუსის ქუდი აგიხდია
და ლაფში გადაგიგდია. შენს ღმერთს რაღას ეუბნები! აქაო და კამეჩები პირ-
უტყვია, შებრალება არ უნდა, თუნდაც სხვის ამანათი, სხვის მონაბარი არ
იყოს!“ (266—267).

ილია განგებ ურჩევს გიორგის და მის თანამოსაუბრეს ამგვარ სიტყვებს,
ამით იგი დიდი მხატვრული სიზუსტით უნარჩუნებს მათ ინდივიდუალურ
ელფერს, რაც მათ ცხოვრებაში ნამდვილად ახასიათებდათ. თანაც საინტე-
რესო ისაა, რომ ასეთი ენობრივი დახასიათების შემთხვევაში მოცემულია
არა ფორტოგრაფიული აღწერა და დიალოგების ოქმისებური ფიქსაცია, არა-
მედ თითოეული ნათქვამის შემოქმედებითი გააზრიანება და განზოგადება.
ამის გამო, საზოგადოდ, ილიას პროზაში ნასახიცი არა გვაქვს იმ ენობრივი
ნატურალიზმისა, რასაც მსგავს შემთხვევებში სხვა მწერალთა შემოქმედები-
დან ვიცნობთ.

მეორე მხრივ, ილია განსაკუთრებული მხატვრული დამაჯერებლობით
გვიჩვენებს ლუარსაბისა და დარეჯანის გონებრივ შეზღუდულობასა და გადა-
გვარებას, მათ უკიდურეს პრიმიტიულობასა და ვულგარულობას. უხამსი
ქცევა და სიტყვა-პასუხი, სჟობრის მუდმივი ერთი და იგივე თემა, წხამზარე-
ული სიტყვიერი შტამპები, გაზეპირებული ფორმულები და გაცვეთილი
გამოთქმები—აი, ლუარსაბისა და დარეჯანის აზრის ნაყოფი. აეტორი სა-
ტირისა და იუმორის გესლით ურთავს: „ხშირად შეღამებამდინ ცოლ-ქმარნი,
გაცხარებულნი და გაქარბლებულნი, ამისთანა ღრმა აზრებს ამტკიცებდნენ:
„ღღეს რა ეკამოთ“—იტყოდნენ დილით, „ხვალ რა ეკამოთ“—იტყოდნენ სა-
ღამოზედ. ეს იყო იმათი სულის საზრდო, ეს იყო იმათი გონების ვარჯიში,
„ეს იყო იმათი აზრის აღებ-მიცემა“ (166).

ლუარსაბისა და დარეჯანის გონებრივი ავლა-დიდების, მათი უკიდურესად ჩამორჩენილი საზოგადოებრივი შეგნების უტყუარი მანიშნებელია ლარები ლექსიკა, არაფრისმთქმელი მაღალფარდოვანი სიტყვების ხშირი ხმარება ურთიერთ შორის, მიმართვის დროს, ერთი და იმავე გამოთქმის წამდაუწუმ განმეორება ადგილისა და დროის შეუფერებლად:

„—სირცხვილი არ არის ეხლანდელ დროში. **პირში წყალი** გაგვშრობია“

„—სულ ისე ჩემად და გონიერად იცოდნენ უწინ ყველაფერი. ამიტომ რომ **პირში წყალი ჰქონდათ**“ (155).

ასე განუსჯელად იმეორებს თავის თავს ლუარსაბი. და არა მარტო თავის ნათქვამს, არამედ სხვის ნათქვამსაც, რომელიც მას მოსწონებია. ავტორი აქ განსაკუთრებული ენობრივი საშუალებების შერჩევით სარწმუნოდ გვიჩვენებს ლუარსაბის გონებაჩლუნგობას და მოუსაზრებლობას; სხვისი ნათქვამის უკრიტიკოდ განმეორების ჩვევაში ჩანს, რომ ლუარსაბის განუვითარებელ აზრს ვერ უპოვია უკეთეს ენობრივ სამოსელში გამოვლენის საშუალება. დამახასიათებელია ერთი ადგილი:

„მეორე დღეს გუშინდელი ბიჭები დაიბარა ლუარსაბმა და ამისთანა საუბარი დაუწყა:

— მართლა ორმო იყო?

(...) „—შენი რისხვა არა მქონდეს,— მიუბრუნდა მერე ბატონს ცბიერი მონა—მე იქ ორმო არც მენახხა და არც გამეგონოს დღევანდლამდინა. აი, **ჰიპო** აქ **მოხიჭრა** და ამოდინა კაცს ლამის სულიც აქ დაშლიოს, მაგრამ ხომ მოგახსენებთ, **შენი ჰირიმე**, **ქუდიანის** საქმე ეგ არას“.

(...)—გაიგე, დედაკაცო, რა ამბები მოახდინა იმ უხეირო, უკბილო ბებერმა? —უთხრა ცოლსა [ლუარსაბმა]—... აი, გულთმისნობა რა არის! ამდენს ხალხს ჩემს სახლში **ჰიპო მოუჭრიათ** და ერთმა არ იცოდა დღევანდლამდინ, რომ იქ ორმოა“ (213—214)¹.

ლუარსაბმა უაზროდ გაიმეორა და თან თავისად გაასალა ყმა გლეხის გამოთქმა და ცოლს თავი მოაწონა. ლუარსაბის, დარეჯანის, ელისაბედისა და დავითის მეტყველება, ასე ვთქვათ, გაორებულია: სხვაგვარ გამოთქმებს ხმარობენ ივინი ერთმანეთთან მიმართვის დროს და სრულს მანერულობასა და ფარისევლობას ამჟღავნებენ, სხვაგვარად, ქედმაღლურად ელაპარაკებიან ყმა გლეხებს. ილია მეტყველების ფორმების შერჩევითაც ახერხებს გვაჩვენოს კლასობრივი საზოგადოების დაპირისპირებულობა და უფსკრული:

—განა მაგანედ **მოგახსენე**?—დაასწრო ელისაბედმა.

—მეც განა მაგანედ **მოგახსენე**?—დაატანა დარეჯანმა,—მე მარტო ეს უნდა მეთქო, რომ ჩემს ლუარსაბს **ჯერ** ისე არა ვასკირებია რა, რომ გლეხობა ჩაიდინოს.

—გლეხობა ჩაიდინოს!.. რას **ბძანებთ**, ჩემო რძალო? არა, **თქვენმა მზემ**... თქვენც არ მომიკვდით. .“ (148).

„—**თქვენზედ მიწა** არ **მენახოს**!— მოაქორა ელისაბედმა“... (155).

ამგვარია ყალბი და ფარისევლური პატივის გამომხატველ სიტყვათა მთელი არსენალი. მაგრამ გლეხებთან ან გლეხების შესახებ საუბარში ლუარსაბი-იგივე გაბლენძილი და ამპარტავანი ლუარსაბია, რომელიც ფუჟი მედიდურობით თვითდაჯერებული წარმოთქვამს:

„—გლეხკაცს ეგრე უნდა მოეპყრას ბატონიო,— იტყოდა ხოლმე ბრძენი თავადი.—ეგრე უნდაო, რომ ყოველ ცისმარა დღეს ეშინოდეს, თორემ ლ-

¹ ამ ადგილს ყურადღებას აქცევს გრ. კიკნაძე, ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, 1955, გვ. 342—343.

რის მკენარსავით რომ გლახკაცი ფეხზედ დაისო, თავზედ ავაკოცდებო, მაშ!
შიში შეიქნის სიყვარულსაო“ (139).

ამისდა მიხედვით ლუარსაბის მეტყველებაში ყოველთვის სქარბობს გლეხების ლანძღვა-გინების გამომხატველი სიტყვები, თავის ღირსებაში ამაოდ დარწმუნებული ლუარსაბი უსავნოდ დამტუქსავი ტონით მიმართავს მათ და უქნარა კაცისათვის ჩვეული ბაქიობით აბარებს ხოლმე ანგარიშს თავისი მოჩვენებითი წარმატების შესახებ თავის მეუღლეს, კვლავ იმეორებს რა მის ნათქვამს.

—**ეს გლებები არიან: გაქირ ვირსავით თუ ერთხელ შედგა, მერე, თუნდა შეინდის სახრით მისდგე, ფეხს ვერ გადაადგმევენებ, თუ აღრევე დატუქსული არ გყავს.**

—**ოღონდაც, დატუქსული უნდა გყვანდეს,** — მიუგო ხელახლად თავის ცოლის სიბრძნისაგან გაოცებულმა ლუარსაბმა, — **ოღონდაც, გაქირ ვირსავით შედგება“** (134).

ლუარსაბი და დარეჯანი — ორივე ცრუმორწმუნე, ქორიკანა და მხდალია. როგორც ასეთ ადამიანებს შეშვენის, იგინი აუგად იხსენიებენ და ზურგს უკან უშვერი სიტყვებით ახასიათებენ მეზობლებსა და ნაცნობებს, რომლებზედაც არც ღირსებით და არც ქონებით მაღლა არა დგანან; სხვაზე საიციხავ სიტყვებს ხმარობენ, სხვისაგან მსგავს გამოთქმას უკადრისობენ. „კაცია-ადამიანს?“ გარდა ამ მხრივ დამახასიათებელია ანალოგიური ადგილი „გლებთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენებიდანაც“:

—**იმას მოგახსენებდით: იმ წუწკს ნიკოლოზს იცით რა უქნია?** (154)

—**უი, ლაფი დაეხათ თავზედ, კაი გვარის მასახელებელი ისინი ყოფილან“** (152).

—**ის საწყალი ქალი მეცოდება, თორემ ნიკოლოზს თუნდა თავშიაც ქვა უხლია“** (155);

[ქერივი, მოსაძარტლის ქცევით გაკვირვებული, და თან განაწყენებული უამბობს თავის მაზლს]:

„(...) — **ბატონეშობა გადავარდაო და თქვენ ვილა ყრისხართო, სწორედ ამ სიტყვით, ვილა ყრისხართო (...)** სწორედ მაგ ლექსით... ვინა ყრისხართო. მერე ვისთან მითხრა? ოთახი სავსეა იმ ძაღლის **გავარდნილებითა“** (327).

ლუარსაბის სიტყვა-პასუხი მისი ხეპრული ქცევის შესატყვისია. მის საუბარში არ არის არავითარი ესთეტიკურსა და მორალურ ნორმებს დამორჩილებული გამოთქმა. ავტორი არ მოერიდა ეხმარა გადაგვარებული კლასის წარმომადგენელი პერსონაჟების მეტყველებაში ვულგარული სიტყვები და გამოთქმები, რათა სრულად ეჩვენებინა მათი ენობრივი ნატურალიზმი. დამახასიათებელია ასეთი შედარებები და გამოთქმები „კაცია-ადამიანსში?“ და „მაქანკალი“:

„**ლუარსაბი: ... — თუ ძალაზედ მივარდა [საქმე], ასე გავიბოტები, როგორც ჩვენს შინდა მოწვერი“**: „მაქანკალი“, 401.

დარეჯანი: „**— არტალაზედ როგორა ხარ?**

[ლუარსაბი] „**— არტალაზედ? ვაცივითა ვარ, ვაცივითა“** „ქაც.-ად“. 162.

ხორეშანი: **მაშ, თუ ეგერეა, შენი მყარაო ფეხი დამკარ თავში, შენი მყარალი ფეხი, თუ ეგ საქმე არ დაგიშალო.**

მოსე: **მაშ შენი ლაფ-დახხმული ლეჩაქი დამხურე, შენი ლაფდახხმული ლეჩაქი, თუ ეხლავ გომურისაკენ არ გიკრა თავი და იქ არ დაგამწყვდიო (...).**

ხორეშანი: **რაო? დაგამწყვდიო? უი, შეხე კი დაგცა მაგ წიტიან თავზედ, დამამწყვდევე რა, შენი მოახლე გოგო თუ გგონივარ, ან შენი გომბიო ქალი“**: „მაქანკალი“, 392—393.

ილიას მადლიანი კალმით ამ შემთხვევაშიც ისევე, როგორ ყოველთვის, ოსტატურად შერჩეული სიტყვიერი სამოსელი ნათლად გვიჩვენებს, რომ ხალხს მოწყვეტილი და უნიადგო ლუარსაბი, დარეჯანი, ელისაბედი, დავითი ფუჟად გატარებული ძველი ცხოვრების წარმოდგენებითა სულდგმულბენ, ახლის ძიების უნარი და ინტერესი მათ არ გააჩნიათ, მდგომარეობის კრიტიკული განსჯისა და აწონ-დაწონის შესაძლებლობას მოკლებულნი არიან. მათ დიალოგებსა თუ მონოლოგებს ავტორმა განგებ დააქლო სალი აზრის გამომხატველი მარილიანი სიტყვები და სრული გონებაგაუხსნელობა და ალოგიზმი ენობრივ ფორმათა სილატაკით გვანიშნა. არა საქმიანი სიტყვა, რომელიც თავისი ფორმითა და შინაარსით ყურადღებას მიიქცევს, მამენელს დააფიქრებს, არამედ სასაცილო უთავბოლობა და ტავტოლოგიები მათი მეტყველების ძირითადი ნიშანი. არა, კვიციანური დარიგებისა და სერიოზული მსჯელობის გამომხატველი ლექსიკა, არამედ მეზობლების გაქორვა და უქბილო ქირღვა, ყმა გლეხების ლანძღვა-გინება და დაწიოკება, რომლის მიზეზი და მიზანი თითონაც არ ჰქონდათ ნათლად წარმოდგენილი, — ყველაფერი ეს შეადგენდა ადამიანებთან მათი ურთიერთობის ძირითად თვისებას.

ასეთივე ვიწრო გონებრივი ჰორიზონტის, პრიმიტიული აზროვნების შესაფერისი სამეტყველო ფორმები აქვს შერჩეული ავტორს ლუარსაბ თათქარძის სიმამრის — მოსე გძელაძისათვის. იგი მოთხრობაში ერთ-ორჯერ გამოჩნდება, მაგრამ სულ რამდენიმე სიტყვისა და გამოთქმის ხმარებით უკვე ცხადად ჩანს მისი ჭკუა-გონების უნაყოფობა. საქმარისია აქ გავიხსენოთ მოსე გძელაძის წერილი, რომელიც თავისი ფორმითა და შინაარსით სანიმუშოა არა მხოლოდ ტაპის კულტურული განვითარების დონისა და ინტერესების გაგებისათვის, არამედ აგრეთვე ამ წერილისათვის განსაკუთრებული ალლოთი შერჩეული ენობრივ-სტილისტური საშუალებების თვალსაზრისითაც, იგი სარკაზმის გამოხატვის თავისებური, ცოცხალი მაგალითია. წერილის ენა და სტილი თითქოს ახალი ქართულისაა, მაგრამ ქართული ენის გრამატიკული აღნაგობის ცალკეული მხარეების გროტესკული, თუმცა მაინც ფაქიზი გამოყენებით, — დაუსრულებელი ტავტოლოგიებით, გაცვეთილი მაღალფარდოვნების გამომხატველი წიგნური სიტყვებისა და თავისებური სინტაქსურ-სტილისტური კონსტრუქციების ირონიული შერჩევით ავტორი აღწევს წერილის მისცეს არქაული სული. ამავე დროს ახერხებს გვაგარძნობინოს ეპოქის საერთო დამახასიათებელი სტილიც, უნარჩუნებს რა წერილს კადნიერ კილოს, რომელიც ჯერ კიდევ ახსიათებდა გძელაძეების ატმოსფეროს:

„ჩემო აღმატებულ ბედნიერო გვაროვანო სიძეო: თუმცა დიდათ ბედნიერი ვარ რომელიცა რომა შენგანა ვარ დღეს მოხუცებული ბედნიერი და გული ჩემი სიხარულით აღსავსე ნეტართა სიძობითა თქვენითა და თვალი ჩემი აახილე რომელიცა რომა დაინახა ისეე გაზაფხული მუხთალისა სოფლისა ამისა ფრიად სიხარულში ვარ რომელიცა ეხლა ვარ ჩემო აღმატებულო გვაროვანო სიძეო რომელიცა გთხოვ გამოგზავნო ნიშანი რომა საქმემ არ დაიგვიანოს დიდი ხალხი არ გამოგზავნო რომელიცა რომა მე მოხუცებული კაცი ავად ვარ სნეული და პატივი და მასლაათი და ქეიფი რომელიცა აწ მე აღარ ძალმძის რომელიცა ფრიად შეაწუხებენ ქორწილში რომელიც თქვენ იქნებით ჩემს სახლში მასპინძელი დიად დიდი ხალხი მოვიწვიოთ თქვენცა დიდი და პატიოსანი ნათესაობა გყავს რომელიცა არც მე ვარ უნათესაო და ბლომად

შევეაროთ ისე როგორათაც შეჭურის დიდებულს გვაროვნობასა თქვენსა და ჩემსა ოჯახს სახლქარიანობასა ჩემსა...

„სხვებრ ბძანდებოდეთ ბედნიერებით იესო ძე ღვთის მიერ ვითხოვ თქვენს ბედნიერებას რომელიცა რომა მსურს ნახვა თქვენი თქვენი სიამამრი ბრწყინვალე თავადი მოსე ნოშრეფანისძე გძელადე“: (182).

უდავოა, რომ ილიას მიერ მოსე გძელადის წერილის ამგვარ აგებას თავისი დროისათვის აქტუალური საზოგადოებრივ-ლიტერატურული დანიშნულებაც ჰქონდა, რამდენადაც ამით ავტორმა ანტონის ცრუქლასიკური სკოლის გრამატიკულ-სტილისტურ ნორმებსაც გადაჰყარა კრიტიკის შოლტი.

როგორც ვთქვით, ილიამ თავის მხატვრულ თხზულებებში, სხვათა შორის, გარკვეულად დაგვანახა ენის ფორმებით სარგებლობისას სხვადასხვა წოდების წარმომადგენელთა თვალსაზრისი, მათი მეტყველების თავისებურებანი. მოხდენილად შერჩეული სიტყვებით ავტორმა დამაჯერებლად გვიჩვენა, მაგალითად, დათოს სახით ისიც, თუ როგორ გადააგვარა ბატონყმურმა ინსტიტუტმა ყმა გლეხი, როგორ ჩაკლა მასში თავისი აზრის პირდაპირი, კრიტიკული, დაუფარავი გამოთქმის უნარი. დათოში განსახიერებულია ბატონყმურ წყობილებაში წარმოქმნილი ადამიანის თვისებები. დათო მოკლებულია კაკოსა და ზაქროს მსგავს შემართებასა და გამბედაობას. თუმცა იგი არაა მოკლებული თავისებურ გესლს, აქვს ირონიის გრძობა, მაგრამ პირმოთნე და ცბიერია. თითქოს თავის დაუთანხმებლობასა და უკმაყოფილებას შემპარავად, გადატანითი აზრით ჩაუყრავს ლუარსაბს, მაგრამ მაინც ინერტული და ბედს დამორჩილებულია:

„—დიდი და პატარაობა საღ არ არის?—სთქვა ლუარსაბმა—აი, თუნდ თითებზედ დაიხედე: ერთი დიდია, მეორე პატარა, რისთვის? ამისთვის, რომ ღმერთს აგრე გაუჩენია, დიდი და პატარაობა ყველგან უნდა იყოს, აბა დახედე!

—განა არ დამიხედნია, შენი ჭირიმე! დიდიც არის, პატარაც, მაგრამ დაილოცა ღვთის სამართალი, ისე გაუჩენია, რომ ერთმანეთს არ უშლიან—სთქვა ცბიერმა დათომ“ (159).

უდავოა, რომ დათოს ყოველთვის ის არ აღვას ენაზე, რაც მის გულშია, რასაც სხვა პირობებში გონება უქარნახებდა. მისი სიტყვა არაა მისი ნააზრევის საარკე. მახინჯმა ცხოვრებამ დაიმორჩილა დათო, ბოლოსდაბოლოს ჩაკლა მასში მებრძოლი სული, გახადა სხვისი ნების მორჩილი, სხვისი ბრძანების უსიტყვო აღმსრულებელი, იძულებულყო განუსჯელად ეთანხმებოდეს ბატონის სულელურ შეგონებას.

ტიპობრივია ამ მხრივ ის სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც მას ავტორმა შეურჩია საუბრისათვის და რომლებთანაც, ნაცვლად გულწრფელი პატივისცემისა და მოკრძალებისა, აქ სავსებით ობიექტურად დაკავშირებულია პედანტური დამორჩილების, სხვის ნებაზედ დამოკიდებულებისა და სიმხდალის ვაგება. აქ ჯეროვნად არის დაცული როგორც ეპოქის სტილი, ისე მისი კლასობრივი გამოყენების თავისებურება:

[ლუარსაბი],—დათო! ხორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდამ?

—დიად, შენი ჭირიმე.

—სამწვეაღედ?

—სუკი ვიშოვე, შენი ჭირიმე.

—ტარხუნა ხომ არის?

—გახლაგხ.

—კიტრი?

—კიტრიც გახლაგხ.

—მაშ სახლი საესე ყოფილა (...)

—როდისა გხლებიათ ნაკლული, შენი ჰირიშე, რომ ეხლა იყოს“
(137—138).

მეორე ადგილი:

—„დათო, დათო—დაუყვია ბატონმა.

—**ბატონო**—საღლაც შორიდან მოისმა დათოს ხმა: — ეხლაე ვიახლები.—
ცოტას ხანს შემდეგ დათოც მოვიდა და ჰკითხა ბატონსა.

—რას გეხმანებთ?

—იმას, რომა ყმები ჩამოგვერთმევაო, რომ ამბობენ, ტყუილია. გესმის, თუ არა? ყველას უთხარი, რომ ტყუილია. ხელმწიფეს მოუწერია, რომ დავარჩობ, ვინც იტყვის, რომ ეგ მართალიაო, ვინც გუნებაში მაგას გაიტარებსო, გაიგე?

—გაიგე, შენი ჰირიშე!—უპასუხა დათომ, —განა მაგას ვინა ჰფიქრობს? აი, რალაც გოგო-ბიჭები მიჰქარავენ, შენი ჰირიშე, იმათ ვინ დაუჯერებს. წვრილფეხობის სიტყვა რა დასაჯერია?, იყბედებენ და დაჩუმიდებიან.

—ეგრე სთქვი ხოლმე სხვაგანაც, ჩემო დათო. ან რა კარგი იქნება თქვენი თვის, რომ ჩვენ არა გყვანდეთ.

—შენი მტერი ყოფილა, ჩვენ ვიქნებოდით, შენი ჰირიშე!

—რაც უნდა იყოს, მამასავით გპატრონობთ.

—ღიად, შენი ჰირიშე! სწორედ მამა ბძანდებით და ჩვენ შეილები ვართ. თუ ხანდისხან გაგვიწყურებით, აგვიკლებთ, წავგვართმევთ, — ეგ რა?(...) განა მამა შეილს არ გაუწყურება?

—ოღონდაც, რომ გაუწყურება, მაგრამ შეილი ისევე შეილია, მამა ისევე მამაა ხოლმე (...)

—მე ეგ ადრევე ვიცოდი, შენი ჰირიშე, რომ ტყუილია, აბა უპატრონოდ რა ხერი დაგვეყრება? უპატრონო საყდარსაო ეშმაკები დაუპატრონებიაო, გლებები იტყვიან ხოლმე, ჩვენც ეგრე მოგვივა (...).

—ეგრე, ჩემო დათო! ყველას უთხარი.

—ბატონი ხარ, მაშ ვიახლოთ?

—წადი“ (158—160).

რამდენადმე თავისებური, ახალი ცხოვრების პირობებშია მოქცეული გლახა ჰირიშე. მას ძველი ცხოვრების რეჟიმში აღზრდის კვალი ჯერ კიდევ აჩნევია, ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ძველი ჩვეებისაგან, ბატონუკობის დროინდელი ქცევისა და სიტყვა-პასუხისაგან. მაგრამ დამახასიათებელია, რომ ახალი დროისათვის შეუფერებელ გამოთქმებს, რომელიც მას წასცდება ხოლმე, თვითონვე ამჩნევს და იბოდიშებს:

„—მენა, შენი ჰირიშე, გლახა ჰირიშეილი ვახლოვართ, როგორც მოგვხსენებათ. პაპანემი აზნაური გხლებიათ ნუგზარ ერისთვის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თორემ მენა ეგ ამბავი საიდან მეცოდინება. დიდი ხნის კაცი ვყო, კიდევ ჰო, მაგრამ მაგარი ესაა, რომ არა ვარ დიდი ხნისა. ბატონი ჩემი—აი, დამლახვრა ღმერთმა—სულ არ მაიწყუდება, რომ ახლა ბატონი აღარ არის, მაგრამ ჩვეულება რჯულთ უმტკი-

„ცხიხაო, კიღონ ბატონი წამცდება ხვალმე, ნუ შემრისხამთ, შენი კი-რიმი“ (329).

გლახა ჭრიაშვილი ხალხის შვილია, მისი შუაგულიდან გამოსული, ცხოვრების ქირ-ვარამგამოვლილი და მშრომელთა მწარე ბედით ისიც იმგვარად ნაწვავ-ნადაგი, როგორც მრავალი მისთანანი. ის ორგვარი სოციალური ურთიერთობის მომსწრეა. აშკარად ჩანს, რომ უკულმართ ცხოვრებას მასში აღრევე მოუსპია გონებამახვილობისა და გამჭკრიახობის ნიშან-წყალი. თუმცა იგი სხვებისაგან მაინც გამოირჩევა, მას სოფელში „სიტყვა-პასუხიან“ კაცს ეძახიან, ცხოვრებაში თავისი ადგილის პოვნა სურს და აე-კარგის გარკვევას ცდილობს, როგორც ხალხის შვილს და ხალხში აღზრდილს, მას ეხერხება ხალხური სიბრძნის გამოყენება თავის ადგილზე და დანიშნულებისამებრ, ანდაზების ჩართვა, გარკვეული მინიშნება და სხვა. მაგრამ შეშინებითა თუ დაბნეულობით ყველაფრის დალაგებას და ზედმიყოლებას ვერ ახერხებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ავტორი მის მეტყველებას გადმოგვცემს განსაკუთრებული სიღრმითა და სიმართლით, ობიექტურად, მისი საზოგადოებრივი შეგნებისადმი ზედმიწევნითი შესატყვისობით. გლახა ჭრიაშვილის მეტყველება უშუალოა, გულწრფელია, მის დიალოგებში წარმოდგენილია, ერთი მხრივ, მდაბიური, მაგრამ ალაღ-მართალი მეტყველების ფორმები. ილია აქაც ფაქიზად არჩევს ტერიტორიული დიალექტის თითო-ორიგან მსუბუქ ნიმუშს, აწნავს მას ხალხური ძარღვიანი გამოთქმებისა და ანდაზების საერთო ქსოვილში და გვაძლევს პერსონაჟის ფსიქოლოგიური თავისებურების ეროვნული ენობრივი ელფერი დახასიათების დასახსომებელ მაგალითებს.

გლახა ჭრიაშვილის მეტყველების ზოგიერთი ადგილიდან ერთი შეხედვით კაცს შეიძლება მოაგონდეს ანალოგია მოსე გძელადის წერილთან: ტავტოლოგია, დაულაგებელი და დაუმთავრებელი აზრები, მოუხერხებელი დასაწყისი, რომელსაც ბოლო არ უჩანს და სხვა მისთ. მაგრამ ასეთი ანალოგია სრულებით არ იქნებოდა სწორი: აბსოლუტურად განსხვავებულია ავტორის დამოკიდებულება ამ ორი პერსონაჟის მეტყველებისადმი. მოსე გძელადე სხვაგვარი ცხოვრების შვილია, ის სხვა სოციალური წრის წევრია. მისი მთელი წერილი გონებაჩლუნგი და დადაშლავებული მებატონის მანერული მეტყველების გამოხატულებაა, მასში ვახუნებული და გაცვეთილი ფორმულებით ისახება გარკვეული სოციალური კლასის ფუყე ქედმაღლობა. გლახა ჭრიაშვილი კი ბედით და მდგომარეობით დაჩაგრულია, ის ისეთია, როგორცაა, ე. ი. ბუნებით როდია გონებაგაუხსნელი კაცი, იგი გაუნათლებელია მხოლოდ, სამაგიეროდ გულწრფელი და უშუალოა. კაცმა რომ თქვას, ანალოგია მოსე გძელადის წერილსა და „გლახა განთავისუფლების პირველდროების სცენებში“ გამოყვანილი მოხელების ენას შორის უფრო დასაშვები იქნებოდა, ვიდრე გლახას მეტყველებასთან. ილიამ ამ „სცენებში“ მოგვცა აგრეთვე კანცელარიულ-ბიუროკრატიული სტილის ნიმუშიც და თვალნათლივ დაუპირისპირა მას სადა ხალხური, ცოცხალი ბუნებრივი მეტყველების ფორმები, აშკარად პერსპექტივიანი და სიცოცხლისუნარიანი:

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი: „—დღეის ამას იქით იცოდეთ: ვინც მაგისთანა სულელურს ხნებს ჰყრის ხალხშია, თუ ჩაივადე, ძალიან დავასჯევინებ. შენც გირჩევ, მეორედ მაგისთანა სულელობა არავისთან აღარ გაბედო. ეგ სულ ტყუილია და ამასთანაც სამარცხვი-

ნოა, რომ თქვენისთანა უკვიანი კაცები მაგისთანა სულელურს სიტყვებს იჯერებენ. მერე? თქვი რა გინდა. (...)

გ ლ ა ხ ა კ რ ი ა შ ე ი ლ ი: მენა? ეს მინდა, შენი ჭირიმი, რომ პაპაჩემი აზნა-რუი გხლებით ნუგზარ ერისთვის დროსაო, თუ გაგიგონიათ, სისხლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თორემ მენა რა ვიცი? დიდი ხნისკაცი არა ვარ, რომ ნუგზარ ერისთავი მხსომებიყო. ეს კი ვიცი, რომ სისხლის წვიმების დრო ყოფილა (პოსრენიო, თითო მობურღაო, მხრებს იწვეს) არა, ნუ გამიწყობენ შენი ჭირი-მი, ერთი დალაგებით მომახსენებინე ჩემი გულის დარდი, როგორც ზაკონის კანონია“ (...)

„ისე დალაგებით მოგახსენებ, შენი ჭირიმი. ხაჩქარით, შენი ჭირიმი, თქვენც კარგად მოგეხსენება, ხოფელი არავის მოუქამია. მოსამართლე ხელმწიფის ყურია. უნდა ყველაფერი თავიდან ბოლომდინ გაგავებინო. თუ წყალი სათავე-შივე აიშღვრა, ბოლომდინ მღვრიედ ივლის, ამიტომაც მინდა ისევ თავიდან დალაგებით მოგახსენო, იმიტომ რომ კარგად დალაგებით დაწყობილი თავი-დამვე საქმე ბოლომდინ ანკარა წყაროსავით გავა. ეს თქვენ უფრო კარგად მოგეხსენებათ, თორემ მენა ამავების რა მეცოდინება? ერთი რეგვენი გლეხ-კაცი ვარ, ჩემს დღეში სამართლის კარი არც კი დამინახავს რა ფერია: წი-თელია თუ შავი? იქნება თეთრიც იყოს, ვინ იცის? მენა ის თვალითაც არ მინახავს. მაღალი ღმერთის ღმთისრისხვა და თქვენი ღმთისრისხვა არა მაქვს, მართალს მოგახსენებ. აი, ამიტომაც მინდა თავიდან დავიწყო. ისე სჯობია თავიდანვე დალაგებით მოგახსენო: პაპაჩემი აზნაური გხლებით—ეს დიდი ხნის ამბავი გახლავს—ნუგზარ ერისთვის დროსაო, თუ გაგიგონიათ, სისხ-ლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თქვენი ღმთისრისხვა არა მაქვს, თორემ მენა ამ დროებისა რა მეცოდინება? დიდი ხნის კაცი როდი ვარ. მართალია, წვერ-ულვაშში ჰალარა გამომრევიო, მაგრამ მაგარი ესაა, რომ დიდი ხნისა არა ვარ. ასე კი ნუ მხედავთ, რომ გავთეთრებულვარ. ჯაფამ გამტეხა, შენი ჭირიმი, ჯაფამ. რაც მენა ბატონის ბეგარაში ოფლი მიღვრია, სულ რომ ერთად მოკვრიბო, ზღვა იქნება, თქვენი ღმთისრისხვა არა მაქვს, თორემ რა გამტეხ-და¹ აგრე მალე. მენა ბევრი ვიყო, ბევრი ვიყო, სულ ბევრი ვიყო, რალა სიტყვა გაგიგრძელო, გაგიგრძელდეს სიტყვებზე, იმ დღეს ჩვენ სოფელში რომ ბძანდებოდნი, აი პატარა საყდარი არ გახლავთ, აი, ხალხი რომ მოაგ-როვე და ხელმწიფის სიტყვა რომ გამოგვიცხადე, აი, იქავ, ჩვენებიანთ წინა— ის საყდარი სულ არ იქნება ხუთი წლით ჩემზედ წინ აშენებული. აბა მას აქეთ რა ხანი უნდა იყოს გასული. ჩოტკის კაცი, მალე მტერი მოგიკვდეს, მალე მავას გამოიცინობდა და იტყოდა: მაგდონი არაფერი ხანიაო გასული, მაგრამ მაგარი ესაა, რომ კაცმა შემომხედოს—ასის წლისა ვეგონები. ჯაფამ და ბატონის სამსახურმა აგრე იცის, თორემ არც ისე ხნიერი ვარ. სულ, აკი მო-გახსენე, ის საყდარი ხუთის წლით ჩემზედ წინ არის აშენებული-მეთქი. მენა ახლა ასე რომ მოგახსენებთ საყდარი-მეთქი, საყდარი ხომ საყდარია, თქვენ ეს უფრო კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ მაგარი ესაა, რომ ხორციელი ადამიანი სულ სხვა არის. ასე რომა... ეჰ, რალა სიტყვა გაგიგრძელო, გაგიგრ-ძელდეს სიტყვებზე, მაინც და მაინც ადამიანი სულ სხვა არის. თუნდა ეგვეც არ იყოს, მაინც ხომ საყდარი ქვა და კირია, ადამიანი კი სულ სხვა არის, ასე რომა“...

¹ აკადემიურ გამოცემაში შეცდომითაა გამოტეხა (ტ. II, გვ. 332). შდრ. მ. გედევან-ნიშვილის გამოცემა, 1914, გვ. 405.

ერთი მებატონეთაგანი: რა დაგემართა, ადამიანო, ფეიქრიხ ქხელხავით გაახი და აღარ ათავებ.

გლახა კრიალი შვილი: კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირაო. შენა, შვილო, რა გიკირს? სხვა სხვის ომში ბრძენიაო, მე კი არა მკითხავ, რა ნაღველი მაწევს“ (330—333).

მართალია, გლახა კრიალი შვილის უგზო-უკვლო მრავალმეტყველება იმის შედეგია, რომ მის სიტყვას არ წარმართავს აზრი, პირიქით, აზრი სიტყვის ტყვეა და მონა-მორჩილად მიჰყვება მას ისე, რომ ერთიანი ხერხემალი არ გააჩნია¹. მაგრამ ჩვენ მაინც გვგონია, რომ მარტო ამ ამონაწერიდანაც ირკვევა „სტენების“ ავტორის ჩანაფიქრი, მისი დამოკიდებულება გლახა კრიალი-სადმი. არაერთი ირონია აქ არაა, პირიქით, თანაგრძნობა და ქომაგობა უფრო ეტყობა ილიას პოზიციას ამ შემთხვევაში. ხალხიდან გამოსული გლახას მეტყველება ძირითადად მაინც ხალხური ბუნებრივობით და სისადავით ხასიათდება, ავტორიც არ ცდილობს მის შელამაზებას. იგი გვარწმუნებს, რომ გლახა კრიალი გულუბრყვილოა, ბუნებით იგი არაა გადაგვარებული, ავ-კარგის გარჩევა-შეფასების უნარი შერჩენია. უკუღმართმა ცხოვრებამ იგი აითვალწუნა, დააშინა, შთააგონა, რომ მას თავიდან ბოლომდე დალაგებით მოსძენის ღირსად არა თვლიან და ამიტომაც იხვეწება—თავიდან დალაგებით მომახსენებინეთო. ამ შთაგონებითა და რწმენით აიხსნება, რომ იგი თავისი ნაფიქრისა და ნაზრების ჩამოყალიბებისათვის ასე თავისებურ ფორმებს იყენებს.

ილია ჭავჭავაძემ მხატვრული საღებავები არ დააკლო არჩილის სახის გამოხატვას. XIX ს. ქართულ მხატვრულ პროზაში დახატული ტიპებიდან, როგორც ცნობილია, არჩილის სახე ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა, იგი ამჟვე დროს თავისთავად რთულია და თავის პირობებთან შესაფერისად უდავოდ სრულყოფილი.

არჩილი განათლებული, რუსეთში სწავლამიღებული მემამულეა. მან იცის, რომ „ქვეყანაზედ ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი, ამებესაც ცოდნა უნდა“... გრძნობს, რომ „უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის“, სწამს რომ „ყველა გონიერი კაცი, იგივე წიგნია. ყველა გონიერი კაცი, თუნდ უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობარისათვისაც კი ოსტატია“ (291). ამიტომ ცდილობს იგი ხალხში და ხალხთან იყოს, მაგრამ აშკარად ხედავს, რომ დიდი ქვიტკირია, კედელია მათ შორის: „ჩვენ რომ გვეითხონ, ვითომ დიდი ხანია გადაგვიქცევია ეს მაგარი კედელი. მაგრამ რით? მარტო წიგნისაგან გააღასებულ ენითა. ენით ვაქცევთ და გული კი ისევ ებლაუჭება, ისევ აშენებს, აგებს“... (318).

ამიტომ არის, რომ მისი შესანიშნავი მსჯელობა, მისი სიტყვები, რომლებშიც გამოხატულია ცხოვრების შინაარსისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის შეფასების მთელი სიბრძნე, მიუხედავად დიდი ძალისა და მიზიდველობისა, ცოცხალი საქმით ხორცშესხმული და მოქმედებით გააოხიერებული ვერ არის. თუ ოთარაანთ ქვრივი უწიგნურია, სამაგიეროდ ცხოვრების გამოცდილებითა და ხალხური სიბრძნით არის მდიდარი. არჩილი წიგნურად განათლებულია და გონიერი, მაგრამ ხალხურ სიბრძნესა და ჭკუა-გამოცდი-

¹ არჩ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, პროპედევტიკული ნაწილი, 1939, გვ. 202.

ლებას რამდენადმე მაინც დაშორებული. ამას, მართალია, თითონაც გრძნობს, მაგრამ ეს საქმეს ვეღარ შეეღის. არჩილის მთელ სჯა-ზაასს წიგნურ-ინტელიგენტური მეტყველების იერი აქვს. მაგრამ ეს წიგნურად გადაშეშავებული მეტყველება მაინც საგრძნობადაა დაკავშირებული ხალხურ საწყისთან, უღრესად მკაცრად არის დამორჩილებული ენის ერთიან ნორმებს, თავისუფალია რიტორიკული რახარუხისაგან. არჩილის მეტყველება მეტისმეტად ეკონომიურია, შეკუმშულია, მისი მოკლე ფორმულა ღრმა აზრს იტევს, არ სჩვევია ზედმეტი გართულებები და მანქვა-გრეხა, ეს მეტყველება დინჯი და დამაჯებელია:

„—გული... გული, ესე იგი, ის მადლი, რაც ენას და ხელს უნდა ასაქმედეს, მართლა, რომ აღარ არის. ან არის და დამუხჯებულია, დაყრუებულია, თითქო იმათაც და ჩვენც მოგვეკლომოდეს, თუ მთლად არა, ერთი ნახევარი მაინც. ამ ცალთვალა და ცალყურა ნახევრითლა ვცხოვრობთ და ვკითხულობთ ერთმანეთს. აქ ცდომა უეჭველია, იმიტომ რომ სწორედ ის თვალა დახუჭილი, ის ყურია დახშული, რომელიც სჭრის სხვის ხედვად, სხვის სმენად. გული რა არის? მარტო ერთადერთი კაცი რომ ყოფილიყო ქვეყანაზედ, გულიც არ იქნებოდა. გული მადლია და მადლი მარტო ორს შუა ჰსაქმობს. ორნი მაინც უნდა იყვნენ, რომ მადლი მოხდეს, იმიტომ რომ მადლი ერთისაგან ვაწირავა, და მეორისაგან შეწირვა ერთსა და იმავე ღროს. თუ ან ვამწირველი არ არის, ან შემწირველი, მადლიც არ არის, მაშასადამე, გულიცა. თუ ორნი არ არიან, გულმა რისთვის ამოციქულოს ან ენა, ან თვალი, ან ყური. თავის თავთან მოციქული საჭირო არ არის, მოციქული სხვასთან უნდა. უსხვისოდ ერთის გული მარტო პარკია, სისხლის ალემ-მიმცემი აგებულებისათვის. სად არის ის სხვა? წყალგალმაა, შორს... შორს... მაშ რალად გვკვირა, რომ იქილამ ვეღარ გვხედვენ, ჩვენი აღარა სჯერათ რა... კეთილიც კი. მაგ ჯერვამ თვალი რას მოაბას, ფეხი სად მოიკიდოს? მკედარს გულში? შეუძლებელია“ (313—314).

არჩილი თავის მსჯელობაში ხშირად იყენებს წიგნური გზით შეთვისებულ ბრძნულ გამოთქმებსა და აფორიზმებს, იმოწმებს ზეპირად ცალკეულ ციტატებს როგორც ქართულს, ისე უცხოურს:

„—ბევრი რამ არის, ჩემო ჰორაციო, ამ ქვეყნიერობაში იმისთანა საიდუმლო, რომელიც სიზმრადაც არ მოსჩვენებიათ ჩვენს ფილოსოფოსებსაო“— ეტყოდა ხოლმე არჩილი თავის-დას ჰამლეტის სიტყვებს და (...) გამოუცვინელს გამოცანას ამით მოუღებდნენ ხოლმე ბოლოს“ (280).

ზუნებრივია, რომ ასეთ პირობებში არჩილი უფრო ადვილად ფლობს და იყენებს ლიტერატურულ სიტყვებსა და გამოთქმებს, ლიტერატურულ აფორიზმებსა თუ საანდაზო ლექსებს, ვიდრე ხალხურ ანდაზებსა და თქმებს, რომელსაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ხშირად მიმართავს, მაგალითად, გაბრიელი („გლახის ნაამბობი“). მოხდენილად ჩართული ლიტერატურული ნიმუშები არჩილის მსჯელობას, მისი ნააზრევის გადმოცემის ფორმას მეტად სოლიდურს და ამავე ღროს მიმზიდველს ხდის.

— „არა, ჩემო საყვარელო დო! ნუ მიწყენ კი და ეგრე ადვილად გზასაქცევი, თავილამ მოსაშორებელი არ! არის გიორგის ამბავი. განსოვს გრიგოლ ორბელიანი? რა რივად ავეიტაცა იმისმა სიტყვებმა, როცა ვკითხულობდით:

ამიერთ ნიჭსა გზა ფართო,
თაყვანისცემა ღირსებას,
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს
და არა თავისუფლებას (316—317).

„გიორგი ცოცხალი ხატია ღირსებისა. „თვით უკვდავება მშვენიერსა ხულში მდგომარებობსა“—ნათქვამია, და რამდენჯერ გვითქვამს მე და შენ, რა კარგად და მართლად არის ნათქვამიო“ (318).

არჩილის შესანიშნავად დამუშავებული დიალოგების ქართულ ენას, უნაკლოდ აგებული ქართული ფრაზების სიტყვიერ ქსოვილს ორგანულად ერთვის სხვადასხვაგვარი ლიტერატურული რემინისცენციები და ამ სახით ილიას მხატვრულ პროზაში (არა მარტო ილიას, არამედ მთელი XIX—XX საუკ. პროზაში) არჩილის ენა პერსონაჟის ლიტერატურული მეტყველების ბრწყინვალე მაგალითია, პერსონაჟის ეროვნული მეტყველების ინდივიდუალიზაციისა და ტიპიზაციის მისაბაძი ნიმუშია:

„—ო, ჩემო კარგო, ზოგჯერ ცრემლი „მღუმარე წვიმისამებრ ნაყოფის გამომცემელია.“ ცრემლი ყოველთვის არ არის უბრალო წყალი, ცრემლი ზოგჯერ ფარია და დროზედ ხმარებული ფარი ივავ ხმალიაო, ვილაცას უთქვამს (...). ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწევას და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მოიტანს, რომ ჩვენს შორის ჩატეხილი ხიდი გაამრთელოს და ეგრე ორსავე ნაპირს გააერთებს. ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა შუქია წინასი და შუქი ხომ... დასაწყისია განთიადისა, განა, ჩემო კარგო?!... (319—320).

ავტორი არ იშურებს საშუალებებს განათლებით აღჭურვილი არჩილის ნააზრევის მდიდრულ ფორმებში ჩამოყალიბებისათვის, შეურჩევს რა მას უდგოდ დიდი სიბრძნის დამტვე ლაკონიურ და დასახსომებელ ფრაზებს. მრავალთაგან ორი-სამის დამოწმებით დავკმაყოფილდებით:

„—მართალს თვალი თვალში უნდა გაუყარო უშიშრად, მადლი მაგასა აქვს“ (317).

„—რაც კარგია, იქ დიდ-პატარაობა მოსატანი, სახსენებელი არ არის. რაც კარგია, თავისთავად დიდია. ჰხედავ, უსწავლელი კაცია [გიორგი]. მაგისი ნამუსი კუჭით კი არ არის ახილებული, გულით გამოკვებილია, მარტო გულით. ეს დიდი საქმეა, ჩემის ფიქრით, იმიტომ რომ მაგისთანა ნამუსი მთელის გვაშის, მთელის აგებულების წყურვილია, როგორც სითბო სიცივეში, როგორც სიგრილე სიციხე-პაპანაქებაში, როგორც პური შიმშილში. მინამ კეჟა იტყვის, კეჟა ურჩევს—გულმა იცის, რა ჰქმნას“ (294—295).

ზემოთ ჩვენ ვახსენეთ, რომ ალაგ-ალაგ ილია თავის თხზულებებში ჩამოურევს კანცელარიულ-ბიუროკრატიული სტილის ნიმუშებს, მაშინდელი საზოგადოების ჩინოვნიკური ზედაფენის მეტყველების ფორმებს. ასეთი სოციალური წრის წარმომადგენლები ილიას პროზაში საკმაოდ არის დახატული. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გეაინტერესებს და შეეჩერდებით ერთზე—„მგზავრის წერილებში“ გამოყვანილ ოუიცერზე.

ოუიცერი რუსია. მისი ენობრივი ინდივიდუალიზაციის ყველაზე უკეთესი საშუალება ამ შემთხვევაში თითქოს ის იქნებოდა, რომ იგი რუსულად მეტყველებდეს. მაგრამ ავტორმა იგი ქართულად ალაპარაკა, თან ისეთი სტილის-

ტურ-გამომხატველებითი საშუალებები დაუძებნა, რომ ეს ოფიცერი იმდროინდელი მმართველი კლასისაგან არა თუ არ გამოითიშა, არამედ სავსებით ორიგინალურად დაიკვა ეპოქის ძირითადი სტილური ნიშნები და იმდროინდელი სასოჯადოების ამგვარი ფენის წარმომადგენელთათვის დამახასიათებელი ქცევის ყველა ატრიბუტი.

ილია ამ შემთხვევაში არ მიმართავს სიტყვათა პაროდულ გამოყენებას, ასეთი მაგალითი სულ ერთადერთია: ოფიცერი უამბობს: „იმ ბაღში ქალები თამაზად სიარულს დაიწყებენ, გინდა ერთს უთხარი „შენი ჩაჩაჩე“, გინდა მეორეს“ (20).

უფროსთან მორჩილებას ჩვეული ოფიცერი, ზრდილობიანი ქცევის წესებს პედანტურად დამორჩილებული, ვალდებულად თვლის თავს მოკრძალებით გაეცნოს ავტორს. ამ მომენტში მისი საუბარი უფრო ძალდაუტანებელია, უშუალოა. ის თითქოს აღტაცებულია განათლებულ კაცთან შეხვედრით, გულწრფელ პატივისცემასა და დელიკატურ დამოკიდებულებას იჩენს ავტორისადმი:

„—ნება მომეცით,—მითხრა მან რუსულად—გაგაცნოთ ჩემი თავი. მე გახლავართ პოდპორუჩიკი №. აქ, ლარსში, ვდგევარ, როტა მამარია.(...) საიღამ. მობრძანდებით?(...) ფრიად სასიამოვნოა. ამ უდაბურსა და ვერანა ადგილას ერთი ეგ სიამოვნებალა მაქვს, რომ შეხვედები ხოლმე მგზავრს განათლებულის. ქვეყნიდამ. კაცი, რომელიც გონებითა სცხოვრობს, მოვალეა ღვთისა და ქვეყნის წინაშე შეხედეს განათლებულს კაცს საბაასოდ, გონების გასაფხიზლებლად. დიდად მოხარული ვარ. ბაასი ქვეყის საზრდოა.(...) თქვენ ვინა ბძანდებით?“ (13).

ოფიცერი დარწმუნებული იყო, რომ რაიმე მხრით დიდი ცენზის მქონე პირთან ჰქონოდა საქმე, ამიტომ მის საუბარს თავიდან საკმაოდ ატყვია მლიქვნელური კილო, მაგრამ როგორც კი ავტორის პასუხი მოისმინა: „—მე გახლავართ ერთი სომხის სოვდაგრის დახლდარიო“—მყისვე დიდკაცური სანახაობა მიიღო: მხრები მოიმარჯვა, ის პირველად მორიდებული ლაპარაკი სხვა ჰანგზედ შესცვალა“ (13), უკვე თავისი თავი უფროსის მდგომარეობაში წარმოიდგინა და ამასთან დაკავშირებით მისი მეტყველება ყალბი გახდა, მეტყველების ფორმაც გამოიცვალა. შემდეგი დიალოგებიდან ქრება ის შთაბეჭდილება, რასაც პირველი საუბრიდან მიიღებდა კაცი. ჩვენს წინაშე დგება ნაძალადევი მაღალფარდოვნების გამომხატველ ფორმათა მაძიებელი, რომელიც თავისი დიდკაცურობისა და ღრმად განათლებულობის ჩვენების მიზნით, განგებ აბრტყელებს სიტყვებს; ჩერდება, ფიქრობს, საგანგებოდ ეძებს გაუნათლებელი კაცისათვის ადგილად მისაწვდომ გამოთქმებს, მაგრამ მაინც ვერ უპოვია ღრმა აზრის ზუსტად გადმოცემის ყველაზე უკეთესი ფორმა.

ნამდვილად კი ეს შეჩერება-გაჩუმებანი და დაფიქრებანი, მთელი მისი დილტანტური ოინაზობა თავს იყრის ლექსიკურად ღარიბ, გრამატიკულად ერთფეროვანსა და სტილისტურად მქლე, გაცვეთილ გამოთქმებში:

„—საიღამ მოდინ-ა-ართ?—მკითხა გაკვირვებით და დაცინებითაც.

—პეტერბურგიდამ.

—ჰმ,—ჩაიცინა აფიცერმა—პეტერბურგიდამ. კარგია, გღირსებითა პეტერბურგის ნახვა. პეტერბურგი!.. ძალიან კარგი ქალაქია!.. არა ჰგავს თქვენს.

წიტიან ქალაქსა. აბა რა ქალაქია თქვენი ქალაქი? ერთი თავიდან რომ გადაფურთხო, ფურთხი ქალაქის ბოლოს დაეცემა. პეტერბურგი კი... ხომ დანახავთ პეტერბურგი? რუსეთის გულია. მართალია, აქამდისინ მთელი რუსეთი ჰფიქრობდა, რომ მისი გული მოსკოვია, მაგრამ მთელს რუსეთს მე განვუფანტე ცრუ და უგუნური აზრი: მე მწერალი ვახლავართ. გთხოვთ, რომ მიცნობდეთ. ეგრე კი ნუ მიყურებთ. მე დავამტყიცე, რომ პეტერბურგია მთელის რუსეთის გული“ (14).

ასეთივეა ოფიცრის საუბარი განათლების მნიშვნელობისა, ერთმორწმუნე რუსეთის შესახებ და სხვა.

ამ კონტექსტში უნდა მოვიგონოთ აგრეთვე სხვა ეროვნების პერსონაჟისათვის შესაფერისი სამეტყველო სამოსლის შერჩევის ფაქიზი ხელოვნებაც, რასაც ილია გვიჩვენებს „გლახის ნამბობში“. აქ ერთი გაკვრით, მაგრამ მისახვედრადაა გადმოცემული ვაქრული კლასის წარმომადგენლის მეტყველების თავისებურება, კარგადაა შენიშნული და ფიქსირებული ქართულად მოუბარი სომეხი ვაქრის მეტყველებისა და სტილის სპეციფიკა, ამდენად მისი დიალოგი გაბროსთან სავსებით რეალისტური და დამაჯერებელია:

„—ჩამოხე ცხენიდან!—შეგვკვიფე სომეხს (...).

—გა, ჩამოხტე რა, შენი ყურმოჭრილი ყმა ვარ!—მითხრა იმან.—ვერ მყურობ? კაცი თოფ-იარაღში ვზივარ“ (...). იკადრა ცხენიდან ჩამოხტომა და შეშინებულმა მითხრა:

„—გა, ცხენისათვის როგორ გაწყენინებ! აჰა, მიირთვი თავის უნაგირით: მარტო უნაგირი ოცდახუთი მინეთია, ჰა! ცხენია რომა, თავის შეკაზმულობით გეყოფა შენ საცხოვრებლად. მშვიდობაში, მე კი წაეალ, ხმასაც არ გაგცემ“ (109).

ილია ჭავჭავაძის მბატვრულ ქმნილებათაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, როგორც საგანგებო შესწავლისა და განზოგადების საგანი, „გლახის ნამბობის“ ენა და სტილი. ილიას „ოთარაანთ ქერივს“ გადაუპარბებლად შეგვიძლია ვუწოდოთ ახალი ქართული პროზის ენციკლოპედია როგორც თავისი მდიდარი გრამატიკულ-ლექსიკური და ფრაზეოლოგიურ-სტილისტური საშუალებების ზუსტად და თავის ადგილზე გამოყენების ხელოვნებით, ისე ქართული ენის ძალისა და ექსპრესიული შესაძლებლობების მნიშვნელობის შესწავლის თვალსაზრისით. ასევეა „გლახის ნამბობიც“. მასში ილია იმთავითვე მოგვევლინა ახალი ქართული პროზის ენის გრამატიკული და სტილისტიკური ნორმების ფუძემდებლად.

დინახასიათებელია, რომ ილიას მაშინვე მთელი სერიოზულობით და პირდაპირობით ჰქონდა წარმოდგენილი თავისი ბელეტრისტული შემოქმედების ერთ-ერთი შედეგის განსაკუთრებული როლი და მისი შემდგომი დიდი გავლენა ახალი ქართული ლიტერატურული ენის განვითარებაზე. ამიტომ იყო, რომ ყველაზე მეტი სიფრთხილით უდგებოდა თითოეული სიტყვისა და ფრაზის დამუშავებას, თითოეული მხატვრული სახის გამოქანდაკებას. შემთხვევითი არაა, რომ მის დამუშავებაზე ავტორი წლების განმავლობაში მუშაობდა და მის რედაქციულ გაჩარხვას რამდენჯერმე დაუბრუნდა (ჯერ 1859 წელს, შემდეგ 1862 წ., დაბოლოს, 1872—1873 წწ.). მიუხედავად ამისა, იგი დიდ თავმდაბლობას იჩენდა და სხვის აზრს ამ მოთხრობის შესახებაც განსაკუთრებული გულსყურით მოელოდა. ამის თაობაზე კირილი ლორთქიფანიძეს სწერდა. — „დაბეჭდამდე გადაიკითხე და შენი პირ-მოუფერებელი აზრი მაი-

ნობელ¹. კიდევ მეტი: იმავე წერილიდან ვტყობილობთ, რომ მას შემდეგშიც სდომია მისი გასწორება, მაგრამ ველარ მოუხერხებია².

ასეთი მზრუნველობის კვალი „გლახის ნაამბობს“ კიდევ მაღლიანად ატყვია. მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობაში გამოყვანილი პერსონაჟები სხვადასხვა კუთხისა და სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლებია (მღვდელი, ვაჰარი, ყმა გლეხი, თავადი, მებატონე, სახელმწიფო მოხელე), ავტორისა და პერსონაჟების სტილი თავიდან ბოლომდე მთლიანი და კოლორიტულია.

„გლახის ნაამბობის“ ენის სისადავესა და მიმზიდველობას, მის ლოგიკურ მკაფიობასა და დახვეწილობას, წინადადებათა სიმსუბუქესა და გამჭვირვალობას საფუძვლად უძევს ხალხური მეტყველების გენია, მაგრამ არა ფორტოგრაფიული სტატიკურობით გადმოცემული, არამედ ავტორის ღრმა შემოქმედებითი სიბრძნით გადამუშავებული და განზოგადებული. „ოთარაანთ ქვრივისა“ და „გლახის ნაამბობის“ თავისებურება ისაა, რომ პერსონაჟის მეტყველება და ავტორის ქვეტექსტები განუყოფელია, იგინი სტილისტური ნიშნებით ძირითადად ერთიანია, ხასიათდება დინჯი, მშვიდი ეპიკური ტონით, მიუხედავად იმისა, რომ პერსონაჟების ენობრივი ინდივიდუალიზაცია აქაც შესანიშნავი ხელოვნებითაა მოცემული. ამ მოთხრობების პერსონაჟთა რეალისტური პორტრეტები ილიამ დახატა უპირველეს ყოვლისა ზუსტი და შესაბამისი სამეტყველო ფორმების შერჩევით. ქართულ ხალხურ მეტყველებაზე დაკვირვების დიდმა ნიჭმა ილიას გამოამუშავებინა ყველაზე უფრო დამახასიათებელი, სწორი, გავრცელებული და გასაგები ენობრივი საშუალებები. ხალხურობა განსაკუთრებით საგრძნობია ფრაზეოლოგიასა და სინტაქსში. ფრაზეოლოგიაში იგი ვლინდება ანდაზების, ცოცხალი ხატოვანი სიტყვებისა და ძარღვიანი გამოთქმების ხმარების სიახლეში, შევნიშნავთ: სი ა ხ ლ ე შ ი, რამდენადაც საგანგებო დაკვირვებით ვრწმუნდებით, რომ ამგვარი გამოთქმები ილიას პროზაში ძალიან იშვიათად მეორდება, ავტორი ეძიებს და ქმნის ახალსა და ახალს ასეთ გამოთქმებს. სინტაქსიდან ყურადღებას იქცევს განკერძოებული განსაზღვრებებისა და გარემოებების ხმარება, წინადადებათა სხვადასხვა ტიპების მონაცვლეობა, ასინდეტური და ელიპსური კონსტრუქციების გამოყენება, რაც საერთო დამახასიათებელი ნიშანია ილიას მხატვრული პროზისა. მასში ძალუმაღ ვლინდება ილიას ღრმა ეროვნულობა და ორიგინალურობა, ქართული ენის სიმდიდრის უბადლო ცოდნა და პატივისცემა.

„გლახის ნაამბობის“ პერსონაჟების დიალოგებშიც ისევე ჩანს ცხოვრების სიბრძნის ცოდნა და გამოცდილება, მშრომელი ხალხის გონებამახვილობა და მიხვედრილობა, როგორც ეს „ოთარაანთ ქვრივში“.

როგორც ზევითაც აღინიშნა, ავტორმა ხაზი გაუსვა განსხვავებას არჩილისა და ოთარაანთ ქვრივის საუბარს შორის. არჩილის მსჯელობის ფორმას, მაინც რაც უნდა იყოს, მშრალი დიდაქტიკის იერი დაჰკრავს და ამითაც განსხვავდება ოთარაანთ ქვრივის მწყრალი, მაგრამ გულითადი და გარკვეული გავლენის მომხდენი საუბრისაგან. „გლახის ნაამბობში“ დაყოფა ამგვარიც კი არა ჩანს, მოთხრობის ყველა პერსონაჟი (თუ გამოწკლისად არ ჩავთვლით დათიკოს ზოგჯერ ვულგარულ და ერთგვარ იმპერატიულ ტონს, რომელსაც

¹ ილია ჯავახიძის წერილები, გვ. 30.

² იქვე, გვ. 54—55.

მცირე ადგილი უჭირავს მოთხრობაში), თვით მღვდელიც კი—ეს მეტად ჰუმანიური და დემოკრატიული ხასიათის ადამიანი—მეტყველებს ერთნაირად გულწრფელი და უშუალო, ალალმართალი და მადლიანი გლეხკაცური ქართულით, რომელიც უაღრესად დახვეწილი ლიტერატურული ფორმით და მაღალი გემოვნებით არის დამუშავებული და წარმოდგენილი „გლახის ნაამბობში“. განსხვავებას პერსონაჟების მეტყველებაში ქმნის გამომხატველობით საშუალებათა მრავალფეროვანი შესაძლებლობიდან მათი ხასიათის, მდგომარეობისა და განწყობილების შესაფერისი სიტყვიერი სამოსის შერჩევა. ასე, რომ ყველა პერსონაჟის მეტყველება მრავალფეროვანი და მდიდარია ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურადაც, გრამატიკულ-სტილისტურადაც.

ილია განსაკუთრებული შეგონების ძალის მქონე სიტყვებს ურჩევს კეთილი და სამართლიანი მღვდლის მეტყველებას. ხშირად აქ დიდი ექსპრესიული ძალა აქვს მინიჭებული პირობით-შედგობით წინადადებებს, შედარებებსა და დაპირისპირებებზე დამყარებულ გრადაციებს, რიტორიკულ დასკვნებს. დამახასიათებელია ბევრი ადგილი, მათ შორი დიალოგი პეტრესთან (გვ. 49—52), სადაც მღვდელი ინდუქციური გზით უხსნის და აჯერებს გლეხობას სწავლა-განათლების დიდ მნიშვნელობაში, პასუხები გაბრიელის კითხვებზე და სხვა. მღვდლის საუბარი ნათელი და სახიფათოა, ტონი—დამრიგებლობით-შეგონებითი. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს:

„—თამარ მეფე ხომ გაგიგონია?

—როგორ არა, ლეთისნიერი რამა ყოფილა.

ლეთისნიერიო?... რას ამბობ? თუ წელში გამართულა როდისმე ჩვენი ქვეყანა, ეგ იმის მეფობის დროს გაიმართა; მზეს თუ როდისმე საქართველო-გაუნათებია და გაუთბია, იმ დროს ყოფილა; სიტყვას თუ ძალა გამოუჩინია, გულსა სიმტკიცე, მკლავსა სიმაგრე, ეგ დალოცვილის მეფის თამარის დედობის დროს მომხდარა! ის დედა იყო, ჩვენ შვილები... დრო ყოფილა, ჩემო ძმაო, ქართველობით თავი მოგვიწონებია: ტყუილად კი არ არის ამ წიგნში ნათქვამი: „ლეკვი ლომისა სწორია, ძე იყოს თუნდა ხჯადია“. დედაკაცი იყო კურთხეულ არს სახელი მისი! და დედაბოძად კი შეექმნა ჩვენს ქვეყანასა... (62).

„—სალმრთო რამ არის?

—ყველაფერი სალმრთოა, ჩემო ძმაო, რაც კაცის გულს გაუთბია, თითონ დამწვარა, ზღაპრისა არ იყოს, სანთელსავით და სხვისთვის კი გაუნათებია. კაცი ის არის, ჩემო ძმაო, რომელიც თავის გონების ნამუშევარს, გულის სიკეთეს ხილად ვასდებს, რომ, თუ არ თითონ, სხვამ მანც მშვიდობით გაიაროს... (62).

„—სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი, გზა ცხოვრებისა, აი ხილი ცხოვრებისა, აი, გასაღები სამოთხისა!... (75).

„—ლუკმა მაშინ არის ტკილი, როცა კაი კაცობით არის ნაშოენი“ (54).

მაგრამ რამდენადაც მანც „გლახის ნაამბობში“ მთავარი პერსონაჟი გაბრიელია, ამდენად მის მეტყველებას მეტი ადგილი უჭირავს და მისი მეტყველების მიხედვითაც შეეცდებით აღვწეროთ ავტორის ოსტატობის ხერხები.

გაბრიელი ბუნებით ნიჭიერია, ცოდნისა და შრომის მოყვარული, ინტერესიანი და ინიციატივიანი. ინტერესმა იგი წიგნს დააახლოვა, ანბანი შესწავლა და წერა-კითხვა გაიკვთა, მისი მეტყველება ასე თუ ისე წიგნიერი

გლებკაცის მეტყველებაა. წიგნური (კერძოდ „ვეფხისტყაოსნის“) აფორიზმებში საესებით ორგანულად ერწყმის მისი საუბრის ფორმას, დამაჯერებლად ეთვისება მის შინაარსს. ცხოვრების უკუღმართობით გაუბედურებული გაბრიელის მეტყველებას ახასიათებს გულდაწყვეტილი და იმედგაცრუებული კილო. ახლანდები თუ სხვა ამგვარი მარილიანი გამოთქმები ისეა შერჩეული, რომ ყველაზე უკეთ გამოხატავს მის პეიმიისტურ მდგომარეობას:

„—ეჰ, მოგაწყინე თავი ამდენის ჩივილითა, შენი ჰირიმე, მაგრამ რა ვქნა? ჰირთა აჰმა ლხინიაო (86).

„—ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა: ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს (40).

„—ბევრი რამ მოგახსენე იმ ლეთის კაცზედ, მაგრამ ნაასალიც ვერ გითხარი: იმიხი გული და ამბავი ზღვა არის და მე უბედურმა კოვზით ზღვის ამოწურვა მოვიდლომე“ (78).

„—მე რომ მაშინ წიგნი მცოდნოდა და ის ზღაპრები შეკითხნა, ჩემს ბედს ძალიც არ დაჰყუფდა“ (45).

დროდადრო გაბრიელი თავის შეხედულებას ასაბუთებს და ამავრებს ხალხური პოეზიის ნიმუშებიდან ამოღებული ადგილებით, რაც მას ზეპირად ახსოვს (მაგალ. „არსენას ლექსი“ და სხვ.). ეს კიდევ უფრო აშვენიერებს მის თბრობას, ერთგვარ დინამიკურ ხასიათს ანიჭებს მას და ნათლად გვიხსნის გაბრიელის გმირულ სულს:

—„იმ გაბოროტებულს გულზედ ცა და ქვეყანა რომ ხელში შეეროდა, უველხავით გავწურავდი და კბილით გავგლეჯდი“ (115).

„—მოვახტი ცხენსა და გავექუსლე პეპიასაკენ. ის იყო ჩემი პირველი ავკაცობა, მაგრამ ვეგეც ვინ იცის? იყო თუ არა ავკაცობა? „მდიდარს ართ-შევ, ღარიბს აძლევ, ღმერთი როდო წაგანდენხო“—იტყვის ხოლმე ჩემნი ხალხი“ (110).

გაბრიელის მეტყველება სწორი და დახვეწილია. მასში უხედადა ხალხური მეტაფორული გამოთქმები და ხატოვანი შედარებები, ზოგჯერ ბიბლიური წარმოშობისაც კი, მაგრამ ცოცხალი ხალხური კილოს სურნელით გაცხოველებული და ფრთაშესხმული, რაც განსაკუთრებული ექსპრესიული ზემოქმედების ძალასა და დამარწმუნებლობას აძლევს გმირის საუბარს:

„—წამოიძახა იმან უეტრად და მეკდარი გამაცოცხლა. სთქვა იმან ეს თუ არა, გამისხლტდა ხელიდამ და, როგორც ნიავი, თვალიდამ წამივიდა. გამიფრინდა ჩემი ნოეს მტრედი, მწვანე შტო კი ხელთ დამიგდო; გამიფრინდა და თვალი ჩემი მიეკვრა იმ ორლობეს, რომელსაც ის ბოლოს შეუბრუნდა და მიეფარა“.

„ღმერთმა უშველოს!... ადამიანს ხანგრძლივ რომ შეხვდეს ამ წუთის-სოფელში იმისთანა დრო, ეს წუთის-სოფელი სამოთხე იქნებოდა. მაგრამ წუთის-სოფელი იმიტომეა ჰრქმევი, რომ ყველაფერი წუთობითა სცოდნია, უბედურობის მეტი. ის-ის იყო, ჩემს ბედს იმის ოდენი სიხარული ვეღარსად დავსტყუე. წავიდა იგიცა, ვითა ხიზმარი ღამისა, წავიდა და იმის ნაცვლად, რასაცა მხედავთ, ის მომეცა... იმ სიხარულის ხატი შიგ გულში უქმადლა მიკიდი. დამაწაფა სოფელმა უკვდავების წყაროსა და ბოლოს შხამად მომადინა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი:

ემიმლომნი საწუთროსანი

მისთა ნივთთაგან რჩემიან,

იშვებენ, მაგრამ უმუხთლოდ

ბოლოს არ მოურჩებიანა (85—86);

„—ფერი მეცვალა, ეს რომ მითხრა. როგორც თავმოწონებული ფარშავანგი ჰხარობს, მინამ თავის შავ ფეხებს დაინახავს, როცა კი ძირს დაიხედავს და თვალს მოჰკრავს, მაშინვე ფრთებს დაღონებული ჩამოჰყრის,— ისე ამ სიტყვებზედ ჩემმა ჯერ წახალისებულმა გულმა ჩამოჰყარა ფრთები“ (45—46).

ილიას სიტყვის ძალა და მხატვრულობა განსაკუთრებით რელიეფურად ვლინდება სინტაქსში. თუ საზოგადოდ ილიას ქართული ყველაზე დიდი მხატვრული ზემოქმედების მქონეა, ეს მის წინადადებათა ბუნებრივობისა და მეტაფორების შედეგია. სინტაქსურად მწყობრი და ლოგიკურად შეკრული წინადადებები, მეკრივი და ბუნებრივად ავებული სინტაგმები ილიას ქართულს ანიჭებს ფოლადისებურ სიმტკიცეს და ელერადობას, ხოლო ქართული ენის მრავალფეროვანი სინტაქსური შესაძლებლობების ვირტუოზული მონაცვლეობა, იქნება ეს ავტორის ტექსტში, თუ პერსონაჟების მეტყველებაში მათი სულიერი მდგომარეობისა და საერთო სიტუაციების შესაფერისად, ილიას პროზის ენას ხდის არაჩვეულებრივად ელასტიურს, მიმზიდველსა და ადვილად აღსაქმელს.

ქართული ენის სინტაქსურ კონსტრუქციებს ილია სხვადასხვაგვარად იყენებს თავის ნაწერებში. პროზის ენა და სტილი ამ მხრივაც განსხვავდება მისი კრიტიკულ-პუბლიცისტური ნაწერების ენისაგან. უკანასკნელში უხვად ვხვდებით ჰიპოტაქსურ პერიოდებს, ამ ნაწერების სტილი თითქოს მოითხოვს და იგუებს კიდევ ამგვარ პერიოდებს. მხატვრულ პროზაში კი ჰიპოტაქსური კონსტრუქციები (რთული ქვეწყობილი და ზერთული წინადადებები) შედარებით ეოტაა, განსაკუთრებით მცირეა პერსონაჟების მეტყველებაში. აქ უფრო ჩვეულებრივია მარტივი, შერწყმული, ერთშემადგენლიანი წინადადებები და ასინდეტური (უკავშირო თანწყობისა და ქვეწყობის) კონსტრუქციები. ამგვარი სინტაქსური საშუალებების შერჩევას, ჯერ ერთი, ხალხურობის საფუძველი აქვს; მეორეცაა და, იგი პერსონაჟის კულტურული დონის, მისი წიგნიერების, მისი მეტყველების სტილის დახასიათებისა და სულიერი მდგომარეობის გამოხატვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. სწორედ ამ საშუალების გამოყენებითაც არის, რომ ილიას პროზის პერსონაჟების მეტყველება უაღრესად ბუნებრივი და დამაჯერებელია.

ასეთი უკავშირო რთული წინადადებებია, მაგალითად, გაბრიელის დიალოგებში (გამოტოვებული კავშირის წინ ზოგჯერ ორი წერტილია):

„—ვიცი, ჩემი დღე დათვლილია“ (39).

„—ის-ის იყო, მამაჩემი თვალით ვეღარ ვნახე: იმავე წელიწადს ამოიჭამა წუთის-სოფელმა და მე ისე, მშობლისაგან შეუნდობარი, უთვისტომოდ, ობლად, მარტოდმარტო დავრჩი ამ ტრიალ ქვეყანაზედა“ (42).

„—კარგია, რომ პატარაობითვე ბატონი და ყმა ერთმანეთს შეეჩვივნენ: კმისათვის ბატონთან შეზრდილობა დიდი ზურგია“ (42).

„—ის კი არ იცოდნენ: მე დათიკოსთან სიკვდილი მერჩივნა ჩემ დედინაცვალთან ასის წლის ცხოვრებასა“ (41).

„—იმ ბედნიერს ღამეს ჩემს თვალს ძილი არ მიჰკარებია: ლხინსაც ჰირსავით ძილის გაფრთხობა სცოდნია“ (95).

[მღვდელი:] „—სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა არც მამისა: ქვეყნისა არის“ (74).

ზოგჯერ რთულ წინადადებაში კავშირთან ერთად გამოტოვებულია კორელატივიც, რაც ამსუბუქებს და ამჟღავნებს ფრაზას. ამას გარდა, დამოკიდებული წინადადებების ადგილის შერჩევა და თავისებური ფორმის კავშირები, განკერძოებული განსაზღვრებებისა და გარემოებების ხმარება (ზოგჯერ ქვეწყობილი წინადადების მაგიერ) ილიას სინტაქსს კიდევ უფრო სადას, ბუნებრივსა და მკაფიოს ხდის, ხალხური მეტყველების დამახასიათებელ ელფერს უნარჩუნებს მას. ქართული ენის სინტაქსურ-სტილისტურ თავისებურებათა გამოყენების ორიგინალურობისა და ნოვატორობის თვალსაზრისით ილიას პროზაული და პუბლიცისტური თხზულებების შესწავლა საგანგებოდ არის საჭირო. ამჯერად დავკმაყოფილდებით ორიოდ მაგალითით, რომლებიც ავტორს პერსონაჟების მეტყველებაში შეუტანია:

1. გაოტოვებულია კავშირიც და კორელატიც:

„—მაღე მტერი მოგიკვდეს, მაღე მე მოგიკრიბე ღონე და გონხედ მოვედი“ (83).

2. წინადადებაში ჩართულია განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები:

„—მეც გამოვედი გარეთ. საღამო ხანი იყო, ხალხი—დიდი თუ პატარა—ერთი დაქანებული საურმე იყო მტკვრისკენა, იქით მიბროდა“.

„—გავედი თუ არა, ის იმერლის ბიჭი, წიგნით ხელში, იქვე დამხვდა, საცა უწინ ვხედავდით ხოლმე“ (43).

მოქმედი პირების მეტყველებაშიც ისევე, როგორც ავტორისეულ ტექსტებში, არის შემთხვევები წინადადებაში რომელიმე წევრის განმეორებისა, რასაც გარკვეული ლოგიკური მახეილის ფუნქცია ეკისრება, იგი მსმენელის ყურადღებას აჩერებს და ამზადებს, გამოყოფს განსაკუთრებით მწვავე დრამატულ პუნქტს და ხელს უწყობს მოქმედების საერთო დამაბულობის გაძლიერებას, აძლიერებს აღწერილი ფაქტის დამარწმუნებლობის ძალას, გახაზავს გმირის რომელიმე თვისებას ან შეხედულებას. ერთ-ერთი შემთხვევა აქ ლუარსაბის ტრაზახსაც გვიჩვენებს:

„—**მშვიერი** რომ ვკვდებოდე. **მშვიერი**, და ასი ურემი მებმებოდეს, მე მაგას არ ვიკადრებდი“: „კაც-ად“. ლუარსაბი, (153).

„—იმ წამს დათიკო რომ დამენახა, მგონია, **ძმა** რომ ყოფილიყო, **ძმა**,—იმის დანახვა და იმის სულის გაფრთხობა ერთი იქნებოდა ჩემთვის“: „გლნაამბობი“. (95).

ამგვარივე სინტაქსური გამეორებები, გაკვირვებები და შეძახებები აქვს გამოყენებული ავტორს კიდევ სხვაგანაც, კერძოდ, როცა პეპიას მისი ქალის—თამაროს სიყვარულს გამოუტყდადებს გაბრიელი. მშენივარადაა გადმოცემული დაქვევებული, შეშინებული, დაბნეული და გამწარებული პეპიას მეტყველება, სარწმუნოდ ჩანს, თუ რაოდენ ალელვებული და აჩქარებულია მოხუცი:

„—**შენს ღმერთს** აპატივე, **შენს ღმერთს!**...—ჰლდავოდა საცოდავად პეპია—ღმერთი ხომ მოწამეა, შენგან ავი არა ვამიგია რა, მაგრამ რა გქნა? რა გქნა მე უბედურის დღისამ? **შვილი** მეღუპება, **შვილი!**... ჩემი სისხლი, ჩემი ხორცი!... ერთადერთი შეილი ცოცხალი მემარხება!... გესმის ეს, ჩემო გაბრიელ. შეილს ვკარგავ, შეილო, მოდი და უნდო ნუ ვიქნები! შემიხედე! შენს ღმერთს აპატივე, თუ ვაწყინა რამე ბებერმა. **კვადაკარგულმა**, უბედურმა მამამა. რა გქნა? ჩემი შეილია, ჩემი გულ-ღვიწლია, ჩემო გაბრიელ! **გზ** მივენდო, **გზ**, ამ ცოდვით სავსე აღამიანის-შვილებში? **ძმას** არ ვენდობი, **ძმას** მაგ საქმეში, ღმერთო, ხომ შენ იცი“ (... 91).

ამგვარი ქართულის მარგალიტები უხვადაა წარმოდგენილი ილიას პროზაში და მისი ანალიზი მთლიანად ილიას ენის შესწავლას გულისხმობს. ჩვენ ამჯერად შევჩერდით პერსონაჟების მეტყველების დამახასიათებელი ენობრივი ნიშნების აღწერაზე. სარწმუნოა, რომ პერსონაჟების ინდივიდუალური თავისებურებების, მათი სულიერი სამყაროს სხვადასხვაობის გადმოსაცემად ილია ოსტატურად იყენებს ქართული გრამატიკისა და ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ნაირფეროვანსა და მდიდარ გამომხატველობითს საშუალებებს. ეს საშუალებები დიდი განძია საერთოეროვნული ქართული ლიტერატურული ენის ოქროს ფონდში. დამახასიათებელია, რომ პერსონაჟების მეტყველებაში, საერთოდ თუ ავიღებთ, ილია იშვიათად, ძალიან ძუნწად მიმართავს დიალექტურ ფორმებს. ამ მხრივ ილიამ შექმნა თავისი სტილი. ამ სტილის დიდი წარმატება და ცხოველმყოფელობა დაფუძნებულია მშობლიური ენის კანონების ღრმა ცოდნაზე, მისი ოსტატური გამოყენების დიდ ნიჭზე, მისდამი განსაკუთრებულ სიყვარულსა და პატივისცემაზე.

ილიას მხატვრული შემოქმედება შთააგონებდა და შთააგონებს ქართულ მწერლობას მშობლიური ენისადმი ფრთხილ და მზრუნველ დამოკიდებულებას, მისი გაძლიერებისა და გამდიდრების მიზნით ახალ-ახალი გამომხატველობითი ფორმების ძიებასა და დამკვიდრებას. უდავოა, რომ ილიას შემოქმედებითმა პრაქტიკამ, მისმა დიდმა ავტორიტეტმა ძალიან შეუწყო ხელი ახალი ქართული სალიტერატურო ენის ერთიანი ნორმების გავრცელებადანერგვასა და ქართული ენის მაღალი კულტურისათვის ბრძოლის ინტერესების გაზრდას.



ვ. ბერიძე

ილია ჭავჭავაძე—ახალი სალიტერატურო ენის ფუძემდებელი და დამცველი.

ილიასათვის ენა უწინარეს ყოვლისა საზოგადოებრივი მოვლენაა; ადამიანმა შექმნა იგი თავისი საჭიროებისათვის, ადამიანივე სცვლის და ავითარებს მას განსაზღვრულ პირობებში.

აქედან ცხადია, თუ რა პოზიციას დაიჭერდა ილია ყველა იმისადმი, ვინც ენას, როგორც უცვალეზელს რასმე მიიჩნევდა.

ჯერ კიდევ ი. ჭავჭავაძემდე მდგომარეობა შერყეული იყო. ახალი ნორმები თანდათან იჭრებოდა ძველ ენაში და ჰქმნიდა მერყეულ მდგომარეობას.

ამ გარემოებას უწინარეს ყოვლისა ყურადღება მიაქცია მაშინდელმა მწიგნობარმა ალ. ორბელიანმა, რომელმაც ეურნალ „ცისკარში“ სპეციალური წერილი დაწერა ამ საკითხის შესახებ.

ავტორმა ქართული სამად დაჰყო:

ა. ძველი ანუ საეკლესიო, ბ. საშუალო ანუ დარბაისლური და გ. გლეხური. თავისი დროისათვის გამოსადეგად ორბელიანი იწუნებს როგორც ძველს, ისე გლეხურს და უპირატესობას საშუალოს ანუ დარბაისლურს აკუთვნებს.

„თუ ჩენზედ მიაგდებთ და ამომარჩევინებთ, მე საშუალოს ენას ამოვირჩევე, დარბაისელთ ენას, ამისათვის რომ უფროსი ერთი უწინდელი საერო წიგნები დარბაისელთ ენაზე უწერიათ და იბათის ენითვე ულაპარაკნიათ, ვითარცა: რუსუდანიანი, ვისრამიანი, დავრიშიანი, სიბრძნე-სიცრუე, ყარამანიანი და სხვადასხვანი და ბოლოს, ვეფხის ტყაოსანი“ („ცისკარი“, 1860, ივნისი).

ორბელიანის შემდეგ საკითხს დ. ყიფიანი შეეხა.

დ. ყიფიანმა უარყო ეკლესიური ენა, მაგრამ თავისი დროის ქართული-სათვის მან ვერც რუსთაველის ენის მიღება დაინახა მიზანშეწონილად.

„ექვი არ არის,—წერდა ის,—რომ რუსთველს აქვს დიადი დიდი ღირსებები, მაგრამ ის ცხოვრობდა მეთორმეტე საუკუნეში და აღარ ეკუთვნის ჩვენს დროს. ის არის სამკვიდრებელი ქართულის ისტორიისა... რამდენადაც საზოგადოება წინ მიდის განათლებით, იმდენად იცვლება თვით სიტყვებიცა: საქართველოს მოუვიდა დრო, მამ რუსთველის ენაც დაძველდება“.

ასეთი იყო საქმის ვითარება, როდესაც „ცისკარში“ დაიბეჭდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილი: „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვიდან შეზღილის თარგმანზედა“ („ცისკარი“, 1861, აპრილი).

ახალი ენის საჭიროებაზე ილია აქ მცირედ ლაპარაკობს, მხოლოდ გაკვრით და ისიც შენიშვნაში:

„წი, წმ, ზ, ჯ, კ—ეს ასოები სულ არ გვიხმარია ჩვენ სტატიაში: თუ ვინცოდა ეს ენის წინააღმდეგ მიანდეს ვისმე, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ გავსცეთ პასუხი და გამოვუცხადოთ, რა მიზეზითაც არ ვხმარობთ“.

მიუხედავად ამისა, წერილი როგორც ყუმბარა ისე გავარდა, გასკდა.

ძველი საზოგადოებრიობა აღელდა, აზორგდა და „ვისაც თავის დღეში კალამი ხელში არ აუღია, იმასაც კი ააღებინა; ვისაც მართალი სიტყვა პირდაპირ ნათქვამი თავის დღეში არ გაუგია, იმას მართლის თქმით გული აუმღერია; ვისაც შინიდან ფეხი კარში არ გამოუდგამს, ისიც კი ალაპარაკდა“

რა მოხდა?

საქმე ის არის, რომ ილიამ თეორიულ მსჯელობას თავი ანება და წერილი (მოზრდილი წერილი) ახალი ლიტერატურული ენით დაწერა. ამ მხრივ იგი როგორც ოაზისი ისე გამოიყურება „ციცკრის“ „უდაბნოში“: აქ პირველად მოცემულია ხალხისათვის გასაგები, თავის დროისათვის უაღრესად გასაგები, მარტივი ენა. აშკარა შეიქნა, რომ ახალი თაობა არ ხუმრობს, არ თავსდება მარტოოდენ თეორიისა და სურვილების ფარგლებში და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმასაც იწყებს.

ცხადია, ასეთს რასმე ძველი თაობა, საღვთო წერილზე აღზრდილი თაობა, ვერ მოითმენდა და შეტევაზე გადავიდოდა.

დამწყები ქალი გამოდგა: ბარბარე ჯორჯაძისა.

ძალზე აღშფოთებულ ბარბარეს არ მოსწონს ილიას რეფორმატორობა—ძველი ასოების განდევნა და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ეს ასოები ბუნების მიერაა ჩვენს ენაში შემოტანილი.

„რატომ არ იცის თავად ილია ჭეჭავაძემ,—ამბობს ის,—რომ ბუნებით მომზადებულთა სიტყვათათვის ადრევე დადებულ არიან კანონი, რომელნიც არიან მართალნი და რომელთაცა გამოკულა დიდი გმობა უნდა იყოს... ყოველთა ამათ განხილვა, გამოძიება და ახალთა კანონთა დადება ჩუშნი საქმე არ არის, რადგან ყოველი ესე არის მოყვანილი ცნობაში ჩუშნზედ ადრე. ბუნება გვეუბნება თქუ „ქუაო“ და არა „ქეაო“; ბუნება გვამხილებს თქუ ჩუშნო და არა ჩვენო“ და სხვ.

ბარბარე ჯორჯაძე უცხო სიტყვების შემოტანისათვისაც გმობს ილიას: ესთეტიკური, სენტიმენტალური, დრამატიზმი და სხვანი. როგორ შეიძლება ენის ამგვარად აქრელებაო?

ამგვარადავე „გააკრიტიკეს“ ილია ძველი მიმართულების წარმომადგენლებმა, მათ შორის სარდიონ ალექსიევი-მესხიევმა. შენს ლექსებს არა უშავს, მაგრამ „სადაგისტყვაობაში (პროზა) კი უწყალოდ ამახინჯებ და ამდაბლებ ქართულს სიტყვიერებასო“ („ციცკარი“, 1861, № 6).

ილიამ გამანადგურებელი პასუხი გასცა მოწინააღმდეგეთ. ეს პასუხი ილიას ამგვანებს, როგორც უეჭველად დიდად მომზადებულ პიროვნებას ისეთ დარგშიც, როგორცაა ენათმეცნიერება.

ამ პასუხში ილია ენას განიხილავს აზროვნებასთან მჭიდროდ დაკავშირებულად. ენა და აზროვნება ერთთვროდ წარმოუდგენელიაო.

„სადაც აზრი არ არი, იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია; მერე შე არსად არ გამოიგია, რომ უაზრო ენა იყოს სადმე. აზრი და მხოლოდ აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას...“

შემდეგ ილია კონკრეტული ბრალდებების გაბათილებაზე გადადის.

„ჩვენი მწერალი ქალი დააკინის ქცევას როგორც ჭ, ჭუ, ა, ჯ, ჯ-ს არ ვხმარობ. იმის მაგიერ, რომ მწერალმა ქალმა დაამტკიცოს ჩემი შეცდომა, მიჰყოლია და თეორეტიკის ზღაპრებს გვიაპობს (სხვათა შორის ბ. ჯორჯაძე ილიას თეორეტიკის არ ცოდნას აბრალბდა!). ეგენი ბრძანებენ, რომ ბუნებას მოუტოაო ხმა სიტყვის გამოსახატავად: ხმა მხეცისათვისაც მიუტოა ბუნებას, მაგრამ არა მხეცი არა მგონია ლაპარაკობდეს.“

აქედან იწყება იმის დასაბუთება, თუ რატომ არ სცნობს ილია საქაროდ ამ ზედმეტი ასოების ხმარებას.

„კაცის ენა კერძო პირსაკით იზრდება და ვითარდება, ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე; ხშირად იქნება, რომ კანონები, ერთს დროს საპირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე; ამიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველს კაცს. მაშასადამე, თუ მიბრძანებთ, რომ რადგანაც ძველს წიგნებში ხმარებულა, იმიტომ ახლაც უნდა იხმაროთ ეს ასო, ეს უსაფუძვლო ბრძანება იქნება.“

დღევანდელს ჩვენს ენაში მე ვერ ვხედავ ვერც ერთის ამ ასოს ხმარების საჭაროება... და თუ ვინმე ხედავს, ის ანბანთ თეორეტიკით კი ნუ ცდილობს დამტკიცებას, არამედ ყურადღება მიაქციოს დაკვირვებით ხალხის სიტყვის გამოთქმასა, ხალხის ენაში მონახოს ფაქტი, დამანახოს და მაშინ დავეთანხმები. ენას კანონსა თვითვე ენა აძლევს და არა თეორეტიკა. თქვენ უნდა დაგენახებინათ განსხვავება ამ ასოთა შორის და ენიდამ ამოღებულ ფაქტით დაგემტკიცებინათ; მაშინ მე არა მეთქმოდა რა. თქვენი თეორეტიკა თქვენთვის შეინახეთ. ეგ აშკვარ საქმეს პასუხს ვერ გასცემს. სხვა უნდა ნოინახოს. მე ვგონებ, თქვენი სახელოვანი თეორეტიკაც არა ხმარობს ასოსა ძ. ეგ ასო ახალი შემოღებულია, არ ვიცი კი რისთვის. ეგ ასო ქართულ ენაზედ „ფ“-ად იცვლებოდა ხოლმე. მაგ. ფილოსოფია. ამის გარდა ქართველ გლეხკაცს (თუ ბატონთან არ არის ნამყოფი) მაგ ასოს ხმას ვერც კი გამოათქმევენებთ. ძ-ს მაგიერად სულ „ფ“-ს გამოსთქვამს, მინამდინ ბევრჯერ არ გამეორებინებთ. ჩანს ეგ ასო ჩვენის ენის თვისებისა არ არის და რაღა ხმარობთ?“

ასეთია ილიას მართებული პასუხი ენის ძველი მიმართულების წარმომადგენელთადმი.

ილია ენის საქმის კურსშია, და აღსანიშნავია, არა მარტო ჩვენი ენის, იგი უცხო ენის ცხოვრებასაც თვალყურს ადევნებს, და პირველ რიგში, რუსულს.

„ვისაც შინიდან ფეხი გამოუდგამს და, ანბანთ თეორეტიკის გარდა, სხვა რამეც უკითხავს, იმას, რასაკვირველია, გაეგება, რომ ეხლა მთელი ევროპა ცდილობს ყველაფრის განმარტივებას, გადავილებას, სხვათაშორის, ანბანისასაც და მართლწერისასაც. შორს არ წავალ: აი, თითონ რუსეთში ცდილობენ i ჯ ზ—ამოშლას თავის ანბანიდან, რადგანაც ეხლანდელ მათ ენაში აღარ ისმის ეგ ასოები. მე შემხვედრია წიგნი 1859 წელში თუ 1860 დაბეჭდილი, სახელდობო: „Сказание ои языческих богах“ (ამ მართლწერითა), სადაც i, ჯ, ზ არ არიან ხმარებულნი. როგორ გადაწყდება ეს დავა, მე მაგას არ დავეძებ; მე მომეყვას ეს, როგორც ფაქტი, რომელიც ამტკიცებს სურვილს, რომ განმარტივდეს ანბანიცა და მართლწერაც—ჩვენთვისაც ურიგო

არ იქნება, რომ მაგ ასოებზედ კარგად მოვიფიქროთ და, თუ უსაფუძვლოდ არიან ხმარებულნი, ამოიშალონ, როგორც უხმარნი; ეგ მოაშორებდა ახალ მოსწავლეს რამდენიმე უსარგებლო ასოს სწავლისაგან, მწერალსაც გაუადვილებდა წერასა.

ილიას უცხო სიტყვების შემოტანასაც უსაყვედურებდნენ, ამის გამო ის წერდა:

„ორიგინალი, სენტიმენტალური და სხვანი მაგ გვარი სიტყვები, ხმარებული ჩემს პირველ სტატიაში, თქვენ უცხო სიტყვებად მიგილიათ. ეგ, მართალია, ქართული სიტყვები არ არი, მთელი კაცობრიობა კი ხმარობს. ყოველ ხალხსა, ცოტაოდენ განვითარებულსა და ფეხშედგმულს ევროპის განათლებებაში, შემოუტანია და მიუღია ეგ სიტყვები, როგორც თავის ენის, ლექსიონის ლექსნი; მაშასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ჩვენც ვიხმაროთ... და რომც არ ვიხმაროთ, მაინც კიდევ უთუოდ შემოგვეპარებიან, როგორც შემოგვეპარნენ: პოემა, პოეზია, ფილოსოფია, კრიტიკა, სტატია, ლოგიკა და სხვანი მრავალნი“.

სხვადასხვა ენის ურთიერთობას და ერთი ენის მიერ მეორე ენისაგან აუცილებელი სესხების საკითხს ილია უმკველად სწორად და მართებულად არკვევდა.

ასეთი იყო ილიას წინააღმდეგ შემოტევა ქართული ენის დემოკრატიზაციის გამო, შემოტევა, რომელიც ილიამ ბრწყინვალედ მოიგერია, მით უფრო ბრწყინვალედ, რომ ეს მოგერიება წარმოებდა იმავე „ცისკრის“ საშუალებით, სადაც ძველი ნორმების დამცველნი იყვნენ საუკუმპრობელნი.

1863 წ. ილიამ თავისი საკუთარი ეურნალი დააარსა: „საქართველოს მოამბე“. ეურნალის პირველ ნომერშივე ილია წერდა:

„ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალეზე ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება, რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ, და მიაქვს განახლება ყოვლის ფერისა: წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველიფერა იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან“.

პოზიციის გასამაგრებლად ილიამ სათანადო თანამშრომელნიც მოიწვია. აქედან ყველას დავალებული ჰქონდა ეწერათ ახალი ენით, ზოგი კი ამავე დროს ენის თეორიულ საკითხებსაც იხილავდა. ამგვარია, მაგ., მეტად ვრცელი და საყურადღებო „სფირიდიონისა და თადეოზის ბაასი“. წერილი უპირატესად ახალი ნორმების საკითხებს ეხება.

სამწუხაროდ, „საქართველოს მოამბე“ ერთი წლის შემდეგ დაიხურა.

მისი ტრადიცია გაზეთმა „დროებამ“ განაგრძო. აქ თანამშრომლობდნენ: გ. წერეთელი, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, თვით ილია და სხვ.

ენის დემოკრატიზაციის ტენდენციამ ისე მოიკიდა ფეხი, რომ მოწინააღმდეგეებმა მძიმე არტილერია აამუშავეს,—ეს გახლდათ გრ. ორბელიანი, რომელიც, ცოტა არ იყოს, პირადადაც გულნატკენი იყო ახალი თაობის წარმომადგენლებზე.

ილიამ, როგორც ვიცით, ზოგიერთი მოღვაწის შესახებ დასწერა გამოცანები, სადაც ეს მოღვაწეები უარყოფითად იყვნენ დახასიათებული.

ეს იყო 1871 წელს. ერთ-ერთ გამოცანაში ილია გრიგოლ ორბელიანსაც შეეხო.

შედარებით სხვა მოღვაწეებთან, გრიგოლ ორბელიანი გამოცანებში მართებულად და თან დადებითადაა დახასიათებული, მაგრამ მან მაინც იწყინა: პირადს ილიასა და მისი თაობის პოზიციის მიუღებლობა დაერთო და გრიგოლიც რისხვით ეკვეთა ახალ თაობას:

აღჩნდნენ მწერლები,
 ჟურნალისტები,
 ვაი საბრალოს, ვაი ჩვენს ენას!
 მათ უსწავლელთა,
 ცრუ რუსთაველთა,
 სულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი,
 ენა მაღალი,
 მის ძალი, მადლი,
 უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში!
 ერის ცხოვრება,
 მისი დიდება
 მის ისტორია დაცულ არს ენით,
 რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს,
 წარუეხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას!

ლიბერალები,
 პატრიოტები, აკაკიები, (აკაკი)
 ბაკაკიები,
 რიონელები, (ნ. ნიკოლაძე)
 გოგოტელები (გ. წერეთელი)
 მესხი, მეგელი, (დ. მიქელაძე)
 მელიქ-ალები“. (ს. მელიქიშვილი)

ახალი თაობის სახელით გრ. ორბელიანს და, მაშასადამე, ძველ თაობას პასუხი გასცა ილიამ:

მტრობა ერის
 არს მტრობა ქვეყნის—
 მაგ აზრისა ვართ თანახმა ჩვენა,
 მაგრამა გმობა,
 ენისა მტრობა
 ბრალად ვის დაედვათ, ჩვენა თუ თქვენა?
 ესლა რომ ბლავით,
 თქვენ არ იყავით
 ენის პატრონად ჩვენზედ უწინა?!
 ჩი ქუჭუს ცწოვდით,
 როცა თქვენ გმიზდით
 ენას და ხალხსაც—გართო თუ შინა.
 ის არ ხართ თქვენა,
 რომ ღვიძლი ენა
 ბრძანებით დასთმეთ აღმოსაკვეთად?!
 შიშით არც კარში

და აღარც 'სახლში
 მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენად.
 ენა მაღალი,
 მის სიღრმე, ძალი,
 ჩვენგან კი არა, თქვენგან წამხდარა;
 პირველ თქვენგანმა
 იმა ბედშავმა მას მკედრის სუდარა გადააფარა.
 ენა მდიდარი,
 თქვენს ხელში მკედარი,
 ჩვენ მიგვიღია გასაცოცხლებლად,
 და ამასაც თქვენ
 ცოდვად გვითვლით ჩვენ,
 რაღა პირითა დახვალთ ამ ქვეყნად!
 თქვენგან გმოზილი,
 თქვენგანით ლტოლვილი
 ენა ჩვენს ქოხში ჩვენ შეეფარეთ:
 კარგად თუ ავად
 ჩვენ მას ვინახავთ
 და მის სიკვდილით არ გაგახარებთ.

და ილია მართლაც ინახავდა ქართულ ენას ყოველი ჯურის მტრისაგან და არა მარტო ინახავდა, არამედ დღემარად მას თავს დასტრიალებდა, უვლიდა, პატრონობდა, სწმენდა ყოველგვარი ღვარძლისა და დანაგვიანებისაგან და ცდილობდა დაეყენებინა იგი ღირსეულ სიმალეზე.

ამ მხრივ საინტერესოა, რომ ილია არ კმაყოფილდებოდა მარტოდენ სიტყვიერი პროპაგანდით ენის სიწმიდის დაცვისათვის, არც იმით, რომ თავად, თავისი ბეჭდვითი ორგანოთი, იძლეოდა სალიტერატურო ენის ნორმებს სხვებისათვის სამაგალითოდ. ყველა ეს ღონისძიება ილიასათვის, როგორც ახლა ირკვევა, უკმარი იყო და ენის ნორმები რომ ყველასათვის სავალდებულოდ გაეხადა, გადაწყვიტა სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენელი კომისიის მოწვევა.

პროფ. აკაკი შანიძემ გამოაქვეყნა ილიას არქივში აღმოჩენილი სტამბურად დაბეჭდილი უწყება, რომელიც დათარიღებულია 1886 წლის 9 მარტით.

უწყების პირველ გვერდზე მოსაწვევი ტექსტია დაბეჭდილი:

„მოწყალეო ხელმწიფეე იაკობ სვიმონის ძე! დღეს, 9 მარტს, საღამოს მ საათზე, ივერიის რედაქციაში დანიშნულია პირველი სხდომა სალიტერატურო ენის დამდგენელ კომისიისა. გთხოვთ დაესწროთ.

განსახილველი საკითხები იხილე მეორე გვერდზე“.

და მართლაც მეორე გვერდზე სტამბურადვე დაბეჭდილია სია იმ საკითხებისა, რომელიც ენის ხაზით მაშინ საკამათოდ ითვლებოდა. მას შემდეგ ბევრი ათეული წელი გავიდა, ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ ითქვა და დაიწერა ქართული სალიტერატურო ენის ყველასათვის ერთგვარად მისაღებ და სავალდებულო ენის შესახებ, მაგრამ გამოტეხილი უნდა ვთქვა, რომ დღესაც ზოგი ამ საკითხთაგანი კვალად საკითხადვე რჩება, დღესაც არაა გადაწყვეტილი.

რომელია ეს საკითხები?

1. „პ“ და „ს“ -ს ხმარება ზმნებში.

2. როგორ უნდა ვაწარმოოთ ქართულად ის, რასაც რუსულად *депри-
частие* ჰქვია: შეიძლება თუ არა *придя* ქართულად: მოვიდა რა? არის ეს
ქართული, თუ ეწინააღმდეგება ქართულის თვისებას?

3. როგორ ვწეროთ ვნების ბრუნვაში: **დ თუ თ?**

4. საჭიროა თუ არა შემასმენლის შეთანხმება ქვემდებარესთან მრავლო-
ბით რიცხვში ყოველთვის, ე. ი. მაშინაც, როცა ქვემდებარე ე. წ. „უსულო“
საგანია?

5. აქვე აღსანიშნავია, რომ საკითხებს შორის არ არის დასმული ძველი
ზედმეტი ასოების ხმარებაზე ლაპარაკი. რატომ? ამ დროისათვის ილიას მო-
წინააღმდეგენი, თუ ვინმე დარჩა ცოცხალი, უკვე ყველანი იზიარებდნენ ილიას
შეხედულებას ამ ასოთა ზედმეტობის შესახებ.

6. არ არის აგრეთვე ნათქვამი არაფერი **დნენ** თუ **დენ**-ის შესახებაც.
საქმე ის არის, რომ ეს ფორმა „დნენ“ ილიამ თავით თვისით გაატარა და
ამის სიმართლეში ისე იყო დარწმუნებული, რომ უკვე საკამათოდ აღარ მი-
აჩნდა, თუმცა ზოგი, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოდან, არ ეთან-
ხმებოდა ილიას **დნენ**-ის ხმარებაში. მაგ., აქაკი არ იზიარებდა **დნენ**-ს, აგ-
რეთვე—მთაც.

მაგრამ არც მარტო ამით ამოიწურებოდა ილიას მუშაობა ენის ხაზით.
ყოველდღიური მისი საქმიანობა—ლიტერატურობა მოითხოვდა აგრეთვე
სატერმინოლოგიო საკითხების გარკვევასაც ქართულ ენაზე. ამ მხრივაც ილია
იშვიათი სიტყვათ შემოქმედია. ყველასაგან მიღებული სიტყვები, რომ-
გორიცაა: შინაარსი, მიმართულება, თვალთახედვა, სულთა სწრაფვა, მიქ-
ცევ-მოქცევა, წარტოლვილი, მოთხოვნილება, მეცნიერება და სხვ. ილიას შექ-
მნილია.

მაგრამ არაჩვეულებრივად დიდა მისი სიტყვათ შემოქმედება სო-
ციოლოგიასა და ეკონომიურ მეცნიერებაში. დღეს უკვე ცხადია, რომ ილიას
ნაწერები უდიდეს მასალას იძლევა ამ მხრივ.

ასეთია ილიას მოღვაწეობა ენის დარგში. მაგრამ ილიას ეს მოღვაწეო-
ბა, როგორც აღვნიშნეთ, არ იყო მარტოდენ თეორიული ხასიათისა, არ
იყო შემოზღუდული ვიწრო კაბინეტური საქმიანობით.

ცნობილია, რომ ილია თავის გაზეთში არც ერთ წერილს, თუნდაც
სულ მცირეს, პატარას, არ გაუშვებდა, თუ პირადად, თავად არ წაიკი-
თხავდა და არ გაასწორებდა როგორც შინაარსის, ისე განსაკუთრებით ენის
მხრივ. და ამას კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: ვინაიდან ზამინ მთელს
საქართველოს ტერიტორიაზე დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი გა-
ზეთი გამოდიოდა და იგიც მხოლოდ ქართული პოლიტიკური და კულტურუ-
ლი სიტყვის გამტანი და გამავრცელებელი ხალხში, მთელ ამ ტერიტორიაზე
ერთი ენა, ერთი ნორმა ვითარდებოდა და ამან კი საბოლოო ანგარიშში ხე-
ლი შეუწყო მოსპობილიყო კუთხურობა ენაში და შექმნილიყო მეტნაკლებ-
ბად ერთი სალიტერატურო, ძირითადად ყველასათვის მი-
საღები და სავალდებულო ქართული ენა.

მე-19 ს. ქართული ენის ერთობა-მთლიანობისათვის ჩვენ
უპირატესად ილია ჭავჭავაძის მადლიერი უნდა ვიყოთ.

ილია რომ აგრე გულფიცხლად ეკიდებოდა ქართულ ენას, ეს მარტო-ოდენ გარდამეტებული ენის სიყვარულით მოსდიოდა მას, თუ ამავე დროს სათანადოდაც ერკვეოდა ენის მეცნიერულ საკითხებში?

ბარბარე ჯორჯაძესთან კამათის განხილვისას ჩვენ დაეინახეთ, რომ ილია არ არის მარტოდენ ენის, ასე ვთქვათ, მოყვარული: იგი დროის მიხედვით, ენის თეორიულ მხარეებსაც იცნობს და ზოგჯერ იმისთანა ცოდნასაც იჩენს, რაც გადაჭრით უნდა ვთქვათ, დღესაც ბევრს ვერ აუთვისებია.

ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა ილიას კამათი ნარდონთან-ჯაბადართან (მხედველობაში გვაქვს ჯაბადარის—„Ильма о Грузии“, რომელშიც საქართველო, მისი წარსული კულტურა საერთოდ, კერძოდ ენა, მეტად უარყოფითად, ნიპილისტურადაა დახასიათებული).

ცნობილია ილიას პასუხი ჯაბადარისადმი: „აი ისტორია“. აქ რამდენიმე თავში ილია მხოლოდ ენის, ქართული ენის საკითხებს ეხება. ილიას ეს გამოსვლა ჯაბადარის წინააღმდეგ ისევე და ისევე ბრძოლაა ქართული ენისათვის, მისი კეთილდღეობისათვის.

თავდაპირველად ჯაბადარი შეეხო ქართული ენის აგებულებას და განსაკუთრებით ლექსიკას და აღნიშნა, რომ იგი უმეტესად სხვისია, ნასესხებიაო.

ილია არ ეთანხმება და, რაც საგულისხმოა, თავისი დროის საენათმეცნიერო ლიტერატურას ზედმიწევნით იცნობს.

ამ შემთხვევაში ცნობილ ენათმეცნიერს გატეტრიას ემყარება.

ჩვენ ვერ მოგვიტმენია, რომ ქართული ენის შესახებ არ მოვიყვანოთ აზრი ერთის საუბედუროდ, უდროოდ გარდაცვალებულის მეცნიერისა, რომელმაც დიდი პატივი დაიმსახურა მეცნიერთა შორის პირველ დაწყებითვე.

ებლა შეგვიძლია დავასკვნათ,—ამბობს იგი,—მომეტებული ნაწილი ქართულ სახელარსებობისა და ყველა იმის ფესვთა ეკუთვნიან განსაკუთრებულ გვარსა, რომელსაც ჩვენ „ქართულ გვარს ვუწოდებთ. თუ მომეტებული ნაწილი ამ სიტყვებისა იპოება სომხურ ენაში, ეს იმას ამტკიცებს, რომ იგინი სომხურს ენას შეუთვისებია ქართულის ენისაგან, რომელიც ოდესღაც დიად გავრცელებული უნდა ყოფილიყო დიდს სომხეთში, ვიდრე არიელები შემოვიდოდნენ.

შესაძლებელია, რომ თვით ენას ალბანელებისას კავშირი ჰქონდა ქართული ენის ნათესაობასთან... სომხური ენის ლექსიკონი... შეიცავს მრავალს სიტყვას, შეთვისებულს ქართულისაგან და სხვა კავკასიურ ენებისაგან... ამის გამო შეუძლებელია ზედმიწევნით სომხური ენის შესწავლა, თუ რომ წინათვე შესწავლილი არ გვაქვს ქართული და სხვა კავკასიური ენებიო“.

როგორც ვხედავთ, ილიამ თავისებური შემხვედრი სარჩელი წარუდგინა ჯაბადარს: ქართულის უცხოურობაზე ლაპარაკობთ და უქართულოდ კი ბერძენის შესწავლა, უწინარეს სომხურისა შეუძლებელიაო.

ჯაბადარი ქართულს წუნს სდებდა: იგი ნელად ვითარდებოდა და ამიტომ ანბანის სისრულითაც ვერ დავიკვებნითო.

ილია კი ამის გამო წერს: „ჩვენს ავტორს არ სცოდნია, რომ ყველა ენას თავისი საკუთარი ანბანი იმიტომ აქვს, რომ თავისი სიტყვები წერით გამოათქმევიროს ასოებს. ვინ არ იცის, ჩვენი ავტორის მეტმა, რომ ანბანი საზოგადოდ მარტო იმ ხმების (ნიშანთა) კრებულია, რომელთაც ენა საჭიროებს თავისი სიტყვების გამოსათქმელად და რომელნიც აღინიშნებიან, გა-

მოხატებიან ასოებით. ანბანი წარმომადგენელია მარტო იმ ხმებისა, რომელიც ენაში არსებობენ...

უსლარს, რასაკვირველია, ჩვენს ავტორზედ უკეთ სცოდნია ეს ერთადერთი ღირსება ანბანისა და ამიტომაც, რაკი ჩაჰკვირებია ჩვენს ანბანს, დაუნახავს, რომ არ არის არც ერთი იმისთანა ასო, რომ რა ხმის ნიშანიც არის, ის არ გამოითქმოდეს; არ არის ქართულში არც ერთი იმისთანა სიტყვა, რომ ზედმიწევნით უმეტ-ნაკლებობით გამოსათქმელად შესაფერი ასო არ ჰქონდეს. ამიტომ მართლწერა ქართულისა ისე გადავიღებულა, ისე გამარტივებული, რომ სხვა ეგეთი ანბან-სრული ენა ქვეყანაზე არ მეგულებაოა“.

სრული ქეშმარიტებაა ენათმეცნიერის მიერ აღიარებული, ხოლო ნ. მარის მიერ საჯაროდ, წერილობითაც დადასტურებული.

რაცა შეეხება თვით ამ განცხადებას, რომ ქართული ენა მძიმედ და დაგვიანებით მიდის წინაო, ამაზე, რათა ჰგონია ჯაბაძარს, რომ ენამ მაინც და მაინც ქენებით უნდა იაროსო. მიუხედავად ამისაო, განაგრძობს ილია, ჩვენს ენას აქვს ბევრი იმისთანა სიკეთე, რაც ჯაბაძარის მიერ მოწონებულ ინდოგერმანულ ენებს არ მოეძევათო და თანვე ცნობილ ენათმეცნიერს შრადერს იმოწმებს.

„შრადერი ამბობს. რომ ინდოგერმანული ენები ყველაფერში არ წარმოდგენენ იდეალს სისრულისასო. მე მოვიყვან ერთს დიდად საყურადღებო მაგალითს, რომელიც დაგვიანახებებს, რომ ინდოგერმანული ფორმა მეტყველებისა სხვაზედ უარესია და ნაკულლოვანო. რა მაგალითია ის მაგალითი, რომელიც ასე უსრულადა ჰქმნის ინდო-გერმანულს ენებს და თავის წარმატებულობით სჯობნის? გული გაუსკდება ჩვენს ავტორს (ე. ი. ჯაბაძარს), როცა ამის პასუხს ვიტყვი. აი რა: ინდოგერმანულ ენებს მრავლობითის რიცხვის აღსანიშნავად აქვთ ბრუნვა განსხვავებული მხოლოობითის ბრუნვისაგანო, მაშინ როდესაც ლოგიკა მოითხოვს მრავლობითსა და მხოლოობითს ერთი და იგივე დაბოლოება ჰქონდესო. არიანო ამ მხრივ უფრო სრული ენები, რომელთაც მრავლობითის მაჩვენებელ სუფიქსს ჩაერთვის ხოლმე მხოლოობითის დაბოლოება დასაბრუნებლად. თურმე ნუ იტყვი, ჩვენი ენაც ამ შრადერისაგან მოწონებულ ენათა შორის მოქცეულა. ერთგვარს მრავლობითს ჩვენს ენაში აქვს სუფიქსად „ები“ და ამ სუფიქსით ჩვენი მრავლობითი ისე იბრუნება, როგორც მხოლოობითი. მაგალითებრ: კაც-ებ-ი, კაცი-ებ-ისა (კაცისა) და ამ სახით ჩვენს ენაში სუფიქსი სიტყვას ფლექსიას შუა მოექცევა ხოლმე შრადერის სიტყვისაჰებრ, და იბრუნება, როგორც მხოლოობითი. ეს ენის ღირსებად მიაჩნია შრადერს“.

ილია აქ მართალია. მართალია აგრეთვე მაშინაც, როდესაც აღნიშნავს, რომ ქართული ენის განსაკუთრებულ თვისებას მისი ზმნები წარმოდგენს. აქაც ის ცნობილ ენათმეცნიერებს იმოწმებს:

Большим шагом и новой степенью словоразвития было... то, что человек различать предметы от их действия и страдания. Глагол знаменует деятельность вещей, которую они собственно и производят впечатлении. Но чтобы речь была образом настоящего мира (который состоит в движении и взаимодействии вещей), действие и страдание должны выражаться в ней движением (კარიერი).

ეს კი ყველაფერი ზმნების წყალობით შეიძლება, რადგან ზმნა იგივე ქმნაა, იგივე მოქმედებაა, მაშასადამე, მოძრაობაა.

„Все же остальные части речи представляют как бы мертвый материал, ждущий живой связи, материал,—один глагол—средоточие жизни, всюду ее разливающее. Мысль, если можно так чувственно выразиться, покидает, благодаря глаголу, внутреннее свое жилище и прямо не переходит в действительность“ (ჰუმბოლტი).

ამრიგად: თუ მეტყველების დონე და ძლიერება ზმნა არის, მაშ, ქართული ენა ზედგამოჭრილი ყოფილა ამ ნათქვამზე, იმიტომ, რომ ქართველი უფრო ზმნებით ლაპარაკობს, ზმნებით მეტყველებს, ვიდრე სხვა სიტყვის ნაწილებით. მაგალითად, მოვიყვანო რუსთველს, რომლის ფრაზეოლოგია გასაოცარს სიუხვეს ზმნების ხმარებისას წარმოადგენს. დიდ ღირსებად ვუთვლით რუსთველს, რომ დედა ძარღვს ჩვენის მეტყველებისას ასეთი განიერი გზა და ავალა მისცა და თითქმის არც ერთხელ არ უმეტყუნია.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ილიამ იცის ენის არა მარტო თავისთავადი, დამოუკიდებელი მნიშვნელობა, არამედ მისი უდიდესი, დაზნმარე როლი ცხოვრებისათვის, როგორცაა ერის ისტორია, ზნე-ჩვეულება, საზოგადოებრივი და საოჯახო წყობილება და სხვადასხვა.

ერთ ადგილას ჯაბადარი ამბობს: ენის ისტორია რომ გვქონდეს, იგი ბევრს რასმე გამოარკვევდაო.

ამაზე ილია უპასუხებს:

„დალოცვილს დაეიწყებია, რომ თვითონ ენა იგი სარკე, გადმომცემელი ცოტად თუ ბევრად მაგნაირ სურათისა. ჩვენს ავტორს რომ მაგ სარკეში ჩახედვის და ნახვის უნარი ჰქონოდა და ერთი ბეწვი გაგება, სხვა გზით დააკვირდებოდა ჩვენს ენას და სულ სხვა ამბავს გამოჰკითხავდა... ვანა ამისთანა სიტყვები, რომელიც ჩვენს ენას დღევანდლამდე შერჩენია, არაფრის მთხრობელნი არიან, მაგალითებრ: „წყალობა, მოწყალე, შემიწყალე, მოწყალე“. აქ ყველგან „წყალი“ ისმის და ეს იმისთანა ცოცხალი მოწმე განა არ გვეუბნება, რომ პირვანდელი ბინა ქართველისა ისეთი მშრალი ქვეყანა ყოფილა, რომ „წყალობა“ ნატრისა და ვედრების საგნად გახდომია. ტიგროსისა და ეფრატის დაღმა აღარ ვიტყვი, მარტო არმენია ავილოთ, საცა წინათ ბინადრებულა ქართველი და საცა დღესაც „წყალობა“ მართლა დიდი ღვთის წყალობაა, იმიტომ რომ მიწა მდიდარია, ხოლო უწყლოდ კი არა მოჰყავს რა“.

ილიასათვის, როგორც აღენიშნეთ, უქმარი იყო სამშობლო ენის საჭიროების მარტოდონ ქადაგება. იგი ორგანიზაციულადაც იბრძოდა საამისოდ და მოითხოვდა, რომ ქართული ყოფილიყო არა მარტო დაწყებით სკოლებში, არამედ აგრეთვე დაწესებულებებშიაც.

ცნობილია ილიას მიმართვა საზოგადოებისა და ხელისუფლებისადმი აქარა-ქობულეთის შეერთების გამო.

ახლადშეერთებული აქარა-ქობულეთი ეკონომიურად საშინელ მდგომარეობაში იყო. ამას ზედ დაერთო ამ ქვეყნის გავსება მეფის რუსეთის მიერ მოვლინებულ ჩინოვნიკებით, რომელთაც ადგილობრივის არაფერი არ იცოდნენ და არც უნდოდათ სცოდნოდათ.

ილიაც მიმართავს ქართველებს.

„ქართველობავ, ნუ იქმაგ სამარცხვინო საქმეს, ხელი გაუწოდე შენს ღებსა და ძმებსა, რომელნიც დღემდინ შენთვის დაქარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ. შევეწივნეთ რითაც შეგვიძლიან, ფულით, საქმელით,

საცმელით, ხორაგით! ამას ითხოვს ყველასგან საზოგადო კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც ძმისა ძმის წინაშე. შევე-წიოთ და ვაჩვენოთ ქვეყანას, რომ კაცთმოყვარეობა ჩვენი თვისებაც არის, ვაჩვენოთ, რომ ძმბათა სიყვარული ჩვენშიაც ისე ყოვლად შემძლებელია, როგორც სხვაგან, ვაჩვენოთ, რომ ჭირში ჩვენც ვიცით დახმარება, ვაჩვენოთ, რომ ძმობა, ერთურობა, ერთმანეთის შევლა და გატანა უკვე სიტყვა არ არის ქართველობისათვის. აქ უკან დახევა სირცხვილია ყველასათვის და ჩვენთვის ხომ სირცხვილზე მეტიც... ქართველობავე, ჩვენი უწმინდესი ვალია, უნდა მივეშველნეთ! ღარიბნი ვართ, ვიძახით, მაგრამ ქვეყანაზე მარტო ღარიბმა იცის რა არის შევლა, რა არის ძმობა გაქირვებაში“.

რით ავხსნათ ის გარემოება, რომ ენის საკითხზე უნდა იყოს საუბარი და ილია უპირველესად ეკონომიურ მხარეს აქცევს ყურადღებას?

მით, რომ ილიამ კარგად იცის, რომ ადამიანი ჯერ უნდა გამოჰკვებოს და მხოლოდ შემდეგ დაუწყოს ლაპარაკი სხვა რაზემდე, კერძოდ ენაზე, მშობლიური ენის საჭიროებაზე. და ილიაც გადადის ენის საკითხზე. აპარაში ისეთი მდგომარეობაა, რომ ხალხის სამართლის გამძღოლს, ხალხის სამართლის აღმდგენელს და დამდგენელს რომ კაცმა ენა მოსჭრას და ყური დაუხშოს, რალას უნდა გამოელოდეთ მისგან კარგსა და კეთილს, თუნდაც სხვაში ყველაფერში ციდან იყოს ჩამოსულიო.

მოსამართლე რომ თავისი ყურით ვერ მოისმენს მოწმის ჩვენებას, სადაც ერთი სიტყვა, ასე თუ ისე გამოთქმული, უფრო დიდი და ცხოველი ნათელით მოფენს ყოველს საქმის გარემოებას, ვიდრე მთელი ლაქლაქი უვაციის და ბრიყვის მთარგმნელისა, — ის რა მოსამართლეა?

მოხელე, რომელსაც მე ჩემსას ვერ ვავაგებინებ ის თავისის, ის რა ჩემი მომვლელია? ამ უენობას ისიც დაუმატეთ. რომ ხშირად სულ უცხო კაცია მოსამართლე ან მოხელედ, რომელმაც არ იცის და არც სურს იცოდეს ჩვენი ჩვეულება, მიდრეკილება, ჭირი, ღვინი, — და თქვენთვის ცხადი იქნება, თურად მიაჩნია ხალხს მართლა ჭირად, როცა საქმე სამოხელეოდ ან სასამართლოდ გაუხდება ხოლმე.

ილია მოითხოვს, რომ მოხელეებად და მოსამართლეებად ქართული ენის მკოდნენი იქნან დანიშნულნი. მოითხოვს, მაგრამ მან კარგად იცის, რომ მთავრობა ამას არ მოისურვებს და მიზეზად იმას დაასახელებს, რომ საამისოდ მომზადებული ხალხი არ მოგვეპოებაო.

აქედან, როგორც აუცილებელი საჭიროება: საზოგადოებრივი ინიციატივის ამოქმედება და საკუთარი სკოლების დაარსება — არა მარტო დაწყებითისა, არამედ საშუალოსიც, სადაც სწავლება თუ მთლიანად ქართულად არ იქნება, ქართულს, მაინც როგორც საგანს, დიდი ადგილი ექნება დაამობილი.

აქედან, წ. კითხვის საზოგადოების მოვალეობა:

გახსნას სკოლები, უწინარეს ყოვლისა განაპირა რაიონებში: ამით გავრცელდება სწავლა-განათლება სამშობლო ენაზე და მით მიეცემა ჩვენს ქვეყანას ის ყოვლად უსაჭიროესი ნიადგი, ურომლოდ საგვარტომო და თვით-მოქმედი ცხოვრება და წარმატება შეუძლებელიაო.

მაგრამ მარტო პირველდაწყებითი სწავლა საკმარისი არ არის.

ჩვენ გვინდა საშუალო სასწავლებელი, ჩვენი საკუთარი, ქართული სასწავლებელი, იგი შეიქმნება ჩვენი ხალხისათვის სახსარი უფრო მომეტებული

სწავლისა და განათლების შესაძენად. ეს სასწავლებელი გამოგვიზრდის ჩვენს საკუთარს, ქართულ ინტელექციას, ე. ი. იმგვარ პირთ, რომელნიც არიან დედამოძინი ყოვლის ხალხის განვითარებისა და წარმატებისა (VI, 57).

დღევანდელის ენით: აქ კადრების, სათანადო კადრების მომზადებაზეა ლაპარაკი და ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ილია აქ შორს იხედება, ძალიან შორს. მაგრამ იმ პირობებში არც ისე ადვილი იყო საკუთარი საშუალო სკოლის დაარსება: მთავრობა ხომ წინააღმდეგი იყო, მაგრამ არც გადაგვარებული ქართველი მოხელეები იყვნენ მისი მომხრე: იგი უფრო სამხედრო სასწავლებელს ეტანებოდა, მაგრამ მაინც და მაინც წარმატებით და იოლად ვერც ამ სასწავლებელში შედიოდა.

„წრეულს (1879 წელს) უფრო მომეტებული რიცხვი თურმე სამხედრო გიმნაზიას მიაწყდა, მაგრამ ქართველობა მეტად მცირე მიიღეს: მხოლოდ ოთხი“.

ილია სარგებლობს ამ შემთხვევით და ამბობს:

„ხომ ხედავ, ჩვენო ქართველობაე, რომ სხვა გზა არ არის შეილი გაზარდო, თუ არ ისევ შენის ღვაწლითა და შენის ხარჯით. თითოეული-სათვის ცალკე ეგ ღვაწლი და ხარჯი სამძიმოა. რაც თითოეულისათვის სამძიმოა, ის ერთობას არ გაუპირდება. შეიყარენით ერთად და ამ სატყვიარს ერთი წამალი დაადეთ. უებარი წამალი კიდევ, უწინაც გვითქვამს, საკუთარი ქართული გიმნაზიაა. თუ თქვენის შვილებისათვის მართლა სიკეთე გინდათ, თუ გინდათ, რომ თქვენმა ქვეყანამ თქვენი სახელი ლოცვით და კურთხევით მოიხსენიოს, ამ აზრის აღსასრულებლად ნურას დაზოგავთ, ნურას დაიშურებთ“.

ამრიგად: წ. კ. გამაერცელებელი საზოგადოება და სკოლები. მაგრამ მარტო ესეც არ კმაროდა.

„ჩვენს ენას ჩვენში მოედანი არა აქვს სავარჯიშოდ. ჩვენი ეგრეთ წოდებული მაღალი საზოგადოება, ნამეტნავად ქალაქში, თავის სამარცხვინოდ თავილობს თავის დედა ენაზე ილაპარაკოს. ნათქვამია, თევზი თავიდან აყროლდებაო, სწორედ ეგრე მოგვდის ჩვენც. ჩვენს ეგრეთ წოდებულ მაღალ საზოგადოებას თუ დაუკვირდებით, ცოცხალი ლაპარაკი, ის დარბაისლური ქართული საუბარი, ის საამური ქართული სიტყვის მიხერა-მოხერა, ის სიმდიდრე ქართული სიტყვიერებისა აღარ ისმის, აღარ არის. გადაგვაეიწყდა ყოველივე, რაც ენის შვენებას შეადგენს. რადგანაც ჩვენი აზრი ჩვენი ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენი ენით აღარ თბება.“

რა უშველის საქმეს!?

ამისთანა სამარცხვინო მდგომარეობაში ქართული სამუდამო სცენა სწორედ ცის ნამია დამკნარის ყვაელი ისათვის.

დიდი რამ არის სცენა: ერთი საჯარო ადგილი მაინც გვექნება, საცა ჩვენის ენით ვილხენთ, ჩვენის ენით ვინაღლებთ, ჩვენის ენის მოწყალებით გავიტარებთ თვალწინ ჩვენს ცხოვრებასა მთელის მასის კჳისა და გულის მონაგარითო“.

ამრიგად: ქართული თეატრი, ქართული სკოლა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

შეიძლება ხუნემე იფიქროს, რომ ილია ამით კმაყოფილდებოდა, რომ მხოლოდ ეს მიაწინდა მას საბოლოო მიზნად და რაკი იგი (მიზანი) მიღწეული

იყო, უკვე მშვიდად მოსვენებას არჩევდა თვითონ და ამისივე უფლებას აძლევდა სივასაც.

არა! ილიამ კარგად იცოდა, რომ თეატრი, სკოლა და საზოგადოება კარგი იყო, მაგრამ ამავე დროს მცირე რამ, წვეთი ზღვაში. კარგად იცოდა, მაგრამ თუ დღემარად ლაპარაკობდა, ამ შემთხვევაში განსაკუთრებულად ქართველების ინიციატივას, თვითმოქმედებას აფასებდა დიდად, იგი, ეს თვითმოქმედება მიაჩნდა მას იმ ქვაკუთხედად, რომელზედაც უნდა აეგოს საბოლოო ანგარიშში ქართველების კეთილდღეობა.

ქართული თეატრი, ქართული სკოლა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სხვა ანგვარი ისეთი დიდი რამ არ არის, რომ ჩვენი ფარხმალი ძირს დავსდეთ, მართო მაგათ შევაჩერდეთ და მაგაზედ მეტი არა ვინდომოთ-რა. სურვილი ჩვენი ზღვაა და მაგ-გვარის კოვზით არ დაიღვეა. მაგრამ ყოველს ამაში ჩვენთვის ძვირფასი ის არის, რომ ერთიც, მეორეც, მესამეც ჩვენია საკუთარის თაოსნობით და ღვაწლით არის მოყვანილი და ერთმანეთისათვის საერთო გულის ტკივილით შემზადებული. ეს ფრთაშესხმული საკუთარი თაოსნობა, ეს ერთმანეთისათვის გულისტკივილი, ეს ფეხდაგმული თვითმოქმედებითი ძალი,—ის ნერგია, რომელმაც უნდა ამოხეთქოს ყოველივე, რაც ჩვენთვის სანატრელია. ეს ნერგი დარგულია ჩვენში ჩვენის ყმაწვილ-კაცობის ხელით—წარსულში და მომავლის დროების მოღვაწეთა იგი უნდა რწყან თავის მხურვალე ოფლითა. წარსულმა ეს უანდერძა მომავალსა, ეს ლარი გაუბა გზის საჩვენებლად“ (1879, 31/XII, VI, 95).

ასე უყრიდა ილია თავს ქართველობას ქართული ენისა და კულტურის საფუძველზე, რომ აქედან უფრო მტკიცედ ეწარმოებინა ბრძოლა იმათთან, ვინც წინ ეღობებოდა ქართველების ამ სამართლიან და ბუნებრივ სწრაფვას და მოწინააღმდეგე კი ბევრი იყო. ცხადია, იერიში ილიას უწინარეს ყოვლისა იმ პიროვნებისა და დაწესებულების წინააღმდეგ უნდა მიეტანა, ვინც ხელმძღვანელობდა სწავლა-განათლების საქმეს მთელს კავკასიაში და კერძოდ საქართველოში: ეს გახლდათ კავკასიის სასწავლო ოლქი და იმ ხანებში მისი მზრუნველი იანოვსკი, წარმოშობით პოლონელი, მაგრამ დიდმპყრობელი და შაერაზმელი, უაღრესად ორჭოფი, მეღიაობით მოქმედი. თავის დროზე ეს იანოვსკი დიდის ზარითა და ზემოთ ატყობინებდა მინისტრს: ჩემ ჩამოსვლისას კავკასიაში, ჯერ კიდევ აქა-იქ ბოგინობდნენ ადგილობრივი სკოლები, მაგრამ ახლა არც ერთი ამგვარი უკვე აღარ არსებობს; დღეს ყველგან რუსული და მხოლოდ რუსული სკოლაა გაბატონებულიო.

გასაგებია, თუ როგორი იქნებოდა ილიას დამოკიდებულება ამისთანა „მოღვაწისადმი“.

„რადგანაც არსებითი ნიშანი ეროვნებისა,—წერს ილია,—მისი გული და სული—ენა, ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარის მოხელისა ყველაზედ უწინარეს ენას სწვდა. თუ რომელსამე მოხელის ხელს აზრი რამ ამოქმედებდა, ეგ ის აზრი იყო, რომ სახელმწიფოს ერთიანობა შეუძლებელია აქ, საცა ყველანი ერთსა და იმავე სახელმწიფო ენაზე არ ლაპარაკობენო. უგუნურება ამ აზრისა ცხადია. იყო დრო, როცა რჯულის, სარწმუნოების შესახებაც ამას ამბობდნენ, მაგრამ რეფორმაციამ დაამტკიცა, რომ ერთ სახელმწიფოში სხვადასხვა სარწმუნოების ხალხი კარგად თავსდებაო.

მოვა დრო და გვეგონია—დიდი ხნის ლოდინიც არ მოგვიხდეს, რომ ენის შესახებაც ამას იტყვიანო“.

და შემდეგ ილიას მოჰყავს ცნობილი რუსის მოღვაწის სპასოვიჩის სიტყვა, რომელიც უკანასკნელმა წარმოთქვა 1881 წლის 2 თებერვალს რუხეთის იურიდიულ საზოგადოებაში.

„სპასოვიჩის უთქვამს, რომ სამართალი საჭიროა იმ ენაზე წარმოებდეს, რომელზედაც თვითონ ერი ლაპარაკობსო. ეროვნება, როგორც თვით სარწმუნოებაც, პირადი გრძნობააო. სახელმწიფოს საქმე ამ შემთხვევაში მარტო ის არის, რომ სხვადასხვა ენებმა ერთმანეთის დაუშლელად იმოქმედონო. უფრო ადვილია ორიოდ მოხელემ შეისწავლოს ერის ენა, ვიდრე მთელმა ერმა დაიეწყო. თავისი ენა და უცხო ენა ისწავლოსო“.

რად სჭირდება ილიას სპასოვიჩის ეს მოსაზრებანი ეროვნული ენის უფლების შესახებ? იმისათვის, რომ მოწინავე რუსი მოღვაწის აზრზე დამყარებით აქაური რუსის მოხელეს შეებრძოლოს და ეს მოხელე გახლავთ იანოვსკი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ისეთი უსირცხვილო იყო, რომ ფიქრობდა ერთს, ამბობდა მეორეს და აკეთებდა მესამეს.

ბ. იანოვსკის უბრძანებია, რომ საერო სკოლის მესამე განყოფილებაში სწავლება უფრო უმეტესად რუსულ ენაზე უნდა მიდიოდესო. ეს უბრძანებია ბ. იანოვსკის 12 დეკემბერს. საბჭოს, რასაკვირველია, მიუღია და 22.XII თვითონ იანოვსკის წარუდგენია და მთავრობისაგან დამტკიცებულა (მაგრამ) იგივე ბ. იანოვსკი 28.XII ვახეთ *Кавказ*-ში № 348 ამბობს:

„ყოველს კეთილად განწყობილ პირველდაწყებთის სკოლაში სწავლება უნდა მიდიოდეს უფრო უმეტესად დედა-ენაზე და“.

აქედან გამოდის: 12.XII და 22.XII უპირატესობა რუსულს დარჩენია და 28.XII კი—დედაენასა. რომელი ერთი ვიწამოა, კითხულობს ილია—რასაკვირველია, 12 და 22 დეკემბერის განჩინება, რადგანაც იგი თქმულიც არის და უკვე ქმულიც; და 23 დეკემბრისა კი—მარტო თქმულია და *Кавказ*-ის № 348 ში მოთავსებული წერილი დარჩება სახსოვრად იმისა, რომ ზოგჯერ ქმნა ერთია და თქმა მეორე“.

ამასობაში განათლების მინისტრის ცირკულიარი გამოვიდა; მინისტრის ნაკლს სდებდა სკოლას: განზე გამდგარია, ოჯახს მოშორებულიაო.

„სკოლამ არ უნდა დააშოროს მოწაფე შინაურობას, ოჯახობასო, ამბობდა მინისტრი“.

ილია კვლავ ჩაება კამათში.

„ძალიან არ სრულდება ეს ყოველად საქები და გონიერი სურვილი მინისტრისა ჩვენებურ პედაგოგების ხელში, რომელნიც დღეს აქამოდე ესე წინდაუხედავად ეურჩებიან ყოველს იმას, რაც კი სკოლისა და ოჯახის დამკვიდრებას შეეღის! ძალიან არ დამკვიდრდება ეს კავშირი, როცა ჩვენებური ბავშვი, შინიდან გარეთ ფეხს გამოდგამს თუ არა და სკოლის დირექს გადაბიჯებს, თავისას აღარაფერს არც ნახავს, არც გაიგონებს, ყველაფერს ავიწყებინებენ“.

ასე აპყრობდა ილია ყურადღებას ქართულ ენას საზოგადოდ, მაგრამ განსაკუთრებით მოითხოვდა ენის სწავლებას ქალებისათვის, რადგან ქალი შიანდა ოჯახის ბურჯად და ბუნებრივია, თუ ბურჯი წაქცეულია, სახლიც

ვერ სახლობს. ამ ხანებში (1881) გორში ქალთა სასწავლებელი გაიხსნა. ილია ილია არ იქნებოდა, რომ ამ საქმეს არ გამოხმაურებოდა და ენის საკითხი მეტად მწვავედ არ დაესვა.

„ნურაინ ნუ დაიფიწყებს, რომ საქართველოში საქალებო სკოლამ ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი ქალი, ქართველს უნდა გაუზარდოს დედა, ქართველი დაი, ქართველი დედაკაცი. თუ სკოლა ამას არ იქმს, ის სკოლა წყალსაც წაუღია, ჩვენ ბევრს არას ვინაღვლით... ამისთანა სკოლის არც მოტანილი გვინდა, არც ვატანილი. გვეყო, რაც ჩვენმა საქალებო სკოლებმა ვნება მოგვიტანეს. ის საქმე დაგვმართეს, რომ ჩვენი ოჯახისშვილი სკოლის დასრულების შემდეგ ჩვენს ოჯახში ისე შემოდის, როგორც უცხო თესლის ადამიანი. ცოლად შემოდის, დად, თუ რძლად, იმას ჩვენი აღარა გავეგება რა და ჩვენ იმისი. ამის გამო დაირღვა ჩვენი ოჯახობა, გაწყდა ურთიერთობის კავშირი, ოჯახი თავზე ჩამოგვექცა და ჩვენც გავწყალდით და მიწასთან გავსწორდით. გვეყო და გვაყოფინეთ ღვთის გულისათვის!... მოგვეცით მართალი სკოლა, ქართველის სულისა და გულის ამამალღებელი, გონების გამხსნელი! ნუ გაურევთ სკოლის უწმინდესს საქმეში სხვა საქმეს, რომელიც სკოლას არ შეეფერება! ნუ გადუღგებით მტკიცედ დადგენილს კანონებს პედაგოგისა! მოგვეცით სასწავლებელი ქართველი ქალისა, ქართველის დედისა, ქართველის ოჯახის დედაკაცისა. ყოველივე ამას აცილებული არც თქვენი გამოსაყენია გვერწმუნეთ, და არც ჩვენი. ვისაც გული აცრუებული აქვს თავის ვინაობაზე, თავისიანობაზედ, ვისაც თავისი უარყვია, გულიდამ ამოუღია, დაეიწყებას მიუცია, ის სხვისას ვერ შეითვისებს, ის სხვისას ვერ უერთგულებს. ტყუილი შრომაა, ტყუილი ცდაა“.

გამოდირდა თუ არა რაიმე ილიას ამ შეტევიდან. ისხამდა თუ არა ნაყოფს ილიას ეს დაუტყბრომელი ბრძოლა ქართული ენის უფლებებისათვის? შეიქველად.

ამ მხრივ აღსანიშნავია სასულიერო უწყების განკარგულება: სასულიერო სემინარიასა და სასწავლებლებში ბერძნულ-ლათინური შეკვეცეს და მათ ხარჯზე 1883 წლიდან ქართულის მეტყველება შემოიღეს. ამ რეორგანიზაციას უშუალო კავშირი ჰქონოდა ილიას და ილიას თაოსნობით მაშინდელ მოწინავე საზოგადოებრიობის მტკიცე და ურყევ მოთხოვნასთან, რომ სემინარიაში—როგორც სასულიეროში, ისე საოსტატოში, რომელშიც სახალხო მუშაკთა ამზადებენ, ქართული ენა აუცილებლად შემოღებული ყოფილიყო.

ილია სიამოვნებით მიეგება ქართული ენის შემოღებას სემინარიაში: დიდი ხნის ლოდინი აგვისრულდაო, თუმცა (დასძენდა) სრული უფლება ჯერ კიდევ არ მინიჭებია ქართულ ენასო.

გაცილებით უფრო ჯიუტი გამოდგა საერო ხელისუფლება იმავე იანოვსკის სახით. რომ უფრო მეტი ძალა მიეცა ლონისძიებაათავის სახალხო განათლების დარგში, იანოვსკიმ წინასწარ ქართველ მოღვაწეთა თათბირი გამართა, რასაკვირველია, ილიასა და ილიასთანა მოღვაწეების გამოკლებით, გააცნო მათ თავისი პროგრამა, მოაწონებინა და შემდეგ გამოაქვეყნა: მე პირადად მარტო კი არა ვარ ამ პროგრამის მომხრე, თვითონ მოწინავე ქართველები იზიარებენ მას მთლიანად და სავსებით.

რას ამბობდა ეს ახალი პროგრამა?

დაწყებითი სკოლის მიზანია რუსულის სწავლება; ეს მიზანი მას თავიდანვე უნდა ჰქონდეს დასახული, მხოლოდ ამის განსახორციელებლად ყველაფერი უნდა იყოს გამოყენებული. ქართული შეიძლება მოხმობილ იქნას მხოლოდ როგორც რუსულის დამხმარე საგანი, ისიც დროებითა, პირველ ხანებში. ამასთანავე სამეგრელოს სკოლებში ამგვარ დამხმარე ენად მეგრული უნდა იქნესო. (ეს უკანასკნელი იანოვსკის ზეპირად ეთქვა სენაკში).

იანოვსკის ეს განსაზღვრა გაზ. „დროებამ“ გაიგო და გამოაქვეყნა.

ილია ეკვეთა როგორც იანოვსკის, ისე განსაკუთრებით მის მრჩეველთ, ქართველ „წარჩინებულთ“.

„სამწუხარო ეს არის, რომ ეს წარჩინებულნი პირნი ყოფილან წარჩინებულნი მხოლოდ ადგილით“.

შემდეგ ილია კვალდაკვალ მისდევს მზრუნველის პროგრამას, მუხლობრივ არღვევს მას და ასკვნის: „ჩვენი ხალხი თუ რუსულის სწავლებასა თხოულობს სადმე, იმიტომა თხოულობს, რომ ჩვენი ეხლა მხოლოდ რუსულს ენასა ხმარობენ ყოველგვარ დაწესებულებაში და ადგილის ენები, მაგალითად, ქართული ენა ყველგან გამოდევნილია. ქართულის მცოდნე მოსამართლესთანაც კი აკრძალულია ქართული ლაპარაკი...“

ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ უცხო ენის სწავლება არ იყოს საჭირო, მაგრამ სხვა მხრივ უნდა იყოს დაწყებული. იმის მაგიერად რომ მილიონ ხალხს, რომელსაც უფრო ნაკლები მოცალეა აქვს და ნაკლები დრო, ასწავლოთ უცხო ენა, ასწავლეთ იმ ხუთასს ან ათასს მოხელეს, რომელთაც ვალად უნდა ედოთ ხალხის სამსახური, ხალხის ენა. საქმის რიგიანად წყვეანა თავიდან უნდა და არა ბოლოდამ.

ეს საერთოდ, რაც შეეხება სამეგრელოს, აქ ილიამ უფრო გამანადგურებელ კილოს მიმართა.

„წარჩინებულ პირებზე რომ ვლაპარაკობთ, იმედი გვაქვს, ამას თავის თავზე არ მიიღებენ არც სენაკის მაზრის უფროსი, არც სენაკის მომრიგებელი მოსამართლე, არც „დეპუტანტი“ ლუკა ევანია რომელნიც ამტკიცებენ „კავკაზში“, რომ სამეგრელოს ხალხი თხოულობს, რა წამს სკოლაში შეგვყავს შვილები,—კინელამ წამოგვცდა: რაწამს დაიბადებიან—მაშინვე რუსული ლაპარაკი დააწყებინეთო. წარჩინებულობას არც სენაკის სკოლის ზედამხედველი იკისრებს, რომელმაც ასე ცხადად მზრუნველს, გამართლების მაგიერ, ცილი დასწამა, როდესაც სწერდა: ასე მითხრა, რატომ სამეგრელოს სკოლებში მეგრულს ენაზედ არ ასწავლითო. რა საფიქრებელია, რომ ბ. მზრუნველმა, რომლის კალთაშიაც მთელის კავკასიის სწავლა-განათლების საქმეა გამოხვეული, არ იცოდეს, რომ მეგრულ ენაზედ წერა-კითხვა შეუძლებელია, მეგრული ანბანის უქონლობის გამო!

რუსული ანდაზაა: მეტის მეტი მოლაქუეც მეტრზედ უარესიაო“.

ასეთი იყო ილიას შეტევა სამეგრელოს საკითხში. საქმე მაინც არ ცხრებოდა. პირიქით: იანოვსკიმ იქ აგენტები გაიჩინა და ვინმე აშორდიას მეთაურობით შეადგინა მეგრული ანბანი და განკარგულებაც გასცა—სკოლებში მეგრული შემოიღეთო.

მაშინ სამეგრელოს მოწინავე საზოგადოებამ უკიდურეს ხერხს მიმართა: ილია მოვიწვიოთ და მდგომარეობას მხოლოდ ის გამოასწორობესო.

ილია წავიდა სამეგრელოში.

ეს იყო 1887 წელს, ილიას თავადაც ჰქონდა საქმე სამეგრელოში: როგორც წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარეს—უნდა მიეღო სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ბიბლიოთეკა, რომელიც მთავარმა წერა-კითხვის საზოგადოებას უანდერძა. სენაკის სადგურზე აუარებელი ხალხი დახვდა. ილია ეტლში ჩასვეს და დიდის ამბით ასეულ ცხენოსანთა თანხლებით ძველ სენაკს მიიყვანეს, სადაც წ. კ. გამაერცულებელი საზოგადოების სკოლა იყო გამართული. იქაც აუარებელი ხალხი. ილია აივანზე ავიდა. ზღვა ხალხი დადუმდა, სმენად გადაიქცა. ილიამაც გახედა ხალხს, თვალით გაზომა და სთქვა: „გამარჯობათ! სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახე!“

ღიად, საქართველო! ბევრი ჭირი უნახავს საქართველოს, მრავალს ქართველს გარდაუვლია ზურგსაზედა მისსა, მაგრამ ყოველთვის ეამსა რღვევისა და გაწილებისა, მაცხოვარი, ძალა იგი, ქვეყნის მხსნელი სამეგრელოდან მომდინარეობდა, მტერთა მისთა დამორგუნველი სამეგრელო იყო, იგი იყო ერთსულ და ერთგულ იმ სხეულისა, რომელსაც საქართველო ეწოდება. ასე იყო წინეთ, ეგრე არის ახლა, ეგრე დარჩება მომავალშიც“.

შემდეგ ილია შეეხო ჩვენს საერთო კულტურას, კერძოდ ქართულ ენას, ნათელყო, რომ მის შექმნა-განვითარებაში მეგრულს მეტი თუ არა, სხვაზე ნაკლები წვლილი არ შეუტანია და ამიტომაც მეგრელი-ქართველი ამ თავის საკუთარ განძზე უარს ვერც იტყვის და არც იტყვის!

ილიას სიტყვა გადამწყვეტი შეიქნა: იგრილა ხალხმა და იქვე აღთქმა დადო, რომ არაეის ნებას არ მიესცემთ საუკუნეებით განმტკიცებული ჩვენი ერთობა სხვა ქართველ ტომებთან დაარღვიოსო. სკოლებში დაგზავნილი მეგრულ-რუსული ანბანი სასწრაფოდ ამოკრიფეს და გაანადგურეს და იანოვსკის ეს წამოწყებაც, როგორც უღლეური და უსუსური ჩაკედა სამარადისოდ.

ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ აშკარაა, რომ დიდი ილია ახალი სალიტერატურო ენის ფუძემდებელი, იშვიათი გულშემატკივარი და დარაჯია.

ილია მწერლობაში ახალი აზრით, ახალი შინაარსით მოვიდა და, ბუნებრივია, ამ ახალ შინაარსსა და აზრს ახალი ფორმა უნდა მოეთხოვა.

მაგრამ ამასთანავე ცნობილია, რომ ფორმა მეტად კონსერვატორული მოვლენაა: ახალ შინაარსთან იგი წამსვე არ იბადება. ძველის მიმღევარნი, როდესაც შინაარსს კარგავენ, ჯერ კიდევ ფორმით იქცევენ თავს, ამიტომ მით უფრო სასტიკია ბრძოლა ახალი ფორმისათვის. და ჩვენ ვხედავთ, როგორ სასტიკად და თავგამოდებით იბრძოდა ილია ახალი ფორმისათვის.

ჩვენთვის დღეს ისიც ცხადია, რომ ილიას შეხედულებამ ენის რაობაზე ადრე გაიმარჯვა და, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ იგი მთელი თავისი სიცოცხლისა და მოღვაწეობის მანძილზე იშვიათი საჭემპურობელი იყო: ქართული სიტყვა ილიას ნორმებით განისაზღვრებოდა, იმავე ნორმებს ნებაყოფლობით ყველა სავალდებულოდ მიიჩნევდა.



გ. თავზიშვილი

ილია ჭავჭავაძე და ქართული პედაგოგიკა

I

ქართული პედაგოგიკა როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის 60-იან წლებში. მისი ფორმირების პროცესი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივ საზოგადო მოღვაწეობასა და აზროვნებასთან.

აღნიშნული პერიოდის დასაწყისისათვის რუსეთსა და საქართველოში უკვე იყო შექმნილი სათანადო საზოგადოებრივ-ეკონომიური და კულტურული პირობები პედაგოგიკის აღმოცენებისათვის. წარმოების განვითარება, ბატონყმობის გაუქმება, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა, პერიოდული პრესის გაფართოება და ყოფა-ცხოვრების ახალი წესები გადაუდებელ ამოცანად აყენებდნენ სახალხო განათლების გავრცელებას, მეურნეობისა და კულტურის ახალ მუშაკთა გამრავლებას.

სახალხო სკოლების ქსელის გაშლა და მოსწავლეთა რიცხვის სწრაფი ზრდა თავის მხრივ მოითხოვდა პედაგოგიური განათლების დაწესებულებათა შექმნას მასწავლებელთა კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად. მაგრამ ყოველი წარმატება მომავალ თაობათა აღზრდისა და სწავლა-განათლების საქმეში ბევრად იყო დამოკიდებული პედაგოგიური მეცნიერების მდგომარეობაზე, რომელიც მე-19 საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში, კ. დ. ღუბინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჯერ კიდევ საეცებით ჩვილ ასაკში იყო არა მარტო ჩვენში, არამედ ყველგან“.

საქართველოს პედაგოგიკის უმწეო მდგომარეობას ყველაზე უფრო ნათლად ხედავდა და განიცდიდა ილია ჭავჭავაძე. 1863 წელს, ეჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ ის წერდა, რომ „ევროპიულ განათლებულ ხალხებსა აქვე ვრცელი საპედაგოგო ლიტერატურა და მათში გამოდის ბევრი ჟურნალები, სადაც მხოლოდ ის კითხვები განიხილებიან, რომელნიც აღზრდას შეეხებიან. ჩვენში სულ არაფერია არის ამაზედ დაწერილი და ძლიერ ცოტამ იცის, რომ არსებობს მეცნიერება—პედაგოგია, რომლის საგანი არის ყმაწვილების აღზრდა“. ამ სამწუხარო ვარემოების აღნიშვნასთან ერთად ილია აღიარებდა ამ მეცნიერების დიდ სახალხო მნიშვნელობას მომავალ თაობათა წესიერი აღზრდა-განათლების თვალსაზრისით და რედაქციის სახელით პირდებოდა

მკითხველებს სათანადო პედაგოგიური სტატიების ბეჭდვას თავის ჟურნალის ფურცლებზე.

ილია ჭავჭავაძეს თავიდანვე ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი რა გზით უნდა წამართულიყო ქართული პედაგოგიკური მეცნიერების შენება და პედაგოგიკური ცოდნის პროპაგანდა. მე-19 საუკუნის 60-იან წლების საქართველოში, როდესაც ამ მეცნიერების არსებობაც კი არ იყო ცნობილი აბსოლუტური უმრავლესობისათვის, პირველ ყოვლისა მას საჭიროდ მიაჩნდა პედაგოგიკის როგორც მეცნიერების განმარტება და მისი ამოცანების გარკვევა.

დასავლეთ ევროპისა და რუსეთის პედაგოგების მოძღვრებათა საფუძვლიანი გაცნობის შემდეგ ილია ჭავჭავაძეს სავსებით მართებულად და საქმარისად მიაჩნდა პედაგოგიკის უკვე საყოველთაოდ მიღებული დეფინიცია და 1863 წელს „საქართველოს მოამბის“ მარტის ნომერში, გერმანელი პედაგოგის ხ. პ. ზალცმანის „კონრად კიფერის“ ქართული თარგმანის წინასიტყვაობაში აღნიშნავდა: „პედაგოგია ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს: ყმაწვილის აღზრდას, მეცნიერებას ყმაწვილის აღზრდაზე“¹. ეს განმარტება არსებითად სწორია. მართალია მას აქვს მეტად ზოგადი ხასიათი და გამოდგება ყოველი დროისა და საზოგადოებისათვის, მაგრამ ილია ჭავჭავაძემ კარგად იცის, რომ განვითარების გარკვეულ სტადიაში და კონკრეტულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში მყოფი ხალხის მეცნიერებათა თავისებურებანი უნდა გამოიხატოს არა მათ განმარტებაში, არამედ მათი საგნის მიზნებსა და შინაარსში. ამიტომ ის პედაგოგიკის საგნის, ანუ მომავალ თაობათა აღზრდა-განათლების მიზნისა და შინაარსის გარკვევისას გამოდის ისტორიზმის პრინციპიდან და უკავშირებს მას ამა თუ იმ ხალხის განვითარების სათანადო ისტორიული პერიოდის საერთო ამოცანებს. ამიტომ აღზრდა-განათლების ზოგად მიზანთან ერთად, ის სახავს მის კონკრეტულ ამოცანებსაც.

ადამიანის აღზრდის ზოგადი თუ კონკრეტული მიზნის გარკვევისათვის ილია ჭავჭავაძეს საჭიროდ მიაჩნდა აღსაზრდელის საზოგადოებრივი დანიშნულების ანუ მისი „ცხოვრების საგნის“ გათვალისწინება. მართალია „ყველაზე ძნელი ადამიანისათვის თავისის: ცხოვრების საგნის პოვნა და აჩენა“ წერდა ილია ჭავჭავაძე², მაგრამ მის გარეშე აღზრდის მიზნის გარკვევა მას შეუძლებლად მიაჩნდა.

ადამიანის საზოგადოებრივი დანიშნულება, ილიას აზრით, უნდა შეიცავდეს ორ იდეალს: ზოგად-კაცობრიულს და ეროვნულს.

ქართველი ახალგაზრდობის ზოგად-კაცობრიულ იდეალს, ილიას აზრით, წარმოადგენს ნამდვილი ადამიანობა ანუ, „კაცური-კაცობა“ და მისი შესაფერისი მაღალი, კეთილშობილური თვისებების შემუშავება. ეროვნული იდეალის გარკვევისას ილია გამოდიოდა საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანებიდან და, მე-19 ს. სამოციანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების მიხედვით, ქართველი ახალგაზრდობის ეროვნულ იდეალად სახავდა საქართველოს განთავისუფლებას მეფის რუსეთის კოლონიური რეჟიმისაგან და „ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენას“. ქართველი ახალგაზრდობის დანიშნულების ორივე ამ მომენტს

¹ „საქართველოს მოამბე“, 1863, № 3, მარტი, გვ. 49; ი. ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხზულებანი, 1938, გვ. 136.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. II, გვ. 526, 1941.

ილია ჭავჭავაძე თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებდა და რამდენადაც მათ შორის ისეთ ბუნებრივ დამოკიდებულებას ხედავდა, როგორც შეიძლება არსებობდეს მთელსა და მის ნაწილებს შორის, იმდენად მათი ერთიანობა უდავოდ მიაჩნდა.

ახალგაზრდობის საზოგადოებრივი დანიშნულება, ილია ჭავჭავაძის აზრით, წყვეტს აღზრდის მიზნებისა და ამოცანების საკითხს. ადამიანის დანიშნულება, მისი აღზრდის მიზნებში უნდა ნახულობდეს თავის კონკრეტულ გამოხატულებას, აღზრდა არის მთავარი გზა, რომელსაც ადამიანი მიყავს თავის საზოგადოებრივ დანიშნულებამდე.

ბავშვთა და მოზარდ თაობათა აღზრდა-განათლების ზოგად მიზნად ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა მათი შეიარაღება მოწინავე მეცნიერული ცოდნით და მაღალი მორალური თვისებებით. «ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნით ცოდნით. უნდა რამდენადაც შესაძლებელია ძირეულად შეისწავლოს ევროპული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს»—წერდა ილია ჭავჭავაძე¹. ახალგაზრდობის აღჭურვა მოწინავე მეცნიერული ცოდნით და მდიდარი გამოცდილებით მას მიაჩნდა ერთადერთ საიმედო გზად როგორც ზოგად-კაცობრიული ისე ეროვნული იდეალის განსახორციელებლად. «აი საგანი, აი, გზაც მისდა მისაღწევად,—წერდა ილია,—ამაზე უკეთეს საგანს, ამაზე უკეთეს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილსა და გამოყენებულს, სხვას ვერას ურჩევთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ-კაცობას»².

მეცნიერული ცოდნის დაუფლების გზით ახალგაზრდობა უნდა მივიდეს ყველა თავისი სულიერი და ფიზიკური ძალების ყოველმხრივ განვითარებამდე. ილია მოითხოვს ბავშვთა და მოზარდთა ყველა ნიჭისა და უნარის ჰარმონიულ გაშლას და განმტკიცებას. «დედა-აზრი ეზღან დელის პედაგოგიის მიმართულებისა იგია, რომ ადამიანი უნდა იწირთენებოდეს სკოლაში ყოველ მხრით: გონებით, ზნეობით, სულით და ხორციით და არც ერთი მათგანი არ უნდა შეეწიროს მეორეს»³. ილია ჭავჭავაძის ეს აზრი ითვლებოდა მისი დროის ყველაზე მოწინავე პედაგოგიურ პრინციპად ახალ თაობათა აღზრდა-განათლების საქმეში და მიმართული იყო კაპიტალისტური აღზრდის სისტემაში გაბატონებული ცალმხრივი განვითარების წინააღმდეგ. ჰარმონიული განვითარების პრინციპი, მართალია ახალი არ ყოფილა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ევროპისა და რუსეთის პედაგოგიისათვის, მაგრამ ის მაინც მეტად აქტუალურ იდეად ითვლებოდა ვინაიდან კაპიტალისტური წარმოების პირობებში მისი განხორციელება შეუძლებელი იყო. ყოველი პიროვნება, მიჯაჭვული წარმოების მხოლოდ ერთ დარგზე, პროფესიული შეზღუდულობის გამო, ანვითარებდა თავის მხოლოდ ერთ ნიქსა და უნარს სხვა ნიქსა და უნარის სრული ან ნაწილობრივი ატროფიის ხარჯზე.

ახალგაზრდობის მეცნიერული განათლება ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა არა მარტო ყოველმხრივი განვითარების აუცილებელ პირობად, არამედ აგრეთვე საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა მოსამზადებლად. ილია არ იყო კნაყოფილი თავისი დროის ინტელიგენციის «ახალი გუნდის»

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი., ტ. VI, გვ. 130.

² ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი., ტ. VIII, გვ. 334.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი., ტ. VI, გვ. 130.

მუშაობით საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვის დარგში და პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ მათ აკლდათ ჯეროვანი განათლება. ის საესებით სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „ჩვენი ეინაობის აღსადგენად მაგ., ახალ გუნდს ბევრი არა უქნია რა, რადგანაც ამისათვის საქარო მეცნიერებაში და ცოდნაში კარგად ქვეითობდნენ“¹. საქართველოს პოლიტიკური თავისუფლებისა და მისი საზოგადოებრივ-ეკონომიური და კულტურული განვითარების იმედებს ილია ამყარებდა არა დრომოქმულ, მაგრამ ჯერ კიდევ „ბრწყინვალე“ თავად-აზნაურულ წოდებაზე, არამედ ყოველმხრივ განათლებულ მომავალ თაობაზე. ილია არა ერთხელ აღნიშნავდა, რომ ახალი თაობისაკენ არის „მოქცეული მთელი ჩვენი სასოება, რომელსაც ეკუთვნის ჩვენი მერმისი, ე. ი. ჩვენი მომავალი“ და მოითხოვდა ამ თაობის მეცნიერულ აღზრდა განათლებას, რის გარეშეც მას არ შეეძლო არც „ცხოვრების საგნის“ პოვნა და არც თავისი საზოგადოებრივი დანიშნულებას შესრულება.

აქედან გასაგებია, რომ ილია ქვეყანაძეს სწორედ მომავალ თაობათა საყურადღებოდ უხდებოდა ხშირად წერა და ლაპარაკი სწავლა-განათლების დიდ სახალხო მნიშვნელობაზე და მის როლზე როგორც „კაცური კაცობის“ იერის ჩამოყალიბების, ისე სამშობლოს ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლის საქმეში. ილია ქვეყანაძე როგორც დიდი განმანათლებელი მრავალ გზის აღნიშნავდა რომ ხალხის მთელი მერმისი დამოკიდებულია მის განათლებაზე, რომ „ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც დიდი ბაზარი აქვს, ხმაღზედაც უფრო მეტადა სქრის და ზარბაზნებზედაც უფრო ძლიერია“². ილია მოითხოვდა განათლებისა და მეცნიერების კავშირს ცხოვრებასთან, იბრძოდა ისეთი ბურჟუაზიული ლოზუნგის წინააღმდეგ როგორც იყო „წმინდა მეცნიერება“ და „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. ის აყენებდა მატერიალისტურ დებულებას: „ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზე ამოსული შტოები არიან“ და ბრწყინვალედ ასაბუთებდა, რომ ეს შტოები უკუ ზეგავლენას ახდენენ თავის ძირზე (ანუ ბაზისზე) და ანვითარებენ მას. ამაში ხედავდა ილია ქვეყანაძე მეცნიერებისა და ხელოვნების, საერთოდ — თეორიის მატერიალურ ძალას და მის პრაქტიკულ, „ცხოვრების გამაუმჯობესებელ“ მნიშვნელობას. თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის პრინციპიდან გამოსვლით ილია ქვეყანაძე სასტიკად კიცხავდა ფორმალიზმსა და სქოლასტიკას განათლების დარგში და ზეპირ-სიტყვიერ, დოგმატურ მეთოდებს სწავლების პროცესში.

II

პედაგოგიკის საგნის განმარტებისა და აღზრდის მიზნების გარკვევის შემდეგ ილია ქვეყანაძე ეხება აღზრდის შინაარსს და ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, განააზღვრავს მის ძირითად სახეებს, რომლებიც ამავე დროს აღზრდის ამოცანებსაც წარმოადგენენ. აღზრდის ასეთ სახეებად ილიას მიაჩნია: გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდა-განვითარება. ეს სახეები ორგანულად არიან დაკავშირებული ურთიერთთან, განაპირობებენ ერთმანეთს და ადამიანის ყოველმხრივი განვითარების მთავარ მხარეებს წარმოადგენენ.

¹ ი. ქვეყანაძე, თხზულებანი, ტ. VI. გვ. 130.

² ი. ქვეყანაძე, თხზულებანი, ტ. VII. გვ. 23.

აღზრდის პირველ სახედ ილიას მიაჩნია გონებრივი აღზრდა-განვითარება. „გონების გახსნა“ ანუ განათლება არის ადამიანის კულტურისთვის ძირითადი ნიშანი და მისი საზოგადოებრივი დანიშნულების მიღწევის უმთავრესი პირობა. გონებრივ აღზრდაში ილია გულისხმობდა გონებრივი შრომის უნარის შემუშავებასა და ცნობიერების გამდიდრებას მეცნიერული ცოდნით. გონებრივმა აღზრდამ, განათლებამ, ადამიანი უნდა მიიყვანოს აზროვნების თავისუფლებამდე, რაც ილიას სამარტალიანი შენიშვნით „ერთად-ერთი ნიშანია ქვეშაბრტის განათლებულობისა და აღმატებულობისა“¹.

ქვეშაბრტი განათლების გამოყენების პრაქტიკულ სფეროდ ილიას მიაჩნდა შრომა და ამიტომ ის, პირველ ყოვლისა, მოითხოვდა პროფ-ტექნიკურ განათლებას, რომლის ამოცანადაც სახელად საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი ტექნიკური კადრების მომზადებას. ასეთი კადრები უნდა აღზრდილიყო მშრომელი ხალხის დაბალი ფენებიდან. „მუშა გლეხობის ხელობის მცოდნე კაცად გახდეს, სამეურნეო საქმეში დახელოვდეს და მით პრაქტიკულად გაგებულ მუშად გამოვიდეს. სახალხო სამეურნეო სწავლა-ცოდნას საგნად ხომ მარტო ესა აქვს“² აცხადებდა ილია ჭავჭავაძე და ყოველმხრივ უწყობდა ხელს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სკოლების დაარსებას (მისი სიტყვა, წარმოთქმული 1883 წელს, სოფ. წინამძღვრინათყარის სამეურნეო სკოლის გახსნის გამო საორატორო ხელოვნების იშვიათ ნიმუშად არის ცნობილი).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ განათლების ქვეშაბრტობას ილია ამოწმებდა შრომით და მისი როლით ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ამ მიზნით ადამიანის განათლების პროცესს ის უკავშირებდა პროცესების პირადი ინიციატივისა და თვითმოქმედების უნარის შემუშავებას და საღი, საიშედო პერსპექტივის შექმნას. „არსებობისათვის ბრძოლასა და ჭიდილში მარტო იგია გამარჯვებული ვინც თვით არის საქმის თაოსანი, საქმის აწინი და საქმის მომქმედიცა“³ წერდა ილია ჭავჭავაძე. ასეთი შეიძლება იყოს ნამდვილად განათლებული, რეალური ცოდნით აღჭურვილი ადამიანი, რომელსაც ესმის ცხოვრების კანონზომიერებანი, შეგნებული აქვს თავისი საზოგადოებრივი მოვალეობა, აქვს რწმენა ხვალისდელი დღისა. მხოლოდ ამ თვისებით აღზრდილ შვილს შეუძლია ჯობდეს თავის მამას და უთაოსნოს დღევანდლის მომდურავე ხალხს ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში.

აღზრდის მეორე ძირითად სახედ ილიას მიაჩნია ზნეობრივი აღზრდა-განვითარება. ზნეობრივი აღზრდის ამოცანად ის თვლის მაღალი და კეთილშობილი, ნამდვილი „კაცური-კაცობისათვის“ დამახასიათებელი თვისებების ჩანერგვას ყოველ ადამიანში. ზნეობრივი აღზრდა არის ამავე დროს ყოველმხრივ განვითარებული და სრულყოფილი პროცესების ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმთავრესი გზა. „სასესება ერთობ ადამიანისა იმაშია, რომ მის გონების აღმატებულებას შეწონილი ჰქონდეს აღმატებულება ზნე-ხასიათისა“⁴ — აცხადებს ილია ჭავჭავაძე და იქვე დასძენს, რომ ადამიანი თავისი ცოდნით და მოქმედებით, სიტყვით და საქმით იყოს ერთი მთლიანი ხასიათისა.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VIII, გვ. 286.

² ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, გვ. 283.

³ „ივერია“, 1886, № 102.

ილიას აზრით, ადამიანის მორალი მის ხასიათში ვლინდება. ხასიათში კი ის გულისხმობს ისეთ საზოგადოებრივად სასარგებლო თვისებათა ერთობლიობას როგორცაა: შრომისმოყვარეობა, პატრიოტიზმი, ნებისყოფის სიმტკიცე, ჰუმანიზმი, სინდისი და პატიოსნება, თავმდაბლობა, ზომიერება, სამართლიანობა, შეუდრეკლობა ბრძოლასა და სიძნელეთა გადალახვის დროს და სხვა კეთილშობილური ქცევის ნორმები. ყველაზე უფრო სრულყოფილი და კაცური-კაცი, ილიას აზრით, ისეთი ადამიანია, რომელიც თავის მოქმედებაში და საერთოდ, ყოფა-ცხოვრებაში ამჟღავნებს როგორც მეცნიერულ ცოდნას, ისე მტკიცე ხასიათს. უწინდელი და თავისი დროის აღზრდა-განათლების ცალმხრივობას ილია იმაში ხედავდა, რომ წინათ აღზრდა პიროვნების ხასიათის შემუშავებას ცდილობდა განათლების გარეშე, ხოლო მისი დროის აღზრდა-განათლება კი ადამიანს აძლევდა ცოდნას ხასიათის შემუშავების გარეშე. «უკეთესი არა იქნებოდა-რა, — წერს ილია — რომ ხასიათის გაწვრთნას ცოდნა ჰქონდეს და ცოდნას ხასიათის გაწვრთნა. იდეალი ადამიანის აღზრდისა ამ ორი საუნჯის შექსოვაა»¹.

ზემოაღნიშნულ მორალურ თვისებათა შორის, განსაკუთრებული სიმახვილის მქონე თვისებად მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ახალგაზრდობისათვის ილია თვლიდა პატრიოტიზმს. პატრიოტული აღზრდის ამოცანა სამშობლოს მგზნებარე სიყვარული და თავდადება მშობლიური ხალხის ინტერესებისათვის, მას დაკავშირებული ჰქონდა ქართველი ერის ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან და პირველ ყოვლისა «ჩვენი დაცემული ვინაობის» აღდგენის იდეასთან. ილია ჭავჭავაძის დიდი საბრძოლო ლოზუნგი: ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდუნესო, რომელიც მან 1861 წელს გადაისროლა ქართველ ხალხში, გაბდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე პერიოდის უმთავრეს საბრძოლო ამოცანად. ეს ლოზუნგი კვებავდა ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებას, ის აერთიანებდა კულტურისა და მეცნიერების ყველა მოწინავე ქართველ მოღვაწეს, ის იყო ქართველი ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის უმთავრესი ამოცანა. ილია ჭავჭავაძეს მრავალი განთქმული მეცნიერისა და პედაგოგის აზრი მოაქვს პატრიოტული გრძნობის სრული კანონიერებისა და მისი აღზრდის აუცილებლობის დამტკიცებისათვის.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძის პატრიოტიზმი არის მეტად საღი და რევოლუციურ-დემოკრატიული ბუნებისა. ის ეხამება სხვა ერების პატივისცემას, ნაციონალური სოლიდარობის გრძნობას და ინტერნაციონალიზმს. ილია საეგზეთი სამართლიანად აღიარებდა ბელისკის აზრს, რომ «სამშობლო ქვეყნის სიყვარული (პატრიოტიზმი) უნდა გამოდიოდეს კაცობრიობის სიყვარულისაგან, ისრე, როგორც ნაწილი მთელისაგან»². ეს განცხადება არ ყოფილა ლიტონი სიტყვა. ილია ამტკიცებდა მას თავის პრაქტიკული დამოკიდებულებით სხვა ერებთან (განსაკუთრებით რუსებთან და სომხებთან) და მეცნიერება-ხელოვნების ინტერნაციონალური ბუნების აღიარებით. /

აღზრდის მესამე ძირითად სახედ ილია ჭავჭავაძეს მიაჩნია ფიზიკური აღზრდა-განვითარება. ფიზიკური აღზრდის ამოცანად ის თვლის ადამიანის ჯანმრთელობას, მის გაღონიერებასა და გამაგრებას. ბავშვისა და მოზ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 526

² ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 316.

რდილის ფიზიკური ჯანდერება, ილიას აზრით, აუცილებელია არა მარტო იმისათვის, რომ ის უზრუნველყოფს მხნე, მამაც და გამძლე მშრომელთა და მეზრდოლთა მომზადებას, არამედ იმიტომაც, რომ ადამიანის ფიზიკური ჯანმრთელობისაგან ბევრადაა დამოკიდებული მისი სულიერი განვითარება, გონებრივი ძალების სიმახვილე, ზნეობრივი სიმტკიცე და საერთო განწყობილება. ილია ჭავჭავაძე თავისი დროის სკოლის ერთ-ერთ სიმახინჯედ აღიარებდა იმ ფაქტს, რომ ეს სკოლები არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას და „გამრჯე, მხნე, სულით და ხორციით ღონიერ ადამიანის მაგიერ უძლური, უღონო და ჯანგალებული კაცი გამოდის სკოლიდან“. ილია მოითხოვდა ახალ სკოლას, რომელიც მოსწავლეთა სულიერ განვითარებაზე იზრუნებდა ისევე, როგორც მათ ფიზიკურ ჯანმრთელობაზე.

ილია ჭავჭავაძეს არა აქვს სპეციალური მითითება აღზრდის მეოთხე ძირითადი სახის—ესთეტიკური აღზრდის შესახებ, მაგრამ ის როგორც დიდი მხატვარი და ქართული კაზმული სიტყვის დიდი ოსტატი, ყველაზე უფრო მეტად სწორედ ესთეტიკურ აღზრდას აწარმოებდა. ყველაზე უფრო ძლიერად ის ანვითარებდა ქართველი ახალგაზრდობის მხატვრულ აზროვნებას, უქმნიდა მას მაღალ გემოვნებას და აძლევდა ხელოვნების არა მარტო ცოდნას, არამედ მის სხვადასხვა დარგში შემოქმედების უნარსაც.

III

აღზრდის თეორიის ძირითად საკითხებთან ერთად ილია ჭავჭავაძე განიხილავდა აღზრდის ობიექტის ანუ ბავშვის განვითარების ზოგად პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიურ საკითხებს.

ილია ჭავჭავაძემ მშვენიერად იცის, რომ პედაგოგიკური მეცნიერების აშენება შეუძლებელია თვით ბავშვის, მისი ფსიქო-ფიზიკური ბუნებისა და ასაკობრივ თავისებურებათა ცოდნის გარეშე. რამდენადაც ბავშვი მისი დროის ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკაში ჯერ კიდევ ნაკლებად იყო შესწავლილი, ხოლო უამისოდ კი მისი აღზრდა-განათლება და სწავლება არ შეიძლებოდა დაპყვიდრებულიყო მეცნიერულ საფუძველზე, იმდენად ილია ჭავჭავაძე ბავშვის ყოველმხრივ ცოდნას თვლიდა პედაგოგიკის ყველაზე უფრო დიდ და ამავე დროს ძნელ პრობლემად.

ბავშვის, როგორც მზარდი ბიოლოგო-სოციალური არსის შესწავლის სიმძნლე, ილიას აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ „ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბავშვი იგივე ადამიანია და მით უფრო ძნელი საცნობელია, რომ ძნელი წასაკითხი ქარაგმით არის დაწერილი, თუ ესე ითქმის, და არა სხვილი და სრული ასოებით, როგორც დამთავრებული კაცი“¹. მართალია ილია თვლის, რომ ბავშვის ბუნების საიდუმლოებათა გარკვევა და მისი სულიერი ცხოვრების „ქარაგმის“ ამოხსნა პედაგოგის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს, მაგრამ, არსებითად, მან ეს პრობლემა მთელ პედაგოგიკურ მეცნიერებათა წინაშე დააყენა და თვითონ როგორც მწერალმა და პედაგოგმა მრავალი საგულისხმო მოსაზრება გამოთქვა ამ პრობლემის ისეთ ცალკეულ საკითხებზე, როგორც მავალითად: ბავშვის ინტერესი, გრძნობები, უნარიანობა, მოქმედების მოტივები, მემკვიდრეობის, გარემოს და აღზრდის ურთიერთობა და განსაკუთრებით ბავშვის განვითარების ისეთ

¹. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, გვ. 280.

კარდინალურ საკითხებზე როგორცაა აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთობა და მათი აღზრდა სწავლების პროცესში.

ილია ჭავჭავაძის აზრით, ბავშვი თავის გონიერ ცხოვრებას აზროვნებისა და მეტყველების აღმოცენებიდან იწყებს. აზრი და ენა ერთიმეორეს გულისხმობენ და ბავშვის „გონების გახსნაში“, ისე როგორც აღამიანის მთელ ცხოვრებაში, ისინი თანაბარ როლს თამაშობენ მისი ცნობიერების განვითარებისათვის. არ არსებობს ენა აზრის გარეშე და აზრი ენის (სიტყვის) გარეშე. აქედან, ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ენის სწავლას და განვითარებას აღამიანის აზროვნებისათვის. რამდენადაც უფრო გაუადვილებთ ბავშვს ენის სწავლას, იმდენად უფრო სწრაფად განვითარდება მისი აზრი და გონება. ილია ფიქრობს, რომ ბავშვის აზროვნების ჩასახვისა, აღმოცენებისა და განვითარების ყველაზე რეალურ და ნორმალურ პირობას წარმოადგენს დედა-ენა. ამიტომ დედა-ენის სწავლა და დედა-ენაზე სწავლება ყველა ბავშვის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს. „ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკანდაუხვევლად ვთხოვლობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელ გზას სასწავლებელში—წერს ილია ჭავჭავაძე—ეგ მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოვლობთ და ენატრობთ იმიტომაც, რომ უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოველად შეუძლებელია“¹. ამგვარად ილია ჭავჭავაძე დედა-ენაზე სწავლებას მოითხოვდა არა მარტო იმ პოლიტიკური მოსაზრებით, რომ დედა-ენა არის ყოველი ერის რაციონალური ერთიანობის ყველაზე უფრო მტკიცე საფუძველი, არამედ პედაგოგიკური მოსაზრებითაც.

ილიასეულ არგუმენტს დედა-ენის სწავლის და დედა-ენაზე სწავლების აუცილებლობის შესახებ წარმატებით იყენებდნენ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის რევოლუციამდელი ქართველი საზოგადო მოღვაწენი იაკობ გოგებაშვილი, გ. წერეთელი, სერგეი მესხი, შიო ჩიტაძე, ნიკო ცხვედაძე, ლუარსაბ ბოცვაძე და სხვა მწერლები და პედაგოგები, რომლებიც მთელი თავისი შეგნებით და პატრიოტული სიმახვილით იბრძოდნენ ქართული ენის უფლებებისათვის საქართველოში და მოითხოვდნენ დედა-ენაზე სწავლებას ქართველი ახალგაზრდობისათვის. რუსეთის ველური მონარქიზმის პირობებში არ შეიძლებოდა ეს ბრძოლა გამარჯვებით დამთავრებულიყო. ილია ჭავჭავაძე მწუხარებით აგონებდა ქართველ ხალხს: „გადავკავიწყდა ყოველივე, რაც ენის შევენებას შეადგენს, რადგანაც ჩვენი აზრი ჩვენის ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ თბება“ და მთელს იმედს ამყარებდა მომავალ თაობაზე, მისი მეცნიერული და ეროვნულ-პატრიოტული თვითშეგნების განმტკიცებაზე.

IV

პედაგოგიკის სტრუქტურის სხვა თეგებიდან ილია ჭავჭავაძე ეხებოდა აგრეთვე დიდაქტიკის, სკოლისა და მასწავლებლის დანიშნულების, საოჯახო აღზრდისა და თვითგანათლების საკითხებს.

დიდაქტიკას ანუ სწავლების თეორიას ილიას პედაგოგიკურ მოძღვრებაში არ ეწირა რაიმე განსაკუთრებული ადგილი. სწავლების საკითხებს ის სპეციალურად არ ეხებოდა, ვინაიდან იცოდა, რომ მათ კვლევას უფრო მეტი წარმატებით ეწეოდა დიდი ქართველი პედაგოგი და განმანათლებელი იაკობ

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VII, გვ. 218.

გოგებაშილი. მიუხედავად ამისა ილია ჭავჭავაძე სპორადულად მაინც ასაბუთებდა სწავლების განპირობებას აღზრდა-განვითარების მიზნებით, აღმზრდელობითი სწავლების პრინციპს, სწავლების დაკავშირებას პრაქტიკულ შრომასთან, სწავლების მეთოდების შერჩევას ბავშვის ასაკისა და მისი განვითარების დონის გათვალისწინებით, თვალსაჩინოებას, ვარჯიშს, მოსწავლეთა აქტიობისა და თვითმოქმედების აუცილებლობას, მასწავლებლის ავტორიტეტის გადამწყვეტ მნიშვნელობას სწავლების დროს, მოსწავლეებისადმი ინდივიდუალური მიდგომის საჭიროებას. სწავლების შინაარსიდან ილია გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა სასწავლო საგნებს და მათ პროგრამებს, რომლებზეც ბევრით არის დამოკიდებული სკოლისა და მასწავლებლის მუშაობის ეფექტი ილია ჭავჭავაძე ხშირად მიმართავს პედაგოგიკის კლასიკოსებს: კომენსკის, პესტალოცის და უშინსკის. მოითხოვს მათი დიდაქტიკური მოძღვრების გამოყენებას სწავლების პროცესში „აქაური (ქართული გ. თ.) ვითარების შესაბამისად“. პედაგოგიკის „ძირეულ კანონათ მიაჩნია დიდაქტიკის წესები: „ახალი ძველის შემწვობით უნდა ისწავლებოდეს, შორეული მახლობლით, უცნობი ცნობილით“¹. ილია ხშირად გამოდიოდა სწავლების ძველი დოგმატური მეთოდებისა და ფორმალზმის წინააღმდეგ და რეალური განათლების პრინციპის მიხედვით მოითხოვდა ისეთი აქტიური მეთოდების გამოყენებას, რომლებიც მოსწავლეებს მოამზადებენ მომავალი პრაქტიკული მუშაობისათვის.

სკოლისა და მასწავლებლის დანიშნულება მოზარდ თაობათა აღზრდა-განათლებისა და სწავლების პროცესში ილია ჭავჭავაძეს განსაზღვრული აქვს აღზრდის ზოგადი და კონკრეტული მიზნების მიხედვით. მისთვის ნათელია, რომ სკოლა და მასწავლებელი უნდა ემსახურებოდნენ ამ მიზნების პრაქტიკული განხორციელების საქმეს. მათ ხელშია ქვეყნის მომავალი, მათზეა დამოკიდებული ერის იმედი და რამდენადაც უფრო კარგად იქნება სკოლა და მასწავლებელი მომზადებული ახალ თაობათა მეცნიერული აღზრდა-განათლებისათვის, იმდენად უფრო უკეთ შეასრულებენ ისინი თავის დანიშნულებას. ილია ჭავჭავაძე მიმართავს პედაგოგიკის ისტორიას და აღორძინების ხანის იტალიის პედაგოგ-ჰუმანისტთა მოძღვრებასა და მოღვაწეობაში ეძებს ახალი სკოლის საწყისებს. ბევრს კარგსა და მისაბაძს პოულობს იგი ისტორიაში, მაგრამ ნამდვილად ახალ და ხალხის ინტერესების გამოზნატველ სკოლას ვერ ხედავს ვერც წარსულში და ვერც მის დროში. ძველი სკოლის ორგანიზაციის, მუშაობის შინაარსისა და მეთოდების მახვილი კრიტიკის შედეგად ილია მოითხოვს ქართულ ეროვნულ ნიადაგზე დამკვიდრებულ ახალ სკოლას: „მოგვეცით მართალი სკოლა, ქართველის სულისა და გულის ამამალღებელი, გონების გამხსნელი, ნუ გაურევთ სკოლის უწმინდეს საქმეში სხვა საქმეს, რომელიც სკოლას არ შეეფერება“². სკოლამ უნდა მისცეს ქართველ ახალგაზრდობას მეცნიერებათა საწყისების ცოდნა, უნდა შეაყვაროს მას თავისი ერის ისტორია, ენა, ლიტერატურა და ის „ბუნება და ყოფა-ცხოვრება, რომელიც გარს არტყია მოზარდს და რომელთ შორისაც ბავშვი ტრიალებს და ცხოვრობს“. ამასთან ახალი სკოლა უნდა იყოს როგორც საგანმანათლებლო, ისე აღმზრდელობითი დაწესებულება. მხოლოდ ასეთ სკოლას შეუძლია გამოუზარდოს ჩვენს ქვეყანას ფართო ზოგადი განათლების მქონე და თავის სამშობლოს მოყვარული ახალგაზრდობა.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VII, გვ. 224.

² ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VI, გვ. 157.

მასწავლებლისაგან ილია ჭავჭავაძე პირველ ყოვლისა მოითხოვს თავის საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებას. კერძოდ კი იმის შეგნებას, რომ მასწავლებლობა „მწიფი საქმეა და უფრო დიდი მძიმე ვალია. მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედია“ („უცნაური ამბავი“). მეორე მთავარ მოთხოვნებად ილია მასწავლებელს უყენებს ნაღალ, ზოგად და პედაგოგიურ მომზადებას, თავის სპეციალური საგნის ღრმად ცოდნას და პედაგოგიურ ოსტატობას, შემდეგ თავისი პროფესიისა და ბავშვის ისეთ სიყვარულს, რომ მასწავლებელში „ბავშვის პატარა გულმა მაშინვე იგრძნოს მეგობარი“. ბავშვთან დამეგობრება, ილიას აზრით, ნიშნავს ბეწვის ხიდის გავლას. ამასთან, რამდენადაც ახალგაზრდობის ანუ ერის მომავალი უმთავრესად დამოკიდებულია მასწავლებელზე, იმდენად მასწავლებელი პასუხს უნდა აგებდეს ცუდად აღზრდილი ბავშვის გამო. ნიკო ცხვედაძისადმი მიძღვნილ საახალწლო მიგებებაში ილიას მოწონებით მოაქვს ჩვენში ცნობილი პედაგოგიური აფორიზმი: ცუდა გმართებს აღმზრდელისა, რა ყრმა ნახოთ ცუდად ზრდილი. ეს დებულება, რამდენადაც იგი ზოგადია და წესს გულისხმობს, იმდენად სწორია. თავისი დანიშნულების სიმალლეზე მდგომ მასწავლებლად ილიას მიაჩნია ის ვინც ზრდისა და ანათლებს მომავალ თაობას მეცნიერული ცოდნით, კეთილშობილი ზნეობრივი თვისებებით, მამულის მგზნებარე სიყვარულით, და კაცთმოყვარე გულით. ასეთი აღმზრდელის მაგალითს, ილიას აზრით, თვით მასწავლებელი უნდა იძლეოდეს როგორც თავისი ცოდნით, ისე პირადი ცხოვრების მაგალითით.

V

დასასრულს, ძალიან მოკლედ, ყველაზე უფრო ნათავარზე ილია ჭავჭავაძეს პედაგოგიურ მოღვაწეობაში, მხედველობაში გვაქვს ილიას შეხედულებები აღზრდის პროცესის სოციალურ კანონზომიერებათა შესახებ, რომელთაც ქართული პედაგოგიკის მეცნიერულ ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ქონდათ.

ცნობილია, რომ ადამიანი არის სოციალური არსი, ანუ, როგორც კ. მარქსი ამბობს—„ადამიანის არსი მის სოციალობაში მდგომარეობს“. რამდენადაც აღზრდის ობიექტი არის ადამიანი როგორც სოციალური არსი, იმდენად აღზრდაც სოციალური პროცესია და სოციალურ კანონზომიერებას ექვემდებარება. ილია ჭავჭავაძე ბავშვს განიხილავს როგორც ადამიანს: „ბავშვი იგივე ადამიანია“—აცხადებთ იგი, მაგრამ არა სრულქნილი, არამედ „სათავე, დასაწყისი დიდის ადამიანისა“ და აზიტირს „არ უნდა გეიკვირდეს, რომ რასაც დიდ მდინარეში ვპოულობთ, იმას მის პატარა სათავეშიაც ვხედავთ“¹. ამგვარად ბავშვში თავიდანვე ჩნდებიან ადამიანის ელემენტარული თვისებები: შემეცნების უნარი, აზროვნება, მეტყველება, რომლებიც შემდეგ აღზრდის გზით ვითარდებიან. ანით ცხადი ხდება, რომ ბავშვის აღზრდა თავიდანვე იწყება და მიმდინარეობს როგორც სოციალური პროცესი, როგორც ხალხის მუდმივი საზოგადოებრივი ფუნქცია.

ილია ჭავჭავაძე საკვებით დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ აღზრდა როგორც სოციალური მოვლენა განპირობებულია ცხოვრებით და ვითარდება და იცვლება მისი კანონების მიხედვით. სოციალურ გარემოს „საცა ნორჩი სული ბავშვისა პირველად იღვიძებს და მერე ზრდაში შედის... იმ წრეს, სადაც

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, გვ. 280.

ბავშვი პირველ ხანიდანვე ტრიალებს, დიდი გავლენა აქვს მთელს ადამიანის მერმისზე“— აღნიშნავს ილია ჭავჭავაძე¹ და მოითხოვს ამ სოციალური წრის გარდაქმნას მომავალ თაობათა აღზრდის გარდაქმნისა და გაუმჯობესების მიზნით.

ადამიანის აღზრდისა და ჩამოყალიბების პროცესზე სოციალური წრის დადებითი თუ უარყოფითი გავლენის საილუსტრაციოდ ილია ჭავჭავაძე გვაძლევს მრავალ ნიმუშს თავის მხატვრულ ნაწერებში. ძველმა თავად-აზნაურულმა სოციალურმა წრემ შექმნა ადაზიანურ ღირსებებს მოკლებული, გადაგვარებული პარაზიტული ცხოვრების მიმდევარი თავადი ლუარსაბ თათქარაძე, ამავე წრემ აღზარდა მხეცური ინსტიქტების მქონე თავადი დათიკო („გლახის ნაამბობიდან“), რომლის შესახებაც ავტორი ლაპარაკობს „ვინ იცის ჩვენი მკითხველო რა კაცი გამოსულიყო იგი სხვა საზოგადოებაში და სხვარიც შინაურ აღზრდაში“ (ვარიანტი „კაკო“). მშრომელთა სოციალურმა ფენამ— გლეხობამ აღზარდა სოციალური უთანასწორობისა და კლასობრივი ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლი ვაბრო, ზაქრო, კაკო ბლაქიაშვილი, ეროვნული თავისუფლების მოტრფიალე გლეხი ლელთ-ლუნია თერგის ხეობიდან და ადამიანური ღირსებისათვის მებრძოლი სხვა შესანიშნავი გმირები.

ამგვარად, ილია ჭავჭავაძე ნათლად არკვევს აღზრდას როგორც სოციალურ მოვლენას და მის აქტიურ როლს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. ის ცხადყოფს, რომ ახალ ცხოვრებას ქმნიან ახალი ადამიანები, მომზადებულნი ამ ცხოვრებისათ აღზრდის მიერ და რამდენადაც უფრო მეცნიერულად იქნება წამართული მათი აღზრდა, იმდენად უფრო ლამაზი და მიმზიდველი იქნება მთელი ჩვენი ცხოვრება, ჩვენი მომავალი.

ილია ჭავჭავაძემ დაამუშავა მე-19 საუკუნის 60-იანი წლებისა და შემდეგი პერიოდის ქართული პედაგოგიის თეორიული საფუძვლები. მასთან ერთად და ერთდროულად ქართულ პედაგოგიურ აზროვნებას მეთაურობდა დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იაკობ გოგებაშვილი, რომელიც უმთავრესად მუშაობდა დიდაქტიკის საკითხებზე. ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის ბრძოლაში და მომავალ თაობათა აღზრდა-განათლების დარგში ხანგრძლივი თანამშრომლობის პროცესში მათ შექმნეს ქართული მეცნიერული პედაგოგია, გამოიყენეს რა ამისათვის უცხოეთისა და რუსეთის პედაგოგიური აზრის საუკეთესო მიღწევები და აღნიშნული პერიოდის ქართული სკოლის გამოცდილება.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VIII, გვ. 196.

მის. ზარქუა

გაორებული ჰაროვნების ტრაგედია (ილიას „განდეგილი“, დანახული ფსიქოლოგის თვლით)

„განდეგილი“—ქართული პოეტური კულტურის ეს ერთ-ერთი შედევრთაგანი,—ფსიქოლოგიურადაც ისევე რთული, ღრმა და ძლიერია, როგორც პოეტურად, ფილოსოფიურად, სოციოლოგიურად. ადამიანის შინასამყაროს ღრმა მკოდნის, უდიდესი გულთამხილავის კალამი იგრძნობა პოემის ყოველ დეტალში. „განდეგილი“ ფსიქოლოგიური მომენტებით დატვირთული ნაწარმოებია, მაგრამ ეს დატვირთულობა იმდენად ბუნებრივია, რომ იგი მხოლოდ ღირსებად შეიძლება ჩაეთვალოს პოემას და არა ნაკლად. ეს გარემოება სრულიად ბუნებრივი ჩანს: „განდეგილში“ დაყენებული თვითონ პრობლემა იყო. ისეთი ხასიათისა, რომ მისი გადაჭრა ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა ადამიანის შინაგანი სამყაროს მამოძრავებელ ძალთა საფუძვლიანი განხილვის გარეშე. განდგომილობის პრობლემა, თავის ერთ-ერთ შესაძლებელ სახეობაში, ფსიქოლოგიური პრობლემაცაა; ილიამაც მაქსიმალურად გამოიყენა ეს შესაძლებლობა და ასკეტიზმის დოგმების ობიექტურ-ფილოსოფიური კრიტიკა თვითონ ასკეტის შინაგანი ბიოგრაფიის საერთო ფონზე წარმოადგინა. დიდ პოეტსა და მოაზროვნეს ილიას ისე ოსტატურად შეეყავართ მოვლენათა განვითარების ურთულეს ხლართებში, თითქოს რეალურად, თვალნათლივ, გრძნობადად გვეძლევა განდგომილობის თეორიული ციხე-სიმაგრის გარდაუვალი ნგრევა თვითონ მწირის შინაგან ძალთა უღარეს დაძაბვასა და წონასწორობის დაკარგვასთან ერთად; თითქოს თვლით ვხედავთ, თუ როგორ დაიჭიმა ადამიანის შინასამყაროს მამოძრავებელი ზამბარა და გაწყდა სწორედ იქ, სადაც მისი ამტანიანობის გამოცდის კრიტიკული წერტილი მდებარეობდა. ეს კრიტიკული წერტილია მწირის გარდაცვალების მომენტი სხივქვეშ, ლოცვანით ხელში, რომელიც იმავე ღროს პოემის, როგორც მხატვრული ნაწარმოების, კულმინაციური წერტილიცაა.

ილღა როგორც პოეტი, ილია როგორც მოაზროვნე პირდაპირ მიჯაჭვული იყო სოციალურ პრობლემატიკაზე. საზოგადოებასა და საზოგადოებრივ ადამიანთან დაკავშირებული საკითხები იყო მისი აზროვნების საგანიცა და პოეტური შთავონების შინაარსობრივი ჩონჩხიც. ამავე სოციალური პრობლემატიკის ფილოსოფიურ სიბრტყეში გადატანამ დააწერინა ილიას „განდეგილიც“, რომელშიაც მართლა ილიასებური სიმძაფრითაა მოცემული სოციალური ადამიანის ამქვეყნიური შრომისა და ბრძოლის ბრწყინვალე აპოლოგია, წინააღმდეგ ასკეტიზმის უსიცოცხლო დებულებისა—ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწყვლობის შესახებ. ცხადია, საკითხის დაყენება მოვლენათა ამგვარ დაპირისპირებაში აუცილებლად მოითხოვდა ამქვეყნიური ცხოვრების რეალური არსისა და ქვეყნიდან განსვლის მისტიკური აზრის დაპირისპირებას, რაც ასე ბრწყინვალე პოეტურ ფორმაში მოგვცა ჩვენმა სასიქადულო პოეტმა. მაგრამ იღეთა დაპირისპირება და მათი მისაღებობა-მიუღებლობის შემოწმება უნდა

მომხდარიყო ადამიანთა პიროვნებისადმი მათს მიმართებაში, რადგან საკითხი ნორმალური ამქვეყნიური ცხოვრებისა თუ მისგან განდგომის შესახებ, ბოლოს და ბოლოს, შეეხება არა სხვა ვინმეს და რამეს, არამედ რეალურად არსებული ადამიანის პიროვნებას. ადამიანი იყო საჭირო პრობლემის გადასაჭრელად და ილიამაც ამ გზას მიმართა.

დამახასიათებელია, რომ განდევილი პოემაში წარმოდგენილია ფიზიკურად და ფსიქოლოგიურადაც სრულიად ჯანსაღი ადამიანის სახით. იგი მეტად წმინდა, დახვეწილი პიროვნებაა მორალური თვალსაზრისითაც. მას აქვს ყველა ის დადებითი ნიშანი, რომელთაც სავალდებულოდ თვლიდა ილია „კაცური კაცისათვის“ ანუ „კაცად კაცისათვის“. მას არ აკლია ნამდვილი ადამიანისათვის საჭირო არც ერთი მადლი, მაგრამ მისი ერთადერთი უბედურება იმაშია, რომ ფილოსოფიურმა მოფლმხედველობამ მიიყვანა ცხოვრებიდან გაქცევის აუცილებლობამდე, რომელთან კავშირის გაწყვეტა სინამდვილეში ვერ მოუხერხებია და ამის გამო მისი პიროვნება უარესად ტრაგიკული გამხდარა. ამაშიც მკლავნდება ილიას ფილოსოფიური აზროვნებისა და პოეტური შემოქმედების ორიგინალობა. იგი არ დაადგა იმ ადვილ გზას, რომლითაც ასკეტიზმის ზოგიერთი კრიტიკოსი მიდიოდა. მას არ მოუცია არც ფიზიკურად უძლური, არც ფსიქიკურად არანორმალური და არც მორალურად დაბალი ადამიანის სახე იმისთვის, რათა ნაკლები წინააღმდეგობის დაძლევით მიეღწია მიზნისათვის—დამტკიცებინა ასკეტიზმის მიუღებლობა. პირიქით, მან აიღო ხორციელად და სულიერად უნაკლო ადამიანი.

განდევილი ფიზიკურად სრულიად ნორმალური, საკმაოდ ძლიერი მამაკაცია. საამისო მასალები უხვადაა მოცემული პოემის ტექსტში. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა მისი ფსიქიკური მდგომარეობა. დავიწყოთ თუნდაც იქიდან, რომ ინტელექტის უდიდესი ძალა ჩანს განდევილის პიროვნებაში. მას დაუტოვებია ამქვეყნიური ცხოვრება და განდგომილა არა რაიმე შემთხვევითი მიზეზის გამო ან უბრალო, გულუბრყვილო შეხედულების ნიადაგზე, არამედ ადამიანთა საზოგადოების მახინჯი მხარეების ღრმა ფილოსოფიური ანალიზის შედეგად. იგი არის ნამდვილი ფილოსოფოსი, რომელსაც ღრმად ჩაუხედავს ცხოვრების ურთულეს მოვლენებში და დაუნახავს მათში მოქმედ ბნელ ძალთა საშინელება. ამ თითქმის პესიმისტური ფილოსოფოსის თვალთ დანახულ ქვეყანაზე „რყვნა, წაწყმედა და ღალატია“, აქ „ძმა ხარბობს სისხლსა ძმისასა“ და „ცილო, ზაქვა ძულებადა ჰხდის წმინდა სიყვარულს მოყვასისასა“. ამ ქვეყნად „ყოველი ნიჭი მაცდურებაა“ და „თვით სიტუტფე და სათნოება ეშმაკის მახე და ცდუნებაა“. ჩვენი განდევილი ფილოსოფოსის მიერ მატერიალურა ქვეყნის მოცემულ შეფასებაში თვით პლატონის ფილოსოფიის ქრისტიანიზირებული ვარიანტის შორეული გამოძახილიც ისმის: „ყველაზე უფრო სული ტკბილია,—იგი ტყვე არის წუთისოფლისა და ეგ ყოველი მის ბორკილია“.

თუ უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენს სული („ყველაზე უფრო სული ტკბილია“), თუ იგი პატიმარია ამ ქვეყნად („იგი ტყვე არის წუთისოფლისა“) და მატერიალური ქვეყანა სულის საპატიმროს წარმოადგენს („ეგ ყოველი მის ბორკილია“), მაშინ, ცხადია, ადამიანის უპირველესი დანიშნულება უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ გაწმინდოს სული ყოველგვარი ბიწიერებისაგან, გაათავისუფლოს იგი ქვეყნიური საპატიმროდან და განაშოროს მას მძიმე მატერიალური ბორკილები. ასეთ დასკვნას აკეთებს მწირო იმ შეხედულებათა საფუ-

ძველზე, რომელნიც მან შეიმუშავა საწუთროს შესახებ. მისი პრაქტიკული ნაბიჯიც ამ დასკვნათა გაკეთების შედეგია.

მწირის ინტელექტუალური ძალა არ წარმოადგენს საზოგადოებრივად უარყოფით, ადამიანების წინააღმდეგ მიმართულ დემონურ ძალას; პირიქით, განდევნილი მეტად მაღალი მორალის მქონე პიროვნებად გამოიყურება. იგი, მართალია, მოშორებია წუთისოფელს, ადამიანებს, მაგრამ იმითომ კი არა, რომ ადამიანები სძულს, მათთან ურთიერთობას ვერ იტანს. არა! მას უყვარს ადამიანები, უყვარს სიკეთე. უყვარს ქვეყანა და ამ საყვარელ ქვეყანას, საგნებს, ადამიანებს მოშორდა იმიტომ, რომ ბოროტებამ, შურმა და მტრობამ მოიციკა ყველაფერი ეს. განშორდა იგი ქვეყანას, მაგრამ ქვეყანა მაინც არ ავიწყდება და, რამდენადაც მას შესწევს ძალ-ღონე, აქაც, ამ განმარტობულ გამოქვამულშიაც ქვეყანაზე ფიქრობს, მასზე ზრუნავს („...ხელაპყრობით ევედრებოდა წაწყმენდისაგან ქვეყნისა ხსნასა“).

მაღალი მორალური თვისებები ძალზე მიმზიდველს ხდიან განდევნილის სათნო სახეს. მისი მაღალი მორალის ფსიქოლოგიური საფუძვლებია არაჩვეულებრივად ძლიერი ნებისყოფა და ასევე ძლიერი მორალური ემოცია. მკითხველი განცვიფრებაში მოჰყავს ნებისყოფის იმ სიმტკიცეს, რომელსაც იჩენს მწირი იმ საბედისწერო ღამეს, როდესაც მწყემსი ქალი ესტუმრა მას განმარტობულ სენაკში. გავიხსენოთ ის საერთო სიტუაცია, რომელშიაც მწირი და მწყემსი ქალი მოხვდნენ, ის ძლიერი სურვილები, რომელთაც გაიღვიძეს მწირის გულში და ნათელი გახდება, თუ როგორი ენერჯის ფასად უნდა დასჯდომოდა მას თავის შეკავება ცდუნებისაგან. განდევნილი „არ იყო ხნიერ“, იგი ფიზიკურად ძლიერი და ჯანსაღი მამაკაცია. ხორციელი გულისთქმანი, მართალია, მას „გულიდან ამოულია“, მაგრამ თვითონ გული ისევე გულად დარჩენილა. ისე, რომ სათანადო პირობებში კვლავ უკან დაბრუნება შეუძლიათ იქიდან ამოღებულ გულისთქმათ და, აი: ახლა შექმნილან ეს პირობები: ცეცხლის პირას სძინავს ახალგაზრდა მშვენიერ ქალს, ირგვლივ სუფევს სრული მყუდროება, განმარტობა; დიდია ცდუნების ძალა, ძლიერია გამოწვევა,—ისე ძლიერი, რომ „იმა წვევის მაცდურებასა ზეარსთა ძალიც ვერ გაუძლებდა“. ის კანონი, რომელიც მწირს მიუღია, როგორც თავისი ქცევის სიტყვაშეუბრუნებელი სავალდებულო წესი, ე. ი. კანონი ასკეტიზმისა, რა თქმა უნდა, მას უკრძალავს არა მარტო ხორციელ ნეტარებას, არამედ ამგვარი სურვილის გულში გატარებასაც კი. მაგრამ ისე ძლიერია ცდუნება, რომ „ვერ გაუძლო საწყალმა მწირმაც... და დაიხარა თავი...“, თავი დაიხარა საკოცნელად. ძნელია წარმოიდგინოს ადამიანმა ამაზე უფრო მძაფრი მოპენტი ნებისმიერი აქტის დასახასიათებლად: უდიდესი ინტენსივობის აქტუალური მოთხოვნილება ნიაღვარივით მოვარდნილა და წალეკვით ემუქრება პიროვნების შეგნების ჯებირებს, რომელთა აღმართვისა და განმტკიცებისათვის ადამიანს მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე შეუწირავს. ცხოვრების უკუღმართობით გულგატეხილ ფილოსოფოსს მთელი თავისი ინტელექტუალური ძალების დაძაბვის ფასად დაუმტკიცებია ამა ქვეყნის ამაოება და, თუმცა ძლიერ გაპირვებია, მაინც დაუთმია წუთისოფელი; მთელი თავისი სულიერი ძალ-ღონე მოუწოდებია იმისათვის, რომ დაეგმო ხორციელი ცხოვრების ყოველი სახე და „მის მაღალ-შუბლსა, ნაოჭად შეკრულს“ ღვთაებრივი „შარავანდელი გარდაჰფენოდა“ და ახლა კი ნიაღვარივით მოვარდნილა იმავე ცხოვრების უღმობელი მდინარე და წალეკვით ემუქრება ყველა-ამ ნაწივანდავს. დიდია ცდუნება, იგი უდიდესი ძალით ეხიდება მწირს-ხორციელი

სიტკობებისაყენ, მაგრამ სამუდამოდ აუნაზღაურებელ დანაკარგთანაა დაკავშირებული მისი აღსრულება, რადგან ამით ხაზი გადაესმის ყველაფერს იმას, რაც უმაღლესი ღირებულების სახელით დღემდე მოუპოვებია განდევნილ მწირს. ამით იგი დგას გადამწყვეტი გამოცდის წინაშე... და თავი კი,—წუთისოფლის უკუღმართობით აფორიაქებული და განუწყვეტელი მწარე ფიქრებით დამძიმებული თავი,—დაიხარა... „დაიხარა... მაგრამ... უცებ გაშეშდა... ეჰა, წაწყმედავ, ეს რა სურვილი გულს გაიტარა!“ თუ მწირის ქცევის ამ მომენტს კარგად დავაკვირდებით, ვფიქრობთ, სრულიად ზედმეტი იქნება იმის მტკიცება, რომ ეს ფაქტი თავის შეკავების განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს, და, მაშასადამე, მწირი ძლიერი ნებისყოფითაა დაჯილდოებული.

ძლიერი ინტელექტისა და ნებისყოფის გვერდით მწირს აქვს ასევე ძლიერი ემოციებიც. მისი ქცევა თავიდან ბოლომდე სულ ემოციებითაა შეფერილი. თვით პოემაც იმდაგვარადაა აგებული, რომ რაც უფრო შორს მიდის მისი სიუჟეტური განვითარება, ემოციური დაძაბულობაც სულ აღმავალი ხაზით მიჰყვება მას და ქმნის ერთიან აღმავალ ხაზს, რომლის მთელ სიგრძეზე სამი მომენტი მაინც განსაკუთრებული სიმძაფრით გამოიყოფა. ეს მომენტებია: 1. წამოცდენა საბედისწერო სიტყვისა „მე უბედურსაო“; 2. ცეცხლის პირას მიძინებული ქალის დანახვა და მისდამი ძლიერი სურვილების აღძვრა; 3. სხივზე ლოცვანის დაყრდნობით შეცოდების სიმძიმის შემოწმება.

საერთოდ გენიალური პოეტი, აქაც,—ემოციურ განცდათა გადმოცემის საქმეშიც,—თავის სიმაღლეზეა. მკითხველის თვალწინ თითქოს ცოცხლად დგას კოლოსალური ძალის შინაგანი ლელვისაგან სახეშეშლილი, ჰქუაღარეული, თმააბურძენილი და „სიკვდილით გაფითრებული მწირი“. მკითხველის წინაშე დგას ცოცხალი, ხორცშესხმული წარმომადგენელი იმ ემოციური მდგომარეობისა, რომელიც შეიძლება შეიქმნას სინანულის, სინდისის ქეჩნის, სირცხვილისა და შიშის ერთად თავმოყრის შემთხვევაში; მკითხველი ნათლად ხედავს განადგურებული ადამიანის უმწეო მდგომარეობას, ტიპიურ სახეს „ბედნიერების დამკარგავისა“.

ზემოაღნიშნულ სამ მომენტთან ჩვენი მიზნისათვის განსაკუთრებით მესამეა საინტერესო. ამ მომენტში ემოციის ინტენსივობა აღწევს უმაღლეს წერტილს, გადადის აფექტში და იწვევს ადამიანის ფიზიკურ სიკვდილს. აქაა მწირის შინაგანი ტრაგედიის კულმინაციური ადგილი, რომელიც, როგორც ცნობიერების ფაქტი, თავისი არსებობის უკიდურეს წერტილზე ძევს. არსებობის უკიდურეს წერტილზე იმიტომ, რომ უაღრესად დაძაბული ემოციური სიმი, ადამიანის სიცოცხლესთან ერთად,—გაწყდა სწორედ იქ, სადაც უმაღლესი ღირებულების დაკარგვის ფაქტმა შემოანათა ცნობიერებაში. ეს მომენტი მწირის შინაგანი ტრაგედიის კულმინაციური წერტილიცაა და ამ ტრაგედიის დასასრულიც.

პოემის შინაარსის დაკვირვებელი შესწავლა გვარწმუნებს, რომ მწირის შინაგანი ტრაგედია ახლა აქ, ამ ღამით ამ გამოქვამულში არ დაბადებულა. მას უფრო ღრმა და შორეული ფესვები აქვს გადგმული მის პიროვნებაში. ეს ფესვები, ეს საფუძვლები დიდი ხნიდან არსებულან, ოღონდ ტრაგიკულობის განცდა მიჩქმალულა ქვეყნის ყაყანს განშორებულ გამოქვამულში, დღე და დამ ლოცვითა და ლაღადისით. მიჩქმალულა ტრაგიკულობის განცდა, მაგრამ მისი ფესვები, საფუძვლები შენახულან, რათა სათანადო პირობებში კვლავ განცდების სახით ამოტივტივდნენ ცხოვრებაში; ეს საფუძვლები შემონახულან მსგავსად

ძველი კრილობისა, რომელიც დახურულა, მაგრამ სიღრმეში კი დარჩენილა ისევ კრილობად, მოუშუშებლად.

გენიალურმა ილიამ იცის, რომ შინაგანი ტრაგედიის განცდა ემოციისა და ნებისყოფის დაპირისპირების შედეგად მიიღება და „განდევილშიც“ ამ დაპირისპირებას მიმართავს. მაგრამ მწირის შინაგანი დაპირისპირება, როგორც ვთქვით, ამ მომენტში არ დაწყებულია; მწყემს ქალთან ურთიერთობაში გამოვლინდა მხოლოდ ის, რაც მისი შინაგანი ბუნების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა. სხვაგვარად სრულიად გაუგებარი იქნებოდა იმ საბედისწერო ღამეს დატრიალებული ტრაგედია.

მართლაც და, რა მოხდა იმ ღამეს ისეთი, რომ ღმერთს არ შეეძლო ეპატიებინა მწირისათვის? რა ჩაიღინა მწირმა იმ ღამეს ისეთი, რომ მეორე დღეს სარკმლიდან გადმოშვებულმა სხივმა ლოცვანი არ დაიჭირა?

1. მწყემს ქალთან საუბარში განდევილს წამოცდა „მე უბედურსაო“; 2. ცეცხლის პირას მწოლარე, ჩაძინებული მშვენიერი ქალისაკენ დაიხარა საკოცნელად. ეს საქციელი ღმერთმა არ აპატია განდევილს, შერისხა იგი. უფრო სწორად რომ ვთქვათ, თვითონ განდევილმა ისე დიდ ცოდვად ჩათვალა ისინი, რომ დანაშაულის სიმძიმის შეგნებამ გაუფანტა დიდი ხნიდან შემუშავებული და წლების მანძილზე განმტკიცებული ილუზია მზის სხივის მიერ ლოცვანის დაქვრისა, ხოლო ილუზიის გაქრობასთან ერთად გაქრა ყოველგვარი იმედი უზენაესთან საბოლოო შერიგებისა და ჩადგანაც ეს უკანასკნელი უმადლესი ღირებულების დაკარგვას ნიშნავდა, მწირიც თან გადაწყვა მის დაკარგვას.

სწორედ ეს მომენტია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საერთოდ „განდევილის“ პრობლემატიკისა და, კერძოდ, განდევილის პრობლემის თვალსაზრისით. რატომ უნდა ჩათვალა მწირს ზემოაღნიშნული შეცოდებანი ისე მძიმედ, რომ პატიების იმედი სრულიად გაქრობოდა და იმედის ამ გაქრობას თან გადაჰყოლოდა? მართალია, „უბედურსაო“ თავის თავზე იტყვის მხოლოდ ისეთი ადამიანი, რომელიც უკმაყოფილოა ხვედრით და „მუნათს რასმე სდებს შემოქმედსა“, მაგრამ ეს სიტყვა ზომ წა მო ც და მწირს, მან ხომ მყისვე გააცნობიერა ამ წამოცდენის დანაშაულებრივი ხასიათი და უკუაგდო მოულოდნელად გამოჩენილი ბუნდოვანი განცდა უბედურისა? მან ხომ მყისვე მოიშველია თავისი გონიერი ცნობიერება, მეორეული ცნობიერება და თავისი ძლიერი გონების ლოგიკური ოპერაციებით დაადგინა მის მიერ არჩეული გზის სისწორე, სულისათვის ზრუნვის აუცილებელი საჭიროება, საწუთროს ამოებათა მართლაც სრული ამოება? „უბედურსაო“—ეს ხომ მხოლოდ წამოცდა ანგარიშიცემლად, ხოლო მთელმა მისმა შეგნებულმა მე-მ უარყო ეს წამონაცდენი. ნუთუ ეს არ იყო საკმარისი შეცდომების გამოსყიდვისათვის?

მეორე შეცოდება იყო საკოცნელად დახრა. თუ პირველი შეცოდების გაანალიზებისა და წამონაცდენი სიტყვის უკუგდების შემდეგ მწირი ასე თუ ისე, ნაწილობრივ მაინც, დამშვიდებული იყო, ახლა, ამ მეორე შეცოდებამ იგი თითქოს საბოლოოდ გაანადგურა. მართალია, დანაშაული მეტად მძიმე ჩანდა, რადგან საწუთროებას ვანშორებულსა და ღვთის წიაღს შეფარებულ ასეეტს, კანონის მიხედვით, ეკრძალებოდა არა მარტო სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, არამედ აღ დაკმაყოფილებაზე ფიქრიც, რადგან „ყოველი, რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულისთქმად მას, მუნვე იმრუშა მისთანა გულსა შინა თვისსა“, მაგრამ ისეთ ფილოსოფიურად მოაზროვნეს, როგორიც განდევილი იყო, უნდა სცოდნოდა ისიც, რომ არ არსებობს ცოდვა, რომლის მი-

ტყემა ღმერთს არ შეეძლოს, თუკი ადამიანი გულწრფელად მოინანიებს მას. ძნელია იმის დაშვება, რომ ყველაფერი ეს არ იცოდა ფილოსოფოსმა ბერმა. მან ეს აღბათ. იცოდა. ამიტომ გაუგებარია, თუ რატომ არ აპატიო მან თავის თავს შეცოდებანი და რატომ გაეფანტა ილუზია შვის სხივისაგან წიგნის დაქუჩის შესახებ?

— აქ ფსიქოლოგის ყურადღება არ შეიძლება არ მიიქციოს წამოცდენის ფაქტმა. წიგნის წამოცდა — „უბედურსაო“. წამოცდენა შეიძლება ფსიქოლოგიურად სხვადასხვაგვარი იყოს; თუმცა ფიზიკური ფაქტი ერთი იქნება ამ სხვადასხვა შემთხვევაში. შეიძლება პიროვნებას წამოცდეს ისეთი სიტყვა, რომელიც მისი საერთო სურვილების, მიდრეკილების; ტენდენციის, მიმართების შინაარსს სრულიად არ ასახავდეს და წარმოადგენდეს შედეგს მეტყველების დროს ცნობიერებაში შემოჭრილი პეტროგენული ელემენტის შემთხვევითი გავლენისას. ასეთ წამოცდენას სერიოზულად არაფერს მიიღებს და არც თავს შეიწუხებს იმაზე დაკბობა — ეს რა მომივიდა, რა დანაშაული ჩავიდინეო. მაგრამ წამოცდენა შეიძლება პიროვნებისათვის არსებით შინაარსს შეეხებოდეს, ე. ი. ისეთს, რომელიც მისი სურვილების, მიმართებათა და ტენდენციათა ასახვას წარმოადგენს: სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეიძლება წამოცდენა იყოს გამჟღავნება იმისა, რაც პიროვნების სასურველ საგანს წარმოადგენს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მისი გამჟღავნება შეუძლებელი იყოს. ამ მეორე კატეგორიის წამონაცდენებს შორის შეიძლება იყოს ისეთიც, რომლის შესახებ სხვამ არ უნდა იცოდეს არაფერი, თორემ თვითონ პიროვნების უშუალო განცდაცა და შეგნებული ცნობიერებაც თავის იდეალად სახავდეს, მის განხორციელებას ელტვოდეს სულითა და გულით.

მაგრამ ამავე კატეგორიის წამონაცდენებს შორის შეიძლება აღმოჩნდეს ისეთიც, რომლის გამჟღავნებაც პიროვნებას არ შეეძლოს არა მარტო სხვის, აბამედ თავისი თავის წინაშეც. თავისი თავის წინაშეო რომ ვამბობ, რასაკვირველია. ვგულისხმობ იმ განსხვავებას, თუ გნებავთ, დაპირისპირებასაც კი, რომელიც შეიძლება არსებობდეს უშუალო განცდისა და შეგნებული ცნობიერების შინაარსებს შორის. შესაძლებელია, რა თქმა უნდა, მოხდეს ისე, რომ უშუალო ცნობიერება გამონატყვედეს პიროვნების საერთო მიმართულების მთელ ტენდენციებს და შეგნება კი მხოლოდ იმას, რაც სხვადასხვა გარემოების გამო აუცილებელია პიროვნების ქცევის მოწესრიგებისათვის საზოგადოების ოფიციალურ ფენებში. მაგრამ არც ისაა შეუძლებელი რომ სწორედ მეორე პლანის ცნობიერება გამონატყვედეს პიროვნების საერთო მიმართულებას, ხოლო უშუალო ცნობიერებისეული შინაარსი შედიოდეს ამ მთლიანპიროვნულ ბიუჯეტში, როგორც მხოლოდ ერთგვარი ოპოზიციური ელემენტი. ყველაფერი ეს თავისებურად დალაგდება პიროვნებაში და თავისებურს, სპეციფიკურ სახეს მისცემს მას.

განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ადამიანის ფსიქიკაში ისეთი შინაარსები, რომელნიც შინაგანი აკრძალვის, შინაგანი ცენზურის გავლენაში იმყოფებიან მხედველობაში გვაქვს ისეთი შინაარსები, რომელნიც მორალურ გრძობებთან, ტაბუსთან და რელიგიურ განცდებთან არიან დაკავშირებული. ასეთი შინაარსების შემოსვლად ცნობიერებაში ყოველთვის მეტისმეტად მწვავე უსიამოვნებას უკავშირდება. ეს მწვავე განცდები ხშირად გადადიან აფექტში და შეუძლიათ გამოაჩვენონ შემსაბრუნებელი, სიღამბრე; სიკვდილიც კი, ე. ი. ამ ხასიათის განცდებში უტყდებიან ფსიქიკურ ფიზიკური კატასტროფის წინაშე აყენებენ ადამიანს.

ამ შინაარსების აღმნიშვნელ სიტყვათა წამოცდენას პიროვნება გულგრილად ვერ შეხვდება, რადგან წამოცდენა აქ ნიშნავს მხოლოდ გამოთქმას, გამოვლინებას იმისას, რაც ცნობიერებაში უკვე შემოვიდა, და, მამასადამე, ფსიქოლოგიურად უკვე განხორციელდა.

ვფიქრობ, ამგვარ წამოცდენასთან უნდა გვქონდეს საქმე ჩვენი მწირის შემთხვევაში. „უბედურსაო“ მას წამოცდა ისე, რომ ეს წამოცდენა გამოხატავდა მის საერთო განწყობილებას და სიტყვა „უბედურით“ განდევილი იძლეოდა თავისი ხვედრის მეტად გულწრფელ, მართალ დახასიათებას. ასეთივე ხასიათისა იყო ქალისაკენ დახრა საყოცნელად. ესეც წამოცდენა იყო მაგრამ წამოცდენა არა სიტყვისა (აზრისა), არამედ საქმისა, მოქმედებისა. ის თავის დახრა, რომელსაც დროზე მიუხსრო მწირმა და რომელიც დროზე შეაჩერა, წარმოადგენდა მის სურვილთა, ზრახვათა და მისწრაფებათა უტყუარ რეალიზაციას და ამდენადვე ახასიათებდა. მის პიროვნებას ისევე გულწრფელად და მართლად, როგორც საბედისწეროდ წამომცდარი სიტყვა „უბედურსაო“. განდევილმა თავისი ძლიერი ნებისყოფის შემწეობით მოახერხა დაეძლია მაცდური სურვილები, მოშორებოდა ქვეყანას, ქვეყნიურ სიამოვნებას და ამით ამ სიამოვნებათა მიმართ მიდრეკილებაც ამოეღო გულიდან, მაგრამ მისი პიროვნების სიღრმეში დარჩნენ ქვეყნიური სურვილები, რომელნიც უფრო ზუსტად, სწორად, მართლად გამოხატავდნენ და ახასიათებდნენ მის პიროვნებას, ვიდრე ის შეგნებული ნახევარი, რომელიც წარმოადგენდა, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ ფასადს და არა თვითონ შენობას მისი სულისას.

დაუბრუნდეთ ისევ ადრე დასმულ კითხვას: რატომ ჩათვალა მწირმა ეგზომ მომავდინებლად მის მიერ დაშვებული ორი შეცდომა, ნუთუ მან არ იცოდა, რომ ღმერთი ყოველგვარ შეცდომას აპატიებს ადამიანს, თუკი ეს უკანასკნელი გულწრფელად მოინანიებს მათ? ვფიქრობ, ეს იცოდა მან, მაგრამ ეს ცოდნა ვერ გამოიყენა თავისი თავის მიმართ, ვერ მიუყენა თავის თავს, თავის შეცდომებს, რადგანაც ცოდნა, როგორც შეგნებული პიროვნების ფორმალური მონაპოვარი, დარჩა როგორღაც ცალკე, თავისთვის და ადამიანის უშუალო გაცდა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში უფრო ზუსტად გამოხატავდა მთელს პიროვნებას,—ცალკე, თავისთვის. ერთი სიტყვით, განდევილი წარმოადგენდა გაორებულ პიროვნებას და ამაში იყო მისი უდიდესი ტრაგედია.

ამაშივეა პოემის უდიდესი იდეური და მხატვრული ძალაც: იდეური ძალათქო რომ ვამბობ, მხედველობაში მაქვს შემდეგი: ილიამ განდევილად გამოიყვანა ფიზიკურად და ფსიქიკურადაც ნორმალური, ზნეობრივად სპეტაკი ადამიანი, რომლის განდევნამაც, გამოქვაბულში დაუხუდებაც და სულის გაწმენდისათვის ზრუნეაც სრულიად ბუნებრივი და ლოგიკური ჩანს, თუ მივიღებთ იმ წინამძღვრებს, რომელთა საფუძველზეც მწირმა თავისი დასკვნები გამოიყვანა. მაგრამ ისმის კითხვა: მივიღებთ თი? შეეძლო განა ილიას ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობის თეორიის მიღება? რასაკვირველია, არ შეეძლო. თუ არ შეეძლო, მაშინ როგორი უნდა ყოფილიყო მისი განდევილი? ცხადია, მხოლოდ ისეთი, რომელიც გარეგნულად, ფორმალურად მოწესრიგებული იქნებოდა, მაგრამ რომლის სულიერი ცხოვრების ღრმა შრეებში იარსებებდა ისეთი ელემენტები, რომელნიც მუდმივ ოპოზიციაში ჩაუდგებოდნენ დოგმატიზმის უსულგულო დებულებებს. ილიას, როგორც დიდ პოეტსა და მოაზროვნეს, არ შეეძლო მოეცა სხვაგვარი გმირი, რადგან მას უნდა დაენგრია ასკეტიზმის მრავალსაუკუნოვანი ციხე-სიმაგრე და მასში მოთავსებული თეორია პასივობისა

ძირ-ფესვიანად აღმოეფხვრა. ასკეტიზმის ძირითადი მოთხოვნა ხომ ქვეყნიდან განსვლაში მდგომარეობს. მაგრამ ვინ უნდა განვიდეს ქვეყნიდან? ყველა ადამიანი? რასაკვირველია, ეს შეუძლებელია. წუთისოფელი უნდა დატოვოს მხოლოდ ზოგიერთმა. მაგრამ ვინ უნდა იყოს მაინც ეს „ზოგიერთი“? ესაა უაღრესად ძნელი, პირდაპირ საბედისწერო კითხვა ასკეტიზმის თეორიისათვის. ეს კითხვა დააყენა ილიამაც მწვემის ქალის პირით: „ვინც ქვეყნად ვართ ყველა წაგწყდებით, ველარ დაეხსნით ვერაფრით სულსა?“ ჩვენმა ფილოსოფოსმა მწირმა კარგად იცოდა, თუ როგორ უპასუხებდა ამ კითხვაზე ასკეტიზმის თეორია. სახელდობრ: ხსნა ყველგან არის, მაგრამ ზოგი ქვეყნად რჩება, ხოლო ზოგიც განდგება ხოლმე მისგან. მაგრამ აქ ისევ დაისმის კითხვა: ვინ უნდა იყოს მაინც ეს „ზოგიერთი“, რომელმაც ქვეყანა უნდა დატოვოს? თუკი იგი იქნება ისეთი ვინმე, რომელსაც ამქვეყნიური სიტყობებიანი თავისთავად არაფრად უღირს, ცხადია, მას ეს დათმობად არ ჩაეთვლება, რადგან იგი ფაქტიურად არაფერს თმობს: ასეთი ადამიანის პიროვნებაში ემოციური ელემენტი იმდენად მკრთალია და სუსტი, რომ სრულიად არაა საჭირო ნებისყოფის მოშველიება ქვეყნის დათმობისათვის. მაგრამ თუ ქვეყნის დათმობას განიზრახავს ნორმალური ადამიანი, რომლისთვისაც უცხო არაა ამქვეყნიური სიტყობებიანი, მაშინ მან უარი უნდა თქვას ისეთ რამეზე, რომელიც მისი სურვილის, მისწრაფების, ლტოლვის საგანს წარმოადგენს და რომელსაც, მაშასადამე, მისთვის გარკვეული ღირებულება გააჩნია: დათმობა საერთოდ ნიშნავს იმას, რომ უნდა არსებობდეს სასურველი საგანიც და ნებისყოფაც. პირველი არის ის, რის მიმართაც თავს შეიკავებენ ანუ რასაც თმობენ, ხოლო მეორე კი ის, რაც თავს შეაკავებინებს, რაც ათმობინებს. დათმობას კი მაშინ აქვს ფასი, როცა დასათმობი საგანი მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს პიროვნებისათვის.

სწორედ ამ უკანასკნელი ტიპის პიროვნება იყო განდევნილი. მან სწორედ დაინახა ამქვეყნიური უკუღმართობის ყველა სახე, მაგრამ ასკეტიზმის თეორიით გაბრუნებულმა ის კი ვერ შეამჩნია, რომ ქვეყნად არა მარტო ბოროტებაა, არამედ სიკეთეც და ადამიანის დანიშნულება იმაშია, რომ სიკეთისა და სათნოების ძალებთან მჭიდრო კავშირში შეებრძოლოს ბოროტებას ისევ ამ მატერიალური ქვეყნის ფარგლებში, მატერიალური ქვეყნისავე ძალებით. ეს ვერ შეამჩნია მწირმა, რაც განაღდა მისი პიროვნების გაორების საფუძველიცა და მისი შინაგანი ტრავმის საბედისწერო მიზეზიც. მწირის პიროვნება გაორდა იმის გამო, რომ მან, ერთის მხრივ, სიტყვაშეუბრუნებლად მიიღო დოგმატიზმის დებულებები, ხოლო მეორე მხრივ, ფაქტიურად ვერ დათრგუნა თავის თავში ნორმალური, კანონიერი და რეალური ადამიანი, რომლის სასიცოცხლო ინტერესები პრინციპულად უპირისპირდებოდა დოგმატიზმის დებულებებს... ეს ნორმალური ადამიანი კანონიერად მოითხოვდა სწორედ იმას, რასაც ასკეტიზმის კანონი კატეგორიულად კრძალავდა. განდევნილი რომ ფსიქიკურად ძლიერი პიროვნება არ ყოფილიყო, კერძოდ, მას რომ მეტად ძლიერი ნებისყოფა არ ჰქონოდა, მაშინ, ცხადია, ვერ მოიქცეოდა ისე, როგორც მოიქცა:—ვერ დატოვებდა საწუთროებას. მაგრამ თუ მას ძლიერი ემოციებიც არ ექნებოდა, მაშინ არც დასათმობი ექნებოდა რამე და, მაშასადამე, პოემის გმირად არ გამოდგებოდა. განდევნილს გააჩნდა ისიც, რაც უნდა დაეთმო (ემოციები) და ისიც, რითაც უნდა დაეთმო (ნებისყოფა). ამიტომაც მან ფორმალურად სავსებით დაამყოფილა ასკეტის წინაშე წაყენებული მოთხოვნები და გამოქვაბულს შეეკედლა,—დათმო საწუთროება.

მაგრამ დათმობის ფაქტი ფსიქოლოგიურად იმას კი არ ნიშნავს, რომ დასა-
თმობი საგნის არსებობა საერთოდ ამოიღო ცნობიერებიდან (ეს ფაქტიურად
შეუძლებელიცაა), არამედ იმას, რომ ცნობიერებაში გაბატონებულ სურვილებს
სძლიო ისე, რომ რეალური ქცევა არ იქნეს მიმართული მათ სასარგებლოდ
და იმავე დროს თვითონ სურვილის ინტენსივობაც დათურგნო იმ ზომამდე,
რომ სასურველ საგანს ცნობიერებაში ჩამოსცილდეს სასურველობა და დაა-
ჩეს ცნობიერების საგნად ისე, როგორც, ვთქვათ, აზროვნების, აღქმის, ფანტა-
ზიის საგანი. დათმობის ცნება ფსიქოლოგიურად სხვას არ შეიძლება ნიშნავდეს,
თუ არ ამას. მართალია, ამის მიღწევა აბსოლუტურად მეტად ძნელია, იქნებ შე-
უძლებელიც, მაგრამ თუ დათმობამ იმდენი მაინც ვერ გააკეთა, რომ სასურველ
საგანს ცნობიერების გაბატონებული შინაარსის ძალა წაართვას და იგი უკანა
პლანზე გადასწიოს, ერთგვარი ინდიფერენტიზმის ფერფლი მიაყაროს, მაშინ
მარტოოდენ ქცევაში რეალური განხორციელებისაგან თავის შეკავება არ შეიძ-
ლება დათმობად ჩაითვალოს.

არის ისეთი სფეროები, რომელსაც აკმაყოფილებს დათმობის ისეთი სახეც
კი, როგორცაა თავის შეკავება ამა თუ იმ მოქმედებისაგან. ავიღოთ თუნდაც
სამოქალაქო და სისხლის სამართალი ან ზრდილობის სფერო. სამოქალაქო და
სისხლის სამართლის კოდექსი დამნაშავედ თვლის მხოლოდ იმას, ვინც ფაქტი-
ურად დაარღვევს დაწესებულ ნორმებს. ქურდი ან მკვლეელი ისჯება იმის გამო,
რომ ქურდობის თუ მკვლელობის აქტი რეალურად განხორციელდა. მაგრამ
პიროვნება, რომელსაც ესენი არ ჩაუდენია, თუმცა სულითა და გულით უნდო-
და და ახლაც უნდა მოიპაროს რამე ან მოკლას ვინმე, კანონით არ ისჯება. ასე-
ვეა ზრდილობის სფეროშიაც: უზრდელად ითვლება არა ის, ვინც გუნებაში უწმა-
წურ რამეს ფიქრობს, არამედ ის, ვინც, მაგალითად, „შენობით“ მიმართავს
ზოლმე უფროს ადამიანს, თუმცა პირველი ამთავანი გაცილებით უფრო მძიმე
დარღვევა საზოგადოებაში თავის დაჭერის წესებისა, ვიდრე მეორე.

მაგრამ არის ისეთი სფეროები, რომელნიც დათმობას მოითხოვენ როგორც
ობიექტურად ისე სუბიექტურადაც, ე. ი. გარეგნულადაც და შინაგანადაც. რე-
ლიგია და მორალი, მაგალითად, ფიზიკური შედეგებით არასოდეს არ დაკმაყო-
ფილდებიან. რელიგიური ან მორალური დათმობა მოითხოვს შინაგან მოწესრი-
გებას და მისი შესატყვისი გარეგანოვლინების ფორმის გამომუშაებას. ამ სა-
ხის დათმობას მოითხოვს ასკეტიზმის კანონიც. მისთვის აუცილებელია თვითონ
სურვილის, როგორც ასეთის, მოხსნა ისე, რომ სასურველი საგნის უუკვლევნი-
სათვის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საჭირო არ იყოს ნებისყოფის აქტივი-
სათვის მიმართვა. ეს კი თვითონ ნებისყოფის ძალღონეს აღემატება. ამისთვის
საჭიროა პიროვნების სიღრმის შრეების მოწესრიგება იმგვარად, რომ სავალ-
დებულოდ მიჩნეული უმაღლესი ღირებულება იქცეს დაღვებით ემოციის საგ-
ნად. ე. ი. ვიტალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ მიმართული და
მასთან დაკავშირებული ემოცია გარდაიქმნას მაღალ ემოციად ისე, რომ ნაშთის
სახით იქ აღარაფერი დარჩეს.

აი, რა ვერ შეძლო განდევილმა, აი, რომ გააორა მისი პიროვნება და გახა-
და უაღრესად ტრაგიკული. ისმის კითხვა: რატომ ვერ მიადწია განდევილმა
იმას, რისი მიღწევაც მას ევალებოდა? როგორც ზევითაც დავინახეთ, მას არ აყ-
ლია ნებისყოფის ძალა. მას არც საზოგადოებრივი მორალის თვალსაზრისით
აქვს რაიმე ნაკლი. იგი მშვენიერი პიროვნებაა. მაშინ რა მოხდა ისეთი, რომ მი-
სი პიროვნება გაორდა და ტრაგიკული გახდა?

საქმე შემდეგში უნდა იყოს: მწირმა, როგორც ფილოსოფოსმა, უყუყუანოდ მიიღო ასკეტიზმის ყველა დოგმატი. სულის უმაღლეს ღირებულებად აღიარებით მან მატერიალური ქვეყნის აბსოლუტური არარაობაც აღიარა. ამით აზროვნების სიბრტყეზე ყველაფერი თითქოს მოწესრიგდა. თუ სულია ერთადერთი უმაღლესი ღირებულება, თუ მთელი მატერიალური სამყარო მისი ბორკილია, თუ ეს ქვეყანა მაცდურების, ღალატის, ბოროტების, რყვნის და წაწყმედის სამეუფოს წარმოადგენს, მაშინ, ცხადია, იგი უნდა უარყოს კაცმა და მართოდ სულისათვის უნდა იზრუნოს. როგორც ვხედავთ აქ ყველგან ვამბობთ: „თუ“ ეს ასეა, მაშინ ასეც უნდა მოიქცე. მაგრამ არის კი ეს ასე? აი, რა არ გამოუკვლევია ჩვენს ფილოსოფოსს, აი, რა არ შეუმოწმებია მას ისევე, როგორც ამას არ ამოწმებდნენ, საერთოდ, შუა საუკუნეების ასკეტები. ამიტომ განდევილს გამოუვიდა ისე, რომ მისი მსჯელობის მთელი სისტემა იყო ფორმალურად სწორი, მაგრამ არსებითად არაქვეშაირი.

მაგრამ საქმის ასეთი ვითარება სრულიადაც არ იძლეოდა საფუძველს პიროვნების შინაგანი გაორებისა და მისი ტრაგიკულობისათვის, თუ იარსებებდა შინაგანი რწმენა მიღებულ დებულებათა სისწორისა, ე. ი. თუ მწირის შინაგანი ქვეყნის განცდითი (უშუალო განცდა) მხარე დაემთხვეოდა მისსავე აზრითს მხარეს; თუ ადამიანის ადამიანური ალლო და გონების მიერ სწორად მიჩნეული დებულებები ერთიმეორეს შეავსებდა ჟსიქოლოგიურად. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ასკეტიზმის დოგმატები მიიღო განდევილის გონებამ წანამძღვრების შეუმოწმებლად და დაკმაყოფილდა დებულებათა ფორმალური სისწორით, მაგრამ მიღებული დოგმატების მთელი სისტემა ეწინააღმდეგებოდა მთელ მის ადამიანურ ბუნებას. ფორმალურად სწორი აზრთაწყობა რომ არსებითად ქვეშაირი არ იყო, ეს მოვლენათა ობიექტურ ვითარებას ასახავდა. სუბიექტურში ამით შეესაბამებოდა თვითონ განდევილის მიერ გაცნობიერებული ფორმალური დასკვნები, ერთი მხრივ, და მისივე უშუალო განცდები, მისი ალლო, მეორე მხრივ. ხოლო ესენი კი, როგორც ვთქვით, ერთმანეთს არ ეთანხმებოდნენ, პირიქით, ისინი უპირისპირდებოდნენ კიდევაც ერთმანეთს. ამ დაპირისპირებამ გააორა მისი პიროვნება, ხოლო გაორებამ კი იგი ტრაგიკული გახადა.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით რომ შევხედოთ იმას, რაც განდევილის პიროვნებაში მოხდა, დავინახავთ, რომ მისი გონების მიერ მიღებული დანასკვი და მისივე რწმენა არა თუ არ დაემთხვა ერთმანეთს, არამედ ვერც შეურიგდა. დამცველად იმისა, რასაც გონება ასკენიდა, გამოდიოდა მწირის ნებისყოფა. მწირის ძლიერი ნებისყოფა ფხიზელ გუშაგად იღვა გონების მიერ უმაღლესად მიჩნეული ღირებულების სადარაჯოზე, მაგრამ მთელი მისი უშუალო ცნობიერება პროტესტს აცხადებდა იმის წინააღმდეგ, რასაც ნებისყოფა იცავდა. ამიტომ იყო, რომ მწირის ნებისყოფამ ვერ ჩააჩუმა მისი ემოციური სამყარო. ნებისყოფის ძალამ, მართალია, შესაძლებელი გახადა თავი შეეკავებინა განდევილს ხორციელ ზრახვათა რეალური განხორციელებისაგან, მაგრამ ეს ხორციელი ზრახვანი დარჩნენ მისი უშუალო განცდის სიღრმეში სრულიად ნირშეუცვლელად: არ იქნა და ვერ ჩამოშორდა სასურველ საგნებსა და მოვლენებს სასურველობა; ვერ მიიღო ემოციურმა სამყარომ თავისი დადებითი მიმართების საგნად ის, რასაც ასკეტიზმის თეორია სთავაზობდა მას უმაღლესი ღირებულების სახელით, ამიტომაც ვერ მოწესრიგდა განდევილის პიროვნება მისივე გონების ნაკარნახევის შესაბამისად. ესაა მიზეზი იმისა, რომ მწირის სულში განუწყვეტილვ ტრიალებს დაეჭვების უშრეტი ცეცხლი. მისი შინაგანი რწმენაა შერ-

ყუელი, გაბზარული და ამის გამოა, რომ ყოველდღე სჭირდება თავისი სიწმინდის შემოწმება. ამ მხრივ საინტერესოა არა მარტო ფინალი პოემისა, სადაც მოცემულია მართლაც გრანდიოზული სურათი შეცდომების სიმძიმის შემოწმებისა ლოცვანით ხელში, სხივ ქვეშ, არამედ პოემაში მოცემული წინასწარი ცნობებიც იმის შესახებ, თუ როგორ ამოწმებდა განდევილი თავის სიწმინდეს ყოველდღიურად. გავიხსენოთ პოემის მეექვსე თავი, რომელშიაც მოთხრობილია, რომ სენაკს ჰქონია მზის მხრით ერთი საჩუკელი, რომლიდანაც მზის სხივი გადმოეშვებოდა ხოლმე. მწიფიც დააყრდნობდა თავის ლოცვანს სხივზე, და სხივი მას „ზედ შეიჩინდა“. სხივის მიერ ლოცვანის დაჭერას სიწმინდის დადასტურების ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული: „ეგრე ვიდოდნენ დღენი და წელნი, ეგრე უბიწოდ იგი სცხოვრებდა... და თვის სიწმინდეს ყოველდღე თურმე ამ სასწაულით შეიმოწმებდა“.

რატომ სჭირდებოდა შემოწმება სიწმინდეს იმ ადამიანისას, რომელმაც ყველაფერი გაწირა, დათმო ამ სიწმინდის მოსაპოვებლად? შემოწმების საჭიროება ხომ თავს იჩენს ხოლმე მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს ვანცდა დაექვევებისა იმისადმი, რაც უნდა შემოწმებულ იქნეს? განდევილს კი შესამოწმებელი ჰქონდა თავისი სიწმინდე იმის გამო, რომ მისი პიროვნება შინაგანად არ იყო მოწესრიგებული. აი, სწორედ ამ მოუწესრიგებელ შინაგან სამყაროში მუდმივმოქმედმა ძალებმა გამოიწვიეს მწყემს ქალთან საუბარში წამოცდენაც სიტყვისა „უბედურსაო“, მწყემსი ქალის საკოცნელად დახრაც და ყველაფერი ის. რაც ამათ მოჰყვა, როგორც ბუნებრივი შედეგი.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზევით ითქვა, შეიძლება ილიას საერთო ჩანაფიქრის ფსიქოლოგიური ასპექტი გააზრებულ იქნეს შემდეგი სახით: განდგომილობისა და, მასთან ერთად, ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობის თეორია მიუღებელია თავისი წინამძღვრების მცდარობის გამო. თუმცა ეს ასეა, მაგრამ შესაძლოა ადამიანის გონება შეცდომაში შევიდეს და წინამძღვართა ქეშმარიტობის შეუწმინდებლად მიიღოს ამ თეორიის ფორმალური სისწორე. შესაძლებელია ამ თეორიიდან ამოსულმა ადამიანმა პრაქტიკულადაც განახორციელოს თეორიის მოთხოვნა და დასთმოს წუთისოფელი. ასეთი საქციელის შესაძლებლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რაოდენ ძლიერი ნებისყოფის პატრონია პიროვნება. ძლიერი ნებისყოფის შემთხვევაში მოხდება საწუთროების რეალური დათმობა, მაგრამ თუ ეს დამთმობი პიროვნება წარმოადგენს ფსიქიკურად ნორმალურ ადამიანს, მაშინ ფსიქოლოგიური დათმობა არ შეიძლება მოხდეს, ე. ი. ის, რაც სასურველი იყო ნორმალური ადამიანისათვის, ვერ დაკარგავს სასურველობის ელფერს, ხოლო ის, რაც ფორმალურად სწორამ, მაგრამ არსებითად მცდარამ თეორიამ მიაწოდა უმალესი ღირებულების. სახით, ვერ დაიკავებს დადებითი ემოციის საგნის ადგილს, ვერ შეცვლის მას. ამას შედეგად მოჰყვება კონფლიქტი გონებისეულსა და უშუალო განცდისეულ სფეროებს შორის, ხოლო კონფლიქტი კი წარმოშობს პიროვნების გაორებას.

გაორებული პიროვნება ტრაგიკულია და მით უფრო მეტი იქნება ტრაგიკულობის ინტენსივობა, რაც უფრო ძლიერი იქნება ადამიანი ფსიქიკურად. ძლიერი ნებისყოფისა და ასევე ძლიერი ემოციის ურთიერთდაჯახება შეიძლება პიროვნების კატასტროფით დამთავრდეს. მაშასადამე, ასკეტიზმის თეორია არა მარტო ყალბია ობიექტურად, არამედ მისი პრაქტიკული განხორციელება შეუძლებელია სუბიექტურად: ნორმალური ადამიანის ფსიქიკა ვერ შე-

ეგუება მას, რადგან მისი მოთხოვნილება არა მარტო არაადამიანურია, არამედ ანტიადამიანურიც.

განდევლის ტრაგედია გაორებული ადამიანის ტრაგედიაა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან იგი იყო როგორც ფსიქიკურად, ისე ფიზიკურად ჭანსალი პიროვნება, რომლის ნებისყოფამ სასწაულებრივად გაიმარჯვა უძლიერეს ემოციასთან ორთაბრძოლაში, მაგრამ თვითონ ემოციამ, აფექტში გადასულმა, შიგნიდან ააფეთქა და გაანადგურა მწირის მრავალტანჯული სხეული: „ერთი საშინლად შეპბლავლა ღმერთსა და იქავ, სხივქვეშ უტევა სული“.





ვ. გაგოძიე

ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური შეხედულებანი

ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური შეხედულებანი მისი რთული მსოფლ-მხედველობის ერთი ძირითადი მხარეა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მათი სათანადო შესწავლის გარეშე შეუძლებელია მისი მსოფლმხედველობის რამდენადმე დამაკმაყოფილებელი წარმოდგენა. ამასთან, ილიას ფილოსოფიური თვალსაზრისის შესწავლისას უნდა გვახსოვდეს, რომ მას არ დაუწერია გამოკვლევები ფილოსოფიის სპეციალურ საკითხებზე. ამიტომაც, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ არა ფილოსოფიურ სისტემაზე ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, არამედ მის ფილოსოფიურ შეხედულებებზე, რომლებიც მკიდროდ არიან გადაკვანძული მისი მსოფლმხედველობის სხვა მხარეებთან. ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში დასმული ფილოსოფიური საკითხები ავტორის პრაქტიკულ მიზანდასახულობათა თეორიულ გამართლებას ემსახურებიან, ე. ი. ილიას ფილოსოფიური კონცეპციის მიზანია თეორიულად დასაბუთოს იმის აუცილებლობა, რის პრაქტიკულ განხორციელებასაც ის ცდილობდა.

ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური შეხედულებების ასეთი ქმედითი ხასიათი განისაზღვრება იმ პირობებით, რომელშიაც მას მოუხდა მოღვაწეობის დაწყება. ამ პირობათაგან აღსანიშნავია, ერთი მხრით, 60-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურება, ხოლო, მეორე მხრით, ქართველ პროგრესულ ახალგაზრდობაზე რუსული და დასავლეთ ევროპის მოწინავე იდეების, მათ შორის პროგრესული ფილოსოფიური მოძღვრების გავლენა.

60-იან წლებში გამწვავებულმა სოციალურმა წინააღმდეგობამ, ბატონყმობის მოსალოდნელმა გაუქმებამ გამოიწვია გამოცოცხლება ქართველი ხალხისა, რომელსაც ცხოვრებამ მრავალი საკითხი დაუყენა წინ ასახსენლად და გადასაწყვეტად. ქართული ცხოვრება თავისი წარსულის, აწმყოს, და მომავლის ახსნას, თავის შემდგომ გარდაქმნა-გაუქმობებსა და ბატონყმური უღლისაგან გათელილი პიროვნების ღირსების აღდგენას მოითხოვდა. „ამ მდგომარეობამ — წერს ილია ჭავჭავაძე — ჩვენი გონება დააკვირვა ჩვენს მიწიერ ავ. ქარგიანობას და სამოციან წლებიდან დღევანდლამდე, ამ ოცდაათის წლის მანძილზე, ბევრი საყოფადღებო ღვაწლი დასდო, ბევრი ნაყოფიერი თესლო დაჰყარა სამერმისოდ“¹.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, 1953, გვ. 226.

ქართველ სამოციანელთა შორის ილია ჭავჭავაძე ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც პეტერბურგში ახლო გაეცნო რუსულ და დასავლეთ ევროპის პროგრესულფილოსოფიურ და რევოლუციურ-დემოკრატიულ შეხედულებებს, რომელთაც გარკვეული ზემოქმედება მოახდინეს მასზე. ამიტომ, თუ ნიადაგი მის მსოფლმხედველობას 60-იანი წლების ქართულმა სინამდვილემ მოუშადა, მისი ჩამოყალიბება მოხდა რუსეთის და ევროპის რევოლუციურ-დემოკრატიულ და მატერიალისტურ მოძღვრებათა გავლენით, ხოლო განვითარდა და სრულ-იქმნა საქართველოში კონსერვატიული თავადაზნაურობისა და მისი რელიგიურ-იდელისტური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ, რომ ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიურ თვალსაზრისს დიდი კვალი ემჩნევა რუსული მატერიალისტური ფილოსოფიისა. გარდა ამისა, იგი კარგად იცნობს ჰეგელის დიალექტიკურ მეთოდს, თუნდაც მისი „ესთეტიკის“ მიხედვით, ბეკონს, რომლის ინდუქციურ მეთოდს ორიგინალურ ფორმას აძლევს თავის შემოქმედებაში, დიალექტიკის თვალსაზრისით იყენებს ლეიბნიცს, უპირისპირდება კანტიანობას კანონების ობიექტურობის საკითხში, იცნობს ფოიერბახის მატერიალიზმს, ხოლო შემდგომ პერიოდში დიდი გაცაცებით მუშაობს მარქსისტულ ლიტერატურაზე; სწავლობს როგორც თვითონ მარქსის „კაპიტალს“, ისე სხვა მარქსისტულ ლიტერატურას, განსაკუთრებით კა მარქსიზმის ეკონომიურ მოძღვრებას, პლენანოვს და სხვებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ ილია ჭავჭავაძე დასავლეთ ევროპის ფილოსოფიურ და ეკონომიურ მოძღვრებებს სწავლობდა რუსული ლიტერატურის შემწეობით და იმ კუთხით, როგორც ისინი განმარტებული იყო რუსულ ლიტერატურაში. „ძველი თაობა... — წერს ილია ჭავჭავაძე 60-იანი წლების ახალგაზრდობის შესახებ, — აღზრდილი და განსწავლული იყო რუსულ მწერლობა-მეცნიერებაში და უცხო მწერლობაშიაც, ისიც რუსულის შემწეობით“¹. მაგრამ, ცხადია, ეს იპას სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური შეხედულებანი წარმოადგენდა იმის განმეორებას, რაც უკვე იყო თქმული რუსი მოაზროვნეების მიერ. რუსული მატერიალისტური ფილოსოფიისა და აგრეთვე რუსული ლიტერატურის გაშუქებით დასავლეთ ევროპის ფილოსოფიური მოძღვრების შესწავლა მას იმდენად მიაჩნდა აუცილებლად, რამდენადაც საქართველოსა და რუსეთის ცხოვრება ერთნაირ ეკონომიურ და პოლიტიკურ პრინციპებზე იყო აშენებული. ამისდა შესაბამისად, ძირითადი სოციალური წინააღმდეგობანი, ისევე როგორც განვითარების პერსპექტივები, დამახასიათებელი რუსეთისათვის, უცხო არ უნდა ყოფილიყო არც საქართველოსათვის. ამიტომ, ბუნებრივია, ამ წინააღმდეგობათა ახსნასა და სოციალური პროგრესის ფილოსოფიურ დასაბუთებას როგორც საკუთარი ძალებით, ისე ევროპის ფილოსოფიური მოძღვრებების საშუალებით რუსეთში, თავისთავად უნდა მიექცია ილია ჭავჭავაძის უპირატესი ყურადღება. მაგრამ, მიუხედავად ამ მსგავსებისა, ილია ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ ყოველი ერის ცხოვრებას აბასიათებს გარკვეული თავისებურებანი, რომ ყოველი ერის აზროვნებამ ანგარიში უნდა გაუწიოს ამ თავისებურებებს და ისე წარიმართოს, რომ მისთვის იგი უცხო და გარედან თავზედ მოხვეული არ იყოს. „... რასაკვირველია, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — ზედმიწევნით

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, 1953. გვ. 311.

უნდა გავიცნოთ რუსული მწერლობა და აგრეთვე უნდა ვცდილობდეთ. სხვა უკნო მწერლობაც შევისწავლოთ. ჩვენთვის ეს იმდენად აშკარა და კვშმარირია, რომ მეტი ლაპარაკი საჭირო არ არის... ხოლო ჩვენი აზრი ის არის, რომ ყოველს სწავლასა და ცოდნას საძირკვლად საკუთარის მწერლობისა და ვითარების ცოდნა უნდა დაედოს... ახლად ფეხდგმულმა საზოგადოებამ საკუთარი ვითარება უნდა შეისწავლოს¹. აქედან ცხადია, რომ ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური შეხედულებანი, როგორც თეორიული საფუძველი მისი პრაქტიკული მოღვაწეობისა, ქართული სინამდვილის შესაბამისი უნდა ყოფილიყო.

ილია ჭავჭავაძემ პეტერბურგში აითვისა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის მატერიალიზმის ძირითადი პრინციპები, მოძღვრება სამყაროს, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების დიალექტიკური ხასიათის შესახებ, და ამ პრინციპებითა და მოძღვრებით შეიარაღებული, შეუდგა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების — მისი გაბატონებული პოლიტიკურ-ეკონომიური წყობისა და მსოფლმხედველობის კრიტიკას.

60-იანი წლებში საქართველოში ჯერ კიდევ გაბატონებული იყო მეურნეობის ბატონყმური სისტემა თავისი შესაბამისი რელიგიურ-იდეალისტური მსოფლმხედველობით. ამ მსოფლმხედველობის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ბატონყმური სისტემის შენარჩუნება, მოსალოდნელი დაღუპვისაგან მისი დაცვა და განმტკიცება.

კონსერვატიული და მოლიბერალო თავადაზნაურობის იდეოლოგიები გენერალი გ. ერისთავი, ა. სულხანიშვილი, ა. ვ. ჯამბაყურ-ორბელიანი, ბ. ჯორჯაძე და სხვები, სანყაროს—ბუნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას—ლმერთის მიერ შექმნილად აცხადებდნენ და ამიტომ ლმერთს თვლიდნენ ბუნებისა და ადამიანის საბოლოო მიზეზად; ისინი გაშმაგებით ებრძოდნენ განმანათლებლების იდეებს ადამიანის გონებისათვის გარემოს განმსაზღვრელი როლის შესახებ და მტკიცედ იცავდნენ რა განვითარების შეუძლებლობის მეტაფიზიკურ თვალსაზრისს, უარყოფდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონზომიერ და აუცილებელ ხასიათს. მეტაფიზიკურ თვალსაზრისს იცავდნენ აგრეთვე გარემოსთან ადამიანის ურთიერთობის საკითხში და უარყოფდნენ სამყაროს შემეცნების ადამიანურ უნარს. ამ შემთხვევაში მათ არგუმენტს წარმოადგენდა აზრი სამყაროს ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ და მტკიცება, რომ ადამიანს არ შეუძლიან შეიმეცნოს ლმერთის ნამოქმედარი, რადგან ადამიანის გონება უძლურია გაიგოს ლმერთის საიდუმლო წესი.

ამ მსოფლმხედველობის მიხედვით, მეცნიერებას, ხელოვნებას, ფილოსოფიას, არ უნდა დაესაზო მიზნად ცხოვრებასთან დაახლოება. ხელოვნებას ისინი განიხილავდნენ როგორც ღვთაებრივ მოვლენას, რომელსაც, მათი აზრით, ცხოვრებასთან დაახლოება დაუპარგავდა სიმშვენიერეს. რაც შეეხება ფილოსოფიას, ისიც რეალურ ცხოვრებაში კი არ უნდა ეჭმედეს თავის მასალას, — ფიქრობდნენ ისინი, — არამედ საღმთო წიგნებში, ქრისტიანულ მოძღვრებაში, მის დოგმებში.

საერთოდ 60-იანი წლების საქართველოში გაბატონებული მსოფლმხედველობის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ბრძოლა ადამიანთა ეკონომიური და სულიერი ცხოვრების უძრაობისა და უცვლელობის დასაბუთებისათვის.

¹ ი. ჭავჭავაძე, თბს, სრ. კრებული, ტ. 3, 1953, გვ. 315.

ყველ ახალ აზრს, ახალ თვალსაზრისს ეს მსოფლმხედველობა სასტიკად დევნიდა და ყველა შესაძლო საშუალებით ებრძოდა.

* * *

ასეთ მძიმე ატმოსფეროში მოუხდა ილია ქავჭავაძეს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა. 1861 წელს რუსეთიდან ახალი იდეებითა და შეხედულებებით დაბრუნებულ ილიას თვალწინ წარმოუდგა ეკონომიურად და სულიერად საშუალო საუკუნეების ძილით მძინარე საქართველო:

ვიდექ მარტოა და მთების ჩრდილი
კვლავ ჩემს ქვეყნის ძილს ვაღერსება.
ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი,
როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება.

ამ ძილის ერთ-ერთ მიზეზს იგი ხედავს მომავლის უპერსპექტივობასა და წარსულის ილუზიებში, რომელიც ხალხის ძვალსა და რბილში იყო გამჯდარი. ამიტომ მან ბრძოლა გამოუცხადა ამ ილუზიებს, როდესაც წერდა:

მას ნულარ ვსტირით, რაც დაკარგულა,
რაც უწყალოს დროს ხელით დანთქმულა,
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს.

ქართველი ხალხის ძილის, წარსულის ილუზიებისა და უპერსპექტივო მომავლის მთავარ მიზეზს ილია ქავჭავაძე ხედავდა, ერთი მხრივ, სოციალურ მონობაში—ბატონყმურ სისტემაში, ხოლო, მეორე მხრივ, ეროვნულ ჩაგვრაში, რომელიც ხალხს, მთელ ერს უკვავდა თვითმოქმედების ინიციატივას და ეკონომიურ და სულიერ მარწუხებში ჰყავდა მოქცეული. ამიტომ, მან ქართველი ხალხის შემდგომი წინსვლის, თანამედროვე მოთხოვნათა მიხედვით მისი ცხოვრების წარმართვის მთავარ პირობად პროგრესული ახალგაზრდობის წინაშე დასახა ბრძოლა სოციალური გარდაქმნების განხორციელებისა და ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაციისათვის. ამ ორი ამოცანის განხორციელება, — ილიას აზრით, — გამოაცოცხლებდა ქართველ ხალხში თვითმოქმედების მძლავრ სურვილს, წარმოშობდა მასში წინაყლის დაუშრეტელ ენერგიას და ქართველი ხალხის ცხოვრებას დააყენებდა იმ ხალხების გზაზე, რომლებმაც თავის ცხოვრებას ქვაკუთხედად დაუდვეს ადამიანთან თანასწორობა და შრომის საყოველთაობა.

ილია ქავჭავაძემ სასტიკად გაილაშქრა მოღიბერალო თავადაზნაურთა იმ თვალსაზრისის წინააღმდეგ, რომელიც საქართველოში ბატონყმობის თავისებურ ფორმას ხედავდა და ამ თავისებურების საბაბით საქართველოში ბატონყმური წყობილების გარდუვალობას ამტკიცებდა. ილია ქავჭავაძემ აჩვენა, რომ ბატონყმობა საქართველოში იმავე თვისებებისაა, როგორისაც იყო ყველგან, რომ ბატონყმური უღელი ისევე აუტანელია საქართველოში, როგორც სხვა ქვეყნებში, რომ მან უკვე მოსკამა თავისი დრო და საჭიროა

მისი მოსპობა და ცხოვრების ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისი წყობილების შექმნა.

ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური თვალსაზრისი სწორედ იმის დასაბუთებას წარმოადგენს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება და მისი ფორმა არ არის რალაც ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი, უცვლელი და უძრავი, არამედ იგი ობიექტური პროცესია, რომელიც მარად განუწყვეტელ განვითარებას, ცვალებადობას და წინსვლას განიცდის. ამ თვალსაზრისმა შესაძლებლობა მისცა მას იმ დასკვნამდე მისულიყო, რომ ბატონყმური წყობილება არა მარადიული, არამედ ცხოვრების ისტორიული ფორმაა, რომელიც გამართლებული იყო გარკვეულ პირობებში, მაგრამ შემდგომში დაკარგა არსებობის უფლება და განვითარების ბოკილად იქცა.

ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიის ქვაკუთხედს წარმოადგენს ცხოვრება და ადამიანი. ამიტომ იმის გარკვევის გარეშე, თუ რას წარმოადგენს ცხოვრება და როგორია მასთან ადამიანის დამოკიდებულება—შეუძლებელია, მისი აზრით, ადამიანს შთაენერგოს წინსვლის სურვილი, შეუძლებელია საზოგადოდ პროგრესი:

ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას
და მცნების ნათლით ზე აღზიდულ, ამაღლებული
კვიით არ განჭურვტავს საზოგადო ცხოვრების დენას,
იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული,
უქმის დრტივინით, გულის-წვითა მწარე ცრემლს დაღვრის,
მაგრამ არ ირწმუნს, წამებულო, შენს აღდგენასა,
და იგი ცრემლი ურწმუნობის, ეჭვის და ტანჯვის,
პლადადებს მხოლოდ ძისა შენის უძლურებასა.

ცხოვრებისა და კაცობრიობის განვითარების ამ ზოგადი ხაზის, მისი კანონზომიერების გარკვევის გარეშე არ შეიძლება შეიქმნას იმისი რწმენა,— წერს იგი,—რომ საქართველოს წინსვლა აუცილებელია. ანიტომაა, რომ მან მთელი თავისი ფილოსოფიური კვლევა-ძიება ამ მხრით წარმართა.

უპირველესად ყოვლისა, ილია ჭავჭავაძე შეებრძოლა ძველი მსოფლმხედველობის იმ არგუმენტებს, რომელთა თანახმად სამყარო,—ბუნება და საზოგადოება—ლვთავების ნამოქმედარია. ილიას აზრით, პირიქით, როგორც ბუნება, ისე საზოგადოებრივი ცხოვრება არის ობიექტური სინამდვილე, რომელიც თავისი არსებობისათვის რაიმე სხვა ძალას არ საჭიროებს. მისთვის სამყაროს ობიექტურობა ისეთი ფაქტია, რომელიც თავისთავად იგულისხმება. ამიტომ, იგი სპეციალურად არც კი სვამს ამ საკითხს. ეკამათება რა ეურნალ „ცისკარს“, რომელშიაც უმთავრესად კონსერვატიული და მთლიანად თავდაზნაურობის მსოფლმხედველობა იყო გაბატონებული, განსაკუთრებით კი იმ სუბიექტივისტურ ფრთას, რომელიც ბუნებას თავის გრძნობებით ხატავდა, ილია ჭავჭავაძე წერს: მათთვის ბუნება როგორც ობიექტი არ არსებობს, ის წმინდა სანთელია იმათ ხელში და რასაც უნდა, იმას გამოსახავენ. მათ ჰგონიათ, რომ ბუნება თავისთავად კი არ არის მშვენიერი, არამედ მათი პირადი გრძნობები აძლევენ მას სიმშვენიერეს, რომ მათი აზრით, მათს გრძნო-

ბებში ის კი არაა გამოსახული, რაც თვითონ ბუნებაშია, როგორც ბუნების აუცილებელი თვისება, არამედ პირიქით, ბუნებაში მათი გრძნობებია გამოსახული. „გარეგანი ბუნება მისთვის („ციცქრისათვის“.—ვ. გ.) არ არსებობს—წერს ილია—და თუ არსებობს, იმის ხელში ის წმინდა სანთელივით რბილია; გაათბობს თუ არა თავის გულის ცეცხლითა, იმას გამოსახავს ზედ, რაც თითონ უგრძნია და არა იმას, რაც თვით ბუნებაშია, როგორც აუცილებელი თვისება მისი“¹.

ბუნება,—ილიას აზრით,—არ არის იზოლირებული ადამიანისაგან. ადამიანი ნაწილია ბუნებისა, ანუ როგორც ილია წერს, ადამიანი იმით განსხვავდება „უტყვის ბუნებისაგან“, რომ იგი „მეტყველი ბუნებაა“. მაგრამ გარდაუვალი ზღვარი მათ შორის არ არსებობს, რაკი მოკვდება, რაკი სიცოცხლეს დაასრულებს, ადამიანიც იმავე უტყვ ბუნებად გადაიქცევა.

ვგრეცა კაცი ძლოერი ჰქრება,
რა ეწვევა მას სიკდილი—მტერი;
მშვენიერ არსის მაგიერ გვრჩება
ერთი მუჭალა გამხმარი მტვერი.

მსგავსად ადამიანისა, საზოგადოების ცხოვრებაც ბუნების ცხოვრების ვაგრძელებს. ამიტომ ის განვითარება, რაც ახასიათებს ბუნებას, ახასიათებს ცხოვრებასაც. „ცხოვრებასაც აქვს თავისი შემოღობვა და გაზაფხული—წერს ილია—როგორათაც ბუნებასა“².

ილიას ფილოსოფია ძირითადად ისტორიის ფილოსოფიაა. მას იმდენად ბუნების ობიექტურობის საკითხები არ აინტერესებს, რამდენადაც ცხოვრებისა. მის პრაქტიკულ ამოცანებს ყველაზე მეტად ცხოვრების ფილოსოფიის საკითხები ესაუბრება. ამიტომ თავის ფილოსოფიურ კვლევა-ძიების ცენტრში ილია ცხოვრებასთან ადამიანის დამოკიდებულების საკითხებს აყენებდა.

მსგავსად ბუნებისა, ილიას აზრით, ცხოვრებაც ობიექტური რეალობაა. მას აქვს თავისი განვითარების კანონზომიერება და თავისი მამოძრავებელი შინაგანი ძალა. „ცხოვრება თვითრჯულია,—წერს ილია,—იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რიკრიკაზედ; რომ თუმცა იგი ბერდება, მაგრამ იმ სიბერის გამოცდილებით ისევ თავისთავად ახლდება და ჰყვავის“³. ეს „თვითრჯული“ ცხოვრება, რომელიც ადამიანის ნებასურვილზე არ არის დამოკიდებული, არის ის საფუძველი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის წესს, ჩვეულებას, აზრს, გრძნობას, ენას, რადგან ყველა ესენი ცხოვრების გამომხატველნი არიან. ცხოვრება თვითონ ბადებს საჭიროებას გარდაქმნისას, საჭიროებას საზოგადოებრივი მოვლენების ცვლილებებისას. ამიტომ ყველა ცვლილებას, ყველა ახალ აზრს თავისი ძირი ცხოვრებაში აქვს დადებული, რადგან სხვანაირად ცხოვრება მას არ მიიღებს.

¹ ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, 1953, გვ. 459

² იქვე, ვგ. 57

³ იქვე, გვ. 71.

* * *

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, თუ რა ესმის ილიას ცხოვრების ცნებაში. სიტყვა „ცხოვრებას“ იგი ორნაირი გაგებით ხმარობს: ვიწრო გაგებით, — როგორც წარმოების პროცესში ადამიანის მატერიალურ ურთიერთობას, მის მიმართებას ბუნებასთან და სხვა ადამიანებთან და, ფართო გაგებით, — როგორც ადამიანის მთელ პრაქტიკულ და სულიერ მოღვაწეობას.

როდესაც იგი ლაპარაკობს ცხოვრებისა და ცნობიერების მიმართების შესახებ, მას ცხოვრების ცნებაში ესმის ადამიანთა მოღვაწეობის მატერიალური მხარე. ამ მხარეს ილიამ ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ 60-იან წლებში. მთელი მისი ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ წარმოადგენდა ბრძოლას ადამიანთა ეკონომიური ურთიერთობების, საერთოდ საზოგადოებრივი წარმოების გაუმჯობესებისათვის. წარმოებაში მას ძირითადად ესმოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ხოლო მთავარ მწარმოებელ ძალად მიაჩნდა გლეხი. წარმოების საერთო განვითარება მაშინაა შესაძლებელი, ფიქრობდა ილია, როდესაც მწარმოებელი გათავისუფლდება მონობისაგან და მას თავისუფალი შრომის საშუალება მიეცემა. ამასთან, მწარმოებელს უნდა წარმოადგენდეს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი საზოგადოება. მხოლოდ მაშინ, როდესაც საყოველთაო შრომის პრინციპი განხორციელდება, შეიძლება წარმოების განვითარება, წარმოების განვითარება კი საზოგადოების საერთო პროგრესის აუცილებელი პირობაა. რაც უფრო თავისუფალია მწარმოებელი ძალა — ადამიანი, მით უფრო მეტია მასში აქტივობა, მით უფრო მაღალია მისი შეგნება. ხოლო რაც უფრო აქტიურია და შეგნებული, მით უფრო ძლიერია იგი ბუნებასთან ბრძოლაში.

ადამიანის მოღვაწეობის ამ მხარეს ილიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია 80-იანი წლებიდან. ამ დროიდან იგი ამ უფრო აკონკრეტებს ცხოვრების ცნებას, როგორც საზოგადოების ეკონომიურ, მატერიალურ ურთიერთობას და მას საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელ როლს ანიჭებს. ილია ჭავჭავაძე საფუძვლიანად სწავლობს საქართველოს და სხვა ქვეყნების ეკონომიურ ცხოვრებას, ეცნობა ეკონომიურ მოძღვრებებს, მათ შორის მარქსიზმის ეკონომიურ მოძღვრებასაც და იმ დასკვნამდის მიდის, რომ საჭიროა საზოგადოების განვითარების გასაღები ვეძებოთ ადამიანთა ეკონომიურ ცხოვრებაში. „დღესთვითელი ჩვენგანი ჰგონობს, — წერდა ის 1893 წელს, — რომ აქამომდე მივიწყებულს ეკონომიურს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის; რომ ეკონომიური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა, ტანში გამართვისა, და აქ უნდა გავისარჯინეთ და ვიამაგოთ“¹.

ეკონომიურ წარმოებაში ილია ჭავჭავაძე გარკვევით აღნიშნავს ორ მხარეს: ერთი მხრით, უნდა გაუმჯობესდეს ადამიანთა ეკონომიური ურთიერთობანი, ხოლო, მეორე მხრით, უნდა განვითარდეს საწარმოო იარაღები და სამუშაო ძალა. თუ არა ეკონომიური ურთიერთობის ხასიათი, სხვა რაიმეში ძნელია, ილია ჭავჭავაძის აზრით, დავინახოთ საზოგადოების განვითარების საფუძველი. ასეთ საფუძველს არ შეიძლება წარმოადგენდეს, მისი აზრით, არც გეოგრაფიული გარემო, რადგან მას, რაც უნდა ხელსაყრელი იყოს იგი

¹ ი ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 7, 956, გვ. 9.

ცხოვრებისათვის, არ შეუძლიან განსაზღვროს ადამიანთა განვითარება და წინსვლა. შეიძლება გეოგრაფიული გარემო ყოველმხრივ მიზანშეწონილი და ხელშემწყობი იყოს ადამიანისათვის, მაგრამ ადამიანთა ცხოვრება უკიდურეს სილატაკეში იყოს ჩაყარნილი, და, პირიქით, შეიძლება ეს გარემო შედარებით მკაცრი იყოს ადამიანისათვის, მაგრამ საზოგადოება წინ მიდიოდეს და ბედნიერად გრძობდეს თავს. ამასთან დაკავშირებით ილია განიხილავს შოტლანდიელისა და სპარსელის ცხოვრებას. „მთიულსა შოტლანდიისას გარს ახვევია გულდახურული, ღარიბი ბუნება—წერს ილია—იგი დიდს შრომითა და ღვაწლით ართმევს ბუნებას იმ თითო ლუკმა პურს, რომელსაც აწვდის თავის ჯალაბს! სპარსელებისათვის, იგი თავგადადებით, თავგამოტებით დღეღამე ებრძვის ბუნებას და ყოველი ესრეთ მოპოებული ლუკმა პური ძღვევამოსილებაა მისი მხნეობისა, შრომისმოყვარეობისა. თუმცა ესრეთ აღამებს იგი დღეს და ათენებს ღამეს, მაგრამ იგი უფრო ბედნიერია და კმაყოფილი, ვიდრე სპარსელი, რომლისათვისაც ბედს შემოუფარგლავს უკეთესი ქვეყანა კაცთა საცხოვრებლად და სპარსელებისათვის. ერთი არის თავმომწონე, გამბედავი, თავისუფალი, მედგარი და გულდაგული კაცი, მეორე არის გულჩათუთქვილი, ილაჯგაწყვეტილი, ფრთხილი და გათელილი. ერთი—იმედით აღსავსე სულ წინ იყურება და ყოველი მისი ფეხის წინგადადგმა ძღვევამოსილებაა ხვალისათვის, მეორე—სასოწარკვეთილია, შიშით სულ უკან იყურება და გუშინდელს, მშვიდობით გატარებულ დღეს ნატრულობს და არა სწამს ხვალე. ერთი სულით და ხორციით ყოველდღე წარმატებაშია, თუმცა ღარიბი ბუნება ახვევია, მეორე სულითაც და ხორციითაც დაღვევაშია, თუმცა მის გარე ბუნება უხვია და მდიდარი“¹.

აქედან გამომდინარე ცხადია, რომ არც სპარსელის ცხოვრების უბადრუტობა და არც შოტლანდიელის ცხოვრების წინსვლელობა არ შეიძლება აიხსნას მათი გეოგრაფიული გარემოთი. ამიტომ, ილია კატეგორიულად უარყოფს გეოგრაფიული მატერიალიზმის თვალსაზრისს გეოგრაფიული გარემოთი ადამიანთა ცხოვრების განსაზღვრულობის შესახებ და ასეთ განმსაზღვრელ ძალას იმ ეკონომიურ ურთიერთობებში ხედავს, რომლებშიაც უხდება ცხოვრება შოტლანდიელსა და სპარსელს. „კაცს მაგოდენად ვერ შევლის თურმე—წერს ილია—ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა... თუ კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის, ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერობაზედ“². მაშასადამე, ილიას აზრით, ადამიანთა ეკონომიური ურთიერთობების გამსაზღვრელ ქვაკუთხედს წარმოადგენს უფლება და მოვალეობა. სადაც მოვალეობა არსებობს, უფლება კი არა, ე. ი. სადაც ყველაფერი სხვისია და შენი კი არაფერი, იქ ცხოვრება ჩამკვდარია, ხოლო იქ კი, სადაც მოვალეობასთან ერთად უფლებაცაა, ე. ი. სადაც შენცა ხარ მონაწილე საკუთრებისა, იქ ცხოვრება წარმატებაში შედის, საზოგადოება წინ იყურება და მისი წინსვლა შეუჩერებელია. ამრიგად, ილიას აზრით, მხოლოდ ისეთი ეკონომიური ურთიერთობანი უწყობენ ხელს ცხოვრების წინსვლას, სადაც საზოგადოების წევრთა შორის უფლება და მოვალეობა თანასწორადაა განაწილებული.

¹ ი. ვაგოძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, 1956, გვ. 7—8.

² იქვე, გვ. 7.

ამასთან, ასეთი ურთიერთობა მოითხოვს, რომ ადამიანი, როგორც ამ ურთიერთობათა მთავარი ელემენტი, აღჭურვილი იყოს სათანადო ტექნიკური იარაღებით და ცოდნით. შემთხვევითი არაა, რომ 80-იანი წლებიდან ილიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია წარმოებაში ტექნიკის დანერგვასა და ნაწარმოებელთა ტექნიკური ცოდნით შეიარაღების საკითხს.

80-იან წლებში ილია ჭავჭავაძე საქართველოში წარმოების ძირითად სახედ ისევ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას აღიარებდა. „ჩვენი ეკონომიური ძალ-ღონე,—წერდა ილია,—ჯერ კიდევ სოფელია და სოფლური მეურნეობა. ჩვენებური ქალაქები ამ მხრით არავითარ შემწეობას არ აძლევენ ჩვენს ქვეყანას, რადგანაც იგინი უფრო მჭამელნი არიან, ვიდრე მომცემნი რისმე. ჩვენ საქართველოში არც ერთი იმისთანა ქალაქი არ გვეგულება, რომ თითონ აკეთებდეს რასმე და ამდიდრებდეს ქვეყანას ან ფაბრიკის, ან ქარხნის რისამე ნაწარმოებითა.. რადგანაც დღეს გამრჯელი, მწარმოებელი და მომცემი ჩვენში მარტო სოფელია და მისი საეკონომიო მოქმედება ერთად-ერთი სახსარი ჩვენის ცხოვრებისა, თავის რჩენისა და გამოკვებისა, ამიტომაც, ჩვენი სრული ყურადღება მარტო სოფელს უნდა თავს დასტრიალებდეს, მარტო სოფელს უნდა ეკუთვნოდეს, თუ სამუდამოდ არა, ჯერ ხანად მაინც“¹.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის გარდა მწარმოებელთა ურთიერთობების მოწესრიგებისა, ილია საჭიროდ თვლიდა მასში ახალი ტექნიკის, ახალი მანქანა-იარაღების დანერგვას და მწარმოებელთა აღჭურვას ტექნიკური და აგრონომიული ცოდნით, როგორც შრომის ნაყოფერებისა და წარმოების ინტენსივობის ზრდის აუცილებელ პირობას. 900-იან წლებში ილიამ უფრო წინ გადადგა ნაბიჯი, ეკონომიურ ურთიერთობათა სფერო გააფართოვა და ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლად სასოფლო-სამეურნეო წარმოების გვერდით აგრეთვე საქარხნო-საფაბრიკო წარმოება აღიარა. შესაბამისად ამისა, დააყენა საკითხი ხალხის ტექნიკური აღზრდისა, საქარხნო-საფაბრიკო ტექნიკის დაუფლებისა და, ამ გზით, საკუთარი ნაწარმოების განვითარების აუცილებლობის შესახებ.

ამრიგად, ილია გარკვევით მიუთითებს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განმსაზღვრელი როლისა და მისი როგორც წარმოებითი ურთიერთობებისა და მწარმოებლური ძალების ერთიანობის შესახებ. ამიტომ, როდესაც იგი ლაპარაკობს ცხოვრების როგორც განვითარების განმსაზღვრელის შესახებ, მას ცხოვრებაში საზოგადოებრივი წარმოების მატერიალური მხარე ესმის. ცხოვრების ეს ეკონომიური, მატერიალური მხარეა, ილიას აზრით, განმსაზღვრელი საზოგადოების მთელი ფიზიონომიისა, მისი საშინაო და საგარეო მდგომარეობისა, მისი აზრებისა და შეხედულებებისა. „ჩვენი ეგრეთწოდებული ეკონომიური ყოფა-ცხოვრება—წერს ილია ჭავჭავაძე 1895 წელს—ერთი იმისთანა საგანია ჩვენში, რომელიც ყველაზე ნაკლებ ხელხლებულია ჩვენ მიერ, ყველაზედ მეტად ყურადღების და ზრუნვის გარეშე დარჩენილია, თითქო სხვა ყოველთა საჭიროებათა შორის ამ ეკონომიურ ყოფა-ცხოვ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრებული, ტ. 7, 1956, გვ. 31-32.

რებას დღეს უპირველესი ადგილი არ ეჭიროს ყველგან და ჩვენში ხომ რაღა თქმა უნდა. დღეს ყველამ იცის, რომ თავი და ბოლო წინააღმდეგობა, წარმატებისა, გაძლიერებისა, შინ და გარეთ დამოუკიდებლობისა, მადლობაა, სიმდიდრეა, ეკონომიური ძალ-ღონიერობაა ერისა. აქ ხელცარიელად დარჩენილი, როგორც ჩვენა ვართ, დღეს ერთს ბიჯსაც წინ ვერ გადადგამს, რაც გინდ სახეე ჰქონდეს გული დიდებულ აზრთა და გრძობათათვის. ან თვით დიდებულნი აზრნი და გრძობანი მოივლინებიან კი იქ, საცა ადამიანი მშვიერ-მწყურვალნი, შიშველტიტველი, მგელსავით პირღია დაიარება და ერთი წუთი ვერ გადაურჩენია, რომ ჰამა-სმის გარეთად სხვა რაზედმე იფიქროს, სხვა უმაღლეს საგანს ადამიანის წყურვილისას თავი და გული მოანდომოს? ეს თუ შეუძლებელი არ არის, დიდად საეჭვო მაინცაა იქ. საცა ერი ლატაკია, უძლური და მარტო დღიურ ლუკმის საშოვნელად განწირულია¹.

ამრიგად, როდესაც ილია ლაპარაკობს ცხოვრებაზე, როგორც ობიექტურ პროცესზე, „თვითრჯულზე“, რომელიც არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რიკრიკაზედ, იგი მის მატერიალურ მხარეს გულისხმობს და საერთოდ სიტყვა ცხოვრებასაც ამ აზრით ხმარობს.

მაგრამ ცხოვრებას, როგორც ყველა საზოგადოებრივ მოვლენათა საფუძველს, იგი უფრო ფართო მნიშვნელობითაც ხმარობს. ამ შემთხვევაში ცხოვრებაში იგი გულისხმობს ადამიანთა მთელი მატერიალური და სულიერი მოღვაწეობის ერთობლიობას. უფრო უკეთ რომ ვთქვათ, ასე გაგებულ ცხოვრებას იგი რომელიმე ხანის ან ეპოქის ხალხთა მდგომარეობას უწოდებს. „ცოდნა, ზნეობრივი და გონებრივი აღმატებულობა, მრეწველობის სიმდიდრის მეტნაკლებობა—წერს ილია—რწმუნება (верования) იმ საგნების მიმართ, რომელიც ადამიანისათვის უდიდესად მისაჩნევია, მმართველობა, წეს-წყობილება ოჯახური, საზოგადოებრივი, სამოქალაქო, კანონები, ჩვეულებანი, ზნეხასიათი და სხვა ამისთანა სულ ერთად და ერთ დროს მოქმედნი, ჰქმნიან იმას, რასაც რომელსამე დროის მდგომარეობას ერისას თუ კაცობრიობისას ეძახიან, ანუ ცივილიზაციას თავის მეტნაკლებობით“². ამ განსაზღვრებაში მოცემულია ცხოვრება თავისი თითქმის ყველა მხარით, რომელთა ერთობლიობა გვაძლევს გარკვეული საფეხურის საზოგადოებას. რომელიმე ეპოქის ცხოვრების ასეთი განსაზღვრებიდან ილია ასკვნის, რომ იგი ერთობლიობა საზოგადოების ორი ძირითადი—სულიერი და მატერიალური მხარისა, რომლებიც ერთად გვაძლევენ ამ საზოგადოების სახეს, მის ფიზიონომიას. ამასთან, ამ ორი მხარის დამოკიდებულება ისეთია, რომ ხან ერთი მხარე უბიძგებს და ეწვევა საზოგადოებას წინ, ხან კი მეორე. „ცხოვრება ყოველთვის ორ დიდ ტოტად დადის,—წერს ილია ჰავჭავაძე,—ერთი ტოტი მოაზრე ცხოვრებაა (идейная жизнь), მეორე—მოსაქმე (практическая) რომელიც ისე არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, რომ ხან ერთია მეორისაგან წარმოდგენილი, ხან მეორე—პირველისაგან“³. საზოგადოება ვერ განვითარდება, ამბობს ილია,

¹ ი. ჰავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 7, 1956, გვ. 36.

² ი. ჰავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, 1955, გვ. 28—29.

³ ი. ჰავჭავაძე თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, 1953, გვ. 204.

თუ ან ერთი მხარე აკლია და ან მეორე. მოსაქმე ცხოვრება საფუძველია მოაზრე ცხოვრებისათვის, ხოლო მოაზრე — გზის მაჩვენებელი მოსაქმე ცხოვრების შემდგომი წინსვლისათვის. „ჭკვეყანა, რომელსაც ან ერთი აკლია, ან მეორე, ცალფეხა კაცსა ჰგავს წერს ილია—და როგორც ცალფეხა კაცი შორს მანძილს საჭირო სიმალით ვერ გაივლის, ისეც ერი, ჭკვეყანა, ვერას გახდება, თუ თავის წარმატების საყუარში ეს ორი უღლადი, ყოველთ-შემდ-ლებელი ძალ ღონე არ ეყოლება შებმული ერთად და განუყრელად“¹. მეტიც, თუ ცხოვრებაში შეწყდა ამ ორი ტოტის ერთდროული დენა, ცხოვრება გვამს დაემსგავსება მსგავსად უსულო ხორცისა.

როგორც განხილულიდან ჩანს, ილია ჭავჭავაძის აზრით, ცხოვრება, კერძოდ ცხოვრების მატერიალური მხარე არის ძირი, რომელიც განსაზღვრავს სულიერ მხარეს, მაგრამ სულიერი მხარე, რაკი აღმოცენდება, თავის მხრივ ზემოქმედებს მატერიალურ მხარეზე და აჩქარებს მის განვითარებას. მართლაც, იდეები, თეორიები, როდესაც მასებს დაეუფლებიან, ისინი მატერიალურ ძალად იქცევიან და მათ შეიღმილიანი ნაბიჯებით მიჰყავთ წინ ცხოვრება და რაკი ცხოვრება წინ წავა, იგი კვლავ მოაშაღებს ახალ მასალას ახალი იდეებისა და შეხედულებებისათვის და ასე განუწყვეტლად.

ეს მომენტები ილიას შესანიშნავადა აქვს გარკვეული. მართალია, იგი საზოგადოების სულიერი ცხოვრების გამსაზღვრელ საფუძველს მის მატერიალურ მხარეში ხედავს, მაგრამ არ ჩერდება ამაზე და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თავის მხრივ იდეებს დიდი ზემოქმედება შეუძლიათ მოახდინონ ცხოვრებაზე. ამრიგად, ცნობიერებისა და ყოფიერების მიმართებაში ილია მატერიალისტურ ნიადაგზე დგას.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როდესაც ილია ლაპარაკობს ცხოვრებაზე, როგორც საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელ საფუძველზე, რომელიც ჩვენ დავახსიათეთ, როგორც წარმოებით ურთიერთობათა და მწარმოებლურ ძალთა ერთობლიობა, მას ეს ტერმინები გარკვეულად არა აქვს ნახმარი. მაგრამ ილიას აზრთა მთელი მსვლელობა იმ შინაარსის გარშემო ტრიალებს, რომელიც ჩვენს მარქსისტულ ლიტერატურაში ამ ტერმინებითაა გამოთქმული. ილია ჭავჭავაძეს არ დაუყენებია აგრეთვე არც ის საკითხი, რომ საზოგადოების ეკონომიური ბაზისის შინაგან მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს წინააღმდეგობა წარმოებით ურთიერთობასა და მწარმოებლურ ძალებს შორის, თუმცა 900-იან წლებში დამუშავებული ლიტერატურის კონსპექტებში იგი არა ერთხელ უსვამს ხაზს ამ საკითხს.

* * *

გავარკვიეთ რა, თუ როგორ ესმის ილიას ცხოვრება, ის როლი; რომელსაც იგი ანიჭებს მატერიალურ მხარეს საზოგადოების განვითარებაში, საჭიროა უფრო კონკრეტულად გაირკვეს, თუ როგორა აქვს მას წარმოდგენილი მიმართება ცხოვრებასა და ცნობიერებასა შორის, მოკლედ, რა უნდა ვიგულისხმეთ ცხოვრების ზემოქმედებაში ცნობიერებაზე და ცნობიერების ზემოქმედებაში ცხოვრებაზე.

ჯერ კიდევ 60-იან წლებში ილია ჭავჭავაძემ კატეგორიულად დააყენა საკითხი ცხოვრების განუწყვეტელი განვითარებისა და ცვალებადობის შესახებ. წერილში „საქართველოს მოამბეზედ“, რომელშიაც მოხაზა თავისი ძე-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრებული, ტ. 7, 1956, გვ. 337.

რითადი ფილოსოფიური კონცეფცია, ილია წერდა: „ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, ნოაქვს ნაყოფი და მერე ჰქნება“¹. მაგრამ დაქვნობა არ გულისხმობს, ამბობდა ილია, სიკვდილს. ჰქნება ან ძველდება მხოლოდ ის ფორმა, რომელშიაც იგი ვითარდება, და შედეგად ამისა აღმოცენდება ახალი ფორმა, რომელიც ხელს შეუწყობს ცხოვრების ახალი თესლის გაღვივებას და განვითარებას. თავის განუწყვეტელ განვითარებაში ცხოვრება წარმოშობს ხოლმე მრავალ მოვლენას. იგი განუწყვეტლად „იზრდება, ჰყვავის, მოამწიფებს სხვა ახალ სათესლე ნაყოფს“... „ხელ-ახლად მოასწრობს ხოლმე ახალ მოსავლის მოყვანასა, სხვა ახალი ფაქტების და საჭიროების შემუშავებას და შემოჯგუფებას“². ეს ნელდი ცხოვრება, ცხოვრების ახალი ფაქტები და საჭიროებანი, შეადგენენ იმ მასალას. რომელიც ქმნის ადამიანის გონების, მისი ცნობიერების შინაარსს. ადამიანის ცნობიერებას თავის საგნად აქვს მარად განვითარებაში მყოფი ცხოვრება; ამიტომ მან უნდა სისტემატურად ახსნას ცხოვრების ახალი ფაქტები და მოვლენები, გააცნობიეროს ან ცნობაში მოიყვანოს ისინი, დაადგინოს მათი არსებობის კანონები და შემდეგ, მეცნიერების საშუალებით, ხელი შეუწყოს თვით ცხოვრების წინსვლას და განვითარებას. „ადამიანის გონებითი ძალა—წერს ილია ჰეველი—რომელიც დღე მუდამ უნდა დასტრიალებდეს ცხოვრებას, ორგვარად შეეხება ამ ცხოვრებისაგან აღმოჩენილს საქმესა და საგანს. პირველი როგორც მასალას, რომლიდამაც მეცნიერებითა ძალას ადამიანისას გამოჰყავს დედააზრი (პრინციპი) და ამ დედააზრზედ ამყარებს მეცნიერების შენობასა, საიდანაც ეს დედააზრი ისევ ცხოვრებაში უნდა გადმოვიდნენ. უამისოდ მეცნიერება უზმარი განძია. უქმის ჰკუთს უქმი ვარჯიშობაა. მეორე, როგორც წილადებს, რომელთაგანაც შემდგარია დღევანდელი დღე, მის შინაგან-გარეგანი, ერთის სიტყვით, ის ჰაერი, რომლითაც დღეს ვაუნთქავთ, ვცხოვრობთ და ვაივავლანობთ, ჩვენ და თქვენ მკითხველო“³.

ამრიგად, ცხადია, რომ ილიას აზრით, ცხოვრება ის საფუძველია, რომელიც ქმნის ადამიანის ცნობიერების შინაარსს, საიდანაც ადამიანის გონებას გამოყავს კანონები, პრინციპები ანუ დედა-აზრები, რომელთა სისტემა შეადგენს მეცნიერებას. მაშ, ადამიანის გონება, რალაც თვითკმარი, დამოუკიდებელი, სამყაროს კანონმდებელი კი არაა, არამედ, პირიქით, თვითონ ადამიანის გონება, მისი ცნობიერება არის ცხოვრებით განსაზღვრული; ცხოვრების განვითარება განსაზღვრავს ადამიანის ცნობიერების განვითარებას. ამიტომ, რაც უფრო განვითარებულია ცხოვრება, მით უფრო განვითარებულია ადამიანის აზროვნება, მისი ცნობიერება. ეხება რა ძველ თაობათა გონების სიმცდარეს და ცრურწმენებს, ილია ამბობს, რომ ეს გამოწვეული იყო იმ გარემო ცხოვრებით, რომელიც გარს ერტყა იმ თაობებს, მეტიც, ილიას აზრით, „ჩვენ რომ ამ თავმოწონებულის გონიერებითაც ვყოფილიყავით და იმ ადრინდელის კაცის ვითარება და გარემოება გარს შემოგვეტყუოდა, არა მგონია, ავსცდნოდით საზოგადო ცდომილებას, რომელსაც დღეს ეგრე თავმოწონებით დავსცინით“⁴. ცხოვრების ტალღა ისე ძლიერია, რომ ადამიანის

¹ ი. ჰეველი, თბ. სრ. კრებული, ტ. 3, 1953, გვ. 57.

² იქვე, გვ. 62.

³ იქვე, გვ. 256—257.

⁴ იქვე, გვ. 56.

ცნობიერებას აუცილებლად დააყენებს თავის სიმაღლეზე. „იმ დროების გარემოების მოწყობილობა, აზრი, გამსჯელობა—ერთობ ცხოვრების მდინარეობა ჩვენისთანა ჩვეულებრივ კაცსა ჩააყენებდა საზოგადო რუსხმულში და წაიღებდა თან, რაც უნდა ძლიერ ცდილიყო თავის შემავრებასა—წერს ილია. ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიყოლოს იმ ტალღამ“¹. და თუ გავითვალისწინებთ აგრეთვე იმასაც, რომ ილიას აზრით, ადამიანთა წესი, ჩვეულება, აზრი, გრძობა ცხოვრების გამომეტყველია, და იცვლებიან ცხოვრების „ძლიერ გავლენისაგან“, გასაგები გახდება, რომ აქ საქმე გვაქვს იმ საესებით მართებულ და ჭეშმარიტ დებულებასთან, რომლის თანახმად ადამიანთა შეგნება, მათი ცნობიერება განსაზღვრულია მათი ცხოვრებით, მათი ყოფიერებით.

მაგრამ ილია არ კმაყოფილდება ცნობიერებისა და ყოფიერების ამ ცალმხრივი მიმართებით. მას კარგად ესმის, რომ ცნობიერება არ არის პასიური, მას შეუძლიან ზემოქმედება მოახდინოს მის წარმოშობ ცხოვრებაზე და ხელი შეუწყოს მის განვითარებას. და რაკი წარმოიშობა, შეუძლიან განიცადოს ისეთივე წინსვლა და განვითარება, როგორსაც განიცდის მისი წარმომშობი ცხოვრება. რაკი „ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვაილი ახალის აზრისა“... ეს ყვაილი, სულ ერთია ჭკნება, თუ ცხოვრობს, „მანც ისე არ გაძუნწდება—წერს ილია— რომ სხვა არ აღმოშობოს, იმ სხვამ კიდევ სხვა და ეგრეთ არ შეადგინოს ისტორიული ყვაილთა გრებილი, რომელშიაც მომდევარი წინაღმსვლელზედ ყოველთვის უფრო სრულია, უკეთესი და მშვენიერი“². თავის წინმსვლელობას აზროვნება, ცნობიერება იმით ანხორციელებს, რომ იგი თავის მოპოებულ ცოდნას სისტემატურად გადმოსცემს ცხოვრებას. ხოლო რაკი ახალი აზრები, იდეები და შეხედულებანი დაითესებიან ცხოვრებაში, დაეუფლებიან ხალხს, გასაგები გახდება მათთვის, ხალხი თავიდან იშორებს ძველ აზრებს, იდეებს და ახალი იდეებით შეიარაღებული უფრო ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ. „რამოდენადაც ევ ახალი ცნობაები, აზრები ადვილად გასაგებნი არიან ხალხისათვის,—წერს ილია ჭავჭავაძე—იმოდენად ადვილად განსდევნიან უწინდელებსა, რომ ცხოვრებაში იმათი ადგილი თვითონ დაიჭირონ და იწარმოონ შემდგომში. ე გ რ ე, ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა ე ე ნ ო ლ ე ბ უ ლ ს ა, ც ხ ო ვ რ ე ბ ა ე ე მ ი ი ლ ე ბ ს ხ ო ლ მ ე; ე გ რ ე ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა გ ა ნ ა ლ ო ს უ ლ ნ ი, მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს ს ი ც ხ ო ვ ე ლ ი თ ნ ა ყ ო ფ ა დ მ ო წ ე უ ლ ნ ი, ისევე ცხოვრებასევე დაუბრუნდება ხოლმე წარმატებისათვის“³.

ამრიგად, აქ საქმე გვაქვს საკითხის არა ნაკლებ საინტერესო დაყენებასთან, ვიდრე ეს ზემოთ იყო. ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას, მაგრამ, თავის მხრივ, ცხოვრების ზემოქმედების შედეგად წარმოშობილი ახალი აზრები, იდეები უკუზემოქმედებას ახდენენ ცხოვრებაზე. ეს ზემოქმედება მაშინ არის ძლიერი, ილიას აზრით, როდესაც ახალი აზრები და იდეები ადამიანებს დაეუფლებიან, ე. ი. როდესაც ისინი მატერიალურ ძალად იქცევიან და ადამიანებს გაანთავისუფლებენ ძველი აზრებისა, იდეებისა და შეხედულებებისაგან. სიახლე აზრებისა თუ იდეებისა კი მოწმდება იმის მიხედვით, თუ რამდენად მისაღები იქნებიან ისინი ცხოვრებისათვის, რამდენად ჩქარა დაე-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, 1953, გვ. 57.

² იქვე, გვ. 58.

³ იქვე, გვ. 62.

უფლებიან ისინი ხალხს. ამიტომ ამბობს ილია, რომ „რაც ცნობაში მოყვანილი, რაც დამტკიცებულია, მხოლოდ ის გადადის ხალხში, მხოლოდ ის მიიღება ხალხისაგან. და რაც მიიღება, მხოლოდ იგი სცელის ხალხის მდგომარეობასა, ცხოვრებასა“¹.

ილია იკვლევს იმ საშუალებებსაც, რომლებითაც ცნობიერება ზემოქმედებს ცხოვრებაზე, ანუ რომლებიც ხალხში ნერგავენ ახალ იდეებს და აზრებს. ასეთ საშუალებას იგი ხედავს მეცნიერებასა და ხელოვნებაში.

მეცნიერება და ხელოვნება ილიასთან იმავე მნიშვნელობითაა ნაქმარი, როგორც ჩვენი ტერმინებით ცნობიერების ფორმები. ეს ის ფორმებია, რომლებშიაც ცნობიერება ცხოვრებიდან მიღებულ ცოდნას, აზრებს, იდეებს, აყალიბებს და რომლებითაც ეს აზრები და იდეები გადადიან ხალხში. ამიტომ, ილიასთან დებულება აზროვნების ცხოვრებით განსაზღვრულობის შესახებ უდრის დებულებას აგრეთვე ცხოვრებით მეცნიერებისა და ხელოვნების განსაზღვრულობის შესახებ. თუ ამ მოსაზრებებს მივიღებთ, მაშინ გასაგებია გახდება ის შესანიშნავი შეჯამება, რომელსაც ილია უკეთებს ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთობის შესახებ თავის თვალსაზრისს: „ცხოვრება ძირია—წერს იგი—ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან. როგორც მიწიდან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლედ მოაწვევენ, ისევ მიწას გადმოსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებაზედ ამოსული შტოები, მეცნიერება და ხელოვნება—ისხამენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოასწევენ სათესლედ, ისევ ცხოვრებასვე გადმოსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად. ამისთანა დამოკიდებულება აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზედ და ცხოვრებას თავის რიგზედ—ცნობიერებაზე“².

როგორც ამ დასკვნიდან ჩანს, ილია ჰკავშირებს თავის თვალსაზრისზე დგას ფილოსოფიის ძირითადი საკითხის გადაწყვეტაში. მე-19 საუკუნის 60—80-იანი წლების საქართველოში ამ საკითხის უკეთესი დაყენება და გადაწყვეტა შეუძლებელი იყო. ილია ჰკავშირებს ფილოსოფიური თვალსაზრისის მტკიცე საძირკველი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან კატეგორიულად დააყენა საკითხი ცხოვრების ობიექტური პირობებით აზროვნების განსაზღვრულობის შესახებ, იმის შესახებ, რომ ცნობიერება, მთელი თავისი მრავალმხრივი შინაარსით განხილულია როგორც გარკვეული ობიექტური პირობების, ცხოვრების საპირობათა და მოთხოვნილებათა შედეგი. „ყოველი საპირობა ცხოვრებიდან წარმოდგება—წერს ილია. თუ ცხოვრებას არ უნდა, ვერაფერს ვერ მიამყნობთ ისე, რომ იმ ნამყნობმა იხიროს და ნაყოფი მოიტანოს. მართო ის საქმე მკვიდრი და მტკიცე, რომლის ფესვიც ზივ ცხოვრებაშია გამოკვანილი; უამისოდ ვერა საქმე ვერ გასძლებს, ვერ მოიტანს ნაყოფსა, როგორც თესლი უდგამიწოდ“. საკითხის ასეთი დაყენებით ილია ჰკავშირებს არსებითად დაუპირისპირდა საქართველოში გაბატონებულ რელიგიურ-იდეალისტურ ფილოსოფიურ თვალსაზრისს, რომელიც უარყოფდა იდეებსა და ცხოვრებას შორის ურთიერთ განსაზღვრებით კავშირს უკანასკნელის საფუძველზე. რაღაც განყენებული, ცხოვრებისაგან მოწყვეტილი იდე-

¹ ი. ჰავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, 1953, გვ. 63.

² იქვე, გვ. 62—63.

ები და შეხედულებები არ არსებობენ—ილიას აზრით. აზრი, იდეა მხოლოდ მაშინაა მნიშვნელობის მქონე, როდესაც წარმოიშვება რა ცხოვრებიდან, თავის სისწორეს ისევე ცხოვრებაში გაამართლებს.

აქვე უნდა აღინიშნოს ილიას ფილოსოფიური თვალსაზრისის ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. როგორც აღვნიშნეთ, მას არ დაუყენებია საკითხი ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთობის შესახებ. ეს ტერმინები არ გვხვდება მის შემოქმედებაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ძალიან ახლოს მიიჭიდა ამ საკითხთან. როდესაც იგი ლაპარაკობს ცნობიერებისა და ყოფიერების (ანუ ცხოვრების) ურთიერთობის შესახებ და არკვევს ცხოვრებასთან ცნობიერების ფორმების—მეცნიერებისა და ხელოვნების დამოკიდებულების საკითხს, აქ იგი გარკვეულად აღნიშნავს მეცნიერებისა და ხელოვნების ზედნაშენურ დანიშნულებას ცხოვრების მიმართ. მეცნიერება და ხელოვნება, როგორც ცნობიერების ფორმები (ან როგორც ილია უწოდებს „სალარონი“), ცხოვრებისაგან არიან წარმოშობილნი, ცხოვრებისათვის არსებობენ, ცხოვრების ცვალებადობის შესაბამისად იცვლებიან და ვითარდებიან და თავის რიგზე ხელს უწყობენ ცხოვრების განვითარებასა და წინსვლას, „მეცნიერება და ხელოვნება არ არიან მოგონილნი კაცის ჭკვის და გამოხატულების არც ვარჯიშობისაგან და არც ვარჯიშობისათვის—წერს ილია—იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის... იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარებისა გამო და მერე თავის რიგზედ თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრება—რაც მაგათგან არის მოყვანილი ცნობაში და დამტკიცებული, ის გადადის ხალხში და იგი სცელის ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებასა!“¹.

აქ თუ ჩამოთვლილი არ არის სიზუსტით ყველა ის ნიშნები, რაც ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთობას ახასიათებს, ძირითადი მაინც აღნიშნულია. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ცხოვრება, როგორც საფუძველი აუცილებლობით წარმოშობს მეცნიერებასა და ხელოვნებას; რომ ამ უკანასკნელთა დანიშნულებაა სამსახური გაუწიონ ცხოვრებას, ხელი შეუწყონ მის წინსვლასა და განვითარებას. და, ბოლოს, რომ თვით ხელოვნება და მეცნიერებაც არ არსებობენ რალაც უცვლელი სახით, არამედ იცვლებიან, ვითარდებიან და ეს ცვალებადობა და განვითარება განსაზღვრულია ცხოვრების, როგორც მთელი განვითარების საფუძვლის, განვითარებითა და ცვალებადობით. ის, რაც აკლია ცხოვრებისა, მეცნიერებისა და ხელოვნების მიმართების ილიასეულ დახასიათებას, გამოწვეულია იმ საერთო ნაკლით, რაც მარქსამდელ მატერიალიზმს ახასიათებდა ისტორიის გაგებაში. ამ მიმართების გარკვევა მთელი მეცნიერული სიზუსტით შესაძლებელი იყო მხოლოდ წარმოების წესის იმ ანალიზით, რაც მარქსმა და ენგელსმა მოახდინეს. მაგრამ ილია ჭავჭავაძის დიდი დამსახურება იმაშია, რომ იგი საგრძნობლად მიუახლოვდა ამ საკითხს და რამდენადაც საქართველოს იმდროინდელ პირობებში ეს შესაძლებელი იყო, სათანადოდ პასუხი გასცა მას.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრებული, ტ. 3, 1953, გვ. 71.

* *

არკვევს რა ცხოვრებისა და ცნობიერების ურთიერთმიმართებას და განვითარებას, ილია ჭავჭავაძეს წარმოდგენილი აქვს ამ განვითარების მთელი სირთულე. როგორც ცხოვრება, ისე აზროვნება განვითარებას განიცდის—ამბობს ილია,—მაგრამ ეს განვითარება ყოველთვის არ არის ხელნესახები და დასაწახი. ცხოვრებას ადამიანები ქმნიან, ადამიანები ანვითარებენ, მაგრამ არასდროს არა აქვთ მათ შეგნებული ის უდიდესი შედეგები, რომელსაც მათი მოქმედება იწვევს. ცხოვრება ცნობიერი ადამიანების არაცნობიერი პროცესია. ცხოვრების ნაცოცხლებელი ძალა სიბნელეში დადის. ხალხი შეიძლება კიდევ ჰგრძობდეს ამ ძალას, მაგრამ მისი ცნობა და აღიარება მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ამ ძალთა იდუმალი მოქმედება დღის სინათლეზე გამოდის. „თუ ცხოვრება, როგორც ესტქვეით, ჯანმრთელია—წერს ილია ჭავჭავაძე—თუ მასში არის უკეთესობის ნიშნობა და განახლების ცხოველი იმედი, ეგ თვით დავრდომილის აღმადგინებელი იმედი—მისნი ძალნი, მისნი ძარღვნი მარად დაუძინარნი არიან. იგინი დაუღალავად, დაუყოვნებლივ მოქმედებენ, მოძრაობენ, წარმოებენ, როგორც ყოველიფერი, რასაც კი სიცოცხლე აქვს მინიჭებული. თუ გარედამ აბრკოლებენ, უშლიან იმათ მოძრაობასა, მაშინ ისინი კიდევ მაინც თავისას არ მოიშლიან, მიწაში დაიფლებიან და იმ მიწის სიბნელეშიაც მოქმედებენ იმ დრომდე, ვიდრე დარი არ დაუდგებათ, რომ გარეთ მზის სინათლეზედ გამოვიდნენ და უფრო ფართოდ გაშალონ მოძრაობის ფრთები. ყოველს მათს მოძრაობას, ყოველს მათს მოქმედებას თავისი ნაყოფი ამოჰყავს ცხოვრების ხეზედა და ყოველს ამ ნაყოფს აქვს თავისი აზრი და მნიშვნელობა, იმიტომ, რომ იმათი ძირი ცხოვრებაშია გამოკვანძილი,—ცხოვრება კი ძნელად თუ რასმეს ჰქმნის უაზროდ. დღე-და-ღღე ეგ ნაყოფი ემატება, დღე-და-ღღე სხვა-და-სხვა ყვავილებით იმოსება ხე ცხოვრებისა. ეგ ნაყოფი, ეგ ყვავილები ერთად შეკრეფილი შეადგენს ცხოვრების ვითარებასა, მომავალსა. ხალხი, უფრო მეტი მაინც, ვერ გამოიკვლევს მაგ ვითარების აზრსა, მნიშვნელობასა, ხშირად კი ბუნდად მიხედება, ჰგრძნობს, მაგრამ ხშირადაც მოხდება ხოლმე, რომ ხალხი რასაცა ჰგრძნობს, იმას ვერ სცნობს და ვერ არჩევს სხვათა შორისა“.

ამ ნაწყვეტში მოცემულია ილია ჭავჭავაძის სახესებით სწორი და უღარესად საინტერესო თვალსაზრისი ცხოვრების განვითარების მთელი შინაგანი სირთულის შესახებ. აქ რამოდენიმე საკითხია დასმული: ცხოვრების ძარღვი არასოდეს არ ჩერდება, განუწყვეტლად მოქმედებს როგორც ყოველი ცოცხალი ორგანიზმი; მაგრამ ხშირად ცხოვრების ამ ძარღვის ცემას გარეგანი დამაბრკოლებელი ძალა უჩნდება, ამიტომ იგი დაფარულად ბნელში მოქმედებს, ვიდრე არ დადგება დრო, რომ მთელი ძალ-ღონით გაგლიჯოს ეს გარეგანი დაბრკოლება, გამოვიდეს დღის სინათლეზე და ფართოდ გაშალოს თავისი მოძრაობის ფრთები. შემდეგ, ცხოვრების ეს შინაგანი ძარღვისცემა, შინაგანი მოქმედება ბადებს თავის ნაყოფს, რომელსაც თავისი აზრი და დანიშნულება აქვს, რადგანაც ცხოვრება უაზროდ და უმნიშვნელოდ არაფერს არ ბადებს. ხოლო როდესაც დადგება დრო და ცხოვრების შინაგან ძალთა

მოქმედებით შექმნილი ნაყოფი საკმაო ძალად იქცევა, იგი თავისთავად შექმნის ახალ ვითარებას, რომლის წინააღმდეგობა აღარაფერს შეუძლიან. და ბოლოს, რომ მთელი ეს მოქმედება არაა ცნობიერი პროცესია, რადგან ადამიანები ისე აღვილად ვერ სცნობენ იმ შედეგებს, რომლებთანაც ცხოვრების შინაგან ძალთა მოქმედებას მიეყვართ ხოლმე.

ილია ჭავჭავაძის ამ დებულებებში ისტორიის ფილოსოფიის უაღრესად საინტერესო პრობლემაა გაშლილი. ჯერ კიდევ ჰეგელი, რომელმაც პირველმა, თუნცა იდეალისტური თვალსაზრისით, განიხილა ისტორია როგორც პროცესი, მიაქცია ყურადღება საზოგადოებრივი ცხოვრების ამ შინაგან, დაფარულ მოქმედებას, როდესაც წერდა: ისტორიის ჭოტი ღამე დაფრინავსო. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ამავე მდგომარეობას უსვანს ხაზს ილია ჭავჭავაძეც. მან ცხოვრების ამ შინაგან, არაა ცნობიერ მოქმედებაში დაინახა მთელი ძალა მისი ობიექტური აუცილებლობისა. ეს თვალსაზრისი თავისთავად ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი საფეხურის შეცვლა სხვა საფეხურით არის სავსებით კანონზომიერი პროცესი, რომელიც განხორციელებულია ცხოვრების შინაგან, თუმცა არა ცნობიერ, მაგრამ სავსებით აზრიან ან აუცილებელ ძალთა მოქმედებით. ცხოვრების ეს შინაგანი მოქმედება, ადამიანთა მოქმედების და მათი ნამოქმედარის არაა ცნობიერი შედეგია. ადამიანი ცნობიერად მოქმედებს, რამდენადაც თავისი მოქმედებით გარკვეულ კერძო მიზანს ანხორციელებს. მაგრამ ამ კერძო მიზანთან ერთად იგი საზოგადო საქმესაც აკეთებს და სწორედ იმ არის არაა ცნობიერი ადამიანისათვის, რომ მან არ იცის, არა აქვს შეგნებული თუ რა საზოგადოებრივი შედეგი მოყვება მის კერძო მოქმედებას. ამ წუთისათვის იდეალისტი ბევრი და მრავალსახის საქმე აქვს საკეთებელი—წერს ილია ჭავჭავაძე—როგორც კერძოდ თავის-თავისთვის, ისე ზოგადად ყველასათვის. სათითაოდ ყველას ერთნაირი დანიშნულება არა აქვს, სათითაოდ ყველას რაიმე დანიშნულება კი უსათუოდ აქვს¹. ყოველი საქმე ადამიანისათვის ინდივიდუალური დანიშნულებითაა შემოთარგლული, მაგრამ საერთო ჯამში ეს ინდივიდუალური მოქმედება ნომქმედის სურვილის საწინააღმდეგო შედეგს იწვევს. ამ საკითხს განმარტავს ილია ჭავჭავაძე გუთნის გამომგონებლის მაგალითზე. „... ვინც თავდაპირველად გუთანი მოიგონა—წერს იგი—ვინ იცის სხვისთვის ისე არა ჰფიქრობდა, როგორც თავისთვის, ისე სიკეთისათვის არა, როგორც სახელისათვის. ჩვენ რა? ღმერთმა ცხონება მისცეს იმას, რომ იქნება თვითონ მშვიერი მოკვდა და ამოდენა მიღეთის მცხოვრებლებს კი გაუწყვეტელი ლუკმის სახსარი მისცა. იმისი სახელი გაქრა ქვეყანაზედ, საქმე კი, რომელიც ყველა სახელზე უკეთესი სახელია, დარჩა საუკუნოდ, საქმე, რომელიც ნარტოკა დასძლევს მთელ ქვეყნიერობის ცოდვებს! ხომ ეხლა არავინა ჰკითხულობს:—რა წადილი ჰქონდა, როცა საწყალი თვალსა და გონებას იწყალებდა ამ სახელოვან საქმისათვის. ის წაიღია თავის კარგის თუ ცუდის გულისწადილითა და იმის გულისწადილის ნაჭირნახულები კი ხელთ დაგვრჩა...“². ასეთი შინაგანი არაა ცნობიერი მოქმედება განუწყვეტელია ხალხში, ამბობს ილია, და ეს არია მიზეზი იმისა, რომ ცხოვრებას განახლების სურვილი არ დაეღევა. ცხოვრე-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, 1955, გვ. 245—246.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 2, 1950, გვ. 73.

ბის ეს განახლების სურვილი და ადამიანის მიერ გაუთავებელი უკეთესობის ნდომა შეადგენს იმ ძალას, იმ იღუმალ ხმას—წერს ილია—„რომელიც ყოველთვის ეძახის ადამიანს: წინ წადე! წინ წადე!... ნეტავ იმ ხალხს, რომელსაც არ დაუქარავს ეგ იმედი განახლებისა და არ გააქრობია უკეთესობის ნდომა!... ის ხალხი, ის ცხოვრება, რომელიც არ იზრდება, რომელსაც არა აქვს თავისი გაზაფხული და ნაყოფიერი შემოდგომა, რომელიც ბერდება კი, მაგრამ იმ სიბერის ნაყოფზედ ისევე არ ამოვა განახლებული, განათლებული სიახლის მშვენიერ გვირგვინთა—ის ხალხი, ის ცხოვრება მიჩანალებს სამარისაკენ, ბოლოს მივა და აღიგვება, როგორც მტკერი დედამიწის ზურ. გილამ¹.

ცხოვრების მოქმედების ამ შინაგან მომენტისადმი ასეთი კატეგორიული ხაზგასმით, ილია ჭავჭავაძე ბატონყმურ მსოფლმხედველობას ებრძოდა და ამ საერთო კანონის შესაბამისად ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლისა და განვითარების აუცილებლობას ასაბუთებდა.

* * *

ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მატერიალისტურ გადაწყვეტასთან ერთად ილია ჭავჭავაძე აკვევს აგრეთვე ამ საკითხის მეორე მხარესაც. ცხოვრებისა და ცნობიერების ურთიერთობას იგი იმაში ხედავს, რომ ცნობიერება, როგორც ცხოვრებიდან წარმოშობილი, მოწოდებულია შეიმეცნოს ეს ცხოვრება, აღმოაჩინოს მისი განვითარების კანონზომიერება და ამ გზით მოქმედება გაუადვილოს ადამიანს, როგორც საერთოდ შემეცნების შესაძლებლობის, ისე შემეცნების საგნისა, მისი დანიშნულებისა და შემეცნების საზღვრების საკითხში ილია ჭავჭავაძე აშკარად უპირისპირდება კანტიანურ თეალსაზრისს. ილია ჭავჭავაძის აზრით, ადამიანის გონების ამოცანა ის კი არ არის, რომ საგანი შექმნას თავისი ტრანსცენდენტალური კანონების მიხედვით, არამედ, პირიქით თვით საგანში, შოვლენაში აღმოაჩინოს ობიექტური სამყაროს კანონები—ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, არ არსებობს შემეცნების რაიმე საზღვრები, შემეცნება უსასრულოა, რომლის განსაზღვრულობა მხოლოდ ისტორიული პირობებით არის გამოწვეული.

ილია ჭავჭავაძე ადამიანს აღიარებს ერთადერთ შემეცნებელ სუბიექტად, ხოლო ადამიანისა და მისი გარემომცველი სინამდვილის მიმართებას ფილოსოფიური კვლევის ერთადერთ ობიექტად.

ილიას აზრით, ობიექტური სინამდვილე, კერძოდ, ადამიანის გარემომცველი ცხოვრება დაუსრულებელია—იგი „საუუუნობაა“ და მას „არც თავი აქვს და არც ბოლო“. ადამიანის გონება მოწოდებულია შეიმეცნოს ეს მიაი დაუსრულებელი გარემომცველი სინამდვილე. არ შეიძლება ვილაპარაკოთ გონების რაიმე შეზღუდულობის შესახებ ამ დაუსრულებელი სინამდვილის შემეცნებაში. შემეცნებითი უნარი გონებისა ისეთივე დაუსრულებელია, როგორც ის სინამდვილე, რომელსაც ის იმეცნებს.

ადამიანის აზროვნება, ილიას აზრით, შემეცნების პროცესში სრულიქმნება. რაც უფრო ფართოა ადამიანის შემეცნებითი არე, რაც უფრო აქტიურია გონება გარემოს საიდუმლოების გარკვევაში, მით უფრო მაღალ საფეხურზე დგას იგი. ამიტომ ადამიანის აზროვნება იმისდამიხედვით ვითარდ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, 1953, გვ. 58—59.

ბოდა, თუ როგორ მიდიოდა ადამიანი წინ ველური მდგომარეობიდან თანამედროვე მდგომარეობისაკენ. ველური ადამიანის აზროვნება თანამედროვე ადამიანის აზროვნების პირველი საფეხურია, რომელიც უნდა თანდათანობით განვითარებულყო, რათა თავი დაეღწია პირველყოფილი მდგომარეობისათვის. „რამდენადაც ზედმიწევნით გამოვიკვლევთ ენას, მითოლოგიას, ზნე-ჩვეულებას, სარწმუნოებას, არქეოლოგიურსა და ეთნოლოგიურს, ნაშთსა და კვალსა, იმოდენად ძლიერ ერწმუნდებით, — წერს ილია ჭავჭავაძე — რომ აზრი დღევანდელის ველურის კაცისა იმ მდგომარეობაშია, როგორც პირველდაწყებითი სადღე შედგისა. ამავე დროს დავინახავთ, რომ განათლებულის კაცის ჭკუას დღესაც საკმაოდ ამჩნევია კვალი, ნიშანი იმ წინანდელის მდგომარეობისა, რომლის მიხედვით ველური კაცი წარმოადგენს სულ უმცირესს და განათლებული კაცი — სულ უდიდესს პროგრესსა“¹.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აზროვნებას ილია ჭავჭავაძე განიხილავს, როგორც სოციალურ მოვლენას, ამიტომ პირველყოფილი ველურის აზროვნებიდან თანამედროვე ადამიანის აზროვნებამდე მის განვითარებას განიხილავს როგორც ადამიანთა ცხოვრების განვითარებისა და ცვალებადობის შედეგს. მისი აზრით, კაცობრიობის ისტორიაში რაც უფრო ცხოვრება რთული და მრავალმხრივი ხდებოდა, რთულდებოდა აგრეთვე ადამიანის მიერ მისი გარემომცველი სინამდვილის შემეცნების ამოცანა, იზრდებოდა საჭიროება სინამდვილის შემეცნებისა, ცოდნისა, რაც გონებას უფრო აქტიურს ხდიდა, ზრდიდა და ანეითარებდა შემეცნებას, მის უნარს.

შემეცნებაში ილია ჭავჭავაძე განასხვავებს ორ ძირითად საფეხურს: შეგრძნებასა და გონებას. შემეცნების პირველი საფეხური არის შეგრძნება, რომელმაც პირველმა უნდა მიიღოს ადამიანზე გარემოს ზემოქმედება, ხოლო მეორე საფეხურია გონება, რომელმაც შეგრძნებაში მოცემული მასალა უნდა გაარჩიოს, ახსნას და გაიგოს ანუ, როგორც ილია ჭავჭავაძე წერს: „თვალმა უნდა დაინახოს, გონებამ უნდა დანახული გაარჩიოს, ახსნას და გაიგოს“².

ამ ორ საფეხურთან ერთად, ილია ჭავჭავაძე ასახელებს აგრეთვე პრაქტიკასაც. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკის საკითხი ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ერთი მნიშვნელოვანი საკითხთაგანია. ჩვენ ჯერ კიდევ ზემოთ იშვებოდა ამ საკითხთან შეხედრა. როდესაც ვლაპარაკობდით იდეების, აზრების ცხოვრებაზე უკუზემოქმედების შესახებ, იქ აღვნიშნეთ, რომ, ილია ჭავჭავაძის აზრით, იდეები და შეხედულებანი მხოლოდ მაშინ არიან რაიმე მნიშვნელობის ნქონე, როდესაც ისინი, წარმოიშობიან რა ცხოვრებიდან, ისევე ცხოვრებას დაუბრუნდებიან და დაეუფლებიან რა ხალხს, ხელს შეუწყობენ მის წინსვლასა და განვითარებას, ე. ი. რომ მხოლოდ ის აზრებია კუშმარტი, რომლებიც თავის ნამდვილობას საქმეში, მოქმედებაში დაამტკიცებენ. ასევეა აქაც, როდესაც ილია ჭავჭავაძე ლაპარაკობს, რომ „თვალმა უნდა დაინახოს, გონებამ უნდა დანახული გაარჩიოს, ახსნას, გაიგოს“, იქვე დასძენს: „ხელმა, მარჯვენამ უნდა გააკეთოს“. მაშასადამე, ილია ჭავჭავაძის აზრით, შემეცნება გრძნობებით იწყება, გონებაში სრულდება, ხოლო პრაქტიკაში, საქმეში ნორმდება, რადგან „საქმეა ყოველისთვის გამოძღველი“³. საქ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, 1955, გვ. 29—30.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, 1955, გვ. 337.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, 1953, გვ. 67.

მეში კი ილია გულისხმობდა საზოგადოებრივ საქმეს, საზოგადოებრივ ცხოვრებას. „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა—წერდა იგი; მისი გაუმჯობესება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“¹. ამასთან საქმე, პრაქტიკა ილიასთან ფართო მნიშვნელობითაა დაყენებული. მართალია, მას მარქსისტული განსაზღვრება ამ ცნებისა არ მოუცია, მაგრამ თავისი შინაარსის მიხედვით პრაქტიკაში იგი სწორედ ადამიანთა საწარმოო საქმიანობას გულისხმობდა.

რამდენადაც ილია აზროვნებას განიხილავდა როგორც ისტორიულ პროცესს, შემეცნებაც მას ასევე ისტორიული თვალსაზრისით ჰქონდა წარმოდგენილი. შემეცნება წინსვლითი პროცესია—ილიას აზრით. ამიტომ მოპოვებულ ცოდნას ყოველთვის კონკრეტულ-ისტორიული თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ. კონკრეტულ-ისტორიული მიდგომა შესაძლებელს ყოფს გავიგოთ ცოდნის ქეშმარიტების შეფარდებითი ხასიათი. „რაც გუშინ კაცს ჰგონებია დაურღვეველ ქეშმარიტებად, რისთვისაც უცია პატივი, როგორც მიუცილებელ საქიროებისათვის, ხშირად მოხდება ხოლმე—წერს ილია—რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია, ასე რომ კიდევ გვიკვირს, აღრინდელს კაცს როგორ სწამდა ამისთანა ცხადი სისულელე დაურღვეველ ქეშმარიტებად, როგორ არა ჰქონია იმოდენა გონიერება და მხედველობა, რომ გაერჩია თეთრი და შავი, შავისათვის შავი დაერქმია, თეთრისათვის—თეთრი. ასე მოხდება ხოლმე განა იმისაგან, რომ ჩვენ აღრინდლებზედ ქვეიანები ვართ, „სხვა სხვის ომში ბრძენიაო“, ამბობს რუსთაველი. ჩვენ რომ ამ თავმოწონებულის გონიერებითაც ვყოფილიყავით და იმ აღრინდელის კაცის ვითარებადა გარემოება გარს შემოგვტყუოდა, არა მგონია, ავსცდენოდით საზოგადო ცთომილებას, რომელსაც დღეს ეგრე თავმოწონებით დავსცინით“². მაშასადამე, ქეშმარიტება, შემეცნების სიღრმე განსაზღვრულია იმ ისტორიული პირობებით და იმ გარემოთი, რომელშიაც უხდება მოღვაწეობა შემეცნებელს. ამიტომ ქეშმარიტებაში ყოველთვის არის სიმცდარე, რომელიც შეცვლილ მიდგომარეობაში, ცხოვრების სხვა პირობებში. გახდება ხოლმე დასანახი და გასაგები. იმის შედეგად, რომ შემეცნება, ქეშმარიტების ძიება, შეფარდებითი ხასიათისაა და, ამავე დროს კი მისი უნარი უსაზღვროა, შემეცნების პროცესს, გონების წინსვლას სამყაროს საიდუმლოების გარკვევაში საზღვარი არა აქვს. ადამიანის გონების შემეცნებითი უნარი შემეცნების პროცესში ვლინდება. შემეცნების პროცესის გარეშე შემეცნების უნარზე ლაპარაკი, ილიას აზრით, ინას წინააღმდეგ, რომ კაცს ხელ-ფეხი შეუუკრათ და ვუთხრათ, ქიდაობა ისწავლეო, ხალხს მოსაწართლის ამორჩევის ნება არ მიეცეთ და ვუთხრათ, კაი მოსაწართლის ამორჩევა ისწავლეო, კაცს ვუთხრათ „უტრეა ისწავლე და წყალში კი ნუ შეხვალაო; გზა გაიარე და შინილამ ფეხს-კი ნუ გამოდგამაო“³. მაშასადამე, ცხადია, რომ ადამიანმა მოქმედებაში უნდა გასინჯოს თავისი გონების ძალა, რადგან როგორც ყოველივეს, ისე გონებასაც მხოლოდ მოქმედებაში შეუძლიან წინსვლა და განვითარება. ისტორიული განსაზღვრულობის გამო ადამიანის გონებას ყოველთვის გარკვეული საზღვრები აქვს, მაგრამ ისტორიულ განვითარებაში გონება ყოველთვის არღვევს ამ ერთ

¹ ი. ქავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, 1953, გვ. 66.

² იქვე, გვ. 56.

³ ი. ქავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, 1956, გვ. 84.

შეხედვით გადაულახავ საზღვრებს; გადალახავ ერთხელ დადგენილ ჭეშმარიტებას და აღმოაჩენს, რომ ის, რაც ერთ შემთხვევაში ხელუხლებელ ჭეშმარიტებად ითვლებოდა, სხვა შემთხვევაში აშკარა სიმცდარეა. გონების წინსვლის ამ უსაზღვრო უნარმა, მისმა მისწრაფებამ აღმოაჩინოს და გახსნას ადამიანისათვის თითქოსდა, მიუწვდომელი საიდუმლოებანი, იქამდის მიიყვანა ადამიანი, რომ მან გახსნა და აღადგინა კაცობრიობის შორეული ისტორია, შექმნა ისეთი იარაღები, რომლებითაც ადამიანმა შეუძლებელი შეძლო, არის იმისთანა სფერა საცოდნელისა, თუ საცნობისა—წერს ილია ჭავჭავაძე,—სადაც მკრეული და გამოძიებელი გონება ადამიანისა თავგამოდებულ იბრძვის—შეიტყოს სასურველი, გაიგოს, ახსნას უტყუარად და შეუცდომლად, მაგრამ ამისათვის ვერაფერად გარეგან საბუთს ვერ ჰპოულობს დასაბჯენად და ფეხის მოსაკიდებლად. ამისთანა სფერა საცოდნელისა, თუ საცნაურისა, ყველა მეცნიერებაში არის და, სხვათა შორის, ისტორიაშიც. ისტორიაში ეგ სფერა პირველყოფილი, პირველდაწყებითი მდგომარეობაა თვითეთლის ერისა და აქედან მთელის კაცობრიობისაც. ეს მდგომარეობა იმ ხანას ეკუთვნის, რომელსაც ისტორიის წინადაყოფის დროს ეძახიან, ესე იგი იმ დროს, რომლის ხსოვნა არა აქვს ისტორიასა, და მოუსვენარი, ცოდნის ხარბი გონება ადამიანისა კი სცილილობს, რაც ისტორიას არ დაუხსომებია, იგი თვითონ გვიამბოს, გვაცოდინოს“¹.

ადამიანის გონება ამ უხსოვარ დროთა ახსნაში სულ წინ მიიწევს, ერთი საფეხურიდან მეორეზე გადადის. შემეცნება საერთოდ საფეხურებრივი ხასიათისაა, ზედაპირიდან სიღრმისაკენ მიემართება, ერთი საფეხურიდან მეორე, უფრო ღრმა საფეხურზე გადადის, ავლენს მოვლენის შინაგან ბუნებას, რითაც ადამიანის ძალას, გარემოზე მის ბატონობას დღითი დღე ზრდის. „პროგრესიო—ამბობს ფილოსოფოსი ბეკონი—წერს ილია ჭავჭავაძე—არის გაუთავებელი შორს გადადგმა არ-შესაძლებელის საზღვრებისაო. მართალიც არის: ვის ეგონა, რომ შესაძლებელია უშველებელ ნანძილზედ კაცი კაცს გამოეღაარაკოს თვალის დახამამების უმაღლესი? ვის ეგონა, რომ შესაძლებელია ორთქლმა სახლების ოდენა ვაგონები გააქან-გამოაქანოს გაქენებულ ცხენზედ უფრო სწრაფად? დღეს ყველა ეს არის და ამ სახით, საზღვარი არ შესაძლებლისა ამავების შესახებ, წინად ახლო ნდგარი, დღეს შორს გადადგმულია, ანუ უკეთ ვთქვათ საზღვარმა შესაძლებლობისამ ადგილი გადაინაცვლა და შორს გაიწია.

ასევე არ შესაძლებელი შესძლო ადამიანის გონებამ, როცა შეუდგა იმის გამოძიებასა და გაგებას, თუ რა მდგომარეობაში იყო კაცობრიობა საზოგადოდ, ან თვითეთლი ერი ცალკე იმ დროს, რომელიც ისტორიას არ დაუხსომებია, ან თვალი არ შეუსწვრია“². ეს წარსული ხანა ადამიანისათვის ცხრა-კლიტულით იყო დაკეტილი, რომლის გასაღები ზღვაშია გადაგდებული. ადამიანის გონებამ-კი, მისმა შემეცნებითმა უნარმა „მაინც იპოვა ეს გასაღები და ამ საღაროს კარი გაგვიღო ცოტად თუ ბევრად“.

ილია ჭავჭავაძე კარგად იცნობს ფრენის ბეკონის ფილოსოფიას. კერძოდ ილია დიდ ყურადღებას აქცევს შედარების იმ მეთოდს, რომელსაც ბე-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, 1955, გვ. 27—28.

² იქვე, გვ. 28.

კონი იყენებს კანონების დადგენისათვის და შემეცნების პროცესში ამ მეთოდს თელის ჰემზარიტების ძიების უტყუარ და მძლავრ საშუალებად. ილიას აზრით, შედარებითი მეთოდი გონებას ეხმარება განსაკუთრებით ისეთი მოვლენების გარკვევაში, რომელთა უშუალო კვალი გამჭრალაია. შედარების გზით შეიძლება აღდგენა ადამიანთა მთელი ეპოქებისა, მოვლენათა განვითარების კანონებისა და ა. შ. „შედარება იმ მოქმედებას გონებისას ჰქვიან—წერდა ილია ჭავჭავაძე—როცა ორსა ანუ რამდენსამე საგანს ერთმანეთს წაუყენებს, დაუპირისპირებს, რომ აღმოჩნდეს, რაში აქვთ მსგავსება, ერთნაირობა, და რაში სხვაობა და სხვანაირობა. შედარების საგნად შესაძლოა რამდენიმე სხვადასხვანაირი შემთხვევა იყოს ერთისა და იმავე მოვლენისა, ხოლო იმისთანა შემთხვევანი-კი, რომელშიაც გამოსაძიებელი მოვლენა თავს იჩენს ასე თუ ისე“¹. ამასთან, შედარებითი მეთოდი გულსხმობს შემეცნების წინსვლას ცნობილიდან უცნობისაკენ, ასეთი გზა კი შეიძლება იყოს ან დედუქტიური ან ინდუქტიური. შემეცნების დედუქტიური გზა ნიშნავს ზოგადიდან წავიდეთ კერძოსაკენ, თუ ზოგადი ვიციტ, კერძო კი არა (ანუ როგორც ილია ჭავჭავაძე წერს: თუ თავი ვიციტ, ბოლო კი არა), ხოლო ინდუქტიური ნიშნავს: კვლევა-ძიება ვაწარმოოთ კერძოდან ზოგადისაკენ, თუ კერძო ვიციტ და ზოგადი კი არა. ახუსტებს რა შედარებითი მეთოდის ზემოთ მოცემულ განმარტებას, ილია ჭავჭავაძე ამასთან დაკავშირებით წერს: „ეს გვარი კვლევა-შედარება კი არ არის, სწორედ ის არის, რომ კაცი კვალში ჩაუდგეს რომელსამე საგანს, ანუ მოვლენას, რომ ან სათავეიდან ბოლომდე ჩამოჰყვეს, თუ სათავე ვიციტ და ბოლო არა, და ან ბოლოდან სათავემდე აჰყვეს, თუ ბოლო ვიციტ და სათავე არა, და ამისათვის კიბედ გაიხადოს ყოველივე შემთხვევა, ყოველივე დრო, ყოველივე ადგილი, სადაც კი ან საგანს ან მოვლენას თავი გამოუჩენია“². შემეცნების ასეთი გზა შესაძლებელს ყოფს, ილიას აზრით, ნაოელი მოვფინოთ ბევრ ჩვევებს, ცრურწმენებს, არსებულ მოვლენებს და საგნებს, რომელთა წარმოშობა დღეს საიდუმლოებითაა მოკული; მეტიც, იგი შესაძლებლობას მოგვცემს აღვადგინოთ კაცობრიობის განვლილი ისტორია და დავასაბუთოთ, რომ თითქმის ყველა ხალხს, დროისა და ადგილის სხვადასხვაობის მიუხედავად, ერთი და იმავე გზით უვლია, ერთნაირ მიზეზს ერთნაირად ვადუხრია, ერთნაირად ვაუტაცნია გონება. „იგი ხელს უწყობს ვაგებას და ახსნას ეხლანდელისას—დასძენს ილია—რომელიც თუმცა შერჩენია ცხოვრებას, მაგრამ არც თავი უჩანს არც ბოლო და სასაცილოდ-ლა ასაგდები ვაგვხდომია, მაშინ როდესაც ერთს დროს თავისი შესაწყნარებელი მიზეზი ჰქონია და, მაშასადამე, საპატიო ყოფილა. ისტორია სხვა რაა, თუ არა გამორკვევა, თუ არა ახსნა აწმყოსი წარსულისაგან“³.

მაგრამ, ილიას აზრით, გონებას მარტო წარსული კი არ ეხმარება აწმყოს ვაგებაში, შეიძლება პირიქითაც, როდესაც არსებული ესა თუ ის დასრულებული მოვლენა ვახდება გასაღები ამ მოვლენის დაბალი ფორმების ვაგებისათვის. ამ მეთოდით იკვლევდა ილია ხიზნობის საკითხს. როგორც იგი წერს, ფორმა ხიზნობისა თითქმის ყველა ქვეყანაში ვგვხვდება, მაგრამ ამ ფორმამ ზოგან თავისი სრულყოფილი სახე მიიღო, ზოგან კი წინ ველარ წაივდა

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, 1955, გვ. 31—32.

² იქვე, გვ. 32.

³ იქვე, გვ. 35.

და განვითარების დაბალ საფეხურზე დარჩა. იმისათვის, რომ ვიცოდეთ ხიზნობის ნამდვილი ბუნება, მისი გასაღები უნდა ვეძებოთ მის დასრულებულ ფორმაში. ბუნება ხიზნობისა, მაგალითად, საქართველოში გასაგები გახდება, ამბობს ილია, თუ მას შევადარებთ მსგავს მოვლენებთან იმ ქვეყნებში, სადაც ხიზნობამ, ყოველმხრივი განვითარების შედეგად, თავისი სრული ფორმა მიიღო, „ამ სხვადასხვა სახელებიან ხიზნობათა შორის იგივე განსხვავებაა—წერს ილია—რაც მოზარდსა და დავაჟკაცებულ ადამიანთა შორის: მოზარდი აგებულობით, ტანით, ხელით, ფეხით, იგივე ადამიანია, ხოლო განსხვავება იმაშია, რომ ერთი დამთავრებულია და სრული, მეორე ჯერ კიდევ გაზრდის გზაზეა. სწორედ ამ გაზრდის გზაზე მოასწრო დღევანდელმა დღემ ჩვენ ხიზნობასა, თუ პოლანდიის ბეკლემრებტთან შევადარებთ“¹.

ილია ჭავჭავაძის აზრით, შემეცნება რთული პროცესია. იგი ცხოვრების სიღრმისაყენ მიემართება და ცდილი-ს არ შეჩერდეს კონკრეტულზე, არამედ მისწვდეს ზოგადს, როგორც კერძოსა და ერთეულის საფუძველს. იქ, სადაც შემეცნება ვერა სწვდება ზოგადს, აზროვნება დაჩაივებული და დანამცეცხებულია. შემეცნება მაშინ არის სრული და ღრმა, ცოდნა მაშინ არის მდიდარი, როდესაც საგნის ან მოვლენის ზოგადი არსება ვიცით. „შემოქმედის ძალის ღონიერება ერთი და იგივე არ არის—წერს ილია—როცა ერთი მთელს გადასწვდება ხოლმე და მეორე კი მარტო ნაწილსა. მწერალმა, თუ სხვა ვინმე ხელოვანმა, რაც უნდა ზედმიწევნით და მშენივრად გამოხატოს ერთი რომელიმე ცალკედ სახელწოდებული კაცი—ივანე თუ პეტრე, ყოველთვის უპირატესობა უნდა დაუთმოს იმას, ვინც ზოგადის გამოხატვის შემძლებელია“². მართალია აქ ხელოვნების ზოგადის შესახებ არის ლაპარაკი, მაგრამ ილია ჭავჭავაძე ხელოვნებას უყურებს, როგორც სინამდვილის შემეცნების უდიდეს საშუალებას. მისი აზრით, სინამდვილის შემეცნებამ, იქნება ეს განხორციელებული ხელოვნების თუ მეცნიერების ფორმით, ზოგადის ცოდნა უნდა მოგვეცეს, რადგან ზოგადი მოიცავს ერთეულსაც. ზოგადი მყარია, შედარებით უცვლელია, ერთეული კი წარმავალი და ცვალებადი. ცხოვრება იმიტომაა მყარი და უსასრულო, რომ თავის განუწყვეტელ წარმოშობა-მოსპობაში იგი მაინც მარადიულია. „როგორც ყველასი ერთად და ერთ დროს დაბერება არ შეიძლება—წერს ილია—ისეც ერისა. ივანე ბერდება და მიდის, პეტრე იბადება და მოდის, და ერი კი ისევ ერია, ერთ-სულ, ერთ-გულ. ერი თავისი სულით და გულით იმ ტურფა საბალნაროსა ჰგავს, საცა, რუსთაველის სიტყვით, ერთი მიდის და მის მაგიერ სხვა მოდის, თითონ ბალნარი-კი არის და არის მუდამ მწვანე, მუდამ დაუქნობელი, მუდამ ყვავილოვანი, იახამბახ-ვარდ გაშლილი, როგორც ჩვენი ძველი პოეტი ბესიკი იტყოდა“³. აი ასეთი ზოგადი მხარე, შედარებით მყარი და უცვლელი შინაგანი ბუნება ახასიათებს ყოველ საგანს და ყოველ მოვლენას. შემეცნების ამოცანაა ამ ზოგადის, ამ შედარებით მყარი და უცვლელის შემეცნება. ასეთი მყარი, შედარებით უცვლელი საგანში, მოვლენაში არის მისი არსება, მისი კანონი. შემეცნების მიზანია კანონის აღმოჩენა, რონელზედაც უნდა აშენდეს მეცნიერება. კანონი ობიექტურია, ამბობს ილია, მხოლოდ საჭიროა ადამიანმა აღმოაჩინოს

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, 1956, გვ. 145.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, 1953, გვ. 174—175

³ იქვე, გვ. 375.

ის და ზნა გაუხსნას მის მოქმედებას. „თითონ ცხოვრება აღმოშობაჲს ხოლმე—წერს ილია—თავისთვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა,—მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ ზნის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაყენოს“¹.

შემეცნებას რომ არ შეეძლოს ისეთის ზოგადის, მყარის აღმოჩენა, როგორც კანონია, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა მეცნიერებაც, რადგან მეცნიერება არ შეიძლება ემყარებოდეს ისეთ რამეს, რასაც სიმყარე არ გააჩნია. მეცნიერება კრებაა ზოგადის კანონებისა, რომლებსაც ადამიანის შემეცნებელი გონება მოვლენათა ქაოსში აღმოაჩენს, დაადგენს. სინამდვილე მასალა ამბობს ილია, საილამაც ადამიანის გონების შემეცნებით ძალას „გამოჰყავს, დედა-აზრი (პრინციპი) და ამ დედა-აზრზედ ამყარებს მეცნიერების შენობასა“. ეს დედააზრი, ეს პრინციპი თუ კანონი ზოგადი ხასიათისაა და სათანადო პირობებში ყველგან ერთნაირად მოქმედებს. „ხალხთა ცხოვრებაში არის ბევრი ზოგადი კანონები—წერს ილია ჰავეკავაძე—რომლებიც ყველგან ერთნაირად მოქმედებენ. ეს რომ არ იყოს, თითონ მეცნიერებაც, რომელიც სხვა არა არის რა, გარდა მისი, რომ კრება ზოგადის კანონებისა, ფუჭი სიტყვა იქნებოდა“².

ამრიგად, ილია ჰავეკავაძის აზრით, გარემოსთან ურთიერთობაში ადამიანი ემყარება თავის საიმედო საშუალებას, გონებას, რომელსაც აქვს უნარი შეიმეცნოს, გაიგოს, ახსნას მისი გარემომცველი სინამდვილე, აღმოაჩინოს მისი განვითარების კანონები, კანონზომიერება, ააშენოს ამ ზნით მეცნიერების სისტემა და ამ მეცნიერებით შეიარაღებული ადამიანი აღარ არის სუსტი გარემოსთან ბრძოლაში. ადამიანი მათ თუ არ იცის თავისი გარემომცველი სინამდვილე, არ იცის მოვლენათა წარმოშობი კანონზომიერებანი, ცალკეულ მოვლენათა კანონები, იგი ამ მოვლენათა, ამ კანონთა მონაა, ყოველ ნაბიჯზე მათ ბრმა მოქმედებას ეჯახება და ამ შეჯახებაში მარცხდება. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება ასეთი მაგალითი მოვიყვანოთ: როდესაც ადამიანს შემეცნებელი არა აქვს წარმოების ბუნება, წარმოებისა და გაცვლის, ეკონომიური კანონები, „... ვერც საქონლის გამყიდავი, ვერც სცნობს ეკონომიურს ვითარებას რომელიმე დროისას და ამიტომ ჰგონია ერთსაც და მეორესაც, რომ სასწორს საქონლის ღირებულებისას თავიანთ სურვილისამებრ თუნდა ასწევენ, თუნდა დასწევენ მარტო თავის სასარგებლოდ“³. მაგრამ როდესაც ვიცით განვითარების კანონები, მაშინ შესაძლებელია შევაჩეროთ ობიექტური კანონების ბრმა მოქმედების შედეგები და მათ მოქმედებას მივცეთ ადამიანისათვის სასურველი მიმართულება.

* * *

შემეცნების საკითხებს უკავშირდება ილია ჰავეკავაძის მოსაზრებები აგრეთვე ენისა და აზროვნების ურთიერთობის შესახებ. ენა, ილია ჰავეკავაძის აზრით, აზრების გაცვლის საშუალებაა, ხოლო სიტყვა აზრისა და საგნის ნიშანია. სახელი საგნის შესახებ აზრის აღმნიშვნელია და ამიტომ, „სადაც

¹ ი. ჰავეკავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, 1953, გვ. 66—67.

² ი. ჰავეკავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, 1955, გვ. 56.

³ იქვე, გვ. 223.

სახელია, იქ უთუოდ საგანიც უნდა იყოს¹. ენის განუყრელა კავშირი აზროვნებასა და აზროვნების მიერ ასახულ სინამდვილესთან იქიდანაც ჩანს, ილია ჭავჭავაძის აზრით, რომ როდესაც საგანი აზროვნებისა გათავთავადებულა, გათავთავადებულა აზროვნებაც და ენაც. „ჩვენ ყოველისფერში გაკეთათავადით, წერს ილია, აზრი და ყოველი საგანი გავითავთავეთ და სიტყვაც, რომელიც მარტო აზრისა და საგნაი ნიშანია, გათავთავადა“². გასაგებიცაა, „სიტყვა გარეგანი სამოსელია აზრისა“ და თუ აზრი შეიცვალა, არ შეიძლება არ შეიცვალოს მისი გარეგანი სამოსელიც. აზრის გარეშე ენა არ არსებობს და არ შეიძლება არსებობდეს, რადგან ენა ყოველთვის უნდა გამოხატავდეს აზრს. „სადაც აზრი არ არის—წერს ილია ჭავჭავაძე—იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქნია; მერე მე არსად არ გამოგონია, რომ უაზრო ენა იყოს სადმე, აზრი და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას“³. ამიტომ ცხადია, რომ რაც უფრო განვითარებულია აზროვნება, მით უფრო განვითარებულია აგრეთვე ენაც, რაც უფრო განათლებულია საზოგადოება, მით უფრო მეტი აზრები უჩნდება მას თავში და, მაშასადამე, მით უფრო იესება ამ ენის სიტყვიერი ფონდი, რადგან ყოველი აზრი გამოხატულებას უნდა პოულობდეს სიტყვაში, როგორც თავის გარეგან გარსში, გარეგან სამოსელში, „რაც ხალხი უფრო ნაკლებ განათლებულია—წერს ილია ჭავჭავაძე—მით უფრო ცოტა სიტყვა აქვს თავის ენაში. ანგლიაში ერთ პასტორს გამოუყვლევი. რომ ანგლიის გლეხი—თუ ხსოვნამ არ მილატა—თავის გრძობის, საჭიროების, აზრის გამოსათქმელად მარტო 3.000 სიტყვას ხმარობსო. დარწმუნებული ვარ, რომ 3.000 აზრის მეტი იმის გონებაში არ არის, იმიტომ რომ ყოველი სიტყვა აზრის წარმომადგენელია; თუ მეტია—მეტი აზრიც ექნებოდა. ფილოსოფოსი ხმარობსო 10.000 სიტყვას; სჩანს, რაც აზრი მეტია, სიტყვაც მეტია. შექსპირი კიო,—ამბობს იგი, შექსპირი, რომლის მსგავსი მწერალი ჯერ არ ყოფილა, ხმარობდაო 15.000 სიტყვას. რაც ერთზედ ითქმის ის მთელ ხალხზე ითქმის. მე დარწმუნებული ვარ, რომ ერთობ ჩვენი ხალხი ანგლიის ხალხზედ უფრო ცოტა სიტყვით იოლად მიდის, იმიტომ, რომ ისინი ჩვენზედ უფრო განათლებულნი არიან: მეტი საჭიროება, მეტი გრძნობა, ერთის სიტყვით—მეტი აზრი აქვსთ და, რასაკვირველია, იმ აზრების გამომთქმელს მეტი სიტყვაც უნდა ჰქონდეს. თუ ხალხი ცხოვრობს, განვითარებაში არის, ე. ი. აზრიანობა, გამსჯელობა ემატება, სიტყვაც მოემატება, ენაც გაუმდიდრდება. ვინც იძახის, ნუ იხმარებთ ახალს სიტყვებსო, იმან არ იცის, რას ამბობს. ის ამით ამბობს, რომ აზრს ნუ გემატებთო, გონებას მხედველობას ნუ უვრცელებთო, წინ ფეხს ნუ გვადგივივინებთო ერთი სიტყვით—კაცნი კაცობას ნუ ჩემობთო“⁴.

აქ მოცემულია ილია ჭავჭავაძის მთელი კონცეფცია ენისა და აზროვნების ურთიერთობის საკითხებზე; აქედან ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე ენას განიხილავდა არა როგორც აზრის უბრალო ფორმას, არამედ ენაში ხელადა უდიდეს შემეცნებითი ღირებულების მქონე საშუალებას. მართლაც, თუ ადამიანის ცნობიერებაში თავს იჩენს რაიმე აზრი, უნდა გაჩნდეს მისი შესაბამისი სიტყვაც, რადგან თუ ეს აზრი არ იქნა გამოხვეული სიტყვაში,

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3. 1953, გვ. 34.

² იქვე, გვ. 80.

³ იქვე, გვ. 38.

⁴ იქვე, გვ. 471—472.

როგორც მის მატერიალურ გარსში, ანუ როგორც ილია ამბობს, გარეგან სამოსელში, ცოდნა, როგორც ასეთი, ჯერ კიდევ არა გვაქვს, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ეს ცოდნა არ შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს სხვისათვის. სწორედ ეს გათვალსაზნისებობა აძლევს ენას დიდ მნიშვნელობას და ამავდროულად მისი შემეცნებითი ღირებულებაც.

რამდენადაც ენა აზრის გამოხატულების საშუალებაა, ხოლო აზრი ცხოვრების წინსვლასთან ერთად განვითარებას განიცდის, ამდენად განვითარებას განიცდის ენაც. ენის ეს განვითარება ბუნებრივ-ისტორიული პროცესია და მას, როგორც ასეთს, აქვს თავისი შინაგანი კანონზომიერება. ეს განვითარება ადამიანის განვითარების მსგავსია, ამბობს ილია, ამიტომაც, მისივე აზრით, „ახალი ენა ძველ ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველ კაცსა“¹.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიურ კონცეფციაში შემეცნების შესაძლებლობის საკითხი დადებითად არის გადაწყვეტილი. მართალია, შემეცნების რთული პროცესი მას მთელი თავისი მოცულობით არ განუხილავს, რადგან, როგორც აღენიშნეთ, მას არ დაუწერია სპეციალური ფილოსოფიური ტრაქტატები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შემეცნების საკითხებს მან სათანადო ყურადღება დაუთმო და ხაზგასმით აღნიშნა ადამიანის გონების შემეცნებითი უნარის ყოვლისშემძლეობა.

* * *

ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური თვალსაზრისი თავიდან ბოლომდე აშენებულია იმის შეურყეველ რწმენაზე, რომ მთელი სამყარო, როგორც ბუნება, ისე საზოგადოებრივი ცხოვრება, ადამიანი და ადამიანის მიერ მისი გარემომცველი სინამდვილის შემეცნება წარმოადგენს არა რალაც ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ ფაქტს, არამედ განუწყვეტელი განვითარების შეუჩერებულ პროცესს. ილია ჭავჭავაძის ფილოსოფია მოქმედების ფილოსოფიაა. მის იდეალს წარმოადგენს განუწყვეტელ თვითმოქმედებაში, მოძრაობაში მყოფი ადამიანი, საზოგადოება, მთელი ცხოვრება. თავის იდეალად გადაქცეული ცხოვრების განსაზღვრებას იგი ხელდასმულად მოძრაე და მჩქეფარე თერგში და არა, თუმცა დიდებულ, მაგრამ ციკ და მიუკარებელ მყინვარში. მყინვარი დიდებულია, წერს იგი, მაგრამ მყუდროა, მშვიდობიანი და ცივი. მისი დანახვა ადამიანს აკვირვებს, მაგრამ არ აღელვებს, აციებს, მაგრამ არ ათბობს. სულ სხვაა „თავზე ხელაღებული, გიგი, ვადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი. შავის კლდის გულიდამ გადმომსკდარი მოდის და მოზღაფის და აბლაღლებს თავის გარეშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხუთილი, გამაღებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გაღვივებული ცხოვრებისა, ამაღლევებელი და ღირსუცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელი ქვეყნის ნაცარტუტა. მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ცივია როგორც უკვდავება და ჩუმი — როგორც განცხრომა“². თერგის სიდიადე, ილიას აზრით, სწორედ ამ განუწყვეტელ ბრძოლაში, განუწყვეტელ მოძრაობაშია, რადგან მხოლოდ მოძრაობა, მხოლოდ ბრძოლა არის სიცოცხლის მომცემი, ძალის შთამნერგავი, მო-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, 1953, გვ. 4.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 2, 1950, გვ. 21.

მავლის შემქმნელი. უძრავობა კი სიკვდილია, წყვილია ბნელია. „ნეტავი შენ თერგო!—წერს ილია—იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადგე, თუ მყარად გუბედ არ გადაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შხვეტეალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ძალისა და სიცოცხლის მიმცემი...“¹ მსგავსად თერგისა, მხოლოდ ის ცხოვრება განვითარებისათვის მოწოდებული, რომელიც ნათელია და მოუსვენარი, რომელიც იტანჯება, იბრძვის, ვაივავლახობს, მაგრამ მაინც აღწევს მიზანს. „არა, წაიღეთ ეს ბნელი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა—წერს ილია—და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი ღლე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვავლახითა“². ამრიგად, არა მშვიდობა, არამედ ბრძოლა, არა უძრავობა, არამედ განუწყვეტელი მოძრაობა—აი ძალა ცხოვრებისა, აი ძალა წინსვლისა. ამიტომ წერს იგი, რომ „რამ არნ მშვიდაბა? უხმარ სატევარს ჯანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ქია-ჭუაი, ქვემძრომი გამრაველის. უდევარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის! რამ არნ მშვიდაბა ცოცხვალ კაცთათვის?... ცარიელ მშვიდაბა მიწაჩი გვეყოფის“³.

თერგის ამ დახასიათებაში, როგორც აღვნიშნეთ, ცხოვრებაზე ილია ჭავჭავაძის მთელი თვალსაზრისია ჩამოყალიბებული. ბრძოლის, თვითმოქმედების ეს სული წითელ ზოლად გასდევს მთელ მის შემოქმედებას და პრაქტიკულ საქმიანობას. დაწყებული 60-იანი წლებიდან სიკვდილამდე სიტყვიით თუ საქმით ცდილობდა იგი ქართული ცხოვრებისა და აზროვნების ამოქმედებას და ამ გზით მის წინსვლასა და განვითარებას. წინააღმდეგ კონსერვატიული და მოღიბერალო თავადაზნაურობის მსოფლმხედველობისა, რომელიც იბრძოდა ცხოვრების ყოველგვარი მოძრაობისა და განვითარების წინააღმდეგ და ყველა ღონით ცდილობდა უძრავად და უცვლელად მის შენარჩუნებას, ილია ჭავჭავაძემ მოძრაობა და განვითარება აღიარა ცხოვრების არსებობის მთავარ პრინციპად და მთელი ენერჯით სცადა ამის ყოველმხრივი დასაბუთება.

ცხოვრება, ილია ჭავჭავაძის აზრით, წარმოადგენს ორგანიზმს, რომელსაც აქვს თავისი წარმოშობის, განვითარებისა და დაქნობის პერიოდები. მაგრამ იგი არასოდეს არ ბერდება, არამედ რაკი ამოსწურავს თავის არსებობის გარკვეულ ფორმას, კვლავ განახლდება და განახლებული გასწევს იმავე გზით როგორც პირველი. „ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ქვდება—იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიძარხო, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნელდი ცხოვრება, რომელიც ისევ ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკვდავება უნდა“⁴. ცხოვრების განვითარების არსი იმაშია, რომ იგი გაივლის გარკვეულ საფეხურს, ამოსწურავს თავის თავს, მაგრამ თვითვე ჰყრის იგი მომავლის თესლს, რომელიც დასაბამს აძლევს ძველის უარყოფელ ახალ, განახლებულ საფეხურს ცხოვრებისას. ამრიგად განვითარება ილია ჭავჭავაძის

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. 2, 1950, გვ. 21.

² იქვე, გვ. 22.

³ იქვე, გვ. 28—29.

⁴ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. 3, 1953, გვ. 57.

ესმის როგორც წარსულის, აწმყო და მომავლის დიალექტიკური ერთიანობა— იგი შესანიშნავად იმარჯვებს ლეიბნიცის დებულებას— აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა— და ამ დებულებაში ხედავს განვითარების მთელი პროცესის განსახიერებას. აწმყო უარყოფს წარსულს და თავის მხრივ უარყოფა მომავლის მიერ. მაგრამ უარყოფა ამავე დროს მიღებაცაა, რადგან აწმყოში შესულია ყოველივე ის დადებითი, რაც წარსულში იყო, ხოლო მომავალი აღმოცენდება იმის საფუძველზე, რაც აწმყოში მოწინავეა და დადებითი.

ილია ჭავჭავაძეს შესანიშნავად აქვს გარკვეული უარყოფის დიალექტიკა. უარყოფა, მისი აზრით, გამომდინარეობს საგნის ან მოვლენის შინაგანი წინააღმდეგობრივი ბუნებიდან. „ყველგან, საცა კი ისტორიის ღირსი ერთი თავისთავა სცხოვრობს, — წერს ილია ჭავჭავაძე, — ორნაირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების მდინარეობასა, ერთი ის წყობაა, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია, დაუდგენია და დღეს მოქმედებს, მეორე ის, რასაც დღევანდელი დღე თხოულობს და საჭიროებს. ამ ორთა წყობათა მოქმედება დაუძინარია და მუდამი. როცა ის, რასაც დღევანდელი დღე თხოულობს, ყველას თუ არა— ბევრს მაინც ძვალსა და რბილში დაუქლის, შესმენილი და გაგებული ექნება, — მაშინ ეგ მეორე წყობა იმარჯვებს და ყოველ საქმეთა სათავეში მოექცევა ხოლმე. ეხლა ეგ წყობა დაიჭერს პირველს ადგილს ცხოვრებაში. რასაკვირველია, მანამ ეს ასე მოხდება, ცხოვრება მაინც მოქმედებს და ახალს საჭიროებას იჩენს. ამიტომაც ახლად გამარჯვებულს წყობასაც სხვა, ახალი წყობა გამოუჩნდება ხოლმე მოპირდაპირედ. ესე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამნაირ სვლას დასასრული არა აქვს. თითონ კაცობრიობის ისტორიაც სხვა არ არის— რა, გარდა ამნაირად ფეხის გადანაცვლებისა“¹.

როგორც აქედან ჩანს, ისტორიული განვითარება ილიას წარმოდგენილი აქვს ერთმანეთის უარყოფელი საფეხურების მიმართების სახით, სადაც მომდევნო საფეხური წინაში ისახება და იმარჯვებს, რადგან უფრო სრულია, უფრო პროგრესულია და მოწინავეა, ვიდრე წინა საფეხური, რომელსაც იგი უარყოფს. მაგრამ ამ უარყოფაში, ილია ჭავჭავაძის აზრით, ყოველთვის ორი მხარე უნდა გავარჩიოთ: რა არის ძველში ისეთი, რომელსაც თავისი დრო და ეპოქა მოუქამია, „რომელიც დღეს ხარისხად გასდებია ცხოვრებას და წინსვლას უშლის“². და რა არის ძველში იმისთანა, რომელიც „ჯერ კიდევ გამოსადეგია და საჭიროა ცხოვრებისათვის“. მაშასადამე, უარყოფაში იგულისხმება „წუნი და კიცხვა დროგადასულის ძველისა“ და ხელშეწყობა და განვითარება ისევე ამ ძველში „ნელად აკვირტებულის ახლისა“. ძველისადმი ახლის ამგვარ დამოკიდებულებაში მდგომარეობს უარყოფის დიალექტიკური აზრი. აქ ძველის უარყოფაცაა და ამავე დროს მიღებაც იმისა, რაც ძველზე დადებითი იყო. მაგრამ მიხედება ხოლმე, — წერს ილია, — როდესაც ძველის უარყოფელი ახალი თაობა ამ ორნაირი თვალსაზრისით არ უდგება ძველს და მისი შიშველი უარყოფითი კმაყოფილდება. უარყოფა ნხოლოდ იმ შემთხვევაშია განვითარების ხელის შემწყობი, როდესაც შიშველ უარყოფასთან კი

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, 1955, გვ. 89—90

² იქვე, გვ. 91.

არა გვაქვს საქმე, არამედ როდესაც უარყოფილში აღმოვაჩინთ დადებითს, მას მივიღებთ და მისი განვითარებისა და ყოველმხრივი გაშლისათვის ვიზრძებით.

უარყოფის ორივე ამ თვალსაზრისის საილუსტრაციოდ ილია ჭავჭავაძე რუსეთის ცხოვრებას მიმართავს. ეგება რა 50—60-იანი წლების რუსეთს, ილია წერს, რომ ახლად თვალახილულმა რუსეთმა „ნახა, რომ მისი სწეულების სათავე—თითონ ცხოვრების წყობა და აგებულება, ერთხელ და ერთხელ შემოღებული და გაუახლებლად დამკვიდრებული. უარპყო იგი წყობა. უარპყო ყოველივე რაც კი იმ წყობას შესწევდა და ხელს უმართავდა. ამ არსებულის უარყოფამ წამოიწია იმ წრიდამ, რომელსაც გონებით მცხოვრებ საზოგადოებას ეძახიან, რომელიც ყოველგან და ყოველთვის ნუგეშია და იმედი ყოველის ერისა, და რომელიც ცხოვრების წარმატების უღლის თავში პირველი ჩადგება ხოლმე. ის საზოგადოება მთელის თავისის ძალღონით მიაწყდა ამ უშველებელ საქმეს უარყოფისას, და ყოველს მის მოქმედებაში ან წუნი და კიცხვაა დრო-გარდასულის ძველისა, ან მოძღვრება და ნატვრა ნელად აკვირებულის ახლისა. უკეთესნი წარმომადგენელნი ამ საზოგადოებისა—პოეზიაში, მეცნიერებაში თუ პუბლიცისტობაში--სულ ამ დიდის საქმის მიმდევარნი იყვნენ დაუღალავად. მათის მართლა და დაუფიწყარის ღვაწლით მაგ თამამმა უარყოფელმა მიმართულებამ ფეხი კარგად განზე გაიდგა რუსეთში და ცხოვრების მოედანზე დაიჭირა ადგილი. ამ ახალი მიმართულების შესვეური იყო სახელოვანი „Современник-ი“¹. ილია ჭავჭავაძის აზრით, „Современник“-ის უარყოფა, იმით იყო აღსანიშნავი, რომ იგი ძველის უარყოფას „კარგის და ავის გარჩევით“ ახდენდა, რაღგან მასთან „ძველის უარყოფას დამჯდარი ჰქუა და მეცნიერება წინ მიუძღვოდა და ახლის შესვეურობა თავინებებული არ იყო“. მიუხედავად იმისა, რომ „Современник“ იყო ჭეშმარიტად ახალი მოძრაობის მეთაური, და, ამიტომ, ძველის უარყოფაც მისი საქმე იყო, მან თავის მოძმედ არ მიიღო ტურგენევის მიერ დახატული ყოველის უარყოფელი ბაზაროვი, რომელიც შიშველმა უარყოფელებმა, პისარევის მეთაურობით, აიღეს და გულში ჩაიკრეს.

„Современник“-ის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა, ამბობს ილია. აქ ე. წ. „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლაში უარყოფის მეცნიერულმა გაგებამ აზრი დაჰკარგა და ამიტომ ადგილი ჰქონდა ან ყოველივე ძველის დაცვას და ახლის ძაგებას, ანდა პირიქით, ყოველივე ძველის განურჩევლად ძაგებას. რუსეთში „მამებმა“ ისე გაიწიეს—წერს ილია—რომ ყველაფერს ძველს გამოეპარჩუნა ავისა და კარგის გაურჩევლად და ყველაფერს ახალს დაუწყეს ძაგება და დგენა; გაქირო ჰქმნეს ამაზღად და წინ ფეხი ვეღარ გადმოაბიჯეს, ამისი მაგალითი „Русский Вестник“-ია და „Московские Ведомости“, ეგ ორი უპირველესი ფალავანი „მამებისა“. ჯერ გუშინ ღალადებდა „Московские Ведомости“, დამნაშავეებს რალა გასამართლება უნდაო, აიღეთ და ჩამოარჩეთო, და სასაცილოდ იგდებდა ეხლანდელ განსამართლების წესს“². „მამებისა“ ასეთმა შიშველმა უარყოფამ ყოველივე ახლისა გააგულისა „შვილები“ და მათაც ასევე ძველის სრული უარყოფა დაიწყეს, რამაც „შვილების“ ბანაკი იქამდის მიიყვანა, რომ უარყოფინა არამც თუ მარტო ის, რაც ღირსი

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, 1955, გვ. 88.

² იქვე, გვ. 91.

იყო უარყოფისა, არამედ ზოგიერთი იმისთანაც, რომლის უარყოფისათვის წამოწითლდება სირცხვილ მორეული ეხლანდელი ჭეშმარიტი ლიბერალი რუსეთისა¹. „შვილებს“ ბანაკის მეთაური პისარევი იქამდის გაიტაცა ამ შიშველმა უარყოფელობამ, წერს ილია, რომ „უარყო თვით პუშკინის მოღვაწეობაც და მთელს შექპისირს ერთი კაი სიგარა ამჯობინა“. სიმცდარე ასეთი უარყოფისა იმაშია, ილია ჭავჭავაძის აზრით, რომ აქ არ არის მიმღეობა, რომელიც აუცილებელი პირობაა ისტორიული პროგრესისა, არის ცდა იმ დაურღვეველი და ჭეშმარიტი კანონის დარღვევისა, რომლის თანახმადაც აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა. ეს კანონი ილია ჭავჭავაძეს განვითარების ბუნებრივ კანონად მიაჩნია და ამიტომ ადამიანის თუ თაობათა დანიშნულებას იმაში ხედავს, რომ ხელი შეუწყონ მის მოქმედებას.

განვითარებაში ყოველთვის ძველშიაც და ახალშიაც ორი მხარე უნდა გაეარჩიოთ: ძველში ის, რაც მასში ახალი წარმოიშვა და ის, რაც ამ ახალს უშლის განვითარებას. მასხადადმე, უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ახალი განვითარდეს და მისი დამაბრკოლებელი ძველი, ან ძველი წყობის ხელშემწყობი პირობები მოისპოს. ასევე ახალშიაც არ შეიძლება ყველაფერი კარგი იყოს. ახალშიაც უნდა განვასხვავოთ, რა არის მასში მართლა ახალი და განვითარების უნარის მქონე, და რა არის მასში ისეთი, რომელიც მხოლოდ გვეჩვენება როგორც ახალი, ნამდვილად კი სასარგებლო და განვითარების ხელშემწყობი მასში არაფერია. იმავე პისარევის მაგალითზე აჩვენებს ილია, რომ პისარევის ყოვლის უარყოფლობამ გაიტაცა ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა და. უქიდურესობაში გადაეარდა, რაც განვითარების ხელშემწყობიდან მის ბოროტად უნდა ქცეულიყო, რომ ასე დიდხანს გაგრძელებულიყო. მაგრამ, მიუხედავად ამ ნაკლისა, მასშიაც კი იყო დადებითი. მან „ზულბულივით უაზრო გალობას პოეზიისას კრიჭა აუკრა და მალა წაართვა, ავტორიტეტზედ ბრმად დანდობა საიქიოს გაისტუმრა, ისტორიას, დიდკაცების ცულლუტობის მაგიერ, საგნად ერის ყოფაცხოვრება მისცა, ყმა ადამიანად აღიარა და განათავისუფლა“².

უარყოფის ამ ორივე გაგების გამოვლენას ხედავს ილია საქართველოშიაც, სადაც ერთი ჯგუფი უარისყოფელებისა დაადგა პისარევის გზას და მოინდომა ყოველივეს უარყოფა, რასაც კი ძველი ჰქვია. ამ ჯგუფმა უარყო მნიშვნელობა იმ მძლავრი მოძრაობისაც, რომელმაც თავი იჩინა 60-იან წლებში და მათ „მამების“ ბანაკი უწოდა. მაგრამ არის მეორე ჯგუფი, ამბობს ილია, რომელმაც გაიგო მეცნიერული აზრი უარყოფისა და იმ გზას დაადგა, რომ გაიგოს თუ რა არის ჩვენს წინაშე მდგარი მთავარი ამოცანა, რომლის განხორციელებას უნდა შევადიოთ მთელი ჩვენი ძალა და ენერგია.

ასეთი ამოცანა დღეისათვის საქართველოს დაცემული ვინაობის აღდგენაა, ამიტომ ვიდრე ეს საკითხი პირველი რიგის საკითხადა დგას, ძველი და ახალი უნდა იმის მიხედვით იქნეს გარჩეული, თუ ვინ იბრძვის ჩვენი წარსულის, ჩვენი აწმყოს და მომავალი ბედის გამორკვევისათვის და ვინ ელობება წინ მას. „საქართველოს მოამბე“, „დროება“, „ივერია“ სულ ამ საკითხის გარშემო აწარმოებდნენ ბრძოლას და ამიტომ არ შეიძლება ვილაპარაკოთ აქ

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, 1955, გვ. 92.

² იქვე, გვ. 92—93.

ძველი და ახალი თაობის, „მამების“ და „შვილების“ შესახებ. ძველსა და ახალს საქართველოში სხვა საფუძველი უნდა მოვეუნახოთ და ეს საფუძველია ის, თუ რას ვსდევდით გუშინ და რას ვსდევთ დღეს და ვინ როგორ იბრძოდა იმისათვის რასაც დღეს მივსდევთ.

უარყოფის ილიასეული გაგება, როგორც აღვნიშნეთ, განვითარების წინააღმდეგობრივ ხასიათს ემყარება; ყოველი მოვლენა, ყოველი საგანი წინააღმდეგობათა ბრძოლაში და კიბილოში ვითარდება, ამბობს იგი. წინააღმდეგობა არსებობს ძველსა და ახალს შორის, დადებითსა და უარყოფითს შორის, ჰოსა და არა-ჰოს შორის. განვითარება არ შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ არ იყოს საპირისპიროთა ეს შეჯახება, ეს კიბილი. „მთელი ისტორია კაცობრიობისა ყოველგვარ სფეროში, საცა კი ადამიანს წარმატების ძლევამოსილება მიუძღვის და არ მიუძღვის, სხვა არა არის რა, — წერს ილია ჭავჭავაძე, — გარდა გაუთავებელის კიბილისა „ჰოსა და არას“ შორის. ყოველივე ქეშმარიტება. ყოველივე საქმე, რაც კაცობრიობას აღმოუჩენია კაცთა ცხოვრების გულის, გონების განსაკარგებლად, გასაძლიერებლად, წარსამატებლად, ამ ჰოსა და არას კიბილით მოუპოვებია. ქეშმარიტების აღმოჩენას, საქმეს ცხოვრების ასე თუ ისე განწყობისა და გარიგებისას, სხვა გზა არა აქვს ამ ერთადერთის გზის მეტი. რა საგანსაც, რა მოვლენასაც-კი კაცთა ხელიდამ თუ გონებიდან გამოსულს, გულში ჩახედავთ, დანიხავთ, რომ ჰო-არაობის კიბილსა და ქარცეცხლშია გამოტარებული. მართალია, გამარჯვება ერთისა თუ მეორისა, ჰოსა თუ არასი, ყოველთვის არა ჰნიშნავს ქეშმარიტების გამარჯვებასა, მაგრამ მაინც ჰოსა და არას კიბილია ერთად ერთი გზა ქეშმარიტების აღმოჩენისა და პოვნისა. ტყუილად კი არ არის ნაშქვამი ერთის მეცნიერის ბრძინსაგან, რომ ცდომისაქენ ათასი გზა მიდისო და ქეშმარიტებისაქენ კი მარტო ერთად-ერთიო. ეს ერთად-ერთი გზა ჰოსა და არას დაპირისპირებაა“¹.

დაპირისპირებას და ბრძოლას ადგილი აქვს როგორც ცხოვრებაში, ისე აზროვნებაში. ბუნებრივიცაა, აზროვნება ცხოვრების ასახვაა, ან როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობს, ცხოვრების გამომეტყველია და ამიტომ ცხოვრებაში არსებული ბრძოლა აისახება აგრეთვე აზრებისა და შეხედულებების ბრძოლაში. „აზრთა მოძრაობაში, როგორც ყველაფერში ქვეყანაზედ, — წერს ილია ჭავჭავაძე, — ერთი ნეორეს ადგილს არ უთმობს უომრად, უბრძოლველად“.

ცხოვრებაში არსებული დაპირისპირება და ბრძოლა, ილიას აზრით, წარმოშობილია გარკვეული ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზებით. ბრძოლა აქ წარმოებს წოდებებს შორის (წოდებებს კი ილია ჭავჭავაძე ხმარობს კლასების სინონიმურ ცნებად), რომელთა შორის დაპირისპირება აღმოცენდება ეკონომიურ ნიადაგზე, რომელიც შემდეგ პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლაში გადაიზრდება. ასეთი წინააღმდეგობისა და ბრძოლის კლასიკური ნიმუშად ილია ჭავჭავაძეს ევროპა მიაჩნია. შუასაუკუნეების ევროპაში წოდებათა შორის ბრძოლის საფუძველი გახდა მიწის საკუთრება, როგორც „პირველი და მხოლოდითი წყარო ქონებისა“. „ამიტომაც იქ ერთობის ორი უპირველესი წოდება — თავად-აზნაურობა და სამღვდელთაობა — იმის ბრძოლაში დას-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, 1953, გვ. 301—302.

² იქვე,

რულდა.—წერს ილია ჭავჭავაძე,—რომ მიწა მარტოდ ხელში ჩაეგდო და, როცა ჩაიგდო, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი უფლებაც განმარტოებით დაიპყრა. პირველი გამოცხადება ფეოდალობაში და მეორე მასში, რომ მარტო მიწათმფლობელობა შეიქმნა წარმომადგენლად სახელმწიფო საქმეთა გამგეობასა და წარმართვაში¹. მაგრამ განვითარება ამაზე არ შეჩერებულა, განვითარდა საქარხნო და საფაბრიკო წარმოება, რომელმაც უპირატესი ადგილი დაიკავა მიწის საკუთრებასთან შედარებით. რაკი ეკონომიური მდგომარეობა შეიცვალა და ეკონომიური ბატონობა მოიპოვა ახალმა კლასმა ან წოდებამ, ბურჟუაზიამ, მან მოითხოვა უპირატესობა აგრეთვე საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ უფლებაში. ამ უფლების მოპოვების მიზნით მან ბრძოლა დაიწყო მიწათმფლობელ თავად-აზნაურობისა და სამღვდლოების წინააღმდეგ, რომელიც საფრანგეთის რევოლუციაში ბურჟუაზიული საკუთრებისა და მისი პოლიტიკური უფლების დამკვიდრებით დამთავრდა.

ბურჟუაზიული წყობილების დამახასიათებელ თვისებას ილია ჭავჭავაძე იმაში ხედავს, რომ მან თავის ხელში მოუყარა თავი მთელ სიმდიდრეს, „და ის კი, რამაც საკუთრივ შექმნა იგი მოძრავე სიმდიდრე, წრეს გარეთ დარჩა. ის წრეს გარეთ დარჩომილი—შრომა არის და მისი წარმომადგენელი კიდევ მუშაკაცია“². მშრომელი ხალხის გამორიცხვამ ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობიდან, ეს მშრომელი მასა საბრძოლველად გამოიყენა, რომელიც იბრძვის, „რომ უპირატესობა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წყობაში არავის არა ჰქონდეს განსაკუთრებული და ამისათვის ყოველგვარის წყობის ქვაკუთხედად სდებს შრომასა, რომელიც ბუნებითად ყველას გამთანასწორებელია, რადგან ყველა უნდა მშრომელი იყოს“. ეს წოდება, ილიას აზრით, სიმრავლით ყველა წოდებაზე უდიდესია. „დღეს ეგ წოდება იბრძვის, იბრძვის სასტიკად და მედგრად თავისის დედააზრისათვის და იმედიცა აქვს გამარჯვებისა“³.

ამრიგად, როგორც აქედან ჩანს, ილია ჭავჭავაძე საზოგადოების განვითარებას სავსებით სანართლიანად განიხილავს, როგორც დაპირისპირებულთა ბრძოლას და ამ ბრძოლის საფუძველსაც იგი ეკონომიურ ურთიერთობებში და ამ ურთიერთობების დამცველ პოლიტიკურ წყობაში ხედავს. ამასთან დაპირისპირებულთა ბრძოლის გადაქრის საშუალებას იგი ხედავს რევოლუციაში, რომელიც სპობს საკუთრების ძველ ფორმას და ძველ პოლიტიკურ რეჟიმს და შესაბამისად მოპოვებული ეკონომიური ძალისა, პოლიტიკურადც აბატონებს ახალ, პროგრესულ კლასს ან წოდებას.

დაპირისპირებულთა და წინააღმდეგობათა ბრძოლას ილია ჭავჭავაძე განიხილავს არა მარტო როგორც საზოგადოების განვითარების კანონს, არამედ როგორც საერთოდ ჭეშმარიტების ძიების უნივერსალურ მეთოდს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ილია ჭავჭავაძე ძირითადად რუსული ლიტერატურის მიხედვით ეცნობოდა და ითვისებდა დასავლეთ ევროპის ფილოსოფიურ მოძღვრებებს, გასაგები ვახდება ისიც, რომ წინააღმდეგ ჭეველის იდეალიზმისა, ილია ჭავჭავაძე წინააღმდეგობათა ბრძოლის კანონს განიხილავს, როგორც არა სულის, იდეის, არამედ მატერიალური

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრებული, ტ. 6, 1956, გვ. 55—54

² იქვე, გვ. 54.

³ იქვე.

სამყაროს განვითარების კანონს. ჰეგელთან მსგავსება განსაკუთრებით განსაზღვრების საკითხში იჩენს თავს. მსგავსად ჰეგელისა, ილია ჭავჭავაძეც განსაზღვრებას განიხილავს, როგორც უარყოფით ერთიანობას, ე. ი. განსაზღვრებაში მარტო ის კი არ არის მოცემული, რაც არის განსასაზღვრი, არამედ ისიც, რაც ის არ არის. განსაზღვრება რაიმე საგნისა ან მოვლენისა ამავე დროს უარყოფაცაა იმისა, რაც ეს განსასაზღვრი საგანი არ არის. ამიტომ ამ უარყოფის გარეშე საგნის განსაზღვრებაც არ იქნებოდა. ყოველი ახალი აზრი ან საქმე სხვა უკვე გაბატონებულ აზრთან ან საქმესთან ბრძოლით პოულობს თავის ადგილს. „ყოველს ამისთანა აზრს, თუ საქმეს, სხვა ბევრ ძარღვთან ერთად, ერთი უმთავრესი ძარღვიცა აქვს,—წერს ილია ჭავჭავაძე — რომელიც, ვითარცა უაღრესი და თვალსაჩინო ნიშანი ცნობისა, ხდება საბუთად სახელწოდებისა. ამ სახელწოდებითვე იწოდება საზოგადო სარბიელზე ნომქმედი კაცი იმისდა მიხედვით თუ რომლის აზრისა ან საქმის პატრონია. და მიმყოლი. მაგალითებრ როცა იტყვიან: ეს კაცი ნაციონალისტია, კოსმოპოლიტია, ლიბერალია, კონსერვატორია, იდეალისტია, რეალისტია, ფრიტრედერია, პროტექციონისტია, რესპუბლიკელია, მონარქიელია, ამით არამც თუ მარტო მის მიერ დაჩემებულს, შეთვისებულს და მოძღვრებულს საზოგადოებურს აზრს და მიმართებას გვისახელებენ, არამედ მათ და საპირისპიროსაც“¹.

მაშასადამე, განსაზღვრება მოიცავს როგორც ჰოს, ისე არას, განსაზღვრება წინააღმდეგობათა ერთიანობაა. ამიტომ წინააღმდეგობათა ერთიანობაა ყოველი საგანი, ყოველი მოვლენა და განვითარებაც როგორც დაპირისპირებულთა ბრძოლა მხოლოდ მათი ერთიანობის საფუძველზეა შესაძლებელი. ასე რომ ილია ჭავჭავაძის აზრით, დაპირისპირებულობაში მარტო ბრძოლა, მარტო ურთიერთ უარყოფა კი არ არის, არამედ ერთიანობაცაა. ერთიანობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა დაპირისპირება და ბრძოლა. ერთიანობის გარეშე ერთის მიერ მეორის წინააღმდეგ ბრძოლას და მეორის უარყოფას აზრი ეკარგება. მარტო უარყოფა ჰოხი არასაც ჰოდ გადააქცევს, შემდეგ-კი მან ეს ჰოც უნდა უარყოს და ასე უაზრობაში გადაიზარდოს. ამასთან ერთიანობის გარეშე ჰოც ისეთივე უფლებიანაა, როგორც არა. არა ცალკედ აღებული ჰო არის, ისევე როგორც ის ჰო, რომელიც მან უნდა უარყოს არის არა. „რა არის უარყოფა ცალკედ?—წერს ილია ჭავჭავაძე—ჰოხ გაბათილება და მის სამაგიეროდ არაჰ გაჰოება, თუ ესე ითქმის. თუ ამ უარყოფას თავისთავად შეუძლიან რამ, ხომ ამ გაჰოებულ არასაც თავისი ქაშანიდი უნდა უგდოს და ტახტიდამ გადაშობრძანოს, თუ ბოლომდე თავის საკუთარ წერას მსურს რომ აჰყვეს და თავისთავს არ უღალატოს, თავისი-თავივე უარი არ ჰყოს, არ გააბათილოს... უარყოფა სხვა მხრივაც რალაც ჰკვე-შეშლილის მასხარაობას მოგვაგონებს, იმიტომ, რომ ჰოც ისეთივე უარყოფაა „არახი“, როგორც არა“ „ჰოხი“, და თუ სიმართლე, სიბრძნე და ლიბერალობა მარტო უარყოფაშია, „ჰოხაც“, ვით „არახ“ უარმყოფელს, ისეთივე პატივი უნდა ჰქონდეს, როგორც არახს“, „ჰოს“ უარმყოფელს“². ამრიგად, ჰოხა და არახს, მყოფობის და არ მყოფობის ბრძოლა, დაპირისპირება, მარტო შიშველი უარყოფა კი არაა, არამედ უარყოფითი ერთიანობაა. ამ ერთიანობაში წარმოებს

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებულის, ტ. 3, 1953, გვ. 198—199

² იქვე, გვ. 302—303.

ბრძოლა, რომელშიაც თვითოვე უნდა აჩვენოს თავისი ძალა და უპირატესობა, უნდა გამოიმყვანდეს ძველი და ახალი, უნდა განხორციელდეს კემ-შარიტება.

განვითარება დაპირისპირებულთა ბრძოლის გზით ახლის უძლეველობის კანონს ემყარება. ამიტომ ახლის უძლეველობის საკითხს დიდი ადგილი აქვს დათმობილი ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში. ილია ჭავჭავაძის აზრით, მთელი განვითარება, სულ ერთია საკითხი ეხება საქმის თუ აზრის განვითარებას, ახლის ძლიერების მაჩვენებელია. ახლის განვითარება და დღის სინათლეზე გამოსვლა შეიძლება დაბრკოლდეს, შეიძლება ათასი წინააღმდეგობა შეხედეს მას, მაგრამ ამ წინააღმდეგობებთან ბრძოლაში იგი უფრო კაედება და უფრო მეტი ძალით გამოანგრევს ძველის საძირკველს. ცხოვრება განუწყვეტელ განახლებაშია, წერს ილია ჭავჭავაძე, რადგან იგი განუწყვეტლივ წარმოშობს ახალ ყვავილს, რომელიც ჭკნება, მაგრამ კვლავ და კვლავ წარმოიშობა. ამასთან, „მომდევარი წინადასვლელზედ ყოველთვის უფრო სრულია, უკეთესი და მშვენიერი, თუ რომ ცხოვრების ვითარების და გარემოების გავლენა ადრე და მალე არ დაუხლართავს გზასა და ზრდას არ დაუშლის. მაგრამ ესეც კია სანუგეშო რომ როგორი დროც უნდა დაუდგეს მაგ ყვავილსა, თუ კი ძირი ღონიერი აქვს, რაც უნდა ფეხი დააქირო და სრესო, მიანიც გაარღვევს დღესა თუ ხვალ დედამიწასა, ამოხეთქავს და გამოვა სინათლეზედ უფრო დამშვენებული და ძლიერი“¹. ზოლო ძლიერი იქნება ახალი მხოლოდ მაშინ, როდესაც წარსულის ნიადაგზე იქნება აღმოცენებული, წარსულით იქნება ნასაზრდოები და მომავალი განვითარების პერსპექტივა ექნება. ახალი წარსულის, აწმყოს და მომავლის ერთიანობის განსახიერებას უნდა წარმოადგენდეს. აწმყოში იგი წარსულის შედეგს უნდა წარმოადგენდეს და როგორც აწმყო იგი საფუძველი უნდა იყოს მომავლისა. ამრიგად, ახალი არ შეიძლება ძველზე იქნეს დაყვანილი; ახალი იმიტომაა ახალი, რომ ძველზე არ დაიყვანება, მაგრამ არც იზოლირებულია მისგან; მეორე მხრივ ახალი აზრი თუ საქმე თვითონ კმნის სხვა ახალი აზრის თუ საქმის წარმოშობის შესაძლებლობას.

მართალია, ახალი საბოლოოდ უძლეველია, წერს ილია ჭავჭავაძე, მაგრამ მისი გამარჯვება არ არის უმტკივნეულო პროცესი. ახალი მხოლოდ ბრძოლაში ამტკიცებს თავის თავს. ამიტომ არსებობისათვის ბრძოლა როგორც აზრის, ისე საქმის კანონია. „საზოგადოებრივი სარბიელი მოედანია—წერს ილია ჭავჭავაძე—საზოგადო ცხოვრებისა, რომელიც ამ შემთხვევაში სხვა არა არის რა, გარდა აზრთა და საქმეთა ერთმანეთთან ბრძოლისა ცხოვრებისავე ესე თუ ისე მოსაწყობად და მოსამართავად; იმიტომ რომ ყოველი აზრი, ყოველი საქმე, ცხოვრებისათვის ასე თუ ისე შესაწყყნარებელი, იმავე არსებობისათვის ბრძოლის კანონს ექვემდებარება, როგორც სხვა ყოველი ამ ქვეყნიერობაზე, და ისე არ იჩენს თავს, რომ ან ყოფილ აზრს, ან საქმეს წინ არ შეეხალოს და ომი არ გადაუხადოს ადგილის დასაჭერად“².

არსებობისათვის ბრძოლას ილია ჭავჭავაძე განიხილავს, როგორც ადგილის დასაჭერად ახალსა და ძველს შორის ბრძოლის კანონს. აქ თავს იჩენს დარვინის მოძღვრების გავლენა ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობაზე. რომ

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, 1953, გვ. 58.

² იქვე, გვ. 198.

ილია ჭავჭავაძე კარგად იცნობდა დარვინის და შეთისებული ჰქონდა მისი მოძღვრება, ჩანს იქიდან, რომ იგი დარვინის სახელს არა ერთხელ ახსენებდა და მას დადებითად ეკიდებოდა. ამასთან ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ილია ჭავჭავაძე ვულგარული სოციოლოგიის თვალსაზრისით იყენებდეს დარვინის მიერ აღმოჩენილ არსებობისათვის ბრძოლის კანონს. პირიქით, მას კარგადა აქვს შეგნებული სოციალური სფეროს სპეციფიკა და დარვინის ამ კანონს იგი განიხილავს, როგორც ძველსა და ახალს შორის ბრძოლის კანონის გამოვლენას, ასეთი თვალსაზრისი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ილია ჭავჭავაძეს ღრმად ჰქონდა გააზრებული ძველსა და ახალს შორის ბრძოლის მუხება.

ილიას აზრით, ცხოვრება ბრძოლაა, და ამ ბრძოლაში თავისი არსებობის შენარჩუნებას ცდილობს ყველა ღონისძიებით როგორც ახალი, ისე ძველი. ასეთი ბრძოლის კლასიკურ მაგალითს ილია ჭავჭავაძისათვის წარმოადგენდა თვითონ საქართველო 60-იან წლებში. ახალი აზრებითა და ახალი საქმის განხორციელების წყურვილით აღტურვილს 60-იანი წლების პროგრესულ ახალგაზრდობას, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ილია ჭავჭავაძე, მწვავე ბრძოლა მოუხდა ძველი ცხოვრებისა და ძველი იდეების დამცველ კონსერვატიულ და მოღიბერალო თავადანაზურობასთან. ამ ბრძოლის გამოცდილებამ ილია ჭავჭავაძისათვის ნათელი გახადა, რომ ყოველ იდეურ ბრძოლას თავისი ეკონომიური საფუძველი აქვს და ძველი და ახალი იდეების უკან ყოველთვის გარკვეული ინტერესები და ამ ინტერესების დამცველი ადამიანები დგანან და რომ იდეათა ბრძოლა არსებითად ინტერესთა ბრძოლის გამოხატულებაა. ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე ღრმა ანალიზს უკეთებს იმ საფუძვლებს, რომლებსაც ძველი ემყარება ახალთან ბრძოლაში. „აზრთა მოძრაობაში - წერს ილია — როგორც ყველაფერში ქვეყანაზედ, ერთი მეორეს ადგილს არ უთმობს უომრად, უბრძოლველად... ცხადიც არის რატომ. არსებული ძველი ისე არ გაცუდდება, რომ ვისიმე გამოსაყენი არ იყოს. ეს ერთი. მეორე ისა, რომ ბევრი იმისთანა მოღუშნებული და შეღახული კაცია ქვეყანაზედ, რომელიც ისე შეჩვევა ხოლმე ჰირსა, რომ შეჩვეული ჰირი შეუჩვეველს ლხინს ურჩენია. მესამე და ყველაზედ უფრო ფესვმაგარი კიდევ ის არის, რომ ყოველს არსებულს, ყოველს ძველს თავისი ადგილი უკვე დაუპყრია ადამიანის ცხოვრებაში, უმრავლესობისაგან აღიარებულია, ნებით თუ უნებლიეთ გულშეჯერებულია და ეამთა ხნიერობით ბეჭედდაკრული და დამტკიცებული. ამ სამთა მიზეზთა გამო ძველს, არსებულს, მომხრე არ დაეღვევა. თითონ ახალიც, რომელიც ძველის ადგილას უნდა ჩამოსდგეს, დაბადებისავე უმაღ ისე არ მომწიფდება, რომ პირში ჩადების და დაღუპვის მეტი სხვა აღარა უნდოდეს-რა. როგორც ძველის ობი, ისე ახალის კვირტი — ძველი დასანახავია. ამისათვის მეტად სალი, გამჭურ თვალი უნდა გონებისა“¹.

ამ ამონაწერში მოცემულია ილია ჭავჭავაძის საესებით სწორი და მეცნიერული თვალსაზრისი ძველისა და ახლის ბუნების შესახებ. მართლაც, ძველი, რაც უნდა დრომოკმული იყოს იგი, მაინც უბრძოლველად არ უთმობს ადგილს ახალს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ძველი ცხოვრება, ძველი აზრები ისე არ დაძველდებიან, რომ ვინმეს ინტერესებს არ უწყობდნენ ხელს, ვისიმე გამოსადეგი არ იყვნენ. გარდა ამისა, როგორც ეკონომიკაში, ისე აზროვნება-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, 1955, გვ. 88—89

ში ძველს მაინც დაპყრობილი აქვს გაბატონებული მდგომარეობა. იგი უმრავლესობის მიერ აღიარებულია რადგან, ადამიანები ძველს ეჩვევიან და ხშირად ძველ პირობებში ცხოვრებას ამჯობნიებენ ვიდრე ახლისათვის ბრძოლას. ყველაზე საყურადღებო კიდევ ის არის, რომ ახალი ისე არა ჩანს, როგორც უნდა იყოს. ახალი ძველში მხოლოდ ისახება და იმცისთვის, რომ მან თავისი სიახლე აჩვენოს, უნდა განვითარდეს, გაიშალოს. ამიტომ დასაწყისში, ახლის უპირატესობა ძველთან შედარებით არა ჩანს, ყოველშემთხვევაში ძველი ცხოვრებისა და აზროვნების ბატონობის პირობებში მისი დანახვა ძნელია. ამიტომ, ბუნებრივია, ახალს ნაკლები მომხრე ყავს, ვიდრე ძველს. შორს მკვრეტელობა, გონების თვალთ ხედვა სწორედ იმიტომ არის საჭირო, რომ დავინახოთ ახლის უპირატესობა და ხელი შეუწყოთ მის განვითარებას, მის წინსვლას. ილია ჭავჭავაძის ამ აზრებში საინტერესო კიდევ ის არის, რომ იგი ახალს განიხილავს, არა როგორც რალაც მზაზარეულსა და მარადიულს, რომელსაც „პირში ჩადებისა და დაღეპვის მეტი სხვა აღარა უნდა-რა“, არამედ როგორც პროცესს, რომელმაც განვითარებაში უნდა აჩვენოს თავისი სიახლე, გაშალოს მთელი თავისი შინაგანი ბუნება. თუ გავიხსენებთ ჭეგელის დებულებას იმის შესახებ, რომ ჭეშმარიტება არის პროცესი და იმასაც, რომ აგრეთვე ილიას აზრით, ჭეშმარიტების მიღწევის ერთადერთ მეთოდს წარმოადგენს დაპირისპირებულთა ბრძოლა, ჰუსა და არახს კიდილი, გასაგები გახდება ილია ჭავჭავაძის ამ დებულების ღრმა დიალექტიკური აზრი: განვითარება ბრძოლაა, რომელშიაც საბოლოოდ ახალი იმარჯვებს ხოლმე, ახლის გამარჯვება, თუ იგი ნამდვილად ახალია, ნიშნავს ჭეშმარიტების გამარჯვებას.

მაგრამ მიუხედავად ასეთი შესანიშნავი დიალექტიკური აზრებისა, ილია ჭავჭავაძე ყოველთვის არ იყო თანმიმდევრული. დაპირისპირებულთა ბრძოლას იგი განიხილავდა, როგორც მსოფლიო ისტორიის წინსვლის უნივერსალურ კანონს, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში უკან იხევდა და ამ კანონის მოქმედებას უარყოფდა.

ილია ჭავჭავაძე უდიდესი ისტორიული ალღოს მქონე მოაზროვნე იყო. ამიტომ იგი ამა თუ იმ საკითხის განხილვისას მისადმი კონკრეტულ—ისტორიულ მიდგომას მოითხოვდა. „აზრი ცხოვრებისა იმაშია, წერდა ილია ჭავჭავაძე, რომ შეიტყო, შეიმცნო: ეამი რას ითხოვს: ტირილსა თუ სიცილსა, განყრას თუ შეკრებას, დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულს თუ სიძულელილს, ბრძოლას თუ მშვიდობას“¹. ამიტომ, როდესაც ჩვენ აღვნიშნავთ ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიურ შეხედულებათა ნაკლოვან მხარეებს, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის კონკრეტულ-ისტორიული პირობები და ის ამოცანები, რომლებიც კონკრეტულ ვითარებაში მის წინაშე იყო გადასაწყვეტი. „ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს—წერს ილია ჭავჭავაძე—და მერე განიკითხოს თვით დროების შეილნიცა. ესე რომ არ იყოს, კაცი ვერც საბუთს უპოვნის, ვერც აზრს, თუნდ მთელს ჯვაროსნობის ომებს, რომელსაც მთელმა ევროპამ კინაღამ თავი არ შეაკლა. ეს ხომ ანბანია ისტორიის ფილოსოფიისა“².

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, 1955, გვ. 334.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, 1955, გვ. 66

ეს ნაკლოვანება და არათანმიმდევრობა ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური შეხედულებებისა, კერძოდ განვითარების შესახებ მისი დიალექტიკური თვალსაზრისისა, იმაში მდგომარეობს, რომ 80—90-იან წლებში მან წინაპლანზე წამოსწია ყველა ეროვნულ ძალთა—წოდებათა თუ კლასთა—კონსოლიდაციის საკითხი, როგორც ქართველი ერის არსებობის შენარჩუნებისა და მისი განვითარების აუცილებელი პირობა. საკითხის ასეთი დაყენება განიჭვივია მეფის თვითმპყრობელური რეჟიმის მიერ შექმნილმა ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფობის კატასტროფის საშიშროებამ. ამ საშიშროების წინაშე ილია ჭავჭავაძემ საჭიროდ დაინახა მთელი საქართველოს დარაზმვა, მისი შეკვრა ერთი აზრით, ერთი ინტერესით, რათა ამ გზით მისთვის შთაებერა კარზე მომდგარ საშიშროებისათვის წინააღმდეგობის გამწევი ენერჯია. ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ საჭიროა ერის შიგნით არსებულ წინააღმდეგობათა არა გაღრმავება, არამედ მათი შერიგება, რადგან კოლონიური რეჟიმის პირობებში მხოლოდ შეერთებულ ძალას შეუძლიან დაცემული ერის ფეხზე დაყენება, მისი ეკონომიური და კულტურული აღმავლობა. ამ ამოცანის განხორციელების მიზნით, მან თეორიულად სცადა დასაბუთება, იმ აზრისა, რომელიც უარყოფდა საქართველოში წოდებათა თუ კლასთა ბრძოლის მათი ერთმანეთთან შეჯახების ეკონომიურ და პოლიტიკურ საფუძვლებს. მაგრამ შეცდომა იქნებოდა ილია ჭავჭავაძის ამ თვალსაზრისში დაგვენახა რაიმე რეაქციული აზრი. პირიქით, ერთობა, ან წოდებათა შერიგება მას სჭირდება არა რაიმე ვიწრო ნაციონალისტურ მოსაზრებებით ან იმისათვის, რომ მშრომელი ხალხი დაუქვემდებაროს თავადაზნაურობას, არამედ, პირიქით, წოდებათა შერიგების მთელი მისი მოძღვრება თავადაზნაურობის ამპარტავნობისა და საერთო საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების წინააღმდეგაა მიმართული. ერის ძარღვს, მის იმედს, მის სულსა და გულს იგი მშრომელ ხალხში, ძირითადად ქართველ გლეხობაში ხედავს. წოდებათა შერიგების მიზანია მოტეხოს თავადაზნაურობის ქედმაღლობა, ამპარტავნობა და ისინი მშრომელ ხალხს ამოუყენოს გვერდში, იმ საერთო უღელში შეაბას ისინი, რომელსაც მშრომელი ხალხი, ეს ერის იმედი ეწევა.

ამ რიგად, მართალია ილია ჭავჭავაძემ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს განვითარების მიმართ უარპყო დიალექტიკის დედაარსი, წინააღმდეგობათა ბრძოლა, მაგრამ ეს არ მოასწავებდა ილია ჭავჭავაძის მიერ განვითარების საერთო დიალექტიკური კანონზომიერების უარყოფას. მას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ განვითარება, წინსვლა არ არის პარამონიული პროცესი, არამედ ეს არის ბრძოლა, ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, აღმავალსა და წარმავალს შორის, მაგრამ კონკრეტულ ვითარებაში საჭირო გახდა ამ წინააღმდეგობათა დაქვემდებარება უფრო მნიშვნელოვანი ამოცანისათვის—ეროვნული საკითხისათვის. ამ გზით უნდა გადაჭრილიყო სხვა, უფრო მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა, წინააღმდეგობა მეფის თვითმპყრობელობის ეროვნულ პოლიტიკასა და ამ პოლიტიკის მსხვერპლად ქცეული ერების, კერძოდ, ქართველი ერის თავისუფლებას შორის. ამიტომ წოდებათა შერიგების გვერდით ილია ჭავჭავაძემ შესანიშნავი ახსნა მისცა იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც არსებობდა რუსეთის თვითმპყრობელურ სახელმწიფოში: სახელმწიფოსა, მოხელეობასა და ხალხს შორის; სახელმწიფოსა, საზოგადოებასა და პიროვნებას შორის, სახელმწიფოსა და ერს შორის.

ფილოსოფიური თვალსაზრისით ამ საკითხების განხილვა იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც აქ უდავოდ ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე კარგად იცნობს ჰეგელის სახელმწიფო სამართლის ფილოსოფიას. მაგრამ ჰეგელის პოზიციებზე არ ჩერდება და ცდილობს თავისებური, ორიგინალური ახსნა მისცეს მას. შესაბამისად თავისი ფილოსოფიის სამწიგნობო სქემისა, ჰეგელი სახელმწიფოს განიხილავდა როგორც უმაღლესი მთავრობის, წოდებთა და ხალხის ერთიანობას. ამასთან, შუაწევრს განიხილავდა როგორც ორი უკანასკნელის სინთეზს, მათი განხორციელებული ერთიანობის გამოხატულებას. კ. მარქსმა თავის „ჰეგელის სახელმწიფო სამართლის ფილოსოფიის კრიტიკაში“ აჩვენა, რომ ჰეგელის ამ სამწიგნობიან სქემაში შუაწევრი კიდურებს შორის წინააღმდეგობის მოხსნასა და მათ განხორციელებულ ერთიანობას კი არ წარმოადგენდა, არამედ მათ შორის გადაუღახავი წინააღმდეგობის მაჩვენებელი იყო. წოდებრიობა უნდა წარმოადგენდეს ხალხს მთავრობის მიმართ და მთავრობას ხალხის მიმართ, წერდა მარქსი, მაგრამ პრუსიის მონარქიულ სახელმწიფოში მთავრობასა და ხალხს შორის სრული გათიშულობის გამო იგი ვერ ასრულებდა ვერც ერთისა და ვერც მეორის მოვალეობას.

ანალოგიური თვალსაზრისით განიხილავს რუსეთის სახელმწიფო რეჟიმს ილია ჭავჭავაძე. ილია ჭავჭავაძის აზრით, მხოლოდ ის სახელმწიფო იქნება ძლიერი, რომელშიაც ხალხი ხედავს თავის სახელმწიფოს, რომელიც მოწყვეტილი კი არაა ხალხისაგან, არამედ ხალხის ინტერესებს გამოხატავს, მისი კეთილდღეობისათვის იბრძვის, მის ქირსა და ვარამს მკურნალობს. მხოლოდ ასეთ სახელმწიფოს შეუძლიან ხალხის სიყვარულის დამსახურება. „ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა—წერს ილია ჭავჭავაძე—ხალხისაგან ცნობილი და აღიარებული, სთესავს ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად სანატრელი უნდა იყოს ცნობიერად მომართულ და მიმართულ სახელმწიფოსათვის, და მართო ეს სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფო ძალასა და ღონეს, იმიტომ რომ მართო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, რაც-კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთხვევა ხოლმე, მართო სიყვარულით გულგამბობარს ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელმწიფო კეთილდღეობისათვის, მართო სიყვარულით გაძლიერებულის ხალხით შეიძლება იმისთანა სასწაულები მოახდინოს სახელმწიფომ, რომლის მაგალითები ბევრია ისტორიაში და რომელიც დღესაც გვიკვირა და გვაოცებს. საცა ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფულუროა, ფუყეა, ერთი ლაზათიანი ქარის შემობერვა და იმისი გადამსხვრევა ერთია“...¹ სწორედ ხალხის ასეთ სიყვარულისაგან დაცლილად მიაჩნია ილია ჭავჭავაძეს რუსეთის სახელმწიფო, ამიტომაცაა, რომ შემდეგი სტრიქონები ცენზურას ამოუგდია. ისეთ სახელმწიფოში, როგორც, რუსეთისაა, „უპაღლესი სფერა მთავრობისა“ მოწყვეტილია ხალხის თვალისაგან. შუამავალს ხალხსა და უმაღლეს მთავრობას შორის წარმოადგენენ მოხელეები, რომლებიც ხალხში უნდა წარმოადგენდნენ უმაღლესი მთავრობის განსახიერებას და უმაღლეს მთავრობაში ხალხის განსახიერებას. ნამდვილად კი, რუსეთის პირობებში, მოხელეები—წერს ილია ჭავჭავაძე—სრულიად არ იცნობენ ხალხს, მის ცხოვრებას, მის ენას—ამას კი

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრებული, ტ. 5, 1955, გვ. 33—34

„აუცილებლად ის მოსდევს, რომ მათ ხალხისა არა გავეგებათ რა და ხალხს კიდევ მათი. არიან ისე, ხშირად ერთი აღმა მიდის და მეორე წალმა, უყურებენ ერთმანეთს და ჰკვირობენ, ან მე რად უნდოიარ ამასაო, ან მე იგი რად მინდაო, ის ჩემთვის მუწუი და ყრუაო, მე იმისთვისაო“¹. ამის შედეგი ის არის, რომ „ჩვენი ცხოვრება ძირს მიდის თავისთვის, ზემოდან დაჰფარფარებს აპკრელებული ქალაქი, საცა სუფევს კანონი, და შუაში კი ცარიელია. ამ ცარიელში დახტიან, ცხოვრების ზემოთ და კანონქვეშ, ჩვენი მოხელეები. ხალხი მათ ერიდება და ხალხს ისინი ერიდებიან“². ამრიგად, სრული წინააღმდეგობაა ხალხსა და მთავრობას შორის და მოხელეობა არ წარმოადგენს ამ წინააღმდეგობათა ერთიანობას, ან ერთიანობის განხორციელებულ გამოხატულებას.

იმისათვის, რომ გადაიქრას წინააღმდეგობა სახელმწიფოსა და ხალხს შორის საჭიროა, ილია ჭავჭავაძის აზრით, მტკიცედ გაირკვეს საღ თავდება სახელმწიფოს უფლება და საღ იწყება ეროვნებისა და პიროვნების უფლებები. რუსეთში პირიქითაა. აქ სახელმწიფო თელავს, როგორც საზოგადოების, ისე ერის, ისე პიროვნების უფლებას. ამიტომ ბრძოლის მთავარი ამოცანა იმაში უნდა მდგომარეობდეს, ილია ჭავჭავაძის აზრით, რომ შეიქმნას ისეთი სახელმწიფო, რომელშიაც განსაზღვრული იქნება უფლება სახელმწიფოსი, საზოგადოებისა, ერისა და პიროვნებისა და სახელმწიფო არ შეეცდება თვითიული მათგანის საზღვარში შექრას. „უკეთესი განწყობილება ის არის—წერს ილია ჭავჭავაძე—საცა თითოეულს ამათგანს თავისი კუთვნილი ადგილი უქირავს, საცა თითოეული მათგანი ისეა მოთავსებული, რომ თავის სრული უფლება მიწყული აქვს“³.

ამრიგად, უარყო რა ერის შიგნით არსებულ წინააღმდეგობათა ბრძოლა, როგორც საქართველოს განვითარების საფუძველი, ილია ჭავჭავაძემ 80—90-იან წლებში განვითარების მთავარი პირობა დაინახა იმ დაპირისპირებაში, რომელიც არსებობდა რუსეთის სახელმწიფოსა და ერების თვითმყოფობას შორის, სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის, სახელმწიფოსა და ხალხს შორის. ამ წინააღმდეგობათა გადაჭრის რეალურ ძალას ილია ჭავჭავაძე ამ პერიოდში ვერ ხედავდა. ამიტომ იგი იძულებული იყო წოდებათა შერიგების თეორია წამოეყენებინა, მაგრამ ცხადია ამით პრინციპში თავისი დიალექტიკური თვალსაზრისი არ შეუცვლია. მთელი მისი მსოფლმხედველობა იმ აზრზეა აშენებული, რომ როგორც ბუნება, ისე საზოგადოებრივი ცხოვრება არის ობიექტური, ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელი სინამდვილე, თავისი ობიექტური, შინაგანი კანონზომიერებით; რომ ეს სინამდვილე განუწყვეტელ განვითარებას განიცდის, და, რომ ამ განვითარების შინაგან ძალას დაპირისპირებულთა ბრძოლა წარმოადგენს.

* * *

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, განვითარების ობიექტური ხასიათი, ილია ჭავჭავაძის აზრით, არ გამორიცხავს სუბიექტური ფაქტორის, ადამიანის როლს. პირიქით, ადამიანებს, მისი აზრით, გარკვეული ზემოქმედების მოხ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5. 1955, გვ. 37.

² იქვე, გვ. 38.

³ იქვე, გვ. 166.

დენა შეუძლიათ ობიექტურ კანონზომიერებაზე, რის შედეგადაც შეუძლიათ შექმნან ამ კანონებისა და კანონზომიერების მოქმედების გაფართოების ან დაბრკოლების პირობები. განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს ამ მხრივ ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი პიროვნებისა და ცხოვრების, პიროვნებისა და მასის ურთიერთობის შესახებ. ეს საკითხი ქართველი სამოციანელებისა და პირადად მათი ბელადისა ილია ჭავჭავაძის წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დაისვა ჯერ კიდევ 60-იან წლებში. პიროვნებისა და ცხოვრების თუ მასის ურთიერთობის საკითხი მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რამდენადაც ქართველმა სამოციანელებმა ხელი მოჰკიდეს ისეთი საერთო ეროვნული საკითხების გადაჭრას, როგორც იყო საქართველოში ეროვნული და სოციალური ჩაგვრის ლიკვიდაცია, საქართველოს განთავისუფლება ბატონყმური მონობისაგან, და საერთო განვითარების გზაზე მისი დაყენება.

ილია ჭავჭავაძის გარშემო დარაზულ ქართველ პროგრესულ ახალგაზრდობას ორ მიმდინარეობასთან მოუხდა ბრძოლა ამ საკითხში. ერთი მიმდინარეობა უარყოფდა პიროვნების ყოველგვარ როლს განვითარებაში, რადგან ყველაფერს, როგორც ცხოვრებას, ისე ადამიანს, ბუნებას და მთელ სინამდვილეს ღმერთის მიერ შექმნილად აცხადებდა. ადამიანი გააგებული იყო, როგორც პასიური არსება, უსიტყვო აღმსრულებელი ღვთაების ნებისა, მოკლებული ყოველგვარ აქტივობას, ყოველგვარ თვითმოქმედების უნარს. ამ თვალსაზრისის პროპაგანდას აწარმოებდა კონსერვატიული და მოლიბერალო თავადაზნაურობა.

მეორე თვალსაზრისის თანახმად, ყველაფერი ადამიანის, პიროვნების ნებაზე იყო დაყვანილი. ადამიანი, ამ თვალსაზრისის მიხედვით, მოქმედებს თავისი ნებით და ობიექტური სინამდვილისადმი ყოველგვარი ანგარიშგაწყვეის გარეშე, მას შეუძლიან შექმნას ის, რასაც მოისურვებს. ასეთი თვალსაზრისის პროპაგანდას აწარმოებდა უცხო ქვეყნებში განათლებამიღებული ზოგიერთი „სწავლული“, რომელიც საქართველოში დაბრუნებისას, ერთი დაკვირვებით ფიქრობდა ისეთი ცხოვრების შექმნას, როგორც ენახა უცხოეთში. ასეთი, ერთის მხრით, წმინდა ფატალისტური, ხოლო მეორეს მხრით ასევე წმინდა ევოლუტარისტული თვალსაზრისი მიუღებელი იყო ილია ჭავჭავაძისათვის. ამიტომ მან უარყო როგორც ერთი, ისე მეორე და სცადა მეცნიერული გაშუქება ხალხის მასასთან და მის ცხოვრებასთან პიროვნების დამოკიდებულების საკითხისა.

წინააღმდეგ პირველი თვალსაზრისისა, ილია ჭავჭავაძემ დაასაბუთა, რომ ადამიანი არ არის პასიური არსება, არამედ მთელი მისი ბედი და უბედობა, ცხოვრებაში ავი და კარგი რაიმე უცხო ძალით კი არაა განსაზღვრული, არამედ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ზრუნავს იგი თავისთავზე, რამდენად მოქმედია ცხოვრებაში, რამდენად დიდია მასში თვითმოქმედების ენერჯია. ილიას აზრით, არ არსებობს არაეითარის ბედისწყრა. ბედი ის არის, რასაც ადამიანი თვითონ მოუტანს თავისთავს, და ამიტომ ადამიანი თვითონ არის თავისი ბედის მქედელი. „ბედი რა არის?—კითხულობს ილია ჭავჭავაძე და უპასუხებს—ბედს თითონ კაცი ჰქმნის და არა ბედი კაცსა. ჩვენი თავის მტრები ჩვენ თვითონვე ვართ, ამის ღვიარება ჩვენ გულს გვიძმარებს და ამიტომაც ყველაფერს ბედს ვაბრალებთ“¹. ამიტომ, ილია ჭავჭავაძის

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, 1953, გვ. 452.

აზრით, ადამიანი მხოლოდ თავისი თვითმოქმედებით არის სულითაც და ხორცითაც ძლიერი და ნაყოფიერი. ადამიანის გარეთ მისი ხსნა სიზმარია, „როგორც თვითთული კაცი, ისე საზოგადოება, ისე ხალხი მარტო თავისით არის და თავისით უნდა იყოს კიდევ. ძალაც ანისთანა ხალხშია და ბედიც“¹, თვითმოქმედების გარეშე ადამიანი უფრო მონაა, ვიდრე ბატონი, წერს ილია ჭავჭავაძე, უამთვისებოდ ადამიანი უფრო სათრეველაა ვიდრე თვითონ მავალი. ადამიანი, რომელიც თვით არ მოქმედობს, თვით არ უძლევს თავის ჭირსა და ვარაშს, თავის სვე-ბედს, ამ ქვეყნის ტვირთია, მეტი ბარჯია, რადგან თვითმოქმედების გარეშე ადამიანს არა ეძლევა რა... „არსებობისათვის ბრძოლასა და ჭიდილში მარტო იგია გამარჯვებული, ვინც თვით არის საქმის თაოსანი, საქმის ამჩენი და საქმის მომქმედიც, ვინც თავისთავზეა მარტო დანდობილი და თავის საკუთარ მხნეობას და გარჯას ჰსახავს წყაროდ თავისის ცხოვრების განკარგებისა და წინაწივისა“². მართალია, მის თვითმოქმედებას შეიძლება მრავალი დაბრკოლება გადაეღობოს, მაგრამ იგი ბოლოს მაინც თავისას გაიტანს და გაიმარჯვებს.

ამრიგად, ადამიანის ცხოვრებაში ილია ჭავჭავაძე ადამიანს აღიარებს უზენაეს ძალად. არავითარი ღმერთი, არავითარი უცხო ძალა! ადამიანი თვითონ არის თავისი ბედის მქედელი, თავისი ცხოვრების შემოქმედი და, ამიტომ. ცხოვრება ისეთია როგორც ადამიანები არიან, როგორცაა ამ ცხოვრების ადამიანთა თვითმოქმედების ძალა. „ადამიანები განა მარტო მაყურებელნი არიან ცხოვრებისა, — წერს ილია ჭავჭავაძე, — არამედ მოქმედნი პირნიცა. ცხოვრება არის თვითონ ამ პირთა ქმნილება, ამ პირთა ნამოქმედარი და პირნახული“. ამით ილია ჭავჭავაძე უარყო რეაქციული იდეოლოგიის მტკიცება ადამიანის პასიურობის შესახებ და ადამიანის აქტიურობა თავისი მსოფლმხედველობის ქვაკუთხედად აქცია.

მაგრამ ადამიანის აქტიურობა არ ნიშნავს ვოლენტარიზმს. ილია ჭავჭავაძე არა ნაკლებ მიუღებელ თვალსაზრისად სთვლის ვოლენტარისტულ თვალსაზრისს. მისი აზრით, ადამიანი აქტიურია, მისი თვითმოქმედება მისი ბედის განმსაზღვრელია, მაგრამ თვითმოქმედებასაც თავისი განვითარების კანონზომიერება აქვს. ცხოვრება თვითრჯულია, იგი არ გამოიჭრება ადამიანისაგან მოგონილ რიკრიკაზედ, ამბობს ილია ჭავჭავაძე. ამიტომ თავის მოქმედებაში ადამიანი უნდა ემყარებოდეს ამ თვითრჯულ ცხოვრებას, რადგან ცხოვრების ობიექტური ღინებისადმი ანგარიშის არ გაწევა ადამიანის მოქმედების დამლუჯველია. ამ მხრივ თავისი თვალსაზრისი ასე ჩამოაყალიბა ილია ჭავჭავაძემ. „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გაუმჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“. მაგრამ „ღმერთმა გვიხსნას იმ სულელურ თამამობისაგან, რომელიცა ფიქრობს გადაასხვადფეროს ცხოვრება თავისებურად. ჩვენ ისე არ გავბრიყვდებით, რომ ჩვენ საკუთარ წესზედ მოვიწოდოთ ცხოვრების გატარება. თითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისათვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა, — მხოლოდ ამ კანონსა ვაგება უნდა, გამოუენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმუება არაფერმა არ შეაყენოს“³. ამრიგად, ადამიანის

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, 1955 გვ. 320.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 7, 1916, გვ. 344.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, 1953, გვ. 66—67

თვითმოქმედება არ ნიშნავს თავისი ნებასურვილების მიხედვით ცხოვრების გადაკეთებისა და გადასხვაფერების ცდას. ადამიანის ამოცანაა ცხოვრების კანონების აღმოჩენა, მათი გამოიშუქება, და ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც გზას გაუხსნიან ამ კანონებს და მათ მოქმედებას არაფრით დააბრკოლებენ.

ამ უკანასკნელ თვალსაზრისზეა აშენებული ილია ჭავჭავაძის შეხედულება პიროვნების როლისა და ხალხთა მასასთან, ცხოვრებასთან მისი დამოკიდებულების შესახებ. ვინაიდან საზოგადოებრივი ცხოვრება არის საფუძველი ყველა საზოგადოებრივი მოვლენების წარმოშობისა, ამიტომ, ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისით, ცხოვრებაა აგრეთვე ის საფუძველი, რომელზედაც აღმოცენდება დიდი ადამიანი, გამოჩენილი პიროვნება. დიდი ადამიანი, დიდი პიროვნება მაშინ იბადება,— წერს იგი,— როდესაც ცხოვრება დააყენებს ასეთი ადამიანის წარმოშობის მოთხოვნილებას, რადგან თუ ცხოვრებას არ უნდა, ცხოვრება არ მოითხოვს, არაფერი არ მიემყნობა მას. ასეთ მოთხოვნილებას კი მაშინ წარმოშობს ცხოვრება, როდესაც მასში ილვძება თვითმოქმედებისა და წინსვლის დაუსრუტელი ენერჯია, ძველის დათრგუნვისა და ახალი ცხოვრების შექმნის აღუვსებელი წყურვილი. ეს ენერჯია, ეს წყურვილი ადამიანში ჩაიბუღებს მაშინ, როდესაც გრძნობს, რომ „იგი შეილია გუშინდელისა, მოპირანახულეა დღევანდელისა და დამბადებელია ხვალისა“. მაშინ ადამიანს „წარსული, აწმყო და მომავალი ერთ რთულ დაურღვეველ ჯაჭვად მიაჩნია და იმ ჯაჭვში თავისი თავი რგოლად, წინასა და უკანახედ გადაბმულად. მაშინ ადამიანი თავისთავს მართლა— და ადამიანადა სცნობს, ეგ ცნობა საკუთარის თავისა ღირსებას უღვიძებს, საკუთარის თავის ღირსება ჩაგრულ ყოფას ვერ ათმენინებს და დამკლავებული გამოჰყავს ცხოვრების მოედანზედ საომრად და საბრძოლველად. გმირებს, სახელოვანს კაცებს, დიდებულ მოღვაწეებს ქვეყნისას— ეგ შემოქმედებითი ძალი ცხოვრებისა ჰბადავს“¹. დიდი ადამიანის დანიშნულება იმაშია ილიას აზრით, რომ ცხოვრების, ხალხის თვითმოქმედების და აღმავლობის პერიოდში, მაღლა დადგეს ცხოვრებაზე, განუკრიტოს ის, რაც ჩვეულებრივი კაცისათვის დაფარულია, ჩამოიბღერტოს დროების მტვერი და გზა გაუნათოს ხალხს. „შორს მხედველობა, დროებაზე უფლობა მართო გენიოსის საქმეა— წერს ილია ჭავჭავაძე. ის თავის თამამ სვლაში შემოიბღერტავს ხოლმე დროების მტვერსა, რომელიც ჩვენისთანა კაცს უფარავს საგნის მნიშვნელობას, გულუშივერად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ქუჩის სხივებით გზასა“². ამიტომ, გენიოსის დაბადება, გამოჩენა, სრულებითაც იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს ის ციდან იყოს ჩამოფრენილი. პირიქით, იგი ისეთივე შეილია თავისი ცხოვრებისა, როგორც სხვა ადამიანები, მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ „ეგ ნაყოფი სრულია, დამწითებულია“. მეტიც, დიდი ადამიანი რაიმე ახალს კი არ ჰქმნის, არამედ იმას ავლენს და ამჟღავნებს რაც თვითონ ცხოვრებაშია, იმას უხსნის გზას, რასაც ცხოვრება მოითხოვს. დიდი ადამიანი „თავის ძლიერ მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას,— წერს ილია ჭავჭავაძე,— რაც თითონ ცხოვრებაშია,

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, 1955, გვ. 151.

² ი. ჭავჭავაძე თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, 1953, გვ. 57.

ე. ი. ცხოვრების შიგნმდებარებასა; მასში არის მთელი აწმყო თავის დროებისა და თესლიც მომავლისა. არც ერთი გენოსი ჩვენ ახალს არას გვეტყვის, ის მხოლოდ გვიხსნის მას, რაც თვითონ ცხოვრებას ამოურთიყავს თავის მდინარეობაში, რაც თავის დაუდგრომელ დუღილში ამოუგდია ზედაპირზედა, — ამიტომაც ხანდისხან ამას უფრო იქნება დაეტყოს თავისი დროების ნიშანი ყველაფრისა: ცუდისა, თუ კარგისა, ვიდრე მას, ვინც დაიბადება ხოლმე მართო იმისათვის, რომ უხეიროდ მოკვდეს“¹.

დიდ ადამიანს ქმნის ეპოქა, გარკვეული მდგომარეობა ცხოვრებისა, ამიტომ, შეიძლება ეს ადამიანი არსებობდეს, ცხოვრობდეს, მაგრამ ცხოვრებაში საზრდო არ მისცეს მას, რათა გაიშალოს მისი გენია. მაგრამ როდესაც ცხოვრება მოამზადებს ნიადაგს იმისათვის, რომ მან გაშალოს თავისი ძლიერი მხრები, იგი გამოჩნდება, გამობრწყინდება, გამოანგრევს ძველის საძირკველს და პირველ ქვას დაამკვიდრებს ახალის საძირკველში, ჩვენ არ გვინდა ეს თქვათ — წერს ილია ჭავჭავაძე — ვითომც სწორედ იმ წამს იბადებოდეს გენოსი. ის იქნება აქამდინაც იყო, და უთუოდაც უნდა ყოფილიყო, რომ ცხოვრებას თავის ძუძუთი გამოეზარდა, თავისთან გამოეცადა, მოეზნადებინა თავის ვითარებისავე აღსახსნელად. თუ აქამდინ არ განიჩნდა იგი, იმიტომ, რომ იმისი ძლიერი სულის შესაფერი საქმე არსად იყო; გამოჩნდა თუ არა საქმე, იმანაც გაშალა თავისი ძლიერი ფრთა და როგორც მზე გამობრწყინდა ცხოვრების გასანათებლად. ეს გოლიათი გონიერებისა თავის ძლიერის მკლავით გადასწვდება მთელს ცხოვრების ნამუშევარსა; შემოაგროვებს ერთად, რაც ცხოვრებას გამოუჩენია; თავის გამჭირაბ თვალთ თავიდან ბოლომდინ განკურეტავს, გაანათლებს იმ შემოგროვილსა, და ყოველს ცხოვრების კითხვას მისცემს შესაფერს პასუხს, ყოველს ფაქტსა კეშმარტ მნიშვნელობას, ყოველს მიმართულებას — კუთვნილ გზასა და ღონისძიებასა — ერთის სიტყვით, ახსნის, ცნობაში მოიყვანს მას, რაც ჩვენ შორისვე იყო და არ გვესმოდა. მაშინ იგი გამოანგრევს ძველის საძირკველსა და, ახალის საძირკველში რაკი ქვას დაამკვიდრებს, მიანებებს საქმეს უმცროსთა მუშაკთა“².

ამრიგად, ემყარება რა ცხოვრებისა და ადამიანის მიმართების საესებით სწორ თვალსაზრისს, ილია ჭავჭავაძე ცდილობს მეცნიერული ახსნა მისცეს პიროვნების როლს საზოგადოებაში. იგი სრულიად სამართლიანად უარყოფს პიროვნების როლის როგორც შეუფასებლობას, ისე გაზვიადებასა და გადაფასებას. მთავარ, გამსახლერელ ძალას ილია ჭავჭავაძე ხედავდა ხალხში, ცხოვრებაში. მის აქტიურობას, მის თვითმოქმედებას განიხილავდა როგორც საფუძველს, ხოლო დიდ ადამიანს, როგორც საშუალებას, რომელსაც ხალხის ინტერესებზე დაყრდნობით, ცხოვრების ობიექტური კანონზომიერების ცოდნით, შეუძლიან ხალხის თვითმოქმედების ენერჯის წარმართვა და სწორ გზაზე დაყენება. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ „საქართველოს მოამბემ“ გამოუცხადა ბრძოლა პიროვნების როლის გაზვიადებას. კერძოდ მან უარყო „მოაყების“ (მ. თუმანიშვილის) თვალსაზრისი, რომელიც დიდ ადამიანს განიხილავდა როგორც ხალხის მამას, როგორც სიტყვაშეუბრუნებელ ავტორიტეტს. ილია ჭავჭავაძემ უარყო მონური ქედმოხრბილება ავტორიტეტის წინაშე, რადგან, მისი აზრით, ასეთი მორჩილება გონებას აბაბუნებს, წინსვლას აბრკო-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, 1953, გვ. 57.

² იქვე, გვ. 61.

ლებს. მაგრამ ამასთან არც ის არის გამართლებული, ილია ჭავჭავაძის აზრით, რომ არც სცნო არავითარი ავტორიტეტი. ყოველივე ურწმუნობა ავტორიტეტისა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ცხოვრებამ და შენმა დაკვირებამ მისი აზრების სისწორე გაამართლა, ისეთივე მავნებელია განვითარებისათვის, როგორც უკრიტიკო და მონური ქედმოხრილობა. «ბრმად დაჯერება ყოველივე იმისა, რასაც ავტორიტეტი ამბობს, რის შემოწმებასაც უურისმგებელი კეჟა, გონება მისწვდება და რასაც ეს შემოწმება უარპყოფს,—მართლა დიდხანია უგუნურებად არის მიჩნეული—წერს ილია ჭავჭავაძე. თვით იკვლიე, თუ შეძლება და გარემოება შეგწევს, მოსჩხრიკე, შეამოწმე, და თუ ავტორიტეტის აზრი გამართლდა, დაიჯერე მხოლოდ მაშინ, და ამ სახით შენს საკუთარ რწმენად გარდაქმენ სხვისაგან აღმოჩენილი და ნაკვლევი. ხოლო საცა გონება და კეჟა, რომელისამე მიზეზით, ვერ მიგიწვდეს და არჩევანში ხარ, შენს არ გამოკვლულს აზრს, არცოდნას, სხვისი სახელგანთქმული მეცნიერის, გარკვეული ცოდნა და აზრი მოაშველეთ,—აი ეს არის ეხლანდელი შოძღვრება ავტორიტეტის გამო, და ბრმად დანდობა კი და აყოლა სხვისა იქ, საცა შენი საკუთარი გონება საბუთიანად სხვა რიგად გიჭრის,—ეგ უწინდებული ცოდვაა. უგუნურებად მიჩნეული და სამართლიანად განდევნილი, უარყოფილი. აქაო და არისტოტელმა სთქვაო, და რაც უნდა აშკარად დასარღვევი საბუთი გქონოდათ, არისტოტელს სიტყვას ვერ შეუბრუნებდით, ცოდვად ჩაგითვლიდნენ, დიდი ხანია, ესე ბრმად აყოლა, ესე დაძაბუნება ჭკუისა და გონებისა, ჩვენდა საბედნიეროდ, ჩაილულის წყალს გაჰყვა»¹. აქედან ჩანს, თუ რამდენად კრიტიკულად უდგებოდა ილია ჭავჭავაძე დიდი ადამიანების, ავტორიტეტების როლს ცხოვრებაში. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მასთან პიროვნების როლი, დიდი ადამიანის დიდი აზრები და მისწრაფებები უნდა ახსნილიყო ხალხის, ცხოვრების საერთო იდეებითა და მისწრაფებებით, იმით, თუ ეს იდეები და მისწრაფებები რამდენად გამოხატავენ ხალხის ინტერესებს, რამდენად უწყობენ ხელს ხალხის წინსვლას, მის განვითარებას. ეს უკანასკნელი იმის მაჩვენებელიცაა, რომ ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობაში, კერძოდ პიროვნებისა და მისის მის გაგებაში, ხალხოსნური არაფერია.

ცნობილია ზოგიერთი ავტორის ცდა ხალხოსნობის სათავეები მონახოს ქართულ მესამოციანელებში და კერძოდ კი ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობაში.

ხალხოსნები ხალხს განიხილავდნენ როგორც ინტელიგენტების, დიდი ადამიანების იდეების განხორციელებისათვის ნელ მასალას; მოითხოვდნენ ქედის მოხრას ავტორიტეტების წინაშე. ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობაში ამის მსგავსი არაფერია. პირიქით, მასთან დიდი ადამიანი კი არ ქმნის ისტორიას, არამედ ისტორიას, ისევე, როგორც დიდ ადამიანსაც, ქმნის ხალხი, ისტორიის ეს ერთადერთი წარმმართველი და სუბიექტი. ამიტომ ისტორია დიდი ადამიანების, მეფეების, მხედართმთავრების და გმირების მოქმედებათა აღწერა კი არ უნდა იყოს, არამედ იგი უნდა იყოს ისტორია ხალხისა, რომელიც თვითონ ქმნის დიდ ადამიანებს, გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეებს, მხედართმთავრებსა და გმირებს. «ჩვენი შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა-აუხედელია და უცნობი,—წერს ილია ჭავჭავაძე. ჩვენი «ქარ-

თლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქო ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა-საქმეთა“¹. ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძე მთელ თავის შემოქმედებაში ძირითად ყუზადლებას აქცევდა ხალხის მდგომარეობის, მიახ წარსულისა, აწყყოს და მოქაველას შესწავლასა და გარკვევას. ამის მაგალითს წარმოადგენს თუნდაც „აჩრდილი“, რომლის ისტორიულმა ნაწილმა, სადაც ასახული უნდა ყოფილიყო ქართველი ხალხის ისტორია, თავისი მხატვრული ჩანაფიქრის განხორციელებისათვის ყველაზე დიდი სიძნელე შეუქმნა ავტორს. „ამ აჩრდილმა ტყავი გაჰაძრო—წერს ილია ჭავჭავაძე დავით ერისთავს. ისტორიულ ნაწილზე გაქირავისავეთ შევდგე და ერთი ბიჯი წინ ველარ წაედგი. არ ვიცი რა ვქნა? ვამბობ ამ აჩრდილს თავი დაეანებო მეთქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერთი არსად ჩანს. მე კი ისეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს. ვწუხვარ და ვდრტივინავ და განკითხვა არსით არის“². აქედან ცხადად ჩანს ილია ჭავჭავაძის თვალაზრისი იმია შეახებ, თუ რა როლს ანიჭებდა იგი ხალხს ისტორიაში. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი უარყოფდეს დიდი ადამიანების როლს. პირიქით, იგი დიდ შეფასებას აძლევდა იმ მოღვაწეთა საქმიანობას, რომლებიც ხალხის ინტერესებს, მის წინსვლასა და განვითარებას ემსახურებოდნენ. სწორედ ის, რომ დიდი ადამიანები ხალხის ინტერესებს მსახურებენ და გამოხატავენ, ამ ინტერესების განხორციელებისათვის იბრძვიან, ქმნის შთაბეჭდილებას,—წერდა ილია—თითქოს ისინი არიან ისტორიის შემოქმედნი. „უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან რა,—წერს ილია ჭავჭავაძე—თუ არა ერის გულისნაღების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შინჯობდნენ, თითქო ჰქმნიან ისტორიას“³. ამიტომ, ასეთი დიდი ადამიანის ღვაწლი არ უნდა იქნეს დავიწყებული, რადგან მათი მოღვაწეობის დავიწყება საკუთარი ვინაობის დავიწყებაა. მაგრამ, გარდა ამისა, დიდ ადამიანებს სხვა მხრივაც აქვს მნიშვნელობა ერისათვის, ხალხისათვის. „ისინი ცხოველი ძაგალითებია მისი, თუ რა სიმალღვმედ შეუქლიან ერს ამა თუ იმ გარემოში მიაღწიოს. რამოდენადაც ეს დიდბუნებოვანება ხშირია რომელისამე ერის ისტორიაში, იმოდენად უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალღონის და შემძლებლობის აწყვისათვის. თუ გუშინ იყვნენ ჩემის სიახლისა და ხორცის დიდებულნი და სახელოვანნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ხელაც არ გამოჩნდნენ, თუ გარემოეხის იგეობას ვიგულისხმებთ“⁴. ხალხი ასეთ მისთვის თავდადებულ დიდ ადამიანში ხედავს თავის სულა და გულა, თავის მწვერთნელს, თავის შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძეა მოჰყავს რომელიღ ფილოსოფოსის სენეკას სიტყვები: „ჩვენთვის, აღა-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრებული, ტ. 4, 1955, გვ. 175.

² ი. ჭავჭავაძე, წერილები, I, 1949, სუბუპი, წერილი № 20.

³ ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრებული, ტ. 4, 1955, გვ. 179.

⁴ იქვე, გვ. 180.

მიანებისათვის, საქიროა, — ამბობს ბრძენი სენეკა, — იმისთანა კაცი, რომ მის მახედვით და მაგალითით შევიძლოთ საკუთარის ხასიათის გაწვრთნა და განმტკიცებაო. ოპ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გეწვრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისი სახელის ხსენებითაცაო¹.

ასეთია ილია ჭავჭავაძის აზრით ის როლი, რომელიც შეუძლიან და უნდა ითამაშოს დიდმა ადამიანმა, თუ იგი იქნება სისხლი და ხორცი, ხატი და მაგალითი თავისი ხალხის მხნეობისა, თვითმოქმედებისა და მისწრაფებისა.

* * *

ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა უდიდესი პროგრესული მოვლენაა ქართული აზროვნების ისტორიაში. ამ მსოფლმხედველობის მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რომ იგი ცხოვრებიდან განყენებული მოძღვრება კი არ არის, არამედ მჭიდროდაა გადაკავანძული ავტორის პრაქტიკულ მიზანდასახულობასთან, მის ბრძოლასთან არსებული სოციალური სისტემისა და პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ, ამ ბრძოლითაა განსაზღვრული და ამავდროს მისი თეორიული საფუძველიცაა.



¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, 1955, გვ. 190.

ა. კენჭოშვილი

ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

ტრადიციის ნოვატორულად ათვისების გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი ლიტერატურული პროგრესი. ტრადიციის ნოვატორულად ათვისება ლიტერატურის შემდგომი განვითარების საწინდარია, — მასში ვლინდება ამა თუ იმ ქვეყნის ლიტერატურის, თუ ცალკეულ მწერალთა შემოქმედებითი ზრდა.

ილია ჭავჭავაძე კრიტიკული რეალიზმის დამამკვიდრებელია ქართულ ლიტერატურაში. მისი მხატვრული სტილისათვის მეტად ნიშანდობლივია თანამედროვე ცხოვრების თემის ტრადიცია ილია ჭავჭავაძემ ძველი ქართული ლიტერატურიდან მიიღო, მაგრამ მიიღო, როგორც ნოვატორმა. ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად, დიდი ერუდიციის, ტალანტისა და გამოცდილების ძალით, იგი სრულიად ახალი გასახიფისების მქონე ტრადიციას ამკვიდრებს. მის მიერ დიდი ტრადიციების გაგრძელება კი არ უნდა გაეიგოთ წინამორბედთა გამეორებად, ე. წ. „გაეღენად“, არამედ სრულიად ახალი ტრადიციის გამომუშავება-დანერგვად. დიდი ნოვატორი დიდი ტრადიციების განმგრძობია ყოველთვის.

ილია ჭავჭავაძე მონუმენტური მხატვარია. მისი სახით ჩვენ საქმე გვაქვს ათნარტო ქართული, არამედ მსოფლიო მხატვრული კულტურის დიდ მემკვიდრესთან. მის მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ნაწერებში ხშირად გაილეგებენ რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, დ. გურამიშვილი, გრ. ორბელიანი, ბაბათაშვილი, აგრეთვე შექსპირი, გოეთე, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ნეკრასოვი და სხვ. და გაილეგებენ არა ზედაპირულად, არამედ ახალი მხატვრული შთაგონების აღმძვრელად. აქ შეიძლება ფართოდ წარმოგვედგინა ციტური მონაცემებით რუსთაველი განსაკუთრებით „გლახის ნაამბობით“, გრ. ორბელიანი „მგზავრის წერილებით“, ბაბათაშვილი რემინისცენციებით, გოეთე და ბაირონი თარგმანებითა და „მგზავრის წერილებით“, პუშკინი და ლერმონტოვი თარგმანებითა და ეპიგრამებით, გოგოლი მოთხრობა „კაკოს“ მიხედვით და ა. შ. ყოველივე ეს, ცხადია, არ გამოდგება ამ მწერლების ტრადიციების ანარქელის საბუთად ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, არამედ თითოეული მათგანის ერთგვარ „რადიოაქტიურ“ როლზე მიგვიითხებებს მხოლოდ.

როცა ტრადიციის ხეება საკითხი, იგი შეიძლება იყოს პროგრესულიც და კონსერვატულიც. ის რაც მალაღი ნორმის მნიშვნელობას ინარჩუნებს ყოველ ეპოქაში და ის, რაც თითქმის თავის დროსვე მკვდარია. ყოველივე ამის განსჯით გარჩევა პროგრესულად მოაზროვნე ანალიტიკოსი მხატვრის საქმეა. როგორც თავის დროსვე თითქმის მკვდარს, ასე მიუღდა ილია ჭავჭავაძე, როგორც

დიდი შემოქმედი და მოაზროვნე ფილოსოფოსი მაგ., ანტონ კათალიკოსის შემოქმედებას. ასე მიუღდა იგი კოზლოვს, კარაშინს, ბ. ჯორჯაძეს და სხვ. — საერთოდ სენტიმენტალისტებს (თუმცა ერთგვარ რაციონალურ მარცვალსაც არ იგიწყებდა და სხვ.)

იგი აღიზარდა ნაციონალური და სოციალურ-კლასობრივი ჩაგვრის ისტორიულ სიტუაციაში, მაშინდელი მსოფლიოს, რუსეთისა და თვით საქართველოს გამოღვიძების ისტორიულ ვითარებაში, როცა მსოფლიოს ხალხები და მისი მოწინავე ინტელიგენცია მძლავრად დაიძრა ყოველგვარი ჩაგვრის ციტადელების წინააღმდეგ. ყოველივე ეს მძაფრად განიცადა და შეისუნთქა ილია ჭავჭავაძემ, როგორც დიდი შემოქმედებითი ტალანტისა და ერუდიციის მქონე მხატვარმა. იგი მთელი არსებით აღიძრა და დაეწაფა, როგორც ეროვნულ, ისე მსოფლიოს უდიდეს სოციალურ და კულტურულ მოვლენებს, როგორც სულიერი გამდიდრების და უშრეტელ წყაროს.

ამ ფაქტორთა შორის, როგორც იდეურად, ისე მხატვრულად შთამაგონებელს, ერთი უპირველესი ადგილთაგანი უკავია საქართველოს ეროვნულ-სოციალურ მდგომარეობას მთელი XIX საუკუნის მანძილზე. აგრეთვე მრავალსაუკუნოვან ქართულ კულტურასა და ლიტერატურას, რაც მხატვრული გააზრების, ჰუმანიზმის, დემოკრატიზმისა და პატრიოტიზმის აღმძვრელ ერთ-ერთ უმძლავრეს ძალას წარმოადგენდა მისთვის. იგი მას იდეურ-მხატვრულ გამოცდილებას სძენდა და გზას უნათებდა, ნერგავდა მასში ფართო შემოქმედებითი ჰორიზონტისკენ ლტოლვას, წარმართველ როლს ასრულებდა მისი შემოქმედების ეროვნული შინაარსითა და ფორმით გამდიდრებაში.

ძველი ქართული ლიტერატურის კორიფეებიდან ილია ჭავჭავაძისთვის განსაკუთრებით გენიოსი რუსთაველი, მისი „ვეფხისტყაოსანი“ — „ეს უძირო მორევი, ზღვა აზრისა და გრძნობისა“¹ — გამხდარა შთამაგონებელი.

„ვეფხისტყაოსანი“ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად, მიჩნეულია აღზრდის სახელმძღვანელოდაც კი. მოთბოვნა „კაკოს“ მთავარი გმირი კაკო, „ვეფხისტყაოსანით“ წრთვნის თავისთავს, ასევე „ვეფხისტყაოსანზე“ იზრდება „გლახის ნამშობის“ მთავარი გმირი გაბროც, მაგრამ რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით შთაგონებულმა შემოქმედმა „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილ-შერმადინობის სოციალურ კოდექსს ახალი ვითარების შესაბამისად უპასუხა.

მთავარი ისაა, რომ ილია ჭავჭავაძე რუსთაველით ნაციონალური სიამაყის თვითშეგნებას ნერგავდა, მაგრამ ამას დიდი მხატვრული ტაქტით აკეთებდა. იქ სადაც გაცოცხლებულია რუსთაველი, ეპოქალური სოციალურ-ეროვნული ტიპილების იდეურ-ემოციონალური შეგრძნობაც გაღრმავებულია. რუსთაველისადმი სიყვარულსაც აღვივებს და მხატვრულ შემოქმედებასაც ზრდის. რუსთაველს თავისი ფიქრების თანაზიარად ხდის, — რუსთაველი მასთან ერთად „განიცდის“ ეპოქის მაჯისცემას. თინათინის განშორებით სევდაშემოწოლილი ავთანდილი ამბობს: „ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გქირსაო“. იგივე სიტყვები ილია ჭავჭავაძეს გამოყენებული აქვს რუსეთის თვითმპყრობელობისაგან წელმოწყვეტილი საქართველოს მძიმე მდგომარეობის გასათვალისწინებლად. მწერალი რუსეთისაკენ პირნაქცევ თერგზე (— საქართველოზე) ირონიით წერს: „თითქო ან როზგ ქვეშ არის გატარებული, ან დიდდ

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, II, 1941, გვ. 32.

ჩინი მიუღიაო“. „მიმხერჩვალხარ დამარცხებულ და ნათრევ ლომსავითა. ცოდვა ხარ და ცოდვას შერები“. თავის გულის პასუხს აქ ანდობს გენიოსი გენიოს. თანამოკალმეს: „ჰე, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე-გკირსაო“. მაინცდამაინც, აქ რუსთაველი რომ არ გახსენებოდა ილიას შემოქმედს, არც არაფერი დაშავდებოდაო, — შეიძლება ასეც გვეთქვა. მაგრამ არა: ამით ილია ჭავჭავაძემ თითქმის იგივე თქვა, რასაც მთელი ნაწარმოებობი ამბობს. ეს და სხვა ამის მსგავსი მაგალითები რუსთაველის დიდი მემკვიდრეობის ახლებურად გააზრებაზე მიგვიითითებს.

შეუძლებელია შთამაგონებელი არ გამხდარიყო ილია ჭავჭავაძისთვის აგრეთვე რეალისტური ლიტერატურის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი ქართულ ლიტერატურაში სულხან-საბა ორბელიანი. ფეოდალური მონარქიის დაკნინების ხანაში მხატვრული აზროვნების დიდ განმაახლებლად მოველინა სულხან-საბა ორბელიანი ქართულ ლიტერატურას. მისი წიგნი „სიბრძნე-სიცრუისა“ სატირის მახვილით სცემდა მამინდელი საქართველოს სოციალური ორგანიზმის სიღამლეს. ეს „უცხო პიტიკი“ მართალია მიზნად არ ისახავდა ფეოდალურ-მონარქიული სისტემის განადგურებას, მაგრამ დაუნდობლად ესხმოდა თავს თვით მეფეთა, ფეოდალების და მათ ხელქვეითთა გადაგვარების ყოველგვარ გამოვლინებას. იგი როგორც მოიგავარაკე თავისუფლად უტოლდება მსოფლიოს გამოჩენილ მოიგავარაკეებს. მისი იგავ-არაკთა კრებული ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ არა მარტო როგორც იგავ-არაკთა კრებული, არამედ ერთ სიუჟეტურ ქარგაზე აგებულ უძლიერეს რეალისტურ ნაწარმოებადაც, რომელიც მომხიბლავია არა მარტო ცალკეულ იგავარაკთა კონსტრუქციით, მთლიანი სიუჟეტურ-კომპოზიციური აღნაგობითაც. იგი დიდ ყურადღებას იპყრობს ამ მხრივ, როგორც რეალისტური მხატვრული პროზის უძვირფასესი ძეგლი, მისი თხრობის ენობრივ-კომპოზიციური სისხარტე და გამჭვირვალობა ნიშნის მნიშვნელობას ინარჩუნებს დღესაც. მისი ავტორის დემოკრატიზმი და ოპტიმიზმი ჩაუქრობელი ჩირადანვივით ანათებდა ქართული ლიტერატურის განვითარების გზებს. მისი „სიბრძნე-სიცრუისა“ ცხოვრებისაკენ ეძახდა მხატვრული სიტყვის ოქრობირებს. მართალია, ილია ჭავჭავაძე სრულიად ახალი სახის რეალიზმის დამამკვიდრებელია ქართულ ლიტერატურაში, მაგრამ სულხან-საბა ორბელიანის რეალიზმი და ცხოვრებისადმი სიყვარული მაინც უდიდეს აღმძვრელ ძალას წარმოადგენს მისთვის. არა იგავ-არაკებით, მაგრამ სწორედ სულხან-საბა ორბელიანისებური ცხოვრების სიყვარულითა და ოპტიმიზმით, თავგამებებითა და იდეური შეუპოვრობით დაესხა თავის დროის ცხოვრების „აშმორებულ გუბეს“. აქ არის შემოქმედებითი წვის ის საერთო სიმები, რაც ერთ დიდ შემოქმედს აკავშირებს მეორესთან, ამაღლებს ერთსაც და მეორესაც, — ერთის დიდ ტრადიციას განსაკუთრებულ აღმძვრელ ძალად აქცევს მეორესთვის.

სულხან-საბა ორბელიანის რეზონანსი გვაქვს ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთ უძლიერეს მხატვრულ-პუბლიცისტურ ფელეტონში „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ (1896). მასში ღრმადაა გახსნილი სულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუე“ მისი დროის სიბრძნე-სიცრუისადმი მიყენებით. ილია ჭავჭავაძეს ამთავითვე შთამაგონებლად განუცდია წიგნი „სიბრძნე-სიცრუისა“ („მეზმირად ჩაფიქრებვიარ ამ უცნაურს სახელს წიგნისასო...“).

მალალი წარმოდგენისაა ილია ჭავჭავაძე დავით გურამიშვილის პოეზიაზე. შემთხვევით არ წერდა იგი: დ. გურამიშვილის „ლიდაქტიკური პოეზია პირს არ შეირცხვენს თუნდ ლუკრეცი, ვირგილის და ჰორაციოს პოეზიას დაუყენეთ პირისპირ“. „მისი საჩუქნოებრივი დაღაღება დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნების სიმალღემდვა ასული“. ილია ჭავჭავაძისთვის პოეტური შთაგონების მეტად მნიშვნელოვანი წყარო გახდა სამშობლოდან ეამთა სიავეთ გარყული, „ქართველთ უფალთა მეგვარტომობის“ დიდი მეიგავე. დავით გურამიშვილსა და ილია ჭავჭავაძეს შემოქმედებითად ანათესავენს „ქართლის ჳირის“ დიდი მოჳირნახულეობა.

სამოციანი წლების ქართული ლიტერატურის უმთავრესი საგანი გახდა „ეინა ვართ და რანი ვართ“. „სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულთმიშხიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა... რომელიც ეამთა ვითარებამ უძრავ ჳონების სახელად-ლა დაქვევითა და დაამდაბლა“¹. დავით გურამიშვილი ხომ ამბობდა „ქართველთ სიავეზე“:

მართალია, შძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების,
მაგრამ ფარვა სიავისა ჳევეანას არ მოუხდების.

ასეთივე დამოკიდებულებას არ იჩენს ილია ჭავჭავაძეც „ქართველთ სიავისადმი“:

ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართლისას ამბობს“ და სხე.

„დავითიანიც“ და ილია ჭავჭავაძის თითქმის მთელი შემოქმედება „ქართლის სიავეს“ არ ამბობს? „აჩრდილი“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტის საუკუნისა“ და „ბედნიერი ერი“ მე-19 საუკუნის თავისებური „ქართლის ჳირი“ არ არის?

„ქართლის ჳირით“ აღშფოთებაში ღრმა სულიერი კავშირია დავით გურამიშვილსა და ილია ჭავჭავაძეს შორის, თუმცა პირველი რუსეთის თვითმპყრობელობის მემამიტი მეგობარია, ხოლო მეორე მისი შეგნებული მტერი. პირველი რუსეთის თვითმპყრობელობაში საქართველოს მეგობარს ხედავდა, ხოლო მეორე, როგორც რევოლუციურ-დემოკრატიული სულის შემოქმედი, ყველა ხალხის, მათ შორის თვით რუსი ხალხის დაუძინებელ მტერს. ერთი ჳევენის ორი სხვადასხვა ეპოჳის, სხვადასხვა მსოფლმხედველობის მჳონე ორ დიდ შემოქმედს „ქართლის ჳირის“ მალალი ეროვნული შეგრძნობა აერთებთ. ამავე დროს, ილია ჭავჭავაძე თავისი ეპოჳის მკვიდრი შეილია.—მისი პატრიოტიზმი რევოლუციურ-დემოკრატიული პატრიოტიზმია. მისი კრიტიკის პათოსი რევოლუციურ-დემოკრატიული ხასიათისაა. ამ მხრივ იგი თავის ყველა წინამორბედზე მაღლაც დგას. იგი ისეთი საქართველოსთვის მებრძოლია, რომელიც არ ცნობს არავითარ თვითმპყრობელთა კალთის ჳევე შუფარებას. მისი ეროვნულ-სოციალური იდეალი ყოველგვარი ჩაგვრისაგან თავისუფალი საქართველოა.

ამ ეპოქალური მნიშვნელობის იდეურ პოზიციებს შესატყვისი მხატვრული გამოსახულებაც უპოვნია. ილია ჭავჭავაძის ეპიური თუ ლირიული ტონალობა სრულიად ახალ რხევებს გამოსცემს. მისი ფერთა და ხმათა ვამები მანამდე უჩვეულო ემოციონალობით არის აღბეჳდილი, რაც თავის პოტენცი-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. III, 1953, გვ. 153.

ლურ ზემოქმედებით ძალას მუდამ შეინარჩუნებს. მისი პოეზიისა და პროზის ჯავარი ჩვენს სულს კვლავ ცხოველმყოფელად ეტკბილდასტურება.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი შთაგონების წყარო ხდება XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურა, — ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, გ. ერისთავის და სხვ. შემოქმედება. კერძოდ, გრ. ორბელიანის პოეზიაზე იგი წერდა: „თ. გრ. ორბელიანი გამგრძობია თ. ალ. ჭავჭავაძის პოეზიისა; და ამას გარდა, თითქმის ერთგვარი დენა მწერლობისა გაამრავალგვარა, წინ წასწია ჩვენი პოეზია როგორც შინაარსით, ისეც ფორმითა“... მან „ჩაალრმავა და გააგანიერა ბუნებითად დიდი საწყლუ პოეზიისა“¹.

პატრიოტიზმის იდეებისა და პოეტური სახეების შეხვედრის მონაცემები ვვაქვს ერთი მხრივ „სადღეგრძელოსა“ და „სალამო გამოსალმებისა“ და მეორე მხრივ „აჩრდილსა“, „მგზავრის წერილებსა“, „სალამო გამოსალმებისა“ და „ყვარლის მთებს“ შორის. „იარალის“ რემინისცენცია შეინიშნება ილიას ლექსში „მწუხარება“ („ვეგდე მარტოკა უცხო ცის ქვეშ“). ყოველივე ეს ისეთი „გარეგნული“ მონაცემებია, რომელიც მაინც გვიჩვენებს, რომ ილია ჭავჭავაძეს ხიბლავდა და იზიდავდა გრ. ორბელიანის პოეტური სითბო და სითამამე, მის პოეტურ შეგრძნებას ამახვილებდა საქართველოზე, მის წარმტაც ლანდშაფტებზე, თუმცა ერთი (გრ. ორბელიანი) საქართველოს „ჩასვენებული შხის“, ხოლო მეორე (ილია ჭავჭავაძე) საქართველოს „აღმობრწყინებული შხის“ მხატვარი იყო. ილია ჭავჭავაძემ ნიღაბი ჩამოგლიჯა მყინვარის (ფეოდალური საქართველოს) დიდებას და შარავანდელით შემოსა ქართველი ხალხის მებრძოლი სულის სახება „თავზედ ხელაღებული, გიჟი, ვადარეული, შეუპოვარი და დაუმონავეი მღვრიე თერგი“, რომლის პლასტიკურ მშვენიერებაზეც ილია ჭავჭავაძემ, ისევე გრ. ორბელიანი აამეტყველა: „თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიანო“. გაიხსენა მისი საქართველოს მადიდებელი სტრიქონებიც: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისაო“, მაგრამ მყინვარის „დიდკაცურად ბღვერას“ მაინც „სრულის მძღღვარებით“ მოაშორა თვალი, ზურგი შეაქცია „ღირსების თაყვანისცემას“ მხოლოდ წიგნში და არა საქმეში, ენაზე და არა გულში“. მან მთელი გულისყური თვით ქართველი ხალხის სილაშაზეს, მის ჭირ-ვარამს მიაპყრო, მან სრულიად გამიზნულად მხატვრული ლიტერატურა როგორც შინაარსით, ისე ფორმით ქართველ ხალხს თავის საკუთრებად უქცია.

როგორც ბიოგრაფიული მონაცემებითაც არის დადასტურებული, ილია ჭავჭავაძის პოეტური სულის ამბოხებლად განსაკუთრებით ბარათაშვილი ქცეულა: „მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიო არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი. მისი კვნესა, კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა“².

ბარათაშვილის „საშინელი კივილი გულისა, ის საშინელი სულის კვეთება, ის თავგანწირული გიჟური ლტოლვა და სრბოლა უგზო-უცვლოდ კლდეებსა და ღრეებზედ“³, — მას ჭეშმარიტად სრულიად ახალ განძად მიაჩნია ქართული პოეტური აზრის დიდ სალაროში, ბარათაშვილი სრულიად ახლებურად

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. III, 1953, გვ. 210.

² იქვე, გვ. 211.

³ იქვე, გვ. 214.

განიცდის და უღერს. მისი პოეტური სიტყვის საუნჯე ქართული მწერლობის სრულიად ახალ პორიზონტს შლის, რომელიც გაუნელბელი სითბოთი, ფერთა შეხამებითა და ელვარებით ხასიათდება. შეუძლებელია არ დავეთანხმოთ დიდ ილიას, როცა იგი თითქოს „უარყოფს“ ბარათაშვილის დიდი მემკვიდრეობის გაგრძელების კვალს შემდგომი დროის ქართულ ლიტერატურაში „ამ მიმართულებას ჩვენის აზროვნებისა“ ნ. ბარათაშვილის შემდეგ არც ერთი მწერალი აღარა ჰყოლია ჩვენში და, სწორედაც რომ ვსთქვათ, ბაირონები, ლერმონტოვებიც, მარტონი არიან და მემკვიდრეებს იშვიათად სტოვენენ, რადგანაც ტვირთი მათებრ კაცების მემკვიდრეობისა „არ არს სუბუქ“¹. (ხაზი და დაყოფა ჩემია — ა. კ.). მართლაც, ქართული რომანტიზმის კლასიკამ ბარათაშვილთან ჰპოვა სრულყოფა. მაგრამ ილია ჭავჭავაძის მხატვრული მემკვიდრეობის მეცნიერული კვლევისათვის პრინციპული მნიშვნელობის მეთოდოლოგიურ დებულებად მიიჩნევა ილია ჭავჭავაძის დიდი თანამოკალმის აკაკის. აზრიც რომელიც მან ჯერ კიდევ 1865 წელს გამოთქვა: „ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სწორედ ერთს ტახტზედ სხდომის ღირსნი არიან, ერთგვარად დაუეიწყებნი არიან, ერთის განუწყვეტელის ჯაჭვით გადაბმულ ები ერთიმეორეზედ, ერთის უმეორისოდ გაგება ძნელია“² (დაყოფა ჩემია—ა. კ.). ნ. ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის „ერთგვარი დამსახურება“ და „ერთის განუწყვეტელის ჯაჭვით გადაბმულობა“ შეეხება უწინარეს ყოვლისა ილია ჭავჭავაძის ეროვნული მრწამსის სათავეებს ნ. ბარათაშვილის პოეზიაში. ნ. ბარათაშვილმა მთელი სიღრმით განჭვრიტა საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა, მაგრამ ამავე დროს მთელი სიმწვავეთ გვაგრძნობინა ეროვნული თავისუფლების დაკარგვის მოუთმენლობა. ილია ჭავჭავაძისთვის ეროვნულ-რევოლუციური ბრძოლის გზამკვლევად იქცა ეროვნული თვითმყოფობის პროგრამა, რაც სოფიოს პირითაა გამოთქმული პოემაში „ბედი ქართლისა“.

ამნაირად, თავს უფლებას ვაძლევთ აღვნიშნოთ, რომ ავტორი პოემისა „ბედი ქართლისა“ უფრო მეტის შთამაგონებელი აღმოჩნდა „აჩრდილისა“ და „მგზავრის წერილების“ შემქმნელისთვის, ვიდრე „ქართლის ჳირის“ ავტორი. ილია ჭავჭავაძის გონების თვალი აუხილა და შიგ გულის სიღრმეში მოხვდა ნ. ბარათაშვილის მწარე სატირის ნაპერწკალი თავის დროის ქართველობის გადაგვარებაზე გამოთქმული:

ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
 ღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარს გულს;
 რის ქართველობა, რა ქართველობა!
 მითომ რას გვავენბს უცხო ტომობა?

ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი შეგნებით ხედავდა რუს ხალხთან მჭიდრო მეგობრობის ისტორიულ მისიას. ამავე დროს, იგი ფხიზლად აკვირდებოდა ყველა სხვა ხალხთან მეგობრობის საპირობებსაც,—მთელი თავისი შესაძლებლობით ესწრაფოდა ამას, რჩებოდა რა ქართველი ხალხის ჭეშმარიტი თავისუფლებისთვის მებრძოლი ბოლომდე. ფარულად თუ აშკარად, დაუნდობლად

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. III, 1953, გვ. 219.

² ჟურნ. „ციცკარი“, 1865, № 9.

ებრძოდა რუსეთის ცარიზმს, როგორც თავის, ისე სხვა ხალხთა ყოველგვარი თავისუფლების ყველაზე დიდ და საშიშ მტერს. ამით აიხსნება, რომ პირდაპირ „გადმოვიდა“ მის არსებაში ნ. ბარათაშვილის ეროვნული თავისუფლებისთვის მებრძოლი სული. ილია ჭავჭავაძე თავს ესხმის ეროვნული თავისუფლების როგორც შინაურ, ისე გარეშე მტრებს; იგი ამავე დროს თავს ესხმის მსოფლიოს სხვა ხალხთა ეროვნული თავისუფლების მტრებსაც. იგი თავს ესხმის კლასობრივ მჩაგვრელებსაც. მისი ეროვნულ-რევოლუციური ბრძოლის მოძღვრება აღმად რევოლუციური-დემოკრატიულია, რადგან იგი თავისში შეიცავს, ეროვნული ჩაგვრის ხუნდებისაგან განთავისუფლების პათოსთან ერთად, კლასობრივი ჩაგვრის ბორკილების დამსხვრევის მოწოდებებსაც. მისი ეს იდეოლოგია შემუშავებულია არა ვისიმე სქემის მიხედვით, არამედ უწინარეს ყოვლისა საქართველოს ისტორიული ვითარების კარნახით. აი, რა „ჩაჭვით“ და როგორ არიან „გადაბმულები ერთიმეორეზე“ ნ. ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე. ილია ჭავჭავაძის ნოვატორობა თვალნათლივია დიდი იდეური ტრადიციის ქემარტიად ნოვატორულ ათვისებაში. ამის ერთ-ერთი მხატვრული გამოვლინება ისაა, რომ ბარათაშვილივით ილია ჭავჭავაძის „ლექსებშიც ვხედავთ ქართველების ტანჯვას და გოდებას, მაგრამ რა საგანიც არ უნდა აიღოთ ტანჯვის გამო-სახატავად, მოქმედ პირად მანაც თვითონ არის“¹. აქ არაპირდაპირ მითითებულია ილია ჭავჭავაძის ლექსების ლირიკულ გმირზე, მხოლოდ აქ ერთი კორექტივია საჭირო: „მოქმედ პირად თვითონ არის“ არა მარტო ლექსებში, ზოგიერთ პოემაში და მხატვრული პროზის ნიმუშშიც.

როგორია ბარათაშვილის პოეზიის ლირიკული გმირი? ესაა უსაზღვროდ გრძნობიერი პიროვნება, რომელიც თავისი ხალხის და თვით კაცობრიობის ტკივილებს საკუთარ ტკივილებზე მძლავრად განიცდის, სადაც პიროვნულსა და საზოგადოს შორის წაშლილია ყოველგვარი ზღვარი. მისი სულიერი მღელვარება ამაღლებული და საზოგადო კეთილდღეობის ძიებით გამოწვეული მშფოთვარებაა. მის გულში დაძრული ყოველი აზრი თვით კაცობრიობის გულისტქმის უშუალო გამოძახილია. ესაა „იდუმალი ხმა“, რომელიც ყმაწვილობიდანვე არ ასვენებს მას და ზოგჯერ იმედდაწმენდილი იძულებულია „რომ დაშთოს აქ ამოება“ და „მის იქითა“, „ზენაართ სამყოფს“ ეძიოს „სადგური მყუდროებისა“. იგი ღმერთს შესთხოვს „მოიხილოს ძე შეცდომილი და განასვენოს ენებათაგან ბოროტ-ღელვილი“, მაგრამ საბოლოოდ იგი ხსნას ხედავს არა ცხოვრებიდან გაქცევაში, არამედ მისი გარდაქმნისთვის ბრძოლაში: მის ლირიკულ გმირს როგორც მებრძოლი ინტელიგენტის ტიპიურ სახეს, კარგად ესმის ცხოვრების ლოგიკა, „არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას“...

ბარათაშვილის ლირიკული გმირი გოლიათური ნებისყოფის მქონე გმირია, რომელსაც სულიერი ობლობის საშინელი სასოწარკვეთაც განუცდია, მაგრამ დევგმირულად მოუკრებიდა ძალ-ღონე და ამირანივით აპართულა თვით ღმერთთან შესაბრძოლებლად. მას შესწევს ძალ-ღონე უკიდურეს განსაცდელსაც გაუძლოს, — მოშორდეს საშობლოს, მოაკლდეს „სწორთა და მეგობართა“.

ბარათაშვილის ლირიკული გმირი არაერთგვაროვანი დაბრკოლების წინაშე არ იხევს უკან; ესაა გმირი, რომელიც მონური მორჩილების ყოველგვარ ბორკი-

¹ ჟურნ. „ცისკარი“, 1865, №9.

ლებს ლეწავს და გრიგალივით ისწრაფის წინ, რომ გადალახოს „ბედის სამძღვარი“. ბარათაშვილის ლირიკული გმირი მაღალი შეგნების მქონე გმირების ტიპიური სახეა, რომლებმაც უმაგალითო ვაჟკაცობის ფურცლები ჩაწერეს კაცობრიობის ისტორიაში. იგი საკუთარ მეზე აღარ ფიქრობს, — მსხვერპლად ეწირება არა უმიზნოდ, არამედ მომავალი თაობების საკეთილდღეოდ: რომ „გზა უვალი“ გაითვლოს, — „განთიადის მორბელი“ იყოს.

ბარათაშვილის ლირიკული გმირი კაცობრიობის ისტორიაში სრულიად ახალი ეპოქის დადგომის მაუწყებლად გვევლინება: „რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებსა“.

ილია ჭავჭავაძისა და ბარათაშვილის ლირიკულ გმირს შორის არის საერთო ნიშნები. ილია ჭავჭავაძის ლირიკულ გმირსაც გააჩნია ეჭვისა და სასოწარკვეთის ტკივილები. არის მომენტი, როცა „კაცთ მაცოცხლებელ“ მზის სხივებს „არ ძალუძს“ არც მისი „გულის გათბობა“, არც მისი „დარდის ცრემლად დადნობა“ („ერთხელ ჯდა ჩემთან ქალი ლამაზი“). „ყველა წაერთო“ — „და ნუგეშად“ „მარტოლა ცრემლი“ „დაშთენიეს“ („ვაი, მას“ 1859 — 1860 წლ.). „წაერთო ყველა და წარვიდა ბედიც მლიმარი“ („ალაზანს“ — 1859 წ.). სული უგუბს, გული სტეხს „ტკივილით, ტანჯვით“ („მწუხარება“ — 1860). „სიცივე მკვიდრობს“ მაშინ მის სულში („დაბნელდა სული“ 1810 წ.), როცა წუხილი სჩაგრავს უწყალო („როცა წუხილი მჩაგრავს უწყალო“ — 1860 წ.). მაგრამ ილია ჭავჭავაძის ლირიკული გმირიც ბარათაშვილის ლირიკული გმირივით ისწრაფის თავი დააღწიოს დარდსა და ნაღველს. „მოწყენილ სიცოცხლის მდინარეს“ შესთხოვს, რომ იგი და მისი „მცირე ნავი“ არ დაამსხვრიოს — არ წაშალოს მისი „ურგები კვალი“ („სიმღერა — „სად მიგყევარ, მდინარე“). იგი ღმერთსაც კი შეევედრება; რომ აარიდოს „ურწმუნოების... დემონის ფიალს“ („ლოცვა — „ოდეს დემონი“ — 1858 წ.).

ბარათაშვილისებური ბედთან შეუპოვრად მებრძოლი ლირიკული გმირის სახე გვაქვს ლექსში „გავსწორდეთ, ბედო“. ესაა ლირიკული გმირი, რომელმაც თავისთავი დაიუფლა, ბედი დაიმორჩილა, დაამარცხა იგი და გამარჯვებული ირონიით დასცქერის ზევიდან. ესაა ლირიკული გმირი, რომელსაც თავის სულიერი ძალების მაღალი რწმენა გამოუმუშავდა და ძალუძს ყოველგვარი დაბრკოლება გადალახოს. ბარათაშვილის ლირიკული გმირივით ილია ჭავჭავაძის ლირიკულ გმირსაც ეჯავრება ღამე და აღსასვლა გათენების ნათელი რწმენით („მგზავრის წერილები“). ილია ჭავჭავაძის ლირიკული გმირისთვის „სიძნელე გზისა“ ერთგვარად გადავილებულია ბარათაშვილის ლირიკული გმირის თავგანწირვით. ის ტანჯვა, რაც ბარათაშვილის ლირიკულმა გმირმა განვილო, გზის გამკაფველი აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის ლირიკული გმირისთვის. თავისებურად მანაც გამოსცადა ბარათაშვილისებური ტანჯვა, რომ ბოლოს ჰასავით გამოუხიზლებულიყო, ბედთან ჰიდლიში გამარჯვება მოეპოვებინა და უფრო ნათელი თვალთ შეეხედა თავის დროის ცხოვრებისათვის. ილია ჭავჭავაძის ლირიკულ გმირს უფრო კონკრეტული ამოცანებიც ამოქმედებს, ვიდრე ბარათაშვილისას. კაცობრიობის ტკივილიც ტკივილია მისთვის, მაგრამ მისი მთავარი საზრუნავი განსაკუთრებით საკუთარი ქვეყნის ტკივილები გამხდარა, როგორც ეროვნული ჩაგრვის (რაც ბარათაშვილის ლირიკული გმირის საზრუნავსაც წარმოადგენდა), ისე მშრომელთა ექსპლოატაციის ბორკილების დამსხვრევისთვის ბრძოლა. ამ ლირიკულ გმირს ჩვენ ვხედავთ „მოქმედ პირად“ თითქმის ყველგან, „რა სა-

განიც არ უნდა აღოთ ტანჯვის გამოსახატავად“ (აკაკი). არა მარტო ისეთ ლირიკულ ლექსებში, როგორცაა „ყვარლის მთებს“, „ქართლის დედას“, „გავსწორდეთ ბედო“, „ელეგია“, „ალაზანს“, „პოეტი“, „მესმის, მესმის“, „გახსოვს. ტურფავ“, „მუშა“, „გაზაფხული“, „მას აქეთ, რაკი შენდამი“, „ჩემო კალამო“, „პასუხის პასუხი“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „კომუნის დაცემის დღე“, „ბაზალეთის ტბა“ და სხვა, სადაც სწორედ პოეტია „მოქმედ პირად“, არამედ იქაც, სადაც არაპირდაპირი თითქოს „სხვა“ მოქმედი პირის როლში. მაგ., „ხმა სამარხიდან“, „გუთნის დედა“, „ლოთის რჩევა“, „ნანა“, „ქართველო ხელი ხმალს იკარ“ („ქართლის დედა“-დან), „ბედნიერი ერი“ და სხვ. ის ლირიკული პათოსი, რაც ასეთ ლექსებსაც ახლავს, თვალწინ დაგვიყენებს ლირიკულ გმირს, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ამხედრებულა და უფრო კონკრეტული ისტორიული ამოცანები დაუსახავს.

ეს ლექსები გვიჩვენებს ლირიკული გმირის ახალი სახით მოვლინებასაც: იგი თითქოს არა ჩანს, მაგრამ პოტენციალურად მისი ექვივალენტი ზოგჯერ უფრო ძლიერიც კი არის. ამის მაჩვენებელია განსაკუთრებით ისეთი ბრწყინვალე ლექსები, როგორც არის „გუთნის დედა“ და „ბედნიერი ერი“.

ილია ჭავჭავაძის ლირიკული გმირი ჩვენ შეიძლება „აღმოვაჩინოთ“ მის პოემებსა და მოთხრობებშიც კი. განსაკუთრებით ეს შეეხება „ქართლის დედას“, „აჩრდილს“, „მგზავრის წერილებსა“ და „აკაცია ადამიანს“. დრამატულ პოემაში „ქართლის დედა“ ლირიკული გმირი მოჩანს მიძღვნაში, მაგრამ პოტენციალურად კიდევ უფრო მეტი ძალით გვევლინება იგი დედის მონოლოგებში. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას თავისუფლების ოდაზე: „თავისუფლება, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი“...

აქ ჩვენს წინაშეა ლირიკული გმირი, რომელიც „კონკრეტულ ამოცანებზე“ ცოტა მეტს ისახავს მიზნად, — იგი ქართული ლიტერატურისთვის თითქმის სრულიად ახალია, ეროვნული თავისუფლების იდეის არა მხოლოდ „ვიწრო“ ეროვნულ, არამედ საკაცობრიო ხასიათს გვიშლის. ამნაირად, ილია ჭავჭავაძემაც „კაცობრობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა“.

დიდი ადგილი უკავია ლირიკულ გმირს „მგზავრის წერილებში“. ესაა მეტრძოლი პატრიოტიზმის სულით ანთებული ლირიკული გმირი, რომელიც ენერგიულად ებრძვის ყველა სახის „მტარვალთ ქვეყნისა“, ადამიანის ბედის ბოროტების მკვლელებს, —ესწრაფის უძრავობაზე მოძრაობის, წყვილიაღზე ნათელის გამარჯვებას, —ადიდებს რევოლუციასაც, რომელიც „იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს“.

განსაკუთრებული ადგილი უკავია ლირიკულ გმირს „აჩრდილში“. აქ ლირიკული გმირი გვევლინება აჩრდილის სახით, როგორც საქართველოს „თანამდევი, უკვდავი სული“, რომელიც გულით ატარებს მის აწმყოს, წარსულს და დიადი მომავლის დიდ იმედებს. სწორედ ამ აზრით არის „აჩრდილი“ კეშმარიტი ლირიკული პოემა. შემთხვევითი არ არის, რომ „აჩრდილის“ ლირიკული გმირი, თვითონვე აყენებს ხალხის, როგორც ერის მსხნელი გმირის დაბადების იდეასაც. ასეთი გმირი არა მარტო „თავის ხალხში აღარ მოკვდება“, იგი უკვდავი გახდება სხვა ხალხებშიც: „მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა, შორს საუთუნეთ ეტყვის მის სახელს“, „და სხვა მორკმული გმირი იმ მღერით დაიბადება“.

ამნაირად, ილია ჭავჭავაძის ლირიკული გმირი თავის არსებით სრულიად ახალია და ფართო დიპაზონის მქონე. იგი არსებითად ბარათაშვილის ლირი-

კულმა გმირმა დასძრა ახალი ეპოქის მიერ დასმული მრავალმხრივი ამოცანების გადასაწყვეტად.

იგი ახალი ძალით გვიჩვენებს ფორმით პირადულის შინაარსით საზოგადოებრივ ხასიათს. ეს მისი ლირიკის ერთი მთავარი მხარეა. ილია ჭავჭავაძისთვისაც, ბარათაშვილივით, უცხო არაა საყოთარი გრძნობებიც, პირადულის ღრმა აღმინაწრობა, გავიხსენოთ მისი: „მეც შავს თვალებს“, „ძმის სიკვდილზედ“, „მარტო მივეტურავ ცხოვრების ზღვაში“, „ალაზანს“, „გახსოვს ტურფავ“...

დასასრულ, ბარათაშვილი ჩვენ გვევლინება პეიზაჟის ფილოსოფიური გაგების დამამკვიდრებლად ქართულ ლიტერატურაში, რის მიხედვითაც ბუნება არა მარტო გაცოცხლებულია, არამედ გამოცხადებულია აღმინანის სულიერ მეგობრადაც. პეიზაჟის ასეთი გაგება გვაქვს ილია ჭავჭავაძისთანაც („ალაზანს“, „მგზავრის წერილები“ და სხვ.); და არა მარტო ილია ჭავჭავაძისთან, კიდევ მეტი მრავალმხრივობით ვაყა-ფშაველასთან. შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძემ ქართულ ლიტერატურაში პეიზაჟში გაზარდა სოციალური ექვივალენტი, იდეური მიზანდასახულობა.

ილია ჭავჭავაძის რეალიზმის განვითარება-განმტკიცებაში უდავოდ გარკვეული როლი შეასრულეს რეალისტმა მწერლებმა გ. ერისთავმა, ზ. ანტონოვიძემ, დ. ჭონჭაძემ და არდაზიანმა. ისინი მკვიდრად ანიშნებდნენ თავის შემოქმედებით, რომ რეალიზმი საბოლოოდ იმარჯვებდა. მეტად სამაგალითო იდეურ-მხატვრულ გამოცდილებას ნერგავდნენ ისინი ქართული ფეოდალური სინამდვილის სატირულ-იუმორისტულად წარმოსახვისთვის. ილია ჭავჭავაძისთვის შთამაგონებელი იყო გ. ერისთავის ფეოდალური ყოფის ირონიული თვალით ხილვის ტრადიცია, მაგრამ ისიც აშკარა გაზდა, რომ ილია როგორც მაღალი პოლიტიკური შეგნების მქონე მწერალი, გაცილებით ღრმად იჭრება სინამდვილეში, არაფერს ტოვებს ფარდის იქით, ყველაფერი სააშკარაოზე გამოაქვს უღმობლად. გ. ერისთავთან ნებატონეებსა და ყმებს შორის შეჯახებანი კულისებშია თითქოს გადატანილი, ილია ჭავჭავაძისთან კი სწორედ ამას უკავია სცენა. გ. ერისთავი იმ დოსტაქარს გვაგონებს, რომელიც მთავარ სატიკვარს სულ ვერა, ან ნაწილობრივ ამჩნევს და დოსტაქრულ ჩარევასაც ერიდება, ილია ჭავჭავაძე კი იმ ქირურგს შეიძლება შევადაროთ, რომელიც დიაგნოზს სწრაფად სვამს და გაბედულ ქირურგიულ ჩარევასაც მიმართავს. ილია ჭავჭავაძე დავმყარა რა გ. ერისთავის რეალიზმს და სიცილის ხელოვნებას, გაუსწრო მას რეალიზმის სიღრმით, ამდენადვე, სიცილის ხელოვნებითაც, — იდეურ-მხატვრულად გამახვილებული სატირის „პირწვეტიანი ეკლის“ მომარჯვებით. სწორედ ამით აიხსნება, რომ ილია ჭავჭავაძის მხატვრული სახეები დღესაც ცოცხლად და ამადლევებლად განიცდობა.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი გამოცდილების მნიშვნელოვან წყაროდ იქცევა არა მარტო ეროვნული ლიტერატურა, არამედ თვით ხალხი და მისი პოეტური შემოქმედება. იგი შემთხვევით არ მიმართავს, ეყრდნობა და ხედავს ყველგან და ყოველთვის ხალხს: „პოეტს ხალხი დაჰზადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებსო“¹. იგი ხალხს და მის პოეტურ ტალანტს ტუილად არ უწოდებს „გონიერი სიტყვის მოქმელს“, „გენიას“, „შეუცდომელსა და ყოველთვის მართალს“; „შენ და მხოლოდ შენ უკეთებ გულს იმას,

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. III, 1953, გვ. 45.

ვისაც „სხვისთვის“ გული სტიკვიაო“¹ და სხვ. მაგრამ მისი დამოკიდებულება ხალხის პოეტური საგანძურისადმი ისევე ღრმად შემოქმედებითია, როგორც ლიტერატურული ტრადიციებისადმი. „განდეგილს“ მან ლეგენდა უწოდა, მაგრამ საქმელოც კი არის მასში მისი კვალის პოვნა, ისე შეუცვლია და გარდაუქმნია იგი ილია ჭავჭავაძის პოეტურ გენიას. მწერლის ფოლკლორისადმი დამოკიდებულების კლასიკურ ტრადიციას განამტკიცებს ილია ჭავჭავაძე ჩვენს ლიტერატურაში, რისი სათავეც რუსთაველთანაა. ხშირად იყენებს ილია ჭავჭავაძე ხალხურ ანდაზებსა და თქმებს, როგორც იდეური გამახვილების საშუალებას. ისეა გამოყენებული ხალხური არსენას სახე „კაკო ყაჩაღსა“ და „გლახის ნაამბობში“, რომ არც კი იგრძნობა თუ იგი თვით ხალხურ „არსენადან“ მოდის. არსენაზე ხალხში გავრცელდა („ზღაპარს“, იდეას) დაყრდნობა, ხალხის აჯანყების სული უკვდავუყვია.

ისე როგორც აღრინდელი (თუ მისი დროის) მწერლობა, ხალხი და ხალხური შემოქმედებაც ილიას ენობრივი და მხატვრული გამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი წყარო გამხდარა, „როგორც თესლისაგან ნაყოფი სადღესოდ და ნაყოფისაგან თესლი სახვალად“². ფოლკლორზე შეგვეძლო გვეთქვა უმთავრესიც-თქო, მაგრამ არ ვამბობთ და აი, რატომ: ილია ჭავჭავაძე მიუხედავად იმისა, რომ იბრძოდა არქაული ენისა და ლიტერატურის წინააღმდეგ, ამ ბრძოლას არ აძლევდა ნიპილისტურ ხასიათს — ქ ა რ გ ს არ ივიწყებდა თვით „არქაული ენისა და ლიტერატურის“ საღაროდანაც. ასევე, ეყრდნობოდა რა ხალხს, ხალხურ ენასა და შემოქმედებას, როდი მიმართავდა მის სარკისებურ გადაღებას. ამით აიხსნება, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში სრულიად ახალი კლასიკური სრულყოფილებით ჩამოყალიბდა ყოველი ტრადიცია და ილია განსაკუთრებული რეზონანსის მქონე შემოქმედებად სწორედ ამიტომ იქცა. ამ კანონზომიერებით აიხსნება კერძოდ, დიალექტიზმების მხოლოდ ს ა კ ი რ ო შე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ხმარება. ზომიერად გამოყენება აგრეთვე არქაული ფორმებისაც განსაკუთრებით პოეზიაში (სიტყვების, ბრუნვითი ნიშნების, სიტყვათა დალაგების წინადადებაში და სხვ.), რაც თავისებურ ენობრივ კოლორიტს ძენს მას. აქვე თუ დაუმატებთ მისთვის სპეციფიკური მხატვრული ხერხების, კომპოზიციის, სიუჟეტის, ტიპოლოგიის და სხვ. პრინციპებს, მაშინ ნათელი გახდება ჩვენთვის ილია ჭავჭავაძის მხატვრული სტილის ის მხარეები, რაც მას ობიექტურადაც და სუბიექტურადაც ქართული კრიტიკული რეალიზმის დამამკვიდრებლადაც აქცევს და ამ მიმართულების სხვა წარმომადგენელთაგან „გ ა ნ ა ს ხ ვ ა ვ ე ბ ს“ ან „გ ა მ ო ა რ ჩ ე ვ ს კ ი დ ე მ ე“.

რა შეიძლება ითქვას ილია ჭავჭავაძის პოეტიკაზე? კლასიკური ხანის სალექსო საზომებიდან ილიას გამოუყენებია არა რუსთაველი, არამედ შავთელ და ისიც ახალი სახით. მას შავთელური „გატეხილი“ ტაეპებით (10) უწერი: პოემები „კაკო ყაჩაღი“, „აჩრდილი“ (5 სტროფი მცირებესიკური), „განდეგილი“ და თარგმანებიდან „ჰაჯი აბრეკი“ და „მწირი“. 72 ორიგინალური ლექსიდან ასეთივე საზომითაა დაწერილი 26. მათ შორის „გუთნის დედა“, „ქართვლის დედას“, „გავსწორდეთ ბედო“, „ელეგია“, „პასუხის პასუხი“ და სხვ ასეთივე საზომითაა დაწერილი 19 თარგმნილი ლექსიდან 14. შემდეგ დიდ

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. II, 1911, გვ. 324.

² იქვე, ტ. III, 1953, გვ. 210. „როგორც ნაყოფისაგან თესლი სახვალად“ — თვის ხალხში გადასული ხატვანი თქმები და სხვ. სპეციალური კვლევის საგანია. ა. კ.

ადგილი უჭირავს ილია ჭავჭავაძესთან ხალხურ შაირს, რასაც იგი დროის შე-
საფერად მიდგომია. „გატეხილი“ სტრიქონებით (8). დაწერილია „მეფე დიმიტ-
რი თავდადებული“ (მიძღვნის გამოკლებით) და 20 ორიგინალური ლექსი, მათ
შორის „პოეტი“, „მესმის, მესმის“, „გახსოვს ტურფავ“, „კომუნის დაცემის
დღე“, „რა ვაკეთებ“, „ბაზალეთის ტბა“, „ორ-ხმინი საახალწლო ოპერეტი“ და
სხვ. „ბედნიერი ერი“ შაირის მეტად ორიგინალურ ვარიაციას იძლევა. მთელ
ლექსს თითქმის ერთი რითმა („იერი“) აორგანიზმებს.

მცირებესიკურით (14) უწერია ილიას 13 ორიგინალური ლექსი. მაგ.
„ყვარლის მთებს“, „ალაზანს“, „მუშა“, „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“, „მას
აქეთ რაკი შენდამი“, „ჩემო კალამო“, აგრეთვე 5 სტროფი „აჩრდილიდან“,
მიძღვნა „მეფე დიმიტრი თავდადებულიდან“, „მეფე ლირის“ თარგმანის დიდი
ნაწილი (მხოლოდ ძნელია ვიცოდეთ იქ რაა საკუთრად მისი) და ორი თარგმ-
ნილი ლექსი. ე. წ. „ბიათურის“ გატეხილი ტაეებით (4:3) უწერია ილიას 5
ლექსი, მაგ. „ნანა“, „უსულდგმულო ცხოვრება“, „გაზაფხული — ტყემ მოის-
ხა ფოთლო“ და სხვ. 7:7-ითაა ნაწერი „ჩემო კარგო ქვეყანავ“. 5 ლექსი
უწერია ხუთმარცვლიანი ტაეებით — ლოგაედებით. ხოლო ერთი ლექსი თერთ-
მეტმარცვლიანი ზომით, ე. წ. „თეჯლისურით“ (443). ეს ციფრობრივი მონა-
ცემები მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ ილია ჭავჭავაძე უმთავრესად XIX საუ-
კუნის პირველ ნახევარში დამკვიდრებული ქართული სალექსო საზომების
ტრადიციას მიჰყვება და ოდნავი ნიუანსები შეაქვს მხოლოდ მასში.

ყოველივე ეს მაინც ვერ ხსნის მისი ლექსის „მე“-ს. ობიექტურად აღიარ-
ებულია, რომ აკაკის ლექსი კისკასი და მუსიკალურია, ილიას ლექსი კი შე-
დარებით უფრო „მძიმეა“ და თითქოს ნაკლებ მუსიკალურია. რით ახსნება
ეს? აკაკი თითქოს მღერისო, ილია კი ოლიმპიური სიმშვიდით „მოგვიტხოვბს“
ან „აზროვნებს“ თითქოს ყველაზე ლირიკულ მომენტებშიც, ამ მხრივ მის
ტრადიციას „სტიქიური“ მემკვიდრეები ჰყავს ჩვენი დროის ნიჰიერ ახალგაზრ-
და პოეტებში. მისი ლექსის თხრობითი ნიუანსის ჩამოყალიბებას ხელს
უწყობს წყობილიტყვაობის თვალსაზრისით სრულიადაც არა სახარბიელო,
მაგრამ მეტად ნიშანდობლივი მხარე ე. წ. მარცვალ დამატება და ისიც არა
მარტო კლაუზულაში, არამედ ტაეებთა შიგნითაც. თხრობითი ნიუანსის წარმო-
ქმნაში თავის როლს ასრულებს აგრეთვე და ზოგჯერ ლექსის „დამამძიმებელ“
ელემენტადაც იქცევა არქაული ენობრივი ფორმებიც. ასეთია განსაკუთრე-
ბით — ნარიანი მრავლობითის ხშირად გამოყენება. აგრეთვე არც თუ იშვია-
თად მსაზღვრელის საზღვრულს შემდეგ დასმა. აქა-იქ, არქაული სიტყვების
(მუნ, მუნით, დამშთენიეს, არს, წარიელტო, წარვიდა, წარსულა, წარვიდენენ,
უწყს, წარიღე, განუშლელად, აღუხსენ და სხვ.) ხმარებაც და ა. შ. ეს მომენ-
ტები მისი ლექსის ინდივიდუალური კოლორიტის შექმნაში მთავარ როლს
ასრულებს. მაგრამ არა მარტო ეს. საგანგებო ყურადღების ღირსია ლექსიკუ-
რი სიმდიდრე. ამ მხრივ, იშვიათი ნიმუშია მისი „ბედნიერი ერი“, არა ნაკლებ
„გამოცანები“ და „პასუხის პასუხი“. პოემებიდან უბადლო ნიმუშია „განდეგი-
ლი“. არა ნაკლებ „აჩრდილი“, „კაკო ყაჩაღი“ და „ქართლის დედა“. ყოველი-
ვე ეს იმდენად ნიშანდობლივია, რომ ამ წერილის ხასიათი აღარ მოითხოვს მა-
გალითებს. მისი სპეციალური შესწავლა კი საინტერესო შედეგებს მოგვცემდა.

ილია ჭავჭავაძის ლექსის ინდივიდუალურ კოლორიტს ქმნის მისთვის მე-
ტად ნიშანდობლივი კომპოზიციაც, რაც მისი განსაკუთრებული იდეური პათე-
ტიკურობის და მძლავრი პოეტური ტალანტის შედეგია. ასეთია ლირიკული

კოლიზიების გადმოცემა, ალტაცების ან აღშფოთების „პირზე მომდგარი“ მიმართებით, შეძახილებით, კითხვებით და მისთ. რაც არა მარტო ცხოვრების, არამედ თვით შინაგანი სულიერი სამყაროს ღრმა პოეტური აფეთქების საფუძველზე ჩნდება ლექსში. და იგი ახასიათებს ილიას არა მარტო ლექსებს, პოემებსაც, და თითქოს მოჭარბებულადაც კი. ზოგჯერ ლექსის სულ პატარა მონაკვეთში კონდენსირებულია დიდი სულიერი ქარტეზილი, რაც თვით პოეტის თუ პერსონაჟის ფსიქიკაში დამტრულია.

ჩვენ დაეაყენოთ ილია ჭავჭავაძის პოეტიკის არსის საკითხი, რაც ფართო მნიშვნელობით, მთელი მხატვრული შემოქმედების ყანრობრივ-სიუჟეტურ თავისებურებათა ანალიზსაც მოითხოვდა. მხატვრული პროზა ამ თვალსაზრისით შესწავლილი გვაქვს ცალკე ნაშრომში და აქ მასზე აღარ შევჩერდებით¹. დავერჩინია, ყურადღების საგნად ვაქციოთ ილია ჭავჭავაძის პოეტური ეპოსი, რამდენადაც ამას წერილის მიზნობრივი ხასიათი აიტანს.

როცა ყანრობრივად იხილავ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას, გაზვიადების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ გიძნელდება მეცნიერულად დაადგინოთ რომელ ყანრში უფრო გამოვლინდა ილია ჭავჭავაძის ნოვატორობა: ლირიკაში, პოეტურ ეპოსში, თუ მხატვრულ პროზაში? ისე როგორც თითქმის თანაბრად ძლიერია ყოველ ყანრში პუშკინი და ლერმონტოვი, იგივე შეიძლება ითქვას ილ. ჭავჭავაძეზე (ეს არ ითქმის მხოლოდ ილიას როლზე დრამატურგიაში). 72 ორიგინალური ლექსიდან ილიას დიდი ლირიკოსის სახელისათვის ეყოფოდა მარტო ლექსები „ყვარლის მთებს“, „გუთნის დედა“, „ალაზანს“ და „ბედნიერი ერი“. ასევე შეიძლება ითქვას ილია ჭავჭავაძის როლზე მხატვრულ პროზაში. ხომ არავის შეუძლია ეპეი შეიტანოს იმაში, რომ „კაცია ადამიანი“, „გლახის ნამბობით“, „მგზავრის წერილებით“, „სარჩობელაზედ“ და „ოთარაანთ ქვრივით“ ილია ჭავჭავაძე ახალი ქართული მხატვრული პროზის ფუძემდებელი გახდა. ახალი სიტყვა თქვა ილია ჭავჭავაძემ პოეტური ეპოსის ყანრშიც. აქაც ბარათაშვილია მისი მთავარი წინამორბედი, ისე როგორც ლირიკაში, მაგრამ აქაც ახალ ნაბიჯს დგამს წინ ილია ჭავჭავაძე. თავის მთავარი პოემით „ბედი ქართლისა“ რეალისტიკა ბარათაშვილიც და დიდი რეალისტიც,—მთელი ეპოქა სუნთქავს ამ პოემაში. ილია ჭავჭავაძე განამტკიცებს რა ამ ტრადიციას, პოეტური ეპოსის ცენტრალურ ფიგურად აქცევს ხალხს (ქართველ ხალხს), ქართველი ერის წარმომადგენლებს („კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნამბობი“, „ქართველის დედა“, „მეფე დიმიტრი თავდადებული“, „განდევილი“). ამავე დროს „მდაბოთა“ წარმომადგენლებს ალტაცებში მოვყავართ თავის პიროვნულ-ზოგადკაცობრიულ ვნებათა სიღრმითა და სიძლიერით. თუ კლასიციკლური პოემები მეფე-დიდებულებს, ხოლო ბიარონისტული პოემები ინტელიგენტ „ზეაკებს“ ხატავდნენ, ილია ჭავჭავაძის პოეტურ ეპოსში დიდ ადამიანურ ვნებათა მატარებლებად გვევლინებიან უმთავრესად ხალხის შვილები. „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ „არქიტექტურული ნაგებობის“ მონუმენტურობის, ე. წ. „ოქროს კვეთის“ პრინციპით გადაწყვეტაში მთავარი როლი „ტვირთშიძემ და დამამურალი“ ხალხის შემოყვანას შეუხსრულებია. ძეგლის ფასადს ქმნის ხალხის შეხმატკბილებული ორი თაობა: ძველი (ბრმა მეფანტურე) და ახალი (ყმაწვილი ბიჭი). ერთი ეროვ-

¹ „ილია ჭავჭავაძე—ახალი ქართული მხატვრული პროზის ფუძემდებელი“, „ლიტ. ძიებანი“, ტ. III, 1953.

ნული წარსულიდან „გულის გასათბობ“ ამბის მთხრობელი და მეორე მისი მსმენელი, რომ „გულს ენაგი მოაშოროს“. მაგრამ „ოქროს კვეთის“ ეს პრინციპი საფუძვლად უძვეს სიუჟეტური შენობის არა მარტო ექსტერიერს (ფასადს—ექსპოზიციას), არამედ ინტერიერსაც—კულმინაციას (ღრმა მოხუცი თავის ვაჟიშვილებით უპირისპირდება მეფის თვალსაზრისს). „ოქროს კვეთის“ ეს პრინციპი, რაც დიდი ხელოვანის ერთგვარ მხატვრულ საიდუმლოებად რჩება და დიდი შემოქმედის სახელს აყუთვენებს მას, სხვა გადაწყვეტით, საფუძვლად უძვეს სხვა პოემებსაც. ხალხია მთავარ დრამატულ პოემაში „ქართლის დედა“: „ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს...“ ან „ქართველო ხელი ხმაღს იყარ“... თავის თავის ხალხი მეტაფორადაა. ღრმა დრამატის მიხედვით აღსავსე ქალის, დედის მონუმენტური სახე, რომელიც თავის ადამიანურ ვნებათა სიმძაფრით გაუტოლდებოდა მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილ თითქმის ყველა დრამატულ სახეს, სწორედ „ქართლის დედაშია“ მოცემული. ან „კაკო ყაჩაღი“ რით ჩამოუვარდება მთელ მსოფლიოში სახელმწიფოებრივ ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც განთქმულ სახალხო გმირებზეა შექმნილი? არაფრით! როცა „კაკო ყაჩაღს“ კითხულობ, გრძნობ მხატვრული სიტყვის შექსპირული სიძლიერის დიდ ოსტატს, რომელიც გაფიქრებინებს, ასე უნდა ყოფილიყო და არა სხვანაირად! ხალხის იდეას აქ ახალი სული ჩაუღვამს. აქ ხალხი უპირისპირდება ჩავერის სამყაროს. აქ ხალხის წარმომადგენლები იწვევენ ალტაცებას თავის მჩქეფარე ტემპერამენტით, განრისხების თუ თანაგრძნობის განცდების სიმახვილით, პოემის ყოველი სიტყვა, ყოველი სტრიქონი, ყოველი პერიოდი იმორჩილებს მკითხველს, რაც გენიალურ ქმნილებათა თვისებაა მხოლოდ.

ხალხის იდეა უძვეს საფუძვლად გენიალურ „განდევილსაც“. იგი ლეგენდაა, როგორც ავტორი გვამცნობს, და ეს ასეც არის, — ჭეშმარიტად ლეგენდურია მისი სიუჟეტი, მისი იდეაც ხალხში დაბადებულია. ანტიური ხანიდან მოყოლებული დღემდე — მსოფლიო ლიტერატურის რომელი დიდი ქმნილება წარმოშობილა ამის გარეშე! და ყველაფერს, მაინც ჭადოქრული კალამი ქმნიდა, — ჭეშმარიტი ხალხური იდეის მქონე მხატვრული ქმნილების შემოქმედი თვითონ დიდი ხელოვანია. დიდი ხალხური იდეის გამარჯვების უბრალო ვალესი მხატვრული დადასტურებაა ქართული პოეტური ეპოსის გვირგვინი „განდევილი“. ცხოვრება ამარცხებს ცხოვრებისაგან განდგომილებას. ცხოვრების იდეას იცავს უბრალო მწყემსი ქალი, რომელსაც ღვთაებმან ან კლეოპატრას შესადარი სინატიფე გააჩნია. მის ყოველ სიტყვას და ქცევას ღრმად ლოგიკური შექსპირული ფილოსოფიური დამაჯერებლობის ძალა ახლავს. მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათია ნაწარმოები, რომელშიც ორ პერსონაჟზე მეტი არ მოქმედებდეს, ლაკონურად მთავრდებოდეს და ცხოვრებიდან გაქცევის იდეის მარცხს ასე შთამბეჭდველად ხატავდეს. უთუოდ ამით აიხსნება, რომ მარჯორი უორდროპმა „ფეხის-ტყაოსნის“ შემდეგ სათარგმნელად „განდევილი“ აირჩია და იმავე ილიას არა სხვა ნაწარმოები. „განდევილი“ კლასიკური სრულყოფილობით დადასტურებს თუ რა პოეტენციალური შესაძლებლობაა მოცემული თვით ლაკონურად შესრულებულ პოეტურ ეპოსში, რომელშიც არცერთი ზედმეტი პეიზაჟი, დიალოგი, სიტუაცია, პერსონაჟი, ფრაზა თუ სიტყვა არ არის. და რაც არის, ყოველივე კრისტალიზებულია. „განდევილი“ მოგვაგონებს არქიტექტურულ ნაგებობას, რომლის ვერც ექსტერიერს, ვერც ინ-

ტერიერს ვერავითარ ნაკლს ვერ უპოვნი, თუ ჰირვეული „კრიტიკოსის“ თვალით არ შეხედავ. შეიძლებოდა აქ გაგვეხსენებინა ერთი დამახასიათებელი ფაქტი: 1884 წელს „ნოვოე ობოზრენიეში“ (№ 91, 102, 126) მთლიანად დაიბეჭდა „განდევლის“ რუსული თარგმანი (მთარგმნ. თხორევეცკი). ცენტრალური რუსული გაზ. „ეხო“ თვით რუსული ლიტერატურისადმი საყვედურით წერდა: „როდესაც ჩვენი ლიტერატურას თანდათან სული ელევა... ქართული ლიტერატურა აყვავებულია, მეტადრე მისი პოეზია განივრად ფრთებს იშლის; ამ უკანასკნელსა ჰყავს რამდენიმე ნიჭიერი წარმომადგენელი, რომელთა შორის პატივსაცემი ადგილი უჭირავს თავ. ჭავჭავაძეს. „ახალი მიმოხილვის“ დღევანდელ ნომერში დაბეჭდილია ერთი იმის თხზულებათაგანი — „განდევლი“, რომელმაც ჩვენზე მომხიბლავი შთაბეჭდილება იქონია... პოეტისაგან დახატული სურათები მოგვაგონებენ ხელოვნურ კალამს თვით „დემონის“ შემქმნელის ლერმონტოვისასო“¹.

პოეტურ ეპოსს, ილიას პარალელურად, ან ცოტა შემდეგ, სახელი მოუხვეჭა XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში აკაკიმ. ვაჟა ფშაველამ თავის მხრივ ნათელი გახადა პოეტური ეპოსის ქანრის დიდი შესაძლებლობა. იგივე არ ითქმის ჩვენი ეპოქის პოეზიაზე ჭერჭერობით. ის, რაც ამ ქანრში შეიქმნა, ვერ უტოლდება ილიას, აკაკის და ვაჟას პოეტურ ეპოსს. მათ ამ ქანრში კლასიკის ისეთი ნიმუში მოგვეცეს, რასაც ჭერ კიდევ ვერ შეწვდნენ ჩვენი დროის პოეტები. კრიტიკული რეალიზმის მთავარ წარმომადგენლებთანაც ძირითადი სიუჟეტის ცხოვრებისეულობაა, რასაც მოდერნიზმისა და მანერულიზმის ელემენტიც არ ახლავს, მაშინ როცა ჩვენი დროის პოეტები მოდერნს და მანერულობას სულ ვერ იმეტებენ. პოემებში ეპარებათ ე. წ. „ცარიელი ადგილები“, დეკორატივიზმი, ფრაზეოლოგიური თავმომწონეობა, რითმისათვის აზრის უზუსტობა და მისთ. ეს ეხება განსაკუთრებით სწორედ პოეტურ ეპოსს, — პოემები რეპორტაჟს ჰგავს.

რა შეიძლება ითქვას „აჩრდილზე“? მისი მთავარი თავისებურება უსიუჟეტურობაა, რითაც „სადღეგრძელოს“ გაგვახსენებს. იგი სამართლიანად მიიჩნევა ლირიკულ პოემად. მის მთავარ ხერხემალს არა სიუჟეტი და ხასიათი, არამედ ლირიკული პათოსი წარმოადგენს. იგი ეპოქალურ მოვლენებს ეხება დიდი პოეტური ტაქტი. ამიტომ საეტაპო მნიშვნელობის აღმოჩნდა ეს პოემა არა მარტო მწერლის შემოქმედებითი გზისათვის, არამედ მთელი ქართული ლიტერატურისათვისაც. „აჩრდილს“, ისე როგორც მისი ავტორის სხვა თხზულებათ „სასწაულთ მოქმედ“ მხატვრის ხელი ეტყობა, რომელიც მარტო ტალანტს, დიდ ერუდიციას და პოეტურ გემოვნებას არ ენდობა და ყოველთვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ქმნის, რასაც ქმნის. გარდა იმისა, რომ ღრმა ლოგიკური ძაფი გასდევს მთელ პოემას, მძლავრი პოეტურობით ქდერს თათოვეული თავი.

ქართველი ხალხის გმირული წარსული და თანამედროვე მდგომარეობა, ლიტერატურისა და ფოლკლორის — ჰუმანიზმის, დემოკრატიზმისა და მაღალი ხელოვნების უმდიდრესი ტრადიციები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი შთაგონების, იდეური და მხატვრული აზვირთების უძირო ზღვაა. მაგრამ მისთვის, როგორც დიდი ტალანტისა და კულტურის მქონე შემოქმედისათვის იდეური და მხატვრული გამდიდრების მეტად მნიშვნელოვანი წყარო იყო მსოფლიოს

¹ გაზ. „დროება“, 1884, № 98.

ხალხთა ასეთივე ტრადიციები. ამიტომაც მის მხატვრულ ნაწარმოებებში თუ პუბლიცისტურ წერილებში დიდებით იხსენებიან, არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს გამოჩენილი კოლოსები: ჰომეროსი, შექსპირი, გოეთე, ბაირონი, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტოლსტოი, მიცკევიჩი, შვეიცერო და სხვ. მაგრამ შემოქმედებითი გამდიდრების წყარო შეიძლებოდა გამხდარიყო ჭეშმარიტად დიდი შემოქმედისთვის, ეროვნული თუ მსოფლიო ლიტერატურიდან, ცხადია, არა მოძველებული, არამედ პროგრესული ტრადიციები და ისიც არა მზამზარეულად, არამედ კრიტიკულად, ნოვატორულად ათვისებული. ილია ჭავჭავაძე გონებრივად და შემოქმედებითად იმდენად ჩამოყალიბებული ჩანს ჯერ კიდევ 60-იან წლებში, რომ ეს მაშინვე გარკვევით ჰქონია გათვალისწინებული.

ილია ჭავჭავაძემ შესანიშნავად იცის, რომ ტრადიციებს ჯირდება არა განმეორება, არამედ შერჩევა და განვითარება. ამ მიზნით შეიძლება აქ დავიმოწმოთ შედარებით მოზრდილი ადგილი ჯერ კიდევ მისი პირველი ესთეტიკურ-პუბლიცისტური წერილებიდან: „იქნება ფიქრობენ, რომ ჩვენი ლიტერატურა არ აღსდგება, თუ არ განიმეორა თავის განვითარებაში წარსულთა დროთა სიკრულე და ცდომილება? თუ ამას ფიქრობენ, მაშ ისტორიას აღარ აქვს თავისი დიდი მნიშვნელობა. ისტორია იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცდომილებას, მასთანვე გვასწავლის ჭკვასა, როგორ უნდა მოვიქცეთ... მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება. თუ იმათ ცხოვრებიდან ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ. რაც მამა-პაპას უქნია, ის ჩვენ უნდა ვქნათო, ეგ ჩინეთის ფილოსოფია არის; თუ მაგას მივყევით, ჩვენც ჩინებსავე შევსდგებით ერთ ალაგზედ და წინ ფეხს ველარ წაესდგამთ“¹.

ილია ჭავჭავაძეს აქ მხედველობაში აქვს „ჩინეთის კედლების ფილოსოფია“, რამაც საუკუნეებით ჩამოარჩინა აზია, რომელიც მხოლოდ ამ „ფილოსოფიის“ დამსხვრევის შედეგად დადგა ფეხზე მე-20 საუკუნეში. ილია ჭავჭავაძემ ახალგაზრდობაშივე უკუთავდო მსოფლიოს მოწინავე კულტურისადმი ზურგის ქცევისა და ერთ ადგილზე გაყინვის „ჩინეთის კედლების“ ფილოსოფია.

ამიტომაც, რომ იგი მოითხოვდა ფართოდ გაღებოდა კარები ყველა ქვეყნის კულტურას, მაგრამ არა ყველაფერს ამ კულტურიდან, არამედ გონივრულად შერჩეულს, კარგს, ღიადს, ჭეშმარიტად მაღალი კულტურის ნიმუშებს.

მხედველობაში ჰქონდა რა რუსეთის მოწინავე ლიტერატურისა და რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების დადებითი გავლენა 60—70-იანი წლების ქართველი პროგრესული ინტელიგენციის მსოფლმხედველობრივ ფორმირებაზე, აღნიშნავდა, რომ საარგებლობა ამ ზემოქმედებამ მარტო იმას მოუტანა, ვინც ბრმად არ მარყუვა და „კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა“ ყოველი აზრი. იქვე იგი იძლევა ხალხთა ურთიერთ კულტურული გამდიდრების ცნების არსის ჭეშმარიტ განსაზღვრას, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ყოველთვის დიდი შემოქმედის ჭეშმარიტ მეცნიერულ შესწავლას: „ყოველი აზრი მარტო ცარიელი ფრაზაა იმის ხელთ ვისაც კრიტიკის ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია. ამნაირი კაცი კაჟკაჟია და არა ჭეშმარიტი წარმომადგენელი მის მიერ ქადებულის აზრისა, რომელიც თუ სხვისგან დაუჩემებია, კრიტიკის ძალით უნდა უსათუოდ თავისად გარდაექცია. უამისოდ

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. II, 1941, გვ. 8.

შემოქმედება უძლიერესისა უღონოზედ, უყეთესისა უარესზედ მარტო ცარიელ მაიმუნობაა, სხვის ფეხის ხმაზედ ბრმად აყოლა, ტყუეობაა და არა თავისუფლება და თვითმოქმედება გონებისა, რომელიც ერთადერთი ნიშანია ჭეშმარიტის განათლებულობისა და აღმატებულობისა. ამ სახით ყოველივე შემოქმედება—ავია თუ კარგი—არაფრის კეთილის მომასწავებელი არ არის. პირიქით, იგი აძინებს, ჰკლავს მსჯელობის უნარსა, ყოველს მჭრელობასა და გამჭრიახობას სჩაგრავს და აბათილებს“¹. (დაყოფა ჩემია,— ა. კ.).

„უცხო“ წყაროებისადმი დამოკიდებულება მოჩანს თარგმანებშიც.

ცნობილია, რომ 60—70-იან წლებში ილიას მცირე რამ უთარგმნია გოეთედან, შილერიდან, ვალტერ სკოტიდან, ბაირონიდან, ჰაინეიდან, რიუკერტიდან, ანდრე შენიეიდან, ტომას მურიდან და ა. შ. მაჩაბელთან ერთად თარგმნა შექსპირის „მეფე ლირი“. ერთგვარ ანარეკლსაც ეპოულობთ უთარგმნელი თუ თარგმნილი მწერლებისას ილიას შემოქმედებაში. მაგ., შილერის „ცრემლთა შინა ნუგეშს“ (1858, 12/II) ეხმაურება ილიას ლექსი „ვაი მას, ვისაც მსხვერპლად ვაძლევდი“ (1859, 19/II). ბაირონის „სტიროდეთს“ და ტომას შურის „ირლანდიისადმის“ ეხმაურება „ყვარლის მთებისა“ და „მას აქეთ რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“ — ავტორის სული. „მიბაძვა ჰაინესი“ შინაგანად უპასუხებს „აჩრდილის“ ავტორის პატრიოტულ კონცეფციას. ბაირონსა და გოეთეს, როგორც ცნობილია, საგანგებოდ ეხმაურება ილია „მგზავრის წერილებით“. მაგრამ ცხადია, არსად ბრმად მიმბაძველი არ არის ილია.

ხშირად ზოგიერთი კრიტიკოსი ზედმეტად ავლებდა პარალელს ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონის“ მოძღვარსა და „გლახის ნაამბობის“ მღვდელს შორის. მაგრამ იგიწყებენ „გლახის ნაამბობის“ მოძღვრის პროტოტიპს თვით ქართული სინამდვილიდან. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ თუნდაც გაბრიელ ეპისკოპოსი, ან ილიას მოძღვარი-მასწავლებელი.

გვიანდელ პერიოდშიც, ილიას კიდევ უთარგმნია ზოგიერთ ფრანგ, ინგლისელ, თუ სხვა მწერალთა ნაწარმოებებიც, რაც იმას გვეუბნება მხოლოდ, რომ ევროპულ ლიტერატურას შემდეგშიც თვალყურს ადევნებდა და თავის მხატვრული კულტურის დონის შემოწმების ერთ-ერთ წყაროდ მიიჩნდა.

ყოველი ჭეშმარიტი ხელოვანის შემოქმედებით პოტენციას, უწინარეს ყოვლისა, ეროვნული წყაროები, თავის დროის ეროვნული ცხოვრება, საყოთარი ხალხის წარსული და კულტურული ტრადიციები, მშობლიური ქვეყნის ბუნების ლანდშაფტები და ა. შ. ასაზრდოებს და წარმართავს. გამონაკლისს არც ილია ჭავჭავაძე წარმოადგენს. რუსთაველის ხალხმა თავის აწმყო-წარსულს და დიადი მომავლის მაღალი რწმენით წარმოშვა ილია ჭავჭავაძე. ტყუილი არ ამბობს იგი „მეცა მნიშნავს და ერი მზრდისო“. შემთხვევით არა აქვს მას ნათქვამი: „პოეტსა ხალხი დაჰბადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს... დევს დევის ძუძუ გამოზრდისო“². შეუძლებელია ამ სიტყვების სისწორეში ეჭვის შეტანა. საქართველო შთამაგონებელი გახდა სხვა ქვეყნების გამოჩენილი მწერლებისთვისაც, გავიხსენოთ: გრიბოედოვი, პუშკინი, ლერმონტოვი, პოლონსკი, ტოლსტოი, კ. ბალმონტი, ნ. ტიხონოვი... რა თქმა უნდა გასაკვირი არაა, თუ საქართველო ჰყვებოდა ილია ჭავჭავაძის

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. II, გვ. 608.

² იქვე, გვ. 230.

შემოქმედებით გენიასაც. მაგრამ როგორც დიდი ერუდიციის მქონე შემოქმედისთვის დიდი ნაციონალური ტრადიციები სტიმული გახდა გულგრილი არ ყოფილიყო სხვა ერთა ცხოვრებისა და კულტურისადმიც. ამ მხრივ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა რუსეთს. აქ არ გავიმეორებთ იმას, რაც ამ საკითხზე არა ერთხელ თქმულა თუ დაწერილა. ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ იმას, რომ რაკი ჩვენი ხალხი ისტორიულად დაუკავშირდა რუსეთს, ილია ჭავჭავაძეს ბავშობიდანვე ენერგებოდა და უმტკიცდებოდა, ერთა მხრივ მეფის რუსეთისადმი სიძულვილი, ხოლო მეორე მხრივ, რუსი ხალხის გამორჩენილი შვილებისადმი, თუ უბრალო რიგითი პატიოსანი ადამიანებისადმი პატივისცემა და სიყვარული, რუს ხალხთან და მის პროგრესულ წარმომადგენლებთან მჭიდრო კავშირში საქართველოს ქვეშაობიტი თავისუფლებისთვის ბრძოლის შეგნება. სიძულვილისა და სიყვარულის დიდი სკოლა იყო მისთვის თვით ცხოვრება.

რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა, ქართველი ხალხის სუვერენულ უფლებათა შელახვა, ზიზღით ავსებდა ილია ჭავჭავაძეს მეფის მთავრობისადმი, რამაც გამოხატულება პპოვა მის როგორც ადრინდელ, ისე გვიანდელ მხატვრულ ნაწარმოებებსა და პუბლიცისტურ ნაწერებში. ამ მხრივ იგი ისეთ მძაფრ შეუპოვრობას იჩენს, რომ ზოგიერთ ჩამორჩენილ მკითხველს ასეც აფიქრებინებს: ილია ჭავჭავაძე „რუსების“ დიდი მოძულე ყოფილაო. ამის ყველაზე „მთავარ საბუთად“ „მგზავრის წერილებს“ იყენებენ. აქ, როგორც ცნობილია, ლაპარაკია „რუსის პირდაუბანელ და თმდაუფარცხნელ, სქელკისერა „იამშიჩის“... ბრიყვ სახეზე, იმის ოყრყულ შესახედაობაზე, მიღუნ-მიღუნებულ ზღაზვნაზე, უადამიანო და პირუტყულ მიხვრა-მოხვრაზე, ძროხის თვალეზე, მ რ ი ს ხ ა ნ ე შ ე მ ო ბ ღ ვ ე რ ა ზ ე“... მაგრამ ეს ზომ მეფის რუსეთის სიმბოლური სახეა და არა მთელი რუსეთისა, როგორც სამართლიანადაა შენიშნული.

ვინც ილია ჭავჭავაძეს კარგად იცნობს, იგი წუთითაც არ იფიქრებს, რომ მას მეფის რუსეთისაგან დაბეჩავებულ „იამშიჩზე“ დაეფრქვიოს ასეთი თავშეუკავებელი ზიზღი რაგინდ უხეშიც არ უნდა ყოფილიყო იგი. ეს „პირდაუბანელი და თმდაუფარცხნელი, სქელკისერა, ოყრყული შესახედაობის რუსი“, ზომ იგივე ლერმონტოვის „დაუბანელი რუსეთია“, რომელსაც იგი ასეთივე ზიზღით აქცევდა ზურგს! მეფის რუსეთისადმი სიძულვილი ასეთივე თავშეუკავებელი ფორმითაა გამოხატული ლელთ ღუნისა რომანტიკულ სახეშიც. არ ყოფნის სიტყვები ამ სიძულვილის გამოსახატავადო, შეიძლება ითქვას „აჩრდილზე“. საზოგადოდ, ეს სიძულვილი მთავარი ბე რ ა კ ე ტ ი ა, რ ა ც მ ი მ ა რ თ ე ლ ე ბ ა ს ა ძ ლ ე ვ ს ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს რ ე ვ ო ლ უ ე ი უ რ - დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ პ ა თ ო ს ი ა. ეს ზიზღი იმდენად დიდია, რომ მას თავი უჩენია საქართველოს წარსულის ერთგვარ რომანტიკაშიც („აჩრდილი“ და „მგზავრის წერილები“, „ქართვის დედას“, „მეფე დიმიტრი თავდადებულს“ და სხვ.) და იქაც კი, სადაც ეს თითქოს სულ არ უნდა გახსენებოდა მწერალს, მაგ. მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ გლეხი პეტრე „ერთბაშად“ ამბობს: „არა, შვილო, რაკი ქართველმა რუსული შლაპკა დაიხურა, იმის საქმე წასულიაო“ და ა. შ.

დამახასიათებელია, რომ ილია ჭავჭავაძემ იმავე სიძულვილის ძალით „მგზავრის წერილების“ პროლოგში სამართლიანად გაილაშქრა რუსი მწერლისა და მხატვრების ერთი ნაწილის წინააღმდეგ, რომლებიც მეფის რუს-

სეთს ალაშაზებდნენ. მან დიდმპყრობელური შოვინიზმით ერთგვარი ცდუნება „მწირის“ თარგმნისას არ აპატია თავის საყვარელ მწერალს ლერმონტოვსაც კი.

ყოველივე ეს არა მარტო ჩამორჩენილ მკითხველს, ზოგიერთ კრიტიკოსსაც აფიქრებინებს: ის ვინც ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში რუს ხალხთან მეგობრობის იდეას პოულობს, ეს თითქოს ისეთი ტყუილია, რომ მას მართალსაც არ დაუჯერებენო. რა გვეთქმის ამაზე? მხოლოდ ერთი: ყოველივე იმაში, რაც ჩვენ მოვიტანეთ ზევით, რუსეთის ცარიზმისადმი სიძულელია გამოხატული, რაც იმავე დროს რუსი ხალხისა და მისი პროგრესული ინტელიგენციისადმი სოლიდარობის გამოვლენებაც არის. ეს მოჩანს აგრეთვე რუსი მწერლების თარგმნაში, ეპიგრაფებად გამოყენებაში, და სხვ. იგი ხშირად იხსენებს თანაგრძნობით ცნობილ რუს მწერლებს. მაგ. მოთხრობა „კაკოში“ დიაბევის პორტრეტის ხატვისას წერს: „ტუჩები კრილოვის მეღასავით“. ტრახაძე „გოგოლის ბობჩინსკის ცოტათი ჰგვანდა“. გოგოლით მეტად შთაგონებული ჩანს ილია ჭავჭავაძე, როცა წერს იქვე: „ჩვენცა გვეყვან ქართველი ბობჩინსკები და დობჩინსკები, ჩიჩიკოვები, საბაკევიჩები“ და სხვ. გოგოლი გახსენებულია აქ, როგორც მასწავლებელი. გოგოლი ფეოდალურ-მემამულური სოციალური სინამდვილის სატირული წარმოსახვის უდიდეს გამოცდილებას აძლევდა ილია ჭავჭავაძეს, ვიდრე რომელიმე სხვა მწერალი. გოგოლს შორდება ილია ჭავჭავაძე რევოლუციურ-დემოკრატიული პათოსით და ნაციონალური კოლორიტით, — მის მიერ შექმნილ ხასიათებს ჰეშმარიტად „სუსყველას ქართველის სუნი უდის“.

რუსულმა ლიტერატურამ და რევოლუციურ-დემოკრატიულმა აზროვნებამ გარკვეული როლი შეასრულა ილია ჭავჭავაძის რევოლუციურ-დემოკრატიული მრწამსის ჩამოყალიბებაში. მაგრამ ივიწყებენ, რომ ილია ჭავჭავაძის რევოლუციური დემოკრატიზმი მუშავდება უწინარეს ყოვლისა თვით საქართველოს ისტორიული ვითარებისა და ქართული ლიტერატურის დემოკრატიული ტრადიციების პირობებში. რუსეთს მეტი გარკვეულობა შეაქვს მასში და ეს ბუნებრივიც არის, — იქ სწავლობდა და მის დროს ეს იდეები სარგებლობდა მეტი პატივით. 60—70-იან წლებში ეს იდეები აქვს მომარჯვებული არა მარტო ეროვნულ, არამედ წმინდა სოციალურ-კლასობრივ საკითხშიც. შემდგომ წლებში, კი რაკი ბატონყმობა მოსპობილი იყო, ბატონყმობის ნაშთების აღსაყვეთად იბრძვის, რაც კლასობრივი ჰარმონიის ცნობილი ფორმულის სახეს იღებს და გამომდინარეობს მისი ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი პრობლემიდან, — ქართველი ერის „დაცემული ვინაობის აღდგენის“ მთავარი ამოცანიდან.

წყაროების მრავალმხრივობა, ცხადია, გენიოსის მხატვრული სტილის არა „ეკლექტიკურობაზე“, არამედ მისი ტალანტისა და ერუდიციის დიაპაზონის სიღრმესა და სიფართოვეზე მეტყველებს. ექვი არ უნდა, დიდი შემოქმედება არ შეიძლება შევადაროთ ბალს, სადაც აკლამატიზირებულია სხვადასხვა ჯიშის მცენარეები.

ზღვები და ოკეანეებიც შენაკადი მდინარეებით იკვებებიან. გეოგრაფიულ რუკებზე ექვიმუტანელი სიზუსტით აღნიშნავენ მდინარეებს, რომლებიც ზღვებსა და ოკეანეებს უერთდებიან, მაგრამ მეტად ძნელია ამ მდინარეთა კვალის პოვნაც კი ამ ზღვებსა და ოკეანეებში, — თითქოს გამქრალანო. შემთხვევითი არაა, რომ „მოთქვამენ“ კიდევ დიდი თუ პატარა მდინარეები, რომლებ-

საც ზღვები და ოკეანეები „ნთქავენ“ და მათ „სახსენებელს სპობენ“. ასე მო-
თქვამს მაგ., ვაჟა-ფშაველას „მთის წყარო“. დიდ შემოქმედთან სულ ასე უგ-
ზო-უეკელოდაც არ იკარგებიან დიდი ტრადიციები, მაგრამ სულ ახალ სახეს კი
იღებენ. გარდა ამისა, მარტო ტრადიციების თუნდაც ორგანულად ათვისები-
თაც არ განისაზღვრება ამა თუ იმ დიდი მხატვრის შემოქმედებითი პოტენცია,
რავინდ დიდი იყოს ეს ტრადიციები და მისი ათვისების ხასიათი. ზღვები და
ოკეანეებიც არ იკვებებიან მარტო მათში შემავალი მდინარეებით, თითქმის
მეტი ძალითაც კი, მათ მთავარ საკვებს არა შენაკადები, არამედ თვით მისი
ტაფობიდან ამომდინარე წყლები და ამ ზღვებისა და ოკეანეთა ზედაპირიდან
ანაორთქლის ნალექები წარმოადგენს. ასეა დიდი შემოქმედიც: შინაგანი პო-
ტენცია, ტალანტი და ერუდიცია განსაზღვრავს ძირითადად მისი მხატვრული
სტილის თავისებურებას. მხატვრულ სტილს კი არ ითვისებს, არამედ
თვით შემოქმედი იმე უ ა ვ ე ბ ს. „სტილი — ყველა სტილის დავიწყე-
ბააო“ — ამბობს რენარი.

დასძული საკითხისთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ილია ჭავჭა-
ვაძე, როგორც შემოქმედი და თეორეტიკოსიც: თუ რას გულისხმობდა სახელ-
დობრ პროგრესული ტრადიციის ნოვატორულად, „გონების თავისუფლებით
და თვითმოქმედებით“ ათვისებაში. შეიძლება ითქვას, რომ უწინარეს ყოვლი-
სა ილია ჭავჭავაძე ნაციონალური თუ მსოფლიო, ლიტერატურის პროგრესული
ტრადიციების ნოვატორულ ათვისებაში ითვალისწინებდა ამ ტრადიციების
ეროვნული და თვით მოღვაწისთვის ინდივიდუალური სახით განვითარე-
ბას. ამას სხვათა შორის, შემდეგი გარემოებანი ადასტურებს: იგი მწერლის
ერთ-ერთ უძირითადეს ღირსებად ხასიათების მოცემას თვლიდა. კერძოდ, თა-
ვის პირველ სტატიამივე კოზლოვის „შეშლილის“ უმთავრეს ნაკლადაც ამის
უქონლობა მიიჩნია: თუმცა „შეშლილს“ ქვეშ აწერია რუსული მოთხრობააო,
მაგრამ ამ მოთხრობაში მარტო ენა, ზარი, მარხილი და იამშჩიკი თუ არის რუ-
სული, თორემ სხვა არაფერი... ბევრიც რომ წაეციოთხოთ მაინც ქართველი ვერ
გაიციობს ფრჩხილის ოდენასაც რუსის სოფლის გოგოსა, იმიტომ რომ ეს შეშ-
ლილი გოგო, თუმცა კაზლოვი ამბობს რუსისააო, მაგრამ რუსის სარაფანიც არ
აქვია ზედა: ე გ რ ა დ ა ც უ რ უ ს ო რ უ ს ი ა, კაზლოვის ფანტაზიის შეი-
ლი, და არა რუსის ცხოვრებისა“¹ (დაყოფა ჩემია,—მ. კ.). რო-
გორც ეხედავთ, ილია ჭავჭავაძე ნაციონალურობის აქსესუარებასაც (ენა, ზარი,
მარხილი, იამშჩიკი, რუსული სარაფანი და სხვ.) აქცევს ყურადღებას, მაგრამ
მთავარი მისთვის მაინც ხასიათია. ხასიათების ხატვის გენიალურ ხელოვნებას
იგი ხედავს შექსპირთან: „აბა შექსპირის ოფელია აიღეთ, ან კოროლი ლირი
და გასინჯეთ. იქ თუმცა შექსპირი არ ამბობს, რომ ჭკვიდამ შეშლილები არი-
ანო, მაგრამ მიაყოლეთ გონება იმათ სიტყვებს და მაშინვე გაიგებთ შესაბრა-
ლებელს შეშლილ ადამიანის სულის მდგომარეობას“². თანაც ჭეშმარიტი ხა-
სიათების ხელოვანად მარტო შექსპირი არ მიიჩნია ილია ჭავჭავაძემ. ჭეშმარი-
ტი ხასიათების ხელოვნებას ხედავს იგი კერძოდ გოგოლთან. გოგოლს იგი რუ-
სული ხასიათების დიდოსტატად თვლის. მასაც სურს ხასიათების მეგსტრო
იყოს, მაგრამ ქართული ხასიათების. ამ მხრივ მეტად ნიშნეულია მისი შემდეგი
აზრი: „ტრაზაძე გოგოლის ბობჩინსკის ცოტად ჰგვანდა, და უფრო ეგვანე-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. II, 1941, გვ. 9.

² იქვე.

ზოდა; რო ქართული კოლორიტი არა ჰქონოდაო¹. (დაყოფა ჩემია,— ა. კ.). იგი საქართველოს ცხოვრებაშიც პოულობს გოგოლის პერსონაჟებისებურ ადამიანებს, მაგრამ ქართული კოლორიტი თუ მას სურს, რომ ცხოვრების ქემშარიტი მხატვარი იყოს, სწორედ ეს არ უნდა გამოჩინოს მხედველობიდან და კიდევ აქეთვე ისწრაფის ილია: კი არ გაიმეოროს გოგოლის, და არა მარტო გოგოლის, საზოგადოდ დიდი რეალისტური ტრადიციები, არამედ საქართველოს ცხოვრება ასახოს და ქართული სული შთაბეროს, — ახალი ქართული რეალისტური ტრადიცია შექმნას: „ჩვენცა გვეყვან ქართველი ბობჩინსკები და ლობჩინსკები, ჩიჩიკოვები, საბაკეიჩები და სხვანი, მაგრამ ამით ხუყველას ქართველის სუნი უღის. იქნება ოდესმე სულ დაწვერილებით აგოწროთ შინაგანი და გარეგანი ჩვენის ბრწყინვალე თავადებისა“².

ამით ილია ჭავჭავაძე იმასაც გვეუბნება, რომ ნაციონალურის მოცემა ხასიათში არ ნიშნავს მარტო კარგის მოცემას, არამედ ნაციონალურში, როგორც ავის, ისე კარგის დანახვას, ავის მოურიდებლად გამოტანას საქვეყნოდ მისი მოსპობის მიზნით: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“, — ამით ზელმძღვანელობს იგი, როგორც ხელოვნების თეორეტიკოსი და როგორც მხატვარი: „როდი უნდა იწყინოს ქართველმა, როცა ჩვენი „მოამბე“ სხვათა შორის ხელოვნების შემწეობით დაუნდობლად გამოჰყენეს ჩვენის ცხოვრების ქუქყსაცა... ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიტუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონი, თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივე წყალში გადასაყარნი იქნებიან ჩვენთვის“³. ამის ბრწყინვალე მხატვრული დადასტურება იყო: „კაცია-ადა-მიანი?“, „მგზავრის წერილები“, „გლახის ნამბობი“, „კაკო ყაჩაღი“, „სცენები“, „სარჩობელაზედ“, „ოთარაანთ ქერივი“ და სხვ. უფრო გვიან, 1890 წელს ილია ჭავჭავაძემ მკაცრად დაჰკგმო დრამები „მტარვალი“ და „ქართველის დედა“, სწორედ არა ქემშარიტი, ყალბი ხასიათებისთვის, ქართველების შელამაზებისთვის: „არც „მტარვალი“, არც „ქართველის დედა“, არც ერთი იმისთანას სახეს ადამიანისა თუ ცხოვრებისას არ გვიხატავს, რომ მნახველმა სთქვას: აი, ამ დროს რა შესძლებია, რა კაცები შეუქმნია“⁴. ბრანდესი რენანის შესახებ წერდა: „მიუხედავად რენანის ჰორიზონტის სიფართოვისა, იგი თავის ლიტერატურულ სიმპათია-ანტიპათიებში ავლინებს არა მცირედ ნაწილს ნაციონალური შეზღუდულობისასო“. რა შორს დგას ილია ჭავჭავაძე ნაციონალური შეზღუდულობისაგან! ამის კიდევ ერთი საინტერესო დადასტურებაა ზემოთ მოყვანილი მისი მსჯელობის გაგრძელება: „ასე ყოვლად მხეცობა ბტრისა, ყოვლადვე სისრულე და სავსება ქართველობისა, ბავშური წადილია, კაცმა თავი მოაწონოს მაყურებელსა. ბუნება ადამიანისა—ქართველია თუ გარმიანელი—ავ-კარგიანობით არის სავსე და ქვეყანაზე არ არის იმისთანაერი, რომ მიწყული ჰქონდეს ან მარტო კარგი, ან მარტო ავი. ავი და კარგი ყველგან არის და, ვისაც ეს ავიწყდება, ის დიდ მანძილს ვერ გაიბრუნს მწერლობაში“. (დაყოფა ჩემია,— ა. კ.).

¹ ი. ჭავჭავაძე, თბ. სრ. კრებული, ტ. I, 1941, გვ. 652.

² იქვე, გვ. 653.

³ ი. ჭავჭავაძე, თბ. სრ. კრებული, ტ. II, 1941, გვ. 47.

⁴ იქვე, გვ. 121.

ყოველივე ზემოთქმულიდან ის გამომდინარეობს, რომ ილია ჭავჭავაძემ ქართული, მსოფლიო და რუსული ლიტერატურის რეალისტური ტრადიციების გამოცდილებიდან ქართული ლიტერატურის გენერალურ გზად არა ყოველგვარი რეალიზმი, არამედ კრიტიკული რეალიზმი დასახა, რასაც ამკვიდრებდა. კიდევ თავის მხატვრული პრაქტიკით. მის ქვაკუთხედად კი ტიპიზაცია გამოაცხადა, როცა ტიპში ნაციონალური ცხოვრების ასახვით მიღწეულია ზოგადი ადამიანურის სახეც. სრულიად სამართლიანად ტიპების უდიდეს ხელოვნებად მიიჩნია მან პომპროსი, რუსთაველი და შექსპირი. ვერ ვიტყვით, რომ რეალიზმის მკაცრად ჩამოყალიბებული ესთეტიკური თეორიით ხელმძღვანელობდეს რუსთაველი. ასეთი თეორია არ გააჩნდა არც შექსპირს, მაგრამ არა გვეგონია ილია ჭავჭავაძე ცდებოდეს „ვეფხისტყაოსანზე“ აკაკი წერეთელთან კამათში როცა იგი რუსთაველისა და შექსპირის ტიპებს ერთმანეთის გვერდში აყენებს: — „ფალსტაფი ისეთივე შეილია მთელის კაცობრიობისა, როგორც ჰამლეტი, ოტელო, ტარიელი, ავთანდილი და სხვანი ამისთანანი, დიდის შემოქმედობის ძალით შექმნილინი“¹ (დაყოფა ჩემია, — ა. კ.). „დიდის შემოქმედობის ძალით“, უთეორიოდაც იქმნებოდა „ზოგადის კაცის“ ტიპები (რაც თეორიის როლის უგულვებელყოფას როდი ნიშნავს) რომელნიც ეროვნულიც არიან და საკაცობრიონიც: „მსოფლიო გენიოსნი მწერალნი იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათს ნახატში, რომლის ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ რომ იგინი ადამიანის ზოგად ტიპსა ჰქმნიან“².

არა გვეგონია, ილია ჭავჭავაძე ცდებოდეს პორტრეტისტიკის ეთნოგრაფიულ ჩხირკედელაობად გამოცხადებაშიც, რაკი რუსთაველის გმირების საქართველოს ცალკე კუთხეების წარმომადგენლად მიჩნევა დაჰგომო და ერთგვარად, ეროვნული თითქოს ტიპის „გარეგან“ მხარედაც მიიჩნია, ვიდრე „შინაგანად“. ამით ილია ჭავჭავაძე სულაც არ უარყოფდა შინაგანში ეროვნულის გამოსახვის შესაძლებლობას, არამედ გმობდა ისეთ ნაციონალურ-ეთნოგრაფიულ ჩხირკედელაობას, როცა ზოგადი კაცის ტიპის ნაცვლად (რომელშიც ნაციონალურიც არის), არ მიგვედო პორტრეტი, რომელიმე „პეტრესი თუ ივანესი“. ამიტომაა, რომ ილია „ეროვნულ საფერავს“ ჭეშმარიტი ცხოვრებისეული ტიპის არა შინაგან, არამედ გარეგან მხარედ მიიჩნევს, რაც ჭეშმარიტად სულაც არ ნიშნავს „ეროვნული საფერავს“. — ეროვნული კოლორიტის როლის გაუბრალოებას „ზოგადი კაცის ტიპის“ ხატვაში. ამით ილია ამახვილებდა ყურადღებას, რომ ტიპში ეროვნული არ გადაქცეულიყო ზოგადსაკაცობრიო მონაცემების დავიწყებად. ტიპიზაცია არ გაგებულყოფიერ კუთხურ-ნაციონალურის ფოტოგრაფიულ გადაღებად. პირიქით, ტიპში ეროვნული აყვანილი უნდა ყოფილიყო ზოგადსაკაცობრიომდე, ეროვნულის ხატვამ გზა არ უნდა გადაუღობოს იმავე ეროვნულის ზოგადსაკაცობრიოდ ქცევას. ასე უნდა გავიგოთ ილია ჭავჭავაძის პრინციპული მნიშვნელობის ესთეტიკური დებულება, რომელიც კრიტიკული რეალიზმის თეორიას ნაწილობრივადაც არ ვწინააღმდეგება. იგი პომპროსის, შექსპირის თუ რუსთაველის მხატვრულ პრაქტიკაში გამოვლინებულ ესთეტიკური პრინციპის უბრალო გამეორებასაც არ წარმოადგენს. პირიქით, იგი მისი შემდგომი განვითარება და დასაბუთებაა კრიტი-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. II, 1941, გვ. 62.

² იქვე, გვ. 62.

კული რეალიზმის ესთეტიკური პრინციპების შესაბამისად. მისი მხატვრული პრაქტიკაც ამასვე გვეუბნება. მთელი ამ მსჯელობის დროს ჩვენ მხედველობაში გვაქვს განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძის ცნობილი წერილის მეტად პრინციპული მნიშვნელობის მქონე პასაჟი: „რამოდენადღაც მწერლის შემოქმედობის ძილი სწვდება ამ ზოგად-კაცობის ტიპსა, იმოდენად მწერალი დიდია, იმოდენად მსოფლიოა. თქმა არ უნდა, რომ ერი, რომელსაც ეკუთვნის ამისთანა მწერალი, თავისი სამკაულით აკაზმინებს, თავისი საფერავით აფერვინებს პოეტს ყოველს ხატს, ყოველს ნამოქმედარს შემოქმედობისას, მაგრამ ეს მარტო სამკაულია, ფერია და არა იგი შინაგანი ბუნება ხატისა, რომელიც ამ შემთხვევაში ზოგადია და არა კერძო, და რომელიც მარტო თავის საკუთარ კანონებს ექვემდებარება“¹. (დაყოფა ჩემია — ა. კ.).

უეჭველია, რომ ილიას ეს დებულება არავისაგანაა ნასესხები, არამედ რეალიზმის ზოგადი პრინციპების, სხვათა და საკუთარი მხატვრული პრაქტიკის დრმა თეორიული განზოგადების შედეგია. თუ ამ თვალსაზრისით გავხედავთ ილია ჭავჭავაძის მხატვრულ პრაქტიკას, იგი ყოველთვის თავის დროის ნაციონალური ცხოვრებიდან ამოდის. არ შეიძლება ითქვას, რომ იგი რუსთაველს ემსგავსებოდეს ხასიათების ხატვის პრინციპებით, მაგრამ მისი ნოვატორობა და სიძლიერეც იმაშია, რომ რუსთაველის შემდეგ ქართულ ლიტერატურაში ტიპიზაციით ყველაზე მალაა დგება. მალაა დგება არა იმით, რომ თანამედროვე ცხოვრებას ხატავს, ამ მხრივ მას რუსთაველს შემდეგ წინამორბედები ჰყავს სულხან ორბელიანის, გ. ერისთავის და სხვ. სახით. უპირველეს ყოვლისა, მათ წინ უსწრებს ღრმად ნაციონალური ზოგად-საკაცობრიო მნიშვნელობის, როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ტიპების ხატვით. ასეთია ლუარსაბ თათქარიძის, გლახა ჭრიაშვილის, პეტრეს, ოთარაანთ ქვრივის, მწირის და სხვ. უკვდავი სახეები. ამ ხასიათებში ყურადღებას იპყრობს არა მაინცდამაინც სოციალურ-კლასობრივი, ან არა მარტო წმინდა-ეროვნული თვისებანი, არამედ ფართო ადამიანური ვნებანი თავის ავ-კარგით. დიდი მხატვარი სოციალურ-კლასობრივსაც და წმინდა-ეროვნულსაც მიდგომია არა პორტრეტისტ-ეთნოგრაფისტივით, არამედ როგორც დიდი ფსიქოლოგი მხატვარი, რომელსაც „არაფერი ადამიანური არ ეუცხოება“, არც ბოროტება, არც სიკეთე. მისთვის წირპლიანი ლამაზისეულიც, ლამაზი მწყემსი ქალიშვილიც, ზარმაცი და დონდლო ლუარსაბი და გამრჩე ოთარაანთ ქვრივიც, როგორც მხატვრისთვის, ერთნაირად საინტერესოა. როგორც მხატვარს, მას უპირველეს ყოვლისა ადამიანი იზიდავს, — მისი სულის წაკითხვა, ადამიანის ცხოვრება, ისე როგორც პიუგოს² მახინჯი ქვაზიომლო და მშვენიერი ესმერალდა. ხასიათებს თან ახლავს ნაციონალური კოლორიტი, როგორც ადამიანის სულის სწორად წაკითხვის გზა, მაგრამ არა მაინცდამაინც კუთხურობა, როგორც რაღაც აბსოლუტი, რაც ტიპს, ხასიათს აჯაჭვავს რომელიმე ერთ ხალხს.

ილია ჭავჭავაძე ფართო იდეური შემოქმედებითი პორიზონტის მქონე დიდი მხატვარია „კაცად კაცებისა“, არა მარტო იქ, სადაც ეს თითქოს გამიზნულიცაა, არა მარტო მის ე. წ. საეტაპო ნაწარმოებებში, არამედ „არა საეტაპო“ მნიშვნელობის თხზულებებშიც, მაგ., „სცენებში“, „სარჩობელაზედ“ და სხვ. ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთი უდიდესი ხელოვანია იმისა, რასაც თვით იგი

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. II, 1941, გვ. 62.

„ესთეტიკური გრძნობის“ აღძვრას უწოდებდა. მისი ძალა, როგორც ქვეშაობეჭად დიდი ხელოვნანისა იმაშია, რომ იგი მშვენიერების მოზღვავებულ გრძნობებს აღძრავს არა მარტო „სათნოების დამტკიცებით“ (მაგ., მისი შემოქმედების ლირიკული გმირი, მოძღვარი და გაბრიელი „გლახის ნამბობიდან“, კაკო და ზაქრო „კაკო ყაჩაღიდან“, დედა „ქართლის დედადან“, ლელთ ლუნია „მგზავრის წერილებიდან“, პეტრე მოთხრობიდან „სარჩობელაზედ“, მწვემსი „სალიშვილი „განდევილიდან“, ოთარაანთ ქვრივი, გიორგი და სოსია მეწის-ქვილე „ოთარაანთ ქვრივიდან“ და სხვ.), არამედ ადამიანური უმწეობის, უნიათობის თუ „ბოროტის უარყოფის გზითაც“ (მაგ., ლუარსაბი, დავითი, დარეჯანი, ელისაბედი, ლამაზისეული და სხვ. „კაცია ადამიანიდან“, გლახა ჭირაშვილი და ქვრივი დედაკაცი „სცენებიდან“, იამშჩიკი და ოფიცერი „მგზავრის წერილებიდან“, უმცროსი იმა მოთხრობიდან „სარჩობელაზედ“, ქვრივი დედაკაცი და კესო „ოთარაანთ ქვრივიდან“, მწირი „განდევილიდან“ და სხვ.). იგი ცხოვრების, როგორც მშვენიერის, იაე საზიზღარის, საძულველისა და მოუთმენლის ხელოვნების მშვენიერებად გადაქცევის ერთ-ერთი უდიდესი მხატვარია ქართულ ლიტერატურაში. ამ აზრით იგი თავისუფლად შეიძლება დავუყენოთ გვერდით როგორც ქართული, ისე მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს კლასიკოსებს, რომლებმაც „კაცად კაცების“ გამოხატვის უდიდესი ტრადიცია დაამკვიდრეს. ილია ჭავჭავაძის თვითმყოფობა და ნოვატორობა ის არის, რომ იგი ვინმეს გამეორება კი არაა, არამედ თავის ეპოქისა და ქვეყნის პირმშოა. მის ყოველ ქმნილებას, ყოველ ხასიათ-ტიპს თავის ეპოქისა და ქვეყნის კოლორიტი ახლავს, რაც თავის შინაგანი არსებით ხელოვნების უკვდავისა და მარადიულის განსახიერებაც არის. მის მიერ შექმნილ ხასიათ-ტიპებში მაშინვე იცნობა გარკვეული ეპოქის, გარკვეული სოციალური წრის ქართველი, ქართველში კი „კაცად კაცი“. მაგ., ოთარაანთ ქვრივის სოციალური ექვივალენტი რეფორმის შემდეგდროინდელი ქართული სოფლის გლეხის გამრჯე ქალია. მისი ცხოვრებისეულობისთვის, როგორც ტიპისთვის, თითქმის ესეც იკმარებდა. მაგრამ მისი ავტორის ნოვატორული სიღრმე იმაშია, რომ ოთარაანთ ქვრივი მან დახატა არა მარტო როგორც გამრჯე გლეხის ქალი, არამედ როგორც ადამიანი, რომელსაც გლეხის ქალობისა და უსწავლელობა-გუნათლებლობის მიუხედავად, მაინცდამაინც მხოლოდ გლეხისთვის საჭირო და ნიშანდობლივი ვნებანი როდი გააჩნია, როგორც ქალს — დედას, არამედ ზოგადადამიანურიც, ზოგად კაცობრიულიც. და ამას ილია ჭავჭავაძე აღწევს გმირისთვის რაიმე თვისების არა ხელოვნურად „მიწერის“ გზით, არამედ ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმად გახსნით, როცა ვიწრო „გლეხურში“, ან „თავადურში“ უმნიშვნელოვანესი ზოგადადამიანური (მაგრამ არა „ხეკლასობრივი“) ვნებებიც არის გამოვლენებული. ეს ტრადიცია უფრო გამძლე და თვითმყოფალია, თავის არსებით მხატვრული რეალიზმის მაღალი გამოხატულებათა და ღრმა კლასიკურობით აღბეჭდილი. ამ მხრივ, ილია ჭავჭავაძის რეალისტურ ტრადიციებს მისდევნენ, მაგალითად, გ. წერეთელი და ე. ნინოშვილი, მაგრამ ძირითადად ცალმხრივად ანეითარებენ მას მხოლოდ კლასობრივ ექვივალენტზე ყურადღების გამახვილებით. მათ რეალიზმს ერთგვარი სოციალოგიზმის ბეჭედი ახის.

ილია ჭავჭავაძის ტრადიციის დიდ მემკვიდრედ შეიძლება მივიჩნიოთ ვაჟა-ფშაველა, მაგრამ ცხალა არა ტრადიციის უბრალო გამეორების აზრით. ვაჟა-ფშაველას მინდია, ალუდა ქეთელაური, გოგოთური, ზვიადაური, ჭოყო-

ლა, სანათა, ალაზა, შზია და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ „კუთხურ“ თუ გარკვეული ეპოქის სოციალურ-კლასობრივ სამოსელსაც ატარებენ, და გამოირჩევიან მხატვრული დეტალების სიზუსტით, ზოგადკაცობრიული ვნებების სიღრმით „კაცად-კაცობის“ უკვდავი ქმნილებანიც არიან. დადებითი ტიპების მიმართ ამას რომანტიკულ-ამაღლებულად ხატვაც შეიძლება ეწოდოს. ილია ჭავჭავაძე ქართული აღორძინების ხანისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის რეალიზმის წარმომადგენლებზე მაღლა დგება, როგორც კრიტიკის პათოსის სიღრმით (გაბატონებული სოციალური სისტემის გამანადგურებელი კრიტიკით), ისე დადებითი „კაცად კაცების“ რომანტიკულ-ამაღლებულად ხატვის რეალისტური ხელოვნებითაც.

მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორია იცნობს გენიოსებს, რომლებიც თანაბრად ძლიერი იყვნენ თითქმის ყველა იმ ეანრში, სადაც კი სერიოზულად სცადეს მათ თავის ნიჭი. ასეთ გენიოსთა პლეადას მიეკუთვნება ილია ჭავჭავაძე. ზოგჯერ ამას ვერ ხედავენ,—დოგმატიზმი და ტრაფარეტი, ჭერ კიდევ ახერხებს მეცნიერულობის სამოსელი ატაროს ამა თუ იმ შემთხვევაში. „სუსტ ადგილებს“ ეძებენ განსაკუთრებით მის ლირიკაში, ივიწყებენ რა აქაც მის ქეშმარიტ ნოვატორობას. პირველად ქართულ ლირიკაში, სწორედ ილიას ლირიკას მოსდგამს დიდი ადამიანური განცდებისა და აზრების ფოლადისებური ნაქედობა და უღერადობა. მისი ლირიკა არც ბარათაშვილის ლირიკას ჰგავს და არც აკაკისას, თუმცა მრავალმხრივ უკავშირდება მათ. მას თავის დიდი ადგილი უკავია ქართული ლირიკის განვითარებაში. იგი ჩვენი ეროვნული მეგვიდროების დიდი განძია. თანაბრად ძლიერ კლასიკურ ტრადიციებს ამკვიდრებს ილია ჭავჭავაძე საზოგადოდ და კერძოდ ქართული მწერლობის სამ დიდ ეანრში: ლირიკაში, პოეტურ ეპოსსა და მხატვრულ პროზაში.

ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება ღრმად ეროვნულია თავის შინაარსითაც და ფორმითაც და ამ ეროვნულობაშივეა შერწყმული მისი მხატვრული მეგვიდროების ზოგადსაკაცობრიო ხასიათიც.

ილია ჭავჭავაძე ქართული მწერლობის დიდი განმაახლებელია.





ა. განჩილაძე

მასალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის

ი. ჭავჭავაძის გვარის გენეალოგიის შესახებ საინტერესო შრომები არსებობს¹. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ჭავჭავაძეები წარმოშობით მთიელები არიან, მთიდან (ფშავე-ხევსურეთიდან) ჩამოსახლებულნი კახეთში. ამ ვერსიას საფუძვლად უძევს გარსევან ჭავჭავაძის განცხადება: „მე მთის შვილი ვარ“. გრ. ყიფშიძე წერდა: „გადმოცემა იმბობს, რომ ჭავჭავაძენი ხევსურეთის მკვიდრნი იყვნენ, იქიდან არიან გადმოსულნი და ამ გვარის კაცნი დღესაც არაერთი და ორი კომლია ხევსურეთშიო. ეს გვარი აქა-იქ გლეხკაცებად სცხოვრობს დღეს ქართლშიაც. მაგალითად, ცერონის ავლებში. 1726 წელს კახეთის მეფემ კონსტანტინემ უბოძა ამ გვარის წარმომადგენელთ თავადობა და ჭავჭავაძენი თავადობის ღირსებით ჩაიწერენ იმ უმაღლესი წოდების სიაში, რომელიც დაერთო რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულს ხელშეკრულებას 1783 წელს“.

ჯერჯერობით მაინც არ არის გამორკვეული, სახელდობრ რომელი ადგილიდან მოვიდნენ კახეთში ჭავჭავაძეები. ამ მხრით ძვირფას ცნობებს გვაწვდის იოანე ბატონიშვილი. ქართველ თავადაზნაურთა გვარის წარმოშობის შესახებ შედგენილ ცნობარში იგი ჭავჭავაძეების შესახებ წერს: „თავადი ჭავჭავაძე. არიან ორ გვარად. პირველნი, რომელნიც სახლობენ გაღმა მხარს ყვარელსა შინა. იგინი არიან ძველთაგანვე დროსა მეფისა ლეონისასა წელსა ქუე აქეთ 1529. ესენი იყვნენ ფშავეის მთითვე ჭავჭავაძეთის ადგილთ. და მუნ მოსახლენი თავადადვე და მერე გადმოსახლდნენ, ყვარელსა შინა, და მუნ მისცა მეფემან ადგილნი, რომელნიცა არიან: 1) გლახასშვილები და ძმათა ამისისა 2) მელქისაძეების შვილები. ხოლო მეორე ჭავჭავაძენიც არიან მუნვე ადგილიდგან მოსრულნი, რომელნიც ანბობდნენ მონათესაობასა მათსა. გარნა არა აქვნდათ მათთან მამულნი. და ამათ მსახურეს ერეკლე მეფესა თუშეთს და ოდეს გამეფდა მეფე ირაკლი პირველი წელსა ქუე აქეთ 1680-სა. შემდგომად მსახურებისათვისა დაასახლა ადგილსა წინანდელს და მიიღო აზნაურად, შემდგომად მეფემან თეიმურაზ ალიყვანა მცირე თავა-

¹ იხ. გრ. ყიფშიძე, ბიოგრაფია, ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, მ. გედევანიშვილის გამოცემა, 1914; გ. ლეონიძე, მასალები ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1935; ი. გრიშაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე (ნარკვევი), ა. ჭავჭავაძის თხზულებანი, 1940; ა. იოვანიძე, ილია ჭავჭავაძე (დოკუმენტალური მასალები), 1947; პ. ინგოროვიჩი, ი. ჭავჭავაძე (ბიოგრაფიული ნარკვევი), ტ. I, 1951.

დის ხარისხსა შინა, და უბოძა მცირე რამ ყმა და ზვარი სამეფო. და უკანასკნელ უფრორე მეფემან მეორემან ირაკლიმ, დაუმტყიცა ქვეყნაძეობა და არიან მუნიდგან წოდებულნი ქვეყნაძე და, რომელნი პირველ იწოდებოდნენ მამუჩიშვილებად, და რომელნიცა ახლაცა იწოდებიან მამუჩისშვილებად 1) ივანეს შვილები, 2) ბერი ნაზარის შვილები და 3) გარსევანის შვილები და სხვანი¹.

ი. ბატონიშვილის ეს ცნობები ქვეყნაძეთა შესახებ საყურადღებოა იმით, რომ მასში პირდაპირი მითითებაა საქართველოს იმ კუთხეზე, ადგილსამყოფელზე, სადაც თავდაპირველად ცხოვრობდნენ ქვეყნაძეები. ი. ბატონიშვილი აღნიშნავს: ქვეყნაძენი „იყვნენ ადგილით ფშავის მითთვე ქვეყეთის ადგილით“. ეს ცნობა რატომღაც გამოტოვებულია იმ „აღწერაში“, რომელიც დაერთო რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ 1783 წლის ტრაქტატს². აღსანიშნავია, რომ ამავე ხელნაწერთა კრებულში სხვა ადგილზე აღნიშნულია: „თავადი ქვეყნაძე. არიან, ძირით ფშაველნი აზნაურნი ქვეყეთის (სიტყვებს „აზნაურნი ქვეყეთის“ ხაზი აქვს გადასმული ა. გ.), მცირე თავადნი, ხოლო ესენი გაათავადა მეფემან ერეკლე პირველმან, ოდეს მოვიდა რუსეთიდან თუშეთსა შინა, მუნ მსახურა ქვეყნაძემან და შემდგომად ტფილის მეფობისა მისცა სათავადო კახეთს ქვეყეთ 1688. და არიან კახეთსა შინა, გაღმა მხრის და გამოღმა მხრის. მამუჩიშვილებიც ქვეყნაძეს გვარნი არიან“³. ხელნაწერთა კრებულის 103-ე გვერდზე, სადაც ლაპარაკია საქართველოს აზნაურების შესახებ, ვკითხულობთ: „ქვეყნაძენი არიან ფშავის აზნაურნი და უკანასკნელ გათავადებულნი. არიან გვარით მოსულნი ჰიმჭიმიდგან“⁴.

ამ საბუთებიდან ქვეყნაძეთა გვარის თავდაპირველი საცხოვრებელი ადგილის შესახებ ასეთი დასკვნა უნდა გაეკეთთ: აღნიშნული კრებულის ორ ხელნაწერში ქვეყნაძეთა შესახებ მითითებულია, რომ ისინი არიან ფშავის მხრიდან „ქვეყეთის ადგილიდან“. მესამე ხელნაწერშიც იგივეა განმეორებული, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ქვეყეთის ნაცვლად აქ დასახელებულია ჰიმჭიმი. უნდა ვიფიქროთ, აქ ან მექანიკურ შეცდომასთან გვაქვს საქმე, ანდა ქვეყეთი და ჰიმჭიმი ერთსა და იმავე ადგილს უნდა აღნიშნავდეს. ქვეყნაძეები ფშავეთიდან XVI საუკუნეში არიან წამოსულნი. ამჟამად სიფელი ქვეყეთი აღარ არსებობს.

ი. ქვეყნაძის სამშობლო სოფელს გრიგოლ ორბელიანი სამართლიანად უწოდებს „კახეთის თვალს“. იგი მდებარეობს კავკასიონის კალთების ძირას, მდინარე ღურუჯის მარცხენა მხარეზე.

ლექები ყვარელს ხშირად ესხმოდნენ თავს, მათი გადმოსასვლელი იმ გზით უკავშირდებოდა კახეთს. ვინაიდან ყვარელი წარმოადგენდა ლექების წინააღმდეგ საბრძოლო ნოწინავე ხაზს, ამიტომ აქ იდგა მოხალისეებისაგან შემდგარი რაზმი, მილიციად წოდებული, რომელიც ლექების ყაჩაღურ თავდასმას გმირულ წინააღმდეგობას უწევდა, თვით ქვეყნაძენი ამ მილიციის სახელოვანი მებრძოლები იყვნენ.

¹ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, S—3729, გვ. 27.

² იხ. ჟურნ. „ივერია“, 1884, № 5—6.

³ საქართველოს სახ. მუზეუმი, S—3729, გვ. 82, ამ ცნობაზე მიმითითა საქართველოს სახ. მუზეუმის თანამშრომელმა გ. კლიშიაშვილმა.

⁴ საქართველოს სახ. მუზეუმი, S—3729, გვ. 103.

ქართველი მხედრობა ყვარლის დაცემას ხშირად კახეთის დაცემად თვლიდა. ამიტომაც ეს სოფელი გამაგრებული იყო ციხე-სიმაგრეებით. თვით ილია ჭავჭავაძის სახლი, სადაც პროეტი დაიბადა, საომარ ციხე-კოშკს უფრო წააგავს, ვიდრე საცხოვრებელს.

კახეთში ყვარლის სოფლად დაფუძნების შესახებ მრავალი გადმოცემა არსებობს. ერთი გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ქართველი მეფე სანადიროდ წასულა, იგი განსაკუთრებით მოუხიბლავს იმ ადგილს, სადაც ახლა ყვარელია გაშენებული. ნადირობისაგან დაღლილ მეფეს ამ ადგილზე მოუწყვია შესვენება. ამ მიზნით იგი ჩამომჯდარა პატარა წყალვარდნილთან. „ბუნების სიმშვენიერითა და ბუღბუღების ვალობით აღტაცებულმა მეფემ უნებლიედ ჩამოიძახა — „ეგ საყვარელი ადგილია, აქ სოფელი უნდა აშენდესო“. მართლაც, მან მახლობელ სოფელ ყორიანიდან გადმოასახლა აქ მცხოვრებნი. სიტყვას „საყვარელს“ მეფემ მოაცილა ნაწილაკი „სა“ და დარჩენილი სიტყვა „ყვარელი“ უწოდა ამ სოფელს¹. ეს გადმოცემა სწორი არ უნდა იყოს. სიტყვა „საყვარელი“ ამ სოფლის სახელწოდებას საფუძვლად არ შეიძლება დასდებოდეს. მაგრამ საესებით შესაძლებელია, ეს ადგილი თავისი ბუნებრივი სილამაზით მართლაც მოეწონა მეფეს და იქ მცხოვრებლები დაასახლა. ეს შეიძლება ყოფილიყო ლეონ მეფე, რომელმაც ფშავ-ხევსურეთიდან კახეთში ჩამოასახლა აზნაურნი ჭავჭავაძენი.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძის სამშობლო სოფლის ყვარლის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გადმოსულია ახლანდელი ფშავეთის სოფელ ყვარადან. ამეამად ყვარაში მოსახლეობა აღარ არის. მაშინდელ ფშავეში რომ სოფელი ყვარა დასახლებული პუნქტი იყო, ამას მოწმობს ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. თედო რაზიკაშვილის მიერ ფშავეში ჩაწერილ ლექსში „ქალის ნატვრა“ მოხსენიებულია სოფელი ყვარა:

ანამც კი დაწვა ჩაბანო, ანამც წყალს წალგინა

იმ ჩემი წაწლის ამბავი მე კარგიც გამაგებინა.

ანამც აყარა იქითა, სახლ ყ ვ ა რ ა ს ააგებინა.

ამ ლექსს თ. რაზიკაშვილი ასეთ შენიშვნას უკეთებს: „ჩაბანო სოფელია ფშავეში, ვაგი ჩაბანოელი იყო, ქალი ყვარადგან. ამ სოფლიდგან არიან ყვარელში გადასახლებული და იმიტომ დაურქმევიათ კახეთში ყვარელი“.

მეორე ფშაურ ხალხურ ლექსში, რომელიც დასათაურებულია „ბლავანთ წისქვილი“ ჭავჭავაძეებიც კი არიან მოხსენიებული.

ბლავანთ გამართეს წისქვილი, კაღაჩალს გაღის წყრიალი,

ღამეში საბაღნესა ჰჭვავს, ურმებს გააქვის ჭრიალი.

—ორად სტეხს, სამდ ვეღარა, ეგ მამაძალის ტიალი!

ცოცხალნიც გაღმეყარენენ ყელში ჩაცვინულ ჭიანის!

—მანდ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ნ არ დაბეჭვენ, ბლავანთ საფერი კი არი².

ერთ ხევსურულ ლექსში სოფელი ყვარა მოხსენიებულია სოფელ კარკუჩას გვერდით:

მახვეუბიმც შავყარნათ კარკუჩასა და ყვარასა!

არსენ შავიფერებდესთ ყაჩაღებს მაგისტანასა³.

¹ Кварели, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, № 17.

² ხალხური სიტყვიერება, ტ. III, გვ. 241, 1953.

³ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, ხევსურული, 1931, გვ. 231, მომწოდია ა. ცანავამ.

ამას თუ დავუმატებთ ნ. ხიზანიშვილის მიერ ფშავში ჩაწერილ ლექსს „ბრალია შენი სიკვდილი ფუძნარში, ქვექავაძეო“, კიდევ უფრო ნათელი გახდება, რომ ქვექავაძენი ფშავის მკვიდრნი მცხოვრებნი იყვნენ.

ქვექავაძეთა სტუმართმოყვარეობა, მითი ღვინო განთქმული იყო მთელ კახეთში. ამის შესახებ ცნობები შემოუნახავს ზეპირსიტყვიერებასაც. სანიშნულად მოვიყვანთ ერთ ხალხურ ლექსს:

ქვექავაძემ ღამბატიყა,
ღვინო მასო ტპილი;
აშკაველზე წამოვედი,
მომეკიდა ძილი.
საცა კარგი ჯაგი იყო,
იქ წაყვავი ცხვირი
ჩემი სტვირის მომპარავსა
დაუსივდეს ცხვირი...¹

საფიქრებელია, რომ აქ მესტვირის მასპინძელი ყვარელი ქვექავაძე იყო. მესტვირეები ყვარელში დიდი პატივით სარგებლობდნენ. ცნობილია, რომ ი. ქვექავაძე ბავშვობისას ხალხური შემოქმედებით დიდად იყო გატაცებული, იგი იწერდა, აგროვებდა ხალხში გავრცელებულ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. ამის შესახებ აი რას წერს ი. ქვექავაძის ბავშვობის მეგობარი კ. აფხაზი: ილიას „მეტისმეტად უყვარდა ბაასი გლეხკაცებთან, მეტადრე მოხუცებულებთან. ჰკრეფდა და აგროვებდა ზღაპრებს, ანდაზებს, გამოცანებს, უყვარდა მესტვირეები და სიამოვნებით უგდებდა ყურს“². მესტვირე, რომელზედაც ამ ლექსშია საუბარი, ალბათ, არა ერთხელ იქნებოდა ი. ქვექავაძის სახლის სტუმარიც.

უნდა ვიფიქროთ, რომ ქვექეთი და ყვარა მაშინდელი ფშავ-ხევსურეთის ერთ რაიონში მდებარეობდნენ და ქვექავაძეთა მთავარი ადგილსამყოფელი ქვექეთი იყო. არ არის გამორიცხული ის ვარაუზი, რომ ქვექეთი დღევანდელი უჯანა ფშავისა და ხევსურეთის საზღვარზე მდებარეობდა, ჰანჰახის ქედის მიდამოებში.

ქვექავაძეებს, მათ შორის ილია ქვექავაძეს, თიანეთის ყოფილ მაზრაში, რომელშიაც მაშინ შედიოდა ფშავ-ხევსურეთი, მიწები ჰქონდათ. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია საქმე, რომელშიაც აღნიშნულია შემდეგი: „Грузино-имеретинская Палата уголовного и гражданско-го суда отношением от 30 сентября 1844 года за № 754 уведомила синодальную контору, что по рассмотрении дела о церковной Тионетской горе, называемой Еженти, отыскиваемой князьями Чавчавадзевыми в свою принадлежность, признано нужным иметь спорной земли план...“³. და სხვ.

ამ მიმართვიდან ჩანს, რომ ქვექავაძეებს XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქმე აღუძრავთ თიანეთის ერთ-ერთი მთის შესახებ, რომელსაც მაშინ

¹ „დროების კალენდარი“, გვ. 10, 1875.
ლიტერატურული მატრიანე, 1935, გვ. 564.

² ს. ც. ს. ა., ფ. 16, საქმე 8809.

ვეენთა ეწოდებოდა. ამემად თიანეთის რაიონში არსებობს სოფელი ევენთა. აღსანიშნავია, რომ ამ სოფელში ცხოვრობენ ხევსურები. ეს სოფელი უწინ ეკუთვნოდა ჭავჭავაძეებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ჭავჭავაძეთი, საიდანაც ჭავჭავაძენი წამოვიდნენ, ხევსურებით იყო დასახლებული.

ხალხში დარჩენილი გადმოცემები ჭავჭავაძეთა წინაპრებად ხევსურებს თვლიან. თვით ილია ჭავჭავაძესაც არაერთხელ აღუნიშნავს თავისი ხევსურული წარმოშობა. ჩვენ ამ საკითხზე ქართველი მკვლევრების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს აღარ გავიმეორებთ. მოვიყვანთ ჩვენი თხოვნით ჩაწერილ ორ მოგონებას:

ყვარლის რაიონის, სოფ. ენისლის საშუალო სკოლის მასწავლებელი გიორგი ნერსეიშვილი წერს: „სოფელ ენისელში ცხოვრობს 128 წლის მოხუცი ალექსი ასანაშვილი, მას რამდენიმე წელი უმუშაენია ჭავჭავაძეთა ოჯახში. მან მიაზნო: ილია ჭავჭავაძის ოჯახში ხშირად მოდიოდნენ ხევსურები და ფშავლები. განსაკუთრებით კი ორი ხევსური—ქინჭარაული და გოგოჭური. ეს ხევსურები იყვნენ მალა მთაში მცხოვრებლები. მათ მთიდან სოფლებში სალესავეები ჩამოჰქონდათ და აქედან კი სვიას ყვავილი მიჰქონდათ. ამ ხევსურების ხშირად უყვარდათ ჩემთან საუბარი და ჩიბუხის მოწვევა ჩვენებური თამბაქოთი. მახსოვს, ეს ხევსურები ილიას ეძახოდნენ თავიანთ მოსისხლურს და ხევსურეთიდან გადმოსულების შვილს. ეს ხევსურები თურმე გაღმა წინანდალშიაც მიდნენ იყვნენ ჭავჭავაძებთან. რო ვაკვირდებოდით ილიასა და გოგოჭურს, მსგავსება დიდი იყო, როგორც საუბრით, სიღინჯით, ისე სიარულით, ხოლო რაიმე შეკითხვაზე გოგოჭური უფრო აკვიანებდა პასუხს, ვიდრე ილია“.

ქალაქ თელავის რაიონში, ხევსურეთიდან ჩამოსახლებულ ხევსურთა სოფელში—თეთრწყლებში ცხოვრობს „ივერიის“ სტამბის ყოფილი მუშა, ხევსური ლევან გოგოჭური, რომელიც სტამბაში ილიას მოუწყვია. თავის მოგონებაში იგი აღნიშნავს (მოგონება მოგვეყვას შემოკლებით), რომ მეფის მთავრობას ხევსურები ჯარში გაუწყვია. იგი ამ განკარგულებას არ დამორჩილებია, ხევსურებიც წაუქეზებია, მეფის განკარგულებას არ დაემორჩილოთო, რის გამო მისი დაპატიმრება მოუწოდებიათ, მაგრამ ხევსურეთიდან ქალაქისაკენ გამოქცეულა. ლევან გოგოჭური გადმოგვცემს: „ქალაქში ნამყოფი არ ვიყავი, წამოვედი, მაგრამ სად მივდიოდი, არ ვიცოდი. სადაც ილია მოკლეს, იმ მიდამოებში ქალამნის თასმა გამიწყდა და ჩამოვჯექი. ამ დროს ეტლი გაჩერდა და თავზე დამადგა ერთი პალტოწამოსხმული კაცი, თან ჰყავდა მეეტლე და ერთი კიდევ სხვა კაცი. დამიძახა: ვინა ხარ, აქ რას აკეთებო! მე ეუპასუხე: ხევსური ვარ, ქალაქს მივდივარ, იქ ქუჩას მაინც დავგვი-თქო. მაშინ მითხრა: შეც ხევსურეთიდან ვარო!

მე ვუთხარი: შენ კნიაზი ხარ, ხევსური რათ იქნები-თქო!

—არა, ხევსური ვარ, ჯვარის ყმაი ვარ, იქიდან წამოსული, ჭავჭავაძე, ჩემთან მოდიო.

—როგორ გნახო, სად მოვიდე?—ვუთხარი მე.

ილიამ მითხრა: სადაც ბებრი ფულები ჰყრია, იქ ვმსახურობ, ბანკშიო... თავისი სახლის მისამართიც მომცა. ქალაქში ჩავედი და ილიასთან სახლში მივედი. იმ ღამეს პური მაჭამეს და იქ დავრჩიო...

¹ ტექსტის მართლწერა დაცულია.

მეორე დღეს ილიან წამიყვანა. იმ დროს წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სტამბა ჰქონდა. ამ სტამბას აწყობდა გარეჯული კაცი ალექსანდრე ჯაბადარი. ილიამ ჩამაბარა ჯაბადარს და მან პირველად ჯარაზე დამაწყებინა მუშაობა. მერე თანდათან მივიჩვიე და მუშების დემონსტრაციებშიაც ვღებულობდი მონაწილეობას. მახსოვს, ილია იტყოდა ხოლმე: „ქართველ კაცს უნდა შეუჩიჩინო, თორემ დაეძინებაო“. როცა მუშები დემონსტრაციებს მოვაწყობდით, ილია იტყოდა: „ეტყობა, მუშის ძალა შეიმოსაო“¹.

ი. ქავეჭავაძის ტრაგიკულმა სიკვდილმა საქართველოს ყველა კუთხეში დიდი გლოვა გამოიწვია, მაგრამ იგი თავისებური წესით დაიტირეს ხევსურეთში. გიორგი ბალიაურის ჩანაწერები, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაშია დაცული², ამ მხრივაცაა საინტერესო.

გიორგი ბალიაური წერს: „ხევსურებმა კარგად იციან, რომ ძველის ძველად ქავეჭავაძეები არიან გადასახლებულები ხევსურეთით სოფელ ბისოღან. ეს ძვირფასი ძმები დღესაცაა ახსოვთ და არიან მოიხმედნი მათის მოწყალებისანი და უყურებენ იმავე თვალთ, ვითარცა მცველნი და პატრონნი დაბალის და უბირის ხალხისანი, აგრეთვე გლოვობენ და მწუხარებენ მათს ზარალს. ყველა ქართველი მოვალე იყო ტირილის და გოდებისა, როდესაც მთელი საქართველოს ძვირფასი და საიმედო ილია ქავეჭავაძე გამოგვაკლდა“.

გ. ბალიაურს ბოლოს მოჰყავს ტექსტი იმ ლექსისა, რომლითაც ხევსურების ცნობილმა დამტირებელმა ქალმა მუშტარამ საჯაროდ დაიტირა ილია:

ხევსურ ქალი ვარ ბებერი სახელად მქვიან მუშტარა,
ხელებით დასუსტებული თვალეებითა ვარ უშტარა,
ილიას ვტირი, ილიას, ცრემლი ჩამომდის მდღღარა.
მითხარ არავგო ანბავი ძველები გახსოვს თულარა,
ბევრჯელა შენს წიაღშია შენ ერმა სისხლი დაღვარა,
ბევრჯელა ქუხდნენ თოფები ხირიმ, შაშხანი, თუზარა
ბევრი ხუჭავდა თვალებსა ომით ნაქანცი მწყურვალა,
ძმა რომ ძმის გულისთვის მოკედეს ავას კი არა უნდარა.
ძმა რომ ძმის მკვლელი გაგვიხდა, ეს ანბავ როგორ მომხდარა.
არავგის ერო გრცხვენოდესთ, რომე თქვენი ხვა წაშხდარა,
ერთმანეთს უსპოხთ სიცოცხლეს, თქვენზე რა ღმერთი გამწყურალა,
რატომ არ სტირი, არავგო, შენს წიაღში რომ მომხდარა,
ოხერი არმაზის მთაი რატომ წინეთ არ გამქრალა,
წინეთ სწირავდნენ შვილებსა, ეტყობა, რომ ვერ გამძღარა,
ჩვენი ძვირფასი სამთელი იმის კალთებში გამქრალა,
შენგან შეიტყო არავგო, დუღუნა მტკვარი დამდგარა.
მცხეთას სტირის სვეტიცხოველი, ზარბზის რეკვა ამტყდარა,
თქვენი ილია აღარ გყავთ ხევსურეთს ხმაი გამტყდარა,

¹ ჩაწერა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის კაბინეტის ლა-ბორანტმა თამარ მიქელაძემ, 1952 წლის ოქტომბერში.

² ი. გოგებაშვილის არქივი, № 6, საქმე № 100.

სტირიან მთელნი ხვესურნი ქალ-რძალი, დიდი, პატარა,
მზეებრ ბრწყინვალე ნათელსა ვინღა მოგვეწინავს ნეტარა.

ჩვენ მიერ ზემომოყვანილი ცნობებით, ჭავჭავაძენი 1529 წელს მეფე ლეონის დროს მთიდან (ფშავ-ხვესურეთი) ჩამოსახლებულან ალაზნის გაღმა მხარეში, ყვარელში. ისინი ჭავჭავთში აზნაურები ყოფილან, ხოლო შემდეგ XVIII საუკუნეში ერეკლე პირველს მიუცია მათთვის თავადობა. როგორც ირკვევა, ჭავჭავაძეთა გვარიდან აზნაურობა და თავადობა ყველას არ ჰქონია მიღებული, მათგან ზოგიერთები კვლავ გლეხებად დარჩენილან. გრ. ყიფშიძეს, როგორც ზემოთ მიუთითეთ, აღნიშნული აქვს, რომ, ქართლში, სოფ. ცერონისში ცხოვრობენ გლეხები—ჭავჭავაძეები. ჩვენ დავუწინააღმდეგებთ, რომ, როგორც ირკვევა საეკლესიო ჩანაწერებიდან, თბილისში მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ყმა-გლეხების—წმამალაძეებისა და მამულაშვილების გვერდით ცხოვრობდნენ სახელმწიფო ყმა-გლეხები—ჭავჭავაძეები. მოვიყვანთ ერთ ცნობას ანჩისხატის საეკლესიო ჩანაწერებიდან: „ჩუღე წელსა გარეთუბანს მცხოვრებ საეკლესიო ყმის ნიანია ბაბულაშვილის ქალთან ანასთან იქორწინა სახელმწიფო ყმამ გარეთუბანსვე მცხოვრებმა ივანე ზაალის ძე ჭავჭავაძემ პირველი ქორწინებითა...“¹. ერთ ძველ საბუთში აღნიშნულია: „ქ: ერთწილად: ნულს ჭავჭავაძე: ბერი: დღეს რისაც: მამულის მქონებელი: იყოს: ერგოს კონსტანტინეს:“². როგორც ამ საბუთებიდან ჩანს, გაყრის დროს ყმა ჭავჭავაძე ბერი რგებია კონსტანტინეს. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ყმა-გლეხის ჭავჭავაძის სახელი—ბერი მხოლოდ ფშავშია გავრცელებული³. ზნაურის რაიონში, სოფელ ნულში ახლაც ცხოვრობენ გლეხები ჭავჭავაძეები.

ჭავჭავაძეთა გვარი სამოღვაწეო ასპარეზზე ადრე გაშოსულა, ისინი სამეფო კარზე ვაჟდენით სარგებლობდნენ; ყმის ნასყიდობის წიგნში, რომელიც შედგენილია XVII საუკუნეში (1646—1655) მამუკა ჭავჭავაძე მოხსენიებულია მოღარეთუხუცესის თანამდებობაზე⁴. მაგრამ ამ მხრით ჭავჭავაძეებს უფრო ხშირად XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საბუთებში ვხვდებით. ილია ჭავჭავაძის პაპის მამა ბესპასი, პაპა პაატა და მამა გრიგოლი თავის დროის გამოჩენილი მოღვაწეები, ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანები ყოფილან.

1784 წელს შედგენილ საბუთში მდივანბეგის თანამდებობაზე მოხსენიებულია ბეჟან ჭავჭავაძე. შეიძლება ეს იყოს ილიას პაპის მამა ბესპას ჭავჭავაძე.

ბესპას ჭავჭავაძის გმირობა შემოუნახავს თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორის მიერ გაცემულ წყალობის სიგელს, რომელშიაც აღწერილია 1755 წელს ყვარელზე ლეკების თავდასხმა და ქართველთა გმირული ბრძოლა მათ წინააღმდეგ.

ვითარება ასეთი იყო. ხუნძახის ბატონი ნურსალ-ბეგი 20000 მეომრით შემოესია კახეთს, ბრძოლა ყვარლიდან დაიწყო. ქართველებმა ყვარლის ციხე გაამაგრეს და იქიდან ებრძოდნენ მტერს. როგორც ირკვევა, კახეთის ამ გმირული დაცვის ერთ-ერთი სახელოვანი მეთაურები იყვნენ ილია ჭავჭავაძის

¹ ს. ც. ს. ს. ა., ფ. 23, საქმე 25.

² საქართველოს სახ. მუზეუმი, 212.

³ ს. მ. ა. კ. ა. თ. ა., ფშავი, გვ. 147.

⁴ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან (XV—XVIII სს.), ნ. ბერძენი-შვილის რედაქციით, გვ. 366, № 513.

პაპის მამა ბესპას ჭავჭავაძე და აგრეთვე მელქისედეგ ჭავჭავაძე. ესენი სხვებთან ერთად თავგანწირულად იცადნენ ყვარელის ციხეს, რადგან ამ ციხესიმაგრეზე ბევრად იყო დამოკიდებული კახეთის ბედი.

ლექებს ციხისათვის ალყა ჰქონდათ შემორტყმული. 20 დღე-ღამის განმავლობაში გააფთრებული ბრძოლები წარმოებდა. მტერი ლაშობდა ციხეში შეჭრას. ერეკლე მეორემ სასწრაფოდ შეადგინა მოხალისეთა რაზმი, რომელსაც დაევალა, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, გაერღვია მტრის ალყა და მეციხოვნეებს დახმარებოდა. ამ გამორჯული ამოცანის შესრულება 206 კაცმა იკისრა. ქართველი მეომრები ქიზიყიდან ღამით წამოვიდნენ, იღუმალ გავიდნენ ალაზანში, მტერს მოულოდნელად ეკვეთნენ და „ხმალდახმალ გაიკაფეს გზა ციხისაკენ“. მეციხოვნეებს იმედი მიეცათ და მოხალისე რაზმთან ერთად მტერს რისხვად დაეცნენ. ბოლოს დამარცხებულმა ნურსალ-ბეგმა ციხეს ალყა მოხსნა და ყვარლიდან გაიპარა. ერეკლემ მებრძოლები დააჯილდოვა. თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორის ზემოაღნიშნულ 1755 წლის წყალობის სიგელში ამ მებრძოლებზე აღნიშნულია: „ყვარლის გალავანს მოცალი აჯიჩა-ლიბის შვილი: სულთანი: ქარელნი: დიდროვანის ჯარებით შემოადგნენ: ამ ციხეში იღვა დავით ვაჩნაძე, ჭავჭავაძე მელქისედეკი, ბესპას, გავაზი, ხასი, ყვარელი, ენისელი: ხასი: სადგაფლო ჭიჭური. ხასი ცოლით შვილით. ამათ ჯერ რჯულის გულისთვის თავი საყათლანოთ გადადევს. ოცდასამი დღე ღო მსავეით იბრძოლეს“¹ და სხვ.

გრ. ორბელიანი პოემა „სადღეგრძელოში“ ამ ბრძოლას ასე აღწერს:

რა ცეცხლი გაჩნდა გაღმა მხარს, რა გრვეინვა მოღის ბრძოლისა?

მთლად დაღესტანი მოაწვა გასაოხრებლად ყვარლისა!

ოცდარეადღეა, რა ისმის ხმა ომის შეუწყვეტლისა!

გაჭირდა... ციხე მისუსტდა... ხად არის ხელი მხსნელისა?

ორასის მხედრით სოლომან, ოთარი და რატიშვილი,

ნოდარის ძენი, და ბოსტა, დავით და ბეზურიშვილი

გაჩნდნენ... დაჰკივლეს... ხმალ და ხმალ, შუა გააქეს ლექთალი

და გამოიხსნეს ბრწყინავი კახეთის თვალი ყვარელი!

როგორც ზემოგამოქვეყნებული საბუთიდან ჩანს, მეციხოვნეთა ამ გამორჯულ ბრძოლას მეთაურობდნენ ილია ჭავჭავაძის პაპის მამა ბესპას ჭავჭავაძე, აგრეთვე მელქისედეგი ჭავჭავაძე და დავით ვაჩნაძე. აღსანიშნავია, რომ თეიმურაზ მეორე და ერეკლე მეორე მათ ბრძოლას მაღალ შეფასებას აძლევენ: „ოცდასამი დღე ღო მსავეით იბრძოლეს“.

ილია ჭავჭავაძის პაპას—პაატა ბესპასის ძე ჭავჭავაძეს ბევრ ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა. საქართველოს უკანასკნელ მეფეს გიორგი XII მისთვის უბოძებია—„ხუთასის თაობა“. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულ ერთ საბუთში, რომელიც შედგენილია 1801 წელს, იგი ამ ხარისხით არის მოხსენიებული: „ჩვენ, ჭავჭავაძემ გრიგოლ და ხუთასის თავმა, პაატამ, უნდა მოვართოთ თქვენ, პაატა აბაშიძეს, თორმეტი თუმანი თეთრი, როდესაც ქალაქს გაიხლოთ, მაშინ მოვართოთ“² და სხვ. ამავე თანამდებობაზეა პაატა ჭავჭავაძე მოხსენიებული მეორე საბუთში, რომელიც ეხება მისი

¹ ს. ც. ს. ა., ფ. 226, საქმე 3177.

² იქვე, ფ. 229, საქმე 52.

გვარის თავად-აზნაურთა საგვარტომო ნუსხაში შეტანის საკითხს¹; პაატა ჭავჭავაძე თავადობაში დაუმტკიცებიათ 1826 წლის 26 ივნისს².

საქართველოში თვითმპყრობელობის დამკვიდრების შემდეგ პაატა ერთხანს ცხოვრობს ყვარელში. როგორც საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცული საბუთიდან იჩვენება, პაატას თვითმპყრობელური ხელისუფლება პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნებად თვლიდა და ამიტომაც მასზე 1811 წელს ზედამხედველობა დაუწესებიათ. ამ მხრით საინტერესოა არქივში დაცული ერთი საბუთი.

საქართველოს მაშინდელ მმართველს ატყობინებენ, რომ სიღნაღის მაზრაში შეპყრობილ პირებს აღმოაჩნდათ წერილი: „...Они имели возмутительный от Александра Царевича письма к архимандриту Елефтерию, Паата Чавчавадзеу, Енисельскому Моураву Джорджадзеу и прапорщику Гургенидзеу. Потому я предписываю Вашему Превосходительству поручить кому следует иметь за поступками их строгое наблюдение и при малейшем о них сомнении тотчас давать мне знать. Об архимандрите же Елефтерии я отнесся к Грузинскому архиепископу Варламу. 22 марта 1811 г.“³

შემდეგ პაატა აქტიურად ჩაბმულა ლეკების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში. იგი მთელი წლების განმავლობაში იბრძოდა და ბრძოლაში დაიღუპა კიდეც.

პაატა ჭავჭავაძეს ხალხში დიდი სახელი ჰქონია მოხვეჭილი. მისი შეილი გრიგოლ ჭავჭავაძე, ილია ჭავჭავაძის მამა, თავის ავტობიოგრაფიაში პაატას ახასიათებს, როგორც თავისი ქვეყნისათვის თავდადებულ ადამიანს.

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია კავკასიის მეფისნაცვლის მ. ვორონცოვისადმი ილია ჭავჭავაძის მამის—გრიგოლის განცხადება მისთვის სესხის მიცემის შესახებ. ამ საბუთს დიდი მნიშვნელობა აქვს ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის. მასში გადმოცემულია ილია ჭავჭავაძის მამის ოჯახის მთელი ისტორია. ჩვენ აქ ამ ვრცელ განცხადებას მოვიყვანთ უცვლელად, ისე როგორც ის ილიას მამას—გრიგოლ ჭავჭავაძეს შეუდგენია:

Донладная записка

О ходатайстве об испрошении выдачи в ссуду помещику штабс-капитану князю Григорию Чавчавадзе из кредитных мест 15.000 рублей серебром под залог всего его имения и крестьян стоящих значительной суммы.

30 января 1848 года селение Кварели.

Отец мой, происходя из известной в Грузии фамилии, исполненный преданностью и усердием к Престолу и Отечеству, принес себя с сыновьями своими в жертву службе: пользуясь, особенным уважением народа и известностью у соседних горцев—лезгин, служил во время управления здешним краем Генерала Ермолова с особенною пользою, исполняя неод-

¹ ს. ც. ს. ს. ა., ფ. 212, საქმე 106.

² იქვე, ფ. 4, საქმე 405.

³ იქვე, ფ. 16, საქმე 1270. ტექსტები ქვეანდება შეუცვლელად.

нократныя поручения его, имеющия важный вид, рискуя жизнью, отправлялся он в Дагестан,—внушал тамошним племенам страх и уважение к нашему Правительству и, отбирая у них аманатов, удерживал лезгин в покорности, наконец умер от нанесенной лезгинами раны при отражении их набега.

Из сыновей—четверо родные братья мои, следуя примеру моего родителя, пали также жертвою в делах, противу неприятелей: Михаил убит в Кахетии во время набега лезгин на селение Гаваз, Семен служивший в чине штабс-капитана в Грузинском Гренадерском полку, убит Персианами в 1827 году, при защите им с ротой укрепленной позиции; прапорщик Александр убит в 1838 году в Дагестане в отряде под командою генерал-лейтенанта Фези, штабс-капитан Гарсеван, командуя 2 Кавказскою саперною ротой, пал также жертвою в прошлом году на штурме под геребнелем, под личным начальством Вашего Сиятельства—я пятый, служивший в Нижегородском драгунском полку и видя, что дела по имению от требовании и лишении по службе моих братьев; приходили в растройство, принужден был выйти в отставку с чином поручика, но общее именование наше застал в жалком виде—обремененном долгами. Необходимость заставляла для поправления дел по имению изыскивать разные средства, однако и в том, имел я несчастный случай: именование свое я, доверил спекулятору по казенным подрядам, капитану Цицосани, для представления залогами, который под залог моего имения, вступил в подряд постройки казенных зданий для Редуткальской таможни и содержания почтовых станций и, получив от казны деньги, оказался неисправным в подрядах и подверг именование мое казенному взысканию на значительную сумму, требуемую от меня в настоящее время с настоятельною строгостью местным начальством, сверх частных долгов, какие остались от моих братьев.

Такое положение моих дел, угрожает потерю всего имения мне и семейству, оставшемуся от одного из убитых моих братьев Александра: я имею 3-х сыновей и двух дочерей, а вдова брата моего Александра 4-е души малолетних, требующих воспитания.

За жертву жизнию службе моим отцом, моими четырьмя братьями, я не смею бы, утруждать ваше сиятельство, зная, что истинному сыну отечества, тем более Дворянину, достается службою или жизнью счастливая, или славная смерть, сделавшаяся уделом моих братьев, но стесненные обстоятельства, вынудили меня прибегнуть к милостивому воззрению Вашего сиятельства.

Многие семейства моих соотчичей, павших на службе, удостоятся по справедливому представлению Вашего Сиятельства пособиями от щедрот монарха правосудие Вашего Сиятельства, надеюсь и меня сделает причастным к подобной же милости за службу убитых на войне моих братьев, пример которых разительнее противу других.

Удостойте меня князь, ходатайством Вашим об испрошении мне от щедрот монарха в выдачи мне в ссуду из кредитных мест под залог всего моего имения, крестьян и других обзаведений, стоящих значительную сумму 15.000 руб. сроком на 25 лет и с расрочкою взноса их по частям—

это будет средством сохранить от утраты продажею за частный долг и казенное взыскание дом и имение, оставшиеся после моих братьев от пошедших которыми по службе расходов, погибает и часть моя.

Не оставьте, справедливейший князь, спасти от гибели семейство и память четырех, павших на службе войнов, и если почему либо, нельзя будет дать мне казенной ссуды, то удостойте по крайней мере назначением мне от казны содержания и воспитанием детей моих на счет Правительств.

Штабс-капитан князь *Григорий Чавчавадзе*¹.

ამ განცხადებაზე გრიგოლ ჭავჭავაძემ 1848 წლის 24 თებერვალს კავკასიის მეფისნაცვლისაგან ასეთი პასუხი მიიღო:

Помещику Телавского уезда Г. Штабс капитану князю
Григорий Чавчавадзе

На подданную Вами мне докладную записку в коей Ваше Сиятельство просите, об исходатайствовании Вам выдачи из кредитных установлений в ссуду 15 т. р. сер. под залог всего Вашего имений и крестьян, сим имею честь Вас, милостивый Государь, уведомить, что при всем моем желании быть Вам в этот раз полезным, я нахожусь в настоящее время в совершенной невозможности сделать что-либо исполнению Вашей просьбы, имея в виду Высочайшее повеление, воспреещающее входить с представлением о выдаче денег из государственного казначейства; но если предположение преобразования сдешнего приказа общественного призрения и о правилах Банка будет утверждено, тогда Вы можете получить из оногo желаемую ссуду.

Наместник Кавказский Князь *Воронцов*

24 февраля 1848 г.²

ამ განცხადებაში გადმოცემულია გრიგოლ ჭავჭავაძის ოჯახის ისტორია. ილიას პაპა „ხალხში დიდი პატივისცემით სარგებლობდა“, იგი თავგანწირულად იცავდა ლეკთა თავდასხმებისაგან სამშობლოს, მიუღია—„ხუთასის თაობა“, საქართველოში მეფის რუსეთის დამკვიდრების შემდეგ კავკასიის ომების სახელოვანი მონაწილე ყოფილა, განსაკუთრებით მას, როგორც მეომარს, თავი უსახელებია საქართველოს მთავარპარტებლის ერმოლოვის (1816—1827) მხედართმთავრობის დროს. ბოლოს პაატა დაღუპულა ლეკების თავდასხმისას ბრძოლაში, მიახლოებით 1827 წელს.

პაატას ხუთი ვაჟი ჰყავდა: სიმონი, ალექსანდრე, გრიგოლი, გარსევანი და იოსები (მიხეილი). ხუთივე მეომარი იყო და ყველა, გარდა გრიგოლისა, ბრძოლის ველზე დაიღუპა.

იოსები (მიხეილი) კახეთში სოფელ გავაზე ლეკების თავდასხმის დროს ბრძოლაში მოკლეს.

სიმონი მსახურობდა ქართველ გრენადერთა პოლკში, ჰქონდა შტაბ-კაპიტანის ჩინი. 1827 წელს ერევნის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროს,

¹ ს. ც. ს. ს. ა., ფ. 4. საქმე 788.

² იქვე.

როდესაც იგი იცავდა გამაგრებულ პოზიციებს, სპარსელების მიერ იქნა მოკლული.

ალექსანდრე პრაპორჩიკის ჩინით ირიცხებოდა სამხედრო ნაწილში, რომელსაც დაღესტანში გენერალი ფეზი სარდლობდა. ალექსანდრე 1838 წელს დაღუპულა დაღესტანში ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გარსევანი შტაბ-კაპიტნის ჩინით იყო დაჯილდოებული. იგი მეთაურობდა დაღესტანში კავკასიის მეორე კავშირგაბმულობის ასეულს. გარსევანი 1847 წლის ივლისში გერგებელზე იერიშის დროს მოკლეს. ამ იერიშს სარდლობდა მიხეილ ვორონცოვი.

ამგვარად, ი. ჭავჭავაძეს ოთხი ბიძა ჰყავდა და ოთხივე გამირულად დაიღუპა ომში: იოსები, ალექსანდრე და გარსევანი ლეკებთან ბრძოლაში, ხოლო სიმონი—ერევანთან ბრძოლის დროს სპარსელებს მოუკლავთ. აქ ზედმეტი არ იქნება აღინიშნოს ისიც, რომ ილიას უფროსი ძმა კონსტანტინე 1854 წელს წინანდალზე ლეკების თავდასხმის დროს ბრძოლაში დაღუპულა.

ილიას მანა გრიგოლი 1828 წლიდან სამხედრო სამსახურში ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში მსახურობდა პორუჩიკის ჩინით. 1833 წელს სამხედრო სამსახურისათვის თავი დაუწებებია. 1845 წელს იგი კვლავ სამხედრო სამსახურშია, ლეკებთან ომში მეთაურობს კახეთის მოხალისეთა ათასეულს. გრიგოლს მრავალ გააფრთხილებულ ბრძოლაში (თურქებთან, ლეკებთან) მიუღია მონაწილეობა, ჯერ კიდევ 17 წლისას, 1828 წელს, თავი უსახელებია თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი სიცოცხლე მრავალჯერ ყოფილა განსაცდელში, მაგრამ ბრძოლებიდან გამარჯვებული გამოდიოდა. მანაცობისათვის მას მიუღია შტაბ-კაპიტანის ჩინი, აგრეთვე დაჯილდოებული ყოფილა ორდენით.

იმის გამო, რომ ვაჟები სამხედრო სამსახურში მსახურობდნენ, პაატა ჭავჭავაძის ოჯახი, მეურნეობა ყვარელში საგრძობლად დაქვეითებულა. ამის გამო გრიგოლი იძულებული გამხდარა 1833 წელს ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში სამსახურისათვის თავი დაენებებინა და უპატრონოდ დარჩენილი ოჯახისათვის პატრონობა გაეწია.

ორმოციან წლებში გრიგოლ ჭავჭავაძის ოჯახი საშინელ სიღატაკეში ჩავარდნილა. ამის მიზეზების შესახებ ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის გრიგოლის ზემოაღნიშნული განცხადება.

სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებისას გრიგოლს ყვარელში დახვედრია დაშლის გზაზე დამდგარი მეურნეობა და ამასთანავე დიდი ვალი. მეურნეობის წამოყენების მიზნით მას დაუწყია ზრუნვა ვალების გასტუმრებისა და დაცემული მეურნეობის ფეხზე წამოყენებისათვის. ვილაც სპეკულიანტ წილოსნისათვის მის დიდი ნდობა გამოუცხადებია. წილოსანს ფულის მოგების მიზნით სახელმწიფო სახლების მშენებლობის იჯარა აუღია. გრიგოლს იმ თანხის გარანტიისათვის, რომელიც წილოსანს სახელმწიფო ხაზინიდან მშენებლობისათვის მიუღია, მთელი თავისი ქონება დაუგირავებია. ალბათ, იმ მოსაზრებით, რომ მოგების ნაწილს გრიგოლიც მიიღებდა და ამით დაცემულ მეურნეობას ფეხზე წამოაყენებდა. წილოსანს, როგორც ჩანს, იჯარისათვის თავივერ გაურთმევია, ფულები გაუვლანგავს და სახელმწიფო ფულის ვალში გრიგოლ ჭავჭავაძისა და მისი ძმების დაგირავებული ქონება აუწერიათ. ამას უნდა დავუმატოთ შემდეგი: როდესაც გრიგოლის ძმა გარსევანი დაღესტანში მოკლეს, მასზე, როგორც ეს არქივში დაცული საბუთებიდან ჩანს, ირიცხე-

ბოდა 182 მანეთი სახელმწიფო ფული, მეფის მოხელეებს .მკვდარი გაუჩხრეკიათ. ვინ იცის, აღმოაჩნდა თუ არა ჯიბზე ეს ფული, ან ვინ მოპარა მას იგი. სარდლობას, ვითომ სახელმწიფო ფულის ანაზღაურების მიზნით, მოუთხოვია ყვარელში ყადაღა დაედოთ გარსევან ჭავჭავაძის ქონებისათვის. გრიგოლ და გარსევან გაყოფილი არ იყვნენ და ამ ვალის გადახდაც გრიგოლ ჭავჭავაძისათვის დაუკისრებიათ¹, მაგრამ ამ დროს ჭავჭავაძეთა მთელი ქონება წილოსანის მიერ გაფლანგული ფულების ვალში იყო აღწერილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ილიას პაპა პაატა და მამა გრიგოლი არ ყოფილან შეძლებული თავადები. მთელი მათი ქონება შეფასებული ყოფილა 15.000 მანეთად. ასეთ პირობებში გრიგოლს სარჩენი და აღსაზრდელი ჰყავდა ხუთი საკუთარი შვილი და აღექსანდრეს მიერ დატოვებული ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი.

ყვარელში სიღარიბე სუფევდა; ილია მოწმე იყო არა მარტო საკუთარი ოჯახის გაჭირვებისა, არამედ იმისიც, თუ როგორ სიღატაკეში ცხოვრობდა ყვარლის მშრომელი მოსახლეობა, გლეხობა. თუ რამდენად აუტანელი იყო მათი მდგომარეობა, ამას სხვა საბუთებთან ერთად მოწმობს არქივში დაცული, 1844 წელს შედგენილი მოხსენებითი ბარათი ყვარელში მცხოვრები სახელმწიფო გლეხების მდგომარეობის შესახებ. აქ მოვიყვანთ ამ ბარათის ნაწილს:

„О переселении из селения Кварели 59 дымов казенных крестьян.

Палата Государственных имуществ, усматривая из объяснения Кварельского участкового заседателя, представленного Помощником Телавского Уездного начальника при рапорте от 1 апреля 1843 г., что живущие в селении Кварелах 59 дымов казенных крестьян не имеют ни пахотной земли, ни садов, редко кто из них имеет оседлость и то на церковной или помещичьей земле, что все они переносят крайность во всех отношениях, чрез невыгоду жительства их на означенных землях, сниская себе пропитание только через услугу у церковных и помещичьих крестьян и плату им за землю, и что большая часть из них не могут не только платить казне повинности, но даже едва могут иметь пропитание, я ежели начальство обратит на это внимание и не переселит их оттоль на казенные земли, то последствии времени крестьяне эти впадут в нищету“².

ამ სავალალო მდგომარეობაში დიდი წილი ედოთ ლეკებს, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში თავდასხმას აწარმოებდნენ და ძარცვავდნენ კახეთს, კერძოდ ყვარელს.

გრიგოლმა თხოვნაზე, რომ მისთვის სესხი მიეცათ მეფისნაცვალისაგან, როგორც ზემოთ გამოქვეყნებული დოკუმენტიდან ჩანს, 1848 წლის თებერვალს დიპლომატიური უარი მიიღო. უფრო მეტიც, ომში დაღუპული გარსევან ჭავჭავაძის მიერ ვითომ გაფლანგული ფულის გადახდაც კი გ. ჭავჭავაძის ოჯახს დააკისრეს. ამგვარად, გრიგოლ ჭავჭავაძის ოჯახი დაღუპვის წინაშე იდგა. 1848 წელს ილიას დედა—მაგდან ბებურიშვილის ქალი მძიმე ავად გახდა და ამავე წლის აპრილში გარდაიცვალა. მომავალი პოეტი ილია ამ დროს 11 წლისა იყო. ცხადია, ოჯახში შექმნილი მძიმე მდგომარეობა ბავშვზე დიდ გავლენ-

¹ ს. ც. ს. ს. ა., ფ. 4, საქმე 1199.

² იქვე, ფ. 16, საქმე 8326.

ნას მოახდენდა. ამ დროს ილია ავადმყოფობს კიდევაც, 1848 წელს იგი ციებით იყო დაავადებული.

გრიგოლი და მაგდანი, მიუხედავად მათი სიღარიბისა, თავდადებით ცდილობდნენ, როგორმე განათლება მიეცათ შვილებსათვის. 1848 წელს ილია გრიგოლმა თბილისში ჰაკეს პანსიონში შეიყვანა. ეს კი მოითხოვდა ხარჯებს, რისი შესაძლებლობაც გრიგოლს არ ჰქონდა.

გრიგოლ ქა:კვაძე თავისი დროის კვალობაზე განათლებული ადამიანი იყო. ილიას ბიოგრაფი მ. ნასიძე 1898 წელს გამოცემულ წიგნაკში აღნიშნავს, რომ „გრიგოლ ქავეკვაძე მთელს კახეთში ცნობილი იყო, როგორც ენამახვილი და სიტყვამოსწრებული კაცი. თავის დროზე ზომიერი ხუმრობა უყვარდა“. აქ ზედმეტი არ იქნება ვაეიხსენოთ ილიას სიტყვებიც თავისი მამის შესახებ: „მამაჩემი რამდენადმე განათლებული კაცი იყო, ოფიცრად მსახურობდა ნიჟე გოროდის დრაგუნის პოლკში და რუსული კარგად იცოდა. დედაჩემმა მშვენიერად იცოდა მაშინდელი ქართული მწერლობა“¹.

იმ საბუთების საფუძველზე, რომლებიც ჩვენ ხელთ არის, უნდა დავემატოთ, რომ გრიგოლი თბილისში ორმოც-ორმოცდაათიან წლებში პოპულარული პიროვნება ყოფილა. იგი მონაწილეობას იღებდა ქართულ ოჯახებში, შეკრებებზე. იონა მეუნარგია თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ „მეტსახელად გრიგოლს პაჭუას თურმე ეძახდნენ“². ამ ზედმეტი სახელით იცნობენ მას თბილისის სალონები. გრიგოლი, გ. ერისთავთან ერთად, ამ ზედმეტი სახელით მოხსენიებულია მაშინდელ საოჯახო ხასიათის იუმორისტულ ლექსთა კრებულში³, რომელიც დაკულაა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. გრიგოლ ქავეკვაძეს და მის ძმებს ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდათ თბილისთან. გრიგოლი თბილისში ხშირი სტუმარი იყო ალექსანდრე ქავეკვაძის ოჯახისა. გრიგოლის ძმას ცოლად ჰყავდა თბილისელი ვაჰრის მელიქიშვილის ასული. ამის შესახებ თბილისის ანჩისხატის ეკლესიის ჩანაწერებში აღნიშნულია: „ჩყვთ (1829) წელსა თავადმა ალექსანდრე პაატას ძე ქავეკვაძემ იქორწინა ტფილისის ეცხოვრების მოქალაქის მირიამან მელიქიშვილის ქალთან ელისაბედთან პირველითა ქორწინებითა“⁴.

გრიგოლის მეუღლე მაგდანი თბილისელი მოქალაქის, აზნაურის, ქრისტეფორე ბებურიშვილის ასული იყო. გრიგოლის ცოლ-შვილს დროგამოშვებით თბილისშიაც უხდებოდათ ცხოვრება. უფროსი ქალიშვილი ნინო თბილისშია დაბადებული. ამის შესახებ თბილისის ანჩისხატის ეკლესიის ჩანაწერებში აღნიშნულია: „ჩყლდ (1834) წელსა, დეკემბრის 21 თელავის მაზრის სოფ. ყვარელის ეცხოვრებს თავად პრაპორჩიკს გრიგოლ პაატას ძე ქავეკვაძეს და კანონიერსა ცოლსა მისსა მარიამს დაებადა ქალი, მონათლა მღვდელმა დავით მესხმა და სახელი ეწოდა ნინო. ნათლიად იყო თავადის ლეიბლვარდიის პორუჩიკის დიმიტრი ორბელიანის მეუღლე მარიამ ლუარსაბის ქალი“⁵.

გრიგოლის შვილები—ნინო, კონსტანტინე და ილია თბილისში სწავლობდნენ.

¹ „განათლება, 1903, № 1.

² ი. მეუნარგია, ილია ქავეკვაძე, 1937, გვ. 15.

³ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, S—5190.

⁴ ს. ც. ს. ა., ფ. 199, საქმე 1.

⁵ იქვე, ფ. 23, № 25.

დაქვრივებულ გრიგოლ ჭავჭავაძეს გაჭირვების გამო გადაუწყვეტია თბილისში ცოლად შეერთო მზითვიანი, ხანში შესული ქალი, მაგრამ ილია ამისი სასტიკი წინააღმდეგი ყოფილა. სწორედ ამ დროს¹ უნდა ეყუთვნოდეს ალ. მირიანაშვილის მოგონება, რომელიც შედგენილია ილიას ბავშვობის მეგობრის ეკატერინე ავთანდილის ასულ კრიეანოვსკის ნაამბობის მიხედვით.

როდესაც ილია თბილისის გიმნაზიის მეხუთე კლასში სწავლობდა, გრიგოლს თბილისში მოუნახავს მზითვიანი „ხანგადასული ქალი“ და ქვაშვეთის ეკლესიაში ჯვრისწერაც უნდა შემდგარიყო, რომ ილიას მიერ მოწყობილი ინებს არ ჩაეშალა იგი. მოგონების ავტორი მოგვითხრობს: „ვიდრე მეფედედოფალი ეკლესიაში შესვლას მოასწრებდნენ, უეცრად გაჩნდნენ ხალხში ქუჩის ბიჭები, რომელთაც ხელში ნაცრით სავსე კალათები ეკავათ. ეს ბიჭები ამ კალათების ქნევით ხალხში დარბოდნენ, საშინელ მტვერს და კორიანტელს აყენებდნენ და თან ამ ლექსს გაიძახუდნენ:

გოდორი და კალათა,
ბებერს რთავენ ქალათა;
გრიგოლ ჭავჭავაძესა
ჯვარსა სწერენ ძალათა!

ყოველივე ამის გამო ჯვარისწერა აღარ შემდგარა და გრიგოლს შემდეგ ხელი აუღია ამ „ხანგადასული ქალის“ შერთვაზე. ქორწილი ილიამ ჩაშალა. შეიძლება ზემოაღნიშნული ლექსი თვით ილიას მიერაც იყოს შეთხზული. ალბათ, გარდაცული დედის სიყვარულმა გააბედვინა მას მამის წინააღმდეგ ასეთი მკაცრი გალაშქრება.

რა გზას დაადგა შემდეგ გრიგოლი, როგორ მოუარა ვალებს, ჩვენთვის ჯერჯერობით არ არის ცნობილი. მას ამის შემდეგ დიდხანს არ უცხოვრია. გრიგოლ ჭავჭავაძე 1852 წლის დეკემბერს სიღარიბეში გარდაიცვალა.

ცნობილია, რომ გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ ილიას ოჯახს დიდი ვალები დარჩა. ეს „ვალები სამი ათას მანეთს აღემატებოდა“. ისიც ცნობილია, რომ შემდეგ ეს ვალები ი. ჭავჭავაძემ გადაიხადა.

* * *

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია ი. ჭავჭავაძის ხელით დაწერილი ხელშეკრულება, დადებული ი. ჭავჭავაძისა და ვინმე შაჰნაზაროვს შორის, რომელიც შეეხება „ი. ჭავჭავაძეს სახლების“ კაპიტალურ რემონტს. რადგანაც ი. ჭავჭავაძის ხელით დაწერილ ამ ხელშეკრულებას (ავტოგრაფია) გარკვეული მნიშვნელობა აქვს ი. ჭავჭავაძის პიროვნების, მისი თბილისში ცხოვრების შესწავლისათვის, ამიტომ მას ვაქვეყნებთ ქვემოთ. სამწუხაროდ, ხელშეკრულებაში არაა აღნიშნული, თუ სახელდობრ ი. ჭავჭავაძის რომელ „სახლებზეა“ აქ ლაპარაკი. ჩვენ მიერ დადგენილია, რომ ხელშეკრულება შეეხება ილიას ინიციატივით, ილიას დის ელისაბედ საგინაშვილის მიერ ნიკოლოზის ქუჩაზე (დღევანდელი კალინინის ქუჩა, № 7) შეძენილ ორსართულიან სახლს. ამ სახლში საცხოვრებლად გადმოსვლამდე ილია ჭავჭავაძე ცხოვრობდა ბებუთოვის ქუჩაზე, ვინმე ვართანოვის სახლში. 1889 წელს ილია ჭავჭავაძე გადმოვიდა ნიკოლოზის ქუჩაზე და კარგა ხანს ცხოვრობდა

¹ გაზ. „თემი“, 1913, № 122.

თავისი დის ელისაბედის სახლებში, სანამ მან საკუთარი ერთსართულიანი სახლი არ შეიძინა ანდრეევის ქუჩაზე... 1889 წლიდან ნიკოლოზის ქუჩაზე მოთავსებული იყო გაზეთ „ივერიის“ რედაქცია და სტამბა. ამჟამადაც ამ სახლში დაცულია „ივერიის“ რედაქტორის ილია ჭავჭავაძის სამუშაო კაბინეტი. ოთახის კერის კუთხეებში გამობატულია ილიას მითითებით შესრულებული შ. რუსთაველის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, გ. სააკაძის და წმინდა ნინოს სურათები.

აი ეს ხელშეკრულება, დაწერილი ილია ჭავჭავაძის ხელით:

„ჩვენ ამისი ხელის მომწერნი თ. ილია ჭავჭავაძე და ოსეთა შაჰნაზაროვი ესდებთ ერთმანეთში ამისთანა შეკრულობას, რომ მე ოსეთამ უნდა გავაკეთო თ. ილია ჭავჭავაძის სახლებში შემდეგი საქმენი:

1) კრამიტით კარგად და მკვიდრად დავხურო მთელი სახლები ქიშკრანდინა და კაპიტალნი შუა კედელზედ ბოძები მივქსცე.

2) მთელი სახლები გარედან როგორც ქუჩებისაკენ, ისე შიგ ეზოსაკენ და ბალკონ ქვეშაც ბაგდაშით გავლესო, კარგად და რიგიანად.

3) ბალკონი დავხურო ორ პირის ფიცრით კარგად და რიგიანად და გარედან და შიგნიდან კარგად შევლებო.

4) ბალკონის იატაკი ზემო და ქვემო სართულში გავასწორო, გავრანდო, შევლებო და რაც ძველი ფიცარი იყოს წამხდარი, ახალი ჩაუყენო; ამას გარდა მთელი ბალკონი, ბოძები, სურათები სუყველაფერი ხელახლა შევლებო. საცა ძველი სურათი იყოს იქ ახალი გავაკეთო.

5) ქვევით სართულის ბალკონზედ, რომ ამოსავალი კიბეა და მეორე სამზარეულში ჩასასვლელია, ორივე კარგად მკვიდრად გაახლდეს და დაიხუროს, ბალკონის კიბე შეიღებოს.

6) სტრაფილებში ასასვლელი კიბე გავაკეთო, ასაღებ დასადგომი, ძირადან და ზემოთ ისე როგორც არის.

7) ზემო სართულის შესასვლელში ერთი კარგი, სადარბაზო, დიდი შეღებილი კიბე გავაკეთო.

8) სამზარეულოში ზემო სართულის შესასვლელისათვის კიბე ამოვიყვანო, ისე როგორც აქამდინ იყო და სამზარეულოდან სადარბაზო დერეფანში კარი გაუკეთო.

9) ზემო და ქვემო სართულის ოთახებში ყოველს ოთახში იატაკი გავასწორო, საცა ცუდი ფიცარი იყოს გამოცეკვალო ახალის ფიცრითა, გავრანდო, შევლებო, ძალიან კარგი პარკეთი გავაკეთო და ყოველს ამაში ქუნჯეთის ზეთი ვიხმარო.

10) ოთხი ახალი კარი ისეთი, როგორც სხვა ოთახებშია, საცა გვილაპარაკნია იქ გაუკეთო.

11) ორი დიდი შესასვლელის კარი ყვითლად შეღებილი გავაკეთო.

12) ზემო და ქვემო სართულის ზაღებში იატაკი ახალი დავაგო და სხვა ოთახებსავით პარკეთი გავუკეთო, მთელი ფიცარის იატაკი უნდა იყოს.

13) ზემო და ქვემო სართულის ზაღებში თითო ფანჯარა მიიწიოს სიმეტრიისათვის, როგორც მოხერხდეს.

14) ზემო და ქვემო სართულის ზალისა და სასტუმროს შუა თითო როგორც რიგია არკა გავაკეთო.

15) დიდ ქუჩიდან ორი კარგი შესასვლელი გავაკეთო, ერთი ქვემო და მეორე ზემო სართულისათვის.

16) ამისათვის ორი კედელი უნდა ამოვიყვანო თავამდინ: ქუჩისაკენ კაპიტალური და საჯინიბოსაკენ ორ აგურ ნახევრიანი.

17) ორი ახალი ფანჯარა გავაკეთო შესასვლელის ანუ დერეფნისათვის.

18) კარი, ფანჯარა, პოდდაკონიკები, ბოძები ბალკონისა და სხვა, რაც კი შესაღებავი იყოს ოთახებში სულ შევლებო ქვემო და ზემო სართულებში.

19) კარსა, ფანჯარას, ქერს საცა შეკეთება მოუნდეს, ყველგან გავაკეთო.

20) ორი ახალი ფეჩი გავაკეთო.

21) ზემო სართულისათვის, როგორც მოგვილაპარაკნია, ორი კაი ფეხისადგილი გაიჭრას იმოდენად, რამოდენადაც შეიძლებოდეს.

22) ქვემო სართულისათვის სარაიას გვერდით, ორი კაი ფეხისადგილი გაიჭრას იმოდენად, რამდენადაც შეიძლებოდეს.

23) ალაყაფის კარი უნდა გადავაკეთო.

24) ქვევით სართულის ბალკონის სისწორ კედელი ამოვიდეს და გაილესოს.

25) სარაია ქვემო სართულის ფეხისადგილის გვერდზედ გავაკეთო ფიცრისა, უკან კი კედელი ამოვიყვანო.

26) ფიცრის ტიხარი ავაშალო, გავასწორო და შევლებო.

27) ბალკონს რაც კედელი უჭირავს სულ შევლებო ფოთლის ფრად, მწვანედ.

28) სამზარეულოებში საცა გასუფთავება მოუნდეს, გავასუფთავო, ფილაქანი გავასწორო, საცა მოუნდეს ახალი დაევაგო.

29) ამას გარდა, რაც სხვა რამ შეკეთება მოუნდეს და გამონდეს სულ ყოველისფერი მე უარის უთქმელად უნდა გავაკეთო, გარდა კარისა, ფანჯარისა და ფეჩის რკინეულობისა, რომელიც უნდა თითონ სახლის პატრონმა იყიდოს და მე კი უნდა ავახსა. თუ რამ ჩემი გაკეთებული ამ სახლებში ერთი ორი კაცისაგან დაწუნებული იქმნას, ან ვადაზედ, რომელიც ორი თვე არის, არ შევასრულო, მაშინ ყოველი ზარალი ერთიორად, უზლო... სახლის პატრონსა, მე ოსეფა შაჰნაზაროვსა.

მე ილია ჭავჭავაძემ ყოველ ამ ზემოხსენებულის საქმისთვის უნდა მიეპსაცე ოსეფა შაჰნაზაროვს ასსამოცდახუთმეტი თუმანი თეთრი ფული. ასე, რომ ორმოცი თუმანი მაშინ, როცა მუშაობას დაიწყებს და მასალას შეამზადებს, სამოცი თუმანი 15-ს სექტემბრამდე და დანარჩენი სახლის გაქირავების დროს უნდა ჩავაბარო ისევე შაჰნაზაროვს. თუ მეც ილია ჭავჭავაძემ ეს პირობა არ შეუსრულე, მე ზარალი ერთი ორად უზლო.

ილია ჭავჭავაძე.

ამის მოწამე ვარ თ. კიკო ორბელიანი.

ამ პირობის მიცემის მოწმე ვარ კოლეესკი ასესორი ფილიპე ჩიკვაიძე. ამ პირობის ძალით ოცდაათი თუმანი მივეცი ფ. ჩიკვაიძე.

ამ პირობის ძალით მივეცი ათი თუმანი ფ. ჩიკვაიძე.

ამ პირობის ძალით მივეცი ორმოცდაათი თუმანი ფ. ჩიკვაიძე.

10 ოქტომბერს ექვსი თუმანი მივეცი ფ. ჩიკვაიძე.

პირველის თებერვლიდან მივეცი ქირით ქვემო სართული დოქტორ დავითიშვილს, გამოვართვი ექვსი თვის ქირა ოცდაროთუმანნახევარი.

ამ ფულიდამ მივეცი ოსეფას თვრამეტი თუმანი ფ. ჩიკვაიძე.

ამ პირობის ძალით მივეცი ათი თუმანი და ერთი მანეთი ფ. ჩიკვაიძე.

ამ ხელშეკრულებით ირკვევა, რომ დღევანდელ საბჭოს ქუჩაზე მდებარე სახლი ილიასა და მის დას—ელისაბედს კი არ აუშენებიათ, არამედ აშენებული სახლი უყიდათ და შემდეგ ამ სახლისათვის კაპიტალური რემონტი გაუქეთებიათ, ეზოში ზოგიერთი ახალი ნაგებობა აუგიათ. თუ რამდენად გადაუქეთებიათ ეს ნაყიდი ძველი სახლი, იქიდანაც ჩანს, რომ მისი კაპიტალური რემონტი მიახლოებით ასსამოცდათერთმეტი თუმანი დამჯდარა. როგორც ირკვევა, ამ მშენებლობას უშუალოდ ილია ხელმძღვანელობდა. სახლის პატრონობა მინდობილი ჰქონდა ფილიპე ჩიკვაძეს, რომელიც 1884 წლამდე მსახურობდა ქალაქის მმართველობაში ჩინოვნიკად. იგი აქირავებდა ამ სახლებს. ფილიპე ჩიკვაძე მამა იყო მიხეილ ჩიკვაძისა, რომელიც ილიასთან ერთად სწავლობდა პეტერბურგში. იგი ერთ დროს ილიას დის ელისაბედის „სახლ-მამულის გამგე იყო“. მიხეილ ჩიკვაძეს ილია თავის წერილებშიაც იხსენიებს. აღსანიშნავია, რომ ილია ჰაეკვაძეს ელისაბედთან მიწერ-მოწერაში ხშირად აქვს საუბარი ამ სახლის შესახებ. ხელშეკრულება ილიას მიერ დაწერილია სახელდახელოდ, მოიჯარადრისათვის გასაგებ ფორმაში, ამიტომაცაა, რომ ამ ტელნაწერში ზოგიერთ რუსულ სიტყვას ვხვდებით.

* * *

ცნობილია, თუ რა დიდი როლი შეასრულა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ქართული კულტურის განვითარებაში. ამ საზოგადოების დაარსების ინიციატორები იყვნენ დიმიტრი ყიფიანი, ილია ჰაეკვაძე, ი. გოგებაშვილი და ბესარიონ ლოლობერიძე. 1879 წლის 14 აპრილს დამტკიცებულ იქნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების პროექტი. გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს დიმიტრი ყიფიანი, მის მოადგილედ ილია ჰაეკვაძე, ხოლო 1886 წლიდან წერა-კითხვის საზოგადოებას ილია თავმჯდომარეობს.

როგორც ირკვევა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მსგავსი დაწესებულების დაარსების აზრი ქართველი ინტელიგენციის წრეებში ჯერ კიდევ სამოციან წლებში წამოჭრილა. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია 1862 წელს შედგენილი საქმე, რომელიც შეეხება საქართველოში „ლიტერატურული საზოგადოების“ დაარსებას¹. თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი წერს:

Господину Начальнику Главного Управления
Наместника Кавказского

(С представленем докладной записки и проекта устава Грузинского литературного общества).

Подписавшиеся на представляемой у сего докладной записке, на мое имя поданной, грузинские князья и дворяне, как ваше пресвосходительство изволяете усмотреть, предполагают, в видах распространения грамотности между своими соотечественниками и из желания облегчить правительству осуществление видов его к водворению между ними гражданственности, образовать особое грузинское литературное общество. цель которого состояла бы собственно в издании и распространении по деше-

¹ ს. ც. ს. ა., ფ. 226, საქმე 8406.

вым ценам грузинских книг или периодических выпусков для народного чтения и в способствовании отдельным литераторам к изданию их творений, которые могли бы соответствовать водворению полезных знаний, как в сельском, так и вообще в гражданском быту, для чего представили также и проект устава предполагаемого литературного общества

Как круг действий этого общества должен опять собою не одну только местность города Тифлиса, но и все места Закавказского края где существует грузинское население, то я имею честь представить об этом на благоугодное разрешение вашего превосходительства, с приложением также в подлиннике проекта устава общества, почтительнейше приговораю, что с моей стороны я не встречаю препятствия к открытию этого литературного общества на правилах в уставе изложенных.

Что же касается испрошения согласия кн. наместника на принятие на себя звания покровителя сего общества, то обстоятельство это, как вполне зависящее от благоизволения его сиятельства, считаю долгом предоставить ходатайству вашего превосходительства.

Гражданский губернатор (подпись)

1862 г. 14 апреля.

ამ დროს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი პოტი გრიგოლ ორბელიანი იყო. როგორც ჩანს, იგი მონაწილეობდა „ლიტერატურული საზოგადოების“ წესდების შედგენაში. მან, როგორც სამოქალაქო საქმეთა გუბერნატორმა, შეამდგომლობა აღძრა მეფისნაცვლის წინაშე ამ საზოგადოების დაარსების თაობაზე. მეფისნაცვალს მომართვაზე ასეთი რეზოლუცია წაუწერია: „Кн. Орбелиани... не всегда надо... учреждать общества. Руководствоваться общими законами“.

ამ რეზოლუციის საფუძველზე მეფისნაცვლის სამმართველოს სამოქალაქო საქმეთა გუბერნატორისათვის შემდეგი მიმართვა გაუგზავნია:

Я имел честь докладывать Г. исполняющему должность Наместника Кавказского представлению... от 19 декабря сего года № 371, об учреждении грузинского литературного общества... печатании и распространении грузинских книг и летописей.

...приняв во внимание, что изучение в печати книг и рукописей, как на русском, так и на других языках, происходит на основании общих законов империи, изволит отозваться, что он не видит необходимости в образовании для сей цели особого литературного общества.

Об-этом имею честь уведомить... со возвращением приложений.

Нач. Глав. Управл. Нам. Кавказа (подпись).

1862 г. 31 декабря.

ამგვარად, მეფის მთავრობის ხელისუფალთ ქართველი საზოგადოებისათვის არ მიუცია ნება „ლიტერატურული საზოგადოების“ ჩამოყალიბებისათვის. როგორც ამ მიმართვაში აღნიშნულია, საზოგადოების დაარსება მოუთხოვნია ქართველ თავადაზნაურობას, წესდებაც წარდგენილი ყოფილა. სამწუხაროდ, ეს წესდება საქმეში არაა დაცული, იგი სამოქალაქო გუბერნატორისათვის დაუბრუნებიათ და, შესაძლებელია, აღმოჩნდეს გუბერნატორის კანცელარიაში. საქმეში, გარდა გრიგოლ ორბელიანისა, სხვა პირი არაა მოხსენიებული.

უნდა ვითქროთ, რომ ამ საქმის ინიციატორები იყვნენ დიმიტრი ყიფიანი, ი. გოგებაშვილი, გრ. ორბელიანი და ი. ჭავჭავაძე.

გრიგოლ ორბელიანს, როგორც თანამდებობის პირს, მაინცადამაინც თავი ვერ გამოუდვია ამ დიდი საქმისათვის. სამაგიეროდ, 1862 წელს ქართველ მოღვაწეებს დაუწყიათ ზრუნვა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მსგავსი დაწესებულების ჩამოყალიბებისათვის. 17 წლის შემდეგ, 1879 წელს, დიმიტრი ყიფიანმა და ილია ჭავჭავაძემ შეძლეს 1862 წელს დაწყებული საქმე ბრწყინვალედ დაეგვირგვინებინათ—წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მუშაობა დაიწყო.

ასეთია ის მასალები, რომლებსაც ჩვენ მივაკვლიეთ. ამ მასალებს დიდი მნიშვნელობა აქვს ილია ჭავჭავაძის ცხოვრების შესწავლისათვის.



შ ი ნ ა ბ რ ს ი

1. დ. გამეზარდაშვილი. ილია ჭავჭავაძე—ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი	7
2. ალ. ბარამიძე. ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები	27
3. აკაკი ხინთიბიძე. ილია ჭავჭავაძის ლირიკის ფორმის საკითხები	59
4. ქს. სიხარულიძე. ილია ჭავჭავაძის პოემის ხალხური წყაროები .	85
5. ვ. ითონიშვილი. ეთნოგრაფიული მასალების გამოყენების შესახებ ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწერებში	107
6. ი. გრიშაშვილი. ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი . . .	121
7. ივანე ჯავახიშვილი. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია	153
8. გ. აბზიანიძე. ნიკო ნიკოლაძე ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ	165
9. ს. ხუციშვილი. ილია ჭავჭავაძის პირველი კრიტიკოსები	187
10. ივანე ჭავთარაძე. ილიას ქართული	199
11. ვ. ბერიძე. ილია ჭავჭავაძე—ახალი სალიტერატურო ენის ფუძემდებელი და დამცველი	237
12. გ. თაფჩიშვილი. ილია ჭავჭავაძე და ქართული პედაგოგია	255
13. მიხ. ზარქუა. გაორებული პიროვნების ტრაგედია	267
14. ე. გაგოიძე. ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური შეხედულებანი .	279
15. ა. კენჭოშვილი. ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში.	325
16. ა. გაჩეჩილაძე. მასალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის.	351



დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რექტორები ს. ჩიჩუა,
ც. შალამბერიძე

მხატვარი გ. ნადირაძე
ტექნორექტორი ა. თოდუა
კორექტორი ნ. ყიფიანი

გადაეცა წარმოებას 27.8.1957; ანაწყობის ზომა 7×12 ; ხელმოწერილია.
დასაბეჭდად 17.10.1957; ქალაქის ზომა $70 \times 108 \frac{1}{18}$;
ქალ. ფურც. 12; საბეჭდი ფურც. 32,88; საავტორო
ფურცელი 28,28; სააღრ.-საგამომც. ფურცელი 28,97;
შეკვეთა 1512; უე 02644; ტირაჟი 3000
ფასი 20 მან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა-
თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5